ბორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული

№9

2015

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2015 წლის 12 თებერვალს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ სამეცნიერო ნაშრომებს.

2015 წლის 12 თებერვალს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“
თავმჯდომარე: პროფ. ნოდარ მირაზანაშვილი
წევრები: პროფ. ნელი ჭამპურიძე, პროფ. მზია ზანგალაძე, ასოც. პროფ. ციური ბაქრაძე

სექცია: „კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა“
თავმჯდომარე: პროფ. მალხაზ მუმლაძე
წევრები: პროფ. ლევან მიდოდაშვილი, ასოც. პროფ. ლელა ალექსიძე

სექცია: „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია)
და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)“
თავმჯდომარე: ასოც. პროფესორი თინათინ იოსებიძე
წევრები: პროფ. ალექსანდრე იაშვილი, პროფ. ზურაბ ტიელიძე, პროფ. ნელი გოგინაშვილი

სექცია: „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ხათუნა ბებნაძე
წევრები: ასოც. პროფ. ლია ბიბილაშვილი, ასოც. პროფ. ნათია ჟოჟუაშვილი, პროფ. დავით ბიძინაშვილი

სექცია: „ტურიზმი“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. მაია აზმაიფარაშვილი
წევრები: პროფ. ლეილა მამულაშვილი, პროფ. გიული გიგუაშვილი

სექცია: „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“
წევრები: ასოც. პროფ. სოსო სიგუა, უფ. მასწ. ივანე ბალახაშვილი

სექცია: „ქართული ენა“
თავმჯდომარე: პროფ. ვიანორ ახალაია
წევრები: პროფ. მარიამ კობერიძე, ასოც. პროფ. ნიკოლოზ ოთინაშვილი

სექცია: „ქართული ლიტერატურა“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. გიორგი ხორბალაძე
წევრი: პროფ. თამარ გოგოლაძე

სექცია: „უცხო ენა და ლიტერატურა“
თავმჯდომარე: პროფ. ლელა მახვილაძე
წევრები: პროფ. ზურაბ ჩხიკვაძე, პროფ. ნათელა ხინჩაგაშვილი, ასოც. პროფ. ნინო ბაქრაძე

სექცია: „ისტორია“
თავმჯდომარე: პროფ. მამუკა ჯოლბორდი
წევრები: პროფ. ელდარ მამისთვალიშვილი, პროფ. ვაჟა ჩოჩია, ასოც. პროფ. იოსებ ალიმბარაშვილი

ISSN 2233-3320

შ ი ნ ა ა რ ს ი

განათლება

ბალიაშვილი ნინო – *ქალთა აღზრდა-განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის II ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში* – 7

გოგატიშვილი ნათია, გელაშვილი სოფიკო – *სასაუბროების, გამოცანებისა და ანდაზა-აფორიზმების სწავლება* – 10

ლაზარაშვილი თამარ – *მოსმენის უნარ-ჩვევის ფორმირება უცხოური ენის გაკვეთილზე* – 12

მარნაძე ნინო – *მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები* – 15

მარქაროვი ნინო – *კულტურათაშორისი კომუნიკაცია, როგორც რუსული ენის სწავლების საფუძველი* (რუსულ ენაზე) – 19

ნალიყაშვილი მარიამ, ამირხანოვი თამარ – *გაბმულ მეტყველებასა და სტილზე მუშაობა დაწყებით კლასებში* – 22

ოქროპირიძე ნინო – *ინტერნეტ–რესურსების გამოყენება რუსულის როგორც უცხო ენის სწავლებისას* (რუსულ ენაზე) – 25

სამადაშვილი ანი – *აღზრდა-განათლების საკითხები XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში აკაკი წერეთლისა და სოფრომ მგალობლიშვილის მხატვრულ ტექსტებში* – 28

ქელეხსაშვილი მარიამი – *სქემების გამოყენება სინტაქსის ზოგიერთი საკითხის სწავლებისას* – 32

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

ბალიაშვილი ნინო – *ეილერის პირველი და მეორე გვარის ინტეგრალები და მისი გამოყენება ალბათობათა თეორიაში და მათემატიკურ სტატისტიკაში* – 36

ბალიაშვილი ნინო – *ქიმიური სინთეზის ამოცანის მოდელირება წინადადებათა ლოგიკის ენაზე* – 39

თამლიანი გიორგი – *წერტილოვანი შეფასების მაგალითები* – 42

პაპიაშვილი დათო – *უკაბელო ქსელის უსაფრთხოების ზოგიერთი მეთოდის შესახებ* – 44

პაპიაშვილი დათო – *Microsoft კორპორაციის უახლესი პროდუქტები* – 47

ტერუნაშვილი მერი – *მრავლობითი რეგრესიის კერძო მაგალითი* – 50

ფოლადაშვილი თინათინ – *სოციალური მედია, სოციალური ქსელები და ბლოგები* – 57

ხუბერაშვილი ბექა – *ინფორმაციის უსაფრთხოება და მისი დაცვის ზოგიერთი მეთოდის შესახებ* – 61

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)

ადუაშვილი ეკა – *ზოგიერთი ორგანული ნივთიერების მიღება ბიოტექნოლოგიური მეთოდებით* – 65

არახამია ხატია – *C ჰეპატიტი - მკურნალობისა და პრევენციის თანამედროვე გზები* – 68

ბესტავაშვილი ელენა, ბესტავაშვილი მარინა – *მარჯნის პოლიპები და მათი მნიშვნელობა* – 72

დალაქიშვილი რუსუდან – *სისხლში ჰემოგლობინის დონის ცვლილებები და მისი განსაზღვრის ძირითადი მეთოდები* – 74

ედიშერაშვილი ანა, თომაშვილი თამარ – *სისხლის ჯგუფების გენეტიკა და მისი როლი ადამიანის ხასიათზე* – 78

ელიაშვილი ელენე – *ზოგიერთ ტოქსიკურ ნივთიერებათა შემცველობა მცენარეში* – 81

თომაშვილი რევაზ – *სასწავლო-საწვრთნო პროცესის დაგეგმვის პრობლემები და სწავლების მეთოდები ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის თავისუფალ ჭიდაობაში* – 84

იორამაშვილი ნათია, ხუციშვილი მარინა – *ხელოვნური აბორტის ეთიკური პრობლემები* – 85

ლიჩელი ხატია, გიგუაშვილი მადონა – *ეკოტურიზმი და მისი გეოგრაფიული ასპექტები საქართველოში* – 88

მეხრიშვილი თამთა, მახოხაშვილი ნინო – *სოკოების მნიშვნელობა ბუნებასა და ადამიანთა ცხოვრებაში* – 94

მძინარაშვილი ნინო – *ალკოჰოლიზმის განვითარების მიზეზების ალტერნატიული ხედვა* – 98

სარქისიანი ნინო, სარქისიანი მარიამ – *აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი შიდსი და მისი პრევენცია* – 100

ღონღაძე ლაშა – *სპორტის ქართული ეროვნული სახეები სპორტსმენთა ფიზიკური მომზადებისა და მაღალი შედეგების მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა* – 105

შატაკიშვილი რუსუდან – *კალციუმი, ფოსფორი - სიცოცხლის ელემენტები* – 108

ცერაძე ლიკა – *ბავშვობის კრიტიკული პერიოდები* – 111

ბიზნესი და მართვა

ბალიაშვილი ნაილი – *საინვესტიციო გარემო საქართველოში - პრობლემები და განვითარების პერსპექტივები* – 114

გნოლიძე ნათია, თურაზაშვილი ქეთევან, ხაჩიძე მეგი – *შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა* – 119

ზექალაშვილი ნინო – *ჩინეთის ეკონომიკის პოზიტივები და ნეგატივები* – 124

თამლიანი გიორგი – *კომპანია „Procter&Gamble“-ის ბიზნეს სტრატეგიები* – 126

ინდუაშვილი მირიან – *უმსხვილესი საინვესტიციო ფონდები ქართულ ბაზარზე* – 130

მაღალდაძე თეონა, გოლოშვილი ანნა, დემურიშვილი რუსუდან – *საგარეო ვაჭრობის განვითარება საქართველოში* – 133

მელაძე მზია, იასაშვილი თამარ, ლაშხი ანი – *საბანკო საქმიანობის წარმოშობის ისტორია და ბანკები XXI საუკუნის საქართველოში* – 134

მთიულიშვილი მარიამ – *მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობა საქართველოში* – 140

ნაოჭაშვილი ბექა – *მოსახლეობის საყოველთაო აღწერა და სტატისტიკური მაჩვენებლების როლი ბიზნესის მართვაში* – 144

სუხიტაშვილი რუსუდან – *გადაზღვევის როლი და მნიშვნელობა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე* – 147

ტატულაშვილი ლიკა – *კომუნიკაცია თანამედროვე მსოფლიოში* – 151

ტლაშაძე მარიამ – *ბიზნეს გარემო საქართველოში* – 156

ტლაშაძე მარიამ – *მონოპოლიური ბაზარი* – 159

ფოლადაშვილი თეონა, კობერიძე სოფიკო, ოქროპირიძე მარიამ – *ვენჩერული ბიზნესი - სიმდიდრის შექმნის რეალური გზა* – 162

შოშიაშვილი ნონა – *ქართველთა დიასპორის მოცულობა გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში* – 164

ჩოჩიშვილი ნატალია – *ქართული კომპანიები და ონლაინ რეკლამა* – 167

ხოდელი ანი, მამისაშვილი ანი – *სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნქციები* – 169

ხოდელი ანი, ნასყიდაშვილი ელენე – *მომსახურების სფეროს განვითარების პერსპექტივები* – 172

ტურიზმი

გიგუაშვილი მთვარისა – *ტურიზმის სამომხმარებლო პოტენციალი საქართველოში* – 175

დოიჯაშვილი თამარ, ღონღაძე ნინო, ჯოლბორდი ქეთინო – *ღვინის ფესტივალი და მისი გავლენა ტურიზმის განვითარებაზე* – 178

ლომაია დავით – *სამხრეთ საქართველოს მარშრუტები ბერდვოჩერებისთვის* – 181

მაღლაკელიძე დიმიტრი – *შიდა ქართლის ტურისტული მეურნეობის განვითარების პერსპექტივები კასპის რაიონის მაგალითზე* – 184

ტერმაკოზაშვილი თამარ, მარკოზაშვილი ქეთევან – *საყდრისი - ოქროს უძველესი წარმოების კერა მსოფლიოში* – 187

ღვინიაშვილი ნინო – *საქართველოს მთის კლიმატური კურორტების ბუნებრივ-რეკრეაციული მნიშვნელობა ბაკურიანის მაგალითზე* – 190

ცინცაძე მონიკა, ტიელიძე ანი – *რეკლამის როლი და სპეციფიკა ტურისტულ ბიზნესში* – 193

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

აკოფაშვილი ნინო – *პერსონალური მონაცემების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში (შედარებითი ანალიზი)* – 196

მეცხვარიშვილი ავთანდილ, შავლოხაშვილი მზია – *რა არის პოლიტიკა* – 202

მღებრიშვილი გიორგი – *ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით* – 204

ტერმაკოზაშვილი თამარ, მარკოზაშვილი ქეთევან – *ბავშვთა სიკვდილიანობა - საფრთხე ქვეყნის დემოგრაფიული ფონისათვის* – 206

ქერდიყოშვილი თამარ – *იპოთეკა როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება* – 208

ქერდიყოშვილი თამარ – *სასჯელის ცნება, მიზნები და მისი ალტერნატიული საშუალებები* – 213

ქართული ენა

კვაღნიძე მარიამ – *მცენარეთა სახელდებისათვის გორის რაიონის სოფლებში ჩაწერილი მასალების მიხედვით* – 217

ოქროპირიძე მარიამ – *ჯემალ აჯიაშვილის თარგმანის ერთი ენობრივი თავისებურება* – 219

ტატიაშვილი რუსუდან, ტერტერაშვილი ნათია – *სოფელ ხელთუბნის ანთროპონიმები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით* – 221

ხანიშვილი ეკა – *ნოდარ დუმბაძის პერსონაჟთა მეტყველება (რომანები „მე ვხედავ მზეს“, „მარადისობის კანონი“)* – 224

ხმიადაშვილი მარიამ, თათრიშვილი ლალი – *მერაბ ელიოზიშვილის ენის ზოგიერთი თავისებურება* – 227

ქართული ლიტერატურა

მძინარაშვილი ნაირა – *ზღაპრული ეპოსის ლიტერატურული გადამუშავება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“* – 229

საზანდრიშვილი ნათელა – *აკაკი წერეთლის ტექსტებზე მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის ისტორიიდან* – 231

ტატიშვილი ნინო – *არქიტექსტი, როგორც წყარო სხვა ტექსტებისათვის: აპოვთეგმატა - „სიბრძნე მალაღობელი“, „დავითიანი“, „ვახტანგიანი“* – 236

ტერტერაშვილი ნათია – *ძველი და ახალი მასალები მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის* – 239

ქელეხსაშვილი მარიამი – *ქართული ძირების ძიება ქართველ მწერალთა მიერ, ვარაუდები ქართველთა წინაპრების შესახებ* – 242

ხმიადაშვილი მარიამ – *პერსონაჟთა ხატვის ზოგიერთი თავისებურება გიორგი ერისთავის პიესებში* – 245

უცხო ენა და ლიტერატურა

თინიკაშვილი ანა – *ახალი სიტყვების წარმოშობა თანამედროვე რუსულ ენაში (უცხო ენების ნეოლოგიზმების მასალაზე)* (რუსულ ენაზე) – 250

მაისურაძე მაია, ბესიაშვილი მარიამ – *გერმანელი მწერლის გ. ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიისათვის* – 253

ტერლეცკაია ლანა – *XI-XVII სს. რუსული ფულადი ერთეულების ეტიმოლოგიის შესახებ* (რუსულ ენაზე) – 256

ისტორია

ბიხანაშვილი რუსუდან – *ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და გაზეთი „ერთობა“* – 259

გიგუაშვილი მერი – *უცხოელი ავტორები ქართველი ქალების შესახებ* – 264

დანიელოვი ნანი – *ქართლ-კახეთის დედოფალი დარეჯანი* – 266

მახათაძე თინათინ – *„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოღვაწეობა ქვიშხეთში, სურამსა და ალში* – 270

პავლიაშვილი ეთერ, კასრაძე ნანა – *სამხრეთ კავკასიაში ოსთა ჩამოსახლების ქრონოლოგიის საკითხისათვის* – 274

ღვინიაშვილი მარიამ – *გამოჩენილი ქალები ძველი ეგვიპტის ისტორიაში (ხატშეფსუტი და ნეფერტიტი)* – 278

შავლოხაშვილი თეონა – *1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობა* – 282

ქალთა აღზრდა-განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის II ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში

ნინო ბალიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

ყველა ეპოქა თავის მოთხოვნებს უყენებს აღზრდა-განათლებას. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით მწვავედ დადგა საზოგადოების მოუმზადებლობა ცხოვრებისათვის. ამის ძირითად მიზეზად ის მიაჩნდათ, რომ ყმაწვილებს არ ჰყავდათ მცოდნე მომვლელი ქალები. ეს უმთავრესად ოჯახებსა და იმ სასწავლებლების არქონას უკავშირდება, რომელთაც ქალი, ოჯახის დედა და მეუღლე უნდა გამოეზარდა.

სასწავლებლების, ქალთა დანიშნულებისა და მოწოდების შესახებ აზრი მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოც-ოთხმოცდაათიან წლების საქართველოში არა თუ არ ჩამოუვარდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებულ იდეებს, წინ უსწრებდა კიდეც. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის აღიარება და ქადაგება იმ დროს, როდესაც რუსეთის უნივერსიტეტებში ქალებს არ იღებდნენ და მათი ცალკეული წარმომადგენლები უცხოეთის უნივერსიტეტში იღებდნენ განათლებას, საქართველოში პედაგოგიკური აზროვნების მოწიფულობაზე მეტყველებს.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ,,ქალს მოსდევს მაღალი დანიშნულება და ამისდაგვარად ქალს უნდა ეპყრას მაღალი ადგილი საზოგადოებაში. ამ დამსახურებისათვის საჭიროა სწავლა და ცოდნა ნამდვილი" (6, 233). აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქალების აღზრდას, რადგან ისინი არიან ჩვენი შვილების, როგორც მომავალი მამაკაცების, ისე ქალების აღმზრდელები და თუ როგორ არიან ისინი მომზადებულნი ამ მაღალი დანიშნულების შესასრულებლად, ამაზეა დამოკიდებული ხალხის პროგრესი, კულტურისა და განათლების დარგებში წარმატებები: ,,ოჯახი ეს პირველი ბურჯი კეთილწარმატებისა მათს ხელშია, ისინი გვიზრდიან შვილებს, ისინი გვივლიან მშობლებს და ისინი დობით და მერე მეუღლეობით მძიმე ტვირთს გვიმსუბუქებენ... თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ხალხის ზნეობის ბარომეტრები არიან. დავარდნილს საზოგადოებაში ყველაზე პირველი ეცემიან ქალები და ხალხის გამოფხიზლების დროსაც პირველი ნიშნები მათში იხედებიან... მე მხოლოდ მაშინ ვიწამებ ჩვენი ხალხის გამოღვიძებას, როდესაც ჩვენი ქალები ყოველს კეთილსა და საზოგადოებისადმი კეთილი ნაყოფის მოტანაში არა თუ თანამგრძნობნი, თანამოქმედიც იქნებიან" (5, 368).

ქალთა განათლების თემას ეხმიანებიან სახალხო მასწავლებლებიც. ბესარიონ ლომინაძის აზრით, ,,ქალი ოჯახის სულის ჩამდგმელია, რადგან იგი ერის სული და მისი სიცოცხლის უმთავრესი ძარღვია. ქალი ყოველთვის იყო ნამდვილი დედაბოძი საქართველოს ცხოვრებისა, იგი არის აღმზრდელი და სულის ჩამდგმელი იმ ვაჟკაცთა, რომელნიც თავგანწირვით და სიმამაცით იცავდნენ თავისუფლებას" (2, 1).

თვითონ ქალებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართულ პრესაში და გამოთქვამდნენ მნიშვნელოვან აზრებს. პედაგოგი და პუბლიცისტი **ნინო ზურაბიშვილი** წერდა: ,,სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ როგორიც ქალია, ისეთი ოჯახია, როგორც უნდა, როგორც ესმის, ისეთს ელფერს დაადებს ქალი თავის ოჯახს, ამიტომ ჩვენ ყველაზე უფრო ქალების აღზრდას უნდა მივაქციოთ ყურადღება" (3, 42).

ქართველი პედაგოგები მოითხოვდნენ ყველა საშუალო სასწავლებლებში ქალთა მომზადებას მასწავლებლად, აღმზრდელებად. **თეოფილე ხუსკივაძეს** საჭიროდ მიაჩნდა საშუალო სასწავლებლებში პედაგოგიკის სწავლების შემოღება, რადგან, იგი უფრო მეტად გამოადგებოდა მომავალ დედას შვილის აღზრდაში, ვიდრე სხვა რომელიმე უცხო ენის შესწავლა. მისი აზრით, სკოლაში თეორეტიკულად მაინც უნდა ესწავლა ქალს მათი მომავალი მოვალეობა - შვილის აღზრდა (1,18).

მიუხედავად ასეთი მიდგომისა, ამ პერიოდში ქალთა საგანმანათლებლო სასწავლებლები სიმცირით გამოირჩევა. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ქალთა განათლებისათვის მიღებული ღონისძიებანი ვერ აკმაყოფილებს იმ დროის მოთხოვნებს. რუსეთის იმპერატორის 1846 წლის 5 მარტის ბრძანებით შეუდგნენ მზადებას საგუბერნიო ქალაქებში ქალთა სკოლების მოსაწყობად. რუსეთის

განათლების იმდროინდელი მინისტრი **ა. ნოროვი,** იმავე წლის 28 მარტის სპეციალური ცირკულარით, სთხოვდა იმპერიის სასწავლო ოლქის მზრუნველებს, შეეტყობინებინათ, მათი ოლქის რომელ ქალაქებში უფრო იყო მიზანშეწონილი, ქალთა სკოლების დაარსება, რა თანხები იქნებოდა საჭირო ამისათვის, რა საგნები უნდა ასწავლონ ამ სკოლებში და როგორი უნდა იყოს მათი მმართველობითი სისტემა. **კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ა. ნიკოლაი** აღნიშნული ცირკულარის მიღებისთანავე დაეკითხა ამ საკითხის შესახებ ამიერკავკასიის გუბერნატორებს და თბილისისა და ქუთაისის სახალხო დირექტორებს.

დაიწყო წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლების დაარსება. პირველი ასეთი სასწავლებელი გაიხსნა 1846 წელს (4, 339).

1847 წლის 14 მაისს, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების დიდი მონდომებით, რომლის თავმჯდომარე იმ პერიოდში **ელისაბედ ვორონცოვა** იყო, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის უშუალო ნებართვით, **ქუთაისში დაარსდა ქალთა სასწავლებელი.** მისი მიზანი იყო ,,კეთილი ცოლებისა და ოჯახის კარგი დედების აღზრდა". თავდაპირველად გაიხსნა ორგანყოფილებიანი ქალთა სასწავლებელი, მისი კონტინგენტი 15-ს არ აღემატებოდა. ისწავლებოდა: **საღვთო სჯული, რუსული და ქართული ენები, კალიგრაფია და სუფთა წერა. შემდეგ წლებში დაემატა ისტორია, გეოგრაფია და არითმეტიკა.** სასწავლებლის მზრუნველი იყო **მარიამ უსპეხნი,** ქუთაისის მაშინდელი გუბერნატორის მეუღლე. 1860 წლიდან სასწავლებელი გადაკეთდა სამკლასიანად, პირველად 30 გოგონა სწავლობდა, ხოლო 5 წლის შემდეგ კი -196. სასწავლებელში ჩარიცხულთა გადასახადი 50 მანეთი იყო, სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. თავდაპირველად რუსი პედაგოგები მოღვაწეობდნენ, დროთა განმავლობაში გაიზარდა ქართველ პედაგოგთა რაოდენობა იმათ ხარჯზე, ვინც განათლება მოსკოვსა და პეტერბურგში მიიღო. 1876 წელს ქუთაისს ესტუმრა კავკასიის მეფისნაცვალი თავადი **მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი,** მას ქალთა კეთილდღეობის გამგეობის თავმჯდომარემ **პელაგია წერეთელმა** სთხოვა, ნება დაერთოთ, რომ ქალთა სასწავლებლის ნაცვლად ქუთაისში გახსნილიყო ქალთა გიმნაზია. ეს თხოვნა მეფისნაცვალმა დააკმაყოფილა, **1878 წლის 8 სექტემბერს ქალთა სასწავლებლის ბაზაზე გაიხსნა საქალებო გიმნაზია.** ამ პერიოდისათვის გიმნაზიის ხუთ კლასში ირიცხებოდა 119 მოსწავლე. 1979 წლის 1 იანვრისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 160-მდე. აქ **ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა, არითმეტიკა, კალიგრაფია, გეოგრაფია, ისტორია, ფიზიკა, პედაგოგიკა, ბუნებისმეტყველება, კანონმცოდნეობა, გერმანული და ფრანგული ენები, ტანვარჯიში, გალობა, ცეკვა (გალობა და ცეკვა სავალდებულო საგნებად ითვლებოდა), ხელგარჯილობა, ჭრა-კერვა, ქარგვა, ხაზვა, ხატვა.** სწავლის ქირა წელიწადში 75 მანეთს შეადგენდა. გიმნაზიის პირველ კლასში მისაღები გამოცდების საფუძველზე იღებდნენ 9-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებს. სასწავლებელში მოსწავლე გოგონების ჩაცმულობა მკაცრად იყო განსაზღვრული. მათ დირექციის მიერ დაწესებული ფორმა უნდა სცმოდათ. ეს იყო ლურჯი კაბა კლასიკური თეთრი საყელოთი და სამაჯურებით, შავი წინსაფრითა და ასევე შავი ბაბთით. ჩაცმულობასთან ერთად მკაცრად აკონტროლებდნენ სისუფთავესა და გარეგნულ ელფერს. მამაკაცებთან ერთად ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში მოღვაწეობდნენ ქალი პედაგოგები: **ბაბო მჭედლიძე, ედუკი მაჭავარიანი, მარუსია ხუნდაძე და სხვები.**

ქალთა აღზრდა -განათლების საქმეში იმ პერიოდის საქართველოში დიდი როლი შეასრულა თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელმა. ეს იყო ქალთა პირველი ღია პედაგოგიური სასწავლებელი ამიერკავკასიაში (სასწავლებელი ოლღას სახელობისა იყო); დაარსდა 1865 წელს, იღებდნენ 8-დან 18 წლის ასაკამდე გოგონებს, რომლებსაც საშინაო და დაწყებითი კლასების მასწავლებლად ამზადებდნენ. სწავლების კურსი 3-საფეხურიანი იყო: ელემენტარული I-II კლასი, ზოგადი განათლების III-IV კლასი, სპეციალურ-პედაგოგიური - V-VI კლასი. სწავლება ფასიანი იყო (წელიწადში 200 მანეთამდე), არასავალდებულო საგნების **(გერმანული, ფრანგული, სომხური, აზერბაიჯანული ენები, ცეკვა, მუსიკა)** შესწავლისათვის ქირას დამატებით იხდიდნენ. უკანასკნელი კლასის მოსწავლეები დაწყებით კლასებში გადიოდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას და საცდელი გაკვეთილების წარმატებით ჩატარებისა და გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ საშინაო მასწავლებლის წოდებას ღებულობდნენ. 1870 წელს სასწავლებელს დაემატა VII (დამატებითი) პედაგოგიური კლასი და გადაკეთდა **ქალთა პირველ გიმნაზიად.** 1873 წელს გიმნაზიასთან დაარსდა პროგიმნაზია. ამ სასწავლებელში პედაგოგიკას წლების მანძილზე ასწავლიდა ლ. ლომალევსკი (კ. უშინსკის მოწაფე). კურსდამთავრებულები იღებდნენ საშუალო განათლებას, მაგრამ უნივერსიტეტში შესვლის უფლება არ ეძლეოდათ.

1891 წელს დაარსდა თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია (851 მოსწავლე), თბილისის ქალთა მესამე გიმნაზია დაარსდა 1894 წელს (850 მოსწავლე), თბილისის ქალთა მეოთხე გიმნაზია - 1903 წელს (452 მოსწავლე), თბილისის ქალთა მეხუთე გიმნაზია - 1905 წელს (384 მოსწავლე), თბილისის ქალთა მეექვსე გიმნაზია 1916 წელს (348 მოსწავლე).

გორის ქალთა გიმნაზია დაარსდა 1905 წელს, სადაც სწავლობდა 383 მოსწავლე. ფოთის ქალთა გიმნაზია დაარსდა 1912 წელს, სწავლობდა 223 მოსწავლე, სოხუმის ქალთა გიმნაზია დაარსდა 1910 წელს, სწავლობდა 380 მოსწავლე, ბათუმის ქალთა გიმნაზია - 1900 წელს, სწავლობდა 353 მოსწავლე. სულ 11 ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა 5341 მოსწავლე (ც. ბაქრაძე, 2008: 31).

ნიკო ლომოური 1881 წლიდან გორის სამასწავლებლო სემინარიასა და პროგიმნაზიაში მოღვაწეობდა. კირიონ II 1896 წლამდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ტფილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში.

განსაკუთრებით გასამახვილებელია ყურადღება ცნობილი საბავშვო მწერლის – ეკატერინე გაბაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. მისი პედაგოგიური მოღვაწეობისა და შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი იდეა ხალხში განათლების შეტანა, განსაკუთრებით კი ქალთა განათლება იყო. აქ ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ მამის მიერ მისადმი 1870 წელს მიწერილი ბარათი, რომელშიც იგი ურჩევს შვილს წიგნები გამორჩევით იკითხოს: „ბევრი კარგი და გამოსადეგი აზრი და საქმეზე შემხებელი წაიკითხე. საქმით გაამართლებინე, რაც ქაღალდზე წერია მანდ“.

ეკატერინე გაბაშვილმა განათლება მიიღო თბილისში გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე მდებარე მადამ ფავრის პანსიონში. მადამ ფავრი იყო ნიკო მარის უფროსი და. აქ სწავლობდნენ თავად-აზნაურთა და წარჩინებულ მოხელეთა შვილები. მათ ასწავლიდნენ პოლონელი და რუსი პედაგოგები. აქ მაღალ დონეზე იდგა ქართული ენის სწავლება. ასწავლიდნენ ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, არითმეტიკას.

ეკატერინე გაბაშვილი თორმეტი წელიწადი იყო აქტიური წევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა.

ოლღა ჭავჭავაძესთან ერთად აწყობდა საქველმოქმედო ბაზრობებს, რომელთა ორგანიზებას და გაძღოლას დიდი დრო და ენერგია სჭირდებოდა. ეკ. გაბაშვილი იყო ჟურნალ "ჯეჯილის" დაარსების (1904 წ.) ერთ-ერთი მოთავე იაკობ გოგებაშვილთან, სოფრომ მგალობლიშვილთან, გიორგი წერეთელთან, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან ერთად, თანამშრომლობდა ჟურნალ ”ნაკადულთან”. ეკატერინე გაბაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა დიდად დააფასა მისმა თანამედროვე საზოგადოებამ.

”ბედნიერი მანდილოსნის” სახელით ცნობილი მწერალი ქალი მუდამ პატივისცემით იყო გარემოსილი. მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში ქალთა ვიწრო წრეში წამოიჭრა ქალთა სკოლის დაარსების საკითხი, მაგრამ ამ წამოწყებას სათანადო მატერიალური სახსარი ესაჭიროებოდა. ქალებმა საადგილმამულო ბანკს მიმართეს და ქალთა სკოლის დაარსება მოითხოვეს. ეკატერინე გაბაშვილის სახლში სკოლა გაიხსნა, მის გამგედ თვითონ მწერალი დაინიშნა. ქართული საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეეგება სკოლის დაარსებას და დახმარებაც აღუთქვა, მაგრამ დაბრკოლებად უფულობა გადაეღობა. ეკატერინე გაბაშვილს არ აკმაყოფილებდა პროფესიული სკოლის არსებობა და ქართველი ქალებისათვის უფრო ფართო განათლებას თხოულობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკატერინე გაბაშვილის დაუღალავმა ბრძოლამ ქართველი ქალებისათვის ცოდნა უფრო ხელმისაწვდომი გახადა, მწერალი მაინც უკმაყოფილო და ბოდიშს უთვლიდა თავის საყვარელ ქვეყანას: ,,ყოველი წამი ჩემი სიცოცხლისა გეკუთვნის შენ და შენი გაუმჯობესების სურვილს და თუ ჩემი ნაბიჯი მკრთალი და უფერულია, ნუ დასჯი, ის ხომ რაც არის, შენია და შენ გეკუთვნის" (**www. feminism-boell.org).**

კატო მიქელაძე განსაკუთრებულ პატივს სცემდა ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობას, მის ამაგს ქალთა ემანსიპაციისა და მათი განათლების უფლების მოპოვების საქმეში, ამიტომ ხშირად სტუმრობდა მას და ეთათბირებოდა მეცხრამეტე საუკუნის 10-იანი წლების საქართველოში ქალთა მოძრაობის გასაფართოებლად **(www. feminism-boell.org).**

ამრიგად, ქართველ პედაგოგთა მოთხოვნები საქართველოში მე-19 საუკუნის II ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქალთა აღზრდა-განათლების საკითხებზე გულისხმობდა ყველა საშუალო სასწავლებლებში ქალთა მომზადებას მასწავლებლად და აღმზრდელებად. ეს კი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აზრი ქალის დანიშნულებასა და მოწოდების შესახებ არა თუ არ ჩამოუვარდებოდა დასავლეთ ევროპაში გავრცელებულ იდეებს, არამედ წინ უსწრებდა კიდეც.

ლიტერატურა:

1. ც. ბაქრაძე, პედაგოგიური აზროვნება 1900-1931 წლების საქართველოში, თბ., 2008.
2. გაზეთი დროება, №105, თბ., 1876.
3. ნ. ზურაბიშვილი, ძველი და ახალი სკოლა, ჟურნალი მოამბე, №4, თბ., 1898.
4. ნ. ვასაძე, პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1988.
5. ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. XI, თბ., 1960.
6. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955.
7. www.feminism-boell.org.

სასაუბროების, გამოცანებისა და ანდაზა-აფორიზმების სწავლება

ნათია გოგატიშვილი, სოფიკო გელაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე,** პროფესორი

ქართული ენა ქართულ ეროვნულ სკოლაში არა მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო დისციპლინაა, არამედ სხვა საგანთა სწავლების საფუძველიც. იგი მშობლიური ენაა, დედაენაა, რომლის სწავლებაც აზროვნების, ინტელექტის განვითარებისაკენ არის მიმართული და ქართული მენტალიტეტის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. არაერთგზის აღუნიშნავთ დიდ ფილოსოფოსებსა და მოაზროვნეებს – „ენა ხალხისა არის მისი სული და სული ხალხისა - მისი ენა“ (1, გვ. 11). აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ქართველი ხალხის სული ქართული ენაა, რომელსაც „დედაენას“ ვეძახით. საერთოდ, სწავლება და აღზრდა ერთმანეთისაგან განუყოფელი პროცესია. ყოველი საგნის და, პირველყოვლისა, მშობლიური ენის სწავლებაც, მოსწავლეთა აღზრდის საერთო საქმეს ემსახურება (1, გვ. 18). მოსწავლეთა აზროვნების განვითარებისათვის, მათი გონებრივი აქტივიზაციისა და დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის უნარის გამომუშავებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაწყებითი კლასების მშობლიური ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი სასაუბროების, გამოცანებისა და ანდაზა-აფორიზმების მაღალპედაგოგიურ-მეთოდიკურ მოთხოვნათა შესაბამის სწავლებას.

სასაუბროების, ანდაზების და გამოცანების სწავლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე იაკობ გოგებაშვილი ჯერ კიდებ 1876 წელს მიუთითებდა მისი "დედაენის" პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში: რეალურ ელემენტს წიგნისას შეადგენს სასაუბროები, რომლებიც შეიცავენ თითქმის ბავშვისათვის მისაწვდომ მთელ სფეროს საგნებისას (3, გვ. 122). „ისინი ალამაზებენ და უფრო გამომსახველს ხდიან მეტყველებას, ამავე დროს დიდი აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვთ. მათ გამოყენებას მოსწავლეები ადრეული ასაკიდანვე უნდა შევაჩვიოთ“ (2, გვ. 146). ამიტომაც, დიდმა ქართველმა პედაგოგმა და დიდაქტიკოსმა იაკობ გოგებაშვილმა "დედაენაში" შეიტანა გარესამყაროს სხვადასხვა საგნებზე, ცნებებსა და მოვლენებზე აგებული სასაუბროები, რაც I კლასში უმეტესად სურათების გარეშეა, II კლასში კი – შესანიშნავი სურათებით. ყოველ სასაუბროს თან ახლავს მრავალი ანდაზა და გამოცანა, რომლებიც უმთავრესად ამ სასაუბროთა შინაარსს უკავშირდებიან.

„დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა ავტორებმა ბევრი სასაუბრო, გამოცანა და ანდაზა-აფორიზმი შეიტანეს. ყოველი მეოთხე-მეხუთე მასალა ან სასაუბროა ან საკითხავ ტექსტს ახლავს გამოცანა, ანდაზა ან აფორიზმი“ (3, გვ. 123). I-II-III კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი სასაუბრო მასალა მეტად საჭირო და სასარგებლოა მოსწავლეთა აზროვნების განვითარებისა და მათი ცოდნის გაღრმავება-გაფართოებისათვის.

სასაუბროს დამუშავება მასწავლებლისაგან საკმაოდ დიდ ცოდნასა და დახელოვნებას მოითხოვს. მოსწავლეთათვის მიწოდებული ინფორმაცია სასაუბროზე გამოსახული ყოველი საგნის შესახებ უნდა იყოს მეცნიერულად ზუსტი, სანდო, თან გასაგები და მისაწვდომი შესაბამისი კლასისა და ასაკის ბავშვისათვის. იმისათვის, რომ მასწავლებელს გაადვილებოდა მოსწავლეებთან სასაუბროზე მუშაობა და სწორი მიმართულებით წარემართა ის, ი. გოგებაშვილი სასაუბროს საკმაოდ ვრცლად აშუქებდა კითხვების საშუალებით. გოგებაშვილის სასაუბროთა დიდ ნაწილს ახლავს ე.წ. „საპასუხო“ ან „საპასუხო-საწერი“; ასე რომ მოსწავლეები ძალიან ვრცელ და სიღრმისეულ ინფორმაციას ღებულობენ გარესამყაროზე, მათ ირგვლივ არსებულ საგნებზე.

სასურველი იქნებოდა, ამჟამადაც ვსარგებლობდეთ სასაუბროზე მუშაობის იაკობისეული გზით, სტილითა და ხერხებით. ეს მასწავლებელს დიდ დახმარებას გაუწევდა მუშაობაში და მოსწავლეებიც მათთვის საინტერესო, მრავალფეროვანი, ვრცელი და სასარგებლო ინფორმაციით გაიმდიდრებდნენ ცოდნის მარაგს.

სასაუბროებით პირველ-მეორე კლასების მოსწავლეები ეცნობიან სკოლის ეზოს, სკოლის შენობას, სპორტდარბაზს, სასკოლო ნაკვეთს, სახმელეთო ტრანსპორტს, სადილობის პროცესში გამოყენებულ ჭურჭელს, სასადილო ოთახის ავეჯს, საერთოდ, სადილობის წესებს; სხვა სასაუბროებში მოცემულია შემოდგომის დამახასიათებელი ნიშნები; ცხენის მოვლა და მათი სადგომი; სოფლის ეზო მისთვის დამახასიათებელი მცენარეებით, ცხოველებითა და ფრინველებით; წყლის ტრანსპორტი და ა.შ.

მესამე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სასაუბრო საერთო სათაურით „მწერები“. სურათზე მოცემულია პეპელა, ბუზი, კრაზანა, ჭიანჭველა, ფუტკარი, კალია, ჭრიჭინა,

აბრეშუმის ჭია; თითოეულ მათგანზე მასწავლებელმა უნდა გამართოს საკმაოდ ვრცელი და საინტერესო საუბარი. ასევე დავასახელებთ სხვა მწერებსაც, გამოვავლენთ ფორმის მიხედვით მათ მსგავსება-განსხვავებას, სპეციფიურსა და არსებით ნიშნებს (3, გვ. 127).

მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ გამოცანები, რომლებიც საუკეთესო გონებრივი სავარჯიშოა, გარდა ამისა, ნაწარმოების დედააზრის გაგების კარგი საშუალებაც. გამოცანები ხალხის გონებამახვილობის, შორსმჭვრეტელობის ნიმუშია. გამოცანაში, როგორც წესი, მოცემულია საგნის ან მოვლენის რამოდენიმე ნიშანი, რომელთა მიხედვითაც უნდა გამოვიცნოთ ეს საგანი. ისინი არ არის იზოლირებულნი ტექსტიდან, პირიქით, ლოგიკურად უკავშირდებიან ტექსტს. რა თქმა უნდა, მხოლოდ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და ბავშვებს მივცეთ დავალება, რაც შეიძლება მეტი გამოცანა მოიფიქრონ შესასწავლი მასალის ირგვლივ (1, გვ. 148). ძლიერ შთამბეჭდავია, როდესაც მასწავლებელი რომელიმე საგნის ან მოვლენის სწავლებისას მოსწავლეებს აწვდის და ასწავლის გამოცანას მასზე.

გამოცანები ცალკე, შესასწავლი ტექსტიდან იზოლირებულად კი არ არიან წარმოდგენილნი, არამედ მათ ახლავს. მაგ., მესამე კლასის სახელმძღვანელოში მოცემულია სასაუბრო „ჭირნახული“, რომელზედაც ნახევრადგარჩეული სიმინდის ტაროცაა. ბოლოში არის გამოცანა: „ასი, ასი ასლამაზი, ასი კაბა მაცვია, აბრეშუმის ქოჩორი თავზე გადავარცხნია“. სიმინდზე საუბრისას გამოვავლენთ მის გარეგნულ ნიშნებს: ტარო შეხვეულია მრავალ ფოთოლში, წვერში კი ლამაზი, ყვითელი აბრეშუმივით ფოჩი აქვს. ბავშვებს ტაროს სურათსაც ვუჩვენებთ და შემდეგ გამოცანის გამოცნობაც აღარ გაუჭირდებათ. გამოცნობისას ვასაბუთებინებთ, თუ რა ნიშნები აძლევენ მათ საფუძველს გამოცანაში სიმინდის დანახვისა. შეიძლება შესასწავლ მასალას არ ახლდეს გამოცანა, მაგრამ ჩვენ მაინც ვუთხრათ და ვასწავლოთ მოსწავლეებს ის, თუკი ამის შესაძლებლობა გვაქვს. მაგ., სასაუბროში „გარეული ცხოველები“ სხვა ცხოველებთან ერთად კურდღელიც არის დახატული. მისი აღწერა დახასიათების შემდეგ ბავშვს ვეტყვით გამოცანას: „თვალები ფრთხილად მიჭირავს, დაცქვეტილი მაქვს ყურები, რა წამს გავიგებ მტრის მოსვლას, გავკურცხლავ, გავეშურები“. ან კიდევ - სასაუბროში "გარეული ფრინველები" კოდალაც არის. მისი აღწერა - დახასიათების შემდეგ ვიტყვით: „ტყეში არის, დღე და ღამე ხეებს უვლის, აკაკუნებს, ფუღუროში მატლს ეძებს, მავნე მწერებს ანადგურებს“ (3, გვ. 129).

ანდაზა მოკლე, მხატვრული, გონებამახვილური, დასრულებული გამონათქვამია, რომელიც დამრიგებლობითი შინაარსისაა. „თითქმის ყველა ანდაზას აქვს ორი ჰაზრი: პირდაპირი და ზნეობითი“ - წერდა ი. გოგებაშვილი. ანდაზა ხალხის სიბრძნისა და მაღალგონიერების ნიმუშია. მისთვის დამახასიათებელია ფრაზის უდიდესი ეკონომია, აზრის სიღრმე და მოქნილობა. ანდაზაში ადამიანთა დადებითი და უარყოფითი თვისებების შეფასებაა მოცემული. ამავე დროს ისინი დამრიგებლობითი და დიდაქტიკურია.

ანდაზა არის ხალხური სიბრძნის ნაყოფი, რომელსაც მიმართავს ადამიანი თავისი ცხოვრების ყველა მომენტში, სიხარული იქნება ეს თუ მწუხარება, მოწონება თუ მომხდარი ფაქტის გამო დანანება, ზიზღი თუ გაკვირვება, მოწოდება თუ ნატვრა“ (2, გვ. 147). ადამიანი ანდაზებს იყენებს დადებითი და უარყოფითი ემოციების დროს. მაგრამ ყველაზე მთავარი, განსაკუთრებით დიდაქტიკურ-მეთოდიკური თვალსაზრისით, მაინც ის არის, რომ ანდაზა აჩვევს მოსწავლეს სწორ ლიტერატურულ ენას. აზრის მოკლედ, ნათლად და გასაგებად გადმოცემას, მცირე რაოდენობის სიტყვებით გადმოცემის ხელოვნებას. ანდაზები არ განიცდის დიალექტურ ზეგავლენას. ანდაზაში ერთი კუთხური, არალიტერატურული სიტყვაც არ არის. სწორედ ამიტომ ანდაზებს თვლიან წიგნიერი ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად, მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების ხერხად, მეტყველების კულტურის ამაღლების მძლავრ საშუალებად. ანდაზები მოსწავლეთა ზეპირსა და წერით მეტყველებას მეტ მიმზიდველობას, შნოს, ლაზათს და ჯავარს ჰმატებს, გამოთქმულ აზრს მეტ დამაჯერებლობას მატებს. ანდაზა არამარტო უნდა დაისწავლოს მოსწავლემ, არამედ უნდა გაიაზროს კიდეც და საჭირო სიტუაციაში თავადაც შეძლოს მისი გამოყენება. ანდაზა უმეტეს შემთხვევაში ნაწარმოების გარჩევის დასასრულს, დასკვნის გამოტანისას აიხსნება და გაანალიზდება.

ანდაზები ხშირად დამრიგებლობითი ხასიათის ნაწარმოების შესწავლისას გამოიყენება. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება იგავ-არაკების სწავლებისას. მათი მორალი შესანიშნავად გადმოიცემა ანდაზით. მასწავლებლის დანიშნულებაა, აუხსნას ბავშვს ანდაზის აზრი, მიაჩვიოს ისინი მეტყველებაში მართებული ფორმით მათ გამოყენებას. როდესაც ვასწავლით თხზულებას ანდაზის მიხედვით, „ანდაზა, როგორც თხზულების სათაური, იწერება დაფაზე და ხდება მისი მნიშვნელობის გახსნა. თხზულების საორიენტაციო გეგმა დგება ერთობლივად და იწერება დაფაზე. მოსწავლეები წერენ თხზულებას მოცემული გეგმის მიხედვით შემდეგი პირობით: შეუძლიათ ზუსტად არ დაიცვან მოცემული გეგმა და შინაარსი განავითარონ თავისუფლად, ოღონდ სათანადო ლოგიკური თანამიმდევრობითა და შეძლებისდაგვარად ენობრივი ნორმების დაცვით (4, გვ. 215).

ანდაზა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი გამოცდილების გამოძახილია, მისი სიბრძნის ხმაა. ამ სიბრძნის წყაროს მოსწავლე თავიდანვე უნდა ეზიაროს, დასაწყისშივე უნდა იგემოს მისი მომაჯადოებელი ძალა.

ანდაზას უახლოვდება აფორიზმი, რომელსაც რიტმული წყობა აქვს და ასევე გამოხატავს ბრძნულ აზრს. ანდაზისაგან განსხვავებით, რომელსაც ხალხი ქმნის, იგი კონკრეტულ პიროვნებას - ავტორს - ეკუთვნის. აფორიზმებით მდიდარია ვაჟას, აკაკის, შემოქმედება, განსაკუთრებით კი - „ვეფხისტყაოსანი“. სასკოლო სახელმძღვანელოებში აფორიზმები ხშირად არის გამოყენებული ამა თუ იმ ნაწარმოებთან კავშირში. ნაწარმოების შესწავლის შემდეგ გაირკვევა ამ აფორიზმებს მნიშვნელობა, გაირკვევა ისიც, თუ რა ლოგიკური კავშირი აქვს ამ აფორიზმს ნაწარმოების შინაარსთან (1, გვ. 148). ყველა შესასწავლ ნაწარმოებს მასწავლებელმა შესაბამისი ანდაზა, ან აფორიზმი უნდა მიუსადაგოს. მოსწავლეები კი უნდა მიეჩვიონ დამოუკიდებლად მიაგნონ ახსნილი ნაწარმოების დედააზრს და გადმოსცენ ის აფორიზმის, ან ანდაზის საშუალებით. „ზოგჯერ გაკვეთილზე უნდა ჩავატაროთ ანდაზებით საუბარი, ანუ ანდაზების სწრაფად მოფიქრებასა და მათ დედააზრის გარკვევაში მოსწავლეთა ერთგვარი გაჯიბრება (3, გვ. 131).

ამრიგად, სასაუბროების, გამოცანებისა და ანდაზა-აფორიზმების სწავლებას მასწავლებელმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან ისინი საუკეთესო საშუალებებია მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების განვითარებისათვის.

ლიტერატურა:

1. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა I-VI კლასებში, თბ., 2013.
2. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 2004.
3. ლიპარტელიანი რ., დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები, თბ., 1999.
4. რამიშვილი ვ., ქართული ენის გრამატიკის და მართლწერის დაწყებითი კურსის სწავლებისა და მეტყველების განვითარების საკითხები, თბ., 1979.

მოსმენის უნარ-ჩვევის ფორმირება უცხოური ენის გაკვეთილზე

თამარ ლაზარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა მახვილაძე,** პროფესორი

უცხოური ენის სწავლების მიზანს დღეს კომუნიკაციური კომპეტენციის, ანუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება წარმოადგენს. უცხოურ ენაზე კომუნიკაცია ენობრივი საშუალებების (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა) ათვისების შედეგად ხდება და მიღებული უნარების განვითარების შედეგად მოსწავლეს უყალიბდება შესაბამისი უნარ-ჩვევები (შდრ. შავერდაშვილი 2014, 68). ამიტომ უცხოური ენის სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, თანამედროვე გაკვეთილი ცალკეული ენობრივი საშუალებებისა და სამეტყველო (მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის) უნარ-ჩვევების არა იზოლირებულ, არამედ ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს, რადგან კომუნიკაციაში ეს ცოდნა და უნარ-ჩვევები ერთ კომპლექსურ მთლიანობაში გამოიყენება.

ნაშრომი ეძღვნება მოსმენის სამეტყველო უნარ-ჩვევის ფორმირებას, განხილულია როგორც კომპლექსური პროცესი და მისი კავშირი სამეტყველო უნარ-ჩვევებთან. ხაზგასმულია ის კომპონენტები, რომლებიც მონაწილეობენ აღნიშნულ აქტივობაში. ნაშრომში ვეხებით მოსმენის უნარ-ჩვევაზე მუშაობის სავარჯიშოთა ტიპებს, რომლებიც დღეს გამოიყენება უცხოური ენების გაკვეთილზე.

”უნარისა” და ”უნარ-ჩვევის” დიფერენცირებისათვის გამოვიყენეთ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი განმარტებები. ”*უნარი* არის ადამიანის თანდაყოლილი (ფიზიკური და ფსიქიკური) შესაძლებლობა, პოტენციალი. [...] უნარის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიეცემა ადამიანს ამ უნარის განვითარების შესაძლებლობა”. ”უნარ-ჩვევა იგივე უნარია, რომელიც ძირითადად ნასწავლია და წვრთნის შედეგადაა განვითარებული. იგი მოიცავს ისეთი ქმედებების

განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს სასურველი შედეგის მიღწევას.” (განმარტებითი ლექსიკონი/ ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2008, იხ. წიგნში: შავერდაშვილი 2014, 67)

მოსმენის უნარ-ჩვევა ლაპარაკის, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებთან ერთად სრულფასოვანი კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბების და, ამდენად, სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. იგი გულისხმობს ენის შემსწავლელებში იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომელთა მიხედვითაც ისინი მოსმენილი ტექსტის შესასწავლ ენაზე გაგებას და ამ ტექსტებით მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებას შეძლებენ (იხ. შავერდაშვილი 2014, 88).

მოსმენა მეტყველების აუცილებელი ქმედებაა, ვინაიდან მოსმენისა და გაგების პროცესში ადამიანი აქტიურია. მოსმენა რეცეპტული სამეტყველო აქტივობაა, რომელსაც მსმენელი ახორციელებს ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავებისას.

მეორე მხრივ, მოსმენა საუბართან (ლაპარაკთან) ერთად განიხილება ზეპირ მეტყველებაში. იგი უშუალო კავშირშია ლაპარაკთან და პირდაპირი კომუნიკაციის დროს უცხოენოვანი ინტერაქციის ნაწილია (მაგ., მეორე ადამიანთან ლაპარაკი). მაგრამ, იგი შესაძლებელია იზოლირებული, დამოუკიდებელი აქტივობაც იყოს, მაგალითად, არაპირდაპირი კომუნიკაციის დროს (მედიის საშუალებით, როგორიცაა რადიო და ტელევიზია). ასევე, ზეპირი კომუნიკაცია შეიძლება იყოს სპონტანური ან არასპონტანური, ისევე როგორც ავთენტური და არაავთენტური, ეს ნიშნავს, რომ ის შეიძლება იყოს რეალური კონტექსტის ნაწილი უცხო კულტურიდან, ან შესაძლოა იყოს ხელოვნურად შექმნილი ტექსტი (Schumann 1995, 244).

მოსმენის უნარ-ჩვევებზე მუშაობისას გასათვალისწინებელია ის, თუ რა გვაინტერესებს და რა მიზნით შეგვაქვს გაკვეთილზე მოსასმენი ტექსტი. სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარე, განასხვავებენ მოსმენის სხვადასხვა სახეს. ესენია:

1. გლობალური მოსმენა (globales = kursorisches Hören) - მოსმენის ეს სახე არ ითვალისწინებს ყველა სიტყვის თუ წინადადების გაგებას, მთავარია მოსმენილიდან ძირითადი აზრის ამოცნობა;
2. სელექციური მოსმენა (selektives Hören) - გულისხმობს ტექსტიდან მოსმენილი საინტერესო ინფორმაციის ამოცნობას/ გაგებას;
3. ინტენსიური მოსმენა (intensives Hören) - გულისხმობს ტექსტის დეტალურ გაგებას. ინტენსიური მოსმენის დროს ტექსტში ყველა ინფორმაცია მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში უმჯობესია მოსწავლემ ტექსტი რამდენჯერმე მოისმინოს (Dahlhaus 1994,79).

მოსმენის უნარ-ჩვევაზე მუშაობა დიდ შრომას მოითხოვს, იგი საკმაოდ რთული პროცესია და ხუთი კომპონენტისგან შედგება. ესენია:

1. აუდიტური კომპონენტები, რომლებიც აკუსტიკური სიგნალების, ცალკეული მორფემების, ფონემების, სიტყვებისა და წინადადებების აღქმას ემსახურება;
2. სემანტიკური კომპონენტები, რომლებიც ლექსემების, სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების გაგებას ემსახურება;
3. სინტაქსური კომპონენტები, რომლებიც ტექსტში ცალკეული წინადადებების ერთმანეთთან დაკავშირებას ემსახურება;
4. პრაგმატული კომპონენტები, რომლებიც კომუნიკაციურ კონტექსტში წინადადების ფუნქციების დადგენას განსაზღვრავს;
5. კოგნიტური კომპონენტები, რომლებიც ითვალისწინებს ტექსტში მოცემული სხვადასხვა სინტაქსურ თუ ლექსიკურ განსაკუთრებულობას.

(შდრ. Dahlhaus (1998), წიგნში: შავერდაშვილი 2014, 89)

ჩამოთვლილი კომპონენტების სასწავლო პროცესში ”გონივრულად” შეტანის საფუძველზე მოსწავლე შეძლებს:

- პირდაპირ კომუნიკაციაში მონაწილეობას , რაც ითვალისწინებს ნათქვამის გაგებას და მასზე შესაბამის რეაგირებას;
- არაპირდაპირ კომუნიკაციაში მონაწილეობას, რაც გულისხმობს მოხსენების ან მედიების მოსმენა / გაგებას და სხვ.

ტექსტის აღქმა-გაგებაში დიდ როლს ასრულებს მეტყველების ტემპი. როგორც სწრაფი, ასევე ნელი ტემპი აძნელებს აზრის გამოტანას. ნელი ტემპის დროს ენის შემსწავლელს უჭირს მოსმენილიდან აზრის გამოტანა, რადგან შენელებული ტემპი ხელს უშლის შინაარსის თავმოყრას. ხოლო სწრაფი მეტყველების დროს შეიძლება ენის შემსწავლელს გამორჩეს ინფორმაციის ნაწილი და ამდენად, ხელი შეეშალოს მოსმენილიდან აზრის გამოტანაში, ამიტომ ტემპის შერჩევა უნდა მოხდეს ენის შემსწავლელის შესაძლებლობიდან და ტექსტის ტიპიდან გამომდინარე (მაგ., ტექსტი ავთენტურია თუ არაავთენტური). სწავლების დაწყებით ეტაპზე უმჯობესია მეტყველების ტემპი სეგმენტებს შორის პაუზების გადიდების

ხარჯზე მიმდინარეობდეს, რადგან ამ პაუზებს შორის მოსწავლეს საშუალება ჰქონდეს მოსმენილი გაიმეოროს შინაგან მეტყველებაში და თავი მოუყაროს აზრს.

რაც შეეხება მოსასმენი მასალის ჟღერადობის ხანგრძლივობას, იგი ორ წუთს არ უნდა აღემატებოდეს, განსაკუთრებით დაბალ კლასებში, რადგან მოსმენის დროს დაძაბულად მოქმედებს მეხსიერება და ყურადღება.

მოსმენაზე მუშაობისას გამოყენებულ სავარჯიშოთა ტიპოლოგია მრავალფეროვანია და მათი უმეტესობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ავთენტურ, ისე არაავთენტურ ტექსტებზე მუშაობისას.

ა) აუდიტური კომპონენტების სავარჯიშოთა ტიპებია:

- ალტერნატიული პასუხები; გამოტოვებულ ადგილებში სიტყვების ჩასმა (Alternativantworten; Lückenaufgaben)
- სავარაუდო პასუხი (Alternativantworten)
- მრავალი პასუხიდან სწორის ამორჩევა, დაჯგუფება და სხვ.

ბ) სემანტიკური კომპონენტების სავარჯიშოთა ტიპებია:

- მრავალი პასუხიდან სწორის ამორჩევა; კითხვა-პასუხი (Alternativantworten)
- დაჯგუფება სურათსა და ტექსტს შორის (მაგ., პერსონაჟთა შორის განსხვავებების ამოცნობა)
- გამოტოვებულ ადგილებში სიტყვების ჩასმა (Lückenaufgaben) (მაგ., ზმნა/არსებითი სახელი - დაკავშირება)
- სავარაუდო პასუხები (Alternativantworten)

გ) ტექსტზე სამუშაო (სინტაქსური კომპონენტი) სავარჯიშოთა ტიპებია:

- დასაჯგუფებელი სავარჯიშოები (მაგ., სურათების მისადაგება წინადადებებთან)
- გამოტოვებულ ადგილებში სიტყვების ჩასმა (Lückenaufgaben) (მაგ., ზმნა/არსებითი სახელი - დაკავშირება)
- სელექციური სავარჯიშო (საკვანძო წინადადებების გამოყოფა)

დ) პრაგმატული კომპონენტის სავარჯიშოთა ტიპებია:

- მრავალი პასუხიდან სწორის ამორჩევა: სელექციური სავარჯიშო
- გამოტოვებულ ადგილას სიტყვების ჩასმა (Lückenaufgaben)

ე) კოგნოტური კომპონენტის სავარჯიშოთა ტიპებია:

- ტრანსკრიფციაზე სამუშაო სავარჯიშო
- გამოტოვებულ ადგილას სიტყვების ჩასმა (Lückenaufgaben) (სიტუაციისა და ინტენციის მიხედვით) (იხ. ვრცლად: შავერდაშვილი 2014, 91-93).

ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ მოსმენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეტყველო აქტივობაა, რომელიც დიდ შრომას მოითხოვს როგორც პედაგოგებისგან, ასევე მოსწავლეებისაგან.

მოსმენაზე ვარჯიშისას სწორად შერჩეულ ტექსტებთან და სავარჯიშოებთან ერთად აუცილებელია სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზება, რაც, პირველ რიგში, მისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას ითვალისწინებს. ნებისმიერ მოსასმენ ტექსტზე მუშაობა ჩანაწერის მოსმენის გარეშე არაეფექტურ შედეგს იძლევა.

მოსწავლის მიერ უცხოური ენის სრულყოფილად დაუფლებაზე კი მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, თუ ის სრულყოფილად ფლობს ოთხივე სამეტყველო უნარ - ჩვევას და მიღებული ცოდნის ნებისმიერ სიტუაციაში ადეკვატურად გამოყენება შეუძლია. როდესაც ოთხივე სამეტყველო უნარ-ჩვევის დაუფლება ერთდროულად მიმდინარეობს, ენის შემსწავლელი უკეთ ეუფლება ნებისმიერ მათგანს, ვიდრე ცალ-ცალკე, თუნდაც ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად.

ლიტერატურა:

1. გიორგობიანი ლ., კახიშვილი ლ., მაცხონაშვილი გ., ქვლივიძე რ., უცხოური ენების სწავლების თეორია და მეთოდიკა, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი, 2004.
2. შავერდაშვილი ე., ფიცხელაური ნ., რამიშვილი ფ., გვასალია მ., უცხოური ენების სწავლების საფუძვლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014.
3. Dahlhaus, B.: Fertigkeit Hören. Fernstudieneinheit 5, Fernstudienprojekt zur Fort– undWeiterbildung im Bereich Germanistik und Deutsch als Fremdsprache. Langescheidt, Berlin, München, ... 1994.
4. Schumann, A. Übungen zum Hörverstehen. In: Bausch, K.-R./Christ, H./ Krumm, H.-J.(Hrsg.): Handbuch Fremdsprachenunterricht. 3., überarb. u. erw. Aufl. Franke Verlag, Tübingen und Basel 1995.

მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები

ნინო მარნაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

ყველანაირი შემოქმედებითი პროცესი ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს. მით უფრო, ისეთი ურთულესი პროცესი, როგორიცაა სწავლება. სწავლების პროცესის წარმმართველ ფიგურას, ცხადია პედაგოგი წარმოადგენს. პედაგოგი თავისი აქტივობის მიზნად ისახავს პიროვნების ჩამოყალიბებასა და გარდაქმნას, მოწოდებულია მართოს მისი ინტელექტუალური, ემოციური თუ ფიზიკური განვითარება, ჩამოაყალიბოს მისი სულიერი სამყარო.

დღეს სკოლას ესაჭიროება ისეთი მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია ფართო ხედვა, აზროვნებისა და აქტივობის ხერხების შერჩევის უნარი, შეუძლია ბავშვის ნდობის მოპოვება და მათთან თანამშრომლობა. საგნობრივი ცოდნა და სწავლების მეთოდიკაში დახელოვნება კი მასწავლებლისათვის აუცილებელი პროფესიული მოთხოვნაა. საკითხი, რომელზეც უნდა ვისაუბროთ, ვფიქრობ, ერთობ აქტუალურია, ვინაიდან თანამედროვე სწავლება ორიენტირებულია მოსწავლეზე. სწავლების პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას მოსწავლეებში სწორედ სწავლის სურვილის გაღვივება, მათი მოტივაციის ამაღლება წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში კი, სწავლისადმი მოტივაციის განვითარება კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. დღეს თანამედროვე ტექნოლოგიები ბავშვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, ბევრი მათგანი მათ გამოყენებას სასწავლო პროცესში მოელის, ამიტომ ტრადიციული გაკვეთილები, მოსაწყენად ეჩვენებათ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლისადმი მათ მოტივაციას.

არსებობს მოტივაციის ორი ფორმა: **შინაგანი** და **გარეგანი.**

რ. ტყემალაძე აღნიშნავდა, რომ, **შინაგანი** მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებისაკენ სწრაფვა, რომელიც განპირობებულია პიროვნული ფაქტორით, შინაგანი ინტერესით (მაგ.: ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების თუ რაღაცის აღმოჩენის სურვილით). [1; 4] **გარეგანი** მოტივაცია კი არის კონკრეტული ქმედებისაკენ სწრაფვა, როცა ადამიანის ქცევა განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით, როგორიცაა: მასწავლებლის ან მშობლის მიერ შექება, წახალისება და სხვა.

რ. ტყემალაძე მიიჩნევს, რომ I-III კლასებში მოსწავლეთა დიდი ნაწილი შინაგანად არის მოტივირებული, [1; 5] მესამე კლასიდან კი შინაგანი ინტერესი მნიშვნელოვნად კლებულობს და მოსწავლეები უფრო დიდ ანგარიშს უწევენ გარე ფაქტორებს. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, გარე ფაქტორებიც უძლურია, რადგან მასალა რთულდება, მოსწავლეებისათვის უფრო მოსაწყენი ხდება საგაკვეთილო პროცესი და მოსწავლე კარგავს სასწავლო მოტივაციას. სწორედ აქ იკვეთება მასწავლებლის განსაკუთრებული როლი, იზრუნოს მოსწავლეებში როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე.

შინაგანი და **გარეგანი** მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ:

შინაგანი მოტივაცია	**გარეგანი მოტივაცია**
• დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა. • გარკვეულ შემთხვევებში მათთვის არჩევანის უფლების მინიჭება. • საკუთარი აზრის, თუნდაც საწინააღმდეგო მოსაზრების, თამამად გამოხატვის შესაძლებლობა. • თამაშის ტიპის სახალისო აქტივობების ჩართვა სასწავლო პროცესში.	• გარკვეული ჯილდოს, საჩუქრის შეთავაზება კარგი ან გაუმჯობესებული შედეგებისათვის (მაგ., ყველაზე მაღალი ნიშანი ან კონკრეტული ტესტიდან გათავისუფლება და ა.შ). • წერილობითი ან სიტყვიერი შექება, რომელიც არ არის ზოგადი (მაგ., არა უბრალოდ „კარგი გოგო ხარ“), არამედ უფრო კონკრეტული („ყოჩაღ შენ ეს პერსონაჟი ზუსტად დააკავშირე მის რეალურ პროტოტიპთან). • შეჯიბრის მოწყობა (კლასში, პარალელურ ჯგუფში ან სხვა სკოლების მოსწავლეებთან).

პედაგოგმა მოტივაციის ორივე ფორმას უნდა მიმართოს. [1; 8] აქ მოსწავლის ხასიათი, მისი ბუნება და ასაკი გადამწყვეტ როლს თამაშობს. ზოგს გარეგანი მოტივაციის ფორმები უფრო მეტი ენთუზიაზმით აღავსებს, ვიდრე შინაგანი. ამიტომაც, როგორც წესი, სწორედ მათი შეზავებითა და ვარირებით მიიღწევა სასურველი, მაქსიმალური შედეგი.

თუ გავითვალისწინებთ სასწავლო მოტივაციის ასაკობრივ დაქვეითებას გარდამავალ პერიოდში, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება იმის განსაზღვრა, რით შეიძლება მოსწავლის მოტივირება, მასზე ზემოქმედება, როგორ უნდა ააგოს მასწავლებელმა სწავლების პროგრამა, რომ გადალახოს აკადემიური მოსწრების ტრადიციული დაქვეითება მე-6, მე-8 კლასებში. [5;1]

იმისათვის, რომ მოსწავლეებს სწავლის მოტივები ჩამოუყალიბოს, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ახალი მოტივებისა და მოთხოვნილებების განვითარების მექანიზმი: ის უნდა დაეყრდნოს არსებულ მოთხოვნილებებს, ისეთებს, როგორიცაა აქტიური საქმიანობის, ემოციური დაკმაყოფილების და სხვა. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს, რომ ამ მოქმედებებმა მოსწავლეებში გამოიწვიოს დადებითი ემოციური განცდები, დააკმაყოფილოს მათი ინტერესები, ჩაუნერგოს პრობლემათა გადალახვის შესაძლებლობისა და უნარიანობის რწმენა, საკუთარი წარმატების გამო სიამაყე და სიხარული. ამისათვის კი მასწავლებლები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. მოსწავლეთა სასწავლო აქტივობის ამაღლება შეიძლება შემდეგი ხერხებით:

• **სასწავლო პროცესის გამდიდრებით**, ამის მიღწევა შეიძლება დამატებითი, კლასგარეშე აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალებით და ახალი სწავლების მეთოდების/ სტრატეგიების გამოყენებით. ძალიან ხშირად პედაგოგები „ეჯაჭვებიან" სწავლების რომელიმე კონკრეტულ, მათთვის ყველაზე კომფორტულ სტრატეგიას/ მეთოდს ან მასალის კონკრეტულ წყაროს. ასეთი „მიჯაჭვულობა" მეტად კომფორტულია მასწავლებლისათვის, თუმცა, ხშირად მეტად მოსაბეზრებელია მოსწავლეებისათვის. მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა გაამრავალფეროვნოს თავისი პრაქტიკა, რათა სასწავლო პროცესი სახალისო და საინტერესო იყოს თითოეული მოსწავლისათვის.

• **ემოციური ფონით.** შ. მალაზონია აღნიშნავდა, რომ „მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით შეიძლება ემოციური ფონი შევუქმნათ სასწავლო პროცესს." [2; 221] ემოცია ხომ ყურადღების ცნობილი ფაქტორია, რომელიც ძალდაუტანებლად, „უნებლიედ" ახდენს მოსწავლეთა ძალების მობილიზებას. ემოციური ფონის შექმნა შეიძლება შესასწავლ თემასთან დაკავშირებული ფილმის ფრაგმენტებისა და ფერწერულ ნაწარმოებთა ჩვენებით, ცდის ჩატარებით და სხვა. აუცილებელია, რომ სათხრობი ეპიზოდი თუ სხვა მასალა, რომელსაც ემოციური ფონის შესაქმნელად იყენებს მასწავლებელი, გარკვეულ კავშირში იყოს ასახსნელ საკითხთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანი არ მიიღწევა".

• **განსხვავებული სირთულის დავალებების გამოყენებით.** როცა ერთსა და იმავე საკითხზე/ თემაზე განსხვავებული სირთულის ამოცანები, დავალებები და აქტივობებია მოფიქრებული. ეს შესაძლებლობას იძლევა, მოსწავლეთა შესაძლებლობების და შესაფერისი დავალებების მიცემის გზით, გავზარდოთ მათი მოტივაცია.

• **„უნიშნო" დავალებების მიცემით.** ამგვარ დავალებებში მოსწავლეთა ყურადღება საბოლოო შედეგიდან უფრო პროცესზე გადადის, მათთვის მნიშვნელოვანი ხდება არა იმდენად ნიშანი, არამედ პროგრესი და აქტიურობა.

• **შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობის მიცემით.** შეცდომები, როგორც სწავლის საუკეთესო საშუალებაა. მნიშვნელოვანია კლასში ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებზე ნეგატიური შეფასების კრიტიკის ან შეცდომის დაშვების შიში არ ექნებათ. გ. კოდუა აღნიშნავდა, რომ „დაშვებული შეცდომა და სწორი პასუხის აღმოჩენის სურვილი მოსწავლისათვის ხშირად ახალი ცოდნის მიღების, საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების ბიძგი ხდება." [3; 60] ზოგიერთი პედაგოგის აზრით, ეფექტურია მოსწავლეებისათვის საკუთარ ნაშრომში შეცდომების გასწორების შესაძლებლობის მიცემა, ვიდრე ამ შეცდომების წითელი კალმით მონიშვნა და შეფასების დაწერა.

• **ტესტირებისას სხვადასხვა ტიპის შეკითხვების გამოყენებით.** ზოგიერთ მოსწავლეს წერის კარგი უნარი აქვს, ღია კითხვებს ადვილად სცემს პასუხს, ზოგს კი დახურული კითხვები მოსწონს. მასწავლებელმა უნდა შექმნას ცოდნისა და შესაძლებლობების გამოვლინებისათვის პირობები, რათა ინდივიდუალურმა თვისებებმა არ მოახდინონ ნეგატიური ზეგავლენა მოსწავლეთა ტესტირების შედეგებზე. კარგი იქნება, თუ დაცული იქნება ბალანსი ღია და დახურულ კითხვებს შორის.

გარდა ამ ხერხებისა საჭიროა მასწავლებელმა იცოდეს აგრეთვე ის ძირითადი **მოტივები**, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების სწავლით დაინტერესებას. **ეს მოტივებია:**

ურთიერთობის მოტივი. იგი გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის თანატოლებთან ურთიერთობის მოტივაცია. [5; 3] მოსწავლეები, ვისთანაც ეს მოტივი დომინირებს, სწავლის პროცესში დაინტერესებულები არიან ისეთი საქმიანობით, რომლებიც კომუნიკაციის

შესაძლებლობას იძლევა, ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ ტიპის ბავშვებისათვის ისეთ დავალებებს გამოვიყენებთ, რომლებიც მათგან ჯგუფებად და წყვილებად მუშაობას მოითხოვს.

არასასწავლო სასკოლო მოტივაცია. იგი გვიჩვენებს მოსწავლეთა დაინტერესებას პირველ რიგში არასაგაკვეთილო საქმიანობით (კონცერტებით, გამოფენებით, ზეიმებით და ა.შ) და არა, უშუალოდ, გაკვეთილით. [5; 3] კარგი იქნება თუ ასეთი მოსწავლეებისათვის განათლებისა და სწავლის პრესტიჟულობის ამაღლების მიზნით სკოლაში ხშირად გაიმართება ისეთი ღონისძიებები (ვიქტორინები, კონკურსები და სხვა), სადაც მათ თავიანთი ცოდნისა და განათლების დემონსტრირების საშუალება მიეცემათ. თუ ასეთ ღონისძიებებსა და კონკურსებში გამარჯვება მათთვის სასურველი ჯილდოთი (ექსკურსიით, ლაშქრობით) აღინიშნება, მათ უფრო მაღალი მოტივაცია ექნებათ მასში მონაწილეობისათვის, ცოდნის გამომჟღავნებისა და გამარჯვებისათვის. ამასთან ერთად, აღნიშნული ღონისძიებები ისე უნდა, დაიგეგმოს, რომ ის სასწავლო პროცესის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენდეს.

უდიდესი გავლენა აქვს **სასწავლო გარემოს** რამდენიმე კომპონენტს მოსწავლეთა მოტივაციაზე. ეს კომპონენტებია: **სასწავლო აქტივობები, მოსწავლეთა შეფასება-წახალისება.**

ყოველი კონკრეტული სასწავლო აქტივობა მოსწავლისათვის საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების ერთგვარი საზომია. თუ მოსწავლე აქტივობას რთულად, დაუძლევლად მიიჩნევს, მაშინ ალბათობა დიდია იმისა, რომ მან დაკარგოს რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში და ინდიფერენტული გახდეს სწავლის მიმართ. შეიძლება მოტივაცია დაკარგონ იმ შემთხვევაში, როცა აქტივობა მარტივია, არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას, უინტერესოა. ორივე შემთხვევა ნეგატიურად აისახება სასწავლო პროცესში მის ჩართულობაზე.

როგორი უნდა იყოს დავალება, რომ მოსწავლე სიამოვნებით ერთვებოდეს მის შესრულებაში? ა. მარტინი აღნიშნავდა, რომ ,,დავალება მოსწავლისათვის საინტერესო და მოტივაციის აღმძვრელია, თუ ის არის: 1. ორიგინალური და შემოქმედებითი; 2. მრავალფეროვანი, რაც უფრო განსხვავებულია ესა თუ ის აქტივობა მოსწავლისათვის უკვე კარგად ნაცნობისაგან, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ იგი ინტერესით ჩაერთოს მის ჩართულობაში“ [3; 14].

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის შეფასების პოლიტიკას და იმას, თუ რას მიიჩნევენ ბავშვები შეფასების დანიშნულებად. ჰ. ანდერმანი აღნიშნავს, რომ „შეფასების გამოყენება მოსწავლეთა ურთიერთ შედარებისათვის (ყველაზე წარმატებული მოსწავლის საჯაროდ გამოყოფა, საკლასო რეიტინგების შედგენა და ა.შ.) ნეგატიურად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე, მათ თვითშეფასებასა და ჩართულობაზე სასწავლო პროცესში'' [4; 35], მაგალითად: თუ მოსწავლე რეიტინგის ბოლო ადგილზე მოხვდა, იგი დაკარგავს არა მხოლოდ ინტერესს სწავლის მიმართ, არამედ საკუთარი შესაძლებლობის რწმენასაც.

შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია წახალისების პოლიტიკის საკითხის განხილვაც, მცირე წარმატებები შეიძლება გახდეს უფრო დიდი წარმატებების მიღწევის სტიმული. მარტივი მიზნების მიღწევა პროგრესის მიღწევის განცდას უჩენს მოსწავლეს. მცირე და მარტივი ქვემიზნების მიღწევის პირობებში იზრდება მოსწავლის დაინტერესება და მოტივაცია, დაძლიოს უფრო დიდი და რთული მიზნები.

მოტივაციის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს **თამაშებიც.**

სასკოლო თამაშები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გააქტიურებას. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ადრე შეძენილი ცოდნის შესამოწმებლად და განსამტკიცებლად, ისე მის გასაფართოებლად. დიდაქტიკური თამაშის მიზანია განუვითაროს მოსწავლეებს შემეცნებითი პროცესები (აღქმა, ყურადღება, მახსოვრობა, დაკვირვება, გამჭრიახობა და სხვა) და გაუმყაროს გაკვეთილზე მიღებული ცოდნა. [5;1] თითოეული დიდაქტიკური თამაშისათვის, ერთი მხრივ, დამახასიათებელია ამა თუ იმ დიდაქტიკური ამოცანის გადაჭრა, საგნისა და მისი თვისების მთლიანად წარმოდგენა და ა.შ. (ამის კვალობაზე თამაშს აქვს სასწავლო ხასიათი), მეორე მხრივ კი თამაშის მიზანია მოსწავლემ ყურადღება მის ელემენტებზე გადაიტანოს და ხალისით შეასრულოს ამოცანა.

ამრიგად, დიდაქტიკური თამაშები მოსწავლეებისათვის მხოლოდ გასართობი კი არ არის, არამედ საინტერესო და უჩვეულო საქმიანობაა, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მათ აქტიურობას.

უნდა გვახსოვდეს თამაშის აუცილებელი მოთხოვნებიც:

- თამაში უნდა ემყარებოდეს მოსწავლეთა თავისუფალ შემოქმედებითობას.
- თამაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მიზანი – მიღწევადი, გაფორმება – სახალისო.
- თამაშმა უნდა გამოიწვიოს ხალისიანი განწყობა, სიამოვნება, სიხარული.

მაინც როგორი უნდა იყოს გაკვეთილი, რა აქტივობები უნდა ჩატარდეს, რომ მოსწავლეები დააინტერესოს და მასწავლებელს დასახული ამოცანის გადაჭრა შეაძლებინოს? ამის უკეთ გასარკვევად ხაშურის რაიონის სოფელ ბეკამის საჯარო სკოლაში არასასწავლო (კლასგარეშე) პერიოდში ჩავატარე

დაკვირვება IV, IX და X კლასებში. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დაწყებით კლასებში **დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, ქრონოლოგიური ჯაჭვისა** და სხვა აქტივობების გამოყენება ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

თავდაპირველად მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირდა აზრის თავისუფლად გადმოცემა, მსჯელობა და ანალიზი, ვინაიდან ტრადიციული თხრობის მეთოდი, რომელსაც პედაგოგთა ნაწილი დღესაც იყენებს, აკომპლექსებს მოსწავლეებს. ისინი ვერ ახდენენ მოსაზრების სწორად გადმოცემას და უჭირთ აუდიტორიასთან ურთიერთობა. **დისკუსიის** მეშვეობით კი მოსწავლეები თანდათანობით შეეჩვივნენ საკუთარი მოსაზრების თავისუფლად გადმოცემას.

მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა უფრო ადვილად გაართვა თავი მუშაობას მეთოდით, **„ქრონოლოგიური ჯაჭვი“,** ვინაიდან აქ ძევს მათთვის ცნობილი ე.წ. „მოყოლის'' ელემენტები. მოსწავლე იწყებდა მოცემულ თემაზე მსჯელობას და მოულოდნელად აგრძელებდა მეორე, ისე რომ არ გაწყვეტილიყო „ქრონოლოგიური ჯაჭვი''. შედეგად ეს მეთოდი ხელს უწყობს, თემის კარგად დამუშავებას და ყურადღების კონცენტრირებას.

მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა დადებითად შეაფასა **„ჯგუფური მუშაობა".** მათზე დადებითად იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ „ჯგუფური მუშაობა'' ითხოვდა თანამშრომლობას, ამან კი განავითარა მათი უნარი ამ მიმართულებით. ისინი პატივისცემით ეკიდებოდნენ ერთმანეთს, თანდათანობით განუვითარდათ მსჯელობისა და არგუმენტირების უნარი.

აღნიშნული აქტივობები განხილული იქნა დაწყებითი კლასების მაგალითზე. მაღალ კლასებში კი ნაკლებად არის დაინტერესება შემეცნებითი სქემებისა და ,,ქრონოლოგიური ჯაჭვის'' მიმართ. სწორედ ამიტომ მაღალი კლასის მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების მიზნით მასწავლებლებთან ერთად ჩავატარე ღონისძიება **რა? სად? როდის?** (ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო საგნებში). თითოეულ ჯგუფს ჰქონდა თავისი ნომერი, სახელი და ჰყავდათ გუნდის კაპიტნები. გამარჯვებულ გუნდს გადავეცით თასი, ხოლო სერტიფიკატები – კლასის ყველა მოსწავლეს. წახალისების ამ ფორმამ დადებითად იმოქმედა მოსწავლეების შინაგან მოტივაციაზე.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს გამართული **საკლასო გარემოც.** მართალია სკოლას ხშირ შემთხვევაში არ აქვს იმის რესურსი, რომ ყველა საკლასო ოთახში შეცვალოს ინვენტარი, მაგრამ, თუ გვინდა ჩატარდეს სრულყოფილი, თანამედროვე გაკვეთილი, აუცილებლობას წარმოადგენს ტექნიკის განთავსება თითოეულ საკლასო ოთახში. ამით მოსწავლეები შეძლებენ გამოიყენონ საპრეზენტაციო პროგრამა power point-ი. მესმის, რომ ეს დროის საკითხია, მაგრამ აუცილებელია ამ მიმართულებით ჩაიდოს ინვესტიცია.

მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, რაც ყველაზე მთავარია, ხელს უწყობს მასწავლებლისა და მოსწავლის ღია, მეგობრული და თანამშრომლობითი დამოკიდებულებები. ჯანსაღი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად კი მიმაჩნია კლასის მართვის დემოკრატიული სტილი. ვინაიდან ის გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ თანამონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ შეიძლება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება, ასევე სასწავლო აქტივობის ამაღლების ზოგიერთი ხერხი, რომელიც ეხმარება მასწავლებელს სწავლების პროცესის უკეთ წარმართვაში, მოსწავლეთა ჩართულობაში, მათი აზროვნების განვითარებაში და, რაც მთავარია, როგორ გამოიყენონ ცოდნა ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

1. ტყემალაძე რ., დალაქიშვილი ნ., თოფაძე ქ., პაჭკორია თ., ბუწაშვილი თ., „სწავლება და შეფასება'', 2011.
2. მალაზონია შ., „პედაგოგიკა“, თბ., 2001.
3. Martin., A. & Dawson, M (2009), Interpersonal relationships, motivation, engagement and achievement: yields for theory, current issues and educational practice, 2010.
4. Anderman., H., L. & Midgley, Motivation and Middle School students, ERIC Digest, Retrived on December 1, 2010.

ინტერნეტ- რესურსები:

1. maswavlebeli.ge/?action =page&p_id=7&npid=1&id=114
2. maswavlebeli.ge/uplouds/resursebi/nozadze.ge.pdf3.maswavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=298

МЕЖКУЛЬТУРНАЯ КОММУНИКАЦИЯ КАК ОСНОВА ОБУЧЕНИЯ РУССКОМУ ЯЗЫКУ

Нино Маркарова
ст. 1 к. спец. образование преподавателей
фак. образования и естественных наук
научн. рук. докт. проф **Н. Хинчагашвили**

В условиях глобализации для успешного существования и деятельности необходимо не только знание иностранных языков, но и культурных особенностей представителей той или иной страны. Сегодня возникла реальная потребность в специалистах, владеющих русским языком, способных к осуществлению русскоязычного межкультурного и межличностного общения как в профессиональной, так и непрофессиональной сферах деятельности.

Именно потребностями общества в специалисте особого профиля со сформированными умениями межкультурного, профессионального и личного общения с иностранными коллегами, с представителями стран с иными социальными традициями, общественным устройством и языковой культурой, потребностью установления международного информационного обмена, а также недостаточной разработанностью проблемы в теории и практике обусловлена актуальность данной проблемы.

Обеспечение культурной самореализации личности требует от учебного заведения включения культурологических аспектов как в содержание обучения, так и в содержание воспитательного процесса.

Особую роль в процессе адаптации личности к социокультурному многообразию мира играют иностранные языки. Освоение иноязычной культуры предполагает приобретение знаний о различных областях жизни страны изучаемого языка, воспитание заинтересованного и толерантного отношения к стране и ее народу, развитие умений межкультурного общения и формирование мотивации к дальнейшему овладению языком.

Приобщение учащихся к культуре представителей изучаемого языка позволяет лучше понять их литературу, быт, а также вызывает у обучаемых интерес к истокам своей культуры, учит толерантности. Это значит, что кроме дидактических целей оно выполняет и воспитательную функцию. Кроме того, обучение через познание культуры другого народа дает возможность ощущения чувства причастности к мировому культурному наследию.

Обучение русскому языку в современном обществе выходит за рамки процесса формирования умения понять собеседника, говорящего на русском языке, выразить свои мысли, а также извлечь информацию из прочитанного текста. Обучение русскому языку следует рассматривать, прежде всего, как обучение средству межнационального и межкультурного общения с целью реализации коммуникативных и познавательных потребностей специалиста. Понятие «обучение языкам» постепенно вытесняется понятием «обучение языку и иноязычной культуре».

Культурологический подход к языковому образованию заключается в тесной взаимосвязи коммуникативно-ориентированного обучения иностранному языку с интенсивным использованием его как инструмента познания мировой культуры, национальных культур народов стран изучаемых языков и их отражения в образе и стиле жизни людей, духовного наследия народов и способа достижения межкультурного понимания.

Межкультурная коммуникация играет немаловажную роль в процессе обучения русскому языку. Чтобы она состоялась, следует не только хорошо владеть русским языком, но и правильно понимать национальную культуру страны изучаемого языка, менталитет носителей этого языка, особенности их повседневной жизни, традиции, обычаи как в вербальном, так и в невербальном плане. Обычаи, традиции - это неотъемлемая часть духовной культуры каждого народа. Как промежуточное звено они находят свое выражение в акте коммуникации в речевых интенциях, например, в поздравлениях или в невербальных средствах, выражающих традиционные нормы поведения в определенной ситуации.

Коммуникация предполагает наличие умения общаться (умения слушать собеседника, вступать в общение, поддерживать его и т.д.). Процесс формирования данного умения при обучении учащихся русскому языку по основным параметрам адекватен реальному процессу коммуникации благодаря взаимодействию двух явлений: переноса, который обеспечивается осознанием адекватности условий обучения, и мотивации, которая обеспечивается тем, насколько полно моделируется в процессе обучения характер общения.

В связи с этим необходимо стимулировать учащихся к тому, чтобы они хотели поделиться с товарищами по группе своими знаниями, собственной жизненной позицией, своим отношением к явлениям действительности или поведению людей.

Коммуникативно-ориентированное обучение предусматривает творческое применение языкового материала в профессионально направленных ситуациях, диалогах, дискуссиях, ролевых и деловых играх, дебатах, проектах и т.п. Его эффективность, помимо знания языка, зависит от множества факторов: условий и культуры общения, правил этикета, знания невербальных форм выражения (мимики, жестов), наличия глубоких фоновых знаний, учета особенностей менталитета носителей языка и многого другого.

На занятиях по русскому языку условия коммуникации создаются при помощи коллективной, парной и групповой форм общения, поскольку они способствуют взаимодействию между студентами, опосредованному учебной задачей, их совместной согласованной деятельностью. Данные формы общения позволяют научиться аргументированно излагать свою точку зрения, цивилизованно вести беседу, принимать участие в диспутах; воспитывают в духе толерантности, то есть формируют умение воспринимать противоположную точку зрения, находить компромиссы, уважать свои традиции; прививают интерес и уважение к культуре, истории другой страны.

Каждое занятие по русскому языку – это перекресток культур, практика межкультурной коммуникации. Русский язык, которым овладевают учащиеся, не только знакомит с культурой стран изучаемого языка, но и путем сравнения оттеняет особенности своей национальной культуры, знакомит с общечеловеческими ценностями, поэтому формирование навыков межкультурной компетенции у студентов должно проходить на всех стадиях обучения русскому языку и во всех сферах общения. Организация процесса обучения согласно требованиям коммуникативности будет способствовать тому, что на занятиях важным станут не только языковые знания, но и осознанная необходимость применения их на практике. В этой связи полагаем, что формирование умений межкультурного общения в процессе обучения русскому языку будет эффективным, если содержание профессиональных образовательных программ будет предусматривать изучение реальных ситуаций межкультурного общения, ориентированных на коммуникативную направленность обучения русскому языку, имеющих личностную значимость для учащихся.

Реализация процесса межкультурного воспитания и формирования межкультурной компетенции требует учета положений культурологического, гуманистического, коммуникативно-деятельностного подходов к образованию и ориентации на общепедагогические принципы - культурно-ориентированный принцип, предполагающий обучение русскому языку в контексте диалога культур и цивилизаций, личностно-ориентированный, деятельностно-ориентированный, принцип природосообразности. Кроме того, необходим учет профессионально ориентированных интересов и потребностей обучаемых в межкультурном общении.

В связи с этим, современные принципы обучения русскому языку выглядят следующим образом:

- обучение русскому языку в контексте диалога культур и цивилизаций;
- русскоязычное коммуникативное развитие учащихся в единстве с их когнитивным и эмоционально-эстетическим развитием;
- опора на функционально-адекватные русскоязычные аутентичные материалы;
- взаимосвязанное обучение основным видам речевой деятельности;
- учет возрастных интересов и профессионально ориентированных потребностей обучаемых в межкультурном общении;
- интенсификация учебного русскоязычного общения;
- обеспечение дидактических условий для самообразования при изучении русского языка.

В связи с необходимостью построения дидактической структуры процесса межкультурного образования нами выделены следующие частно-методические принципы обучения русскому языку на основе диалога родной и иноязычной культуры:

- принцип личностно-ориентированного обучения и общения в условиях группового взаимодействия (гуманизация отношений между субъектами образовательного пространства, интеграция групповых форм и личностно-ориентированных методов обучения, направленных на формирование умений межличностного взаимодействия в учебном диалоге);
- принцип интеграции в обучении (взаимодействие и взаимопроникновение культур и систем родного и русского языков с целью создания условий для речевого развития, интеграция изучаемых дисциплин, дополнительного образования и личного опыта обучаемых для установления связи между житейскими знаниями и аудиторной работой и удовлетворением познавательных интересов в любой из сфер деятельности);
- принцип развития речемыслительной активности и самостоятельности студентов в овладении русскоязычной культурой на основе ситуаций как системы взаимоотношений (обучение русскому языку параллельно с формированием мыслительных процессов в условиях интегративной динамической системы социально-статусных, ролевых, деятельностных и нравственных взаимоотношений);
- принцип взаимосвязи формирования межкультурной компетенции и совершенствования творческих способностей учащихся (их интеллектуального и русскоязычного речевого развития в процессе формирования способности к осознанному творческому освоению окружающего мира).

Основная цель языкового образования– профессионально направленное личностное совершенствование обучающихся – требует решения следующих задач в контексте их межкультурного воспитания:

1) развитие и совершенствование коммуникативных навыков и умений в групповом взаимодействии и развитие релевантных личностных качеств (эмоциональных, творческих, социальных, когнитивных и речевых);

2) формирование соответствующего коммуникативного уровня на русском языке;

3) формирование культурной идентификации (осознание себя как носителя определенной национальной культуры в контексте межкультурного образования);

4) формирование толерантного сознания (отказ от эго- и этноцентричной позиции при столкновении с различиями как на межличностном, так и на межкультурном уровне, воспитание личности, способной к восприятию различных культур на основе равноправных, равноценных конструктивных отношений).

5) познание русскоязычной культуры и корреспондирующих элементов родной культуры, усвоение общечеловеческих ценностей;

6) формирование положительного восприятия и отношения к культуре страны изучаемого языка и ее народу;

7) формирование интереса и мотивации к дальнейшему изучению русского языка и самостоятельному овладению русскоязычной профессиональной культурой.

Достижение подобного результата требует создания дидактической системы содержания обучения русскому языку на основе диалога культур:

- культуроведческое наполнение (включение профессионально ориентированных текстов, отражающих профессиональные интересы представителей страны изучаемого языка, а также культуроведчески-ориентированных познавательных текстов, содержащих изучаемые аспекты русскоязычной культуры);

- воспитательная ценность (возможности отобранного дидактического материала в межкультурном воспитании и развитии учащихся средствами русского языка: воспитание эмоциональных, творческих, социальных, когнитивных, речевых личностных качеств, положительного отношения к стране изучаемого языка и ее представителям; в формировании эмпатии);

- соответствие профессиональным интересам обучающихся, их жизненному и речевому опыту и создание условий для развития новых интересов и мотивации к дальнейшему изучению русского языка;

- диалогичность текста (возможность использования текста как источника культуроведческой информации, соотнесенность ее с подобным элементом культуры своей страны, и проблем для обсуждения, создания коммуникативных ситуаций).

Язык усваивается учащимися как средство общения, поэтому основной путь к овладению русским языком – коммуникативный. Обеспечить создание коммуникативной мотивации можно, предъявив в начале занятия или перед выполнением какого-либо задания специально разработанный вид внешней наглядности. Средством создания коммуникативной мотивации, то есть инициативного участия учащихся в общении, служат специально отобранные аутентичные материалы. Чем интереснее содержание мыслительной деятельности студентов, тем интенсивнее потребность в самовыражении, поэтому особое значение должно придаваться разнообразию сюжетно-композиционного построения занятий, отбору материала, вызывающего интерес и активизирующего мыслительные процессы.

На практике это требует отбора определенных методов, приемов, форм организации образовательного процесса. Особое значение в этом контексте приобретают коммуникативно-познавательные, познавательно-поисковые культуроведческие задания и культуроведчески ориентированные ролевые игры.

Мы выделили следующие виды заданий в логике диалогического подхода к учебно-воспитательному процессу:

– прогнозирование смыслового содержания;
– логический анализ информации (мнений, точек зрения);
– критическое восприятие информации;
– интерпретация информации;
– сравнение, сопоставление точек зрения, фактов;
– выражение собственной точки зрения;
– обсуждение проблемы;
– эффективное слушание собеседника;
– выражение оценочных суждений (в том числе самооценка).

Формированию межкультурной компетенции способствуют следующие предлагаемые в пособии формы и методы обучения:

- дискуссии и диспуты;

- переписка через Интернет с зарубежными сверстниками. Кстати, с помощью Интернета изучающие язык имеют возможность общаться с носителями языка как в своей стране, так и в стране изучаемого языка. Таким образом, создается уникальная ситуация естественной языковой среды, обладающая бесспорным преимуществом, потому что ни преподаватель, хорошо владеющий русским языком, ни аутентичные средства обучения не могут восполнить отсутствие непосредственного взаимодействия с носителями языка;

- диалог (как опосредованный, т.е. в процессе аудиторных занятий, так и непосредственный, т.е. в условиях непосредственного общения с носителями языка и культуры);

- театрализация, ролевые и деловые игры;

- комплекс заданий по овладению интеркультурной компетенцией, т.е. переработка учебного материала в систему проблемных вопросов, ситуаций, диалогов, проектирование возможных ролей и условий их принятия, решение заданий творческого характера;

- творческие работы, исследовательские проекты и др.

Культурная осведомленность формируется в ходе использования значительного объема знаний лингвострановедческого и культурологического характера, необходимых и достаточных для взаимопонимания партнеров в условиях контакта культур. Способность вести диалог с чужой культурой, признавать и уважать ее ценности - закономерный результат обучения русскому языку. Овладевая русским языком как неотъемлемой частью русской культуры, сравнивая и сопоставляя ее с родной культурой, находя личностный смысл в этом диалоге культур, учащийся приобщается к мировой культуре, ощущая себя ее частью.

Сформированность межкультурной компетенции позволяет участникам интеркультурного общения постичь чувства и мысли другого народа, помогает преодолеть негативное отношение к иной национальный культуре. Кроме того, межкультурная компетенция способствует лучшему пониманию самого себя, более глубокому осознанию собственной культуры в сравнении с культурой изучаемого языка.

Сказанное свидетельствует в пользу того, что проблем, касающихся межкультурного взаимодействия, при обучении русскому языку более чем достаточно. В связи с этим полагаем, что в любом практическом курсе по обучению русскому языку необходимо выделение специального раздела (или компонента) «основы межкультурной коммуникации», направленного на преодоление тех трудностей, которые возникают при интеркультурном общении.

ЛИТЕРАТУРА:

1. Вислова А.Н. Особенности межкультурного образования в современных условиях. М., 2012
2. Дмитриев Г. Д. Многокультурное образование. М., 2009
3. Елизарова Г. В. Культура и обучение иностранным языкам. СПб., 2005
4. Солдатова Г.У. Практическая психология толерантности. М., 2003
5. Утехина А.Н. Межкультурная дидактика.М., 2012

გაბმულ მეტყველებასა და სტილზე მუშაობა დაწყებით კლასებში

მარიამ ნალიყაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
თამარ ამირხანოვი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე,** პროფესორი

მოსწავლეებში ლექსიკონის გამდიდრებასა და თხრობის კულტურის აღზრდაზე მუშაობისას თავს იჩენს სტილზე მუშაობის საჭიროებაც. მეტყველების კულტურის აღზრდა წერა-კითხვის სწავლების პარალელურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ხდება მოსწავლის ლექსიკური მარაგის წესრიგში მოყვანა, მისი რამდენადმე დახვეწა დიალექტიზმების, ბარბარიზმებისა და ჟარგონისაგან. აზროვნება, ენა და მეტყველება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ხშირად ჩვეულებრივ სიტყვათშეხამებაში მათ ერთმანეთისაგან არც განასხვავებენ. მაგრამ ეს ცნებები სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია და თავთავისი სპეციფიკური ნიშნები აქვთ. აზროვნების კანონები საერთოა არა მხოლოდ ერთ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდებისათვის, არამედ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებისათვის (1, გვ. 266). ენა აზრის გამოხატვის საშუალებაა. მაგრამ ამასთანავე ენა და აზროვნება სულ სხვადასხვაა. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ნათქვამის ფორმა და შინაარსი: ფორმა შინაარსობრივია, შინაარსი – აზრობრივი. მეტყველება კი ენის მოქმედებაა სუბიექტში -ამოქმედებული ენაა. იგი ორი სახისაა – ზეპირი და წერითი. ისინი ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ბავშვი ენას იდგამს ზეპირი მეტყველებით, წერას კი სკოლაში სწავლობს. ზეპირი მეტყველებისას მსმენელი იგულისხმება. მოუბარი მსმენელს მოითხოვს. „ზეპირმეტყველების მსვლელობისას მსმენელი საჭირო მონოლოგს ცვლის დიალოგით, არწმუნებს მსმენელს ნათქვამის სისწორეში, იმეორებს ფრაზებს, ან იძლევა მათ შინაარსს სხვადასხვა ფორმაში, აკეთებს ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ პაუზებსა და მახვილებს, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნათქვამის შინაარსისადმი სათანადო ინტონაციით“ (1, გვ. 268).

სტილზე მუშაობა მიმდინარეობს როგორც ლიტერატურული ტექსტების კითხვისას, ისე გრამატიკის ელემენტარული საკითხების სწავლებისას. საკითხავი ტექსტების დამუშავებისას ძირითადი ყურადღება გადატანილია ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და ადვილად გასაგები პოეტური ხერხების – ეპითეტების, შედარებების, სინონიმების, ომონიმების – პრაქტიკულ ათვისებაზე. ასევე დიდი ყურადღება ექცევა გეგმის შედგენაზე მუშაობას, კითხვებზე პასუხის გაცემას, გამოცანებისა და ანდაზების აზრის გახსნას.

ტრადიციულად გამოყოფენ გაბმული მეტყველების განვითარებისათვის შემდეგ საკითხებს: ლექსიკონზე მუშაობას, ფრაზეოლოგიურ მუშაობასა და თხრობაზე მუშაობას. ლექსიკონზე მუშაობაში იგულისხმება უცნობი სიტყვის ახსნა, სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, წინადადების შედგენა ახალი სიტყვების გამოყენებით, სინონიმებზე და ანტონიმებზე მუშაობა ტერმინის მიწოდების გარეშე. ფრაზეოლოგიური მუშაობა გულისხმობს კითხვაზე პასუხის გაცემას, სიტყვაგამოტოვებული წინადადების შევსებას, დეფორმირებული წინადადებისა, ან ტექსტის აღდგენას. თხრობაზე მუშაობისას კი ყურადღება მახვილდება გაბმული მეტყველების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომლის დროსაც ფართოდ გამოიყენება სურათის აღწერა ,,შინაარსის გადმოცემა და თხზულების შედგენა“.

სურათის აღწერას მეთოდისტთა ერთი ნაწილი თხზულების ერთ-ერთ სახედ მიიჩნევს. აქ მოსწავლე შეზღუდულია თავად აღწეროს ობიექტის მიხედვით. მან მხოლოდ ის საგნები და მოვლენები უნდა გადმოსცეს, რაც სურათზეა მოცემული, ამიტომ მისი ფანტაზია თხზულების სხვა სახეებთან შედარებით უფრო შეზღუდულია და გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. სურათის აღწერა მწყობრი თხრობის გამომუშავების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებად ითვლება. იგი ერთდროულად ხელს უწყობს როგორც ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ისე გაბმული მეტყველების მართებული სტილის გამომუშავებას. სურათზე თხრობა შეიცავს შემდეგ ელემენტებს: წინასწარი საუბარი, სურათის ჩვენება; შინაარსის გეგმის შედგენა და თხრობა.

აღწერისათვის უნდა გამოვიყენოთ ობიექტები მოსწავლეთათვის ნაცნობი და საინტერესო სამყაროდან. განასხვავებენ მარტივსიუჟეტიან და რთულსიუჟეტიან, ერთსერიან და მრავალსერიან სურათებს. მარტივსიუჟეტიან სურათებზე ერთი რომელიმე საგანია დახატული და მისი აღწერა 1-2 წინადადებით ხდება. რთულსიუჟეტიანი სურათების ირგვლივ კი მოსწავლეებმა შეიძლება მთელი ამბავი, თხზულება შეადგინონ. რთულსიუჟეტიანი სურათები რამდენიმესერიანია, ანუ იგი რამდენიმე სურათით, კადრით, არის გადმოცემული.

სურათების აღწერაზე მუშაობა წინასაანბანო პერიოდშივე იწყება. გამოყოფენ სურათების აღწერის ორ გზას: მასწავლებლის დამხმარე კითხვებით და მის გარეშე. სურათის აღწერა ძირითადად მაინც მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით ხდება. სურათის აღწერას, გარდა გაბმული თხრობის ჩვევის გამომუშავებისა, სხვა მიზნებიც აქვს:

ა. მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრება ახალი ლექსიკური ერთეულებით;

ბ. ცალკეულ, ძნელად წარმოსათქმელ ბგერებზე ვარჯიშობა;

გ. ბგერითი ანალიზისა და სინთეზის ჩვევის გამომუშავება;

მაგალითად: „დედაენის” (2003 წ. გამოცემა) მეექვსე გვერდზე მოთავსებულია სამი სურათი:

1) ბიჭს ძუის მახე გაუმართავს და ჩიტებს იჭერს.
2) მახეში გაბმულ ჩიტთან სხვა ჩიტებსაც მოუყრიათ თავი.
3) ბიჭი დაჭერილ ჩიტს ათავისუფლებს.

ამ სურათების დათვალიერების შემდეგ მასწავლებელი კლასს სთხოვს სურათზე დახატულ ბიჭს შეურჩიონ სახელი, რომელიც „ტ“ ბგერით იწყება (ამ გაკვეთილზე მოსწავლეები „ტ“ ბგერის მართლწარმოთქმაზე ვარჯიშობენ) მაგალითად ტატო, და იწყება ამ სურათის აღწერა მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით, რის საფუძველზეც რამდენიმე დასახელებული ვარიანტიდან შეირჩევა ერთ-ერთი.

- რა გადაწყვიტა ტატომ?
- რა გააკეთა მან ამისათვის?
- რა ქნა ტატომ?
- რა ქნეს დანარჩენმა ჩიტებმა?
- როგორ მოიქცა ტატო ამის დანახვაზე?
- რატო გაუშვა ტატომ დაჭერილი ჩიტი?
- რა არის მის საქციელში მოსაწონი?
- რა არ მოგწონთ მის საქციელში? რატომ?
- როგორ დაახასიათებთ ტატოს?
- რა სათაურს შეურჩევთ ამ მოთხრობას?

ამგვარად, წინასაანბანო პერიოდში სურათის აღწერას თავისი სპეციფიკა აქვს და მიზნად ისახავს როგორც მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას, ისე მათ მომზადებას წერა-კითხვისათვის, ხოლო ,,პირველ-მესამე კლასებში ქართული ენის ფონეტიკისა და გრამატიკის საკითხებისა და მათთან დაკავშირებული მართლწერისა და სასვენი ნიშნების ხმარების ჩვევები საფუძვლად უნდა დაედოს მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველებისა, ლოგიკური აზროვნებისა და გაბმული მეტყველების გეგმაზომიერ განვითარებას“ (4, გვ. 168).

გაბმულია, ანუ მწყობრი, მეტყველება, როცა ობიექტი ლოგიკურად ერთიმეორესთან დაკავშირებული წინადადებებითაა გადმოცემული. გაბმული მეტყველების, ანუ თხრობის კულტურის დონე არსებითად დამოკიდებულია ლექსიკური მარაგის სიმდიდრესა და ფრაზის აგების უნარ-ჩვევაზე. ტექსტის შედგენის, მისი შინაარსობრივ-ლოგიკურ და მხატვრულ ანალიზს წინ უსწრებს ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ანალიზი, ანუ უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა. ლექსიკაზე მუშაობა მჭიდროდ უკავშირდება ლოგიკური და ფრაზეოლოგიური ხასიათის სავარჯიშოებს. „ლოგიკურია ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც უშუალოდ მოსწავლეთა აზროვნების განვითარების მიზანს ემსახურება, რაც გაბმული მეტყველების პროცესსაც გულისხმობს“ (3, გვ. 167). როდესაც ვავარჯიშებთ მოსწავლეებს საგანთა და მოვლენათა შედარებებზე, მსგავსი ნიშნის მიხედვით საგანთა კლასიფიკაციაზე, გვარისა და სახის ურთიერთობასა და განსხვავებაზე, რაიმე მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე. ეს, პირველ რიგში, აზროვნების განვითარებისთვისა და, აქედან გამომდინარე, გაბმული მეტყველების გაუმჯობესებისთვისაა გამოყენებული.

„მეტყველების სტილისა და გაბმული მეტყველების დახვეწისათვის ცალკეულ კლასში სხვადასხვა სახის სავარჯიშოები გამოიყენება. როგორიცაა: სიტყვაგამოტოვებულ წინადადებათა შევსება და დამთავრება; დაუმთავრებელ წინადადებათა დამთავრება; დასახელებული სიტყვებით წინადადებათა შედგენა; საყრდენი სიტყვით წინადადებათა შედგენა; მოცემული სიტყვების საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვათა დასახელება; შინაარსით მახლობელ სიტყვათა დასახელება და სხვა“ (2, გვ. 203).

გაბმული მეტყველების უნარისა და ჩვევის გამომუშავების პროცესში ხდება ნამდვილი, აზრიანი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური მუშაობა. ლექსიკა, ფრაზა და გაბმული მეტყველება შეადგენს მეტყველების ძირითად კომპონენტებს. ამიტომ ვიხილავთ ამ საკითხებს ურთიერთკავშირში.

ამრიგად, გაბმული მეტყველება გამოხატავს პიროვნების აზრსა და განცდებს; იგი ადამიანთა ურთიერთობის მძლავრი საშუალებაა. გაბმულ მეტყველებაში აისახება გარე სინამდვილე, ხდება იგი ადამიანისათვის მისაწვდომი. გაბმული მეტყველების კვალდაკვალ ვითარდება მოსწავლის აზროვნება, მთელი ფსიქიკური ძალები, იხვეწება სტილი.

გაბმული მეტყველების ძირითადი სახეებს წინ უსწრებს, ერთ თემაზე რამდენიმე კითხვით, პასუხის გაცემა. თხზულების თემატიკაც ძალიან მრავალფეროვანია: ოჯახი, სკოლა, სწავლა, შრომა, გართობა, წელიწადის დროები და ადამიანთა შრომა - საქმიანობა სამშობლოს სიყვარული, კაცთმოყვარეობა და სხვა. გეგმიანი გაბმული მეტყველების ნიმუშებს პირველ კლასშიც ვხვდებით. კითხვაზე პასუხის გაცემა, დავალების თხრობით გადაცემა, სურათის მიხედვით მოთხრობის შედგება. გეგმიანი თხრობის ჩვევის გამომუშავებას ემსახურება. გეგმიანი თხრობისათვის აუცილებელია თხრობის გეგმის შედგენაზე ვარჯიში. თხრობის გეგმის შედგენაზე მუშაობა მეორე კლასში იწყება და შემდეგ კლასებშიც გრძელდება. თხრობის გეგმის შედგენა აჩვევს მოსწავლეს სათქმელზე დაკვირვებას, ზუსტ აზროვნებას, დასკვნისათვის ფაქტობრივი მასალის შერჩევას, მთავარ საკითხებზე ყურადღების კონცენტრირებას.

სათხრობი მასალის დაგეგმვა დიდ როლს თამაშობს აზროვნებისა და მეტყველების განვითარების, თხრობის მოწესრიგების საქმეში, რამდენადაც „ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ წინადადებათა ნაერთი, რომელსაც პირობით გაბმული მეტყველების სინტაქსურ ერთეულს ვუწოდებთ, შეიძლება იყოს მთელი აბზაცი, ან მისი ნაწილი“ (5, გვ. 521).

თხრობა, ან გაბმული მეტყველება სხვადასხვა სახისაა: შინაარსის გადმოცემა მოკლედ და ვრცლად, თხზულება, შთაბეჭდილების გადმოცემა, სურათის აღწერა, მოთხრობა ანალოგიის მიხედვით და სხვა. კეთილხმოვანება ზეპირმეტყველების არა მხოლოდ უბრალო სამკაულია ან მხოლოდ სასიამოვნო ემოციების აღმძვრელი, არამედ იგი შინაარსის სწორად აღქმის ერთ-ერთი პირობა და ფაქტორია. წაკითხვა-წარმოთქმის კეთილხმოვანება ზეპირი მეტყველების ობიექტური სტილის მოთხოვნათა სფეროს განეკუთვნება. ობიექტურ სტილზე მუშაობას კი სწავლის დაწყების პირველ წლიდანვე ექცევა სერიოზული ყურადღება. მასწავლებლის გამომეტყველებითი თხრობა, სახოვანი ზეპირი მეტყველების განვითარების, პედაგოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მასწავლებელს შეუძლია მოკლე დროში მოსწავლეთა მეტყველების განვითარების საქმეში თვალსაჩინო წარმატების მიღწევა. გამომეტყველებითი თხრობა აცხოველებს მოსწავლის ინტერესს მოსმენილის შინაარსისადმი, განამტკიცებს მეხსიერებას, ავითარებს ლოგიკური მსჯელობის უნარს. შინაარსის გადმოცემაა, როცა მოსწავლე ზეპირად ან წერილობით გადმოსცემს იმ ნაწარმოების შინაარსს, რომელიც მასწავლებელმა წაუკითხა ან თავად წაიკითხა. შინაარსის გადმოცემისას მოსწავლე მიჰყვება მხოლოდ ნაწარმოებში გადმოცემულ ფაქტებს, რაიმეს დამატება ან შეცვლა ეკრძალება. თავისი სიტყვებით შეუძლია გადმოსცეს მხოლოდ ტექსტის შინაარსი. შინაარსის გადმოცემა ამდიდრებს მოსწავლის მეტყველებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, აჩვევს ლოგიკურ მსჯელობას, გამართულ, მწყობრ, გაბმულ მეტყველებას. შინაარსის გადმოცემა შეიძლება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. მოკლე შინაარსის

გადმოცემა უფრო რთულია. ამიტომ მოკლე შინაარსს გადმოცემისას მოსწავლეს უკვე უნდა ჰქონდეს მთავრისა და არამთავრის ერთმანეთისაგან გარჩევისა და ფაქტების ლოგიკურად თანმიმდევრობის დალაგების უნარი. დიალოგით გადმოცემული თხზულების შინაარსს ნაწილ-ნაწილ და უფრო სრულად აღიქვამს მოსწავლე. დიალოგი მოსწავლეებს უადვილებს ტექსტის აღქმას. ამის გამო პირველ-მეორე კლასების სახელმძღვანელოებში საკითხავი მასალის შერჩევისას დიალოგს ენიჭება უპირატესობა. დიალოგთან დაკავშირებით თავს იჩენს ერთი სირთულე: მოსწავლეებს უჭირთ დიალოგის მართებული ფორმით გადმოცემა. ამის მიზეზი ის არის, რომ გადმოცემას ამძიმებენ სხვათა სიტყვების ნაწილაკებით: მეთქი, თქო, ო, უჭირთ დიალოგების მესამე პირში გადაყვანა და ისე თხრობა.

შინაარსის გადმოცემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) გადმოიცეს შინაარსი ლოგიკური თანმიმდევრობით, არ იქნეს გამოტოვებული მთავარი საკითხები;

ბ) ემყარებოდეს ტექსტს, მაგრამ არ იმეორებდეს სიტყვასიტყვით;

გ) დაცული იყოს მართლწერის ნორმები.

თხზულება ისეთი სახეა გაბმული მეტყველებისა, რომელსაც მოსწავლე დამოუკიდებლად ასრულებს. მასში ვლინდება მოსწავლის შემოქმედებითი ნიჭი, ფანტაზია, განათლებისა და ნაკითხობის დონე. თხზულება, თხზვას, შექმნას გულისხმობს. იგი თავად მოსწავლემ უნდა შეთხზას მოცემულ თემაზე. თხზულების წერა რთული და ძნელი საქმეა ყველაზე მეტ შეცდომას თხზულების წერის დროს უშვებენ.

„პირველ-მეოთხე კლასებში გამოიყოფა თხზულების შემდეგი სახეები: რაიმე საგნის ან მოვლენის აღწერა; შთაბეჭდილებათა გადმოცემა; ორი მოვლენის შედარება - შეპირისპირება; საყრდენ სიტყვებსა და ფრაზებზე თხზულების შედგენა; სათაურის მიხედვით თხზულების შედგენა; თხზულება ანდაზის მიხედვით; თხზულება ფაბულის მიხედვით; შესწავლილი ნაწარმოების გაგრძელება და თხზულება დასაწყისისა და დაბოლოების მიხედვით“ (1, გვ. 280).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულ საკითხებზე მუშაობა ხვეწს და ავითარებს დაწყებითი კლასების (და არა მარტო დაწყებითი კლასის) მოსწავლეთა გაბმულ მეტყველებასა და სტილს.

ლიტერატურა:

1. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 2004.
2. ლიპარტელიანი რ., დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები, თბ., 1999.
3. რამიშვილი ვ., ქართული ენის გრამატიკის და მართლწერის დაწყებითი კურსის სწავლებისა და მეტყველების განვითარების საკითხები, თბ., 1979.
4. რამიშვილი ვ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები, თბ., 1976.
5. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

ИСПОЛЬЗОВАНИЕ ИНТЕРНЕТ-РЕСУРСОВ В ПРЕПОДАВАНИИ РКИ

Нино Окропиридзе
ст. 2 к. спец. образование преподавателей
фак. образования и естественных наук
научн. рук. докт. проф **Н. Хинчагашвили**

Информационные технологии сегодня занимают центральное место в процессе развития общества, его системы образования и культуры.Под *информационной технологией в филологии* понимается совокупность законов, методов и средств в получении, хранении и передаче, распространении, преобразовании информации о языке и законов его функционирования с помощью компьютера. В преподавании РКИ компьютер целесообразно использовать не только как средство наглядности, но, в первую очередь, в качестве средства активного обучения.

Необходимо отметить, что если на начальном этапе компьютеризации обучения иностранным языкам на первый план выдвигалось использование компьютера как средства тренировки в упражнениях языкового или речевого характера (эта тренировка основывается прежде всего на анализе и исправлении компьютером ошибок учащихся), то в настоящее время, как показывает опыт использования компьютеров в обучении иностранным языкам, сфера их применения представляется значительно более широкой. Различные виды компьютерных

технологий используются как инструмент для создания тренировочных упражнений, как информационная база данных, позволяющая создавать, хранить и анализировать тексты на изучаемом языке, как средство учебного взаимодействия в системах Интернета и дистантного обучения.

Современные компьютерные программы могут учитывать индивидуальные потребности и интересы учащихся, различные стратегии овладения языком, дифференцировать способы предъявления учебного материала, обеспечивать индивидуальные формы тренировки, создавать широкий диапазон стимулов для вовлечения учащихся в иноязычную речевую деятельность, увеличивать время контакта с изучаемым языком.

В лингводидактический процесс включаются электронные учебники, электронные словари и разговорники, мультимедийные словари и энциклопедии. Яснее становятся возможности специальных программных средств, которые позволяют легко создавать учебные компьютерные курсы без использования программирования. Компьютер выступает, в частности как тренажер, помогающий учащемуся овладеть различными аспектами языка с помощью тренировочных упражнений; как инструмент в функции текстового редактора, позволяющий легко создавать и обрабатывать печатные тексты; как канал общения и источник получения информации из различных баз данных; как средство презентации аудиовизуальной информации и т. д. Все эти функции компьютера, используемые в учебном процессе, отражают, с одной стороны, ведущие тенденции развития современных компьютерных технологий, с другой — реализуют основные направления развития методической мысли, выдвигающей на первый план коммуникативный, когнитивный, личностный подходы к обучению языкам.

Для компьютерных информационных технологий характерны: работа пользователя прежде всего в режиме манипулирования данными и операциями (пользователь видит и действует), сквозная информационная поддержка на всех этапах обработки информации, вхождение в более крупные информационные массивы, гибкость и интерактивность.

Внедрение компьютерных технологий в практику преподавания русского языка как иностранного — один из важнейших аспектов совершенствования и оптимизации учебного процесса, обогащения арсенала методических средств и приемов. В компьютерные технологии заложены неисчерпаемые возможности для обучения студентов на качественно новом уровне. Они усиливают мотивацию изучения русского языка как иностранного, повышают уровень индивидуализации обучения, интенсифицируют процесс обучения.

Современные информационные ресурсы Интернет-сети содержат текстовый, аудио- и визуальный материал по различной тематике на разных языках. Для того, чтобы учащиеся не «потерялись» в изобилии информации разного содержания и, самое главное, разного качества, а также для её продуктивного использования для удовлетворения образовательных интересов и потребностей, появилась необходимость в разработке специальных учебных Интернет-материалов, направленных на обучение учащихся работать с ресурсами сети.

Нужно отметить, что учебные Интернет-материалы созданы исключительно для учебных целей. Именно грамотное использование ресурсов сети интернет способствует развитию познавательной деятельности учащихся и достижения основных целей обучения предмету.

Все больше преподавателей стало использовать ресурсы сети Интернет для поиска и получения информации, которая рассматривается и как средство организации учебной деятельности. Для более продуктивной работы с Интернетом стоит знать особенности и характеристики представляемой информации, уметь обработать и упорядочить ее по определенным критериям, чтобы информация была доступна для любого пользователя. Информация в Интернете имеет ряд особенностей. Форма распространения и хранения информации глобальна. Во всемирной сети нет ограничений в доступе к информации. Особенностью информации в Интернете является также разнообразие. Содержательная сторона информации выражается в форме мультимедиа (звук, графика, видео), что намного обогащает и содержание, и форму хранения информации. Следующая особенность – оперативность. Интернет превосходит все другие источники информации по организации информации и способу отбора и поиска, чему способствуют системы поиска.

Возможности Интернета чаще всего используются для включения материалов в содержание урока; для самостоятельной работы учащихся и расширения своих знаний и умений, а также для практики изучаемого языка. Ресурсы Интернета можно использовать не только в качестве коммуникативной основы обучения, но и для аудирования, чтения и распознавания разных стилей текста. Кроме этого ученик непроизвольно может пополнять свой словарный запас новой лексикой из выбранных текстов. Таким образом, знакомство с текстом или записью служит не только практическим материалом, но и удовлетворением повседневной потребности каждого человека в получении новой информации. В связи с этим современному преподавателю важно уметь пользоваться программами, обеспечивающими работу в Интернете; разбираться в поисковых системах и их особенностях; знать ресурсы Интернета для получения новой информации не только для проведения уроков, но и для ознакомления с новостями по нововведениям в преподавании РКИ; уметь извлекать информацию и редактировать ее; уметь пользоваться электронной почтой и другими программами коммуникации (например: чаты, форумы, системы видеокоммуникации) и др.

Одним из наиболее перспективных направлений в использовании Интернета является применение интерактивных учебных курсов, которые предусматривают активное взаимодействие всех участников обучения, наличие взаимосвязи между преподавателем и учащимся с помощью электронной почты, использование сетевых информационных систем.Только с применением Интернета возможно оперативное дистанционное обучение. Количество Интернет-курсов дистанционного обучения постоянно увеличивается: в

настоящее время их насчитывается более тридцати. Во многом курсы, представленные в настоящее время в Интернете, с точки зрения специалиста-филолога, не соответствуют современным представлениям об изучении русского языка как иностранного и носят в основном тренировочный характер. Положительным фактором является то, что в них акцентируется использование в обучении новых ресурсов Интернета, например, использование страноведческих материалов (экономика, политика, культура), художественных текстов для чтения, электронных словарей и др. Многие возможности коммуникативных технологий обучения остаются нереализованными. Слишком многое основывается на старых подходах к преподаванию языка путем закрепления знаний с помощью стандартных упражнений. Хотя, как известно, особую роль при формировании коммуникативной компетенции играют коммуникативные задания. Учащимся на основе подготовленных материалов курса, а также имеющихся ресурсов Интернета могут быть предложены серии проблемных заданий, связанных с программой курса, например: написать реферат по указанной проблеме, выбрать необходимую информацию для выполнения контрольных работ, подготовить сообщение на основе материалов Интернета, принять участие в обсуждении той или иной проблемы.

На сегодняшний день выделяют пять видов учебных Интернет-ресурсов. Остановимся на каждом виде и его раскроем структуру и методическое содержание.

1. Хотлист (от английского "hotlist" (список по теме) – список Интернет-сайтов с текстовыми материалами по изучаемой теме. Он чрезвычайно полезен в процессе обучения, не требует времени на поиск необходимой информации. Чтобы его создать, нужно ввести ключевое слово в поисковую информация, анимационные виртуальные туры. Всё что нужно – ввести ключевое слово в поисковую систему Интернета и ученик получает нужный ему хотлист.

Например:
Тема: Москва
Сайты хотлиста:
http://ru.wikipedia.org/wiki/Москва
http://www.moskva.ru/portail
http://www.moskvainfo.com

2.Мультимедиа-скрэпбук (от английского "multimediascrapbook" ("мультимедийный скрэпбук"/черновик) – представляет собой своеобразную коллекцию мультимедийных ресурсов. В нём содержатся ссылки не только на текстовые файлы, но и на фотографии, аудиозаписи, фильмы, видиоклипы и даже на популярные на сегодняшний день анимационные и виртуальные туры. Все файлы скрэпбука могут быть легко скачаны учащимися и использованы в качестве информационного и иллюстративного материала при изучении определенной темы.

3.Трежа Хант (от английского "treasurehunt" (трэжахант") – "охота за сокровищам" – во многом напоминает хотлист. Он содержит ссылки на различные сайты по изучаемой теме. Единственное отличие заключается в том, что каждая из ссылок содержит вопрос по содержанию сайта. С помощью этих вопросов учитель направляет поисково-познавательную деятельность учащихся. В конце трежаханта учащимся может быть задан один более общий вопрос на целостное понимание темы (фактического материала). Развернутый ответ на нег будет включать ответы на предшествующие более детальные вопросы по каждому из сайтов.

4.Сабджектсэмпл(от английского subjectsampler / "сабджектсэмпл") – следующая ступень сложности по сравнению с трежахантом. Также содержит ссылки на текстовые и мультимедийные материалы сети Интернет. После изучения каждого аспекта темы учащимся нужно ответить на поставленные вопросы, но вопросы направлены не на фактическое изучение материала (как в предыдущем случае), а на обсуждение дискуссионных тем. Учащимся нужно не просто ознакомиться с материалом, но и выразить и аргументировать свое мнение по изучаемому дискуссионному вопросу.

5.Вебквест(от английского webquest ("вебквест") /интернет-проект) – самый сложный тип учебных Интернет-ресурсов. Образовательный веб-квест - это сайт в Интернете, с которым работают учащиеся, выполняя ту или иную учебную задачу. Это сценарий организации проектной деятельности учащихся по любой теме с использованием ресурсов сети Интернет, включает в себя все компоненты четырех указанных выше материалов и предполагает проведение проекта с участием всех учащихся.

Различают два типа веб-квестов: для кратковременной (цель: углубление знаний и их интеграция, рассчитаны на одно-три занятия) и длительной работы (цель: углубление и преобразование знаний учащихся, рассчитаны на длительный срок - может быть, на семестр или учебный год). Особенностью образовательных веб-квестов является то, что часть или вся информация для самостоятельной или групповой работы учащихся с ним находится на различных веб-сайтах

Веб-квест должен иметь:

- Ясное вступление, где четко описаны главные роли участников или сценарий квеста;
- Центральное задание, которое понятно, интересно и выполнимо. Очень важно на данном этапе работы четко определить итоговый результат самостоятельной работы учащегося;
- Список информационных ресурсов, необходимых для выполнения учащимся задания. Этот список должен быть аннотированным и может быть представлен как в печатном, так и электронном виде;
- Описание процедуры работы и этапов работы;

• Руководство к действиям, которое может быть представлено в виде направляющих вопросов, организующих учебную работу;

• Заключение, в котором суммируется опыт, который будет получен учащимися при выполнении самостоятельной работы над веб-квестом. Вполне очевидно, что каждый из пяти видов учебных Интернет-материалов вытекает из предшествующего, постепенно усложняясь и тем самым позволяет решать более сложные учебные задачи.

В заключении нам бы хотелось отметить, что применение ИКТ в сфере преподавания РКИ открывает новые возможности как перед преподавателями, так и перед учащимися. Конечно, введение ИКТ как элемента учебного процесса порождает ряд новых организационных проблем: например, соответствующее техническое оснащение аудиторий, овладение компьютерной грамотностью всех преподавателей и учащихся, ломка существующей классно-урочной структуры учебного процесса. Однако рассмотренный в рамках данной работы пример использования компьютерных систем в курсе РКИ наглядно демонстрирует их очевидные преимущества в сравнении с традиционными средствами обучения:

• Интенсификация: возможность решить конкретные методические задачи в более сжатые сроки.

• Индивидуализация: учет индивидуальных особенностей обучаемых. В ходе работы с разветвленной программой учащийся в соответствии со своими знаниями может переходить с высокого уровня на более низкий и наоборот. Следовательно, "сильные" студенты имеют возможность изучать учебный материал более высокого уровня, чем „"слабые", изучающие учебный материал в том минимальном объеме, который определен автором разветвленной программы и необходим для усвоения того или иного явления русского языка.

• Эффективность: уменьшение затрат людских и материальных ресурсов. Использование ИКТ требует меньшего количества преподавателей и методистов, чем традиционная система обучения, а электронные средства обучения обходятся значительно дешевле изготовления «бумажных» учебников и пособий.

ЛИТЕРАТУРА:

1. Азимов Э.Г. Методическое руководство для преподавателей по использованию дистанционных технологий в обучении русскому языку как иностранному. М., 2004
2. Голубева Т.И., Репина С.О. «Применение информационных технологий в обучении русскому языку». Оренбург, 2004.
3. Новые педагогические и информационные технологии в системе образования /(Под ред. Е. С. Полат). М., 2009.
4. Титова С. В. Ресурсы и службы интернета в преподавании иностранных языков. М., 2003.

აღზრდა-განათლების საკითხები XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში აკაკი წერეთლისა და სოფრომ მგალობლიშვილის მხატვრულ ტექსტებში

ანი სამადაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე,** პროფესორი

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ქართული განათლების სისტემაში. შინაური აღზრდის, სამრევლო სკოლებისა და სასწავლებლების ნაცვლად რუსეთის იმპერიის განათლების სამინისტროს დაექვემდებარა საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმე. რამდენადაც სწავლა მიმდინარეობდა უცხო ენაზე, გაწყდა კავშირი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და სწავლა-განათლება იქცა ისეთ მტანჯველ მოგონებად, რომელიც ზრდასრული ადამიანის მეხსიერებაშიც კი საშინელ კოშმარად შემორჩა. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს სასწავლებლების შესახებ მწერალთა მხატვრულ ტექსტებში შემორჩენილი ინფორმაცია, რისთვისაც ჩვენს მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი იქნა აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები ,,ჩემი თავგადასავალი'' და სოფრომ მგალობლიშვილის ვრცელი მოთხრობა ,,წარსულიდან''

სამოციანი წლების დასაწყისში რუსეთსა და საქართველოში დიდმნიშვნელოვანი სოციალური მოვლენები მოხდა. გაუქმდა ბატონყმობა, რასაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოყვა. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა სწავლა-განათლების საქმის ახლებურად მოწყობას მოითხოვდა. 1864 წელს დამტკიცებული სასწავლებლის ახალი წესდებით გადაიდგა ერთგვარი პოლიტიკური ნაბიჯი

ხალხის განათლების საქმეში. წოდებრივ-ბატონყმური სკოლა კლასობრივ- ბურჟუაზიულ სკოლად გარდაიქმნა. (1, 251)

1894 წლის ,,კვალის'' 10-11 ნომერში დაიწყო ბეჭდა აკაკი წერეთლის მემუარებისა ,, ჩემი თავგადასავალი'', როგორც ჩანს, აკაკის ოცნებად ჰქონდა დაეწერა მთელი თავისი ცხოვრების ისტორია, ამიტომ ,,ჩემ თავგადასავალს წერდა მთელი 15 წლის მანძილზე (1 ნაწილი გამოქვეყნდა 1894-99 წლებში, მეორე ნაწილი კი – 1908-1909 წლებში). როგორც თვითონ აკაკი წერდა „ამ თხზულებაში ყველაფერია მოხსენიებული, რაც კი ნახევარი საუკუნის მანძილზე მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია''. (8, 168)

8 წლის აკაკი ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. ქუთაისის გიმნაზია ჩვენს წარმოდგენაში თვალსაჩინოდაა გაცოცხლებული აკაკის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სხვათა მონათხრობით. ქუთაისის გიმნაზიაში ისევე, როგორც ყოველი მაშინდელი სასწავლებელი, მოწოდებული იყო იმისთვის, რომ აღეზარდა არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის ერთგული, ბრმა მსახურები. ამას ,,ინოროდცებით'' დასახლებულ განაპირა ქვეყნებში ემატებოდა კიდევ ერთი ზედმეტი ამოცანა. ეს იყო ადგილობრივი მოსახლეობის ძალად გარუსება. მათი კულტურის, ენისა და ნაციონალური თავისებურებების მოსპობა და ასიმილირება გაბატონებული ერის შემადგენლობაში. ერთი სიტყვით, ქუთაისის გიმნაზიაში ,,ქართველი ბავშვები უნდა ქცეულიყვნენ რუს ბავშვებად''. ისევე, როგორც სხვაგან, აქაც გაბატონებულ იყო ბავშვების ცემა-ტყეპა, სწორედ გაწკეპლა იყო მიჩნეული სწავლების უებარ მეთოდად. როგორც აკაკი ამბობს, გიმნაზიაში ურმებით ეზიდებოდნენ წკეპლას. ზოგი ბავშვი იქ სამუდამოდ მახინჯდებოდა და არა მარტო სულიერად, არამედ პირდაპირ ფიზიკურადაც. სასოწარკვეთილი ბავშვები, რომელთაც დაყვავება სჭირდებოდათ, სისასტიკის არეში ხვდებოდნენ, ზოგი თავის მოკვლის განზრახვამდე მიდიოდა. თავდაპირველად აკაკიც ძალიან შეუძრწუნებია ამგვარ მდგომარეობას. გიმნაზიიდან როზგს გამოქცეულს მშობლებისთვის ისიც განუცხადებია, რომ აღარ წავიდოდა გიმნაზიაში, მხოლოდ გიმნაზიის დირექტორის ჩარევას დაუბრუნებია აკაკი სასწავლებელში. (7, 222)

აკაკი განსაკუთრებით შეძრწუნებული იყო იმ საშინელებებით, რომელიც სუფევდა ქუთაისის გიმნაზიაში. ის თავის მოგონებებში იხსენებს თავდაპირველად როგორ შეიყვანეს გიმნაზიაში.

,,გიმნაზიაში რომ შემიყვანეს, გავცეცდი: იმდენი ბავშვი ერთად თავმოყრილი, ჩემს დღეში არ მენახა. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა. ამ ყოფაში იყვნენ, სანამ კითხვას ისწავლიდნენ.

იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც ,,მარკას'' ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს - სახაზავს დაჰკრავდნენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმგვარადვე, ე.ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა'' დაერტყმია ხელის გულზე. (6, 55)

აკაკი ცდილობს ასახოს ის მტანჯველი სისტემა, რომელიც ამახინჯებდა აღსაზრდელს სულიერად და სამუდამოდ რჩებოდა მათ მეხსიერებაში.

„მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული ,,სტოროჯამდე''. მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასნეულდა, რამდენი დამახინჯებულა და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგივე ბავშვი, ერთი დღის განმავლობაში, სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვილიყოს'' სხვადასხვა უფროსისგან.

ღვთის მადლით, მე ამცილდა ტანჯვა და ერთხელ მეტად არ გავლახულვარ, მაგრამ ეს ერთიც საკმაო იყო, მთელი ჩემი სიცოცხლე მოეტანჯა. არ იქნა და ვეღარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც გაურკვევლად ვწერ; ვინც ჩემს ნაწერს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტიქტურად მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯვა. (6, 57-58)

აკაკი საუბრობს პედაგოგთა დაბალ დონეზე, ასევე იმაზე, თუ როგორ წვრთნიდნენ ბავშვებს უცოდინარი მასწავლებლები, რომლებსაც თვითონ არაფერი გაეგებოდათ. „სამწუხარო ის იყო, რომ იმ დროს პედაგოგია მეტად დაბალ ხარისხზე იდგა. ბავშვებს კაჭკაჭსავით სწრთვნიდნენ და არა ადამიანის შვილებად! ყოველი ყოველი საგანი უნდა მხოლოდ ეზეპირებიათ მოსწავლეებს, და აზრი ესმოდათ თუ არა, ამას არავინ ჰკითხავდა'' (6. 64).

მასწავლებლის დაბალი დონის დასადასტურებლად აკაკი გვიხატავს ერთ-ერთი მასწავლებლის სახეს: ,,ახირებული იყო ლათინური ენის მასწავლებელი - ძალიან კარგი, მშვიდობიანი და ბეჯითი მასწავლებელი; ბუზის ეშინოდა და, მახარობელას რომ ბზუილი დაეწყო, იმას გული უწუხდა. ეს რომ იცოდნენ მოწაფეებმა, თუ რომელმა მათგანმა გაკვეთილი არ იცოდა, მოიყვანდა უცბად მახარობელას და ჩუმად გაუშვებდა კლასში; მასწავლებელი დაფრთხებოდა, მოსწავლეები წამოვარდებოდნენ ზეზე, ზოგი სტოლზე შეხტებოდა, ზოგი ამ ბუზს დაუწყებდა, ვითომდა კლასიდან გამოდენას და ამასობაში კლასიც თავდებოდა''

ასევე აღნიშნულ პროცესებში აქტიური მონაწილეა თავად სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის მოსწავლე, შემდეგ მასწავლებელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი. მან საკუთარ თავზე გამოსცადა ის ულმობელი, არაადამიანური აღზრდის სისტემა, რომელიც სუფევდა გორის სასულიერო სასწავლებელსა და ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ამ თემას მან რამდენიმე ნაწარმოები მიუძღვნა: მოთხრობა ,,წარსულიდან'', ნოველა,, აღარ შემიძლიან'' და ,,მოგონებანი''.

სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1928), როგორც ხალხოსანთა უმრავლესობა, ,,რაზნოჩინეცია'' - ქართლის სოფლის დირბის ზაქარია მღვდლის შვილია, დაიბადა იგი 1851 წელს.

ათი წლისა სოფ. მგალობლიშვილი მშობლებმა მისცეს გორის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ის გადმოიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. (2, 190–191)

სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობა ,,წარსულიდან'' თითქმის აკაკის ,,ჩემი თავგადასავალის'' შემდეგ იბეჭდება 1898-1900 წწ. იგი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ის მოიცავს დროის მონაკვეთს ავტორის ბავშობიდან 1873 წლამდე, სადაც აღწერილია ჯერ სწავლა გორის სასულიერო სასწავლებელში და, შემდეგ, ტფილისის სასულიერო სემინარიაში. რაც ავტორმა დაკვირვებული მხატვრის თვალით აღწერა. ამ თემას გამოეხმაურა მეცნიერი და პედაგოგი გ. თავზიშვილი წერილში ,,სოფრომ მგალობლიშვილი''. მოთხრობის ძირითადი თემა 60-იანი წლების ოფიციალური სკოლა წარმოდგენილია დეტალურად. მეფის დროინდელი სასულიერო განათლების სისტემა, რომელიც აქ არის აღწერილი გულშემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი ორგანიზაციით, ხელმძღვანელობის ფორმებითა და მეთოდებით. გულშემზარავია ის, აგრეთვე სწავლების შინაარსით, რეჟიმით, ფიზიკური დასჯის უხეში სახეებით. მაშინდელი სკოლა, ავტორის თქმით, ,,სიბნელის წყვდიადს'' წარმოადგენდა, რომლიდანაც ათასში მხოლოდ ერთი იკვლევდა გზას. უმრავლესობა კი სრულიად უვიცი და უზნეოები გამოდიოდნენ (4, 390).

სოფ. მგალობლიშვილი ასე იხსენებს მის სასულიერო სასწავლებელში შეყვანას: ,, იმისთანა დროს, როცა ,,როზგი'' მეფობდა ჩამიყვანეს სასწავლებელში . მე ბავშვსა, წარმოდგენილი მქონდა, რომ მამაშვილურად მომეპყრობოდნენ. პირველ შესვლაზევე ვიგრძენი ჯოჯოხეთის ალი: კლასში იდგა გნიასი, ყვირილი, ტირილი - ამას როზგს სცემდნენ ტიტველა ტანზე , იმას სახაზავს უტყაპუნებდნენ ხელზე, ან თავზე, ზოგს თავს აწიწკნიდნენ ზოგს ყურებსა - ეს ორი უკანასკნელი სასჯელი უფრო შეღავათიან სასჯელს წარმოადგენდა. იცოდი გაკვეთილი გცემდნენ, არ იცოდი, გცემდნენ, ასე რომ მცოდნე და უცოდნელი ერთ ბარაქაში გამოდიოდნენ“ (5. 37).

ს. მგალობლიშვილმა სწავლება სასულიერო სასწავლებელში ასახა მხატვრულად მოთხრობაში „წარსულიდან'', სადაც პერსონაჟთა უმრავლესობა დაგვიხატა შერქმეული სახელებით. შერქმეული სახელებით მოიხსენიებს იმ მასწავლებლებსაც, რომლებიც ასწავლიდნენ სასულიერო სასწავლებელში. მაგალითად: ქიშმიშა, ყეყეჩა, ბურნუთის კოლოფი, ბორა, პაულსონა, ცალთვალა, კოგნიმა.

აი ასე აღწერს ქიშმიშას და ყეყეჩას: „ღვთის წინაშე ქიშმიშა ბევრათა სჯობდა ყეყეჩას, როგორც ბავშვების სწავლებაში, ისე მათთან მოპყრობაში. თუმცა არც ერთი არ აკლებდა ცემა- ტყეპას, მაგრამ ქიშმიშა ისე სცემდა თან ემასლაათებოდა, ეოხუნჯებოდა ბავშვსა და ისე გატყეპავდა, გაწკეპლავდა, რომ ბავშვი აგრერიგად არ იჩნევდა გულში“. (3, 119–120)

ასევე მოთხრობაში ვხვდებით ისეთ მასწავლებელს, როგორიცაა ბურნუთის კოლოფა, რომელიც შედარებით კარგად ექცევა მოსწავლეებს, განსხვავებით ბორასაგან. „ამათში ბურნუთის კოლოფი მეტად შესანიშნავი იყო ყველაფრით, ბორას კი იმ დროს აგრერიგად არა ჰქონდა სახელი განთქმული. იგი მშვიდობიანი კაცი იყო თავისთვის მიყუდროებული ცხოვრობდა და არავის საქმეში არ ერეოდა“ (3, 147–148).

ძველი სკოლის უმსგავსობისა და ბოროტების მიზეზი იყო მასწავლებელთა პერსონალი. გაუნათლებელი და ზნედაცემული მასწავლებელი გაცილებით უფრო მეტი იყო ამ სკოლაში, ვიდრე თავისი დანიშნულებისთვის შესაფერისი პედაგოგიური კადრები და სწორედ ეს უმრავლესობა ქმნიდა სწავლების მახინჯ რეჟიმს და იყენებდა აღზრდის ველურ მეთოდებს. მასწავლებლები იყვნენ, მაგრამ ,,რიგიანი გადმომცემი და ამხსნელი გაკვეთილისა არ იყო''. საერო დისციპლინის სწავლება აღმაშფოთებელ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, ხოლო საქართველოსა და ქართული კულტურის შემსწავლელი საგნები კი სრულებით გაძევებული სასწავლო გეგმებიდან. ოფიციალური სასულიერო სასწავლებელთა მოხელე მასწავლებლებმა იცოდნენ მხოლოდ დასჯა, მხოლოდ ამ საქმეში იჩენდნენ ისინი დიდ ნიჭსა და გამომგონებლობასა. მათი აზრით, ცელქობისთვის ბავშვი ისე უნდა დაისაჯოს ,,რომ მის გულს დიდი დაღი დააჩნდას''. ამაში ხედავდნენ ისინი ,,ბავშვის ბუნების ცოდნას'' (4, 390–391).

მოთხრობაში ასევე აღწერილია საშუალო სასწავლებელი: „საშუალო სასწავლებელთან მოთავსებული იყო დაბალი სასწავლებელიც, იმისთანა ტიპის სასწავლებელი, რომელიც ჩვენ ამ მოთხრობის მეორე ნაწილში აღვწერეთ. მაგრამ განსხვავება დიდი ვნახეთ: ,,ჩვენ სრულიად უსწავლელნი,

გაუგებარნი ჩამოვედით საშუალო სასწავლებელში; ორი წინადადების გადაბმა არც ქართულად და არც რუსულად არ შეგვეძლო; ასეთივე იყვნენ სხვა პროვინციებიდან ჩამოსულნიც, მაგრამ სულ სხვა იყო ტფილისის დაბალი სასწავლებლიდან საშუალო სასწავლებელში გადმოსულნი'' (3, 232).

მაშინდელი სასწავლებელი „სიბნელის წყვდიადს'' წარმოადგენდა, რომლიდანაც ათასში ერთი თუ გაიკვლევდა გზას. უმრავლესობა მასწავლებლების კი სრულიად უზნეონი და უვიცები გამოდიოდნენ. ასეთ სასწავლებელში აგრეთვე იყვნენ ,,გაყაჩაღებული შეგირდებიც''. ასეთებად ავტორი ასახელებს სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს, რომლებიც მოთხრობაში შერქმეული სახელებით არიან ცნობილნი: ყვინჩილა, თხისტვინა, თხუნელა, ოროსპოღლი და სხვა. მათ უნდოდათ თავი გადაერჩინათ იმ სასტიკი არაადამიანური პირობებისაგან, რისთვისაც სასწავლებლიდან გაქცევა გადაწყვიტეს. ავტორი მათ შესახებ აღნიშნავს: „როზგის ქვეშ სიკვდილს, გაპარვა არჩიესო''.

მარტო სიმახინჯით არ ამოიწურებოდა ძველ სასწავლებელთა ცხოვრება. წყვდიადით მოცულ მათ ცაზე იშვიათად მაინც ჩნდებოდნენ ვარსკვლავები. თავისი მაღალი დანიშნულების შესაფერისი, მომზადებული და სახალხო საქმისთვის თავდადებული მასწავლებლები. პირველ ყოვლისა, ამ მოთხრობაში მან რამდენიმე სტრიქონით დაგვიხატა დიდი ქართველი პედაგოგისა და საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილის სახე, რომელიც თბილისის სემინარიასთან არსებული სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი და ინსპექტორი იყო იმ დროს, როცა სოფრომ მგალობლიშვილი ამ სემინარიაში სწავლობდა. მართალია, იაკობ გოგებაშვილის გვარი მოხსენებული არ არის, მაგრამ სხვა ნიშნების მიხედვით ადვილია მიხვედრა, რომ სწორედ მასზეა ლაპარაკი. სოფრომი წერს, რომ აღნიშნული სასწავლებლის ,,ბნელ სამეფოში ადრე შეაშუქა განათლების სხივმა: მესამოცე წლების დიდებული აზრებით გულგამთბარმა, ჭკუა-გონებით გაბრწყინებულმა ადამიანმა შეიტანა ეს წყვდიადის გამფანტავი სხივი, მაგრამ დაიკავა განათლების ლამპარი ხელში და ეკლით მოცული გზა გაკაფა და გაატარა მშვიდობისა, მამულის სიყვარულისა და სწავლა განათლების მოყვარეობის გზაზე (4, 391–392).

ს. მგალობლიშვილი მის მიერ დაწერილ ,,მოგონებანში'', რომელიც უკვე მოხუცებულობის ჟამს დაწერა, კარგად ჩანს, თუ რა რეჟიმში მიიღო მან აღზრდა-განათლება, რომელიც ისეთი მძიმე აღმოჩნდა მწერლისთვის, რომ მას ასე იხსენებს: „ეხლაც კი, ამ მოხუცებულობის ჟამს, ტანში მაჟრჟოლებს და ციებ-ცხელება ამიტანს ხოლმე, როდესაც წარმოვიდგენ ძველს სკოლასა თვისის განუშორებელი ატრიბუტებით: როზგი, სახაზავი, დაჩოქება კენჭებზედ, სილა, ყურების წიწკნა, თმის გაგლეჯვა და სხვა ათასი სხვა ჯანაბა ,... ვდგევარ ხესავით ინჩი-ბინჩი არა მესმის რა, ჩამომდის ოფლი, მიშხაპუნებენ თავ პირში როზგსა და პანღურის ცემით მისტუმრებენ. მეღვიძება, ხვითქში ვცურავ და მადლობას ვწირავ შემოქმედსა, რომ ეს სიზმარი იყო და არა ცხადი'' (5, 35).

თუ აკაკი წერეთლის ,,ჩემ თავგადასავალში'' წარმოდგენილია ქუთაისის გიმნაზიაში სწავლების პროცესი, სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობაში ,,წარსულიდან'' გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებულ საზარელი პროცესები. დასკვნა ერთია: რუსეთის იმპერიის განათლების სისტემა თავისი მახინჯი მხარეებით ანალოგიური იყო გიმნაზიებსა და თუ სასულიერო სასწავლებლებში. სწორედ ამის მცდელობა წარმოადგინა ორმა რეალისტმა მწერალმა თავის მხატვრულ ტექსტში. ეს იყო არა მარტო ისტორია, არამედ სამომავლოდ გასათვალისწინებელი ფაქტორი.

ლიტერატურა:

1. ნ. ვასაძე, 1998: ვასაძე ნ., ,,პედაგოგიკის ისტორია'', თბილისი, 1998.
2. მ. ზანდუკელი, 1955: ზანდუკელი მ., ,,ახალი ქართული ლიტერატურა'', ტომი III, თბილისი, 1955.
3. ს. მგალობლიშვილი, 1963: მგალობლიშვილი ს., ,,რჩეული ნაწერები'', თბილისი, 1963.
4. გ. თავზიშვილი, 1980: თავზიშვილი გ.. ,,რჩეული პედაგოგიური თხზულებანი'', ტომი III, თბილისი, 1980.
5. ს. მგალობლიშვილი, 1938: მგალობლიშვილი ს., ,,მოგონებანი'', თბილისი, 1938.
6. ა. წერეთელი, 1989: წერეთელი ა., ,,მოთხრობები'', თბილისი, 1989.
7. ქართული ლიტერატურა, ტომი II, თბილისი, 2013.
8. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი IV, თბილისი, 1974.

სქემების გამოყენება სინტაქსის ზოგიერთი საკითხის სწავლებისას

მარიამი ქელეხსაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე,** პროფესორი

დიდია მშობლიური ენის სწავლების პრაქტიკული დანიშნულება, იგი ემსახურება ორთოგრაფიული, სტილისტიკური და პუნქტუაციური ჩვევების ფორმირებას. და ეს ყველაფერი მიმართულია მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების დახვეწისაკენ.

თანამედროვე სალიტერატურო ენაზე დახვეწილად მეტყველება და ნორმების დაცვა აუცილებელ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმედ იქცა. ამიტომ სკოლაც განსაკუთრებული ამოცანის წინაშე დგას. არა მარტო ქართული ენის მასწავლებელი, არამედ მთელი პედაგოგიური კოლექტივი ვალდებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების დახვეწას და განვითარებას. როგორც ვიცით, ქართული ენა ეროვნულ სკოლაში არა მარტო სასწავლო დისციპლინაა, არამედ - სხვა საგანთა სწავლების საფუძველიც. სალიტერატურო ენის სწავლებას საფუძველი დაწყებით სკოლაში ეყრება. აქ ეცნობიან თანამედროვე სალიტერატურო ენის ელემენტარულ წესებს, ხოლო შემდგომ კლასებში ეს ცოდნა უფრო ღრმავდება და რამდენადმე სისტემურ ხასიათს იძენს.

თვალშისაცემია ჩვენი დაუდევარი, ზოგჯერ სულაც უდიერი, უსულგულო დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი. ამას ცხადყოფს ჩვენი ზეპირი თუ წერითი მეტყველება. სამწუხაროდ, ხშირად ვაწყდებით ქართულის დამახინჯების ფაქტებს.

ენას თვალის ჩინივით გაფრთხილება უნდა. ენა, მიწა-წყალთან და სარწმუნოებასთან ერთად, დედაბოძია. იცავდე შენი ენის სიწმინდეს, ეს ნიშნავს, იცავდე ვინაობას, შენს მეობას, ღირსებას, შენი ენის კულტურასა და ისტორიას.

აღრეული, წარყვნილი მეტყველება უწიგნურობის, უკულტურობის პირველი ნიშანია. მეტიც, ილია ამბობდა: „მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის.“ კ. გამსახურდია ბრძანებდა: „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსა.“ „საოცარი პარადოქსია, რომ სიტყვის თავისუფლებამ სავალალოდ დააკნინა დედაენა, რადგან მასმედიაში „თავისუფლად“ გადმოინთხა უწიგნურობაც; სწორედ ამან ათქმევინა დიდ თანამედროვე მწერალს, ოთარ ჭილაძეს მწარე სიმართლე „წერა-კითხვის“ უცოდინარი ჟურნალ-გაზეთების“ თაობაზე, რომლებიც „მასმედიურად აფიქსირებენ ფაქტებს“ (იხ. „ველუმი“ და გოდორი“)“ (3, გვ. 128).

მშობლიური ენის მასწავლებელთა მუშაობის ერთ-ერთ დიდ ნაკლად რჩება ის, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი წერითი და ზეპირი მეტყველების დაბალ კულტურას ავლენს. როდესაც ვკითხულობთ მოსწავლეთა წერით ნაშრომებს, თუნდაც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა თხზულებებს, თვალში გვეცემა მათი ავტორების სტილისტიკურად გაუმართავი, ორთოგრაფიულად და პუნქტუაციურად მოუწესრიგებელი დაბალკულტურული წერითი მეტყველება. მოსწავლეები უკეთ ფლობენ მარტივი წინადადებით აზრის გადმოცემის ტექნიკას, რადგან ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად ერკვევიან მარტივი წინადადების მექანიზმში, თავს ართმევენ წინადადების მთავარი და არამთავარი წევრების სწორი რიგით დალაგებას, მაგრამ როგორც კი ეცდებიან, აზრი გადმოსცენ შერწყმული ან რთული წინადადებებით, ან კიდევ წინადადებაში წარმოადგინონ განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, უმეტეს შემთხვევაში, პუნქტუაციურ, ორთოგრაფიულსა და სტილისტურ შეცდომებს უშვებენ. ზემოთ თქმულში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გადავათვალიერებთ აბიტურიენტთა ნაშრომებს. ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე შემსვლელ აბიტურიენტთა ნაწერებში უამრავი ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომა გვხვდება (რომ აღარაფერი ვთქვათ ლოგიკურსა და ფაქტობრივ შეცდომებზე), რაც გრამატიკის, კერძოდ სინტაქსის, უცოდინარობითაა გამოწვეული. აი, რამდენიმე წინადადება აბიტურიენტთა ნაშრომებიდან: „შუშანიკი როდესაც გაიგებს ვარსქენის მიერ სარწმუნოების უარყოფას, დიდად განრისხდება და თავი კედელს შეალეწა“, „ჩვენ ისეთი გრძნობა გვეუფლება, რომ არაგვი რომელიც ხმაურით მოაგორებს მთებს და ლოდებს თავის აბობოქრებულ ტალღებს ახეთქებს ნაპირებს, ვერ წარმოგვიდგენია უბარათაშვილოდ“. მსგავსი მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ ახერხებს წინადადების სწორად აგებას, მასში სასვენი ნიშნების სწორად დაცვას. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, იმის შედეგია, რომ მასწავლებლები ვერ ერკვევიან შერწყმული და

რთული წინადადების მექანიზმში და მათ სტრუქტურაში. მარტივი და შერწყმული წინადადების სინტაქსს მოსწავლეებს VIII კლასში ვასწავლით, რთულ წინადადებას კი, ძირითადად, IX კლასში" (1, გვ. 113).

სინტაქსის შესწავლით მოსწავლე ეცნობა სიტყვათა და წინადადებათა დაკავშირების წესებს და კანონებს, რითაც სწავლობს ენის გარკვეულ სინამდვილეს. ყოველივე ეს, გარდა იმისა, რომ გარკვეულ ცოდნას აძლევს მოსწავლეს, ხელს უწყობს მის გონებრივ განვითარებას.

სინტაქსის წესებისა და კანონების ცოდნა საფუძვლად ედება მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებას, სათანადო პრაქტიკული ჩვევებით მათ შეიარაღებას და ა. შ. (2, გვ. 174).

სინტაქსის ცოდნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მიერ პუნქტუაციური ცოდნა-ჩვევების გამოსამუშავებლად და გარკვეულ ლოგიკურ ერთეულებად დანაწილებისათვის. სინტაქსის შესწავლა, მისი შეგნებული დაუფლება აწესრიგებს და ამტკიცებს მორფოლოგიური საკითხების ცოდნას, გასაგებს ხდის მოსწავლეთათვის მორფოლოგიის და სინტაქსის ურთიერთობას გრამატიკის სწავლისას და მორფოლოგიის შესწავლის მნიშვნელობას საერთოდ ენისა და, კერძოდ, სინტაქსის დაუფლებისათვის (2, გვ. 174).

გრამატიკის სწავლებისას ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თვალსაჩინოება - საგნობრივიც - ილუსტრირებულიცა და გრაფიკულიც. სინტაქსის სწავლებისას უმთავრესად, გრაფიკულ თვალსაჩინოებას ვიყენებთ.

გრაფიკული თვალსაჩინოების სახეთაგან (ტაბულები, პლაკატები, სქემები) რთული და შერწყმული წინადადების სწავლების პროცესში განსაკუთრებით ხშირად ვიყენებთ სქემებს. სქემების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა გონების აქტივიზაციას, შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებას და, რაც მთავარია, მოსწავლეებს კარგად არკვევს საანალიზო წინადადების სტრუქტურაში. სქემა მოსწავლეებს სათანადო ახსნა-განმარტებით უნდა მოვაწოდოთ და, როდესაც კარგად გაერკვევიან სქემების აგების არსში, ყოველი წინადადების გარჩევის შემდეგ მოვითხოვოთ მისი აგება. ზოგჯერ შეიძლება მხოლოდ სქემა მივცეთ მოსწავლეებს და დავავალოთ, მასზე დაყრდნობით შეადგინონ წინადადება. ასეთი ვარჯიშობა ძლიერ დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა მეტყველების სტილის დახვეწასა და წინადადებათა კონსტრუქციის ნათლად წარმოდგენაში.

განკერძოებულსიტყვებიანი წინადადების სქემად შეიძლება ბავშვებს მივაწოდოთ ოთხკუთხედი, რომელშიაც ერთმანეთისკენ პირშებრუნებული იმდენი კვადრატული ფრჩხილი იქნება (განკერძოებული სიტყვების გამოსახატავად), რამდენ განკერძოებასაც აქვს ადგილი, მაგალითად:

„ვეზერთელა ძერა, ფრთებშეკუმშული და ბრჭყალებდამზადებული, ისარივით მოქროდა ზევიდან". ამ მარტივ წინადადებაში ერთი განკერძოებაა წარმოდგენილი, კერძოდ, განკერძოებული განსაზღვრება გვაქვს, რომელიც წინადადების შიგნითაა მოქცეული. ამიტომ მისი სქემა შეიძლება ასე ავაგოთ: (1, გვ. 114)



„ბიჭოს! რა მსხვილფეხა ნადირი გაბმულა!" (შორისდებული).



თუ წინადადება შერწყმულია, მაშინ ერთგვარი წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ან რომელიმე სახის მაერთებელი კავშირით, ან კავშირის გარეშე - ზეპირ მეტყველებაში - პაუზით, წერით მეტყველებაში - მძიმით. მეტყველებაში ყველაზე ხშირად გვხვდება „და" მაჯგუფებელკავშირიანია შერწყმული წინადადება. ასეთ წინადადებაში იმდენი ერთგვაროვანი წევრია, რამდენი მძიმე და მაერთებელი კავშირიცაა შიგ ერთის მიმატებით. შერწყმული წინადადების სქემას როდესაც ვადგენთ, ეს

უეჭველად უნდა მივიღოთ მხედველობაში. ვთქვათ გვსურს წარმოვიდგინოთ სქემა შერწყმული წინადადებისა „მზე ჩაიწურა და მოეფარა მთებს“. მასში ერთ ქვემდებარესთან ორი შემასმენელია დაკავშირებული, რომელთა შორის მაჯგუფებელი „და“ კავშირია მოცემული, ამიტომ ოთხკუთხედში ჩაიწერება ეს „და“ კავშირი და ამით მისახვედრი გახდება, რომ შერწყმულ წინადადებაში გვქონია ორი ერთგვაროვანი წევრი.

„რთულ თანწყობილ წინადადებაში შედის რამდენიმე მარტივი ან შერწყმული წინადადება, რომელიც ერთმანეთის მიმართ თანასწორები არიან, ე. ი. ერთი მეორისაგან არ მოითხოვს ახსნა - განმარტებას. თანწყობილში შემავალ ცალკეულ წინადადებათა ერთმანეთის მიმართ თანასწორობა შეიძლება სქემაზე გამოვსახოთ ოთხკუთხედებით, რომლებიც ერთ ჰორიზონტალურ ხაზზე არიან განლაგებულნი“ (1, გვ. 117).



ეს რთული თანწყობილი წინადადებაა, რომელშიაც შედის სამი მარტივი, ერთმანეთთან პაუზით (მძიმით) და „და“ კავშირით დაკავშირებული წინადადება. ამ სქემის შესაბამისი რთული თანწყობილი წინადადება იქნება: „უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა და გაისმა მონადირის მხიარული შეძახილი“.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი წინადადებები (მარტივი თუ შერწყმული) ერთმანეთის მიმართ თანასწორნი არ არიან, ერთი (მთავარი წინადადება) მეორისაგან (დამოკიდებულისაგან) მოითხოვს ახსნა-განმარტებას. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ დამოკიდებული წინადადების ადგილი მთავართან მიმართებაში. როგორც ვიცით, დამოკიდებული წინადადება შეიძლება მთავარი წინადადების წინ იყოს მოთავსებული (ე.ი. იწყებდეს რთულ ქვეწყობილ წინადადებას), შეიძლება მოსდევდეს მთავარს ან მთავარი წინადადების შიგნით იყოს მოქცეული. დამოკიდებული წინადადების ადგილი სქემაზედაც თვალნათლივ უნდა აისახოს. მაგალითად: „ალაზანზე რომ მოვედი, ცხენიდან შუა წყალში გადავხტი, დათიკოს ცხენი მოვკალი და წყალს გავატანე“. ამ რთულ ქვეწყობის წინადადებაში დამოკიდებული მთავარის წინ არის მოქცეული (ალაზანზე რომ მივედი), შემდეგ მოდის მთავარი წინადადება, რომელიც თავის მხრივ შერწყმულია (ერთ ქვემდებარესთან სამი შემასმენელია წარმოდგენილი). ამ წინადადების სქემა ასეთი იქნება (1, გვ. 118).



მოსწავლეებს ვასწავლით აგრეთვე რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებსაც, ანუ ისეთ წინადადებებს, რომელთა მთავართან რამდენიმე დამოკიდებულია წარმოდგენილი. რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში დამოკიდებულ წინადადებათა დაქვემდებარების ორგვარი შემთხვევა გვაქვს: თანადაქვემდებარება (როდესაც ყოველი დამოკიდებული წინადადება ახლავს მთავარს) და თანამიმდევრული დაქვემდებარება (როდესაც მთავარს ახლავს დამოკიდებული, ან დამოკიდებულს - თავისი დამოკიდებული და ა.შ.)

„რთული სინტაქსური კონსტრუქციის დროს გვხვდება ისეთი წინადადებაც, რომელშიაც თანწყობაც გვაქვს და ქვეწყობაც; მას შერეული (ნარევი) სახის რთულ წინადადებას ეძახიან. მაგ., „ღამე

იყო ჩინებული, სიო არსაიდან ირხეოდა, დიდებული მთვარე გამოსულიყო, რომ დამტკბარიყო ამ სამოთხისებული მშვენიერებით“.

ამ რთულ სინტაქსურ კონსტრუქციაში ოთხი მარტივი წინადადება შედის. პირველი სამი ერთმანეთთან თანწყობით არის დაკავშირებული, ხოლო მეოთხე წინადადება მესამეზეა დაქვემდებარებული, ყოველივე ეს სქემაზე ასე გამოისახება:“ (1, გვ. 121).



„ექიმი, რომელიც დაუყენეს იაგოს, იმედოვნებდა, რომ რამდენიმე დღე ფეხზე წამოაყენებდა ავადმყოფს და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს, რადგან წარმოუთქმელად გული ეღრინებოდა გირგოლაზედ, რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში“.

ზემოწარმოდგენილ შერეული სახის რთულ წინადადებაში სულ ექვსი მარტივი წინადადება შედის. მათ შორის პირველი და მეოთხე ერთმანეთთან თანწყობის გზით არიან დაკავშირებულნი; პირველი მთავარი წინადადება გაკვეთილია და მის როგორც პირველ, ისე მეორე ნაწილს ახლავს დამოკიდებული წინადადება, მეორე მთავარ წინადადებას (და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს) ახლავს დამოკიდებული, ამ დამოკიდებულს კი - თავისი დამოკიდებული. ეს რთული კონსტრუქცია ნათლადაა ასახული სქემაზე: (1, გვ. 121).



ამრიგად, სქემების გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება არა მარტო მოცემული წინადადების კონსტრუქციის გარკვევაში, არამედ აგებულების მიხედვით სასურველი სახის წინადადების სწორად შექმნა-ჩამოყალიბებაში.

ლიტერატურა:

1. რუსუდან ლიპარტელიანი, ქართული ენის სწავლების ზოგიერთი საკითხი (IV-IX კლასები), თბ., 1999.

2. მარიამ თალაკვაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1975.
3. ლალი ავალიანი, „დედამიწის წინაშე ცოდვილნი“, თბ., 2004.
4. http://sangu.ge/images/ninojashi.pdf

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

ეილერის პირველი და მეორე გვარის ინტეგრალები და მისი გამოყენება ალბათობათა თეორიაში და მათემატიკურ სტატისტიკაში

ნინო ბალიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე,** პროფესორი

მათემატიკური ანალიზის მრავალ საკითხში დიდ როლს ასრულებს ეგრეთწოდებული ეილერის პირველი და მეორე გვარის ინტეგრალები. ამ ინტეგრალებს აქვს სახე:

$$B(p,\ q) = \int_0^1 x^{p-1}\,(1-x)^{q-1}dx, \qquad (1)$$

$$\Gamma(\mathrm{p}) = \int_0^\infty x^{p-1}e^{-x}\,dx, \qquad (2)$$

B(p, q) ინტეგრალს ეწოდება ეილერის პირველი გვარის ინტეგრალი, ხოლო Γ(p)-ს კი ეილერის მეორე გვარის ინტეგრალი.

ადვილი დასამტკიცებელია, რომ (1) ინტეგრალი კრებადია, როცა p >0, q>0, ხოლო (2) ინტეგრალი არის კრებადი, როცა p >0. თუ p და q რიცხვებიდან ერთი მაინც არადადებითია, მაშინ (1) ინტეგრალი განშლადია. ასევე, თუ p ≤0, მაშინ (2) ინტეგრალი განშლადია. ამიტომ, შემდეგში ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ p> 0, q>0.

ახლა ვიგულისხმოთ, რომ p>1. თუ (2) ინტეგრალში გამოვიყენებთ ნაწილობითი ინტეგრალის ფორმულას, მივიღებთ :

$$\Gamma(\mathrm{p}) = [-x^{p-1}e^{-x}]_0^\infty + (p-1)\int_0^\infty x^{p-2}e^{-x}\,dx = (p-1)\int_0^\infty x^{p-2}e^{-x}\,dx = (p-1)\,\Gamma(\mathrm{p}-1).$$

ამრიგად,

$$\Gamma(\mathrm{p}) = (p-1)\,\Gamma(\mathrm{p}-1). \qquad (3)$$

ამ ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ Γ(p) ფუნქციის მნიშვნელობის გამოთვლა შეგვიძლია დავიყვანოთ ამ ფუნქციის იმ მნიშვნელობის გამოთვლაზე, როცა 0< p ≤1.

ვთქვათ, კერძო p = n, სადაც n მთელი დადებითი რიცხვია. თუ (3) ფორმულას გამოვიყენებთ n−1 ჯერ, მივიღებთ

$$\Gamma(n) = (n-1)!\,\Gamma(1).$$

მაგრამ

$$\Gamma(1) = \int_0^\infty e^{-x}dx = 1.$$

მაშასადამე,

$$\Gamma(n) = (n-1)! \qquad (4)$$

დავამტკიცოთ ახლა შემდეგი ფორმულის სამართლიანობა:

$$B(p,\ q) = \frac{\mathrm{r(p)}\cdot\mathrm{r(q)}}{\mathrm{r(p+q)}}\,. \qquad (5)$$

ამისათვის (2) ინტეგრალში მოვახდინოთ ჩასმა

$$x = at,$$

სადაც $a > 0$. გვაქვს :

$$\Gamma(\mathrm{p}) = a^p\int_0^\infty t^{p-1}e^{-at}\,dt,$$

აქედან

$$\frac{1}{a^p} = \frac{1}{\Gamma(p)} \int_0^\infty t^{p-1}\, e^{-at} dt. \qquad (6)$$

ახლა, (1) ინტეგრალში თუ მოვახდენთ ჩასმას

$$x = \frac{t}{1+t},$$

მივიღებთ:

$$B(p,\ q) = \int_0^\infty \frac{t^{p-1}}{(1+t)^{p+q}} dt\ . \qquad (7)$$

თუ (6) ტოლობაში p -ს შევცვლით p + q -თი, ხოლო a-ს $(1+y)$ -ით, მივიღებთ:

$$\frac{1}{(1+y)^{p+q}} = \frac{1}{\Gamma(p+q)} \int_0^\infty t^{p+q-1} e^{-(1+y)t} dt\ .$$

ტოლობის ორივე ნაწილი გავამრავლოთ $y^{p-1}dy$ -ზე და შემდეგ მოვახდინოთ ინტეგრირება 0-დან ∞-მდე, მივიღებთ :

$$\int_0^\infty \frac{y^{p-1}dy}{(1+y)^{p+q}} = \frac{1}{\Gamma(p+q)} \int_0^\infty y^{p-1} dy \int_0^\infty t^{p+q+1}\, e^{-(1+y)t} dt\ ,$$

ანუ, თანახმად (7) ტოლობისა ,

$$B(p,\ q) = \frac{1}{\Gamma(p+q)} \int_0^\infty y^{p-1}\, dy \int_0^\infty t^{p+q-1}\, e^{-(1+y)t} dt\ .$$

მე-8 თეორემის საფუძველზე ადვილად მტკიცდება შემდეგი ტოლობის სამართლიანობა:

$$\int_0^\infty y^{p-1}\, dy \int_0^\infty t^{p+q-1} e^{-(1+y)t} dt = \int_0^\infty dt \int_0^\infty y^{p-1} t^{p+q-1} e^{-(1+y)t}\, dy\ .$$

მაშასადამე,

$$B(p,\ q) = \frac{1}{\Gamma(p+q)} \int_0^\infty t^{p+q-1}\, e^{-t} dt \int_0^\infty y^{p-1}\, e^{-ty} dy\ .$$

მაგრამ, მე-6 ფორმულის ძალით

$$\int_0^\infty y^{p-1}\, e^{-ty} dy = \frac{\Gamma(p)}{t^p}\ .$$

ამიტომ,

$$B(p,\ q) = \frac{1}{\Gamma(p+q)} \int_0^\infty t^{p+q-1}\, e^{-t} \frac{\Gamma(p)}{t^p} dt = \frac{\Gamma(p)}{\Gamma(p+q)} \int_0^\infty t^{q-1}\, e^{-t} dt = \frac{\Gamma(p)\ \cdot \Gamma(q)}{\Gamma(p+q)}\ .$$

ამრიგად, დამტკიცებულია (5) ტოლობის სამართლიანობა. (5) ფორმულა ამყარებს კავშირს B(p, q) და Γ(p) ფუნქციებს შორის.

(5) ფორმულის საფუძველზე ადვილი შესამჩნევია, რომ

$$B(p,\ q) = B(q,\ p)\ . \qquad (8)$$

ეს იმას ნიშნავს, რომ B(p, q) არის p და q-ს სიმეტრიული ფუნქცია.

ახლა გამოვიყვანოთ დაყვანის ფორმულა B(p, q) ინტეგრალისათვის.

ვთქვათ, q>1 . ნაწილობითი ინტეგრების ფორმულის ძალით გვაქვს :

$$B(p,\ q) = \int_0^1 x^{p-1}(1-x)^{q-1} dx = [\frac{x^p(1-x)^{q-1}}{p}]_0^1 + \frac{q-1}{p} \int_0^1 x^p (1-x)^{q-2}\, dx = \frac{q-1}{p} \int_0^1 [x^{p-1} - x^{p-1}\,(1-x)](1-x)^{q-2} dx = \ = \frac{q-1}{p} \int_0^1 x^{p-1}\,(1-x)^{q-2} dx - \frac{q-1}{p} \int_0^1 x^{p-1}\,(1-x)^{q-1} dx$$

ამრიგად ,

$$B(p,\ q) = \frac{q-1}{p}\, \mathrm{B}(\mathrm{p},\ \mathrm{q}-1) - \frac{q-1}{p} B(p,\ q)\ .$$

აქედან

$$B(p,\ q) = \frac{q-1}{p+q-1}\, B(p,\ q-1)\ . \qquad (9)$$

ეს ფორმულა შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ მიზნით, რომ შევამციროთ q, როცა q>1. მაშასადამე, (9) ფორმულის ძალით ყოველთვის შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ q≤1.

თუ p >1, მაშინ (8) და (9) ფორმულების ძალით მივიღებთ:

$$B(p,\ q) = \frac{p-1}{p+q-1}\, B(p-1,\ q)\ . \qquad (10)$$

იმ შემთხვევაში, როცა $q = n$, სადაც n მთელი დადებითი რიცხვია, (9) ფორმულის თანდათანობითი გამოყენებით მივიღებთ :

$$B(p,n) = \frac{(n-1)(n-2)\ldots 1}{(p+n-1)(p+n-2)\ldots(p+1)} B(p,1)\ .$$

მაგრამ

$$B(p,1) = \int_0^1 x^{p-1} dx = \frac{1}{p}\ .$$

მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ (8) ფორმულას, გვექნება:

$$B(p,n) = B(n,\ p) = \frac{1.2.3\ldots(n-1)}{p(p+1)(p+2)\ldots(p+n-1)}\ . \qquad (11)$$

თუ (7) ფორმულაში დავუშვებთ $q = 1-p$, სადაც $0 < p < 1$, და გავითვალისწინებთ (5) ფორმულას, მივიღებთ

$$\Gamma(\mathrm{p})\Gamma(1-\mathrm{p}) = \int_0^\infty \frac{\mathrm{t}^{\mathrm{p}-1}}{1+\mathrm{t}} dt\ .$$

გამოვთვალოთ ინტეგრალი

$$I=\int_0^\infty \frac{t^{p-1}}{1+t}dt\,. \qquad (12)$$

ჯერ ვიგულისხმოთ, რომ p რიცხვს აქვს სახე:

$$p=\frac{2m+1}{2n}\ ,$$

სადაც m და n მთელი დადებითი რიცხვებია, მასთან $m<n$. (12) ინტეგრალში თუ მოვახდენთ ჩასმას

$$t=x^{2n}\ ,$$

მივიღებთ:

$$I=2n\int_0^\infty \frac{x^{2m}}{1+x^{2n}}dx\,.$$

მაგრამ წინა აბზაცში დავამტკიცეთ, რომ

$$\int_0^\infty \frac{x^{2m}}{1+x^{2n}}dx=\frac{\pi}{2n}\times\frac{1}{sin\frac{2m+1}{2n}\pi}\ .$$

მაშასადამე,

$$I=\frac{\pi}{sin\frac{2m+1}{2n}\pi}=\frac{\pi}{si\,p\,\pi}\ .$$

ახლა დავუშვათ, რომ p არის 1-ზე ნაკლები ნებისმიერი დადებითი რიცხვი.

ჯერ დავამტკიცოთ, რომ ინტეგრალი $\int_0^\infty \frac{t^{p-1}}{1+t}dt$ არის უწყვეტი ფუნქცია p-ს მიმართ (0,1) ინტერვალში.

ავიღოთ 0 და 1-ს შორის ორი ნებისმიერი რიცხვი p_1 და p_2:

$$0<p_1<p_2<1\,.$$

გვაქვს

$$I=\int_0^\infty \frac{t^{p-1}}{1+t}dt=I=\int_0^1 \frac{t^{p-1}}{1+t}dt+I=\int_1^\infty \frac{t^{p-1}}{1+t}dt=I_1+I_2\,.$$

ვაჩვენოთ, რომ I_1 და I_2 ინტეგრალები თანაბრად კრებადია $[\,p_1,p_2]$ შუალედში. მართლაც,

$$I_1<\int_0^1 \frac{t^{p_1-1}}{1+t}dt,\ I_2<\int_0^\infty \frac{t^{p_2-1}}{1+t}dt\,.$$

აქედან გამომდინარეობს I ინტეგრალის თანაბარი კრებადობა p-ს მიმართ $[\,p_1,p_2]$ შუალედში. მაშასადამე, I ინტეგრალი უწყვეტია (0,1) შუალედში.

შემდეგ, p-ს ყოველი მნიშვნელობას (0,1) შუალედიდან შეგვიძლია მივუახლოვდეთ $\frac{2m+1}{2n}$ სახის რიცხვებით, სადაც m და n მთელი დადებითი რიცხვებია, მასთან $m<n$. ამიტომ

$$\int_0^\infty \frac{t^{p-1}}{1+t}dt=\lim_{\frac{2m+1}{2n}\to p}\int_0^\infty \frac{t^{\frac{2m+1}{2n}-1}}{1+t}dt=\lim_{\frac{2m+1}{2n}\to p}\frac{\pi}{sin\frac{2m+1}{2n}}=\frac{\pi}{sinp\pi}\ .$$

ამრიგად,

$$\Gamma(p)\Gamma(1-p)=\frac{\pi}{sinp\pi}\,. \qquad (13)$$

(13) ფორმულას ეწოდება დამატების ფორმულა.

ვთქვათ $p=\frac{1}{2}$. მაშინ (13) ფორმულა გვაძლევს:

$$[\Gamma(\tfrac{1}{2})]^2=\pi\ .$$

აქედან

$$\Gamma(\tfrac{1}{2})=\sqrt{\pi}\ . \qquad (14)$$

ე.ი

$$\int_0^\infty t^{-\frac{1}{2}}e^{-t}dt=\sqrt{\pi}\ . \qquad (15)$$

თუ ამ ინტეგრალში მოვახდენთ ჩასმას $t=x^2$, მივიღებთ:

$$\int_0^\infty e^{-x^2}dx=\frac{\sqrt{\pi}}{2}\ .$$

ჩვენ ვამბობთ, რომ X შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია B (ბეტა) განაწილების კანონით $X\sim B\,(x,\alpha,\beta)$

თუ მის სიმკვრივეს აქვს სახე:

$$F_x(x)=\frac{x^{\alpha-1}(1-x)^{\beta-1}}{\int_0^1 x^{\alpha-1}(1-x)^{\beta-1}dx} \qquad 0\le x\le 1$$

პარამეტრები: $\alpha>0,\ \beta>0.$

ეს არის ეილერის პირველი გვარის ინტეგრალი.

მაშინ, X შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური სტატისტიკა

$$E(x)=\frac{\alpha\beta}{(\alpha+\beta)^2(\alpha+\beta+1)}$$

ჩვენ ვამბობთ, რომ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია Γ(გამა) განაწილების კანონით $X \sim \Gamma(x, \alpha, \beta)$
თუ მის სიმკვრივეს აქვს სახე :

$$F_x(x) = \frac{x^{\alpha-1}e^{-x/\beta}}{\beta^{\alpha}\Gamma(\alpha)},$$

სადაც, $\Gamma(\alpha) = \int_0^{\infty} x^{\alpha-1}\, e^{-x}\, dx$,
პარამეტრები : $\alpha > 0,\ \beta > 0.$
მაშინ, $E(x) = \alpha \times \beta$ $D(x) = \alpha \times \beta^2$ $6(x) = \beta \times \sqrt{\alpha}$.

ლიტერატურა :
1. ვლ. ჭელიძე, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, გამომც. „ცოდნა“, თბილისი, 1964.
2. ნ. ლაზრიევა, მ. მანია, გ. მარი, ა. მოსიძე, ა. ტორონჯაძე, თ. ტორონჯაძე, თ. შერვაშიძე, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლებელი „ESM - თბილისი“, ფონდი „ევრაზია“, თბილისი, 2000.

ქიმიური სინთეზის ამოცანის მოდელირება წინადადებათა ლოგიკის ენაზე

ნინო ბალიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიმზერ საათაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ნაშრომის მიზანია, ვაჩვენოთ უმარტივესი ლოგიკის ის მეთოდები და ელემენტები, რომლებიც გამოიყენება საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დარგის ამოცანების მოდელირებისათვის, რაც გულისხმობს საკვლევი ობიექტების შესწავლას მის მოდელში.

წინადადებათა ლოგიკა შეისწავლის შინაარსისაგან აბსტრაგირებულ თხრობით წინადადებებს, რომლებიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი (მესამეს გამორიცხვის კანონი) და არ შეიძლება იყოს ერთდროულად ჭეშმარიტიც და მცდარიც (წინააღმდეგობის კანონი).

წინადადებათა ლოგიკის მარტივ წინადადებებს ანიჭებენ ჭეშმარიტულ მნიშვნელობებს ,,ჭეშმარიტი" ან ,,მცდარი". მათ, შესაბამისად, აღნიშნავენ ,,ჭ" ასოთი (აგრეთვე იხმარება t ან l) და ,,მ" ასოთი (აგრეთვე f ან 0). წინადადებათა ლოგიკის მარტივ წინადადებათა მაგალითებია:

1) სამკუთხედის შიგა კუთხეთა ჯამი 180^0-ია.
2) ქმედება უდრის უკუქმედებას.
3) ყველა ცოცხალი ორგანიზმი სუნთქავს.
4) წყალბადის ვალენტობა არის 1.
5) 7 ლუწი რიცხვია.

შეთანხმებებით, მარტივ წინადადებათა აღსანიშნავად იყენებენ p, Q , R, $P_1, Q_1, R_1, \ldots$ და ა.შ. სიმბოლოებს . ამ სიმბოლოებს ატომებს, ანუ ატომალურ ფორმულებს უწოდებენ.

წინადადებათა ლოგიკის მარტივი წინადადებებისაგან ¬ (იკითხება „არა“), V (იკითხება „ან“), Λ (იკითხება „და“), → (იკითხება „თუ ... მაშინ ...“), ↔ (იკითხება „...მაშინ და მხოლოდ მაშინ ...“) ლოგიკური კავშირების (ოპერატორების) დახმარებით იგება რთული წინადადებები. მათი შინაარსი ასე განისაზღვრება:

1. უარყოფის ოპერატორი. A წინადადების უარყოფა აღინიშნება ასე ¬A და განსაზღვრით არის ახალი წინადადება, რომელიც ჭეშმარიტია, როცა A მცდარია და მცდარია, როცა A ჭეშმარიტია

A	¬A
ჭ	მ
მ	ჭ

ცხრილი 1

მაგალითი. თუ A-თი აღვნიშნავთ წინადადებას: „დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო“, მაშინ ¬A-თი აღინიშნება შემდეგი წინადადება: „დედამიწა არ ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო“.

2. კონიუნქციის ოპერატორი. A და B წინადადებების კონიუნქცია აღინიშნება ასე A Λ B და განსაზღვრით არის ახალი წინადადება, რომელიც ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა A და B ორივე ჭეშმარიტია.

A	B	AΛB
ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ
მ	ჭ	მ
მ	მ	მ

ცხრილი 2

მაგალითი. თუ A-თი აღვნიშნავთ წინადადებას: „ველოსიპედისტი წრფივად მოძრაობს“, ხოლო B-თი „ველოსიპედისტი თანაბრად მოძრაობს“, მაშინ AΛB-თი აღინიშნება შემდეგი წინადადება: „ველოსიპედისტი წრფივად და თანაბრად მოძრაობს“.

3. დიზიუნქციის ოპერატორი. A და B წინადადებების დიზიუნქცია აღინიშნება ასე A V B და განსაზღვრით არის ახალი წინადადება, რომელიც მცდარია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა A და B მცდარია .

A	B	AVB
ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	ჭ
მ	ჭ	ჭ
მ	მ	მ

ცხრილი 3

მაგალითი. თუ A-თი აღვნიშნავთ წინადადებას: „ნეირონი იმყოფება აგზნებულ მდგომარეობაში“ , ხოლო B-თი „ნეირონი იმყოფება უძრავ მდგომარეობაში“ , მაშინ AVB-თი აღინიშნება შემდეგი წინადადება : „ნეირონი იმყოფება აგზნებულ მდგომარეობაში ან უძრავ მდგომარეობაში“.

4. ***გამომდინარეობის ოპერატორი.*** A და B წინადადებების ლოგიკური გამომდინარეობა აღინიშნება ასე A→B და განსაზღვრით არის ახალი წინადადება, რომელიც მცდარია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა A ჭეშმარიტია, B მცდარია.

A	B	A → B
ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ
მ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ

ცხრილი 4

მაგალითი. თუ A-თი აღვნიშნავთ წინადადებას: „n ლუწი რიცხვია“, ხოლო B-თი „n იყოფა 2-ზე“, მაშინ A → B-თი აღინიშნება შემდეგი წინადადება: „თუ n ლუწი რიცხვია, მაშინ n იყოფა 2-ზე“ .

5. ექვივალენტობის ოპერატორი. A და B წინადადებების ექვივალენტობა აღინიშნება ასე A↔B და განსაზღვრით არის ახალი წინადადება, რომელიც ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა A და B ორივე ჭეშმარიტია, ან ორივე მცდარია.

A	B	A↔ B
ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ
მ	ჭ	მ
მ	მ	ჭ

ცხრილი 5

მაგალითი. თუ A-თი აღვნიშნავთ წინადადებას: „3n კენტი რიცხვია“, ხოლო B-თი „n კენტია“, მაშინ A ↔ B-თი აღინიშნება შემდეგი წინადადება : „3n კენტი რიცხვია, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა n კენტია“.

ვთქვათ, A მოცემული ფორმულაა, ხოლო $p_{1,\dots,}\, p_n$ კი A-ში შემავალი განსხვავებული ატომების სრული გადათვლა, მაშინ A ფორმულის ინტერპრეტაცია არის $p_{1,\dots,}\, p_n$ ატომებისათვის ჭეშმარიტული მნიშვნელობების ისეთი მინიჭება, რომლის დროსაც თითოეულ p_i -ს (i=1,…, n) მიეწერება ან „ჭ“, ან „მ“ (მაგრამ ორივე ერთდროულად არა) .

თუ მოცემულ ფორმულაში არის n სხვადასხვა ატომი, მაშინ ამ ფორმულას ექნება 2^n სხვადასხვა ინტერპრეტაცია .

მათემატიკაში, ისევე როგორც ნებისმიერ დარგში, ხშირად გვჭირდება იმის გაგება, არის თუ არა მოცემული წინადადება (ფორმულა) სხვა წინადადებების (ფორმულების) ლოგიკური შედეგი .

B ფორმულას ეწოდება $A_{1,\dots,}A_n$ ფორმულების ლოგიკური შედეგი, თუ ყველა ინტერპრეტაციაში, რომელშიც $A_1 \wedge \dots \wedge A_n$ ფორმულა ჭეშმარიტია, B-ც ჭეშმარიტია.

თეორემა 1. B ფორმულა არის $A_{1,\dots,}A_n$ ფორმულების ლოგიკური შედეგი, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $(A_1 \wedge \dots \wedge A_n) \to B$ ფორმულა არის იგივურად ჭეშმარიტი .

თეორემა 2. B ფორმულა არის $A_{1,\dots,}A_n$ ფორმულების ლოგიკური შედეგი, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $(A_1 \wedge \dots \wedge A_n) \wedge \neg B$ ფორმულა არის იგივურად მცდარი .

ქიმიური სინთეზის ამოცანის არსი მდგომარეობს შემდეგში: ვთქვათ, მოცემული გვაქვს სხვადასხვა ნივთიერებების გარკვეული რაოდენობა და შესაძლებელია გარკვეული ქიმიური რეაქციების ჩატარება. გვაინტერესებს, შეიძლება თუ არა ჩვენთვის სასურველი ნივთიერებების მიღება. ამ ტიპის ამოცანებს წინადადებათა ლოგიკა წარმატებით წყვეტს.

წინადადებათა ლოგიკის დახმარებით ქიმიური სინთეზის ამოცანის ამოხსნისათვის საჭიროა:

ა) ამოცანა ჩაიწეროს წინადადებათა ლოგიკის ენაზე - შეიქმნას ამოცანის ლოგიკური მოდელი.

ბ) მოცემულ ლოგიკურ მოდელზე ლოგიკის კანონების გამოყენებით გაეცეს კითხვებზე პასუხი.

ცნობილია, რომ მოდელირება არის საკვლევი ობიექტის შესწავლა მის მოდელში. ქიმიური სინთეზის ამოცანის შესწავლა ჩვენ გადავწყვიტეთ მის ლოგიკურ მოდელში.

მოვახდინოთ ქიმიური სინთეზის კონკრეტული ამოცანის მოდელირება.

ვთქვათ, გვაქვს ნახშირბადის ერთი ატომი და ჟანგბადის ორი ატომი. გარდა ამისა, შესაძლებელია შემდეგი C+ O_2 = C O_2 ქიმიური რეაქციის ჩატარება. ვაჩვენოთ, რომ ამ პირობებში შეგვიძლია ნახშირბადის ოქსიდის მიღება.

როგორც ცნობილია, მარტივ წინადადებების მოდელი წინადადებათა ლოგიკის ენაზე არის ატომარული ფორმულები. შევინარჩუნებთ რა მენდელეევის პერიოდულ სისტემაში შემოტანილ აღნიშვნებს - წინადადებების „მაქვს ნახშირბადის ერთი ატომი“, „მაქვს ჟანგბადის ორი ატომი“ და „მაქვს ერთი მოლეკულა ნახშირბადის ოქსიდი“ - ლოგიკური მოდელია შესაბამისად C, O_2 , და C O_2 ატომალური ფორმულები. აქედან გამომდინარე „თუ მაქვს ნახშირბადის ერთი ატომი და ჟანგბადის ორი ატომი, მაშინ მექნება ერთი მოლეკულა ნახშირბადის ოქსიდი“ წინადადების ლოგიკური მოდელია:

$$(C \wedge O_2) \to C\, O_2$$

ამ ამოცანის ლოგიკური მოდელია:

1. C
2. O_2
3. $(C \wedge O_2) \to C\, O_2$

C O_2

ე.ი. მოცემული გვაქვს C, O_2 , $(C \wedge O_2) \to C\, O_2$, ფორმულების და გვაინტერესებს C O_2 არის თუ არა მოცემული ფორმულების ლოგიკური შედეგი . იმისათვის, რომ C O_2 იყოს C, O_2 და $(C \wedge O_2) \to C\, O_2$ ფორმულების ლოგიკური შედეგი, საკმარისია შემდეგი ფორმულა $(C \wedge O_2 \wedge ((C \wedge O_2) \to C\, O_2)) \to C\, O_2$ იყოს იგივურად ჭეშმარიტი.

მართლაც, თუ გამოვიყენებთ ძირითად ტოლძალოვნებებს და მოვახდენთ მოცემული ფორმულის ტოლძალოვან გარდაქმნებს, მივიღებთ:

$(C \wedge O_2 \wedge ((C \wedge O_2) \to C\, O_2)) \to C\, O_2 \equiv \neg(C \wedge O_2 \wedge ((C \wedge O_2) \to C\, O_2)) \vee C\, O_2 \equiv$

$\equiv \neg(C \wedge O_2) \vee \neg (\neg(C \wedge O_2) \vee C\, O_2) \vee C\, O_2 \equiv \neg(C \wedge O_2) \vee ((C \wedge O_2) \wedge \neg C\, O_2) \vee C\, O_2 \equiv$

$\equiv((\neg (C \wedge O_2) \vee (C \wedge O_2)) \wedge(\neg (C \wedge O_2) \vee \neg C\, O_2)) \vee C\, O_2 \equiv(ჭ \wedge (\neg(C \wedge O_2) \vee \neg C\, O_2))\vee C\, O_2 \equiv$

$\equiv(\neg (C \wedge O_2) \vee \neg C\, O_2) \vee C\, O_2 \equiv \neg (C \wedge O_2) \vee \neg C\, O_2 \vee C\, O_2 \equiv \neg (C \wedge O_2) \vee ჭ = ჭ$

ე.ი. ეს ფორმულა იგივურად ჭეშმარიტია. მაშასადამე, თეორემა 1-ის თანახმად C O_2 ფორმულა არის C, O_2 და (C Λ O_2)→ C O_2 ფორმულების ლოგიკური შედეგი. ლოგიკური შედეგის განსაზღვრების თანახმად, თუ „გვაქვს ნახშირბადის ერთი ატომი“, „გვაქვს ჟანგბადის ორი ატომი“ და „თუ გვაქვს ნახშირბადის ერთი ატომი და ჟანგბადის ორი ატომი, მაშინ გვექნება ნახშირბადის ერთი მოლეკულა“ წინადადებები ჭეშმარიტია, მაშინ ჭეშმარიტია წინადადება „გვექნება ნახშირბადის ოქსიდის ერთი მოლეკულა“.

ლიტერატურა:

1. გ. საათაშვილი, ნ. სხირტლაძე, ლ. ტიბუა, გ. ჭანკვეტაძე, მოდელირება წინადადებათა ლოგიკის ენაზე, თბ., 2000.
2 . მ. მუმლაძე, დისკრეტული მათემატიკა, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2011.

წერტილოვანი შეფასების მაგალითები

გიორგი თამლიანი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე,** ასოცირებული პროფესორი

პრაქტიკაში რაიმე ექსპერიმენტის შესწავლისას, როგორც წესი, მისი აღმწერი ალბათური მოდელი შეიცავს ამა თუ იმ განუზღვრელობას ექსპერიმენტის შესაძლო შედეგების ალბათური განაწილების შესახებ. პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას ხშირად საჭირო ხდება L(X) განაწილების პოპულაციიდან მიღებული X_1, X_2 ……, X_n შერჩევის საშუალებით გავაკეთოთ დასკვნა განაწილების რაიმე უცნობი θ პარამეტრის შესახებ ანუ „შევაფასოთ“ θ პარამეტრი. დავუშვათ, ცნობილია Θ სიმრავლე, რომელშიც უნდა ვეძებოთ θ პარამეტრი.

როგორც ვიცით, X_1, X_2 ……,X_n შერჩევის ნებისმიერ T_n= T_n(X_1, X_2 ……, X_n) ფუნქციას ეწოდება სტატისტიკა. რადგან T_n შემთხვევითი სიდიდეების ფუნქციაა, ამიტომ თავადაც შემთხვევით სიდიდეს წარმოადგენს, როდესაც შერჩევა უკვე ჩატარებულია და მიღებული გვაქვს X_1, X_2 ……, X_n შემთხვევითი სიდიდეების $(x_1, x_2,..., x_n)$ რეალიზაცია, მაშინ T_n ღებულობს T_n= $T_n(x_1, x_2,..., x_n)$ რიცხვით მნიშვნელობას.

უცნობი θ პარამეტრის წერტილოვანი შემფასებელი ეწოდება ნებისმიერ T_n(X_1, X_2 ……, X_n) სტატისტიკას, რომელიც, გარკვეული სტატისტიკური აზრით, არის პარამეტრის ჭეშმარიტი მნიშვნელობის მიახლოება და არ არის დამოკიდებული θ-ზე. სტატისტიკის რიცხვით მნიშვნელობას, რომელიც გამოითვლება შესაბამისი ფორმულით, პარამეტრის წერტილოვანი შეფასება ეწოდება, ვინაიდან ასეთი შეფასება ერთი რიცხვით (წერტილით) მოიცემა. გარკვეული სტატისტიკური შეფასება და ხშირად აღინიშნება $\hat{\theta}_n$ სიმბოლოთი $\hat{\theta}_n=\hat{\theta}_n(x_1, x_2,..., x_n)$.

განვიხილოთ პრაქტიკული ამოცანა: კალათბურთის გუნდის მწვრთნელი აკვირდება ახალ მოთამაშეს, რათა დაადგინოს მისი შედეგიანი სროლების პროცენტული მაჩვენებელი. სამ დღეში მას დაუგროვდა მონაცემები.

დღეები	I	II	III
სროლები	30	40	28
შედეგიანი სროლები	20	30	22

ამოცანის ამოხსნის მიზანია: შევაფასოთ ბურთის კალათში ტყორცნის სიზუსტე, ანუ ზუსტი სროლის ალბათობა.

პოპულაცია (კალათბურთელის ყველა შესაძლო სროლების სიმრავლე) ცხადია, წარმოსახვითია და დიდი მოცულობისაა. თითოეული სროლის შედეგი იყოს X შემთხვევითი სიდიდე, რომელიც იღებს მნიშვნელობას 1, თუ ბურთი კალათში მოთავსდა და 0 თუ არ მოთავსდა. თუ ზუსტი სროლის ალბათობაა

p, მაშინ X-ს აქვს ბერნულის განაწილება p პარამეტრით. X-bi(1,P), ცხადია ეს არის პოპულაციის განაწილება L(X)Єbi(1,P). მწვრთნელის მიზანია შეაფასოს P ალბათობა.

როგორც ცნობილია, EX=p; D(X)-pq. შეფასებად გამოვიყენოთ სტატისტიკა $T_n = \overline{X}_n = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} X_i$.

პირველ დღეს ჩატარებული n=30 მოცულობის შერჩევისათვის $\hat{p}_1 = \overline{x}_{30} = \frac{20}{30} = \frac{2}{3}$.

მეორე დღეს ჩატარებული n=40 მოცულობის შერჩევისათვის შერჩევისათვის $\hat{p}_2 = \overline{x}_{40} = \frac{3}{4}$.

მესამე დღეს - $\hat{p}_3 = \overline{x}_{28} = \frac{22}{28} = \frac{11}{14}$.

საბოლოოდ მწვრთნელები მოთამაშის სროლების შედეგიანობას შეაფასებს $\hat{p}_1$, $\hat{p}_2$ და $\hat{p}_3$ რიცხვების საშუალო არითმეტიკულით:

$$\hat{p}_4=\frac{1}{3}(\hat{p}_1+\hat{p}_2+\hat{p}_3)=0{,}7341.$$

მას შეეძლო ყველა განხორციელებული 98 სროლისათვის გამოეთვალა ფარდობითი სიხშირე,

$$\hat{p}_5=\frac{72}{98}=0{,}7347.$$

მაშასადამე, მიღებულია სროლის სიზუსტის ორი შეფასება $\hat{p}_4$ და $\hat{p}$, რომლებიც უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ნებისმიერი მათგანის მიხედვით, მწვრთნელი თვლის, რომ ამ კალათბურთელის სროლათა 73% შედეგიანია.

ყველა სტატისტიკა კარგ შედეგს ვერ მოგვცემს, ზოგიერთი მათგანის საშუალებით მიღებული შედეგები რეალურ სურათს აშკარად ვერ ასახავს. ამის საჩვენებლად მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი:

ხორცის მწარმოებელმა კომპანიამ გადაწყვიტა შეესწავლა ქალაქ გორის ერთ-ერთ სუპერმარკეტში საქონლის ხორცზე მოთხოვნა. ფირმამ საბუღალტრო ანგარიშებიდან ამოწერა მონაცემები ამ ობიექტზე საქონლის ხორცის ყოველდღიური გაყიდვების შესახებ.

i	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
x_1	34	15	17	24	30	20	14	35	37	35
i	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
x_1	25	24	27	28	40	37	35	33	34	37

როგორ შევაფასოთ საშუალო დღიური მოთხოვნა საქონლის ხორცზე ამ მაღაზიაში?

ცხადია, პოპულაციას წარმოადგენს ყოველდღე საქონლის ხორცზე მოთხოვნათა რაოდენობა. ჩვენ კი გვაქვს გაყიდული ხორცის წონები. ბუნებრივია მოთხოვნა და გაყიდული რაოდენობა ერთმანეთს შეიძლება არ ემთხვეოდეს, იმ მიზეზით, რომ შეიძლება გასაყიდი ხორცი დამთავრდეს და იმ დღეს ზოგიერთმა მყიდველმა ვერ შეძლოს მისი ყიდვა. მაგრამ ჩვენ ჩავთვალოთ, რომ ასეთი რამ არ ხდება და ყოველდღე დარჩენილ ხორცს ინახავდნენ მეორე დღისათვის. მაშასადამე, გვაქვს n=30 მოცულობის შერჩევა ე. ი. გვაქვს X_1, X_2 ……, X_{20} დამოუკიდებელი ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდე, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს დღის განმავლობაში გაყიდული ხორცის წონას. განვიხილოთ სტატისტიკა.

$$T_{20}=\frac{X1,X2,\ldots\ldots,X20}{20}=\overline{X}_{20}.$$

როგორც ვაჩვენეთ, შერჩევითი საშუალო $\overline{X}$ შეიძლება მივიჩნიოთ გაყიდული ხორცის დღიური წონის სიდიდის (და მაშასადამე მოთხოვნის) საშუალოდ. მოცემული x_1,x_2, …., x_{20} რეალიზაციისათვის გამოთვლით ვღებულობთ:

$$\overline{x} = \frac{1}{20}\sum_{i=1}^{20} x_i = 33{,}55.$$

გამოვთვალოთ შერჩევითი დისპერსიაც

$$S^2 = \frac{1}{20}\sum_{i=1}^{20}\left(x_i - \overline{x}\right)^2 = 38{,}0475.$$

S=6,98

მაშასადამე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ საქონლის ხორცზე ამ რაიონში დღიური მოთხოვნაა საშუალოდ 33,55 კგ, ხოლო სტანდარტული გადახდა 6,17 კგ. შეფასებისათვის რომ გამოგვაყენებინა სტატისტიკები

$$T'_{20}=\frac{X_1^2+X_2^2+\cdots+X_{20}^2}{20}; \quad T''_{20}=\frac{X_1^2+X_2^2+\cdots+X_{20}^2}{20};$$

ან

$$T'''_{20}=\frac{X_1X_2+X_3X_4+\cdots+X_{19}X_{20}}{20^2}$$

მივიღებდით შეფასებებს:

$$T'_{20}=904{,}15; \quad T''_{20}=45{,}2 \quad T'''_{20}=21{,}38$$

რომელთაგან არც ერთი გვაძლევს ზუსტ წარმოდგენას ამ სუპერმარკეტით მოსარგებლე მოსახლეობის საქონლის ხორცის მოთხოვნაზე.

რომ გავარკვიოთ შეფასების სიახლოვე შესაფასებელი პარამეტრის ჭეშმარიტ მნიშვნელობასთან, შემფასებელი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს. კერძოდ ის უნდა იყოს გადაუადგილებადი, ძალდებული და სასურველია, ეფექტური.

რიცხვითი θ პარამეტრის $T_n(x_1, x_2, \ldots, x_n)$ შემფასებელი გადაუადგილებადია, n-თვის ადგილი აქვს ტოლობას: $M(T_n)=\theta$. იმ შემთხვევაში, თუ არ არის გადაუადგილებადი, მაგრამ ადგილი აქვს ტოლობას $\lim_{n\to\infty} M(T_n)=\theta$, მაშინ შემფასებელს ეწოდება ასიმპტოტურად გადაუადგილებადი, რაც პრაქტიკული ამოცანისათვის ხშირად საკმარისია. ძალდებულია, $T_n(x_1, x_2, \ldots, x_n)$ თუ შემფასებელი ალბათობით კრებადია θ პარამეტრის ჭეშმარიტი მნიშვნელობისაკენ, ანუ ნებისმიერი $\varepsilon > 0$ ადგილი აქვს ტოლობას: $\lim_{n\to\infty} P\{|T_n-\theta|<\varepsilon\}=1$. ეფექტურია, თუ მისი დისპერსია არის მინიმალური შეფასებათა გარკვეულ კლასში.

S^2 არ არის გადაუადგილებადი შემფასებელი პოპულაციის დისპერსიისათვის, თუმცა, ასიმპტოტურად გადაუადგილებადია. შესაძლებელია შერჩევის დისპერსიის ისეთი გარდაქმნა, რომ მიღებული შემფასებელი, რომელსაც შერჩევის შესწორებულ დისპერსიას უწოდებენ და S'^2 აღნიშნავენ არის გადაუადგილებადი $M(S'^2)=\sigma^2$.

$$S'^2=\frac{n}{n-1}S^2=\frac{1}{n-1}\sum_{i=1}^{n}\left(X_i-\overline{X}_n\right)^2.$$

პრაქტიკულ ამოცანებში თუ შერჩევის მოცულობაა $n>30$ ორივე შემფასებელი მისაღებია, ამასთან მტკიცდება, რომ ორივე შემფასებელი ძალდებულია.

ლიტერატურა:

1. თ. შარვაშიძე, ზ. ქვათაძე, ა. კირთაძე, გ. ფანცულაია, მათემატიკური სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2014.
2. მ. კუცია, მ. ფაცაცია, მ. ჭანია, სტატისტიკური დასკვნების თეორიის კურსი, „უნივერსალი“, თბილისი, 2013.

უკაბელო ქსელის უსაფრთხოების ზოგიერთი მეთოდის შესახებ

დათო პაპიაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ციური ნოზაძე,** ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის ინტერნეტი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალებაა. მისი მეშვეობით სწრაფად და მარტივადაა შესაძლებელი კომუნიკაცია, ინფორმაციის და მომსახურების მიღება, ყიდვა-გაყიდვა, გადასახადების გადახდა და ა.შ. თუმცა, ინტერნეტის გამოყენებისას არაინფორმირებულმა და გაუაზრებელმა ქმედებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცულობას.

21-ე საუკუნის საკომუნიკაციო საშუალებების ფავორიტია უკაბელო ქსელები, რომელიც ცნობილია როგორც Wi-Fi ან 802.11 ქსელები. იგი საშუალებას იძლევა კომპიუტერი(ები) დაუკავშირდენენ ერთმანეთს ან ინტერნეტს რადიო სიგნალის საშუალებით. ამ შემთხვევაში ნებისმიერ მოწყობილობას რომელსაც აქვს Wi-Fi-ის მხარდაჭერა შეუძლია დაიჭიროს ეს სიგნალი თუ იმყოფება ხელმისაწვდომ დიაპაზონში, აქედან გამომდინარე უკაბელო ქსელები არ არის უსაფრთხო.

პრობლემა ისაა, რომ როდესაც მომხმარებლი ყიდულობს უკაბელო ქსელის მოწყობილობას, მას სტანდარტულად არ აქვს გააქტიურებული დაცვის ფუნქციები, ეს ნიშნავს იმას რომ მომხმარებელმა თითონ უნდა მიუთითოს საჭირო პარამეტრები, ანუ მოახდინოს ქსელის კონფიგურაცია დაცვის შესაბამისი წესებით, რათა დაცული იქნას ქსელისა და კომპიუტერის უსაფრთხოება.

ნაშრომში განვიხილავთ ქსელში ინფორმაციის უსაფრთხოების რისკებს და მათგან დაცვის მეთოდებს.

უსაფრთხოების რისკებს განეკუთვნებიან:

- Eavesdropping - უცხო პირის მიერ ინფორმაციის გადაცემის მოსმენა ან კონტროლი. ამიტომ ინფორმაციის ქსელში გადაცემა უნდა იყოს დაშიფრული.
- Hacking (უკანონო შეღწევა) – ყველას, ვინც არის სიგნალის დაჭერის დიაპაზონში, შეუძლია შეუერთდეს თქვენს ქსელს, შესაბამისად, შეაღწიოს თქვენს კომპიუტერში ან ბოროტად გამოიყენოს ქსელი ან კომპიუტერი, რაც ისჯება კანონმდებლობით. ამის გამო ქსელის ხელმისაწვდომობა შეზღუდული უნდა იყოს სანდო მომხმარებლებისათვის და კომპიუტერებისათვის.
- Freeloading - თუ უკაბელო ქსელი გამოიყენება ფართოზოლოვანი ინტერნეტისათვის, არსებობს რისკი, რომ არაავტორიზებულ მომხმარებლებს შეეძლებათ ინტერნეტის გამოყენება თქვენი ნებართვის გარეშე.

შესაბამისად დგება უკაბელო ქსელების დაცვის საკითხი.

დაცვის მეთოდებს განეკუთვნებიან შიფრირების და დაშვების (ხელმისაწვდომობის) კონტროლის არჩევის საშუალება, მაგრამ მეთოდი თუ როგორ უნდა დაყენდეს და განისაზღვროს უსაფრთხოების წესები არ არის იდენტური და განსხვავდება აპარატურის სხვადასხვა მწარმოებლების მიხედვით. არსებობს უსაფრთხოების წესები, რომლებიც უნდა დაინერგოს და საჭიროების შემთხვევაში მომხმარებელმა იხელმძღვანელოს აპარატურის მწარმოებლის მიერ მოცემული ინსტრუქციით.

უკაბელო ქსელის მოწყობილობის (როუტერი) კონფიგურაციისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს მწარმოებლის მიერ ინსტრუქციაში მოცემული შემდეგი რეკომენდაციები:

1. მოწყობილობის IP მისამართი (ძირითად შემთხვევაში სტანდარტული IP მისამართი არის 192.168.0.1, 192.168.1.1, 192.168.1.254, 192.168.0.50);
2. გახსენით ინტერნეტ ბრაუზერი, სამისამართო ველში ჩაწერეთ მოწყობილობის IP მისამართი. და დააჭირეთ Enter-ს. შემდგომ მოწყობილობა მოგთხოვთ სტანდარტულ ადმინისტრატორის სახელს (username) და პაროლს (ხშირ შემთხვევაში username არის – admin ან user და პაროლი – password ან საერთოდ პაროლის გარეშე);
3. მოწყობილობის კონფიგურაციაში (პარამეტრებში) შესვლისთანავე შეცვალეთ სტანდარტული პაროლი რთული პაროლით. თუ თქვენ დაგავიწყდებათ პაროლი, ყველა როუტერს გააჩნია "გადატვირთვის" ღილაკი რომ აღადგინოთ სტანდარტული პარამეტრები;
4. გამოიყენეთ შიფრირება: ძირითადად გამოიყენება 3 შიფრირების მეთოდი – WEP (Wired Equivalent Privacy), WPA (Wi-Fi Protected Access) და WPA2 (Wi-Fi Protected Access II).

WEP სტანდარტი არის მოძველებული და ადვილად შესაძლებელია მისი „გატეხვა" სპეციალური პროგრამებით, ამიტომ რეკომენდირებულია უსაფრთხოების WPA ან WPA2 სისტემის გამოყენება, რადგან ეს ბევრად უსაფრთხოა. მაგრამ ზოგჯერ WEP-ის დაყენება უფრო ადვილია ვიდრე WPA ან WPA2 და თუ სხვა არჩევანი არ გაქვთ, საერთოდ დაუშიფრაობას ჯობია გამოყენებული იქნეს WEP პროტოკოლი.

შეიძლება ჩამოვაყალიბოთ უკაბელო ქსელში უსაფრთხოების შემდეგი რეკომენდაციები:

1. გამოიყენეთ რთული მისახვედრი პაროლი, რომელიც შედგება დიდი და პატარა ასოებისაგან, ციფრებისგან და სასურველია სიმბოლოების გამოყენებაც. პაროლის სიგრძე მინიმუმ 6 ასოსგან უნდა შედგებოდეს.
2. უნდა შეიცვალოს Router-ის პაროლი ეს არის ადმინ-პანელის პაროლი, რომელიც უნდა შეიცვალოს, რადგან უცხო პირს შეუძლია თავისი სასურველი პაროლი დააყენოს;
3. თუ შესაძლებელია გამოიყენეთ WPA და არა WEP უსაფრთხოების სისტემა. რა თქმა უნდა არსებობს სხვადასხვა სახის უსაფრთხოების სისტემა, ზოგი უკვე მოძველებულია და ადვილად „გასატეხია" ამიტომაც მიზანშეწონილია WPA2 -ის გამოყენება, რომელიც უახლოესი სისტემაა;

4. უნდა შეიცვალოს თავდაპირველი ქსელის სახელი - თუ როუტერი ფირმის linksys არის იგივე თავდაპირველად ქსელს არქმევს თავის სახელს რაც Hacker-ისთვის ბევრად ამარტივებს ქსელის „გატეხვას“, რადგან მას ზუსტად ეცოდინება რა ხერხი გამოიყენოს კონკრეტული მოდელის „გასატეხად“;

5. დაფარეთ თქვენი ქსელი - ქსელის დაფარვა შეიძლება ოდნავ უფრო პრაქტიკული გახდეს, რადგან არასასურველი პირები ვერ შეძლებენ თქვენ ქსელში შეღწევას.

უსაფრთხოების იგივე რისკები ვრცელდება ***სმარტფონებით*** სარგებლობისას, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი უსაფრთხოების დაცვაც. სმარტფონების საშუალებით მოქალაქეები ხშირად გაუაზრებლად ასაჯაროებენ საკუთარ პერსონალურ მონაცემებს. პირადი ინფორმაციის დაცვის კუთხით, სმარტფონი მაღალი რისკის მატარებელია, რადგან არასანდო წყაროებიდან ჩამოტვირთული პროგრამებით ან ტელეფონის დაკარგვით იქმნება მონაცემებზე არამართლზომიერი წვდომის საფრთხე.

სმარტფონებით სარგებლობისას სასურველია რისკების შემცირების შემდეგი ზომების გამოყენება:

- რთული პინ-კოდის გამოყენება;
- ე.წ. „იმეი“ (IMEI) კოდის შენახვა;
- თქვენთვის მისაღები კონფიდენციალურობის პარამეტრების შერჩევა;
- პროგრამების ჩამოტვირთვა მხოლოდ სანდო წყაროებიდან;
- „საკუთარი ტელეფონის ძიების“ ფუნქციის გამოყენება;
- ტელეფონის შეცვლის ან გასხვისების შემთხვევაში, პირადი ინფორმაციის წაშლა.

ინტერნეტში ყველაზე დაუცველი ელექტრონული ფოსტაა, ვინაიდან თავდაპირველად იგი არ იყო შექმნილი ფართო მოხმარებისათვის. დღეისთვისაც პრობლემაა ელექტრონული ფოსტის და შესაბამისად პერსონალური მონაცემების დაცვა უცხო პირებისაგან. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სასურველია:

- ელექტრონული ფოსტის მისამართის რეგისტრაციის დროს გაეცნოთ კონფიდენციალურობის პირობებს;
- პაროლის შექმნისას გამოიყენოთ რთული კომბინაცია (მაგალითად ნიშნები, ციფრები და სხვა);
- თავი შეიკავოთ საეჭვო ტიპის შეტყობინებების გახსნისგან;
- არ უპასუხოთ საეჭვო ტიპის შეტყობინებებს;
- გამიჯნოთ ერთმანეთისგან სამსახურებრივი და პირადი კორესპონდენცია და აწარმოოთ სხვადასხვა ელექტრონული ფოსტის მისამართიდან;
- გამოიყენოთ ფილტრაციის ფუნქცია, რათა თავიდან აიცილოთ მათი შემდგომში მიღება ან ძირითად წერილებთან ერთად მოხვედრა.
- სხვადასხვა ვებგვერდებზე რეგისტრაციამდე (მაგალითად, ონლაინ მაღაზიები ან სიახლეების გამოწერა) კარგად გაეცნოთ კომპანიის კონფიდენციალურობის პირობებს;
- გამოიყენოთ ანტივირუსის პროგრამა.

უსადენო კავშირის (Wi-Fi) უსაფრთხოება

უსადენო კავშირის (Wi-Fi) გამოყენება შესაძლებელია როგორც კომპიუტერით, ისე ტელეფონით ან სხვა ელექტრონული საშუალებით. დაუცველი უსადენო კავშირის გამოყენებით ჰაკერებს ადვილად შეუძლიათ ქსელში ჩართულ ელექტრონულ მოწყობილობებთან, დოკუმენტებთან და ინფორმაციასთან წვდომა.

სახლის ქსელის უსადენო კავშირის უსაფრთხოებისთვის:

- გაეცანით უსადენო კავშირის მოწყობილობის ტექნიკური პარამეტრებსა და გამოყენების ინსტრუქციას;
- შეცვალეთ უსადენო მოწყობილობის თავდაპირველი სახელი (default name), რომელიც იძლევა ქსელში იდენტიფიცირების საშუალებას;
- ხშირად ცვალეთ პაროლი და მისი შექმნისას გამოიყენეთ რთული კომბინაცია.

საჯაროდ ხელმისაწვდომი უსადენო კავშირის მოხმარებისას:

- გაეცანით თქვენი მოწყობილობის ინტერნეტთან დაკავშირების პარამეტრებს;
- გამორთეთ ინტერნეტთან ავტომატური დაკავშირების ფუნქცია.
- ღრუბელი

ღრუბლისა და მსგავსი სახის მომსახურების (მაგალითად, Dropbox, GoogleDrive, iCloud) მომხმარებლების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. ღრუბელი ელექტრონულ რესურსებზე საყოველთაო და მოხერხებული ქსელური წვდომის მრავალფუნქციური მოდელია, რომელზეც მომხმარებელს შეუძლია, სხვებისთვის გაზიარების ან შენახვის მიზნით ატვირთოს დოკუმენტები,

სურათები, ვიდეო ან აუდიოჩანაწერები. ატვირთულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერი მოწყობილობიდან (ლეპტოპი, სმარტფონი, პერსონალური კომპიუტერი და ა.შ.). ამისთვის მხოლოდ ქსელთან კავშირია საჭირო.

მომხმარებლისა და პაროლის რეგისტრაციის შემდეგ, ღრუბლის მომსახურების მიმწოდებელი გამოყოფს ფაილებისთვის განკუთვნილ სივრცეს, სადაც მომხმარებელი შეძლებს საკუთარი მასალის ატვირთვას და შენახვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ღრუბლის მომსახურების მიმწოდებელი მხოლოდ ჩანაწერების შენახვაზეა პასუხისმგებელი. მნიშვნელოვანია, გავეცნოთ მონაცემების დაცვის და უსაფრთხოების პარამეტრებს და დავრწმუნდეთ, რომ ისინი შეესაბამება ასატვირთი ფაილების კონფიდენციალურობის ხარისხს.

შესაბამისად მნიშვნელოვანია, მომხმარებელმა თავად განსაზღვროს, ვის შეიძლება ჰქონდეს წვდომა მის მონაცემებთან.

არსებობს წვდომის სამი ძირითადი სახე:

1. პირადი - მონაცემების მესაკუთრის გარდა არავის აქვს მათი ნახვის უფლება.
2. საზიარო - მომხმარებელს შეუძლია გაუზიაროს მასალა სასურველ პირებს შესაბამისი შეტყობინებისა და წვდომის ბმულის გადაგზავნით.
3. საჯარო - ფაილების ნახვა შეუძლია ყველა მსურველს.

ნებისმიერი წვდომის სახის არჩევის შემთხვევაში მომხმარებელს უნდა ახსოვდეს, რომ მონაცემების ნახვის შესაძლებლობა ღრუბლის მწარმოებელ კომპანიასაც აქვს.

ლიტერატურა:

1. http://police.ge/files/proeqtebi_reporma%20photos/organizebuli-danashauli/kiberdanashauli-informacia-moqalaqeebistvis.pdf
2. მირცხულავა ლ., ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები, თსუ, 2014.
3. Michael E. Whitman, Herbert J. Mattord, Principles of Information Security, 2011.
4. James F. Kurose, Keith W. Ross, Computer Networking: A Top-Down Approach, 2012.

Microsoft კორპორაციის უახლესი პროდუქტები

დათო პაპიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლევან მიდოდაშვილი,** პროფესორი

Microsoft Corporation მულტინაციონალური კომპიუტერული ტექნოლოგიების კორპორაციაა, რომლის სათავო ოფისი ვაშინგტონში, რედმონდში მდებარეობს. კომპანია ამზადებს, აპატენტებს და ლობირებს კომპიუტერული მოწყობილობებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის ფართო სპექტრს. სახელი Microsoft შედგება სიტყვებისგან "microcomputer-software". სიტყვა "micro-soft" პირველად 1975 წელს, ბილ გეიტსის მიერ პოლ ალენისთვის მიწერილ ერთ-ერთ წერილში იქნა გამოყენებული. ბოლო დროს მან აპარატული უზრუნველყოფის წარმოებაც დაიწყო. დღესდღეობით Microsoft მსოფლიოს უდიდესი პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიათა სიაში პირველ ადგილს იკავებს. ის მოწინავე ადგილს იკავებს აგრეთვე მსოფლიოს ისეთ კომპიუტერულ გიგანტებს შორის, როგორებიც არიან Apple Inc., ExxonMobil და IBM. 2014 წლის 4 თებერვლიდან მას ხელმძღვანელობს სატია ნადელა.

2011 წელის მაისში, Microsoft-ის კომპანიამ 8,5 მილიარდ ამერიკულ დოლარად შეიძინა Skype-ის აქციები, რაც დღემდე Microsoft-ის უდიდეს შენაძენად ითვლება.

Microsoft-ში დასაქმებულია 97,000 ადამიანზე მეტი, რომლებიც მსოფლიოს 105 ქვეყნის მაცხოვრებლებს წარმოადგენენ. მისი ყველაზე პოპულარული პროდუქტია Microsoft Windows საოპერაციო სისტემა და Microsoft Office პროგრამული პაკეტი. ორივე მათგანი თითქმის

შეუცვლელი პროგრამული პროდუქტი გახდა მთელ მსოფლიოში. კომპანია ასევე აწარმოებს ფართო სპექტრის კომპიუტერულ უზრუნველყოფას, მათ შორის არის საძიებო სისტემა Bing, Xbox და Kinect, რომლებმაც დიდი პოპულარობა ჰპოვეს ვიდეო თამაშების ინდუსტრიაში. იგი ლიდერია ციფრულ მომსახურებაშიც MSN-ს მეშვეობით. ასევე Microsoft Corporation-მა ახლახანს დაიწყო მობილური ტელეფონის საოპერაციო სისტემის, Windows Phone OS-ის წარმოებაც. 2013 წლის 3 სექტემბერს, მაიკროსოფტმა გაავრცელა განცხადება, რომ „ნოკიას" მობილური მოწყობილობების ბიზნესს ყიდულობდა, რის შემდეგაც, საბოლოო შეთანხმება ორ კომპანიას შორის 2014 წლის 25 აპრილს დასრულდა. შედეგად, „nokia ლუმიას" ამჟამად „Microsoft ლუმია" ეწოდება და იგი მომხმარებლებში სულ უფრო მოთხოვნადი ხდება. საქართველოში გოლეთიანის ქსელში 45000 მეტი ლუმია გაიყიდა. სწორი მმართველობის და კომპანიის საჭირო მიმართულებით განვითარების შედეგად Microsoft საგრძნობი წინსვლა აქვს. 2005 წელთან შედარებით კომპანიის მოგება გაორმაგდა და 2013 წელს Microsoft Corporation-ის შემოსავალი 77.85 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, ხოლო კომპანიის დამაარსებელი, ბილ გეითსი, პლანეტის უმდიდრეს ადამიანთა სიაში მეორე ადგილზე იყო (რამდენიმე წლის განმავლობაში ის იყო პირველ ადგილზე).

Microsoft ქმნის ინოვაციურ პროდუქტებს და ზრუნავს თავის მომხმარებლებზე, ცდილობს შეუქმნას მათ კომფორტული სამუშაო გარემო. მან შექმნა მობილური ოპერაციული სისტემა Windows Phone (WP), რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება და მას უკვე ბევრი ბრენდის სმარტფონები იყენებენ. 2015 წელი Microsoft_ის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია, რადგან 2015 წლის 21 იანვარს კორპორაციამ გამართა ღონისძიება, სადაც წარმოადგინა ოპერაციული სისტემა Windows 10. აღნიშნულმა ღონისძიებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როდესაც Microsoft HoloLens განხილვას ვუყურებდი თვალწინ დამიდგა ფილმი „რკინის კაცი". ამ ფილმში დობერტ დაუნი უმცროსი ხელით ეხება ჰოლოგრამას. რით არის განსაკუთრებული Windows 10 და რას უნდა ველოდეთ მისგან?

Microsoft-ის ღონისძიება დაიწყო 21 იანვარს, თბილისის დროით საღამოს 8 საათზე. აღნიშნულ ღონისძიებაზე Microsoft-ის აღმასრულებელმა დირექტორმა სატია ნადელამ და მისი გუნდის წევრებმა ისაუბრეს Windows 10-ზე და Microsoft-ის უახლეს მიღწევებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია უკვე რიგითი მომხმარებლისათვის. უკვე გამოვიდა Windows 10 საცდელი სამომხმარებლო ვერსია, საცდელი ტექნიკური ვერსიის ნაცვლად. შეიქმნება ერთიანი სისტემა, სადაც Windows 10 იმუშავებს სმარტფონებზე, ტაბლეტებზე და პლანშეტურ კომპიუტერებზე.

მთავარ სასიხარულო სიახლედ იქცა იმის გაგება, რომ Windows 10-მდე განახლება პირველი 1 წლის განმავლობაში Windows 7, Windows 8.1 და Windows Phone 8.1-ის მომხმარებლებისთვის სრულიად უფასოდ იქნება შესაძლებელი. კომპანიის განცხადებით, Windows 10-ის მხარდაჭერა ხანგრძლივი და ოპერატიული იქნება. ვნახოთ, რამდენად ოპერატიული იქნება განახლება იმ სმარტფონებზე, რომლებიც განეკუთვნებიან დაბალბიუჯეტურ სეგმენტს. იმედია Microsoft კორპორაცია განახლებებს ისეთივე სისწრაფით გაავრცელებს სმარტფონებზე, როგორც ამას Desktop-კომპიუტერებზე აკეთებს.

Windows-თან მუშაობის ცნობილი ღილაკი (Start) და შესაბამისი მენიუ უკვე სრულეკრანიან რეჟიმშიც იმუშავებს. კარგია ის, რომ კომპანიამ მომხმარებლებს არჩევანის საშუალება დაუტოვა ტრადიციულსა და განახლებულ თანამედროვე Start-მენიუს შორის.

ჯო ბელფიორემ (windows phone ვიცე პრეზიდენტი) გვანახა ახალი მობილური Windows 10 რომელიც 8-დიუმზე ნაკლები ზომის მოწყობილობებზე იმუშავებს. საწყისი ეკრანი Windows Phone 8.1-ისგან პრაქტიკულად არ განსხვავდება - დამატებულია ფონზე შავი ან თეთრი ფერის ნაცვლად სასურველი ფონის დაყენების შესაძლებლობა, სარკმელებმა მიიღეს ნახევრად გამჭვირვალე სახე, დამატებულია კლავიატურაზე ტექსტის ხმოვანი შეყვანა, გაერთიანებულია სკაიპისა და ჩვეულებრივი SMS-მიმოწერის ფანჯარა (განსხვავება დიალოგის ფერშია) და რაც მთავარია - Notification ცენტრი უფრო ფუნქციონალური, ხოლო Settings-განყოფილება უფრო სორტირებული გახდა. აპლიკაციების ჩამონათვალში „ბოლო გახსნილი" აპლიკაციების ნახვასაც შეძლებთ, რაც აპლიკაციებთან მუშაობას უფრო სწრაფს და მოხერხებულს ხდის.

შეტყობინებების ცენტრი ეს არის ის, რასაც Microsoft-ის მომხმარებლები უკვე წლებია ელოდებიან. დიახ, Notification Center სინქრონიზირებული იქნება ყველა Windows 10 მოწყობილობაზე, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ანგარიშით. იქ თქვენ მოგეცემათ საშუალება ჩაამატოთ პრაქტიკულად ყველაფერი, რაც გსურთ და მოაწესრიგოთ ის ისე, როგორც გსურთ.

პირადად მე გამოვყოფ ორ მთავარ ინოვაციას - ხმოვანი ასისტენტი Cortana და Microsoft HoloLens.

● Microsoft-ის ხმოვანი დამხმარე ოფიციალურად მოვიდა პერსონალურ კომპიუტერებზე. კომპანიაში კორტანას უფრო მეტი „პიროვნება" დაუმატეს - მას შეუძლია აქცენტების გაკეთება, გაპრანჭვა საუბრისას და ა.შ. რასაკვირველია, თავდაპირველად ის შაბლონური ფრაზების კრებულს გამოიყენებს, თუმცა მისი მოსვლა ამ დიდ ბაზარზე კვლევის ახალ შესაძლებლობებს იძლევა, რაც ვირტუალურ

ასისტენტზე დადებითად აუცილებლად აისახება. კორტანა ასევე ღრმადაა ინტეგრირებული როგორც კომპიუტერის ლოკალურ, ისე გლობალურ საძიებო სისტემაში.

● პროგრამული უზრუნველყოფის გიგანტისთვის დღეს ნამდვილი დებიუტიც შედგა. მან წარმოადგინა სათვალე, რომელიც არანაირად არ წარმოადგენს უბრალოდ „დამატებითი რეალობის“ გაჯეტს - ეს არის სრულფასოვანი ჰოლოგრამების წამკითხველი. სპეციალურად შექმნილი ჩიპის მეშვეობით ჰოლოგრამა რეალობად იქცა. ახალი გაჯეტი ხმოვანი სისტემითაც აღიჭურვა. მაგალითად, თუ ჰოლოგრამა-ობიექტი იმყოფება თქვენს ზურგს უკან, ამის შესახებ თქვენ ხმით გაიგებთ. აღნიშნულ მოწყობილობას არ სჭირდება კომპიუტერთან ან სმარტფონთან კავშირი, ის სრულიად ავტონომიურად მუშაობს თვისობრივად ახალი HPU (Holographic Processing Unit)-ს მეშვეობით

კომპანია Microsoft-მა მოახდინა რამდენიმე განახლებული საოფისე აპლიკაციის- Word, Excel, PowerPoint-ის დემონსტრირება. პრეზენტაციისას ჩვენ ასევე ვიხილეთ რამდენიმე სტანდარტული ტიპის აპლიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შემუშავებულია სპეციალურად Windows 10-სთვის, კლასიკური ოფისი მაინც განაგრძობს განვითარებას. ეს ნამდვილად გაახარებს „ფანჯრისებრი“ ოპერაციული სისტემის ძველ მომხმარებლებს. თუმცა აქ მთავარია იმ პრობლემის აცილება, რომელიც ხშირად იჩენს თავს - ფაილების თავსებადობის პრობლემა სხვადასხვა ოპერაციულ სისტემებზე.

კომპანია Microsoft-ის ახალი ბრაუზერი როგორც ვვარაუდობდით, არ გამოჩნდება Windows 10-ის უახლოეს დაგეგმილ ვერსიებში, თუმცა მისი მუშაობა სადემონსტრაციო რეჟიმში ჩვენ მაინც ვიხილეთ. ბრაუზერი კოდური სახელწოდებით „Spartan“ გამოვა რენდერინგის ახალი ძრავითა და განახლებული ინტერფეისით, რომელიც სრულიად ჯდება Windows 10-ის ახალ დიზაინში. ფუნქცია „შენიშვნები“ მოგცემთ საშუალებას პირდაპირ გახსნილ გვერდზე გამოყოთ ღირსშესანიშნავი ფრაგმენტები, ასევე გახაზოთ ან მიახატოთ სასურველი ნიშნები. ახალ ბრაუზერში შესაძლებელი იქნება ვებ-გვერდის გამოყოფა და მისი ცოცხლად განხილვა მეგობრებთან ერთად. ასე რომ საინტერესო შენიშვნის წაკითხვა შესაძლებელი იქნება ინტერნეტის გარეშე - პირდაპირ მოწყობილობის მეხსიერებიდან. იქვე დამატებულია კითხვის რეჟიმი. ახალ ბრაუზერს არც Cortana-სთან ინტეგრაცია ასცდა.

Windows 10-ში უკვე ინტეგრირებულია Xbox-აპლიკაცია. იქ სოციალური ფუნქციების მთელი რიგია ინტეგრირებული - განახლებულ აპლიკაციაში ე.წ „კედელიც“ კი განთავსდა. გარდა ახალი DirectX-ისა, Microsoft-მა Xbox One-დან დისტანციური თამაშის შესაძლებლობის დემონსტრირება მოახდინა. მართალია, ამ შესაძლებლობის დემონსტრირებისას გამოყენებული იყო Surface Pro 3, არაა გამორიცხული ეს შესაძლებლობა Windows 10-მა სმარტფონებისთვისაც გამოიყენოს.

Microsoft Surface Hub ეს არის 84-დიუმიანი სენსორული მონობლოკი 4K გაფართოებით. ახალ მოწყობილობაში ინტეგრირებულია რამდენიმე კამერა, მიკროფონი და სხვა სენსორები. აღნიშნული „ჭკვიანი დაფა“ პირველ რიგში ბიზნეს-მომხმარებლებზეა გათვლილი, რომლებსაც დაშორებულად უწევთ თანამშრომლობა. მოწყობილობაში Windows 10-ია გამოყენებული, თუმცა სისტემის აღნიშნული ვერსია სპეციალურადაა ოპტიმიზირებული დიდი ეკრანებისათვის. სამწუხაროდ რედმონდს არაფერი უთქვამს მოწყობილობის ფასის შესახებ.

და ბოლოს, Windows 10-ის ახალი ვერსიაში ჟესტების დიდი რაოდენობაა დამატებული. ახალი სისტემა უფრო ჭკვიანია, ის თავად ხვდება როდის რა რეჟიმში უნდა მუშაობდეს. Windiws 10 ინტერფეისი რამდენიმე რეჟიმით აღიჭურვა.

კომპანია Game Troopers საინტერესო ინიციატივით გამოდის. ის მზადაა დაეხმაროს დეველოპერებს საკუთარი Android და iOS თამაშების პორტირებაში Windows Phone Store-ზე. აღნიშნული თამაშები Xbox Live-ის ინტეგრაციასაც კი მიიღებენ, რაც შესანიშნავია. Gamer Troopers-ი აღნიშნავს, რომ თამაშების პორტირება ხშირ შემთხვევაში არ ითხოვს კოდის დიდ ცვლილებას. ზუსტად ამიტომ კომპანიამ ეს ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო.

ჯო ბელფიორემ არაერთხელ აღნიშნა, რომ ახალი აპლიკაციები ყველა მოწყობილობაზე ერთნაირად გამოიყურებიან, ხოლო OneDrive-ის სრულფასოვანი ინტეგრაცია გვაძლევს საშუალებას ყოველთვის სინქრონიზირებულები ვიყოთ ჩვენს ყველა მოწყობილობაზე Windows 10-ით.

კომპანიის ლიდერებმა დიდი მადლობა გადაუხადეს იმ 1,7 მილიონ ინსაიდერს, რომლებმაც არაერთი რეკომენდაცია გაუგზავნეს კომპანიას ახალი თაობის სისტემის განვითარებისთვის.

ბრიფინგზე დემონსტრირებული Windows 10- ის(PC/Tablet) საცდელი ვერსია შემდეგ კვირაში გახდება ხელმისაწვდომი, Windows 10 სმარტფონების საცდელი ვერსია კი თებერვალში გამოვა.

რადგან Microsoft-ზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ბილ გეითსი. ბილ გეითსი, რომელსაც ხშირად იწვევენ ლექციების წასაკითხად, ბოლო ლექციას ყოველთვის 11 წესით ამთავრებს:

1. ცხოვრება ყოველთვის უსამართლოა - შეგუებაა საჭირო.
2. ადამიანებს არ აინტერესებთ თქვენი თვითშეფასება. ისინი შედეგებს ელოდებიან.

3. სკოლის დამთავრებისთანავე წელიწადში 60000 დოლარს თქვენ ვერ გამოიმუშავებთ. არ იქნებით დირექტორი, რომელსაც ეყოლება პირადი მძღოლი. თავდაპირველად ბევრი უნდა იმუშაოთ.
4. თუ ფიქრობთ, რომ მასწავლებლები ძალიან მკაცრად გექცევიან, ეს ჯერ არაფერია. თქვენ უნდა გაიცნოთ საკუთარი ბოსი.
5. ჰამბურგერების დამზადება და იატაკების წმენდა თქვენს ღირსებაზე დაბლა დგას? თქვენი ბებია-ბაბუები ამით ცხოვრებას ეჭიდებოდნენ.
6. თუ რაღაც არ გამოგივათ, ეს არ იქნება თვენი მშობლების ბრალი. არ არის საჭირო წუწუნი. უმჯობესია შეცდომები გაიაზროთ.
7. თქვენი მშობლები არ იყვნენ ყოველთვის მოსაწყენები. თქვენ უბრალოდ ასე გეჩვენებათ. ისინი ასეთები თქვენზე ფიქრში და ზრუნვაში გახდნენ. სანამ მათ გააკრიტიკებთ, საკუთარი თავიდან დაიწყეთ.
8. ალბათ თქვენს სკოლაში და სხვაგანაც არ არსებობენ უიღბლოები. სკოლები ყველაფერს აკეთებენ რომ მოსწავლეები კლასში არ ჩარჩნენ, უნიშნავენ დამატებით გამოცდებს. ცხოვრებაში ასე არ ხდება.
9. ცხოვრება არ იყოფა სემესტრებად. თქვენ არ გექნებათ არდადეგები და თქვენი ხელმძღვანელი საკუთარი თავის ძიებაში არ დაგეხმარებათ. ყველაფერი თავად უნდა გააკეთოთ.
10. ფილმებში დიდი ხანია აღარ აჩვენებენ რეალურ ცხოვრებას. იჯდეთ კაფეში და მთელი დღე ყავის სმით მეგობრებთან იჭორაოთ? ასე რ მოხდება.
11. უფრთხილდით „წიგნის ჭიებს“. ისინი შეიძლება თქვენი ბოსები გახდნენ.

ინფორმაციის წყარო:

1, http://www.msinfo.ge/
2, http://ful.ge/system/windows-10/
3, https://insider.windows.com/

მრავლობითი რეგრესიის კერძო მაგალითი

მერი ტერუნაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე,** ასოცირებული პროფესორი.

ეკონომიკაში, როგორც მრავალ სხვა დარგში, აუცილებელი ხდება ორ მახასიათებელს (სიდიდეები, ცვლადები) შორის დამოკიდებულების შესწავლა. ორ ცვლადს შორის კავშირის უმარტივესი მაგალითია ისეთი კავშირი, როდესაც ერთი ცვლადის (არგუმენტის) რაიმე მნიშვნელობას შეესაბამება მეორე ცვლადის ერთი და მხოლოდ ერთი მნიშვნელობა.

ზოგადად ამოცანა ასე აღიწერება: მოცემულია (x_i, Y_i), $i = 1,2,...,n$ წყვილები, რომელთა შორის შემდეგი დამოკიდებულებაა $Y_i = B_0 + B_1 x_i + \varepsilon_i$, $i = 1,2,...,n$, სადაც B_0 და B_1 უცნობი მუდმივებია, $\varepsilon \cong N(0, \sigma^2)$ კი ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია საშუალოთი ნული და უცნობი σ^2 დისპერსიით.

$y = B_0 + B_1 x$ წრფეს რეგრესიის წრფე ეწოდება. B_0 და B_1 კოეფიციენტებს – რეგრესიის კოეფიციენტები, ხოლო ε_i შემთხვევით სიდიდეს – შემთხვევითი გადახრა ეწოდება. ε_i შემთხვევითი სიდიდეა, რომელიც განაპირობებს $y = B_0 + B_1 x$ წრფიდან გაბნევას. x ცვლადს უწოდებენ ამხსნელ (დამოუკიდებელ) ცვლადს ან პრედიქტორს, ხოლო Y –ს კი – მოპასუხე (დამოკიდებულ) ცვლადს.

B_1 კოეფიციენტს შეიძლება მივცეთ შემდეგი ინტერპრეტაცია: ამხსნელი x ცვლადის ერთი ერთეულით ცვლილება იწვევს დამოკიდებული Y ცვლადის ცვლილებას საშუალოდ B_1 სიდიდით. B_0 კოეფიციენტი წარმოადგენს რეგრესიის წრფის y ღერძთან გადაკვეთის წერტილს.

საჭიროა (x_1, Y_1), (x_2, Y_2), ..., (x_n, Y_n) დამოუკიდებელი დაკვირვებების საფუძველზე აიგოს B_0 და B_1 კოეფიციენტების შეფასებები.

B_0 და B_1 კოეფიციენტების b_0 და b_1 შეფასებებს ეძებენ ე.წ. უმცირეს კვადრატთა მეთოდით:

$$\sum_{i-1}^{n}\left(Y_i - b_0 - b_1 x_i\right)^2 \to \min . \qquad b_1 = \frac{n\sum_{i=1}^{n} x_i Y_i - \sum_{i=1}^{n} x_i \sum_{i=1}^{n} Y_i}{n\sum_{i=1}^{n} x^2 - \left(\sum_{i=1}^{n} x_i\right)^2} := \frac{SS_{XY}}{SS_X},$$

$$b_0 = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} Y_i - b_1 \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_i = \overline{Y} - b_1 \overline{x},$$

$$SS_x = \sum_{i=1}^{n}\left(x_i - \overline{x}\right)^2 = \sum_{i=1}^{n} x_i^{\,2} - n\overline{x}^2, \qquad SS_{XY} = \sum_{i=1}^{n}\left(x_i - \overline{x}\right)\left(y_i - \overline{y}\right) = \sum_{i=1}^{n} x_i y_i - n\overline{x}\cdot\overline{y}.$$

$\hat{Y} = b_0 + b_1 x$ წრფეს ეწოდება რეგრესიის წრფის შეფასება ან უმცირეს კვადრატთა მეთოდით აგებული წრფე. შეფასებული რეგრესიის წრფის განტოლება შემდეგნაირად გადაიწერება: $y = \overline{Y} + b_1\left(x - \overline{x}\right)$. ეს წრფე გადის $\left(\overline{x}, \overline{Y}\right)$ წერტილზე და $\sum_{i=1}^{n}\left(Y_i - \hat{Y}_i\right) = 0$.

თუ რეგრესიის წრფის განტოლებაში x –ის ნაცვლად ჩავსვამთ დაკვირვებულ $x_1, x_2, ..., x_n$ მნიშვნელობებს, მაშინ შესაბამის $\hat{Y}_1 = b_0 + b_1 x_1, ..., \hat{Y}_n = b_0 + b_1 x_n$ მნიშვნელობებს ეწოდება Y ცვლადის პროგნოზირებული მნიშვნელობები.
რეგრესიის ხარისხის დასახასიათებლად შემოაქვთ ე.წ. შერჩევითი დეტერმინაციის კოეფიციენტი:

$$R^2 = \frac{\sum_{i=1}^{n}\left(\hat{Y}_i - \overline{Y}\right)^2}{\sum_{i=1}^{n}\left(Y_i - \overline{Y}\right)^2}, \qquad \text{ან} \qquad R^2 = 1 - \frac{\sum_{i=1}^{n}\left(Y_i - \hat{Y}_i\right)^2}{\sum_{i=1}^{n}\left(Y_i - \overline{Y}\right)^2}$$

ე.ი. R^2 წარმოადგენს რეგრესიით ახსნილ გაბნევის წილს სრულ გაბნევაში. თუ ეს კოეფიციენტი მცირეა, ე.ი. რეგრესიით ახსნილია სრული გაბნევის მცირე წილი, მაშინ მოსაძებნია სხვა ალტერნატიული მოდელი (მაგალითად, არაწრფივი ან მრავლობითი რეგრესიის მოდელი), რომელიც უფრო ეფექტურად ახსნიდა Y ცვლადის დაკვირვებული მნიშვნელობების სრულ გაბნევას თავისი საშუალო მნიშვნელობების მიმართ.

მრავლობითი რეგრესიის ამოცანა შემდეგნაირად აღიწერება: მოცემულია n მოცულობის შერჩევა $\left(Y_i, x_{1i}, x_{2i}, ..., x_{ki}\right)$, $i = 1,2,...,n$, $n > k$, სადაც $Y_i = B_0 + B_1 x_{1i} + ... + B_k x_{ki} + \varepsilon_i$, $i = 1,2,...,n$, ხოლო ε_i შემთხვევითი სიდიდეა, რომელიც განაპირობებს Y_i ცვლადის გადახრას ჭეშმარიტი რეგრესიის ფუნქციის $B_0 + B_1 x_{1i} + ... + B_k x_{ki}$ მნიშვნელობიდან. ისევე როგორც მარტივი რეგრესიის შემთხვევაში, ასევე პირველ ეტაპზე ხდება რეგრესიის თეორიული $B_0, B_1, ..., B_k$ კოეფიციენტების შეფასება. რეგრესიის კოეფიციენტების შეფასება ისევ წარმოებს უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით. მას შემდეგ რაც მიღებულია თეორიული რეგრესიის კოეფიციენტების $b_0, b_1, ..., b_k$ შეფასებები, $\hat{Y} = b_0 + b_1 x + ... + b_k x_k$ ფუნქცია განსაზღვრავს რეგრესიის ფუნქციის შეფასებას. მრავლობითი დეტერმინაციის კოეფიციენტი წარმოადგენს სრული ვარიაციის იმ ნაწილს, რომელიც ახსნილია მრავლობითი რეგრესიის მოდელით.

მრავლობითი რეგრესიის უმარტივესი ვარიანტია ორფაქტორიანი წრფივი მოდელი, რომელშიც Y შედეგობრივი ცვლადის განმსაზღვრელს ორი ფაქტორული ცვლადი x_1 და x_2 წარმოადგენს, ამ მოდელს

შემდეგი წრფივი სახე აქვს: $Y = B_0 + B_1 x + B_2 x_2 + \varepsilon$. ამ თეორიული მოდელის შეფასება ასე ჩაიწერება: $\hat{Y} = b_0 + b_1 x + b_2 x_2$. შეფასებების გამოსათვლელად შემდეგი ფორმულები დაგვჭირდება:

$$b_0 = \overline{Y} - b_1 \overline{x_1} - b_2 \overline{x_2} ,$$

$$b_1 = \frac{Cov(x_1;Y)\cdot Var(x_2) - Cov(x_2;Y)Cov(x_1;x_2)}{Var(x_1)Var(x_2) - [Cov(x_1;x_2)]^2},$$

$$b_2 = \frac{Cov(x_2;Y)\cdot Var(x_1) - Cov(x_1;Y)Cov(x_1;x_2)}{Var(x_1)Var(x_2) - [Cov(x_1;x_2)]^2},$$

სადაც

$$\overline{x_1} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_{1i} , \qquad \overline{x_2} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_{2i} , \qquad \overline{Y} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} Y_i ,$$

$$Var(x_1) = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_{1i}{}^2 - \overline{x_1}^2 , \qquad Var(x_2) = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_{2i}{}^2 - \overline{x_2}^2 ,$$

$$Cov(x_1;x_2) = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_{1i}x_{2i} - \overline{x_1}\,\overline{x_2} , \qquad Cov(x_1;Y) = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_{1i}Y_i - \overline{x_1}\,\overline{Y} ,$$

$$Cov(x_2;Y) = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_{2i}Y_i - \overline{x_2}\,\overline{Y} ,$$

განვიხილოთ კონკრეტული საწარმოო ამოცანა:

უძრავი ქონების აგენტს – თამაზ მაზმიშვილს, სურს განჭვრიტოს ბინის გასაყიდი ფასი. მისი აზრით, ბინის ფასი ყველაზე მჭიდრო კავშირშია მის ფართობთან. მან შემთხვევით შეარჩია გასაყიდი 12 ბინის მონაცემები, რომლებიც მოყვანილია ცხრილის სახით (სადაც x – სახლის ფართობია ($\times 10$ კვ.მ.), ხოლო Y – ბინის გაყიდვის ფასი ($\times 1000$ $)). აგენტის მიზანია ბინის ფასის (დამოკიდებული ცვლადი) პროგნოზირება მისი ფართობის (პრედიქტორის) მიხედვით.

i	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
x_i	11	5	5,5	2,7	6	7	5	12,5	10	2,8	2,7	6
Y_i	33	15	27	10	18	30	18	35	30	20	15	25

შევადგინოთ გაბნევის დიაგრამა:



აქედან ჩანს, რომ Y ცვლადის x –ისაგან დამოკიდებულებაში იკვეთება წრფივობის ტენდენცია და შესაძლებელია, რომ მარტივმა წრფივმა რეგრესიამ კარგად აღწეროს იგი. ამიტომ მათემატიკურ მოდელად შეგვიძლია ავირჩიოთ $Y_i = B_0 + B_1 x_i + \varepsilon_i$.

გამოვთვალოთ სიდიდეები: $\sum_{i=1}^{n} x_i$, $\sum_{i=1}^{n} Y_i$, $\sum_{i=1}^{n} x_i^2$, $\sum_{i=1}^{n} Y_i^2$, $\sum_{i=1}^{n} x_i Y_i$,

ამისათვის შევადგინოთ შემდეგი სახის ცხრილი:

i	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	$\sum$
x_i	11	5	5,5	2,7	6	7	5	12,5	10	2,8	2,7	6	76,2
Y_i	33	15	27	10	18	30	18	35	30	20	15	25	276
x_i^2	121	25	30,25	7,29	36	49	25	156, 25	100	7,87	7,29	36	600,95
Y_i^2	1089	225	729	100	324	900	324	1225	900	400	225	625	7066
$x_i Y_i$	363	75	148,5	27	108	210	590	437,5	300	56	40,5	150	2505,5

საიდანაც $\sum_{i=1}^{n} x_i = 76.2$, $\sum_{i=1}^{n} Y_i = 276$, $\sum_{i=1}^{n} x_i^2 = 600.95$, $\sum_{i=1}^{n} Y_i^2 = 7066$, $\sum_{i=1}^{n} x_i Y_i = 2005.5$,

გამოვთვალოთ b_0 –ისა და b_1 –ის გამოსათვლელად საჭირო სიდიდეები:

$$\bar{x} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_i = \frac{76.2}{12} = 6.35, \qquad \bar{Y} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} Y_i = \frac{276}{12} = 23,$$

$$SS_x = \sum_{i=1}^{n} x_i^2 - n\bar{x}^2 = 600.95 - 12\cdot(6.35)^2 = 600.95 - 12\cdot 40.3225 = 600.95 - 483.87 = 117.08,$$

$$SS_Y = \sum_{i=1}^{n} Y_i^2 - n\bar{Y}^2 = 7066 - 12\cdot(23)^2 = 7066 - 12\cdot 529 = 7066 - 6348 = 718,$$

$$SS_{xY} = \sum_{i=1}^{n} x_i Y_i - n\bar{x}\bar{Y} = 2005.5 - 12\cdot 6.35\cdot 23 = 2005.5 - 1752.6 = 252.9.$$

გამოვთვალოთ b_0 და b_1 შეფასებები:

$$b_1 = \frac{SS_{xY}}{SS_x} = \frac{252.9}{117.08} = 2.16, \qquad b_0 = \bar{Y} - b_1\bar{x} = 23 - 2.1601\cdot 6.35 = 23 - 13.71663 = 9.28.$$

დავწეროთ რეგრესიის წრფის შეფასება:

$$\hat{Y} = 9.28 + 2.16x.$$

მიღებული მონაცემები გვაძლევს შემდეგ გრაფიკულ სურათს:



b_1–ის მიღებული მნიშვნელობა $b_1 = 2.1606$ ნიშნავს, რომ ბინის ფართობის ყოველი ერთი ერთეულით გაზრდა იწვევს ბინის ფასის საშუალოდ $2.1606 \cdot 1000\$ = 2160.6\$$ –ით გაზრდას. ამასთან $b_0 = 9.2801$. როგორც ვიცით b_0 არის წერტილი, რომელშიც რეგრესიის შეფასებული წრფე კეთს Y ღერძს, ე.ი., როცა $x = 0$, $\hat{Y} = 9280.1\$$. ანუ ნულოვანი ფართობის ბინის საშუალო ფასია $9280.1\$$, რაც აზრს მოკლებულია.

როგორც წესი, ჩვენ არ შეგვიძლია მივცეთ $\hat{Y}$–ს ინტერპრეტაცია, როდესაც X ცვლადის მნიშვნელობა არ ეკუთვნის X –ის დაკვირვებულ $x_1, x_2, ..., x_n$ მნიშვნელობათა გაბნევის დიაპაზონს, ანუ როცა $x < x_{\min} = \min(x_1, x_2, ..., x_n)$ ან $x > x_{\max} = \max(x_1, x_2, ..., x_n)$. ჩვენ შემთხვევაში $x_{\min} = 2.7$, $x_{\max} = 12.5$. რადგან $x = 0$ არ ეკუთვნის $[2.7;12.5]$ ინტერვალს, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია $\hat{Y}$ მნიშვნელობების საიმედო ინტერპრეტირება, როცა $x = 0$.

დეტერმინაციის კოეფიციენტის გამოთვლილი მნიშვნელობა $R^2 = 0.761$ გვიჩვენებს, რომ მარტივი წრფივი რეგრესიით აიხსნება ბინის გასაყიდი ფასის ვარიაციის მხოლოდ 76.1%, დანარჩენი 23.9% აუხსნელი რჩება. საჭიროა შეირჩეს სხვა მოდელი (არაწრფივი რეგრესია ან მრავლობითი რეგრესია), რადგან ბინის ფასის ცვალებადობის ახსნა მხოლოდ ფართობის ცვალებადობის ხარჯზე არ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს.

ამიტომ, მეტი სიზუსტისათვის, შემოვიტანოთ კიდევ ერთი დამატებითი ცვლადი და განვიხილოთ ორფაქტორიანი წრფივი მოდელი $Y = B_0 + B_1 x + B_2 x_2 + \varepsilon$. სადაც Y – ბინის გაყიდვის ფასია ($\times 1000$ \$), x_1 – ბინის ფართობია ($\times 10$ კვ.მ.), x_2 – ბინის სართულია. ახალი მონაცემებით ცხრილს აქვს სახე:

i	Y_i	x_{1i}	x_{2i}	${x_{1i}}^2$	${x_{2i}}^2$	${Y_i}^2$	$x_{1i} \cdot x_{2i}$	$x_{1i} \cdot Y_i$	$x_{2i} \cdot Y$
1	33	11	5	121	25	1089	55	363	165
2	15	5	4	25	16	225	20	75	60
3	27	5,5	2	30,25	4	729	11	148,5	54
4	10	2,7	5	7,29	25	100	13,5	27	50
5	18	6	1	36	1	324	6	108	18

6	30	7	2	49	4	900	14	210	60
7	18	5	3	25	9	324	15	590	54
8	35	12,5	4	156,25	16	1225	50	437,5	140
9	30	10	4	100	16	900	40	300	120
10	20	2,8	2	7,87	4	400	5,6	56	40
11	15	2,7	3	7,29	9	225	8,1	40,5	45
12	25	6	2	36	4	625	12	150	50
$\sum$	276	76,2	37	600,95	133	7066	250,2	2505,5	856

ჩვენი მონაცემების თანახმად $\overline{Y} = \frac{1}{12} \cdot 276 = 23$, $\overline{x_1} = \frac{1}{12} \cdot 76.2 = 6.35$, $\overline{x_2} = \frac{1}{12} \cdot 37 = 3.0833$.

b_0 –ის, b_1 –ისა და b_2 –ის მნიშვნელობების მოსაძებნად გამოვთვალოთ შემდეგი სიდიდეები:

$$Var(x_1) = \frac{1}{12} \cdot 600.92 - 40.3225 = 9.7542, \qquad Var(x_2) = \frac{1}{12} \cdot 133 - 9.5067 = 1.5766,$$

$$Cov(x_1; x_2) = \frac{1}{12} \cdot 250.2 - 19.57896 = 1.271, \quad Cov(x_1; Y) = \frac{1}{12} \cdot 2005.5 - 146.05 = 21.075,$$

$$Cov(x_2; Y) = \frac{1}{12} \cdot 856 - 70.9159 = 0.4174, \qquad [Cov(x_1; x_2)]^2 = 1.6154.$$

ამრიგად

$$b_1 = \frac{21{,}075 \cdot 1{,}5766 - 0{,}4174 \cdot 1{,}271}{9{,}7542 \cdot 1{,}5766 - 1{,}6154} = 2{,}3756,$$

$$b_2 = \frac{0{,}4174 \cdot 9{,}7542 - 21{,}075 \cdot 1{,}271}{9{,}7542 \cdot 1{,}5766 - 1{,}6154} = -1{,}6504,$$

$$b_0 = 23 - 2{,}3756 \cdot 6{,}35 - (-1{,}6504) \cdot 3{,}0833 = 13{,}0036.$$

ამრიგად, ჩვენი საძიებელი განტოლების კონკრეტული სახე არის: $\hat{Y} = 13{,}0036 + 2{,}3756x_1 - 1{,}6504x_2$.
დეტერმინაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად შევადგინოთ შემდეგი ცხრილი:

i	$\hat{Y}_i$	$\left(Y_i - \hat{Y}_i\right)^2$	$\left(Y_i - \overline{Y}_i\right)^2$
1	30,8829	4,4821	100
2	18,2798	10,7571	64
3	22,7687	17,9039	16
4	11,1654	1,3582	169
5	25,6071	57,868	25
6	26,3321	13,4535	49

7	19,9304	3,7264	25
8	36,0968	1,203	144
9	30,1578	0,0249	49
10	16,3546	13,2889	9
11	14,4665	0,2846	64
12	23,9565	1,0889	4
$\sum$	275,9986	125,4395	718

დეტერმინაციის კოეფიციენტის გამოთვლილი მნიშვნელობა $R^2 = 1 - \frac{125.4695}{718} = 0.825$ გვიჩვენებს, რომ ორფაქტორიანი წრფივი მოდელით აიხსნება ბინის გასაყიდი ფასის ვარიაციის $82,5\%$, დანარჩენი $17,5\%$ აუხსნელი რჩება.

მიღებული შედეგებით უძრავი ქონების აგენტს შეუძლია განსაზღვროს ბინის გასაყიდი ფასი, თუ იცის მისი ფართობი და სართული. ამით კი დაეხმაროს თავის კლიენტს ბინის გასაყიდი ფასის განსაზღვრაში. თუ მას სურს, რომ პროცენტულად გაზარდოს სიზუსტე, მაშინ შემოიტანს დამატებით ფაქტორებს. ეს იქნება დამატებითი სათავსოს ფართი, ფარეხი თუ სხვა, მიიღებს მეტ სიზუსტეს და დაადგენს, თუ რა გავლენას ახდენს თითოეული მათგანი ბინის გასაყიდ ფასზე.

ჩვენ მაგალითში, $b_1 = 2,3756$ –ის მნიშვნელობა მიუთითებს იმაზე, რომ ფართობის ყოველი დამატებითი ერთეულისათვის ბინის გასაყიდი ფასი იზრდება საშუალოდ $2375\$$ –ით. $b_2 = -1,6504$ –ის მნიშვნელობა კი მიუთითებს, რომ ბინის სართულის ყოველი ერთეულით ზრდა იწვევს ფასის კლებას საშუალოდ $1650\$$ –ით.

ჩვენ ფორმულების ერთ-ერთი ვარიანტის გამოყენებით გამოვთვალეთ მარტივი წრფივი რეგრესიისა და ორფაქტორიანი წრფივი რეგრესიული მოდელის კოეფიციენტების შეფასებები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში რეგრესიის მრავალფაქტორიანი, მათ შორის მარტივი წრფივი რეგრესიისა და ორფაქტორიანი მოდელის შეფასება ხორციელდება ასევე გამოყენებითი პროგრამების პაკეტებით. ამის შესაძლებლობა Microsoft Excel–საც გააჩნია.

ლიტერატურა:

1. ომარ ფურთუხია, „ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები“ (თეორიული ცნობარი, მეთოდური მითითებები, ამოცანები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012;
2. გიორგი მარი, ალექსანდრე მოსიძე, „ალბათობის თეორია და გამოყენებითი სტატისტიკა“, დამხმარე სახელმძღვანელო ESM – თბილისის სტუდენტებისათვის, თბილისი, 2006;
3. ნუგზარ ხვედელიძე, „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“, ლექციების კურსი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008;
4. იური ანანიაშვილი, „ეკონომეტრიკა“, სახელმძღვანელო, ნაწილი I, თბილისი, 2008.

სოციალური მედია, სოციალური ქსელები და ბლოგები

თინათინ ფოლადაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ნოზაძე,** ასოცირებული პროფესორი

სტატიაში მიმოხილულია სოციალური მედიის განვითარების ისტორია და მისი მნიშვნელობა ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. სოციალური მედიის დადებითი და უარყოფითი გავლენა ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

სანამ განვიხილავდეთ ზემოთ მოყვანილ საკითხებს განვიხილოთ სოციალური მედიის ძირითადი ტერმინები, სოციალური მედიის სახეები და მათი დანიშნულება.

რა არის ტერმინი?

ადამიანებს ტერმინებისადმი ერთგვარად მოკრძალებული დამოკიდებულება გვაქვს. არადა, რა არის ტერმინი? უბრალოდ სიტყვა ან შესიტყვება, რომელსაც რაიმე დარგის, ცნების ან სპეციალური საგნის აღსანიშნავად ვიყენებთ. უფრო მეტიც, ტერმინებს უბრალო, ჩვენნაირი ადამიანები იგონებენ. მერე ამ მოგონილ ტერმინებს ვიმეორებთ ანუ ვამკვიდრებთ, მერე კი ჩვენი განათლების სადემონსტრაციოდ ვიყენებთ.

კაცობრიობა ვითარდება, წინ მიდის, ტერმინების რაოდენობაც სულ მატულობს. ამიტომაც, ამ სიმრავლეში, ტერმინის უკან მდგარი ცნება სადღაც იკარგება და ხშირად, მხოლოდ ტერმინიღა შეგვრჩება ხოლმე ხელში. აი, თითქოს კი იცი, რას უნდა ნიშნავდეს, ხვდები, მაგრამ ვინმემ რომ გთხოვს ამიხსენიო ვერ აუხსნი.

ასე მაგალითად, ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად გვესმის სიტყვა **„მედიები“**. იმდენად შევეჩვიეთ ამ ტერმინს, ვინმეს რომ ჰკითხო, ამიხსენი რას ნიშნავსო, გაკვირვებული შემოგხედავს, როგორ, ნუთუ არ იციო. არადა რომ ჩაეძიოს, შეიძლება რიგიანად ვერც განგიმარტოს.

განმარტებით ლექსიკონს თუ დავესესხებით, სახელი **„მედია“** მრავლობითი რიცხვია, **„მედიუმისა“** და შესაბამისად, ტერმინ „მედიების“ ხმარება არასწორია. იგი ასე განისაზღვრება: ინფორმაციის შენახვისა და გადმოცემის საშუალება, ან მოწყობილობა. შესაბამისად, ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში ყოველი მხრიდან მედიით ვართ გარშემორტყმულნი. წიგნი, ჟურნალი, მობილური ტელეფონი, რადიო, ტელევიზორი, კომპიუტერი, საგზაო ნიშნებიც კი - ყველგან , სადაც არ უნდა გაიხედო, ინფორმაციაა შენახული და ყოველი მხრიდან ინფორმაცია მოგვეწოდება.

ტერმინი მედია გვხვდება **ხელოვნებაშიც**. იგი ასე განისაზღვრება: მასალა რომელსაც იყენებს ხელოვანი თავისი ნამუშევრის შესაქმნელად (ტილო, ქაღალდის ფურცელი, ფანქარი, საღებავი და ა. შ.) .

ასევე ნორმან როკველის (Norman Rockwell) “სამმაგ ავტოპორტრეტში“ სარკე მედიუმია, ხოლო ყველა სახატავი საშუალება ერთად - მედია.

დღეს სწორედ ერთ-ერთ მედია საშუალებაზე - სოციალურ მედიაზე ვისაუბრებთ.

რა არის სოციალური მედია?

არსებული განმარტების მიხედვით, სოციალური მედია არის საზოგადოების ცალკეული წევრის ან გარკვეული ჯგუფის მიერ შექმნილი ინფორმაციის შენახვისა და გადმოცემის არხი.

სოციალური მედია, რომელიც ძირითადად ინტერნეტზეა დაფუძნებული არის საშუალება ინფორმაციის გაზიარებისა და დისკუსიისა ადამიანებს შორის. დღეს-დღეობით დამეთანხმებით ალბათ რომ სოციალური მედია უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით კი მოზარდებზე. მისი საშუალებით შეიძლება გავიგოთ მთლიანი თუ არა დიდი ნაწილი იმ ინფორმაციისა რაც ჩვენს გარშემო ხდება.

სოციალური მედია საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მუდმივად იყვნენ ჩართული მათთვის საინტერესო პროცესების შეფასებასა და განხილვაში.

სოციალური მედია არის მომხმარებლის მიერ შექმნილი: სურათი, ვიდეო, აუდიო, ტექსტური ან სხვა სახის მასალა, რომელიც გამოქვეყნდა და გაპიარებულ იქნა სოციალურ სამყაროში ინტრენეტის, სხვადასხვა სოციალური მედიის ან სულაც თითოეული თქვენთაგანის მხრიდან.

მარტივად რომ ვთქვათ: „სოციალური მედიაა როდესაც ადამიანებს აქვთ დიალოგი ონლაინ“.

უფრო მარტივადაც ყოფილა შესაძლებელი იმის ახსნა თუ რა არის სოციალური მედია. როგორც ხედავთ სოციალური მედია საშუალებების მრავალი სახეობა არსებობს (სურათი 1). ამ სოციალურ არხებს შორის (მულტიმედია, ბუკქმარკინგი, პოდკასტი, ვიკი) არის ჩვენთვის კარგად ნაცნობი სოციალური

ქსელები და ბლოგებიც. ამ არხების გამოყენების ეფექტი კი მათ სწორ შერჩევაზეა დამოკიდებული. ინდუსტრიიდან გამომდინარე, ისინი ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია.

სურათი 1. სოციალური მედიის სახეები

რა არის სოციალური ქსელები?

პირველ რიგში რას წარმოადგენს სოციალური ქსელი? სოციალური ქსელი ეს არის საერთაშორისო სერვისი და მასთან წვდომა ხდება ინტერნეტის საშუალებით.

სოციალურ ქსელში ყველა მომხმარებელს ენიჭება პირადი პროფილი და სივრცე, რისი საშუალებითაც ძალიან ადვილია გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი ინტერესები, შეხედულებები და მოვიძიოთ რესურსი ჩვენი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ტერმინი სოციალური ქსელი არც ისე დიდი ხნისაა. გასული საუკუნის 30-იან წლებში ამერიკაში სოციოლოგები ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებს სწავლობდნენ, ასეთ კავშირებს სოციოგრამების, ანუ ერთგვარი დიაგრამების სახით გამოსახავდნენ. ამ გამოსახულებებში ცალკეული პიროვნებები წერტილებით იყვნენ აღნიშნული. მათ შორის კავშირები კი ხაზებით. ამ სახით ვიზუალიზებულ ადამიანთა საზოგადოებას, ანუ ურთიერთგადამკვეთ ხაზთა რთულ სისტემას, სოციალური ქსელი დაარქვეს.

ტერმინმა - „სოციალური ქსელი“ მოგვიანებით სოციოლოგიიდან ინტერნეტში გადაინაცვლა. ინტერნეტში იგი ისეთ ვებგვერდებს და სერვისებს აღნიშნავს, რომელსაც თვითონ მომხმარებლები ამდიდრებენ. ასეთი საიტები ერთგვარ სოციალურ გარემოს წარმოადგენენ, რომელიც საერთო ინტერესებით დაკავშირებულ მომხმარებლებს ერთმანეთთან ურთიერთობის, ინფორმაციის და გამოსახულებების გაცვლის საშუალებას აძლევს.

ბოლო ხანს სოციალური ქსელები საერთოდ მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამაზე მიუთითებს №2 სურათზე მოტანილი სტატისტიკა. ამის მაგალითია თუნდაც FACEBOOK, რომლის მომხმარებელმაც 900 მილიონს გადააჭარბა. მისი შემქმნელი კი მარკ ცუკემბერგი, თავის დროზე ყველაზე ახალგაზრდა მილიარდელად აქცია. ეს ყველაფერი კი (ვირტუალურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელის - facebook-ის შექმნის ისტორია) დევიდ ფინჩერის ფილმ the social network-ში (სოციალური ქსელში) არის კარგად აღწერილი. ამ ქსელის თავბრუდამხვევმა წარმატებამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ჰარვარდის უნივერსიტეტის თანაკურსელების ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა. ახლა კი ფეისბუქი და სხვა სოციალური ქსლები უკვე ჩვენს ცხოვრებასაც თანდათან ცვლის.

სურათი 2. პოპულარული სოციალური ქსელები

ამერიკელი სოციოლოგი სტენლი მილგრემი ატარებდა ძალიან საინტერესო ექსპერიმენტებს. მან გადაწყვიტა ადამიანებს შორის არსებული კავშირების შესწავლა. დასკვნები იყო ყველასათვის მოულოდნელი. ამერიკაში მაცხოვრებელ მოსახლეობას მან და მისმა კოლეგებმა 300 კონვერტი დაურიგეს, ამ კონვერტების ადრესატები ამერიკის სხვა ქალაქში მაცხოვრებელი კონკრეტული პიროვნებები იყვნენ, ექსპერიმენტის პირობის თანახმად ამ კონვერტის ფოსტით გაგზავნა არ შეიძლებოდა, მისი გადაცემა მხოლოდ ნაცნობებისათვის და ახლობლებისთვის შეიძლებოდა. კონვერტის გზა ერთი ადამიანიდან სხვა ქალაქში მცხოვრებ მეორე ადამიანამდე ძალიან მოკლე აღმოჩნდა. ასე დაიბადა პატარა სამყაროს ან „ექვსი ხელის ჩამორთმევის თეორია“. შედეგების კვლევებმა აჩვენა რომ, ნებისმიერ კონკრეტულ ადამიანს მეორემდე სულ რაღაც ექვსი ხელის ჩამორთმევა აშორებს. სოციალური ქსელის ხიბლიც ესაა: მე სოციალური ქსელის საშუალებით, ვაცნობ ინფორმაციას ჩემს მეგობარს, რომელიც ამ ინფორმაციას აცნობს თავის მეგობარს და ამგვარად, ჩემ მიერ ინიცირებულმა ინფორმაციამ შეიძლება მთელი მსოფლიო მოიაროს და სოციალურ ქსელში გაერთიანებული ყველა მომხმარებლისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.

სოციალური სამყაროს ეპოქაში ადამიანი ინტერნეტ სამყაროს ცენტრში ექცევა. მომხმარებელი თავად ირჩევს როდის და რას უყუროს, რას უსმინოს, რა წაიკითხოს. უფრო მეტიც თავად ქმნის იმას, რაც მერე სხვისთვისაც საინტერესო ხდება.

ასე რომ სოციალური ქსელების მთავარი სიმდიდრე მისი მომხმარებლები არიან. ერთ დღესაც ვთქვათ FACEBOOK -ის მომხმარებელმა, ინფორმაციის განთავსება რომ შეწყვიტოს, დაკარგავს თავის მომხიბვლელობას და გამოუსადეგარ ვებ-გვერდად გადაიქცევა.

ანუ დღეს თავად მომხმარებლები აყალიბებენ ინტერნეტის თანამედროვე სახეს თავიანთი ფოტოებით, კომენტარებითა და ვიდეოებით.

არსებობს უამრავი სოციალური ქსელი. მაგრამ რით გამოირჩევა ფეისბუქი? თხუთმეტ ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელს შორის პირველი ადგილი სწორედ ფეისბუქს უკავია. ამ სიაში ბოლო ადგილს კი პირველი სოციალური ქსელი classmates.com იკავებს , რომელიც 1995 წელს შეიქმნა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფეისბუქი რომ სახელმწიფო ყოფილიყო მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით (ამ შემთხვევაში მისი იუზერების რაოდენობის მიხედვით) მეოთხე ადგილზე იქნებოდა.

დღესდღეობით სოციალური ქსელები ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. ისინი კომუნიკაციის დამყარების საუკეთესო საშუალებად ითვლებიან (ყველას და ყველაფრის პოვნა სწორედ სოციალური ქსელების საშუალებითაა შესაძლებელი). მათი საშუალებით მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში ძალიან მარტივად ხდება დაკავშირება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოციალურმა ქსელებმა,

ინტერნეტმა, რადიკალურად შეცვალა ადამიანთა ცხოვრება მაგრამ შეცვალა სასიკეთოდ თუ საუბედუროდ ეს საკითხი სადაოა და ადამიანთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

რა არის ბლოგი?

ბლოგი წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ წარმოებულ ვებ-საიტს, რეგულარული ჩანაწერებით, რომლებიც აღწერენ სხვადასხვა მოვლენებს და შეიცავენ გრაფიკულ ვიდეო-აუდიო მასალას. ბლოგს შეიძლება ელექტრონული დღიურიც კი ვუწოდოთ.

დღეს ძნელია იმის გარკვევა, ვინ იყო პირველი ბლოგერი. თავად ტერმინი კი ჯონ ბარგერს (Jorn Barger) ეკუთვნის, რომელმაც 1997 წელს, პირველმა გამოიყენა შესიტყვება ვებლოგი (weblog).

შემოკლებული ფორმის–ბლოგის (blog) შემოღება კი, პიტერ მეროლზის (Peter Merholz) დამსახურებაა, რომელმაც ეს ტერმინი 1999 წელს თავის ბლოგში Peterme.com გამოიყენა.

პირველი ბლოგები დაახლოებით 1994 წელს, ტერმინის ჩამოყალიბებამდე, გაცილებით ადრე გაჩნდა და მათ ძირითადად ონლაინ დღიურის სახე ჰქონდათ. თავიდან ბლოგერობა არც ისე ადვილი იყო, რადგან არ არსებობდა ბლოგის წარმოების ინტერნეტ სერვისები და შესაბამისად, ბლოგის შექმნა ისეთივე რთული იყო, როგორც ვებგვერდის დამზადება. 1999 წელს, გაჩნდა მარტივი და მოხერხებული სერვისი – Blogger, ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ბლოგოსფეროს განვითარებას და ნებისმიერ ადამიანს მისცა საშუალება ყოველგვარი გადასახადისა და სპეციალური მომზადების გარეშე შეექმნა თავისი ბლოგი.

ბლოგმა არა მარტო პოლიტიკაზე მოახდინა ზეგავლენა, გამოაფხიზლა ჟურნალისტიკა და მილიონობით ადამიანს მისცა საშუალება, გამოეხატა აზრი და დაკავშირებოდა სხვებს, არამედ მან დიდი ზეგავლენა იქონია ბიზნესზეც. ძალიან ცნობილმა ჟურნალმა „**Business Week**“-მა გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „Blogs Will Change Your Business“ (ბლოგები შეცვლიან თქვენს ბიზნესს). და ეს მართლაც ასეა, თუ თქვენ გაქვთ ბიზნესი სწორედ ბლოგების საშუალებით შეგიძლიათ გაზარდოთ თქვენი ბრენდის ცნობადობა, დაამყაროთ ახალი კავშირები და, რაც მთავარია, მოიპოვოთ თქვენი კლიენტების ნდობა. ეს ყველაფერი კი შეგიძლიათ ბლოგების დახმარებით სრულიად უფასოდ გააკეთოთ!

ბლოგი ძალიან ჰგავს ვებსაიტს, მაგრამ რამდენიმე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშანიც აქვს. ჩანაწერები როგორც წესი განლაგებულია უკუქრონოლოგიურად. მკითხველს აქვს კომენტარების დატოვების საშუალება ბლოგზე განთავსებულ მათთვის საინტერესო პოსტებზე. ეს კიდევ უფრო გამოარჩევს ბლოგებს ერთმანეთისგან მნახველების (ვიზიტორთა) რაოდენობასთან ერთად.

ამავდროულად არსებობს ბლოგის მრავალი ტიპი, რომლებიც განსხვავდებიან არა მარტო შინაარსის მიხედვით არამედ ამ შინაარსის მოწოდების ან შექმნის გზებით.

თუ თქვენ ჯერ კიდევ არ ხართ ბლოგერი და გსურთ თქვენი ცოდნა და იდეები გაუზიაროთ სხვებს, ეკონტაქტოთ მათ, შექმნათ რაღაც ახალი და შთააგონოთ სხვებიც. შეგიძლიათ ძალიან ადვილად შექმნათ საკუთარი ონლაინ დღიური. ამისათვის უბრალოდ უნდა დარეგისტრირდეთ უფასო ბლოგ პლატფორმაზე. მაგალითად როგორიცაა blogger.com და wordpress.com. ბლოგის შინაარსი და დიზაინი კი უკვე თქვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

უნდა აღინიშნოს ისიც რომ ზოგიერთი ბლოგერი თავის თავს ონლაინ ჟურნალისტს უწოდებს, ამ საკითხის ირგვლივ დიდი ხანია კამათი მიმდინარეობს. შეიძლება თუ არა ბლოგერებს ჟურნალისტები ვუწოდოთ. თავის მხრივ, ბევრ ჟურნალისტს საკუთარი ბლოგი აქვს გახსნილი. ასევე აკრედიტირებული ბლოგერები ხშირად იმავე პრივილეგიებით სარგებლობენ, როგორც ტრადიციული მედია საშუალების წარმომადგენლები.

ასე რომ თანდათან ხდება ტრადიციული მედიისა და სოციალური მედიის ერთმანეთთან დაკავშირება. დღესდღეობით ტრადიციული მედიაც (ტელევიზია, რადიო და ჟურნალ-გაზეთები), კი აქტიურად იყენებს სოციალური მედიის შესაძლებლობებს.

მაგალითად დღეს თქვენ არამარტო რადიოს მოსმენა შეგიძლიათ არამედ საიტზე სხვადასხვა ბლოგების ნახვაც. ასევე უამრავ ქართულ ჟურნალს თუ სატელევიზიო გადაცემას Facebook-ში თავის გვერდი აქვს. სწორედ აქ მიმდინარეობს ცოცხალი დისკუსიები და ამგვარად ახერხებენ ტრადიციული მედია საშუალებები თავის აუდიტორიასთან ცოცხალ დიალოგს.

სოციალური მედია თანდათანობით უფრო პოპულარული ხდება, ამას კი ხელს უწყობს თავად ინტერნეტის სწრაფად ცვლა და განვითარება. მაგალითად ტელევიზორს 13 წელი დასჭირდა რომ მიეღწია 50 მილიონი მომხმარებლისათვის. რადიოს 38 წელი ხოლო ინტერნეტს სულ რაღაც 4 წელი დასჭირდა ამისთვის.

აქედან გამომდინარე ძნელია დღეს განვსაზღვროთ, რა იქნება ხვალ. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება ადამიანის დამოკიდებულება ამ ყველაფერთან. შედეგი კი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებისა და ინტერნეტ მომხმარებლების განუხრელი ზრდის კვალდაკვალ სულ უფრო მეტი ადამიანი ერთობა და სარგებლობს სოციალური მედიით.

როგორც ყველაფერს ასევე სოციალურ მედიასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყველაზე მეტად უნდა აღინიშნოს ის, რომ ხშირად ადამიანები მასზე დამოკიდებულნი ხდებიან. დაფიქრებულხართ იმაზე, შეგიძლიათ თუ არა ცხოვრება სოციალური ქსელების, მაგალითად ფეისბუქის გარეშე? რა თქმა უნდა მრავალი უარყოფითი მხარე აქვს ამ ყველაფერს, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ სოციალური მედია დაახლოების, აზრთა გაზიარების, ურთიერთობის, ახალი იდეების, სიტყვის თავისუფლების, ინფორმაციის სწრაფად მიღებისა და მიწოდების საშუალებაა.

ლიტერატურა:

1. სანდრო ასათიანი - სოციალური მედია სკოლაში. გამომცემლობა "სანდროს წიგნები", 2011.
2. http://socium.ge/
3. http://blogger.ge/post/781
4. http://socium.ge/index.php/articles/student-articles/80-socialuri-qselis-gavlena-adamianis-fsiqikaze
5. http://www.ebizmba.com/articles/social-networking-websites

ინფორმაციის უსაფრთხოება და მისი დაცვის ზოგიერთი მეთოდის შესახებ

ბექა ხუბერაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ნოზაძე,** ასოცირებული პროფესორი

ინტერნეტის მომხმარებლების განუყრელი ზრდის პირობებში ყველაზე აქტუალური საკუთარი სისტემის და ინფორმაციის დაცვის პრობლემაა. ბევრისთვის უკვე უცხო არ არის ის ფაქტი, რომ კომპიუტერული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, ერთი მავნე ფაილის საშუალებით სხვის პირად ცხოვრებაში ჩავერიოთ, ვმართოთ სხვისი კომპიუტერები, მოვიპაროთ ინფორმაცია ან თუნდაც ფული და ა.შ.

აქედან გამომდინარე დღეისათვის მსოფლიოში ნომერ პირველი ამოცანაა საკუთარი კომპიუტერებისა და ინფორმაციის დაცვა არასანქცირებული ჩარევებისა და დატაცებისაგან.

სანამ განვიხილავდეთ ინფორმაციის დაცვის მეთოდებს მოვიყვანოთ ყველაზე გავრცელებული საფრთხეები, რომლებიც შეიძლება შეიქმნას ავტომატიზირებული ტექნოლოგიების გამოყენებისას.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდ საფრთხეს კომპიუტერისათვის წარმოადგენს ე.წ „ვირუსი" ანუ როგორც მას უწოდებენ Mmalware Malicious software - მავნე პროგრამა, რომელიც მოიცავს ყველა ბოროტი სახის პროგრამას.

ვირუსი ძირითადად ვრცელდება ინტერნეტით ვებ-საიტებზე შესვლისას, რაიმე პროგრამის გადმოტვირთვისას, ელ. ფოსტის მიღებისას და ა.შ. აგრეთვე ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობებიდან, მაგ.: ვინჩესტერიდან, მობილურიდან, ფლეშიდან, CD/DVD დისკებიდან და ა.შ.

ვირუსს შეუძლია მოიპაროს ინფორმაცია: ელ. ფოსტის, ვებ საიტების პაროლები, საკრედიტო ბარათების კოდები საბანკო ანგარიშები, წაშალოს კომპიუტერში არსებული ინფორმაცია, დაავირუსოს პროგრამული ფაილები, გამოიყენოს კომპიუტერი როგორც ბოტი სხვადასხვა სერვერებზე შეტევის განსახორციელებლად. ამ დროს ფიქსირდება თქვენი კომპიუტერის IP მისამართი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს კიბერ შეტევის განსახორციელებლად.

ნაშრომში წარმოდგენილია ყველაზე საშიში ვირუსების ათეული და ზოგიერთი მათგანის მიერ მიყენებული ზიანი:

- BRAIN (1986 წელი) - შეიძლება ითქვას, რომ ეს ვირუსი თავის მიმდევრებთან შედარებით უსაფრთხოა. ის გადაიცემა დისკეტების საშუალებით და იმითაა ცნობილი, რომ მან პირველად გამოიწვია ვირუსული ეპიდემია. მისი შექმნა ძმების ამჯათ და ბაზით ფარუგალვების დამსახურებაა. ამ ვირუსის გავრცელება 1986 წელს დაიწყეს, ხოლო მისი აღმოჩენა 1987 წელს მოხდა. არსებული ინფორმაციით მხოლოდ აშშ ტერიტორიაზე 18 ათასამდე კომპიუტერი დააავადა.
- JERUSALEM (1988 წელი)

ეს ვირუსი შეიქმნა 1988 წელს ისრაელში, აქედან წარმოიშვა მისი ძირითადი სახელი. მისი მეორე სახელია „პარასკევი 13 რიცხვი“ იგი პირველი ვირუსია MS-DOS თვის და მან სერიოზული პანიკა გამოიწვია. ნებისმიერ დროს ის შემოიპარებოდა დისკიდან გადაწერის შედეგად, მაგრამ აქტივაციას იწყებდა 13 რიცხვში და პარასკევს. იგი სრულიად შლიდა ინფორმაციას მყარი დისკიდან.

- მორისის ჭია (1988 წელი)

ეს საშიში ვირუსი გამოჩნდა 1988 წლის ნოემბერს საშიშ ინტერნეტ ვირუსებში მან პირველი ადგილი დაიკავა თავისი ქაოსური და უკონტროლო გამრავლებით მის მიერ მიყენებული ზარალი 1988-1989 წლებში შეადგენდა 96 მილიონ დოლარს.

- MICHELANGELO (1992 წელი)

საკმაოდ საინტერესო და დაუნდობელი ვირუსია. იგი შეიქმნა 1992 წელს, კომპიუტერში მოხვედრის შემდეგ ის მშვიდად იმყოფებოდა იქ და 6 მარტს აქტიურდებოდა. 1992 წელს მან დააზიანა 10000 კომპიუტერი.

- ჩერნობილი “CIH” (1998 წელი)

მსოფლიოში ერთ ერთი ცნობილი ვირუსია. ის შეიქმნა ტაივანელი სტუდენტის მიერ 1998 წელს. კომპიუტერში მოხვედრის შემდეგ იგი იმალებოდა სხვადასხვა პროგრამებთან ერთად, აქტიურდებოდა 26 აპრილს, სრულებით შლიდა მყარი დისკიდან მონაცემებს და თვითონ კომპიუტერსაც აზიანებდა. ძირითადად აღმოსავლეთ აზიაში მან მწყობრიდან გამოიყვანა 300 ათასზე მეტი კომპიუტერი. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე შემდგომი წლის განმავლობაში 26 აპრილს ვირუსი კვლავ აქტიურდებოდა და აგრძელებდა თავის საქმიანობას.

- MELISA(1999 წელი)

შეიქმნა 1999 წელს. ის პირველი ცნობილი საფოსტო მატლია, რომელიც აზიანებდა MS WORD დოკუმენტებს და აგზავნიდა საკუთარ ელექტრონულ მისამართზე. ვირუსი ვრცელდებოდა უდიდესი სიჩქარით. ამიტომაც მის მიერ მიყენებულმა ზარალმა 100 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

- ბედნიერების წერილი “I LOVE YOU” (2000 წელი)

შეიქმნა 2000 წელს და ღირსშესანიშნავია იმით, რომ საკმაოდ ეშმაკურადაა შექმნილი. მომხმარებელს ელ. ფოსტაზე მიდიოდა შეტყობინება ტექსტით I LOVE YOU თანდართული ფაილით, ამგვარი მომხიბვლელი შეფუთვით მოტყუებული მომხმარებელი ხსნიდა ფაილს და ღებულობდა სკრიპტს, რომელიც აგზავნიდა იგივე წერილს სხვა მისამართებზე და ამავდროულად შლიდა მნიშვნელოვან ფაილებს კომპიუტერიდან. მან დააზიანა მსოფლიო კომპიუტერების 10 %, რამაც გამოიწვია ზარალი 5,5 მილიარდი დოლარის ოდენობით.

- NIMDA (2001 წელი)

მისი სახელი წარმოიქმნა სიტყვა admin ის შებრუნებით. კომპიუტერში შეღწევის შემდეგ ვირუსი თვითნებურად ეუფლებოდა ადმინისტრატორის უფლებებს, რის შემდეგაც ცვლიდა ან ანგრევდა სისტემის კონსტრუქციას, ახდენდა ჰოსტებში IP მისამართებზე შეღწევის ბლოკირებას .

აღნიშნული ვირუსი იმდენად ეფექტურად აღწევს კომპიუტერში, რომ შექმნიდან 22 წუთში გახდა ინტერნეტში ყველაზე გავრცელებული ვირუსი.

დიაგრამაზე ნაჩვენებია NIMDA ვირუსის მოქმედების სტატისტიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ასე მაგალითად: გერმანიაში ვირუსის მოქმედების შედეგად დაზიანდა კომპიუტერების 40 % .



დიაგრამა 1: ნიმდა-ს მიერ დაზიანებული კომპიუტერები.

➢ MY DOOM (2004 წელი)

ყველაზე დაუცველი დღეისათვის ელექტრონული ფოსტაა. MY DOOM ყველაზე სწრაფი ვირუსია, რომელიც გავრცელებულია ამჟამად. ის მუშაობს აღმავლობით - თითოეული შემდგომი კომპიუტერი წინა კომპიუტერზე უფრო მეტ სპამს აგზავნის. გარდა ამისა ახდენს ოპერაციული სისტემის მოდიფიცირებას და ბლოკავს ანტივირუსული კომპანიების საიტებში microsoft ის კომპანიის საინფორმაციო და სხვა განყოფილებებში შესვლას. მის ანგარიშზეა ასევე DDOS შეტევა microsoft ის საიტზე.

დიაგრამაზე ნაჩვენებია ამ ვირუსის მოქმედების სტატისტიკა სხვადასხვა სფეროში.



დიაგრამა 2: MY DOOM -ის მიერ დაზიანებული კომპიუტერები სხვადასხვა სფეროში.

➢ CONFICKER (2008 წელი)

ერთ-ერთია ბოლო ვირუსებისგან, რომელიც გავრცელდა მთელ მსოფლიოში და მოიპოვა ძალზე საშიში კომპიუტერული მატლის იმიჯი. შეტევას ახორციელებს microsoft windows ის ოჯახის ოპერატიულ სისტემებზე. ამ ვირუსმა მსოფლიოში დააზიანა 12 მილიონ კომპიუტერზე მეტი. მისი მოქმედების პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ ის პოულობს სუსტ ადგილს windows-ში, რომელიც უკავშირდება ბუფერის გადამეტებულ შევსებას და მოტყუებით RPC მოთხოვნის დახმარებით ადგენს კოდს, რომლის მეშვეობითაც თიშავს windows-ის განახლებებს და სერვერის სამსახურებს, აგრეთვე ახდენს ანტივირუსების მწარმოებელი მსხვილი კომპანიების საიტების ბლოკირებას.

უნდა აღვნიშნოთ ისიც რომ კომპიუტერული ვირუსები დღესაც განიცდიან მუტაციას. მოვიდა დრო, როდესაც კაცობრიობის ბედი დამოკიდებულია კომპიუტერულ ტექნოლოგიაზე, ყველა ორგანიზაცია ჩართულია ჯერ ლოკალურად, შემდეგ გლობალურად ქსელში. ამით ბოროტად

სარგებლობენ ჰაკერები, რომლებიც ქმნიან ვირუსებს, რათა მართონ სხვისი კომპიუტერი, მოიპარონ პირადი ინფორმაცია, საკრედიტო ბარათების მონაცემები ან უბრალოდ დააზიანოს კომპიუტერი როგორც პროგრამულად, ასევე ტექნიკურად.

მოვიყვანოთ ვირუსებისაგან დაცვის რამდენიმე პრაქტიკაში უფრო მეტად გავრცელებული მეთოდი. ესენია:

- კომპიუტერის გამორთვა, ინტერნეტის გათიშვა;
- ანტივირუსული პროგრამებით ყველა საეჭვო ფაილის შემოწმება;
- ვინდოუსის დაცვის საშუალების გამოყენება და ა.შ

მაგრამ დღეს ყველაზე პოპულარული და პრაქტიკული ანტივირუსული პროგრამების გამოყენება. ანტივირუსს ორი მოქმედების პრინციპი გააჩნია: ესენია ვირუსების აღმოჩენა ვირუსულ ბაზებზე დაყრდნობით. ყველა ანტივირუსის უკან რამდენიმე ლაბორატორიას და ადამიან - ექსპერტს ითვლის, რომლებიც 24 საათის განმავლობაში აანალიზებენ ახალ ვირუსებს, ქმნიან მათ შესაბამის ანაბეჭდს და ათავსებენ მათ სერვერზე, რომელსაც შემდგომ მომხმარებლის მანქანაზე დაინსტალირებული ანტივირუსი ტვირთავს ინტერნეტის მეშვეობით. ფაილის სკანირების მომენტში ანტივირუსი ადარებს ვირუსულ ბაზას და დამთხვევის მომენტში ფაილს აღიქვამს როგორც ვირუსს. გასაგებია, რომ რაც უფრო ხშირად განახლდება ანტივირუსის ვირუსული ბაზა და რაც უფრო მეტი ვირუსის ანაბეჭდი გვექნება ბაზაში, მით უფრო მცირეა კომპიუტერის დაინფიცირების შანსი.

დღეისათვის ყველაზე გავრცელებულია შემდეგი ანტივირუსული პროგრამები

- KASPERSKY ANTI VIRUS (KAV)

უნივერსალური გადაწყვეტა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებისგან აკმაყოფილებს 1,2 და 4 პირობებს ერთადერთი მინუსი რესურსების ჭარბი მოხმარება.

- KASPERSKY INTERNET SECURITY

Kav -ს დამატებული firewall და მშობლების კონტროლის მოდული. დაცვა თითქმის უნივერსალურია მაგრამ ხშირად ითხოვს მომხმარებლის ჩარევას.

- ESET NOD 32

მშვენიერი ანტივირუსია აკმაყოფილებს ოთხივე პირობას, კომპიუტერის მცირე რესურსებს მოიხმარს და შესაძლებელია ნებისმიერი სიმძლავრის კომპიუტერზე მისი დაყენება.

- OUTPOST SEQURITY

ანტივირუსი, რომელიც დაგიცავთ ჰაკერებისგან, ტროიანებისგან, ასევე აგარიდებთ ინტერნეტში და ქსელში მყოფ ვირუსებს ან შპიონურ პროგრამებს.

ანტივირუსის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ პარამეტრებს:

- ვირუსული ბაზა - რაც უფრო ხშირად და ეფექტურად განახლებადია ვირუსული ბაზა მით უფრო დაცულია მომხმარებელი.
- ევრისტიკული ანალიზი - ვირუსების ახალი ბაზის უქონლობის შემთხვევაში თავდაცვის ეს გზა გვრჩება. ასე რომ, ამ კომპონენტის კარგ მუშაობაზეა დამოკიდებული კომპიუტერის დაცულობა.
- რესურსების მოხმარება - ნამდვილად არ გვჭირდება ისეთი დაცვა, რომელიც მთელ სისტემურ რესურსებს წაგვართმევს.
- ინტერფეისი - ამ ნაწილში შედის ყველაფერი დაწყებული პროგრამის მთავარი ფანჯრის გაფორმებით და დამთავრებული შეტყობინების ვიზუალური თუ ხმოვანი სისტემით.

მოვიყვანოთ კომპიუტერული ვირუსებისაგან თავის დაცვის რამდენიმე რჩევა:

- შეიძინეთ ლიცენზირებული ანტივირუსი:
- არ გახსნით ელ. ფოსტაზე მოსული საეჭვო ფაილები;
- არ შეხვიდეთ საეჭვო რეპუტაციის საიტებზე;
- შეამოწმეთ გადმოწერილი ფაილი ანტივირუსით;
- ხშირად განაახლეთ ოპერაციული სისტემა;
- არ ენდოთ ინტერნეტში ახალი პროგრამების რეკლამას;
- განაახლეთ ანტივირუსი და ოპერატიული სისტემა.

ლიტერატურა:

1. Basic of Information Security, Second Edition, Andres Jason, 2011.
2. http://statistic.su/blog/most_powerfull_hacker_attacks/2011-03-31-225
3. http://www.catalog.matrixplus.ru/statatacs.htm
4. http://www.securitylab.ru/news/tags/%F5%E0%EA%E5%F0%F1%EA%E8%E5+%E0%F2%E0%EA%E8/
5. http://kkk.at.ua/publ/poznaem_kompjuter_vmeste/samye_opasnye_kompjuternye_virusy_v_mire/7-1-0-216
6. http://wd-x.ru/history-of-the-first-virus/

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)

ზოგიერთი ორგანული ნივთიერების მიღება ბიოტექნოლოგიური მეთოდებით

ეკა ადუაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინე ქურიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ბუნებრივი ორგანული ნაერთების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება ფერმენტული კატალიზის უზარმაზარ პოტენციალზე მეტყველებს და ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ამ პროცესში მონაწილე ყველა ფერმენტი ჯერ შესწავლილი არ არის. ამასთან ერთად, რიგ შემთხვევებში, ქიმიური სინთეზის ფერმენტულით შეცვლა სავსებით მიზანშეწონილია.

ქიმიური სინთეზისაგან განსხვავებით, რომელიც რეაქციათა უმრავლესობისათვის ენერგიის მიწოდებას, მაღალ წნევას, აგრესიულ რეაქტივებს, სპეციალურ აპარატურას და სხვა განსაკუთრებულ პირობებს საჭიროებს, ფერმენტული კატალიზი 30-60°C-და ნორმალური წნევის პირობებში, მარტივ სარეაქციო ჭურჭელში ხორციელდება, ეკოლოგიური გამაჭუჭყიანებელი თანაური პროდუქტების წარმოქმნის გარეშე. ფერმენტული რეაქციების მაღალი სუბსტრატული სპეციფიკურობა მნიშვნელოვნად აადვილებს პროცესების ჩატარებას, რადგან არ საჭიროებს სუბსტრატის იმ ფუნქციური ჯგუფების დაცვას, რომლებიც რეაქციაში არ მონაწილეობენ.

ქიმიურ სინთეზთან შედარებით, ზოგიერთი აშკარა უპირატესობის მიუხედავად, ფერმენტულ სინთეზზს გარკვეული ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნია. ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ფერმენტული ტექნოლოგია, ქიმიურთან შედარებით, უმრავლეს შემთხვევაში გაცილებით ძვირია, მაგრამ ფერმენტულ პრეპარატებს აშკარა ტენდენცია აქვთ გაიაფებისაკენ, რაც განპირობებულია ახალი მუტანტების, განსაკუთრებით ტრანსფორმანტი ორგანიზმების გამოყენებით, რომლებსაც ფერმენტების ბიოსინთეზის უნარი მნიშვნელოვნად აქვთ გაძლიერებული.

ბიოტექნოლოგიური მეთოდები ფართოდ არის გამოყენებული სხვადასხვა ტიპის ნაერთების მისაღებად, მაგალითად: ფერმენტები და კოფერმენტები, უმაღლესი მცენარეების წარმოშობის მეორეული ნაერთები (ალკალოიდები, ფლავანოიდები, კატეჰინები და ა.შ.).

ტექნოლოგიური თვალსაზრისთ უნდა განვასხვავოთ ფერმენტული კატალიზი, რომელსაც არ ახლავს არავითარი არასპეციფიკური რეაქციები, მიკრობული სინთეზისაგან, რომლის დროსაც ადგილი აქვს უჯრედის ენერგეტიკული მოთხოვნებისათვის ნახშირბადის წყაროს გამოყენებას და სხვა თანაურ რეაქციებს, რაც ამცირებს ძირითადი პროცესის ეფექტურობას.

ბიოსინთეზური პროცესების უმრავლესობა თითქმის ერთნაირი მეტაბოლური გზებით მიმდინარეობს მიკროორგანზმებში, მცენარეულ და ცხოველურ უჯრედებში და ამ პროცესებში ერთი და იგივე ფერმენტები მონაწილეობენ. მაშ რაღაში მდგომარეობს მიკრობული უჯრედის უპირატესობა სხვა ორგანიზმებთან შედარებით? ცოცხალ ორგანიზმებს შორის მიკროორგანიზმები ყველაზე სწრაფად მზარდ ფორმას წარმოადგენენ, მათი ზრდის ციკლი საათებით იზომება და გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ორგანიზმის ზრდის ციკლი. მიკროორგანიზმებით ნებისმიერი ნაერთის ბიოსინთეზის გაძლიერება ხდება. ეს ხდება კულტივირების პირობების შერჩევით, კლასიკური სელექციის და თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით. მაგალითად: ანტიბიოტიკების პროდუცენტობის სოკოებში, მუტაციის საშუალებით პენიცილინის კლასის ნაერთების რიცხვმა 10 000 გადააჭარბა. ახალი შესაძლებლობა გამოვლინდა მიკრობულ სინთეზში გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით. შესაძლებელი გახდა არსებული გენების ჩანერგვა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ორგანიზმის ბიოსინთეზურ პოტენციალს. გარდა ამისა, გავრცელდა მცენარეული, ცხოველური და მიკრობული გენების ერთმანეთში გადატანის შემთხვევები. ამის მაგალითია სოიას ცილის გენების გადატანა ბაქტერიულ კულტურებში, რამაც შესაძლებელი გახადა მცენარის ანალოგიური ცილების ბიოსინთეზი 24 საათის განმავლობაში.

ქიმიური სინთეზის დროს სირთულეები იქმნება არსებული მეთოდების არასაკმარისი სელექციურობის გამო. ბუნებაში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების უმრავლესობა ჰიდროქსილირებული ნაერთებია, ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ქიმიური სინთეზის დროს

არსებობს, დაკავშირებულია მორეაგირე ნივთიერების ჰიდროქსილირებასთან განსაზღვრულ მდგომარეობაში. ფერმენტის მეშვეობით ნებისმიერი ნაერთის ჰიდროქსილირება ადვილად და დიდი სპეციფიკურობით ხორციელდება.

ორგანული ნაერთების მრავალსაფეხურიანი სინთეზის დროს ადგილი აქვს თანაური პროდუქტების საკმაოდ დიდი რაოდენობით წარმოქმნას. ეს პრობლემა მთლიანად მოხსნილია ფერმენტული კატალიზის პირობებში.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს ნახშირწყლების, არომატული ნაერთების, ორგანული მჟავების ბიოტექნოლოგიური მეთოდებით, კერძოდ მიკროორგანიზმების გამოყენებით მიღების შესწავლა.

ნახშირწყლები. მცენარეული ნახშირწყლები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით - კვების მრეწველობაში, ფარმაციაში, ტექნიკაში. უკანასკნელ 10-15 წლის განმავლობაში გაჩნდა მიკრობული წარმოშობის პლისაქარიდების ფართო გამოყენების პერსპექტივები ელექტრონიკაში, სხვადასხვა ტექნიკურ დარგებში, მედიცინაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პოლიმერებს ტრადიციულად იყენებენ ქიმიასა და ბიოლოგიაში, გასაგები გახდება მათ მიმართ ინტერესის გაზრდა. პოლისაქარიდები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით წარმოიქმნება მიკროორგანიზმების კულტივირების პროცესში ხშირად უჯრედგარე მეტაბოლიტების სახით. ფერმენტაციის დროს წარმოქმნილ პოლისაქარიდებს ახასიათებთ სტრუქტურის და შედგენილობის სტაბილურობა. პოლისაქარიდების ბიოსინთეზის უნარი მრავალ მიკროორგანიზმს ახასიათებს.

პრაქტიკული მიზნებისთვის ფართოდ გამოიყენება მიკროორგანიზმების მიერ პოლისაქარიდების გელების წარმოქმნის უნარი და მათი ადჰეზიური თვისებები.

მიკრობული წარმოშობის პოლიმერები ტოქსიკური თვისებებით არ ხასიათდება. ზოგიერთი პოლისაქარიდები, მათი პროდუცენტი მიკროორგანიზმები და გამოყენების სფერო მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

მიკრობული წარმოშობის პოლისაქარიდები და მათი გამოყენების სფერო

პოლისაქარიდი	**პროდუცენტი**	**გამოყენების სფერო**
პულულანი	*Aureobasidium pullulans*	ბიოდეგრადირებადი აპკები და საფარები
ქსანტინი	*Xanthomonas campestris*	ნავთობის მოპოვება
დექსტრანი	*Leuconostoc sp.*	სორბენტები. მედიცინა, ფარმაცია
სკლეროგლუკანი	*Sclerotium sop.*	საბურღავი დანადგარების შეზეთვა, ნავთობის მოპოვება
პოლიმერი s-130	*Alcaligenes sp*	სხვადასხვა სორბენტების წარმოება
ალგინატი	*Pseudomonas aeruginosa*	მედიცინა, ელექტრონიკა, ფარმაცია
კურდლანი	*Alcaligenes faecalis* *Agrobacterium sp A*	ფიზიკა, მედიცინა, ფარმაცია

ჰელან-გუმი ერთ-ერთი ახლად აღმოჩენილი ბაქტერიული პოლისაქარიდია. იგი ხაზოვანი პოლიმერია, რომლის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ტრისაქარიდი, რომელიც შედგენილია ერთმანეთთან გლიკოზიდური ბმებით დაკავშირებული გლუკოზის ორი და გლუკურონის მჟავასა და L-რამნოზის თითო ნაშთისაგან. ამ პოლიმერიდან მიღებული გელის გამოყენება შეიძლება ფერმენტების იმობილიზაციისათვის.

კურდლანი წარმოადგენს წყალში უხსნად, ბაქტერიული წარმოშობის პოლისაქარიდს-ჰომოგლიკანს, აგებულია გლუკოზის ნაშთებისაგან.

ბაქტერიული ცელულოზა. ამ ნაერთს უკანასკნელ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა. მისგან ამზადებენ ქაღალდს, რომელიც იზოლაციური თვისებებით და თედრმომდგრადობით ხასიათდება. ფირმა "Soni" ბაქტერიულ ცელულოზას იყენებს ტექნიკაში, გამოიყენება აგრეთვე მედიცინაში. ბაქტერიული ცელულოზა ანალოგიურია ბამბის ცელულოზისა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ის თავისუფალია ლიგნინისაგან, და ისევე, როგორც მცენარეული ცელულოზა, მიკროკრისტალური აღნაგობით ხასიათდება. ნახშირწყლებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე ელსინანი, ქიტინი, ქიტოზანი, რომლებიც გამოიყენება მედიცინაში, კვების მრეწველობაში, კოსმეტიკაში და სხვ. ქიტინი და ქიტოზანი მიიღება ობის სოკოებიდან.

ფრუქტოოლიგოსაქარიდები. ამ კლასის ნაერთები ახალ სასურსათო ნედლეულს წარმოადგენს.

ის შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული საქაროზისა და ერთიდან სამამდე ფრუქტოზის ნაშთებისაგან. ფიზიოლოგიური თვისებებით ფრუქტოოლიგოსაქარიდები მნიშვნელოვნად განსხვავდება

საქაროზისაგან - ნაწლავებში აღწევს ნატიურ მდგომარეობაში, სადაც შეითვისება ბიფიდობაქტერიების მიერ, რომლებიც წარმოქმნიან რძემჟავას და ძმარმჟავას დიდი რაოდენობით და ამით თრგუნავენ ლპობის ბაქტერიების აქტიურ განვითარებას; ადამიანის ორგანიზმში ამცირებენ ქოლესტეროლის, ფოსფოლიპიდებისა და ტრიგლიცერიდების შემცველობას. ფრუქტოოლიგოსაქარიდები აღმოჩენილია საფუვრებში, სოკოებში, ბაქტერიებში. სამრეწველო მასშტაბით ფრუქტოოლიგოსაქარიდების მისაღებად იყენებენ Aspergillus niger-ისა და Aureumbacidium pullulans-ის კულტურებს.

არომატული ნაერთები. არომატული ნაერთების დიდ უმრავლესობას ქიმიური სინთეზით იღებენ, რაც ეკონომიური მოსაზრებითაა განპირობებული.

არომატული ნაერთების მიღება მცენარეებიდან ხშირად გაძნელებულია, მათი დაბალი შემცველობის, მცენარეების შეგროვებასთან დაკავშირებული სიძნელეებისა და ექსტრაქციის პროცესების სირთულეების გამო. სურნელოვანი ნაერთების მიღების სამრეწველო ალტერნატიული გზა მდგომარეობს მათ მიკრობულ სინთეზში.

მიკროორგანიზმების უნარი სურნელოვანი ნაერთების წარმოქმნისა, კარგა ხანია ცნობილია, სპირტული დუღილის პროცესში წარმოიქმნება მრავალი სურნელოვანი კომპონენტი, მაგალითად, რახის ზეთი, აცეტილირებული ამინები, მარტივი და რთული ეთერები, ფენოლები და სხვა. არომატულ ნაერთებს შეიცავს ხის დამშლელი სოკოების ზოგიერთი გვარი. იმისათვის, რომ მიკრობული წარმოშობის სურნელოვანი ნაერთი მიღებული იქნეს სამრეწველო მასშტაბით, აუცილებელია, იგი როგორც ხარისხობრივად, ასევე ეკონომიკურად იყოს კონკურენტუნარიანი სხვა არომატულ ნაერთებთან შედარებით. პროდუქტიულიბის გასაზრდელად საჭიროა გენური ინჟინერიის გამოყენება.

ასევე სოკოების კულტივირების შედეგად წარმოქმნილ მეტაბოლიტებში ფართოდაა წარმოდგენილი ტერპენები: ლინალოოლი (შროშანა), გერანიოლი (ვარდი), ციტრონელოლი (ვარდი) a-ტერპენი (იასამანი). ცხრილ 2-ში წარმოდგენილია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტერპენი და მისი მწარმოებელი მიკროორგანიზმი.

ცხრილი 2

ტერპენები და მათი წარმომქმნელი მიკროორგანიზმები

ტერპენები	Ceratocystis variospora	C.moniliformis	Trametes odorata	Kluyveromyces lactis
ლინალოოლი	+	+		+
გერანიოლი	+	+	+	+
ნეროლი		+	+	
ციტრონელოლი	+	+	+	+
ნეროლიდოლი				
a-ტერპინეოლი		+		
ჰერანიალი	+	+		
ნერალი	+	+		

ორგანული მჟავები. სრული ჟანგვა მიკროორგანიზმებში ნიშნავს სუნთქვის პროცესში, ორგანული ნივთიერებების დაშლას ნახშირორჟანგამდე და წყლამდე. აერობულ მიკროორგანიზმებში წარმოქმნილი სხვა ნაერთები არასრული ჟანგვის პროდუქტებია, ეს პროდუქტები ხშირად ორგანული მჟავებია: ძმარმაჟავა, ლიმონმჟავა, რძემჟავა, ფუმარისა და ვაშლის მჟავები.

ზოგიერთი ორგანული მჟავა, მაგალითად ლიმონმჟავა, სამრეწველო მასშტაბით მიიღება, მხოლოდ მიკროორგანიზმების კულტივირებით.

ბოლო ხანს გამოქვეყნდა შრომები, რომლებიც კეტომჟავების მიღებას ეხება. უმეტეს შემთხვევაში ძირითად „მეწარმეებს“ წარმოადგენენ საფუვრები. განსაკუთრებით ცნობილია კულტურა *Candida lipolytica.* მიკრობული სინთეზით შესაძლებელია γ-ლანოლინის, β-ოქსიერბოს და არაქიდონის მჟავების მიკრობული სინთეზი. აღნიშნული მჟავები წარმოადგენენ შეუცვლელ ცხიმოვან მჟავებს, ისინი ვიტამინური აქტიურობით ხასიათდებიან. მათი სინთეზი სამრეწველო მასშტაბით სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფის მიკროორგანიზმებს შეუძლია, განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით - მუტანტურ შტამებს. ეს მჟავები კომერციული ქიმიკატებია.

როგორც განხილული მასალებიდან ჩანს, შესაძლებელია სხვადასხვა ნაერთების მიღება, როგორც ქიმიური სინთეზით, ასევე მიკროორგანიზმების გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობა

ენიჭება ქიმიურ სინთეზს. პერსპექტიულია ასეთი ნაერთების მიღება ბიოტექნოლოგიური მეთოდებით, ამ მეთოდების ზემოთ აღნიშნული უპირატესობების გამო.

გარდა ამისა, განხილულია მიკრობული პოლისაქარიდების მნიშვნელობა და გამოყენების სფეროების მასშტაბურობა, რომელთა პროდუცენტები მხოლოდ მიკროორგანიზმები არიან და, აქედან გამომდინარე, მათი მიღება ხდება მხოლოდ ბიოტექნოლოგიური მეთოდებით. გარდა ამისა, თითქმის ყველა კომერციული სურნელოვანი ნივთიერების და ორგანული მჟავის მიღება შესაძლებელია ბიოტექნოლოგიური მეთოდებით.

ლიტერატურა:

1. კვესიტაძე გ., კვესიტაძე ე., ბიოტექნოლოგია, თბილისი, 1999, 186 გვ.
2. ბაკურაძე ა., კვესიტაძე ე., ღაღანიძე დ., თანამედროვე ბიოტექნოლოგიის შესავალი, თბილისი, 2009, 313 გვ.

C ჰეპატიტი - მკურნალობისა და პრევენციის თანამედროვე გზები

ხატია არახამია
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ უბირია,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

C ჰეპატიტი სისხლის გზით გადამდები (სისხლ-კონტაქტი) ვირუსია, რომლითაც ძირითადად ინფიცირდება ღვიძლის უჯრედები. მას შეუძლია გამოიწვიოს ღვიძლის ანთება და მისი მნიშვნელოვანი დაზიანება. ამას კი შედეგად მოჰყვება ღვიძლის ფუნქციების დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ C ჰეპატიტი ყოველთვის ღვიძლის დაავადებად ითვლებოდა („ჰეპატიტი“ ნიშნავს ღვიძლის ანთებას), ბოლო დროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ C ვირუსი ადამიანის სხვა ორგანოებზეც მოქმედებს. C ჰეპატიტის ღვიძლგარეშე გამოვლინებები მოიცავს: საჭმლის მომნელებელი, ლიმფური და იმუნური სისტემების ფუნქციის დარღვევას, ასევე თავის ტვინის დაზიანებას.



C ჰეპატიტი ქრონიკულად მიმდინარე პროგრესირებადი დაავადებაა, იგი ღვიძლის ქრონიკული დაავადების (ქრონიკული ჰეპატიტის, ღვიძლის ციროზი) ერთ-ერთი ხშირი მიზეზია.

მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 1-3 მილიონი ადამიანი ინფიცირდება. ინფიცირებულთა საერთო რიცხვი 150-200 მილიონს აღწევს. ქრონიკული C ჰეპატიტი ინფიცირებულთა 75-85%-ს უვითარდება.

HCV ინფექციის მიმდინარეობაში არჩევენ ორ სტადიას. ორგანიზმის ინფიცირების შემდეგ იწყება C ჰეპატიტის პირველი სტადია - ინფექციის მწვავე ფაზა. მეორე სტადია ქრონიკული ინფექციაა. ინფექციის მწვავე სტადია ვირუსით ინფიცირებიდან პირველი 6 თვე გრძელდება. ხშირად იგი უსიმპტომოდ (კლინიკური ნიშნების გამომჟღავნების გარეშე) მიმდინარეობს. C ვირუსით ინფიცირებულთა დაახლოებით 20%-ში ორგანიზმი თავად ახერხებს ვირუსისგან განთავისუფლებას. დანარჩენ 80%-ში ვირუსი მთელი ცხოვრების მანძილზე რჩება ორგანიზმში - ვითარდება ქრონიკული ინფექცია.

გამომწვევი მიზეზები და გადაცემის გზები:

ინფექციის წყაროს წარმოადგენს C ჰეპატიტით ინფიცირებული ადამიანი. ვირუსის ინფიცირების ძირითადი მექანიზმებია ჰემატოგენური, პარენტერალური (სისხლიდან), ზოგჯერ გადადის სქესობრივი გზითაც.

ადამიანი ინფიცირდება:

- ✓ ნემსის შემთხვევით ჩხვლეტისას;
- ✓ საერთო სამართებლის, სისხლით დაბინძურებული ბამბის გამოყენებისას;
- ✓ სხეულში სხვადასხვა სამკაულის ჩამაგრებისას ე.წ. პირსინგის დროს;
- ✓ სისხლმდენი ღრძილების მქონე ადამიანის კბილის ჯაგრისის გამოყენებისას;
- ✓ სხვა ადამიანის კბენის დროს;
- ✓ დაბინძურებული სააბაზანო აქსესუარების გამოყენებისას;
- ✓ ვირუსის სქესობრივად გადაცემა ძალიან იშვიათია (1-3%) ძირითადად, ჰომოსექსუალებში (სწორი ნაწლავის ტრამვირების გამო). მაღალია C ჰეპატიტით ინფიცირების სიხშირე მრავალ პარტნიორთან ურთიერთობის შემთხვევაში.

C ჰეპატიტის გადაცემის გზებიდან გამომდინარე ყველაზე ხშირად ავადდებიან:

- ✓ ინტრავენური ნარკომანები და მათი სქესობრივი პარტნიორები;
- ✓ შეუმოწმებელი სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმის დროს;
- ✓ ცუდად გასტერილებული სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტებით მანიპულაციების დროს;
- ✓ გაუსტერილებული ინსტრუმენტებით კოსმეტოლოგიური, მანიპულაციების შემთხვევაში (პედიკური, მანიკური, ტატუირება და სხვა);
- ✓ სამედიცინო პერსონალი - ანუ იგულისხმება ყველა ის შემთხვევა, როდესაც ვირუსით დაბინძურებული სისხლი ერევა სხვა ადამიანის სისხლს;
- ✓ C ჰეპატიტით დაავადების რისკი მაღალია არა მარტო ინტრავენური ნარკომანიის დროს, არამედ კოკაინის შესუნთქვისას. კოკაინი ძლიერ აღიზიანებს ცხვირის ლორწოვან გარსს და ხშირად იწვევს სისხლდენას. ასეთი პირის მიერ ნახმარ შესასუნთქ ტუბს კი ვირუსი მეორე ადამიანის ცხვირის ლორწოვანსა და შესაბამისად, სისხლში გადააქვს.

სისხლის თვალით უხილავ რაოდენობას შეიძლება შეიცავდეს ორგანიზმში არსებული სითხეებიც: ნერწყვი, ცრემლი, შარდი, სპერმა. ამიტომ სრული უსაფრთხოებისათვის სასურველია სიფრთხილე C ჰეპატიტით დაავადებულ ადამიანებთან ურთიერთობისას.

C ჰეპატიტით დაავადებულ დედას შეუძლია ორივე გზით გააჩინოს შვილი და დაავადების გენეტიკური გადასვლის რისკი ძალზე მცირეა.

C ჰეპატიტს არ იწვევს კოღოს ნაკბენი. არ გადაეცემა ხველებით, დაცემინებით, ჭურჭლით, საკვებით და წყლით. დაავადება არ გადადის საერთო პირსახოცითა და კოცნით.

კლინიკური სურათი

C ჰეპატიტი ასოცირდება ღვიძლის დაავადებათა ფართო სპექტრთან - უმნიშვნელო ანთებიდან დაწყებული და დამთავრებული ღვიძლის ციროზით. ღვიძლის დაზიანების გარდა C ვირუსი სხვა მრავალ სიმპტომებსაც იწვევს. ქრონიკულ დაავადებულთა ნაწილი თავს კარგად გრძნობს და ჩივილები არ აქვს. სხვა ინფიცირებულებს კი ინფექციასთან დაკავშირებული მძიმე კლინიკური სიმპტომები აღენიშნებათ.

ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტთა უმრავლესობას აღენიშნება კონცენტრაციის უნარის დაქვეითება. ამ სიმპტომს „ტვინის დანისვლას“ უწოდებენ. იგი მოიცავს: კონცენტრაციის გაღარიბებას, მეხსიერების გაუარესებას და კომპლექსური გონებრივი დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული

პრობლემების არსებობას. მდგომარეობას აუმჯობესებს წარმატებული კომპლექსური ანტივირუსული თერაპია. მკურნალობაზე დადებითი შედეგის შემთხვევაში პაციენტს ეხსნება კონცენტრაციისა და მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები.

კიდევ ერთი გავრცელებული ჩივილი ქრონიკული დაღლილობაა. ამ სიმპტომის სიმძიმე ინდივიდუალურია. ზოგი ადამიანი მთელი დღის განმავლობაში მუშაობს და მხოლოდ საღამოს გრძნობს დაღლილობას. ინფიცირებულთა ნაწილს კი საერთოდ არ შეუძლია მუშაობა და დროის უმეტეს ნაწილს ძილში ატარებს.

პაციენტების დიდ ნაწილს აქვს სხვადასხვა ლოკალიზაციის ტკივილი და კანის ქავილი. უმრავლესობაში ტკივილი მძაფრია (მუცლის მარჯვენა ზედა კუთხეში).

ქრონიკული HCV ვირუსით ინფიცირებულთა უმრავლესობას აწუხებს სახსრების ტკივილი. ყველაზე გავრცელებული ზედა კიდურებისა და მაჯების სახსრების ტკივილია.

ინფიცირებულთა უმრავლესობას შესაძლებელია განუვითარდეს სიმპტომი, რომელიც სრულიად არ იყოს დაკავშირებული C ჰეპატიტთან. ფარისებრი ჯირკვლის დაავადება, რომელიც ასევე იწვევს დაღლილობას. ქრონიკული HCV ვირუსით ინფიცირებულთა შორის ასევე არსებობს მუცლის ტკივილის გამომწვევი სხვა უამრავი მიზეზი. მსგავსად სხვა ადამიანისა შესაძლოა მათაც განუვითარდეთ კუჭის წყლული ან ნაღვლის ბუშტში გაუჩნდეთ კენჭები.

გართულებები

ჰეპატიტი ნელა პროგრესირებს, დაავადებულთა 20%-ს ღვიძლის ციროზი 10-20 წლის განმავლობაში უყალიბდება. ციროზის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრავალი ფაქტორი:

- ✓ პაციენტის ასაკი ინფიცირების მომენტში
- ✓ სქესი
- ✓ ალკოჰოლიზმი
- ✓ თანდართული ინფექციები

ციროზით დაავადებულ პაციენტებში კი შესაძლებელია ღვიძლის კიბოს განვითარება. ციროზის შედეგად გაჩენილი ნაწიბურით მნიშვნელოვნადაა შეცვლილი ღვიძლის სტრუქტურა. ამის გამო, დროთა განმავლობაში სერიოზულად ირღვევა ღვიძლის ფუნქცია. არსებობს ციროზის „კომპენსირებული“ და „დეკომპენსირებული“ სტადიები. თუ ღვიძლში ნაწიბურების განვითარების მიუხედავად ჯერ კიდევ არაა დაკარგული ფუნქციების უმეტესი ნაწილის შესრულების უნარი - ეს არის „კომპენსირებული ციროზი“ (რაც გულისხმობს იმას, რომ ღვიძლს შერჩენილი აქვს უნარი - მოახდინოს ზიანის კომპენსირება). ღვიძლის ფუნქციის მნიშვნელოვნად დარღვევის შემთხვევაში ციროზი „დეკომპენსირებულია“, დაავადების ამ სტადიის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმპტომებია:

- ✓ პორტული ჰიპერტენზია - როცა სისხლის შესვლა ღვიძლში გაძნელებულია და პორტულ ვენაში წნევა იმატებს;
- ✓ ვარიკოზული სისხლდენა - როდესაც პორტული ჰიპერტენზით იცვლება სისხლის ნაკადის მიმართულება. ვენების არასაკმარისი გამტარობის გამო ვითარდება საყლაპავი ვენების გაგანიერება (საყლაპავსა და კუჭს შორის). ამ ვენების დაზიანების შედეგად შესაძლებელია განვითარდეს სიცოცხლისათვის საშიში სისხლდენა.
- ✓ შეშუპება - როცა ღვიძლი ვერ გამოიმუშავებს საკმარისი რაოდენობით ალბუმინს, ირღვევა ორგანიზმში სითხის რეგულაცია, ამის შედეგად მუცლის ღრუში გროვდება სითხე, რასაც „ასტიტი“ ეწოდება;
- ✓ ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია - როდესაც ღვიძლი კარგავს ტოქსინებისა და მავნე შენაერთების განეიტრალების უნარს. ტოქსიკური პროცედურები იწვევენ ტვინის ქსოვილის დაზიანებას, გონების დაბინდვას და კომას.

დიაგნოსტიკა

უსიმპტომო მიმდინარეობის დროს დაავადების გამოვლენის ერთადერთი გზა არის სისხლის სეროლოგიური ანალიზი. პირები, რომლებიც რისკჯგუფებს მიეკუთვნებიან, პერიოდულად უნდა ჩაიტარონ სისხლის გამოკვლევა, დაავადების დიაგნოსტიკა სისხლის შრატში C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენით იწყება. მწვავე C ჰეპატიტის შემთხვევაში პირველი 2-3 თვე მათი აღმოჩენა შეიძლება ვერც კი მოხერხდეს. ამასთანავე ანტისხეულების არსებობა მხოლოდ რნმ ვირუსით ადამიანის ოდესღაც ინფიცირებას ადასტურებს.

C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების შემცველობას განსაზღვრავს იმუნოფერმენტული ანალიზი, შემდეგ კეთდება სპეციალური ანალიზი (პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქცია - PCR) რომლის დადებითი შედეგიც ადასტურებს დიაგნოზს.

ლაბორატორიული კვლევებით დგინდება C ჰეპატიტის ვირუსის გენეტიკური ტიპი. მისი საშუალებით წყდება მკურნალობის ხანგრძლივობის საკითხი.

მკურნალობა

მწვავე ჰეპატიტი C ავადმყოფთა 20%-40%-თვის მკურნალობის გარეშე, სპონტანური გამოჯანმრთელებით სრულდება. ვირუსის საწინააღმდეგო მკურნალობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 80%-ს აღემატება.

ქრონიკული C ჰეპატიტის მკურნალობა ხანგრძლივი (24-48 კვირა) და ძვირად ღირებული პროცესია. C ჰეპატიტის სამკურნალოდ შემუშავებული სტანდარტული სქემის მიხედვით გამოიყენება ორი პრეპარატის - რეკომბინანტური ალფა-ინტერფერონისა (გენური ინჟინერიით მიღებული პრეპარატი) და რიბავირინის კომბინაცია.

C ჰეპატიტის ციროზით გართულების შემთხვევაში, როდესაც ღვიძლს თავისი ფუნქციის შესრულება აღარ შეუძლია, მიმართავენ ღვიძლის გადანერგვას - ტრანსპლანტაციას. ციროზით გართულების შემთხვევაში დიეტა აუცილებელია. მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტის დროს რაიმე სპეციფიკური დიეტა საჭირო არ არის. საკმარისია ალკოჰოლის გამორიცხვა, ასევე სასურველია ჭარბი წონის კორექტირება.

დღესდღეობით C ჰეპატიტის მართვა შესაძლებელია. დროული და სათანადო მკურნალობის შედეგად გართულებები აღარ ვითარდება.

პროფილაქტიკა:



დაავადების გადატანის შემდეგ იმუნიტეტის გამომუშავება არ ხდება. გამოჯანმრთელების შემდეგ ამ ვირუსით ინფიცირება შესაძლებელია, რადგან ვირუსი იმუნიტეტს არ ტოვებს, ვერც მისი საწინააღმდეგო ვაქცინაციის შექმნა ხერხდება.

ვირუსისგან თავდაცვის მიზნით საჭიროა ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა, უარის თქმა ნარკოტიკებზე, უსაფრთხო სექსი, მხოლოდ საკუთარი კბილის ჯაგრისის, მაკრატლის, პინცეტისა და სხვა ნივთების გამოყენება, აუცილებელია სიფრთხილე სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმისას, სამედიცინო და კოსმეტოლოგიური მანიპულაციების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ინსტრუმენტების სტერილიზაციას.

C ჰეპატიტით დაავადებულმა ადამიანმა უნდა შეწყვიტოს თამბაქოს მოხმარება, შეწყვიტოს მედიკამენტების თვითნებური მიღება, დროდადრო კონსულტაციისთვის მიმართოს ექიმს და შეასრულოს მისი რჩევები, იკვებოს სრულფასოვნად, მოერიდოს ცხიმიან ხორცს და ზოგადად ცხიმიან კერძებს, შეამციროს კოფეინის მიღების დოზა.

რეკომენდებულია C ჰეპატიტიანი ადამიანის ვაქცინაცია A და B ჰეპატიტის წინააღმდეგ, რადგან ასეთ ავადმყოფებში A და B რთულად მიმდინარეობს.

ლიტერატურა:

1. საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია, მესამე გამოცემა, თბ., 2010.
2. Игнатова Т.М., Хронический гепатит С и беременность, Клиническая гепатология, 2008, №1,3-9
3. Трошина Н.В., Мир вирусных гепатитов, 2000, №4, 7-8
4. Малеев В.В., Хронический гепатит С: возможности и перспективы противовирусной терапии// Вестник СПбГМА им. И.И. Мечникова. 2008, 3 (28) : 37-41.
5. Н.А. Агаджанян и соавт. Физиология человека, Санкт-Петербург, 1998.

მარჯნის პოლიპები და მათი მნიშვნელობა

ელენა ბესტავაშვილი, მარინა ბესტავაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თინათინ იოსებიძე,** ასოცირებული პროფესორი

წყალქვეშა სამყარო ყველასთვის საინტერესო და ამოუცნობი ფენომენია. მასზე ბევრი წიგნი იწერება, ბევრი სტატია თუ სიუჟეტი იქმნება. ჩვენც დავინტერესდით აღნიშნული სამყაროს ერთ-ერთი წარმომადგენელით - მარჯნის პოლიპებით. შევისწავლეთ ჩვენთვის უცნობი დეტალები.

მარჯნის პოლიპები უხერხემლოთა კლასის ნაწლავღრუიანთა ტიპს მიეკუთვნება. მარჯნის პოლიპები მხოლოდ ზღვის ცხოველებია და ეწევიან მჯდომარე ცხოვრებას. მათი უმრავლესობა კოლონიური ფორმებია, მაგრამ არიან მარტოული, ცალადი ფორმები - მრავალრიცხოვანი აქტინიები. სხეული ცილინდრული ფორმისაა, პირის ირგვლივი არე შემორტყმულია საცეცების გვირგვინით, საცეცების რაოდენობა შეიძლება იყოს რვა ან მეტი. პოლიპების სხეულის კედელი და აგრეთვე საცეცებიც შედგება ექტოდერმის, ენტოდერმის და მეზოგლიის შრისგან. თანამედროვე მარჯნის პოლიპები გაერთიანებულია ორ ქვეკლასში: რვასხივიანი მარჯნის პოლიპები და ექვსსხივიანი მარჯნის პოლიპები. რვასხივიანი მარჯნის პოლიპები კოლონიური ფორმებია რვა საცეცით. მათ განეკუთნება კეთილშობილი (წითელი) მარჯანი, ზღვის ნაკრეტნი და სხვა. რვასხივიანი მარჯნის ჩონჩხი შინაგანია, მათი ჩონჩხი დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს. ექვს სხივიანები ჩონჩხს მოკლებული ერთეული ფორმებია, რომლებიც ხშირად სიმბიოზში იმყოფებიან სხვა ცხოველებთან (კიბო - განდეგილი, ათფეხიანები). მათვე

მიეკუთვნება მადრეპოროვნები, რომელთაც კარგად განვითარებული კიროვანი ჩონჩხი აქვთ. მარჯნის პოლიპები მრავლდებიან სქესობრივი და უსქესო გზით. ვეგეტაციური გამრავლება მიმდინარეობს ან დაკვირტვით ან პოლიპის სიგრძივი გაყოფით. ამ უკანასკნელი წესით მრავლდება ექვსსხივური მარჯანი - აქტინია.

მარჯნის პოლიპების კლასში 6 ათასამდე სახეობაა. ყველაზე პრიმიტიული მარჯნის პოლიპების ნაშთები პირველად კამბრიულ ნალექებშია ნაპოვნი. ნამარხი მარჯნებით წარმოქმნილი კირქვები, ასევე ზოგი თანამედროვე მადრეპოროვანი მარჯანი გამოიყენება სამშენებლო მასალის წარმოებაში. მარჯნის პოლიპები დიდ გროვებად ცხოვრობენ 50 მ-მდე სიღრმეზე. ისინი ემაგრებიან ზღვის მყარ ფსკერს და იზრდებიან ზევითკენ, ვრცელდებიან სიგანეში, ქმნიან წაგრძელებულ რიფებს, პატარა, დაბალ, რგოლისებური ფორმის კუნძულებს - ატოლებს. მარჯნის რიფი წყალქვეშა ან ნაწილობრივ წყალქვეშა კირქვული გეოლოგიური სტრუქტურაა. რიფები წარმოადგენენ მარჯნის პოლიპებისა და წყალმცენარეების კოლონიურ გაერთიანებას, რომელსაც ზღვის წყლიდან კირქვის გამოყოფის უნარი აქვს. მსოფლიოში მარჯნის რიფების საერთო ფართობი ექვსასი ათას კვადრატულ კილომეტრს აღემატება.

მარჯნის რიფების ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა მათი ფერის ცვლა. დაზიანებულ რიფებს ცვლიან სიმბიოზური წყალმცენარეები, რომლებიც ღია ფერით ცვლიან ამ უკანასკნელს. შედეგად კოლონიებში იქმნება ღია მოთეთრო მონაკვეთები. მარჯნის რიფები ქმნიან მსოფლიო ოკეანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკოსისტემას. ხელოვნური რიფების შესაქმნელად ბევრ ქვეყანაში ზღვაში ყრიან ტანკებსა და ძველ ვაგონებს, ასევე ძირავენ ამორტიზებულ გემებსაც. თუმცა ამ მიზნით, ბოლო პერიოდში, „მოდაში შემოვიდა“ წყალქვეშა ქანდაკებები. ბრიტანელი მხატვარი ჯეისონ დე კეირეს-ტეილორი ამ ქანდაკებებს ისეთი მასალით ამზადებს, რომელზეც მარჯნის პოლიპები აქტიურად სახლდებიან. მარჯნის პოლიპები ზღვებისა და ოკეანეების თბილ წყლებში ცხოვრობენ, არა ნაკლებ +20 გრადუსი ტემპერატურის დროს. მარჯნის ნაგებობანი დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ ოკეანის ფსკერის ზოგიერთი ნაწილი ზევით იწევს, ზოგი კი იძირება. მარჯნის რიფების ძირითადი მასივები თავმოყრილია აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვებში, შედარებით მცირე ნაწილი თავმოყრილია ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებში და ასევე წითელ ზღვაში. ზოგიერთი მარჯნის რიფი გადაჭიმულია

ათას კილომეტრზე და მეტ სიგრძეზე. ხოლო დიდი ბარიერული რიფი სიგრძეში 2 ათას კილომეტრს აღწევს. ბარიერულ რიფსა და ნაპირს შორის ლაგუნაა.

მარჯნის პოლიპების ჩონჩხები კალციტებისგან და არაგონიტებისგან შედგება. მარჯნის პოლიპები იზრდებიან სამიდან სამასამდე მეტრის სიღრმის წყლებში: იაპონიაში, ავსტრალიაში, ტაივანში, მალაის არქიპელაგზე, წითელ და ხმელთაშუა ზღვებში, ალჟირის სანაპიროებთან, თურქეთში, სარდინიაზე, ბისკაის ყურეში და კანარის კუნძულებთან. ითვლება, რომ რაც უფრო ღრმა წყალში იზრდება მარჯანი, მით უფრო იშვიათი და ძვირფასია. მარჯანი შეიძლება ჩავთვალოთ ზღვის ყვავილებად, მაგრამ მიწაზე არსებული ყვავილებისგან განსხვავებით, ისინი იზრდებიან ნელ-ნელა, სამოცდათხუთმეტ მილიმეტრამდე წელიწადში. მარჯნები მხოლოდ დღისით იზრდებიან, მზის სხივების გავლენით, როცა ფოტოსინთეზის პროცესში გამოყოფენ ჟანგბადს, შთანთქავენ ნახშირორჟანგს და მიკროსკოპულ მწვანე წყალმცენარეებს. მაგრამ ზოგიერთი მარჯნები ვერ ასწრებენ გაზრდას. ამის მიზეზია დაბინძურებული გარემო. ეს შეიძლება ჩაითვალოს საგანგაშო ნიშნად არა მარტო ზღვის ბინადართათვის, არამედ ბევრი ადამიანისთვისაც, რადგან მარჯანი ეს არის არა მხოლოდ ჩვეულებრივი სამშვენისი, არამედ სამკურნალო დანიშნულებაც გააჩნია.

ლიტველი თერაპევტები ამტკიცებენ, რომ მარჯანი ააქტიურებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, კარგად მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე და გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, აუმჯობესებს მეხსიერებას. არსებობს თქმულება, რომლის მიხედვით მარჯანს თუ გაიკეთებს ადამიანი მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე, მას გაეწმინდება სისხლი, ხოლო მარჯნის ყელსაბამი იცავს ადამიანს ანგინისაგან, ამშვიდებს ნერვებს. მარჯანი ანეიტრალებს ნეგატიურ მდგომარეობას, როგორიცაა მრისხანება, გულისწყრომა, შური. იგი სასარგებლოა ასთმით და ჩიყვით დაავადებულთათვის. იაპონიაში თეთრი მარჯნისგან დამზადებულ ფხვნილს იყენებენ ძვლების მოტეხილობის დროს. იგი ხელს უწყობს ძვლების შეხორცებას. გამოიყენება აგრეთვე კბილების პროტეზირებისთვის. პორტუგალიაში მარჯნის მძივები ითვლება თავის ტკივილის მოსახსნელად საუკეთესო საშუალებად, ხოლო ინგლისში მარჯნის მძივებს იყენებენ ყელის ტკივილის, დეპრესიებისა და ფსიქონევროზების დროს. სამეცნიერო კვლევებმა დაამტკიცეს, რომ მარჯანს აქვს გამაჯანსაღებელი თვისება. მარჯნის მძივი იცავს ადამიანს რინიტისა და ჰაიმორიტისგან. კარგი საშუალებაა შეკრულობისა და ღებინებისთვის. კარგად მოქმედებს პიროვნების შემოქმედებით პოტენციალზე და ბავშვების ტვინის განვითარებაზე.

მარჯნისგან მიღებულია პრეპარატი უნიქორალი, რომელიც მარჯნისგან მიღებული ორგანული მინერალების უნივერსალური და ბალანსირებული კომპლექსია. იგი არის კომბინირებული პრეპარატი, რომელიც არეგულირებს კალციუმ-ფოსფორის ცვლას და ავსებს ორგანიზმს მასში შემავალი მინერალების უნიკალური კომპლექსით, რომელიც შეიცავს სამოცდაათამდე მინერალს მაკრო და მიკრო ელემენტებს. უნიქორალის შემადგენლობაში შემავალი მინერალების უნივერსალური და ბალანსირებული კომპლექსი, უკვე გადამუშავებულია ცოცხალი ორგანიზმების (წითელი მარჯნის პოლიპები) მიერ და იმყოფებიან ორგანულ მდგომარეობაში, რაც განაპირობებს ორგანიზმის მიერ მათ მარტივ და სრულ ათვისებას.

არსებობს მარჯნის პოლიპების ბევრი სხვადასხვა სახეობა. ადამიანს არ შეუძლია არც მარგალიტის და არც მარჯნის ფერის ან შეფერილობის შეცვლა. მაგრამ არიან პროფესორი იუველირები, რომლებსაც შეუძლიათ მარჯნის ფერის გაუმჯობესება და გაკაშკაშება ისე, რომ მარჯანს ხარისხი არ გაუფუჭონ. ბუნებაში ორი ათას ხუთასამდე სხვადასხვა სახის მარჯანი არსებობს, რომლებსაც სამას ორმოცდაათზე მეტი შეფერილობა აქვთ. მარჯნის ძირითადი ფერებია: 1) სადაფისფერი მარჯანი, მას უწოდებენ „ანგელოზის კანს“. ასეთი მარჯანი წარმოადგენს ყველაზე ფასეულს. 2) წითელი მარჯანი, სხვანაირად მას უწოდებენ „ხარის სისხლს“. 3) ცისფერი მარჯანი, ისე როგორც ყვითელი, ითვლება ყველაზე იშვიათი შეფერილობის მარჯნად. 4) ვარდისფერი მარჯანი, რომელიც ფორმულირდება ორას მეტრ სიღრმეში, მას აქვს სახელწოდება „ღრმა წყლის მარჯანი“. 5) შავი მარჯანი, ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ სახეობას წარმოადგენს.

მეცნიერული კვლევები გვიჩვენებენ, რომ მარჯანი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს საიუველირო მასალას. ამის დამამტკიცებელი საბუთია ფართოდ ცნობილი მარჯნის მძივები, რომლებიც ნაპოვნია

გერმანიაში, ვილდშეიერის გამოქვაბულში. ეს მძივები დათარიღებულია 10 000 წლით ჩვენს ერამდე. ხოლო ვაზა, რომელიც დამზადებულია შუმერების მიერ და მორთულია მარჯნის თვლებით, 5000 წლისაა. ძველად მარჯანი ითვლებოდა ისეთივე ძვირფას ქვად, როგორც მარგალიტი. იგი ითვლებოდა უკვდავების და ბედნიერების სიმბოლოდ. საიუველირო სამშვენისებიდან ყველაზე პოპულარულია მარჯნის მძივები. თუნდაც უბრალოდ რომ შეეხოს ადამიანი მარჯნის სამკაულს მაშინვე იგრძნობს ოკეანის ძალას, სადაც გაიზარდა ეს დიდებული ცოცხალი ქვა. მარჯანი მშვენივრად ეწყობა ვერცხლს და ოქროს. კარგი იუველირის მიერ

გაკეთებული მარჯნის სამკაულის საჩუქრად მირთმევა ითვლება კარგ ტონად. მარჯნებისგან ამზადებენ თილისმებს და ავგაროზებს. მისგან დამზადებულ თილისმებს და ავგაროზებს იყენებენ მოგზაურები. ითვლება, რომ მარჯნის მინერალები მფლობელს იცავენ შესაძლებელი ძალადობისგან, სტიქიური უბედურებებისაგან: წყალდიდობისაგან, ხანძრისგან, შტორმებისგან და ა.შ.

მარჯნის სამკაულის შეძენით ადამიანი იძენს ამულეტს, რომელიც იცავს მას ყველაფერი ცუდისგან.

მარჯნის მაგიურ თვისებებზე მრავალი ლეგენდა და თქმულება არსებობს მთელ მსოფლიოში. მარჯანი არის ზღვის საჩუქარი, რომელიც ითვლება ცოლ-ქმრული წყვილების და ბავშვების მფარველ თილისმად. მარჯანი ავგაროზია, რომელიც იცავს ადამიანს სიღარიბისგან და უბედურებისგან. ასევე ითვლებოდა, რომ მარჯანი ადამიანს ანიჭებს სიბრძნეს, იცავს მფლობელს დემონებისგან, „უწმინდური ძალებისგან“, ცდუნებისგან. მისგან დამზადებულ მძივებს ჩვილი ბავშვების აკვანზე ჰკიდებდნენ მორწმუნე ადამიანები. ძველი ევროპელები თვლიდნენ, რომ მარჯნის ავგაროზი იცავს ბავშვებს სიზარმაცისგან, ცუდი მასწავლებლებისგან, უზნეო საქციელისგან, ქურდობისა და ლოთობისკენ მიდრეკილებისაგან. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ძველ საბერძნეთში ვარდისფერი მარჯანი წარმოადგენდა უკვდავების და ბედნიერების სიმბოლოს. შუასაუკუნეების ევროპაში მარჯანი ითვლებოდა თავმდაბლობის, თავდაჭერილობის სიმბოლოდ. ბერძნული და რომაული ლეგენდების თანახმად მარჯანს პოულობდნენ დრაკონის (დიდი გველების) თავის ტვინში.

დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო ისეთი სამკაულების წმენდისას, რომლებსაც ამშვენებს ისეთი თვლები, რომლებიც ცუდად იტანენ მაღალ ტენიანობას. ასეთ სამკაულებს შორისაა მარჯანი, მისთვის მავნეა საპნის ქაფით და ცხელი წყლით გაწმენდა. იმისთვის რომ მარჯნის სამკაულები დიდხანს გამოსადეგი იყოს, ბნელ ადგილას ყუთებში უნდა ინახებოდეს.

ამრიგად, მარჯნის პოლიპებს მრავალგვარი გამოყენება აქვთ.

ლიტერატურა:

1. ბ. ყურაშვილი, უხერხემლოთა ზოოლოგია, თბილისი, 1996.
2. ა. ე. ფარსმანი, ნარკვევები ქვების ისტორიის შესახებ, 1954.
3. ა. გ. ჟაბინი, ახალი მონაცემები ბიომინერალოგიის სფეროში, 1974.

სისხლში ჰემოგლობინის დონის ცვლილებები და მისი განსაზღვრის ძირითადი მეთოდები

რუსუდან დალაქიშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **თამილა კეკოშვილი,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

„ერთი შეხედვით სუნთქვა ადვილია, მაგრამ სიცოცხლის ეს მარტივი გამოვლინება თავის არსებობას მრავალი სახის ატომთა ურთიერთქმედებას უნდა უმადლოდეს, რაც რთული აგებულების ერთ დიდ მოლეკულაში მიმდინარეობს“ (მაქს პერუცი). ეს დიდი მოლეკულა გახლავთ სწორედ ჰემოგლობინის მოლეკულა, რომელიც წარმოადგენს სუნთქვის ფერმენტს, რომელიც სისხლშია, როგორც ალქიმიკოსი პარაცელსი იტყოდა სხეულის მთავარ სითხეში.

სისხლი წითელი ფერის გაუმჭვირვალე თხევადი მასაა. ზრდასრულ ადამიანებში მისი რაოდენობა სხეულის წონის 6-8% შეადგენს და დაახლოებით 4-6 ლიტრის ტოლია. სისხლი ერთგვაროვნი მასა არ არის, მისი ძირითადი კომპონენტია მოყვითალო ფერის პლაზმა, რომელშიც შეტივტივებულია სხვადასხვა სახის ფორმიანი ელემენტები: ერითროციტები, ლეიკოციტები და სისხლის ფირფიტები ანუ თრომბოციტები.

ერითროციტები წარმოადგენენ წითელი პიგმენტის მქონე ჰემოგლობინის შემცველ უჯრედებს, რომლებსაც ადამიანისა და სხვა ძუძუმწოვრების სისხლში არ გააჩნიათ ბირთვები. ერითროციტების რაოდენობა არათანაბარია სქესის მიხედვით: მამაკაცების სისხლის 1 მკლ-ში, დაახლოებით 5-6 მილიონია, მაშინ, როცა ქალის 1 მკლ სისხლში - მხოლოდ 4,5 მილიონი.

ერითროციტის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ჰემოგლობინი, რომელიც ემსახურება სუნთქვის ფუნქციას. ერთი ერითროციტი შეიცავს 400 მილიონამდე მოლეკულა ჰემოგლობინს, ამ უკანასკნელის შემადგენელი ნაწილებია: ცილა გლობინი და არაცილოვანი პიგმენტის ჯგუფი - ჰემი. ჰემოგლობინის მოლეკულაში ჰემის ოთხი ჯგუფია. სხვადასხვა ცხოველების გლობინი ერთმანეთისაან განსახვავდება ამინომჟავური შემადგენლობთ. ჰემი ლი ყველაგან ერთნაირია და ორვალენტიან რკინას შეიცავს. რკინა გადამწყვეტ როლს თამაშობს სუნთქვის პროცესში. ამდენად, ჰემი ჰემოგლობინის აქტიური ანუ პროსთეტიური ჯგუფია. ჰემოგლობინი მეოთხეული სტრუქტურის ცილაა, მისი მასა 64 500 დალტონია. ზოგადად ჰემოგლობინის მოლეკულა შეიცავს 574 ამინომჟავას. გლობინის თითოეული პოლიპეპტიდური ჯაჭვი შეერთებულია ჰემთან.

ჰემოგლობინის შემცველობა სხვადასხვა ინდივიდის ერითროციტებში არათანაბარია. საშუალოდ ადამიანის სისხლის 100 მკლ შეიცავს 14 გრ ჰემოგლობინს. 65 კგ წონის ადამიანის მთელი სისხლი დაახლოებით 600 გრამ ჰემოგლობინს უნდა შეიცავდეს. გამოანგარიშებულია, რომ 1 გრ ჰემოგლობინი შეიცავს 3,5 მგ რკინას. მაშასადამე, მისი საერთო რაოდენობა მთელ ორგანიზმში დაახლოებით 2500 მგ-ია. დიდი მნიშვნელობა აქვს, იმას, რომ ადამიანის სისხლში ჰემოგლობინი ერითროციტის შიგნით არის მოთავსებული და არა პლაზმაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კაპილარების კედლების კარგი განვლადობის გამო, ჰემოგლობინის ნაწილი გადავიდოდა ქსოვილებში, ხოლო თირკმელების გზით - შარდში. ეს კი დიდი დანაკლისი იქნებოდა ორგანიზმისათვის. ჰემოგლობინის თავისუფლად ყოფნა სისხლის პლაზმაში სხვა მხრივაც არასასურველია - იგი გამოიწვევდა სისხლის სიბლანტის ზედმეტად გაზრდას, რაც გადატვირთავდა გულს და შეაფერხებდა სისხლის მიმოქცევას. გაიზრდებოდა პლაზმის ონკოზური წნევაც და დაირღვეოდა ბალანსი, წყალი დიდი რაოდენობით გადმოვიდოდა სისხლში და მოხვდებოდა ირგვლივ მყოფი ქსოვილების დეჰიდრატაცია.

ჰემოგლობინის ნაერთები. ნორმალურ პირობებში ჰემოგლობინი შეიძლება იყოს სამი ფიზიოლოგიური ნაერთის სახით. ჟანგბადთან მიერთებულ ჰემოგლობინს ეწოდება ოქსიჰემოგლობინი. ეს ნაერთი ფერით განსხვავდება ჰემოგლობინისაგან, ამიტომ არტერიული სისხლი ალისფერია. ოქსიჰემოგლობინი, რომელმაც გასცა ჟანგბადი, იწოდება დეზოქსიჰემოგლობინად. იგი არის ვენურ სისხლში, რომელსაც მუქი ფერი აქვს, ვიდრე არტერიულ სისხლს. გარდა ამისა, ვენურ სისხლში შედის ჰემოგლობინის ნაერთი ნახშირმჟავა გაზთან - კარბოჰემოგლობინი, რომელიც აწარმოებს ნახშირორჟანგის ტრანსპორტს ქსოვილებიდან ფილტვებისაკენ.

ჰემოგლობინს პათოლოგიური ნაერთების წარმოქმნის უნარიც აქვს. ერთ-ერთი მათგანია კარბოქსიჰემოგლობინი - ჰემოგლობინის ნაერთი მხუთავ გაზთან. მხუთავი გაზით სუსტი მოწამვლა შექცევადი პროცესია. სუფთა ჟანგბადის შესუნთქვა 20-ჯერ ზრდის კარბოქსიჰემოგლობინის დაშლის სიჩქარეს.

ჩონჩხის კუნთებსა და მიოკარდიუმში არის კუნთის ჰემოგლობინი, მიოგლობინად წოდებული. მისი პროსთეტური ჯგუფი სისხლის ჰემოგლობინის იდენტურია, ხოლო ცილოვანი ნაწილი - გლობინი ხასიათდება ნაკლები მოლეკულური მასით. ადამიანის მიოგლობინი იკავშირებს ორგანიზმში არსებული ჟანგბადის საერთო რაოდენობის დაახლოებით 14 პროცენტს. მისი ეს თვისება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომუშავე კუნთების ჟანგბადით მომარაგებაში.

ერითროციტებში ჰემოგლობინის შემცველობაზე მსჯელობენ ფერადობის მაჩვენებლით (FI). იგი შეფარდებითი სიდიდეა, რომელიც ასახავს ერითროციტის გაჯერებას ჰემოგლობინით. ნორმაში ადამიანის FI0,75-1-ია, იშვიათად 1,1. ასეთ შემთხვევაში ერითროციტებს ეწოდებათ ნორმოქრომული, თუ FI ნაკლებია 0,7-ზე, ერითროციტები არაა გაჯერებული ჰემოგლობინით და ჰიპოქრომულია, თუ FI მეტია 1,1-ზე ერითროციტები ჰიპერქრომულად ფასდება.

ჰემოგლობინის ფუნქცია. ჰემოგლობინი ასრულებს სუნთქვით ფუნქციას. ჰემოგლობინის მოლეკულაში შემავალ ოთხ რკინის ატომს შეუძლია შეიკავშიროს ჟანგბადის ოთხი მოლეკულა. ჟანგბადის შეკავშირებისას ჰემოგლობინთან რკინა რჩება ორვალენტიანი. ეს რეაქცია შექცევადია. ის უკავშირდება ჟანგბადს ფილტვებში და შემდეგ იოლად ათავისუფლებს მას ქსოვილოვან კაპილარებში, სადაც ჟანგბადის ძაბვა გაცილებით დაბალია, ვიდრე ფილტვებში.

ჰემოგლობინის მეორე ძირითადი ფუნქცია ბუფერულია. ამ ფუნქციების შესრულება შესაძლებელია, თუ შენარჩუნებულია ერითროციტების მთლიანობა, რადგან ერითროციტების ჰემოლიზისას ჰემოგლობინი ფაგოციტირდება მონონუკლეური ფაგოციტური სისტემის უჯრედების მიერ, და აგრეთვე, სწრაფად გამოიყოფა თირკმელებით შარდთან ერთად.

ჰემოგლობინის საერთო რაოდენობის გამოკვლევა. გულისხმობს ჯანმრთელი ადამიანის სისხლში არსებული და პათოლოგიური მდგომარეობისას გაჩენილი ჰემოგლობინისა და მისი დერივატების განსაზღვრას.

ჰემოგლობინის საერთო რაოდენობის განსაზღვრა სხვა მონაცემებთან ერთად მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ანემიებისა და სხვა დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად.

განსაზღვრის მეთოდები. ჰემოგლობინის კონცენტრაციის განსაზღვრის ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია კოლორიმეტრიული მეთოდი. იგი ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში სიმარტივისა და ხელმისაწვდომობის გამო.

ჰემოგლობინის პროცენტული რაოდენობის განსაზღვრა ხდება ჩვეულებრივ სალის ჰემომეტრში, რომელსაც აქვს დანაყოფებიანი პიპეტი ერთეულებისა და % გ აღნიშვნით. სალის ჰემომეტრი შედგება ხის შტატივისაგან, რომელსაც ზურგის მრიდან მიმაგრებული აქვს მინა. შტატივში ჩადგმულია ორი მინის მილი, რომელშიც ჩასხმულია სტანდარტული სითხე (1%-იანი მარილმჟავა - ჰემატინი) და ორივე ბოლო დახურულია ყრუდ. სტანდარტებს შორის ჩადგმულია ვიწრო სინჯარა, რომელსაც აქვს ორმხრივ აღნიშნული დანაყოფები: ერთი გამოხატავს ჰემოგლობინის რაოდენობას ერთეულებში, მეორე კი გრამ პროცენტებში. ჰემომეტრს თან ახლავს პიპეტი სისხლის ასაღებად, მინის წკირი და პიპეტი მარილმჟავისათვის.

ჰემოგლობინის განსაზღვრისას ჰემომეტრის დანაყოფებიან სინჯარაში ასხამენ მარილმჟავას დეცინორმალურ ხსნარს მე -10 დანაყოფამდე, თითს ჩხვლეტენ ნემსით გამოსულ სისხლს შეიწოვენ თანდართულ კაპილარულ პიპეტში 20 მმ ნიშნამდე და ჩაბერვის საშუალებით უშვებენ დანაყოფიანი სინჯარის ფსკერზე, შემდეგ პიპეტს წევენ მაღლა, სადაც სისხლი ჯერ არ არის შერეული მარილმჟავასთან და ჩარეცხავენ პიპეტს ამ ფენიდან ხსნარის 2-3 შეწოვით და გამოდევნით, სინჯარა უნდა შეინჯღრეს და დაიდგას 5-10 წუთით, რის შემდეგ ფრთხილად, წვეთ-წვეთად უმატებენ გამოხდილ წყალს და ხდება მორევა მინის წკირით, განზავება ხდება იქამდე, ვიდრე სინჯარაში მოთავსებული ხსნარის ფერი ზუსტად არ გაუთანაბრდება სტანდარტული ხსნარების ფერს, ამის შემდეგ უნდა მოხდეს დაკვირვება, თუ რომელ დანაყოფამდე დგას ხსნარის ქვემო მენისკი, ეს რიცხვი იქნება გამოსაკვლევ სისხლში ჰემოგლობინის პროცენტული რაოდენობის მაჩვენებელი. თუ ხელსაწყოს აქვს, შესწორების კოეფიციენტი, მაშინ მიღებულ რიცხვს ამრავლებენ შესწორების ამ კოეფიციენტზე, მათი ნამრავლი გამოხატავს ჰემოგლობინის პროცენტულ რაოდენობას. გამოკვლევის შემდეგ სინჯარა ირეცხება წყლით, პიპეტი კი- ჯერ წყლით და შემდეგ სპირტისა და ეთერის ნარევით.

ჯანმრთელი ადამიანის სისხლში ზემოაღნიშნული მეთოდით განსაზღვრული ჰემოგლობინის რაოდენობა ერთეულებში მერყეობს, მამაკაცებში 80-დან 107-მდე, ქალებში 70-დან 95-მდე. 100 ერთ. შეესაბამება ჰემოგლობინის 16,7 გრამ % 100 კუბურ სმ სისხლში. უფრო ზუსტია და უამრავ ქვეყნებში მიღებულია როგორც ჰემოგლობინის განსაზღვრის სტანდარტული მეთოდი, იგი ეფუძნება რეაქტივის შედეგად ჰემოგლობინის გარდაქმნას ციანმეთჰემოგლობინს. ამ უკანასკნელის კონცენტრაცია კი განისაზღვრება ფოტომეტრულად. მარილების სახით გამოიყენება დრაბკინის ხსნარი. სისხლის წითელი მარილის მოქმედებით ჰემოგლობინი იჟანგება და გარდაიქმნება მეთჰემოგლობინად, რომელიც კალციუმის ციანიდის მოქმედებით გარდაიქმნება ციანჰემოგლობინად, რეაქციის შედეგად წარმოქმნილი შეფერილობის ინტენსივობის გაზომვა ხდება 540 ნმ ტალღის სიგრძეზე 1 სმ-იან სტანდარტულ კიუვეტაში ნებისმიერი ტიპის ფოტოელექტროკოლორიმეტრში.

არსებობენ კოლორიმეტრები, რომლებიც სპეციალურად შემუშავებულია ჰემოგლობინს განსაზღვრისათვის, ეს არის ე. წ. ჰემოგლობინომეტრები.

საკუთარი დაკვირვება. იმის დასადგენად, თუ როგორია წლის ამ პერიოდში ჰემოგლობინის მაჩვენებელი სისხლში, სტატისტიკური მონაცემები მოვიპოვე შ.პ.ს „ნატვისთვალში“, სადაც ექიმმა-ლაბორანტმა ქ. ნანა ღოლიჯაშვილმა განმარტა, რომ წლის ამ პერიოდში მოსახლეობაში ყოველთვის ჰემოგლობინის მაჩვენებელი შედარებით დაბალია, რაც იწვევს სხვადასხვა სახის ჩივილებს: თავბრუსხვევას, სისუსტეს, სიფერმკრთალეს და ა.შ. იანვრის თვის მონაცემებით, 95 ადამიანმა მიმართა ჰემოგლობინის ანალიზისათვის. როგორც ანალიზის პასუხებიდან, ირკვევა თითქმის ორმოცდაათ პროცენტში აღმოჩნდა ჰემოგლობინის დაბალი მაჩვენებელი. როგორც, ქალბატონმა ნანამ განმარტა, წლის ამ პერიოდში და განსაკუთრებით, კი გაზაფხულზე იმატებს მოსახლეობის მომართვიანობა ამ პრობლემით. ეს აიხსნება იმითაც, რომ ამ სეზონზე რაციონში შემავალი ხილი ნაკლებადაა და არასრულფასოვანი კვება არის მიზეზი ჰემოგლობინის დაქვეითების.

ორსულობა და ჰემოგლობინის დონე. ორსულობის პერიოდში ჰემოგლობინის რაოდენობა მცირდება - ეს ითვლება ჩვეულ მოვლენად. ორსულობისას ხომ რკინა ზედღეღამური მოთხოვნილება საგრძნობლად იზრდება. თუ არაორსულს დღეში 5-15 მგ რკინა ჰყოფნის, ორსულს 15-20 მგ სჭირდება. ორსულობის პერიოდში ჰემოგლობინის ნორმალურ დონედ ითვლება 120-160 გრ/ლ. თუ ეს მაჩვენებელი მცირეა - ნიშნავს, რომ ადგილი აქვს ანემიის ამა თუ იმ სტადიას. თუ ჰემოგლობინის მაჩვენებელია 90-110-გრ/ლ - ნიშნავს, რომ ორსულს აქვს ანემიის მარტივი ფორმა. მაჩვენებელი 90 გრ/ლ მიუთითებს

საშუალო ხარისხისის სისხლნაკლებობას. 80 გრ/ლ მიუთითებს ორსულის კრიტიკულ მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია.

ჰემოგლობინის საერთო რაოდენობის ცვლილებები. ჰემოგლობინის საერთო რაოდენობის მომატება აღინიშნება:

- ✓ ჭეშმარიტი პოლიციტემიით (ქრონიკული ლეიკოზის ერთ-ერთი ფორმა);
- ✓ კომპენსაციური ერითროციტოზებისას (მაღალ მთებში, თვითმფრინავში ყოფნა და სხვ.);
- ✓ ჰემოკონცენტრაციისას (დეჰიდრატაცია, დამწვრობა, ხშირი ღებინება და სხვა).

ჰემოგლობინის დაქვეითება აღინიშნება:

- ✓ სხვადასხვა სახეობის ანემიების დროს;
- ✓ მწვავე და ქრონიკული სისხლდენების;
- ✓ ზოგიერთი მედიკამენტის მიღების დროს.

გასათვალისწინებელია, რომ ჰემოგლობინისათვის დამახასიათებელია ცირკადული ცვლილებები. იგი მცირდება 17 სთ-დან 7 სთ-მდე, ჰემოგლობინის რაოდენობა 10 %-ით შემცირებულია კვების შემდეგ, ამიტომ გამოკვლევა უნდა ჩატარდეს უზმოზე.

ჰემოგლობინის შემცველობა საკვებ პროდუქტებში. ჰემოგლობინის ძირითადი საშენი მასალა რკინაა, ამიტომაც ორგანიზმში რკინის დეფიციტისას მისი ოდენობა განსაკუთრებით იკლებს. ასეთ დროს აუცილებელია, რაციონი რკინის ჭარბად შემცველი პროდუქტებით გავამდიდროთ. ისეთით, როგორიც არის (რკინის შემცველობა განსაზღვრულია პროდუქტის 100 გრამში ან 100 მლ-ში):

* ღორის ღვიძლი - 12,
* საქონლის ღვიძლი - 9,
* ახალი ხორცი - 2-4,
* თევზი - 0,5-1,
* ქათმის კვერცხი - 2-3,
* ბარდა - 9,4,
* ლობიო - 12,4,
* სოია - 11,8,
* წიწიბურა - 8,
* ხორბალი - 7,
* შვრია - 3,9,
* მანანის ბურღული - 2,3,
* ფქვილი - 1-4,
* პური - 2-3,
* კაკაოს ფხვნილი - 11,7,
* ბოსტნეული - 0,5-1,5,
* ხილი - 0,5-0,4,
* ძროხის რძე - 0,1-0,4

გასათვალისწინებელია, რომ რკინის დეფიციტის შესავსებად იმაზე მეტი ელემენტი უნდა მიიღოთ, ვიდრე ხარჯავთ. ვინაიდან ორგანიზმი მასში მოხვედრილი რკინის მხოლოდ 10%-ს ითვისებს, 1 მგ ელემენტის ასათვისებლად 10 მგ რკინის შემცველი პროდუქტის მიღებაა საჭირო. გარდა ამისა, ორგანიზმი ზოგიერთ რკინას საერთოდ ვერ ითვისებს. შედარებით ადვილად ასათვისებელია ხორცში, ღვიძლში, თირკმელებში არსებული რკინა. იგი მთლიანად შეიწოვება. შედარებით რთულია მცენარეულ საკვებსა და რკინის შემცველ პრეპარატებში არსებული რკინის ათვისება, ამიტომ სასურველია, რკინის შემცველი პრეპარატების მიღებისას მიიღოთ C ვიტამინიც, რომელიც რკინას ადვილად ასათვისებელ ფორმად გარდაქმნის. ზოგჯერ ადამიანი რკინით მდიდარ საკვებს იღებს, მაგრამ ორგანიზმი რკინის შეწოვას ვერ ახერხებს.

რკინის შეწოვას ხელს უშლის:

• ფიტატები - მარცვლეული, ბურღულეული, მაღალი ექსტრაქციის ფქვილი, თხილეული;

• ფენოლისნაერთები - ტანინები, ჩაი, ყავა, კაკაო, მცენარეული ნაყენები, სანელებლები და ზოგიერთი ბოსტნეული;

• კალციუმი - რძე, რძის ნაწარმი.

რკინის შეწოვას ხელს უწყობს:

• ჰემური რკინა, რომელიც გვხვდება ხორცში, შინაურ ფრინველში, თევზსა და ზღვის პროდუქტებში;

• ასკორბინის მჟავა ანუ C ვიტამინი, რომელიც არის ხილში, ხილის წვენებში, კარტოფილსა და ზოგიერთ სხვა გორგლოვან ბოსტნეულში, აგრეთვე - პარკოსნებში, ყვავილოვან კომბოსტოსა და თეთრ კომბოსტოში;

• რკინითა და ვიტამინებით გამდიდრებული პროდუქტები.

ამ თავისებურებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილია, კვების რეჟიმი ისე შევცვალოთ, რომ რკინის შეწოვა არ დაბრკოლდეს.

ამ მიზნით **რეკომენდებულია**:

• ჩაის, ყავის მიღება საკვების მიღებიდან 1-2 საათის შემდეგ - ამ დროს საკვები კუჭში აღარ არის და რკინის შეწოვას ვერ შეაფერხებს;

• რძის, ყველის მიღება კვებათა შორის;

• ინჰიბიტორების შემცველი პროდუქტების მიღება რკინით ღარიბ საკვებთან ერთად. მაგალითად, საუზმეზე რკინის დაბალი შემცველობის მარცვლეული (პური, სიმინდის ნაწარმი) უმჯობესია მიირთვათ ჩაისთან ან რძის ნაწარმთან ერთად - ეს უზრუნველყოფს კალციუმის ადეკვატურ მიწოდებას რკინის შეწოვის შეუფერხებლად;

• რკინითა და ვიტამინებით გამდიდრებული პროდუქტების მიღება.

ამრიგად, ჰემოგლობინის საერთო რაოდენობის კვლევა მნიშვნელოვანი სადიაგნოსტიკო მეთოდია კლინიკურ პირობებში. სასურველია ყველა ადამიანმა, პროფილაქტიკის მიზნით წელიწადში ორჯერ ჩაიტაროს სისხლის გამოკვლევა.

ლიტერატურა:

1. თ. იოსელიანი, ფიზიოლოგია (ვისცერალური სისტემები), თბილისი, 1996.
2. ი. კვაჭაძე, ადამიანის ფიზიოლოგია, თბილისი, 2014.
3. რ. რუხაძე, ჰისტოლოგია, თბილისი, 2009.
4. სისხლის და შარდის ანალიზის კლინიკური მნიშვნელობა. ანალიზების ინტერპრეტაცია), მ. ხუციშვილის რედაქციით, თბილისი, 2008.

ინტერნეტ-რესურსები:

1. Medportal.ge
2. Mkurnali.ge
3. Aversi .ge

სისხლის ჯგუფების გენეტიკა და მისი როლი ადამიანის ხასიათზე

ანა ედიშერაშვილი, თამარ თომაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თინათინ იოსებიძე**, ასოცირებული პროფესორი

სისხლი განსაკუთრებული თხევადი ქსოვილია, რომელიც გულის მეშვეობით, ცირკულირებს სისხლის მიმოქცევის სისტემაში, ასრულებს სხვადასხვა სატრანსპორტო დამაკავშირებელ ფუნქციას, რითაც უზრუნველყოფს სხეულის სხვა ქსოვილების ფუნქციონირებას. მედიცინის დარგს სისხლის შესახებ ჰემატოლოგია ეწოდება. ზრდასრულ ადამიანს დაახლოებით 5 ლიტრი სისხლი აქვს. იგი სისხლძარღვთა ჩაკეტილ სისტემაში მოძრაობს და ადამიანის წონის დაახლოებით 1/13–ს შეადგენს.

სისხლი შედგება უფერო გამჭვირვალე სითხისგან – სისხლის პლაზმისგან და სისხლის უჯრედებისგან, რომლებსაც სისხლის ფორმიან ელემენტებს უწოდებენ. ესენია: სისხლის წითელი უჯრედები ანუ ერითროციტები, თეთრი უჯრედები, ანუ ლეიკოციტები და სისხლის ფირფიტები, ანუ თრომბოციტები. სისხლს ერთმანეთისგან გამოარჩევს იმუნოლოგიური მახასიათებლები — ერითროციტებში განსაზღვრული ანტიგენების, აგრეთვე პლაზმაში შესაბამისი ანტისხეულების არსებობა ან არარსებობა. სისხლის ორი ტიპი არსებობს: რეზუს-დადებითი და რეზუს-უარყოფითი. ადამიანთა

უმრავლესობას პირველი ტიპის სისხლი აქვს. დადებითი ნიშნავს განსაკუთრებული ცილის — რეზუსის შემცველობას სისხლის პლაზმაში. თითოეულ ამ ტიპს კიდევ ოთხ ჯგუფად ყოფენ ჰემაგლუტინაციის რეაქციის მეშვეობით (ABO სისტემა). ადამიანში სისხლის 4 ძირითადი ჯგუფია: O, A, B, AB ანუ I, II, III, IV.

სისხლის ჯგუფი, თითის ანაბეჭდის მსგავსად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში უცვლელი რჩება. იგი პიროვნების ერთგვარი იდენტიფიკატორია. სისხლის ჯგუფი გაცილებით ხანდაზმული კატეგორიაა, ვიდრე რასა და ეროვნება, ვინაიდან ადამიანთა მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ეთნიკური წარმომავლობა კი არა, სისხლის შემადგენლობაა.

სისხლის ჯგუფს ადამიანის ევოლუციის მანძილზე საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და იმუნური სისტემის მუდმივი ტრანსფორმაცია უდევს საფუძვლად. ჩვენს უძველეს წინაპრებს ერთი და იმავე - პირველი - ჯგუფის სისხლი ჰქონდათ. მათი საჭმლის მომნელებელი ტრაქტი უმთავრესად ცხოველური საკვების მოსანელებლად იყო მომართული. ამიტომაც აქვთ პირველი ჯგუფის სისხლის პატრონებს კუჭის წვენის მჟავიანობა გაცილებით მაღალი. მოგვიანებით დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობის მატებამ და გარემოში მომხდარმა ცვლილებებმა საგრძნობლად შეამცირა ცხოველური საკვების მოპოვების შესაძლებლობა და ენერგიის მთავარ წყაროდ თანდათანობით მცენარეული საკვები იქცა, რამაც „ვეგეტარიანული“ - მეორე ჯგუფის - სისხლის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ამ ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანები ბუნებამ ჰარმონიული თანაარსებობისკენ სწრაფვით, ნაკლები აგრესიულობით და მეტი კონტაქტურობით დააჯილდოვა.

მესამე ჯგუფის სისხლის სამშობლოდ ჰიმალაის მთების შემოგარენი, ახლანდელი ინდოეთისა და პაკისტანის ტერიტორიაა მიჩნეული, სადაც მესაქონლეობის დანერგვამ და რძის პროდუქტებით კვებამ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის შემდგომი ევოლუციისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა და სისხლის ახალი ჯგუფის წარმოქმნას შეუწყო ხელი. მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა ამ ჯგუფის ადამიანებს მოთმინება, ნებისყოფა, მიზანდასახულობა განუვითარა. სისხლის მეოთხე ჯგუფი I, II და III ჯგუფების შერევის შედეგად გაჩნდა. ამრიგად, ის ყველაზე ახალგაზრდაა და ყველაზე იშვიათიც - დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 6%-ს თუ აქვს. მისი უნიკალურობა იმაში გამოიხატება, რომ ამ ჯგუფის მქონე ადამიანების იმუნური სისტემა სხვებისაზე ძლიერია, ამიტომ მათთვის უცხოა აუტო-იმუნური და ალერგიული დაავადებები.

სისხლის ოთხი ჯგუფის შესახებ 1891 წლამდე არავინ იცოდა. მათი არსებობა მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ავსტრალიელი მეცნიერი კარლ ლანდშტაინერი ერითროციტების კვლევისას ერთ საინტერესო კანონზომიერებას წააწყდა. ერთ დღეს ლაბორატორიაში მოფუსფუსე კარლმა გადაწყვიტა, თავისი 6 კოლეგის სისხლი ერთმანეთში აერია და შემდეგ მიკროსკოპის ქვეშ მათ თვალიერებას შეუდგა. მან თვალნათლივ დაინახა, რომ ზოგიერთი ერითროციტი ერთმანეთს ყურძნის მარცვლებივით შეეწება და მტევანს დაემსგავსა, ზოგიერთი კი თავისთვის დარჩა. ნანახმა მეცნიერი ჩააფიქრა. ის მიხვდა, რომ "ყურძნის მტევნები" მაშინ წარმოიქმნებოდა, როცა ერითროციტების შემადგენლობაში შემავალი განსაკუთრებული ნივთიერებები სისხლის თხევად ფრაქციაში - პლაზმაში ან შრატში მოცურავე სხვა ნივთიერებებს ხვდებოდნენ. ერითროციტების ნივთიერებას ლანდშტაინერმა ანტიგენი უწოდა, შრატში მყოფ მის მტერს - ანტისხეული, ხოლო პროცესს, რომლის შედეგადაც ერითროციტებისგან ყურძნის მტევნების მსგავსი შეწებებული მასა წარმოიქმნებოდა - აგლუტინაციის რეაქცია. ლანდშტაინერის აღმოჩენამ ნათელი გახადა, რატომ სრულდებოდა სისხლის გადასხმა ზოგჯერ წარმატებით, ზოგჯერ კი - ფატალური შედეგით. კარლ ლანდშტაინერმა სისხლის პირველი სამი ჯგუფი აღმოაჩინა. მეოთხე კი მეცნიერმა დე კასტელომ აღწერა 1902 წელს. საბოლოოდ ლანდშტაინერი და დე კასტელო სისხლის ჯგუფების ერთიანი სისტემის შექმნაზე შეთანხმდნენ, რომელსაც ABO სისტემა უწოდეს. 1940 წელს ლანდშტაინერმა ამერიკელ მეცნიერ ვინერთან ერთად კიდევ ერთი ცილა ანტიგენი აღმოაჩინა, რომელსაც სისხლის რეზუსფაქტორი უწოდა.

დღეისათვის ცნობილია, რომ ზოგიერთი ადამიანის სისხლის წითელ სხეულაკებს - ერითროციტებს სპეციალური მარკერი აქვს, რომელიც მეცნიერებმა ასო A-თი აღნიშნეს, ზოგიერთის სისხლში კი ერითროციტები განსხვავებული - B მარკერით არის აღბეჭდილი. არიან ისეთებიც, რომელთა სისხლი არც A და არც B მარკერებს არ შეიცავს. ლანდშტაინერის მიერ აღმოჩენილი A და B მარკერები განსაკუთრებული თვისებების მქონე ცილებია, რომლებიც ადამიანის სისხლის ჯგუფს განსაზღვრავს.

ყოველი ადამიანის ერითროციტი ანტიგენების განსაზღვრულ კრებულს შეიცავს, რომელთაც აგლუტინოგენებს უწოდებენ, ვინაიდან აგლუტინაციას განიცდის - ერთმანეთს ეწებება. ამჟამად ერითროციტთა 300-ზე მეტი ანტიგენია ცნობილი, თუმცა სისხლის ჯგუფის განსაზღვრისას მნიშვნელობა ყველას არ ენიჭება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მხოლოდ A და B ტიპის აგლუტინოგენები, რომელთა კომბინაციის კვალობაზე ადამიანის სისხლს I, II, III ან IV ჯგუფს მიაკუთვნებენ.

აშშ-ში ვერმონტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოავლინეს, რომ სისხლის ჯგუფი არა ოთხი, არამედ - ექვსია. სისხლის ორი ახალი ჯგუფი კვლევის ხელმძღვანელი ბრაიან ბალიფის თქმით, სისხლის გადასხმისას Langereis-ის და Junior-ის ტიპის შეუთავსებლობის პრობლემა იშვიათად იჩენს თავს, თუმცა ეთნიკური კომპონენტების გათვალისწინებით არის რისკის ჯგუფებიც.

სისხლის ახალი ჯგუფები მას-სპეკტრომეტრიის მეთოდით გამოავლინეს, რომელმაც ერითროციტების ზედაპირზე ABCB6-ის და ABCG2-ის პროტეინები აღმოაჩინა. ლენჯერისის და ჯუნიორის ტიპებს სწორედ აღნიშნული ცილები განსაზღვრავს. აქამდე მეცნიერებამ სისხლის ჯგუფის განმსაზღვრელი 30 ცილის არსებობის შესახებ იცოდა, ახლა მათ კიდევ ორი დაემატა.

დონორი - ასე ეწოდება ადამიანს, რომლის სისხლიც გადასასხმელად გამოიყენება. მას კი, ვისაც დონორის სისხლს უსხამენ, რეციპიენტი ჰქვია. სისხლის გადასხმისას მთავარია, დონორის სისხლთან ერთად რეციპიენტის სისხლში არ მოხვდეს ისეთი ანტიგენი, რომელიც მას არ გააჩნია, ვინაიდან უცხო ანტიგენთა შეხვედრისას ვითარდება აგლუტინაციის რეაქცია, ერითროციტები ერთმანეთს ეწებება, ველარ გადააქვს ჟანგბადი და ადამიანი იღუპება. პირველი ჯგუფის სისხლი, ვინაიდან არც A და არც B ანტიგენს არ შეიცავდა, დიდხანს უნივერსალურად მიიჩნეოდა და მას ნებისმიერი სისხლის ჯგუფის მქონეს უსხამდნენ, პირველი ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანს კი უნივერსალურ დონორს უწოდებდნენ. შესაბამისად, რაკი მეოთხე ჯგუფს არ გააჩნდა პლაზმის ანტისხეულები, ითვლებოდა, რომ ნებისმიერი ჯგუფის სისხლის მიღება შეეძლო, ხოლო ამ ჯგუფის სისხლის მქონეებს უნივერსალურ რეციპიენტებად იხსენიებდნენ. დღეს უნივერსალური დონორისა და რეციპიენტის ცნებებმა აქტუალობა დაკარგა - მრავალი ექსპერიმენტის შედეგთა გათვალისწინებით, ნებადართულია მხოლოდ იმავე ჯგუფისა და რეზუ ფაქტორის მქონე სისხლის გადასხმა.

დედამიწაზე დადებითი რეზუსის, პირველი და მეორე ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანები ლიდერობენ. მათი პროცენტული მაჩვენებელი თითქმის თანაბარია. შემდეგ მოდიან მესამე და მეოთხე ჯგუფის სისხლის მქონეები. რეზუს უარყოფითებს შორისაც დაახლოებით ასეთივე სურათია: ჭარბობენ პირველი და მეორე ჯგუფის პატრონები, შემდეგ კი მესამე და მეოთხე ჯგუფები მოდის.

ადამიანის სისხლის ჯგუფზე ბევრად არის დამოკიდებული მისი ბუნება, დაავადებებისადმი მიდრეკილება და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა თავისებურებები. იაპონიაში პიროვნების უკეთ გასაგებად ინტერესდებიან მისი სისხლის ჯგუფით. ხანდახან სამსახურში მიღებისას ზუსტად ამ კრიტერიუმით ხელმძღვანელობენ, მათი დევიზია „მითხარი შენი სისხლის ჯგუფი და გეტყვი ვინ ხარ შენ“. სწორედ იაპონელმა მეცნიერმა პოშიტაკე ნომიმ ჩაატარა გამოკვლევა და დაადგინა, რომ სხვადასხვა ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანები სხვადასხვა პიროვნულ თვისებებს, ხასიათს, ქცევას და გასტრონომიულ მიდრეკილებებსაც ამჟღავნებენ. კვლევაში სადაც მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, დაამტკიცა ამ თეორიის სანდოობა. მოკლედ წარმოგიდგენთ ამ კატეგორიებში შემავალი ადამიანების ძირითად მახასიათებლებს:

პირველი ანუ O ჯგუფი -„მონადირე“, „მტაცებელი“- ყველაზე ძველი სისხლის ჯგუფია, საიდანაც წამოვიდნენ დანარჩენები. მათი წინაპრები მამონტებზე ნადირობდნენ და პირს უმი ხორცით იტკბარუნებდნენ, გამოირჩევიან საზრიანობით, სიმამაცით, სიმტკიცით, გამოუსწორებელი ოპტიმისტები შეუპოვარნი და მიზანდასახულნი, არიან იღბლიანნი, ხშირად ლიდერობენ ბიზნესში, სპორტში, ხელოვნებაში. ხანდახან ისინი უხეშობითა და სისასტიკითაც კი გამოირჩევიან. მიზნის მისაღწევად უკანდახევა არ ახასიათებთ. გარდა ამისა, მათ შესანიშნავი ინტუიცია და გონებრივი შესაძლებლობები აქვთ. კვება უნდა შედგებოდეს უცხიმო, ცილოვანი პროდუქტებისგან. ასევე უამრავი ხილი და ბოსტნეული არის რეკომენდირებული და აუცილებელიც კი. დედამიწის მოსახლეობის 33,3% აქვს ეს სისხლის ჯგუფი.

შემდეგ წარმოიშვნენ მიწათმოქმედნი, მეორე ჯგუფის სისხლი ანუ A, სისხლის მატარებელთა პიროვნების ფორმირებაც მათ წინაპართა ყოფის შესატყვისად მოხდა. მათ ჰქონდათ ურთიერთობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და სტრესის დაძლევის სასიცოცხლო აუცილებლობა. ამ ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებს წინაპრებისგან მემკვიდრეობით ერგოთ სხარტი გონება, საზრიანობა, სწრაფი რეაქცია, ანალიტიკური აზროვნება, გონივრული გადაწყვეტილებების მიღების უნარი.. მეოთხე ჯგუფი მეორესა და მესამეს ჰიბრიდია. ასეთი სისხლის მატარებელ ადამიანებში მეორე ჯგუფისთვის დამახასიათებელი მგრძნობიარობა და რეაქციის სისწრაფე რომლებიც იკვებებოდნენ იმით რაც მოჰყავდათ. მათ უხდებათ ყველაზე მეტად ვეგეტერიანული კვება. დედამიწის მოსახლეობის 37,8% აქვს ეს სისხლის ჯგუფი.

მესამე B ჯგუფის სისხლი მომთაბარეებს ჰქონდათ. ის დედამიწის მოსახლეობის 20,6% აქვს. ამ სისხლის ჯგუფის მქონე ადამიანებისთვის დამახასიათებელია გამომგონებლობა, ჭკუა-გონება, სიდინჯე, ნებისყოფა, გაწონასწორებული ხასიათი და ქცევა, წარმოსახვის უნარი. ისინი იოლად ეგუებიან გარემოს და აქვთ არაჩვეულებრივი უნარი, შეეთვისონ ნებისმიერ საზოგადოებას. მათთვის დამახასიათებელია

სტაბილური და ჰარმონიული ურთიერთობები, გამოირჩევიან ძლიერი იმუნური სისტემით, შესაბამისად მათი რაციონი დაბალანსებულია.

მეოთხე AB ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანები ყველაზე იშვიათ „ახალ ადამიანებს" წარმოადგენენ, რომელიც მეორე A და მესამეს B შერეულია. აქვთ მგრძნობიარე მომნელებელი სისტემა და ვეგეტარიანულ საკვებს ანიჭებენ უპირატესობას. დედამიწის მოსახლეობის 7–8% აქვს ეს სისხლის ჯგუფი.

საქართველოში სამეფო ჯგუფს ეძახიან, რადგანაც დამახასიათებელია ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელთათვის. ისინი გრძნობებითა და ემოციებით ცხოვრობენ, თუმცა გაწონასწორებულები არიან. გარშემომყოფებს, როგორც წესი, ეს ადამიანები უყვართ და მათთან კარგადაც გრძნობენ თავს, რადგანაც არ უჭირთ ადამიანების გართობა. არიან ტაქტიანები, სამართლიანები და ობიექტურები. ნეგატიური თვისებები: სწრაფად ბრაზდებიან, არჩევანის გაკეთებისას დიდხანს ყოყმანობენ და უჭირთ გადაწყვეტილებების მიღება. ხანდახან უხეშებიც არიან და ხშირად მოსდით კონფლიქტებიც, მაგრამ უფრო საკუთარ თავთან, ვიდრე სხვასთან.

ამ ჯგუფზე ამბობენ, რომ ისინი ყველაზე ვნებიანები არიან. რასაც უნდა აკეთებდნენ, იქნება ეს ჩხუბი, განშორება თუ საჯარო გამოსვლა, ყველაფერს ძლიერ ემოციურ დაღს ასვამენ და თავსაც დიდი სიხარულით ამჟღავნებენ.

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანი იყო შეგვედარებინა იყო თუ არა ხასიათის შესაბამისობა იაპონელ და ქართველ ხალხს შორის სისხლის ჯგუფების მიხედვით.

კვლევა ჩატარდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის, გამოიკითხა 50 სტუდენტი, აქედან პირველი ჯგუფი აღმოაჩნდა 32 სტუდენტს, მეორე ჯგუფი 11 სტუდენტს, მესამე ჯგუფი 7 სტუდენტს, ხოლო მეოთხე ჯგუფი არცერთ სტუდენტს არ აღმოაჩნდა. რაც შეეხება ხასიათს, ჩვენ თემაში აღნიშნულ მონაცემებს დაემთხვა თითქმის სრულიად.

ლიტერატურა:

1. ა. დიასამიძე, ქ. დოლიძე, ზოგადი გენეტიკა, ბათუმი, 2003, 492 გვ.
2. ნილ კემპბელი, ჯეინ რისი, ბიოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.
3. თ. ლეჟავა, ადამიანის გენეტიკა, თბილისი, 2007.
4. გ. გოგიჩაძე, გ. ქიქავა, ლ. გოგიჩაიშვილი, მ. ნიკურაძე, სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები, 2 ნაწ., თბილისი, 1993.
5. akunkula.wordpress.com
6. http://literatura.mcvane.ge/main/doyouknow

ზოგიერთ ტოქსიკურ ნივთიერებათა შემცველობა მცენარეში

ელენე ელიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** პროფესორი

მცენარეული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია პროდუქციაში (ნედლეულში) მძიმე მეტალების (Co, Mo, Cu, Pb, Zn, Mn, Fe, Cd, Ni და სხვ.) შემცველობა. მათ, როგორც ტოქსიკურ ნივთიერებებს, გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებებს შორის მესამე ადგილი უკავია. მათი გავლენით ადამიანის ორგანიზმში ხდება მთელი რიგი დარღვევები, რასაც შეიძლება მოჰყვეს უმძიმესი პათოლოგიები: მძიმე მოწამვლა, გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემის, ღვიძლის, თირკმელების ფუნქციური მოშლილობა, ავთვისებიანი სიმსივნეები და სხვ. თუმცა, მცენარეში არსებული მინერალური ელემენტები, მათ შორის, მძიმე მეტალები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებში: ნივთიერებათა ცვლაში, ჰორმონების, ფერმენტების და სისხლწარმოქმნაში, სასქესო ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებაში, შედიან ძვლების შემადგენლობაში, არსებით გავლენას ახდენენ გულის მუშაობაზე და სხვ.

მოკლედ შევეხებით ზოგიერთი მძიმე მეტალის ფიზიოლოგიურ როლს მცენარეული ორგანიზმისათვის. ისინი ხელს უწყობენ მცენარის მიერ ძირითადი საკვები ელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) შეთვისებას. მანგანუმს შეიცავს მცენარის ყველა ცოცხალი უჯრედი, ის აძლიერებს მცენარეში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენით პროცესებს, მონაწილეობს ქლოროფილის წარმოქმნაში, ხელს უწყობს ნიტრატების აღდგენას ამიაკამდე. რკინა შედის სუნთქვის ფერმენტების შემადგენლობაში. მისი ნაკლებობისას ქლოროფილის წარმოქმნა არ ხდება (თუმცა, თვითონ არ შედის ქლოროფილის მოლეკულის შემადგენლობაში). რკინის ნაკლებობისას ფოთლებს უჩნდებათ ქლოროზული ხაზები. სპილენძი შედის ჟანგვა-აღდგენითი ფერმენტების შემადგენლობაში, მას განსაკუთრებული როლი აქვს სუნთქვის პროცესში. თუთია დიდ როლს ასრულებს გენერაციული ორგანოების ფორმირებასა და განაყოფიერებაში, მონაწილეობს ქლოროფილის ბიოსინთეზში, ფოტოსინთეზსა და სუნთქვის პროცესში. თუთიის ნაკლებობა იწვევს ნახშირწყლების ცვლის დათრგუნვას და სხვა უარყოფით პროცესებს.

ადამიანის ორგანიზმში მძიმე მეტალების მოხვედრისას მრავალი გზიდან (მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენები, ფერადი მეტალურგია, ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირები, ნიადაგი, წყალი, საკვები და სხვ.) ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მცენარეული პროდუქცია.

მძიმე მეტალებისაგან სავსებით თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი არ არსებობს და ასეც უნდა იყოს - ცოცხალ ორგანიზმში გარკვეული რაოდენობით მათი დიდი უმეტესი ნაწილის არსებობა აუცილებელია, რადგან ცოცხალ ორგანიზმში სწორედ ვიტამინებისა და ფერმენტების ფორმაში მათი არსებობით არის განპირობებული სასიცოცხლო მნიშვნელობის ფიზიოლოგიური პროცესები. ამასთან, საკვებ პროდუქტებში მათი ჭარბი რაოდენობით არსებობა უაღრესად სახიფათოა, რადგან ისინი ამ შემთხვევაში ასრულებენ არა მიკროელემენტების, არამედ „ლათინური შხამის“ ფუნქციას. მძიმე მეტალთა ტოქსიკურობა კი მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ ბიოლოგიურ აქტივობასთან. მთელ რიგ მძიმე მეტალთა მოქმედება იწვევს სიმსივნეების წარმოქმნას.

რაც შეეხება მცენარეებს, მათ შეუძლიათ მიკროელემენტების, განსაკუთრებით კი მძიმე მეტალების დაგროვება თავის ქსოვილებში, ან ზედაპირზე. ამიტომ მცენარეები გვევლინებიან როგორც შუალედური რეზერვუარი (რომელშიც მიკროელემენტები აღწევენ ნიადაგიდან, ნაწილობრივ წყლიდან და ჰაერიდან), რომლიდანაც ისინი ხვდებიან ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში.

როდესაც საკვებთან ერთად კანცეროგენული ნაერთების ორგანიზმში მოხვედრის მიზეზი მცენარეებია, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ მათი სახეობრივი თავისებურებები, რადგან ისინი სხვადასხვა ელემენტების და სრულად განსხვავებული რაოდენობით გროვდებიან ამა თუ იმ სახეობის მცენარეში. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს სხვადასხვა ავტორის მონაცემები ცხრილი 1, 2-ში (ძირითადად შევარჩიეთ სამკურნალო და საკვები მცენარეები). კერძოდ, ყველაზე მაღალია მაგნიუმის შემცველობა, რომელიც მცენარეთა სახეობების მიხედვით საკმაოდ დიდ ფარგლებში - 18,0-828,0 მკგ/გ მერყეობს, შემდეგ რკინა - 40-300 მკგ/გ, თუთია - 8,64-106,50 მკგ/გ, სპილენძი - 0,56-14,40 მკგ/გ, ტყვია - 0,48-4,00 მკგ/გ, ანუ Mn-ის შემცველობის ცვალებადობის დიაპაზონი თითქმის ორმოცდაათჯერადია; Fe, Zn, Pb-ის - ათჯერადი, ხოლო სპილენძის - ოცდაათჯერადი.

ცხრილი 1

მძიმე მეტალების შემცველობა მცენარეებში, მკგ/გ
(მ. ლავკოვას და სხვ. მიხედვით)

№	მცენარე	ორგანო	Mn	Fe	Zn	Cu	Pb	Cd
1	ასკილი	ნაყოფი	275,0	45	17,60	5,08	1,43	არ არის
2	არყი	ფოთოლი	374,0	300	159,0	7,52	2,64	არ არის
3	სოჭი	ყლორტი	148,0	300	51,80	4,72	1,44	არ არის
4	ცირცელი	ნაყოფი	81,7	40	8,64	4,96	1,04	არ არის
5	დათვის კენკრა	ფოთოლი	18,0	70	16,70	8,64	0,80	არ არის
6	კოწახური	ფოთოლი	48,9	100	29,1	14,40	0,72	არ არის
7	ქაცვი	ფოთოლი		40				
8	მაგნოლია	ფოთოლი	32,1	200	26,50	11,90	2,80	არ არის
9	წყავი	ფოთოლი	50,0	200	106,50	2,56	0,96	არ არის
10	ჟოლო	ფოთოლი	340,0	200	28,90	7,80	1,10	არ არის
11	სიმინდი	ულვაში	15,0	200	69,70	10,30	4,00	არ არის
12	სტაფილო	ძირხვენა	19,7	70	27,90	0,56	0,48	არ არის
13	ჩაის ბუჩქი	ფოთოლი	828,0	200	22,90	11,60	2,48	არ არის
	M±m	ფოთოლი	113,2	30,5	19,94	1,49	0,36	

შესწავლილი ელემენტებიდან მანგანუმი ყველაზე მეტი რაოდენობით (828 მკგ/გ) გროვდება ჩაის ფოთლებში, რკინის მაქსიმალური შემცველობა (300 მკგ/გ) აღინიშნება არყის ფოთლებსა და სოჭის ყლორტებში, თუთიის (159,0 მკგ/გ) - არყის ფოთოლში, სპილენძის (14,40 მკგ/გ) - კოწახურის ფოთლებში, ტყვიის (4,00 მკგ/გ) - სიმინდის ულვაშში. თუმცა განხილული მცენარეები მძიმე მეტალების შემცველობის თვალსაზრისით აკმაყოფილებს მათზე წაყენებულ მოთხოვნებს და იმყოფება ნორმის ფარგლებში, მცირე გამონაკლისის გარდა.

მცენარეში მძიმე მეტალების დაგროვების თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ რკინას, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებში. როგორც მე-2 ცხრილის მონაცემები მოწმობენ, რკინის იონების შემცველობა მნიშვნელოვნად მერყეობს არა მარტო მცენარეთა სახეობების, არამედ ორგანოების მიხედვითაც და, უმეტეს შემთხვევაში, ფოთლებში რამდენადმე მეტია ნაყოფებში მათ შემცველობასთან შედარებით. ამ ელემენტის მაქსიმალური რაოდენობა (0,140%) აღინიშნება სალათის ფოთლებში, მაღალი შემცველობით (0,103%) გამოირჩევა აგრეთვე ატმის და ყურძნის ნაყოფი, შემდეგ ასკილის ფოთოლი (0,088%).

ცხრილი 2

რკინის იონების შემცველობა სამკურნალო და საკვებ მცენარეებში, %
(პ. იავიჩის და სხვ. მიხედვით)

№	მცენარე	ორგანო	$Fe^{+2} + Fe^{+3}$
1	მარწყვი	ნაყოფი	0,0074
2	მარწყვი	ფოთოლი	0,030
3	ფეიხოა	ნაყოფი	0,030
4	ფეიხოა	ფოთოლი	0,015
5	ქაცვი	ნაყოფი	0,037
6	ქაცვი	ფოთოლი	0,059
7	ასკილი	ნაყოფი	0,021
8	ასკილი	ფოთოლი	0,088
9	კომში	ნაყოფი	0,040
10	კომში	ფოთოლი	0,030
11	კივი	ნაყოფი	0,037
12	კივი	ფოთოლი	0,046
13	ყურძენი შავი	ნაყოფი	0,103
14	ალუჩა	ნაყოფი	0,059
15	ატამი	ნაყოფი	0,103
16	ატამი	ფოთოლი	0,080
17	მსხალი	ნაყოფი	0,065
18	კაკალი	ნაყოფი	0,015
19	ლობიო	ნაყოფი	0,037
20	ბადრიჯანი	ნაყოფი	0,074
21	ბოლოკი	ნაყოფი	0,044
22	პამიდორი	ნაყოფი	0,054
23	კარტოფილი	ნაყოფი	0,037
24	კიტრი	ნაყოფი	0,015
25	სტაფილო	ნაყოფი	0,030
26	სალათა	ფოთოლი	0,140
27	ჩაი	ფოთოლი	0,059
28	დაფნა	ფოთოლი	0,037
29	ქინძი	ბალახი	0,059
30	ნიახური	ბალახი	0,040
31	პიტნა	ბალახი	0,037
32	რეჰანი	ბალახი	0,037
33	კამა	ბალახი	0,081
34	ოხრახუში	ბალახი	0,044
	M±m	ფოთოლი	0,013
		ნაყოფი	0,0005
		ბალახი	0,00005

ყველა მოძიებული მონაცემი (ცხრილი 1, 2) ჩვენ მიერ დამუშავებული იქნა მათემატიკურად სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით დოსპეხოვის მიხედვით. გამოთვლილი იქნა უმცირესი სხვაობის კოეფიციენტი (±m), რის საშუალებითაც დადგენილი იქნა მცენარეთა სახეობებს შორის ამა თუ იმ მძიმე მეტალის შემცველობაში განსხვავების სარწმუნოება. ±M თითოეული ელემენტისთვის შეადგენს (მკგ/გ): Mn – 113,2; Fe – 30,47; Zn – 19,94; Cu – 1,49; Pb – 0,36 (ცხრილი 1); ხოლო $Fe^{+2} + Fe^{+3}$ იონებისათვის (%): ფოთოლში 0,013, ნაყოფში - 0,0005, ბალახში 0,00005 (ცხრილი 2)

აღმოჩნდა, რომ Mn-ის მაქსიმალური შემცველობით გამოირჩევა ჩაის ფოთოლი - 828 მკგ/გ, Fe-ის - არყის ფოთოლი, სოჭის ყლორტი - 300 მკგ/გ, Zn-ის არყის ფოთოლი - 159,0 მკგ/გ, Cu-ის კოწახურის ფოთოლი - 14,40 მკგ/გ, Pb-ის სიმინდის ულვაში - 4,00 მკგ/გ, რაც შეეხება კადმიუმს, ეს ელემენტი შესწავლილი სინჯებში არ დაფიქსირდა (ცხრილი 1). რაც შეეხება რკინის იონებს, მისი ყველაზე მაღალი შემცველობა აღინიშნა სალათის ფოთლებში - 0,140%, შემდეგ შავ ყურძენში და ატმის ნაყოფში - 103%, ასკილის ფოთლებში, კამის ბალახში და ატმის ფოთოლში, შესაბამისად: 0,088; 0,081 და 0,080% (ცხრილი 2), რის გამოც, შეიძლება მათ მიეცეთ რეკომენდაცია რკინადეფიციტური ანემიით დაავადებულ ადამიანთა სამკურნალოდ.

ჩვენ მიერ მოძიებული ლიტერატურული მონაცემების ანალიზისა და მათი მათემატიკური დამუშავების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცალკეული მძიმე მეტალის შემცველობა მცენარეში საგრძნობლად განსხვავებულია და ამ მაჩვენებლის მიხედვით ისინი შეიძლება დავალაგოთ შემდეგი კლებადი რიგით (მკგ/გ): Mn – Fe – Zn – Cu – Pb – Cd.

მაშასადამე, ჩვენ მიერ გაანალიზებული მცენარეებიდან ზოგიერთი გამორჩევა ამა თუ იმ მძიმე მეტალის დაგროვების მაღალი უნარით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სამკურნალო მცენარეთა ექსტრაქტების დამზადებისას, ისე საკვებად მათი გამოყენებისას. ეს კი, თავის მხრივ, რამდენადმე ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის ამაღლებას.

ლიტერატურა:

1. ნ. ალექსიძე, ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თბილისი, თსუ, 2005.
2. ლ. ერისთავი, ფარმაკოგნოზია, სამკურნალო მცენარეები, თბილისი, თსუ, 2005.
3. გ. ჩხაიძე, მცენარეთა მინერალური კვება, წიგნში მცენარეთა ფიზიოლოგია, თბილისი, 2003.
4. М. Я. Лавкова и др., Почему растения лечат, М., Нвука, 1990.
5. П.А. Явич и др., Железо и йод в растительном сырье и в пищевых продуктах, საქართველოს ქიმიური ჟურნალი, №4, 2003.

სასწავლო-საწვრთნო პროცესის დაგეგმვის პრობლემები და სწავლების მეთოდები ახალგზედა სპორტსმენებისათვის თავისუფალ ჭიდაობაში

რევაზ თომაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი მძინარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასაკობრივ კატეგორიებში, რომელიც არსებობს სპორტის სხვადასხვა სახეობაში და, კერძოდ, თავისუფალ ჭიდაობაში საწვრთნო პროცესის დაგეგმვისას არის განსხვავებული მიდგომები მოჭიდავეთა ასაკიდან და კლასიფიკაციიდან გამომდინარე. ყველა მწვრთნელი და სპეციალისტი ცდილობს, რომ მომდევნო კატეგორიაზე გადასვლა იყოს ნაკლებად მტკივნეული და მოჭიდავეთა მომზადების დონე და ხარისხი შეესაბამებოდეს ახალ, უფრო დიდ ასაკობრივ კატეგორიას.

ჩვენი აზრით, ამ პროცესში აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინება სასწავლო-საწვრთნო პროცესის ეფექტური წარმართვისათვის.

1. წვრთნის საერთო მოცულობა დროში უნდა გაიზარდოს და მიუახლოვდეს მსოფლიოს ძლიერი და წამყვანი მოჭიდავეების წვრთნის დატვირთვის მოცულობას. აუცილებელია ახალგზედა სპორტსმენები ვარჯიშობდნენ კვირაში სამჯერ. გარდა ამისა, ერთი დღე გამოიყენონ სირბილისათვის, სპორტულ თამაშებისათვის და ტანვარჯიშისათვის.

ჩვენს მიერ ხშირად ჩატარებულმა მწვრთნელების ანკეტირებამ, გამოკითხვამ და ვარჯიშებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მწვრთნელების აზრი სხვადასხვა ძირითად საკითხებში არ შეესაბამება ერთმანეთს. ერთ-ერთი საკითხი ეხება ვარჯიშის (ვარჯიშების) სასურველ ხანგრძლივობას. ჩვენი აზრით, ყველა მოჭიდავეს თავისი ასაკიდან და მონაცემებიდან გამომდინარე, სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა. მწვრთნელი თვითონ არჩევს ყველა მოსწავლისათვის ვარჯიშის ხანგრძლივობას და ინტენსიურობას.

2. ზოგადგანმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშების ადგილი ახალგაზრდა მოჭიდავის წვრთნის გეგმის ყველა პერიოდში და ეტაპზე, ჩვენი აზრით, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ზოგადგანმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშების სწორად განაწილებას აქვს დიდი მნიშვნელობა მოჭიდავის მომზადების ყველა პერიოდში და ეტაპზე.

ჩვენი შეხედულებით, წვრთნის პროცესში მოსამზადებელი პერიოდის პირველ ეტაპზე საშეჯიბრო ხასიათის სპეციალურ ვარჯიშებს 100%-დან უნდა მივაკუთვნოთ 25%, საწვრთნო ხასიათის სპეციალურ ვარჯიშებს - 25%. ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს - 35%, რაც შეეხება ვარჯიშებს მოდუნებაზე - 15%.

მეორე ეტაპზე - საშეჯიბრო ხასიათის ვარჯიშებს - 30%. საწვრთნო ხასიათის სპეციალურ ვარჯიშებს - 20%, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს - 30%, ვარჯიშებს მოდუნებაზე - 20%.

რაც შეეხება საშეჯიბრო პერიოდს, აქ პირველ ეტაპზე არის შემდეგი პროცენტული განაწილება: 60% - საშეჯიბრო ხასიათის სპეციალური ვარჯიშები, 20% - საწვრთნო ხასიათის სპეციალური ვარჯიშები, 10% - ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები და 10% - ვარჯიშები მოდუნებაზე.

მეორე ეტაპზე - 65% - საშეჯიბრო ხასიათის სპეციალური ვარჯიშები, 20% - საწვრთნო ხასიათის სპეციალური ვარჯიშები, 0% - ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები, 15% - ვარჯიშები მოდუნებაზე.

გარდამავალ პერიოდში: პირველ ეტაპზე მთელი 100% უნდა მივაკუთვნოთ ვარჯიშებს მოდუნებაზე. მეორე ეტაპზე კი 30% - ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, 70% - ვარჯიშებს მოდუნებაზე.

3. ახალგაზრდა მოჭიდავეებისათვის წვრთნის სპეციალური მეთოდების შერჩევა, რომლებიც არის მიახლოებული შეჯიბრის პირობებს, ეს არის ჩვენი თემის მესამე საკითხი. წვრთნას, რომელიც უახლოვდება შეჯიბრის პირობებს, იგულისხმება ისეთი წვრთნა, როდესაც მოჭიდავეები ხვდებიან ერთმანეთს, რომ გამოავლინონ ოპტიმალური შესაძლებლობები.

რა თქმა უნდა, მოჭიდავის მიერ გამოყენებულმა ზოგადგანმავითარებელმა და სპეციალურმა საწვრთნო ხასიათის ვარჯიშებმა შეიძლება შექმნან მომზადების საფუძველი, მხოლოდ საშეჯიბრო ხასიათის უნარ-ჩვევების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ შეჯიბრზე, ან შეჯიბრის პირობებთან მიმსგავსებულ ვარჯიშებზე.

ეს შესაძლებელია: 1) სასწავლო-საწვრთნო შეხვედრების; 2) საწვრთნო და 3) შეჯიბრის ხასიათის შეხვედრების გამოყენებით.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი ძირითადი საკითხის გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მომზადების პროცესში, რათა პროცესი წარიმართოს რაციონალურად და შესაძლებელი იყო ეფექტური შედეგის მიღწევა.

ლიტერატურა:

1. Новиков А. Н., На борцовском ковре, М., ФиС, 1970.
2. Матвеев Л. П., Новиков А. Д., Теория и методика физического воспитания, т. 1, М., ФиС, 1976.
3. ლ. პ. მატვეევი, ა. დ. ნოვიკოვი, ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის ზოგადი საფუძვლები, ტომი 1, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1979.
4. Туманян Г. С., Спортивная борьба, М., ФиС, 1985.
5. ლ. პ. მატვეევი, სპორტული წვრთნის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987.

ხელოვნური აბორტის ეთიკური პრობლემები

ნათია იორამაშვილი, მარინა ხუციშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თამილა კეკოშვილი,** მოწვეული დოქტორი, დოქტორი

ჩვენი დროის უდიდესი ტრაგედია მუცლიდან ნაყოფის ხელოვნური მოწყვეტაა. ეგრეთ წოდებული „დედა“ სიცოცხლეს უსწრაფებს შვილის ჩანასახს.

აბორტი მუცლის მოწყვეტა, მუცლის მოშლა, ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა და საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევებაა ორსულობის 28 კვირის შესრულებამდე. აბორტი აშკარა დანაშაულია, მკვლელობაა, მკვლელობა საკუთარი შვილისა. აბორტის გახშირების მიზეზი მამაკაცებიც არიან, რადგან ეს ხშირად სწორედ მათი დაჟინებული მოთხოვნით ხდება. ამას არც არაფრად მიიჩნევენ, არ თვლიან ცოდვად. არადა იგი ყოველგვარი შელამაზების გარეშე მკვლელობაა, რადგან ნაყოფი მხოლოდ ხორცი როდია. ბავშვს სული ჩანასახშივე ეძლევა.

სამეცნიერო კვლევების მიხედვით, განაყოფიერების მომენტიდან დაწყებული ადამიანის ემბრიონს უკვე მოეპოვება ადამიანური ინდივიდუმის ყველა მახასიათებელი:

- მინიჭებული აქვს ახალი, სპეციფიკური ბიოლოგიური არსი სიცოცხლისა და განვითარების საკუთარი პროგრამით.
- არის დამოუკიდებელი, რაც ნიშნავს, რომ არ საჭიროებს გარეშე ძალებს საკუთარი ცოცხალი სტრუქტურების შესანარჩუნებლად.
- არის თვითმაკონტროლებელი საკუთარი გენეტიკური პროგრამის განხორციელების პროცესში.

გამეტები, რომელთაგანაც იგი გაჩნდა, ამტკიცებს, რომ ადამიანის ჩანასახი, ასევე ემბრიონი, ნაყოფი ადამიანთა მოდგმას განეკუთვნება.

ამის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მუცლადმყოფ ადამიანურ არსებას - ჩანასახს, ემბრიონს, ნაყოფს, აქვს ადამიანის პიროვნების სრული ღირსება.

მეცნიერული დაკვირვებანი ასევე გვიჩვენებენ:

- 18 დღიდან იწყება ნაყოფის გულისცემა და მოქმედებას იწყებს სისხლის მიმოქცევის სისტემა.
- მე-7 კვირას ნაყოფს აღენიშნება იმპულსები. პატარა ადამიანს უკვე აქვს შინაგანი და გარეგანი ორგანოები: ცხვირი, თვალები, ტუჩები, ენა.
- მე-10 კვირას ნაყოფს უკვე გააჩნია ყველა ის თვისება, რაც 9 თვის ჩვილს ახასიათებს.
- მე-12 კვირას ბავშვს აქვს ყველა ორგანო, თითების ჭრილიც კი. რჩება მხოლოდ განვითარება. ამ დროს განვითარების ისეთ დონეს აღწევს, რომ შეუძლია თავისა და კიდურების მოძრაობა, ხელით ისინჯავს პირს და თითს წოვს.

ერთ-ერთმა ამერიკელმა გინეკოლოგმა ორი წლის მუშაობის მანძილზე 60 ათასი აბორტი გააკეთა (ეს კატასტროფული ციფრია). შემდგომში მან მიატოვა თავისი საქმიანობა და დაიწყო გამოკვლევა იმისა, ჰქონდა თუ არა სიცოცხლე ჩანასახს. მან გამოიყენა ულტრაბგერითი კინოგადაღება, რომელზეც აღბეჭდა 12 კვირის ნაყოფის ხელოვნური გამოძევება საშვილოსნოდან. ამ ფილმმა, რომლის სახელწოდებაა „უხმო ყვირილი“, სააშკარაო გახადა როგორ ერიდებოდა ჩანასახი იმ იარაღს, რომლითაც კეთდებოდა აბორტი და როგორ გაურბოდა მას შეშინებული. აღინიშნა შემდეგი: ა. სწრაფი და აფორიაქებული მოძრაობა, ბ. გულისცემის აჩქარება (140-დან 200 დარტყმამდე წუთში), გ. პირის გაღება, როგორც ეს ხდება ყვირილისას, თითქოს ნაყოფი უხმოდ ყვიროდა. ამ ფილმის ნახვის შემდეგ ერთმა ექიმმა, რომელსაც 10 ათასი აბორტი მაინც ჰქონდა გაკეთებული, თავი დაანება ამ საქმიანობას. ამდენად, ჩანასახის სიცოცხლე მხოლოდ რწმენის საკითხი კი აღარ არის, უკვე ფაქტია.



ყოველივე ამის შემდეგ კიდევ ეპარება ვინმეს ეჭვი იმაში, რომ ჩანასახი სრულყოფილი, დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული ადამიანია?!

ქალს არა აქვს უფლება ზიანი მიაყენოს მის წიაღში მყოფ ადამიანს. დედა ვერაფრით ვერ გაამართლებს ამ საქციელს, რადგან მან კარგად იცის, რომ მის წიაღში ცოცხალი არსებაა, ამას იგი გრძნობს და საერთოდ, ყოველ ადამიანს, როცა იგი ცოდვას ჩადის, ყოველთვის ამხელს ღვთის ხმა, ანუ სინდისი.

აბორტი წარმოადგენს არა მარტო ზნეობრივი დაცემისა და გარყვნილების დამამტკიცებელ საბუთს, არამედ იგი მიზეზია სხვადასხვა სენისა. აუცილებელია იმის ცოდნა, რომ სწორად ჩატარებულმა აბორტმაც კი შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები ქალის ორგანიზმისათვის. აბორტი ყველაზე

ხშირი მიზეზია გინეკოლოგიური დაავადებების, აბორტის შემდეგ ასეთი დაავადებები უვითარდება ყოველ მეხუთე ქალს. იგი არღვევს ენდოკრინული და ნერვული სისტემის მუშაობას, აქვეითებს ორგანიზმის იმუნიტეტს.

აბორტი უარყოფითად მოქმედებს შინაგანი სეკრეციის ყველა ჯირკვლის ფუნქციაზე და აუარესებს ქალის ჯანმრთელობას. იგი ხელს უწყობს ონკოდაავადებების აღმოჩენას და განვითარებას. აბორტების სიხშირე პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის კიბოსთან. შესაძლოა აბორტმა შემდეგში გამოიწვიოს ამ ქალის უშვილობა. ამასთან, ოჯახში ხდება ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლა, განსაკუთრებით ქალში. ირღვევა მეუღლეთა ზნეობრივი ცნობიერება, ეცემა ქალის ღირსება მეუღლის თვალში და იკარგება ოჯახური ჰარმონია.

ქალი, რომელიც იშორებს ნაყოფს, ღვთის იმ კურთხევას არღვევს, რომლის მიხედვითაც ქალი მწუხარებით უნდა შობდეს შვილს. ქალის შეცოდების შემდეგ ღმერთმა ხომ ასეთი კურთხევა მისცა მას: „სატანჯველს გაგიმრავლებ, გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს !“

ადამიანს გააჩნია თანდაყოლილი იმედი უკეთესი მომავლისა. იმედის წყარო კი ბავშვია. უბავშვოდ მსოფლიო პესიმისტური და თვითნგრევადი გახდებოდა.

ძველ საქართველოში მუცლის მოშლა კანონით ისჯებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის თანახმად, ქალს, რომელიც რაიმე წამლით მუცელში შვილს მოკლავდა, სასჯელად ქმარი მას მაშინვე უნდა გაშორებოდა. მუცლის მოსაშლელი წამლის მომცემს, თუ იგი ღარიბი იყო, მეფისაგან შეპყრობა, ცემა და გამაწბილებელი სასჯელი (გაკრეჭა, ვირზე შესმა და სხვა) მოელოდა, ხოლო თუ იგი მდიდარი იყო - დარბევა და გაძევება. თუ წამლის მიღების შემდეგ ქალი მოკვდებოდა, დამნაშავეს თავს მოჰკვეთდნენ.

რაოდენ ცუდი და სამწუხაროც არ უნდა იყოს, დღევანდელ რეალობაში აბორტების რიცხვი უფრო და უფრო იზრდება. საქართველოში დღეში საშუალოდ 100-150 აბორტი კეთდება. 2012 წელს 39 ათასზე მეტი აბორტი გაკეთდა, ხოლო 2013 წელს კი - 37 018. ეს მხოლოდ რეგისტრირებული აბორტების რიცხვია.



ფარულად გაკეთებულ აბორტთა რიცხვი გაცილებით დიდია.

მსოფლიოში წელიწადში 46 მილიონი აბორტი კეთდება. აქედან, 19 მილიონი რისკიანი და საშიშია, რადგან არაკვალიფიციური ადამიანის მიერ ისეთ ჭუჭყიან და არაჰიგიენურ ადგილებში კეთდება, რომელიც მინიმალურ სამედიცინო სტანდარტებსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

მსოფლიო მასშტაბით, 5 ფეხმძიმობიდან ყოველი ერთი შემთხვევა აბორტით მთავრდება. 10 შემთხვევიდან კი ერთი რისკიანი და საშიში აბორტია. ორი შემთხვევა ყოველი 5 რისკიანი აბორტიდან არის 15 წლამდე გოგონებში.

განვითარებად ქვეყნებში დაახლოებით 6 ქორწინებიდან ერთი ქალი არასასურველი ფეხმძიმობის წინაშე დგას. იმ ქვეყნებში, სადაც აბორტი ლეგალურია, ქალები უფრო დაცულები არიან, რადგან აბორტებს სპეციალისტები აკეთებენ.

მეცნიერთა კვლევებით, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მსურველთა აბსოლუტური უმრავლესობა 20-24 წლამდე ასაკის ქალბატონები არიან, მათზე უმცროსების მხოლოდ 7% იკეთებს აბორტს. ჩვეულებრივ, უფრო ხშირად აბორტს იკეთებენ დაუქორწინებელი ქალები. არსებობს ასევე სტატისტიკური მონაცემები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქალბატონები იკეთებენ უფრო ხშირად აბორტს:

თეთრკანიანი	ყოველი 1000-დან _ 11
ლათინოამერიკული	ყოველი 1000-დან _ 28
შავკანიანი	Yყოველი 1000-დან _ 50

საზოგადოდ, ნერვულ-ჰუმორული პროცესების მკვეთრი შეწყვეტა, ისევე როგორც ძლიერი სტრესი, ჯანმრთელობის პრობლემების პროვოცირებას და უკვე არსებულთა გართულებას იწვევს, ამიტომ არის, რომ აბორტმა შეიძლება ნებისმიერი დაავადების გამომჟღავნებას მისცეს ბიძგი. გაურთულებელი აბორტი არ არსებობს. მართალია, ფიზიკურად ჯანმრთელი, ფსიქიკურად ძლიერი ადამიანი ამ ცვლილებებს გარკვეულ დრომდე ვერ გრძნობს, მაგრამ აბორტის შედეგები მოგვიანებით აუცილებლად იჩენს თავს.

ლიტერატურა:

1. ტ. ჯანეზაშვილი, მ. გოცოევი, რატომ კვდება პატარა ბავშვი, თბილისი, 1996.
2. არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე), ბიოეთიკა, თბილისი, 2012.
3. mkurnali.ge

ეკოტურიზმი და მისი გეოგრაფიული ასპექტები საქართველოში

ხატია ლიჩელი, მადონა გიგუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე,** პროფესორი

დღეისათვის ტურიზმი გადაიქცა საერთაშორისო და ინტერნაციონალურ ინდუსტრიად, რასაც ხელს უწყობს განსაკუთრებით ის ფაქტორი, რომ ტურისტული საწარმოები დიდი სარგებლისა და შემოსავლიანობის გასაზრდელად სისტემატურად აფართოებენ მოგზაურობის გეოგრაფიას მთელ მსოფლიოში.

ნებისმიერ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს ტურისტული რესურსები წარმოადგენს. ტურისტულ რესურსებს კი, როგორც „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონშია მითითებული (მუხლი 2), მიეკუთვნება „ქვეყნის ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო რესურსების და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს.“ აღნიშნული რესურსებიდან გარემოსა და მ. შ ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში დიდ ადგილს იკავებს ბუნებრივი ტურისტული რესურსები (მოიცავენ სანაპიროებს, მღვიმეებს, მომხიბლავ ადგილებს და ველურ ბუნებას) და მათი ეკოლოგიური მდგომარეობა.

ბოლო ათწლეულებში მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე განსაკუთრებით - განვითარებულ ქვეყნებში, ადამიანის მიერ ჯერ კიდევ ხელშეუხებელ ადგილებში - დაცულ ტერიტორიებზე - მოგზაურობის მიმართ დიდი ინტერესი გაჩნდა.

ბუნებრივ გარემოსთან, ველურ ბუნებასთან ადამიანთა საზოგადოების ურთიერთობის ეკოლოგიური შედეგები დიდადაა დამოკიდებული ტურიზმის ერთ-ერთ ისეთ თანამედროვე ახალ მიმართულებაზე, როგორიცაა **ეკოტურიზმი.** იგი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ესაა ტურისტთა მოგზაურობა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვთ გათვითცნობიერებული. ეკოტურების მიზანია ველურ ბუნებასთან ურთიერთობა. ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური და კულტურულ-სოციალური ხასიათის უარყოფითი ზეგავლენის შედეგები, ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას. ეკოტურისტები შეიძლება იყვნენ ტყის მოყვარულები, ალპინისტები, სპელეოლოგები, გლაციოლოგები, აკვალანგისტები, რომლებსაც წყალქვეშა სამყარო აინტერესებთ და სხვ. ტურიზმის ძირითადი ფუნქციაა დააკმაყოფილოს მოსახლეობის ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებანი.

ტურიზმის ეკოლოგიური ფუნქციებია ხელი შეუწყოს ტერიტორიებისა და ფაუნის, ზღვის, სხვადასხვა ეკოსისტემების, ტყეების, დაცული ტერიტორიების - ეროვნული პარკებისა და ნაკრძალების განვითარებას, არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების აღდგენა-განახლებას, მათ დაფინანსებას. ისინი უპირატესობას ანიჭებენ არა პასიურ, არამედ ბუნების წიაღში აქტიურ მოგზაურობასა და დასვენებას. თუ ერთ შემთხვევაში ეკოლოგიური ტურიზმი გვევლინება როგორც ეკოლოგიურად სუფთა ბუნებაში მოგზაურობად, მეორე შემთხვევაში იგი უნდა განვიხილოთ როგორც სუფთა გასაყიდი ტურისტული პროდუქტი. როგორც ვხედავთ ეკოტურიზმი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანსვეტია.

საქართველოში არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ეკოტურიზმის განვითარებისათვის. ქვეყანაში შემუშავებული დაცული ტერიტორიების ახალი სისტემის მიხედვით დაცული ტერიტორიების ფართობი საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარს შეადგენს. ესენია საქართველოს გეოგრაფიულ ობიექტებში განლაგებული აღმოსავლეთ კავკასიონის, ცენტრალური კავკასიონის, ივრის, ერუშეთის, აჭარა-იმერეთის, კოლხეთის, აფხაზეთის, ასევე შავშეთის ქედისა და კოლხეთის დაცული ტერიტორიების პერსპექტიული რეგიონები და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი.

ტერმინი „ეკოტურიზმი" 1983 წელს დაამკვიდრა მექსიკელმა ეკონომისტ-ეკოლოგმა ჰექტორ ცებალოს-ლასკურეინმა. მისი აზრით ეკოტურიზმი ესაა მოგზაურობა „შედარებით დაუბინძურებელ ბუნებრივ ტერიტორიებზე სპეციფიკური მიზნით, კერძოდ, განათლებისთვის, ბუნების პეიზაჟებით, ცხოველებით აღტაცებისა და ტკობობისთვის, ასევე - ამ ტერიტორიების კულტურული თავისებურებების შესასწავლად".

მსოფლიოს ველური ბუნების დაცვის ფონდი (WWF) ეკოტურიზმს ასე განმარტავს: „ეკოტურიზმი ტურიზმის სახეობაა, რომელიც მოიცავს მოგზაურობას ისეთ ადგილებში, სადაც შედარებით ხელუხლებელია ბუნება, მათი ბუნებრივი და კულტურულ-ეთნოგრაფიული თავისებურებების გასაცნობად; რომელიც, ამასთან, არ არღვევს ეკოსისტემების მთლიანობას და ქმნის ისეთ ეკოლოგიურ პირობებს, როდესაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა ხელსაყრელი და მომგებიანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის".

დღეს ეკოტურიზმი სწრაფად განვითარებადი ინდუსტრიაა. იგი ნიშნავს ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მრავალფეროვნების დასათვალიერებლად განხორციელებულ მოგზაურობას მათთვის ზიანის მიუყენებლად. ეკოტურიზმი - ეს არის მოგზაურობა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა კარგად აქვთ გაცნობიერებული. ასეთი ტურების მიზანია ველურ ბუნებასთან ურთიერთობა. ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური და კულტურულ-სოციალური ხასიათის უარყოფითი გავლენის შედეგები, ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას.

გამოყოფენ ეკოტურიზმის ოთხ ძირითად სახეობას:

1. სამეცნიერო ტურიზმი - წესისამებრ, ასეთ ტურებში ტურისტულ ობიექტებს წარმოადგენენ დაცული ტერიტორიები **- ნაკრძალები, ეროვნული პარკები, აღკვეთილები, ბუნების ძეგლები და სხვ**. ასეთი ტურების დროს ტურისტები მონაწილეობენ კვლევით ექსპედიციებში, ატარებენ საველე დაკვირვებებს. ფართოდ არის ცნობილი ამგვარი ეკოტურები ლათინურ ამერიკაში - კრუიზები გალაპაგოსის კუნძულებზე.

2. ბუნების ისტორიის ტურები - ეს არის სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული ექსკურსიების ერთობლიობა, რომლებიც სპეციალურ **ეკოლოგიურ მარშრუტებზე, უფრო ხშირად კი დაცულ**

ტერიტორიებსა და აკვატორიებში იმართება. ასეთი ტურები მეტად პოპულარულია გერმანიაში, ამიტომაც მას ხშირად ეკოტურიზმის განვითარების გერმანულ მოდელს უწოდებენ.

3. სათავგადასავლო ტურიზმი - მასში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი ტურები, როგორებიცაა: ტურები ცალკეულ რეგიონებში (discovery amp; adventure holidays); ხანმოკლე ტურები ველოსიპედებით (short destinations); ქვეითი მარშრუტები რთულ ადგილებში (walking amp; trekking); მოგზაურობა ფიზიკური დატვირთვით (multi activity holidays); მოგზაურობა საცხოვრებლად საგანგებოდ მოწყობილი ავტომობილებით (overland tours). ეკოტურიზმის ეს სახეობა აერთიანებს ყველანაირ მოგზაურობას, რომელიც დაკავშირებულია გადაადგილების აქტიურ საშუალებებსა და ბუნების წიაღში დასვენებასთან. მას ასევე მიეკუთვნება **ალპინიზმი, კლდეზე ცოცვა, სპელეოტურიზმი, სამთო და ქვეითი ტურიზმი, წყლის ტურიზმი, სათხილამურო, სამთო-სათხილამური ტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი, დაივინგი, პარაპლანერიზმი.** მრავალი მათგანი არცთუ დიდი ხანია გაჩნდა და ტურიზმის ექსტრემალურ სახეობებს მიეკუთვნება.

4. მოგზაურობა ბუნებრივ ნაკრძალებსა და რეზერვაციებში - აქ **მდებარე უნიკალური და ეგზოტიკური ბუნებრივი ობიექტებისა და მოვლენების მაღალი ატრაქციულობა** ბევრ ტურისტს იზიდავს. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობისას ტურისტთა 60%-ის მიზანი სწორედ დაცული ტერიტორიების მონახულებაა. ეკოტურიზმის ეს სახეობა კარგად არის განვითარებული ავსტრალიაშიც, ამიტომ მას ხშირად ეკოტურიზმის განვითარების ავსტრალიურ მოდელსაც უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, მეცნიერთა მიახლოებითი გამოანგარიშებით, საერთაშორისო ტურიზმის 15-20% ეკოტურიზმს განეკუთვნება. ეკოტურიზმისა და მათივე გაანგარიშებით ბუნებრივი მრავალფეროვნების დაცვაზე დაფუძნებული სხვა ტურისტული საქმიანობების ზრდის ტემპიც ყველა სხვა ტურისტულ სეგმენტთან შედარებით მაღალია - დაახლოებით 15% წელიწადში.

ეკოტურიზმი არის ბუნებრივი და კულტურული რესურსების მდგრადი განვითარების საშუალება. ეკოტურიზმი იმგვარი მოგზაურობაა, რომელიც მხოლოდ ეკოსისტემების კონსერვაციას კი არ ემსახურება, არამედ, იმავდროულად, პატივს სცემს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

ეკოტურიზმის ძირითადი პრინციპებია: არ მოახდინოს რესურსების დეგრადაცია და გარემოსთვის ზიანის მიუყენებლად განვითარდეს; გრძელვადიანი სარგებლობა მოუტანოს რესურსებს, ადგილობრივ მოსახლეობას, გამოიყენოს რესურსები მიწოდებაზე ორიენტირებული პრინციპით; დაამყაროს პარტნიორობა რამდენიმე მხარესთან: მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მრეწველობასთან, მეცნიერებსა და ადგილობრივ მოსახლეობასთან; თითოეულ მათგანს ჩამოუყალიბოს მორალური და ეთიკური პასუხისმგებლობა და ქცევის ნორმები ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ.

ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია TIES-მა შეიმუშავა ეკოტურისტის 10 ცნება, რომელსაც ადამიანი უნდა იცავდეს იცავდეს: 1. გვახსოვდეს დედამიწის დაუცველობა; 2. დავტოვოთ მხოლოდ ნაკვალევი, თან წავიღოთ მხოლოდ ფოტოსურათები; 3. შევიცნოთ სამყარო, რომელშიც მოვხვდით: ხალხთა კულტურა, გეოგრაფია; 4. პატივი ვცეთ ადგილობრივ მოსახლეობას; 5. არ ვიყიდოთ იმ მწარმოებლების პროდუქცია, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარემოს; 6. ყოველთვის ვიაროთ გაკვალული ბილიკებით; 7. მხარი დავუჭიროთ გარემოსდაცვით პროგრამებს; 8. სადაც შესაძლებელია, გამოვიყენოთ გარემოსდაცვითი მეთოდები; 9. მხარი დავუჭიროთ (ვითანამშრომლოთ) ორგანიზაციებს, რომლებიც გარემოსდაცვით სფეროში საქმიანობენ; 10. ვიმოგზაუროთ იმ ტურისტულ ფირმებსა და კომპანიებთან ერთად, რომლებიც ემხრობიან ეკოტურიზმის პრინციპებს.

ეკოტურიზმი ტურიზმის ეს მხოლოდ კარგად ორგანიზებული ტურები კი არ არის, არამედ მოგზაურობაა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო, შემეცნებით, სოციალურ და, გარემოსდაცვით პროგრამებს.

საერთოდ, მსოფლიოს მასშტაბით, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს **ველური ბუნების დამცავი ფონდი (WWF**), რომელიც განვითარებად ქვეყნებში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მიზნით ატარებს გამოკვლევებს. ამ ფონდს დიდი ღვაწლი მიუძღვის ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის მოწყობაში.

სამწუხაროდ, დღეისათვის კაცობრიობა ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის გლობალური პრობლემების წინაშე დგას, რისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია თანამედროვე ცხოვრების წესი – ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში. რესურსების არარაციონალური გამოყენების შედეგად შეიძლება ბუნებამ ამოწუროს თვითაღდგენის უნარი, განსაკუთრებით ეს ეხება **ტყის მასივებს,** რომლის დეგრადირება უამრავ უარყოფით ეკოლოგიურ შედეგს იწვევს.

საქართველოს ტყეები მთისა და ბარის ტყეებად იყოფა. მთის ტყეებს უკავია მთელი ტყით დაფარული ფართობის 98%, ბარის ტყეებს - 2%, რომლებიც ძირითადად კოლხეთის დაბლობებზე და აგრეთვე მდინარეების: მტკვრის, ალაზნის, იორის, ხრამის და სხვათა დინების ქვემო წელის მიდამოებში არის გავრცელებული. ტყეების მრავალფეროვნება ყველაზე მეტად მთებში ვლინდება, სადაც გეოლოგიური ქანების დახრილობა და ფერდობის ექსპოზიცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტყეების ბიოლოგიურ თავისებურებებზე, რაც პირველ რიგში, განპირობებულია მათი წარმოშობის, ზრდისა და განვითარების ბუნებრივი პირობების დიდი მრავალფეროვნებით.

ტყეები საქართველოში გეოგრაფიულად არათანაბრადაა განლაგებული. ტყით მდიდარ რეგიონებთან (აფხაზეთი, აჭარა, სვანეთი, რაჭა, ბორჯომის ხეობა, ბაღდათის, საჩხერის, ახმეტის და სხვა რაიონები) ერთად არსებობენ ტყემცირე და თითქმის უტყეო რაიონებიც (დედოფლისწყაროს, ნინოწმინდის, ახალქალაქის, გარდაბნის, წალკის, ყაზბეგის და ა.შ.).

საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელუხლებელი (პირველქმნილი) ტყეები, რომლებიც განსაკუთრებული მაღალპროდუქტიულობით გამოირჩევა. ხელუხლებელ სოჭნარებს, სოჭნარ-წიფლნარებს, სოჭნარ-ნაძვნარებს, პროდუქტიულობის მაჩვენებლით, ანალოგი არ გააჩნიათ ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ბოტანიკურ ლექსიკონში შესულია ხის ორი სახეობა ქართული სახელწოდებით ძელქვა (Zelkova carpinibolia (Pall) C. Koch.) და ლაფანი (Pterocarya pterocarpa (Mchx). Knth).

სპეციალისტთა აზრითა და არსებული ფაქტობრივი მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყეები ბოლო 15 წლის მანძილზე უმოწყალოდ იჭრება და ჩანაგდება.

აქედან გამომდინარე, თუ არ გატარდა გადამჭრელი ზომები ტყის გადასარჩენად და მისი პერიოდული განახლებისათვის, უკვე უახლოეს პერსპექტივაში დაგვიანდება და მოსალოდნელია ისეთი ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც შეიძლება ძალიან არასასურველი აღმოჩნდეს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის. ტყეების განადგურებას კი უეჭველია მოყვება ისეთი მავნე შედეგი, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ნიადაგური საფარის გამოშრობასა და ნიადაგის ეროზიას, ღვარცოფებს, მეწყერებსა და აქედან გამოწვეულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს (მაგ., სვანეთისა და აჭარის ტყეები, სადაც ფერდობების ეროზია და მისგან გამოწვეული მეწყერები, ტყეების ნაწილობრივმა ჭრამაც გამოიწვია).

ზემოაღნიშნულის შედეგად შეიძლება დავადასტუროთ, რომ საქართველოს ტყეებში შექმნილი ასეთი სავალალო მდგომარეობა პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში გარემოსა და, კერძოდ, ტურიზმის მდგრად განვითარებას, რადგან ტურიზმის პერსპექტიული განვითარების ძირითადი მოთხოვნაა ბუნებრივ-კლიმატური პირობები, განვითარებული ინფრასტრუქტურა და აქედან გამომდინარე, ტურიზმის სხვადასხვა სახე, მათ შორის ეკოტურიზმის განვითარება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომმა დიდი ეკოლოგიური ზარალი მოუტანა ქვეყანას, მათ შორის ტურიზმის განვითარების შეფერხების თვალსაზრისით - დაცულ ტერიტორიებს (ნახ. 1). **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკი,** რომლის ტერიტორია შეადგენს საქართველოს საერთო ფართობის 1%-ს და ითვლება ევროპაში ერთ-ერთ უდიდეს პარკად, ფაქტობრივად დიდი ეკოლოგიური პრობლემის წინაშე დადგა: ტყე-პარკში მთლიანად გადაიწვა 300 ჰექტარზე მეტი ფართობი, ხოლო დაზიანდა თითქმის 900 ჰა. დაზიანდა უნიკალური ბიოცენოზი, რომლის სრულ აღდგენას, ექსპერტების აზრით, დასჭირდება 300 წელი. განადგურდა როგორც ფლორა (ხე, ბუჩქი, ბალახი), ისე ფაუნა (წითელ წიგნში შეტანილი უნიკალური ფრინველები და ცხოველები).

განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა ხანძარმა **გორის რაიონს, ატენის ხეობას,** სადაც 50 ჰექტარი ტყე დაიწვა. განადგურდა ხეობის მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო.

მომავალში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებლად დაცული უნდა იქნას სარეკრეაციო რეგიონების ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება და ყველა ბუნებრივი რესურსი. ბუნებრივია, ეკოტურიზმი წარმატებით ვერ განვითარდება, თუ მისგან მიღებული სახსრების გარკვეული ნაწილი არ ჩაიდება რეკრეაციული ტერიტორიების დასაცავად და რეკრეაციული სარგებლის შედეგის მისაღებად.

საქართველოში ეკოტურიზმის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტებია ნაკრძალები: ბაბანაურის ნაკრძალი გადაჭიმულია კავკასიონის ქედზე ახმეტის რაიონში, მდ ალაზნის ნაპირზე. აქ დაცულია უნიკალური ხე ძელქვა. 1970 წელს შეიქმნა ბაწარა – **ბაბანაურის ნაკრძალი.** მდებარეობს ახმეტის რაიონში, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. აქ დაცულია მცენარე უთხოვარი, რომელსაც ერევა წიფელი და სხვა ჯიშები. **ვაშლოვანის ნაკრძალი** მდებარეობს ელდარის ველზე. ბალახეული საფარიდან

გაბატონებულია ვაცისწვერა ხოლო ხე – მცენარეებიდან ძეძვი, ბროწეული. ფაუნიდან: დათვი, აფთარი, ღორი. ფრინველებიდან კაკაბი.



ნახ. 1. საქართველოს დაცული ტერიტორიები

ლაგოდეხის ნაკრძალი შეიქმნა 1912 წელს და ის იყო პირველი ნაკრძალი საქართველოში. მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე. ალაზნის მარცხენა ნაპირზე. აქ გვხვდება წაბლი, ქართული მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი. **მარიამჯვრის ნაკრძალი** რომელიც წარმოდგენილია გომბორის ქედის სამხრეთით, შედის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. ფართობი 1040 ჰა. დაარსდა 1935 წელს რელიქტური სოსნოვსკის ფიჭვის იშვიათი მასივის შემონახვის მიზნით. ნაკრძალის ფართობის დიდი ნაწილი ტყითაა დაფარული. აქ ხარობს რცხილა, ჯაგრცხილა, მუხა, წიფელი, ნეკერჩხლები, თელა. ქვეტყეში მრავალი სახეობის ბუჩქია. სოსნოვსკის ფიჭვი გავრცელებულია ზღვის დონიდან 800-1800 მ.

აჯამეთის ნაკრძალი - აღკვეთილი მდებარეობს იმერეთის მხარეში. აქ შემონახულია კოლხური ტიპის იმერული მუხის რელიქტური ტყეები, კავკასიური ძელქვის წმინდა კორომები (1,5 ჰა) და აგრეთვე ჰართვისის მუხა. აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალში წარმოდგენილია ტყის სხვა ჯიშებიც: იფანი, კავკასიური რცხილა, მინდვრის ნეკერჩხალი, პანტა, თამელი. ქვეტის ჯიშებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია იელი და კუნელი, რომლებიც ზოგან გაუვალ რაყას ქმნის. აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალში ძუძუმწოვრებიდან გვხვდება შველი, მელა, თეთრყელა კვერნა, მაჩვი, კურდღელი, ციყვი. ფრინველებიდან საყურადღებოა ტყის ქათამი. აჯამეთის აღკვეთილის ძირითადი მიზანია კოლხეთის ტყის ნიმუშისა და მესამეული ეპოქის იმერული მუხის, ჰარტვისის მუხის, ძელქვისა და აგრეთვე ფაუნის დაცვა, მომრავლება და მეცნიერული შესწავლა.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული პარკი ევროპაში, მოიცავს 6 ადმინისტრაციულ ერთეულს, კერძოდ ბორჯომის, ხარაგაულის, ხაშურის, ახალციხის, აბასთუმნის და ბაღდათის ტერიტორიებზე, დაარსდა 1935 წელს, ფართობი 14 820,6 ჰა, შექმნილია უნიკალური ტყის მასივებისა და კავკასიური კეთილშობილი ირმისა და ნაძვის აღკვეთილის, კავკასიური სოჭის უნიკალური კორომებისა და ფოცხვერის დაცვის მიზნით. პარკი წარმოდგენილია კარგად შენახული და დაცული ტყის ჰაბიტატებით, იშვიათი და განუმეორებელი ფლორითა და ფაუნით, თვითმყოფადი და განუმეორებელი ლანდშაფტებით.

ტურისტულ და მეცნიერულ ინტერესს იწვევს გეოგრაფიული და ეკოლოგიური ზონების მრავალფეროვნება, მდიდარი ცხოველთა სამყარო და მრავალფეროვანი მცენარეული საფარი.

პარკში შექმნილია ტურისტული ბილიკები და ინფრასტრუქტურა, მუშაობს ტურისტული მარშრუტი, რომელთა გასწვრივაც მოწყობილია ტურისტული თავშესაფრები, აქტიურად ხორციელდება

ეკოსაგანმანათლებლო ქმედებები, აღირიცხება პარკში არსებული ფლორისა და ფაუნის იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები და ხორციელდება მათი კონსერვაცია.

კოლხეთის ეროვნული პარკი - კოლხეთის ნაკრძალი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, პალიასტომის ტბის მოდამოებში. ნაკრძალის მიზანია კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი რელიქტური ფლორისა და ფაუნის მთლიანი კომპლექსის დაცვა. ნაკრძალს დიდი სამეცნიერო-კვლევითი და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. შემონახულია კოლხეთისათვის დამახასიათებელი ჭაობისა და დაბლობის ტყეების ლანდშაფტი. გავრცელებულია მურყანი, წიფელი, რცხილა, კოლხური სურო, წყავი, შქერი და რელიქტური ბალახოვანი მცენარეები. ცხოველებიდან — შველი, გარეული ღორი და სხვა

აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილია 5 სახელმწიფო ნაკრძალი, რომელთა ფართი საქართველოს დაცული ტერიტორიების 12,8%-ს წარმოადგენს.: **გუმისთის ნაკრძალი.** ნაკრძალი სოხუმის რაიონში, მდინარე აღმოსავლეთ გუმისთის ხეობაში მდებარეობს. გუმისთის ნაკრძალი 1978 წელს დაარსდა, აფხაზეთში არსებული ხელუხლებელი ფოთლოვანი ტყეების ბიომრავალფეროვნების დასაცავად. **ფსხუს ნაკრძალი**. ნაკრძალი მოქცეულია მდ. ფსხუს ქვაბულში, რომელიც ბზიფისა და კავკასიონის მთავარი ქედებით არის შემოსაზღვრული. ნაკრძალი 1978 წელს შეიქმნა და მისი მიზანია აფხაზეთში ხელუხლებელი წიწვოვანი ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვა.

სკურჩის ნაკრძალი. ნაკრძალი ოჩამჩირის რაიონში მდებარეობს. მერქნიანი მცენარეებიდან სკურჩის ნაკრძალში აღსანიშნავია კოლხური ბზა, კოლხური ლეღვი, ჰართვისის მუხა, ლაფანი, კოლხური ჯონჯოლი, ველური ვაზი და სხვა. სკურჩის ნაკრძალი აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის ინიციატივით 1971 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი, სუბტროპიკული ტიპის რელიქტიური ტყეების დაცვას. **რიწის ნაკრძალი.** რიწის სახელმწიფო ნაკრძალი ქალაქ გაგრიდან 60 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. მისი საერთო ფართობი 13,893 ჰა-ს შეადგენს. რიწის სახელმწიფო ნაკრძალი ზღვის დონიდან 928 მეტრის სიმაღლეზე რიწის ტბის გარშემო მდებარეობს. ნაკრძალი 1957 წელს შეიქმნა, რიწის ტბის და მის გარშემო არსებული რელიქტიური ტყეების დაცვის მიზნით. **ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი**. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, ბიჭვინთის კონცხზე. იგი ტყით დაფარულია - 123 ჰა, რომლის უმეტესი ნაწილი (69,7) რელიქტურ ბიჭვინთის ფიჭვს უკავია; გარდა ფიჭვისა გვხვდება ქართული მუხა, წაბლი, კავკასიური რცხილა, ჯაგრცხილა, ცაცხვი, იფანი, კოლხური ბზა და სხვა. ბიჭვინთის ფიჭვის ნაკრძალი მსოფლიო მნიშვნელობისაა. ნაკრძალში გვხვდება კოლხური ხოხობი, გარეული ღორი, შველი, კავკასიური და ტელეუტური ციყვი, კვერნა და სხვა.

გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაში უდიდეს როლს თამაშობს აჭარის ტერიტორიაზე მდებარე სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები. ნაკრძალები, აღკვეთილები და ეროვნული პარკები.

მტირალას ეროვნული პარკი შავ ზღვასა და აჭარის მთათა სისტემას შორის მდებარეობს. აქაური მთები ზღვის ტენიან ჰაერს აკავებენ და აჭარის უაღრესად ტენიან ჰავას განსაზღვრავს. მთელი წლის მანძილზე აქ 4520 მმ ნალექი მოდის, რაც მტირალას არათუ აჭარის, ჩვენი ქვეყნის ყველაზე სველ ადგილად აქცევს. ტოპონიმი „მტირალაც“ ამ მთას სწორედ უხვნალექიანობის გამო შეერქვა.

მდიდარი და მრავალფეროვანია მტირალას ფლორა. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია როგორც ტყის მცენარეულობა, რომელიც წაბლნარებით, წიფლნარებით და კოლხური ტიპის შერეული ტყით არის წარმოდგენილი, არულია შქერიანით, რომელსაც წყავი, კოლხური ჭყორი კოლხური ბზა და რამდენიმე ტიპის ლიანები ქმნიან.

კინტრიშის ნაკრძალი და კინტრიშის დაცული ლანდშაფტი შავ ზღვასა და აჭარა-იმერეთის მთათა სისტემას შორის არის მოქცეული. ნაკრძალი წარმოდგენილია კოლხეთისთვის დამახასიათებელი მარადმწვანე შქერის ბუჩქებით. კოლხური ტიპის ტყეში გვხვდება წიფელი, ცაცხვი, წაბლი, ჩვეულებრივი მურყანი, რცხილა. ქვეტყეში - დაფნა. ცნობილია მისანათის ღელე, რომელზეც 30 მეტრიანი თვალწარმტაცი ჩანჩქერია, ბოლქვაძეების ღელე და ჩრდილა – ორსაფეხურიანი 70 მეტრის სიმაღლე წყალვარდნილით მდ. კინტრიშის შენაკადებს წარმოადგენს. მაღლა მთებში 2200 მეტრის სიმაღლეზე განლაგებულია, ტურისტული თვალსაზრისით ღირებული ორი პატარა ტბა – თბიყელი და სიძერძალი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს გეოგრაფია, მ. ალფენიძის რედაქციით, თსუ სოხუმის ფილიალის გამომც. თბ., 1999.
2. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ყოველწლიური ანგარიში
3. გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ყოველწლიური ანგარიშის მასალები
4. გიგაური გ., საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნება, თბ., 2000.
5. კანდელაკი თ., საქართველოსა და მსოფლიო ტყის რესურსები, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, №11, 12, 1999.

6. ნ. ქარქაშაძე და სხვ., ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, თბ., 2003.
7. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტის შესახებ“, 1997 წლის 6 მარტი.

ვებ-გვერდები:
1. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=4&id=398
2. http://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_ბიომრავალფეროვნება
3. http://opinion.ge/archives/2
4. http://www.radiotavisupleba.ge/content
5. http://ekonia.wordpress.com/2011/02/04/საქართველოს ტყეები
6. http://www.gurianews.com/index.php?op

სოკოების მნიშვნელობა ბუნებასა და ადამიანთა ცხოვრებაში

თამთა მეხრიშვილი, ნინო მახოხაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** პროფესორი

უმდაბლეს მცენარეთა შორის სოკოები ყველაზე გავრცელებული ტიპია. ისინი უფრო მეტად განსხვავდებიან წყალმცენარეების, ხავსებისა და სხვა ჭურჭელბოჭკოვანი მცენარეებისგან, ვიდრე ცხოველებისგან, თუმცა, ისინი მაინც მცენარეთა სამყაროში განიხილებიან, მიუხედავად იმისა, რომ ევოლუციური კავშირი მათ მცენარეებთან არ გააჩნიათ. ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც განსაკუთრებული ცოცხალი სამყარო. ის რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში სოკოებს უწოდებენ ამ უზარმაზარი ტიპის მცირე ნაწილია. ისინი ჰეტეროტროფული, უქლოროფილო მცენარეებია, რომლებიც პარაზიტულ ან საპროფიტულ ცხოვრებას ეწევიან, პარაზიტი სოკოები სხვადასხვა მცენარეზე, სახლდებიან, როგორც მის ზედაპირზე, ასევე შიგნით – **ეგზოპარაზიტებისა** და **ენდოპარაზიტების** სახით. საპროფიტი სოკოები სახლდებიან მეტწილად მკვდარ, უსიცოცხლო სუბსტრატზე, ე.წ. ნეშომპალა ნიადაგებში, მცენარის სხვადასხვა მკვდარ ნაწილზე. სოკოების დიდი უმრავლესობა ხმელეთის მშრალ პირობებსაა შეგუებული, ნაწილი კი - წყლის პირობებთან. ცხოვრების ასეთი და სხვა თავისებურებები სოკოებში სახეობათა დიდ მრავალფეროვნებას იწვევს, ამჟამად აღწერილია მათი 100000 სახეობა.

სოკოებს მრავალი სასარგებლო თვისება აქვთ. მათი როლი ბიოსფეროში ნივთიერებათა ცვლის თვალსაზრისით უდიდესია: დადგენილია, რომ ყოველ ერთ ჰექტარზე ნიადაგის ზედაპირული ფენის 20 სმ სიმაღლეზე 5 ტონა სოკოსა და ბაქტერიების უჯრედებია, სოკოები ბაქტერიებთან ერთან ახდენენ ნაკელის მინერალიზაციას, თავისი მოქმედებით ამდიდრებენ, ანაყოფიერებენ ნიადაგს, რაც ხელს უწყობს მოსავლის ზრდას. კარგად მომზადებული სოკო ძალიან სასარგებლოა ადამიანისთვის, იგი ხსნის მადას, იწვევს კუჭის წვენის ინტენსიურ გამოყოფას და აუმჯობესებს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობას, სოკო ადამიანის კვების რაციონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტია. ქუდიანი სოკოების უმეტესობას ადამიანი საკვებად გამოიყენებს. ქუდიანი საჭმელი სოკოების ნედლი ნაყოფსხეულები შეიცავენ 80–90 % წყალს, ცილებს 2–4%-მდე, ცხიმებს 1%-ზე ნაკლებს და ნახშირწყლებს უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ცილებს. როგორც ვხედავთ სოკოები, როგორც საჭმელი პროდუქტი მხალეულზე უფრო მაღლა არ დგანან, თუმცა მათი საკვებად გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა აქვს. მათში არსებულ ექსტრაქტულ ნივთიერებებს, რომლებიც აუმჯობესებენ სხვა კერძების გემოს და იწვევენ საჭმლის მომნელებელი ფერმენტების დიდი რაოდენობით გამოყოფას. საჭმელი სოკოებია: ნიყვი, მჭადა სოკო, არყა სოკო, მიქლიო, ნაოჭა სოკო, ქამა სოკო, თირკმელა სოკო და ა.შ. ზოგიერთი მათგანი მეურნეობაშია დანერგილი. საჭმელი სოკოების 150-ზე მეტი სახეობა არსებობს.

საკვებად გამოყენების მიხედვით სოკოები შეიძლება დაიყოს 4 ჯგუფად: 1. საჭმელი სოკოები – საკვებად გამოიყენება, როგორც მოხარშული, ასევე შემწვარი, ზოგიერთი მათგანი უმადაც იჭმევა. 2. პირობითად საჭმელი სოკოები – საჭმელად ვარგისია წინასწარი თერმული დამუშავების შემდეგ. 3.

საჭმელად უვარგისი სოკოები – მათი საკვებად გამოყენება შეუძლებელია, ზოგი ძალიან უგემურია, ზოგი უხეში-კორპისებური. 4. შხამიანი სოკოები – საკვებად მათი გამოყენება ყოვლად დაუშვებელია.

მიქლიო ანუ ქათმისბარკალა (სურ. 1)

მიქლიო ანუ ქათმისბარკალა (სურ. 1) გემრიელი სოკოა. იზრდება ფოთლოვან და შერეულ ტყეებში. ზაფხულზე და შემოდგომაზე. უყვარს ტყის ნაკადულების განაპირა ნეშომპალიანი ადგილები. ძირითადად საქართველოში გვხვდება ყვითელი ან ღია სტაფილოსფერი შეფერილობის. აქვს წაგრძელებული ძაბრისებური ფორმა და შენიღბული ქუდი. ქუდის ზომა აღწევს 10სმ-მდე. აქვს სამკურნალო თვისებები და იყენებენ ფარმაციაში. მიირთმევენ ახალს, დამუჟუჟებულს და შემწვარს.

დათვა სოკო (სურ. 2)

დათვა სოკო (სურ. 2) დათვა სოკო ძირითადად წიწვოვანი ტყეების მოყვარულია, მაგრამ ასევე ხშირად გვხვდება შერეულ ტყეებშიც. ქუდი სქელი და მრგვალი ფორმისაა ფეხი კი მსხვილი და ქუდისაკენ ოდნავ შევიწროებული. ქუდის ფერი მურა ფერისაა ახალი ღია ყავისფერი ან წაბლისფერი. იზრდება დიდი, ქუდის დიამეტრმა შეიძლება 30 სმ-მდე მიაღწიოს. ქვემოდან ჰიმენოფორითაა დაფარული რომელიც თეთრია და დროთა განმავლობაში მოყვითალო მომწვანო ფერის ხდება. ძვირფასი საკვები სოკოა იზრდება გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით. გამოიყენება მრავალი მომზადების წესით.

ქამა სოკო (სურ. 3)

ქამა სოკო (სურ. 3) საქართველოში ძალიან ცნობილი სოკოა. როგორც ვიზუალურად აგრეთვე თავისი გამორჩეული სუნით და არომატით. იზრდება ძირითადად მინდვრებში და ტყის განაპირა მოლებზე. ცოტა რაოდენობით გვხვდება ტყეებში. წარმატებულად მოჰყავთ სასათბურე მეურნეობებშიც.

ქამა თეთრი სოკოა, ქუდი და ძირი თეთრი ფერისაა, ხოლო ქვემოდან განლაგებული მჭიდრო ფირფიტები მოყავისფრო მელნისფერია, ძველი კი - მუქი ყავისფერი. ქამას რამოდენიმე სახეობა არსებობს: მინდვრის, მოლის და გიგანტური ქამა. გიგანტურ ქამას იმერლები წერესტოს ეძახიან. ქამას ქუდის ქვემოთ ძირზე აქვს თხელი არშია შემოყოლებული, ზოგჯერ ორიც. ამზადებენ ბევრ სხვადასხვა კერძს, სალათებს, შემწვარს და ქუდის კანგაცლილს მიირთმევენ უმადაც. ძალიან გემრიელი და უწყინარი სოკოა.

უდიდესია ერთუჯრედიანი საფუარი სოკოების მნიშვნელობა კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგში. საფუარი სოკოები საპროფიტი ორგანიზმებია, რაც ნიშნავს, რომ ისინი საკვებისა და ენერგიის წყაროდ არაცოცხალი ბუნების ორგანულ ნარჩენებს იყენებენ. ამ ტიპის სოკოები იწვევენ სპირტის დუღილს. ისინი აუცილებელია სპირტის, ღვინის, ლუდის, ბურახისა და ღვინის წარმოებაში. საფუარის ზოგიერთი სახეობა ფერმენტ ზიმაზას გამოიმუშავებს, რომლის მეშვეობით შაქარი სპირტად გარდაიქმნება, რაც შემდეგი ფორმულითაა გამოსახული: $C_6H_{12}O_6=2C_2H_5OH+2CO_2$. ღვინის წარმოება ეფუძნება ყურძნის კანზე არსებული ველური საფუარი სოკოების მოქმედებას. იგი ნახშირწყლებს სპირტად გარდაქმნის. როდესაც გამოყოფილი სპირტის კონცენტრაცია 10-15%-ს აღწევს, იგი თავად ამ სოკოს ანადგურებს. ამის შემდეგ ღვინოს ფილტრავენ და ინახავენ. ღვინოში რჩება გამოუყენებელი შაქარი, რაც ღვინის გემოს განაპირობებს. საფუარები დიდი რაოდენობით შეიცავენ ცილებს და ვიტამინებს, ამის გამო მათ იყენებენ, როგორც საკვებ, ისე სამკურნალო საშუალებებად. ისინი მონაწილეობენ აგრეთვე კეფირისა და კუმისის წარმოებაში, სოკოს ზოგიერთი სახეობა ბაქტერიებთან ერთად გამოიყენება ყველის წარმოებაში.

პურის ცხობაში იყენებენ სპეციალურად გამოყვანილ საფუარის სოკოს, რომელიც ნახშირწყლების დაშლის დროს გამოყოფს დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს და იწვევს ცომის გაფუებას. ამ პროცესისას გამოყოფილი მცირე რაოდენობით სპირიტი ცხობისას ორთქლდება. სოკოებს უწოდებენ „მცენარეულ ხორცს“.

მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ობის სოკო – პენიცილიუმი. მას სპეციალურად ამრავლებენ, რომ ანტიბიოტიკი _ პენიცილინი მიიღონ. სასარგებლო თვისებებთან ერთად სოკოებს უარყოფითიც გააჩნიათ. სოკოთა უმრავლესობა შხამს შეიცავს და იწვევს ადამიანთა და ცხოველთა ავადმყოფობას, ხშირად სიკვდილსაც, ამ მიზეზით მრავალი ადამიანია გარდაცვლილი. ადამიანისა და პირუტყვის კანის დაავადებების გამომწვევია უსრული სოკოები, ასევე იწვევენ მცენარეთა დაზიანებას, სხვადასხვა ნაყოფის ლპობას, ვაშლისა და მსხლის ქეცს, ზოგიერთი სოკო აზიანებს შენობების ხის ნაწილებს და სხვა. მცენარეებში სოკოთი დაავადების შემთხვევები უფრო ხშირია, ვიდრე ცხოველებში. პარაზიტული სოკო – გუდაფშუტა იწვევს მარცვლოვანი კულტურების დაავადებას და მათ დაღუპვას. ზოგჯერ ისინი ანადგურებენ მთელ მოსავალს ასე მაგალითად, XIX საუკუნეში, ირლანდიაში დიდი შიმშილობის მიზეზი გახდა კარტოფილის შავი სიდამპლის გამომწვევი სოკო, რამაც გამოიწვია მოსახლეობის დიდი ნაწილის ემიგრაცია სხვა ქვეყნებში. პარაზიტული სოკოების მიერ მიყენებული ზარალის თავიდან აცილების მიზნით, განვითარდა ქიმიური მრეწველობის დარგი, რომელიც ამ სოკოების საწინააღმდეგო ნივთიერებებს, ე.წ. ფუნგიციდებს ამზადებს.

შხამიანად ითვლება ყველა ის სოკო, რომელიც შეიცავს შხამიან ნივთიერებას და იწვევს მოწამვლას. არსებობს პირობითად საჭმელი სოკოები, რომლებიც აგრეთვე შეიცავენ შხამიან ნივთიერებებს, მაგრამ მათი თერმული დამუშავების შემდეგ შეიძლება მათი გამოყენება. შხამები, რომლებსაც შეიცავენ სოკოები, თავიანთი მოქმედების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ის შხამები, რომლებიც მხოლოდ საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას იწვევენ. მათი მოქმედება მიღებიდან, ჩვეულებრივ, 1-2 საათის შემდეგ ვლინდება და გამოიხატება გულისრევასა და ღებინებაში, მუცლის ტკივილში, ოფლიანობაში, დასუსტებასა და ფაღარათიანობაში. ამ სახის მოწამვლას იწვევს შხამიანი ქამა, ჭრელი ქამა, მოუხარშავი მანჭკვალა, გაუთუთქავი ბღავანა, არყა და ზოგიერთი სხვა.

მეორე ჯგუფის შხამები მოქმედებენ ნერვულ ცენტრებზე. მოწამვლის ნიშნები ვლინდება 0,5-4 საათის შემდეგ და გამოიხატება ძლიერი გულისრევასა და ღებინებაში, ფაღარათიანობაში, თავბრუსხვევაში, გონების დაკარგვაში, ძლიერ ოფლიანობაში, ისტერიულ სიცილსა და ტირილში, ჰალუცინაციაში. ამ სახის მოწამვლას იწვევს ძირითადად ცადამყვანა და თავჭედილა, რომლებიც შეიცავენ შხამებს - მუსკარინსა და მუსკარიტონს. ასეთსავე მოწამვლას იწვევს პატუირას ბოჭკოვანა, თეთრი კოლტოციბე, მოთეთრო კოლტოციბე და ზოგიერთი სხვა.

მესამე ჯგუფის შხამებით მოწამვლის ნიშნები სოკოს მიღებიდან 8-70 საათის შემდეგ ვლინდება, ხოლო თვით მოწამვლა 15 დღემდე გრძელდება და თითქმის მუდამ სიკვდილით მთავრდება. კუჭში მოხვედრილი შხამები პირველ ხანებში არ იწვევს შესამჩნევ მოწამვლას; მოწამლის ნიშნები შეიმჩნევა მხოლოდ მაშინ, როდესაც შხამი მიაღწევს ტვინამდე და მოქმედებს ნერვულ ცენტრებზე, რომლებიც არეგულირებენ შინაგან ორგანოთა ფუნქციებს. ამის შემდეგ იწყება კუჭის წვენის და ლორწოს ინტენსიური გამოყოფა, რასაც მოსდევს გულისრევა და ფაღარათი. ორგანიზმი განიცდის წყლის ნაკლებობასა და დაუოკებელი წყურვილის გრძნობას, სქელდება სისხლი, ავადმყოფს ულურჯდება ტუჩები და ფრჩხილები, უცივდება ხელ-ფეხი, ეწყება კრუჩხვები. შემდგომში შხამი ადამბლავებს ნერვებს, რომლებიც აწესრიგებენ სისხლძარღვთა მუშაობას, რის შედეგადაც ძარღვებში ხდება სისხლის შეკავება, ეცემა წნევა. ამ დროს ხდება ღვიძლის, თირკმლის და გულის ცხიმოვანი გადაგვარება. ავადმყოფის ჯანმრთელობა სწრაფად უარესდება და უმეტესად სიკვდილით მთავრდება. ასეთ მოწამვლას იწვევს შხამა, მანჭკვალას მატყუარა, ცრუ მანჭკვალა, აბლაბუდა (კორტინარიუსი) და ინობეს გვარების ზოგიერთი წარმომადგენელი, აღნიშნული შხამიანი სოკოები შეიცავენ ძირითადად ფალოტოქსინებისა და ამოტოქსინების შხამების ჯგუფის, როგორიცაა ფალოდინი, ფალოინი, ფალინი, ფალისინი, ფალიცინიფალიზინი და სხვ.

საჭმელი სოკოები – სილიო, მუხისძირა, მგლის სოკო და ზოგიერთი სხვა, სპირტიან სასმელებთან ერთად იწვევს მოწამვლას, რაც გამოიხატება შემდეგში: 0,5-2 საათის შემდეგ იწყება სახის გაწითლება, შემდეგ სხეულის უმეტესი ნაწილი იისფერი ხდება, ცხვირის წვერი და ყურის ბიბილოები უფერულდება, სხეულის ტემპერატურა მატულობს, ჩნდება წყურვილის ძლიერი გრძნობა, გულისრევა და ფაღარათი, მაჯისცემა ჩქარდება, ავადმყოფს უჭირს ლაპარაკი, მხედველობა აკლდება. გარკვეული ხნის შემდეგ ყველა ეს მოვლენა გაივლის, მაგრამ, თუ მოწამლულმა მეორე დღეს სპირტიანი სასმელი კიდევ დალია, მოწამვლის აღწერილი ნიშნები განმეორდება. სოკოთი მოწამვლის ინტენსივობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკვებად მიღებული შხამიანი სოკოს რაოდენობას, ადამიანის ჯანმრთელობას, რა სახით შეჭამა სოკო. განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოსდევს შხამიანი სოკოთი ბავშვების და მოხუცების მოწამვლას.

სოკოთი მოწამვლის თავიდან ასაცილებლად უეჭველად უნდა გვახსოვდეს, რომ საჭმელად უნდა შეგროვდეს მხოლოდ ის სოკოები, რომლებიც ჩვენთვის არის კარგად ცნობილი, როგორც საჭმელი სახეობები; მცირედი ეჭვის შემთხვევაშიც კი თავი უნდა შევიკავოთ მათი საჭმელად გამოყენებისაგან.

სოკოვანი დაავადებები XXI საუკუნის ერთ-ერთი პრობლემური დაავადებაა, რომელიც მრავალი მიზეზით არის გამოწვეული. მათ შორისაა გლობალური დათბობა, ტენიანობის მომატება, რის გამოც შესანიშნავი გარემო პირობები შეიქმნა სოკოვანი დაავადებების გავრცელებისათვის ანუ მარტივი ცოცხალი წარმონაქმნის გამრავლებისათვის. ადამიანი შეიძლება დაავადდეს ერთი ტიპის სოკოთი ან რამდენიმეთი ერთად. ამჟამად შექმნილი ახალი თაობის ანტიმიკოზური პრეპარატების ფართო სპექტრი ნებისმიერი სოკოვანი დაავადების განკურნების საშუალებას იძლევა, მაგრამ ამას კარგი სპეციალისტი და სწორი მიმართულებით მკურნალობა სჭირდება. ამჟამად ყველაზე გავრცელებულ სოკოვან დაავადებად ითვლება ტერფის მიკოზი, რის ხელისშემწყობად გვევლინება სიცხეში დახურული ფეხსაცმლის დიდხანს ტარება, ოფლიანობა. ზაფხულში, როდესაც ფეხი არ ნიავდება, მიკრობებისა და სოკოვანი დაავადებების გამრავლებისათვის ნოყიერი ნიადაგი იქმნება. ეს ჰიგიენის წესების დარღვევაა, რასაც შემდგომ გართულებები მოსდევს.

როგორც ვხედავთ სოკოები რამდენადაც სასარგებლონი არიან, იმაზე მეტად გვაზარალებენ, ამიტომ საჭიროა დიდი სიფრთხილე გამოვიჩინოთ მათ წინაშე.

ლიტერატურა:

1. ე. გუგავა, ე. ვადიანი, ი. ყარალაშვილი, ბოტანიკა, II ნაწილი, მცენარეთა სისტემატიკა, თბილისი, 2010.
2. ნ. კომარნიცკი , ლ. კურდიაშოვი, ა. ურანოვი, მცენარეთა სისტემატიკა, 1973.
3. ა. ლორთქიფანიძე, ბოტანიკა, II, თბილისი, 1975.
4. http://legion.ge/index.php?/topic/1265-რა-უნდა-ვიცოდეთ-სოკოს-შესახებ/
5. http://www.dermatology.ge/rogor-avicilot-tavidan-sokovani-daavadebebi/
6.http://www.bazieri.ge/publ/educational_articles/sasts_39_avlo_st_39_at_39_iebi_skhvadaskhva/sak_39_vebad_vargisi_sok_39_oebi/15-1-0-185

ალკოჰოლიზმის განვითარების მიზეზების ალტერნატიული ხედვა

ნინო მძინარაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ უბირია,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ტერმინი „ალკოჰოლიზმი“ აერთიანებს სპირტიანი სასმელის ბოროტად გამოყენების ყველა ფორმას, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მსმელის ჯანმრთელობაზე, მის ქცევაზე, პროფესიულ-შრომით მიზანდასახულობასა და გარშემომყოფებთან ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

ალკოჰოლიზმი რომ დაავადებაა ამის თაობაზე აღარ დაობენ. არსებობს ალკოჰოლიზმის გამომწვევი მიზეზების სამ ჯგუფი: 1) ფიზიოლოგიური; 2) სოციალური; 3) ფსიქოლოგიური. ფიზიოლოგიური მიზეზებია შთამომავლობით გადაცემული მიდრეკილება ალკოჰოლიზმისადმი და იგი 60 % შეადგენს. ალკოჰოლიზმის სოციალური მიზეზები მჭიდროდ არის დაკავშირებული ფსიქოლოგიურ მიზეზებთან. ალკოჰოლიზმის ფსიქოლოგიური მიზეზები კი დაკავშირებულია ადამიანის ნერვული სისტემის ტიპზე, ხასიათზე, გონებრივ პოტენციალზე, რთული სიტუაციებიდან გამოსვლის უნარ-ჩვევებზე. შიში, მღელვარება, დარდი და დაღვრემილობა უბიძგებს ადამიანს ლოთობისაკენ. ალკოჰოლიზმი პროგრესულად მიმდინარე ქრონიკული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს პათოლოგიური მიდრეკილება სპირტიანი სასმელებისადმი. ეს მიდრეკილება გამოწვეულია მსმელი ადამიანის ორგანიზმში არასწორად მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესებით. ალკოჰოლიზმს ყოველთვის თან სდევს მრავალი ისეთი სოციალური შედეგი, რომელიც არახელსაყრელია როგორც თვით ავადმყოფისთვის, ასევე საზოგადოებისთვის.

თითქმის ყველა ქვეყანაში გამოიყენებენ სპირტიან სასმელებს რელაქსაციის მიზნით. განვითარებული ქვეყნების ზრდასრული მოსახლეობის 90% მოიხმარს ალკოჰოლს, გადაჭარბებით ღებულობს 20%-დან 40%-მდე, ხოლო საზოგადოების 4 – 5% არიან ალკოჰოლიკები. ალკოჰოლი საკვები პროდუქტია, რომლის მოხმარება დაკავშირებულია გემოს თვისებასთან, საოჯახო პირობებში შენახვასთან, ყოფა-ცხოვრებაში მის გამოყენებასთან, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება. სამედიცინო-ბიოლოგიური თვალსაზრისით ალკოჰოლი პრინციპულად განსხვავდება ნარკოტიკული საშუალებებისაგან. ჩვენ საზოგადოებაში დღესაც არსებობს მრავალი მითი ადამიანის ორგანიზმზე ალკოჰოლის დადებითი მოქმედების შესახებ, მაგრამ სამედიცინო სფეროში ჩატარებულმა უახლესმა კვლევებმა დაადგინა საწინააღმდეგო:

მითი ალკოჰოლის ზემოქმედების შესახებ	**რეალობა**
1. შველის გაციების დროს	აქვეითებს იმუნიტეტს, ამიტომ მსმელი ადამიანები უფრო ხშირად ცივდებიან და ავადდებიან.
2. აუმჯობესებს მადას	აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, იწვევს გასტრიტს, წყლულს, პანკრეატიტს, აქვეითებს საკვების ათვისებას და იწვევს დისტროფიას.
3. აუმჯობესებს ხასიათს	იწვევს ნარკოტიკულ თრობას, არაადეკვატურ ქცევას და არა დადებით განწყობას.
4. ხსნის დაღლილობას	თიშავს თავის ტვინის ქერქის აქტივობას და იწვევს ტვინში მიმდინარე პროცესების გაუკუღმართებას.
5. ხსნის სტრესს	იწვევს დროებით გაბრუებას - ნარკოზს. ამ ნარკოზიდან გამოსვლა კი სტრესზე უფრო უარყოფითად მოქმედებს.
6. აუმჯობესებს ძილს	გვრის ნარკოტიკულ ძილს, რომლის მიმართაც სწრაფად ყალიბდება დამოკიდებულება, მსმელებში იწვევს უძილობას, დროთა განმავლობაში კი - „თეთრ ცხელებას“.
7. ამაღლებს პოტენციას	აქვეითებს ტესტოსტერონის გამომუშავებას და დროთა განმავლობაში იწვევს იმპოტენციას.
8. ხსნის შიშის შეგრძნებას	იწვევს უგუნურ და არაკონტროლირებად ქმედებებს.
9. აფართოვებს სისხლძარღვებს	ალკოჰოლი სისხლძარღვებს აფართოვებს იქ, სადაც არ არის საჭირო. მაგალითად: კუჭის ლორწოვან გარსში, რაც იწვევს წყლულს და შემდგომ სისხლდენას კუჭიდან.

10. ათბობს	აფართოვებს ზედაპირულ კანქვეშა სისხლძარღვებს, აძლიერებს სითბოს გაცემას და გაყინვის პროცესს აჩქარებს.
11. შველის დეპრესიის დროს	ამძიმებს დეპრესიას, ხშირად ხელს უწყობს სუიციდს - თვითმკვლელობას.
12. საჭიროა გულისათვის	ალკოჰოლი წარმოადგენს კარდიოტოქსიკურ შხამს, რომელიც იწვევს მიოკარდიოპათიას. გულის აქტიური კუნთოვანი უჯრედები გარდაიქმნება შემაერთებელ ქსოვილად და ვითარდება გულის უკმარისობა.
13. აქვეითებს არტერიულ წნევას	ალკოჰოლურ თრობისას თავიდან არტერიული წნევა მართლაც ქვეითდება, ხოლო გამოფხიზლების შემდგომ წნევა მკვეთრად მატულობს.

რატომ ხდება ალკოჰოლი ადამიანისათვის სასიცოცხლო მოთხოვნილება?

დამოკიდებულება ალკოჰოლის მიმართ ვითარდება თანდათანობით. თავდაპირველად ადამიანი სიამოვნებას ღებულობს სასმელისაგან, შემდეგ თავის ტვინში ყალიბდება მყარი ასოციაცია: ალკოჰოლი = სიამოვნებას. ამგვარად ხორციელდება ფსიქოლოგიური დამოკიდებულება. თუ ადამიანმა ვერ მოახერხა თავის დაღწევა ალკოჰოლის ხშირი მიღებისაგან, ავადმყოფობა პროგრესულ ფორმაში გადადის. ეთანოლი ანუ ეთილის სპირტი ადვილად იწვის ატმოსფეროში. ასეთივე „წვას“ იგი განიცდის ჩვენს ორგანიზმში, რის შედეგადაც გამოიყოფა დიდი რაოდენობით ენერგია. ადამიანის ორგანიზმი ნორმალურ პირობებში ენერგიას ღებულობს ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების წვის პროცესში. ალკოჰოლი ადვილად ერთვის ნივთიერებათა ცვლის ციკლში და რადგან წარმოადგენს ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, იწვევს მის მიმართ „დამოკიდებულებების“ მექანიზმების ჩართვას. როდესაც ადამიანი მუდმივად ღებულობს ალკოჰოლის დიდ რაოდენობას, მისი ორგანიზმი განიცდის ნივთიერებათა ცვლის გარდაქმნას - ანუ ალკოჰოლი ხდება ორგანიზმისათვის პრიორიტეტული და ეს გარდაქმნა ღებულობს შეუქცევად ფორმებს. ამიტომაცაა, რომ როდესაც ორგანიზმში კლებულობს ალკოჰოლის რაოდენობა ანუ ადამიანი ფხიზლდება - მისი ორგანიზმი „საწვავის“ სახით ისევ მოითხოვს ალკოჰოლის გარკვეულ დოზას, რათა გააგრძელოს ცხოველმყოფელობა.

ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ სპირტიანი სასმლის ბოროტად გამოყენება გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე, კერძოდ მსმელის ქცევის ყველა ფორმაზე.

ლოთობას და ქრონიკულ ალკოჰოლიზმს, როგორც დაავადებას მოჰყვება მრავალგვარი უარყოფითი სამედიცინო სოციალური შედეგი. სპირტიანი სასმელის ბოროტად გამოყენება უარყოფითად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ი. ვ სტრელჩულისა (1998) და კ. ი. გოსნერის მონაცემებით (1999) ალკოჰოლიზმით დაავადებულთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 15 წლით ნაკლებია იმ პირებთან შედარებით, რომლებიც სპირტიან სასმელს ბოროტად არ იყენებენ. სხვა მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ მსმელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკლებია 20 წლით. (დ. კახალანი, რ. რუმი, 2002). ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, დღეისათვის სიკვდილიანობის მიზეზს, მთელ მსოფლიოში სიხშირის მიხედვით ავთვისებიანი სიმსივნეებისა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა შემდეგ მესამე ადგილი უკავია. სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია არა მარტო ხშირი ტრავმატიზმით, არამედ ლოთობით გამოწვეული დაავადებითაც. სპირტიანი სასმელის ბოროტად გამოყენება ხელს უწყობს ღვიძლის დაავადებას, რომლის სამი ფორმა არსებობს - ცხიმოვანი დისტროფია, ჰეპატიტი და ციროზი, ასევე შინაგანი ორგანოებისა და ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადების განვითარებას.

ალკოჰოლიზმი და მწვავე ალკოჰოლური ინტოქსიკაციის მდგომარეობა ხშირად უბედური შემთხვევისა და უეცარი სიკვდილის მიზეზია. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მონაცემებით უბედურ შემთხვევათა 2,3%-ში დაზარალებულები იმყოფებიან მთვრალ მდგომარეობაში. (ლ. მ. ბერდინი, 2004). ალკოჰოლიზმის მძიმე შედეგია ასევე თვითმკვლელობა, ალკოჰოლიკთა თვითმკვლელობის სიხშირე 58-ჯერ მეტია არამსმელებთან შედარებით.

ბავშვთა ჯანმრთელობაზე მშობელთა ალკოჰოლიზმის გავლენას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. ამ პრობლემაზე საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდნენ გასულ საუკუნეშიც. ალკოჰოლიზმის უარყოფითი გავლენა შთამომავლობაზე ყველაზე მკვეთრად ვლინდება ორსულობის პერიოდში სპირტიანი სასმელის ბოროტად გამოყენებისას. დედის ალკოჰოლიზმი 2-ჯერ მეტ უარყოფით გავლენას ახდენს შთამომავლობაზე, ვიდრე მამის ალკოჰოლიზმი. ორსულის მიერ სპირტიანი სასმელის ბოროტად გამოყენება ხელს უწყობს ახალშობილის ფსიქიკურ და ბიოლოგიურ გადახრათა კომპლექსის

ფორმირებას, რასაც ნაყოფის ალკოჰოლურ სინდრომს, ანუ ნაყოფის დაავადებას უწოდებენ. ბავშვის ალკოჰოლური ემბრიოპათიის დროს შეიმჩნევა სხეულის წონაში დაკლება, არანორმალურად პატარა თავი და გონებრივი განუვითარებლობა, სახსრების ანომალია, გულის ნაკლოვანებების ნიშნები და სხვა. სპირტიანი სასმელის მცირე რაოდენობით მიღებაც კი ხელს უწყობს სხვადასხვა ფიზიოლოგიური ფუნქციის გაუარესებას, რის შედეგადაც ქვეითდება სამუშაოს შესრულების ხარისხი და მოცულობა. თუნდაც 15-30 მლ ალკოჰოლის მიღების შედეგად გონებრივი შრომისუნარიანობა ქვეითდება 12-14%-ით, მცირდება მოძრაობის სიზუსტე და მატულობს ზედმეტ ან არასწორ მოძრაობათა რიცხვი. იცვლება მხედველობის სიღრმე, კლებულობს ფერების შეგრძნების უნარი და სხვა.

ალკოჰოლიზმის ერთ-ერთი სოციალური შედეგია საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა მზარდი სიხშირე - პირობითად გამოყოფენ ალკოჰოლური თრობის სამ ხარისხს: მსუბუქს, საშუალოსა და მძიმეს. მძიმე სიმპტომებია ფსიქიკური და ფიზიკური დაღლა, მთვრალი ბევრს საუბრობს, მოძრაობასა და მეტყველებაში შეიმჩნევა ცვლილება, საუბრობენ ხმამაღლა და სწრაფად. დამახასიათებელია ფართო ნაბიჯებით სიარული. ალკოჰოლით მოწამვლას თან სდევს სხვადასხვა გართულებები. იმ ადამიანებს რომლებსაც გადატანილი აქვთ სხვადასხვა დაავადებები როგორიცაა: ეპილეფსია, თავის ქალის ტრამვა, ფსიქიატრიული ან ინფექციური დაავადებები, ასეთი ადამიანებისთვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა რაოდენობრივად რამდენ ალკოჰოლს მიიღებენ, მათ მაინც ადვილად ჩამოუყალიბდებათ პათოლოგიური თრობა.

ალკოჰოლიზმი არა მარტო დაავადება, არამედ ასევე რთული სოციალური მოვლენაა. ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა პირველ რიგში პროფილაქტიკის გზით უნდა წარიმართოს, ეს არის ის გადასაჭრელი ამოცანა, რომელიც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. პროფილაქტიკას ართულებს სმის ჩვევა და ტრადიციები. საჭიროა მოსახლეობის ანტიალკოჰოლური აღზრდა და სწორი მკურნალობა. დიდი დრო უნდა დაუთმოს ადამიანმა აღმზრდელობით ღონისძიებებს, სპორტულ გამაჯანსაღებელი საქმიანობების გაუმჯობესებას. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის შემთხვევათა აღკვეთის მიზნით აუცილებელია ჩატარდეს სერიოზული სამუშაოები სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ.

ლიტერატურა:

1. ლ. ჩიქოვანი, „ალკოჰოლიზმი“ , გამომცემლობა ,,განათლება“, თბილისი, 1987.
2. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნორმატიული აქტების კრებული, „საბჭოთა საქართველო“, 1987.
3. ა. გაბიანი, ,,ალკოჰოლიკების და ნარკომანების მკურნალობის სამართლებრივი საკითხები, თბილისი, 1970.
4. თ. აბრამიშვილი, „ალკოჰოლიზმი'', თბილისი, 1974.
5. მ. მაკარიძე, „ალკოჰოლიზმი და ტოქსიკომანია'', თბილისი, 1971.
6. რ. ვაშაკიძე, ნ. სავანელი, „ალკოჰოლიზმი და სპორტი'', თბილისი, 1989.
7. А. В. Мельников, „Алкоголизм“, М., 2013.

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი შიდსი და მისი პრევენცია

ნინო სარქისიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
მარიამ სარქისიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თინათინ იოსებიძე,** ასოცირებული პროფესორი

ბუნებაში არსებობენ უმცირესი ზომის ორგანიზმები, რომლებსაც ვირუსები ეწოდებათ. (ლათ. სიტყვაა და ,,ვირუსი“ შხამს ნიშნავს). ისინი იწვევენ მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანისათვის საშიშ, ზოგჯერ სასიკვდილო დაავადებებს. მათი დანახვა მხოლოდ ელექტრონული მიკროსკოპითაა შესაძლებელი, მაგრამ მისგან გამოწვეულია მრავალი საშიში დაავადება: ყბა-ყურა, გრიპი,

პოლიომიელიტი, წითელა, ყვავილი. უკანასკნელ წლებში კი გავრცელდა საშიში დაავადება შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი და C ჰეპატიტი. ჩვენ განვიხილავთ ამათგან შეძენილ იმუნოდეფიციტის ვირუსს.

კაცობრიობის არსებობის ხანგრძლივ ისტორიას მრავალი ეპიდემია ახსოვს, მათ შორისაა აივ ინფექცია/შიდსი, რომელმაც აღმოჩენის დღიდან დიდი ყურადღება მიიქცია და მოკლე ხანში გლობალურ პრობლემად იქცა. ამ დაავადების შესახებ მრავალი თეორია არსებობს და დღემდე სადავოა მისი ზუსტი წარმოშობის ადგილი და თარიღი. აივ ინფექცია/ შიდსი კლინიკურად პირველად აღწერეს ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს, როდესაც ჰომოსექსუალ მამაკაცთა შორის ზედიზედ იქნა დიაგნოსტირებული იშვიათი დაავადებების პნევმოცისტური პნევმონიისა და კაპოშის სარკომის რამდენიმე შემთხვევა. აღნიშნული დაავადებები მანამდე მხოლოდ იმუნოკომპრომეტირებულ პირებში იყო აღწერილი. 1982 წელს აშშ- ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული შიდსი, როგორც ახალი დაავადება. 1983 წელს შიდსის გამომწვევი ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი ერთდროულად აღმოჩენილი იქნა პარიზში (საფრანგეთი), პასტერის ინსტიტუტში ლუკ მონტანიესა და ბეთესდაში (აშშ) კიბოს ნაციონალურ ინსტიტუტში რობერტ ჰალოს მიერ.

აივ-ის წარმოშობის შესახებ განსხვავებული ვერსიები არსებობს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ შიდსის გამომწვევი ვირუსი არ არის ახალი - იგი ხანგრძლივად არსებობდა ცენტრალური და აფრიკის ზოგიერთ რეგიონში, მაგრამ გლობალურად გავრცელდა მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში, რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო აფრიკიდან იაფფასიანი სისხლის ექსპორტმა ამერიკისა და ევროპის სისხლის ბანკებში. ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, აფრიკის კონტინენტზე მცხოვრები მაიმუნების ზოგიერთ სახეობაში (მწვანე მაიმუნები, მაკაკები) ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო გავრცელებული შიდსის ვირუსის წინამორბედი, რომელიც არ იყო პათოგენური ადამიანისათვის. შემდგომში, მუტაციის ან და სხვა ფაქტორების შედეგად, მაიმუნის ვირუსმა გადალახა სახეობრივი ბარიერი და გავრცელდა ადამიანებში.

შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი - მდგომარეობა, რომელიც ვითარდება აივ-ინფექციის (ინგლ. Aciquired Immune Deficiency Syndrome, AIDS) ფონზე და ხასიათდება CD4+ ლიმფოციტების რაოდენობის კლებით, მრავალი ოპორტუნისტული ინფექციური და არაინფექციური დაავადებით. არსებითად აივ- ინფექციის ბოლო სტადიაა. შიდსის გამომწვევია T ლიმფოტროპული ვირუსი, რომელიც მიეკუთვნება რეტეროვირუსებს. რეტეროვირუსები შეიცავენ ფერმენტს- შექცევად ტრანსკრიპტაზას. გამომწვევი კანში აღწევს მიკროტრამვიდან(კონტაქტი სისხლთან) და სასქესო ტრაქტის, ან სწორი ნაწლავის ლორწოვანიდან. ინფიცირების მომენტიდან ინფექციის პირველი სიმპტომების გაჩენამდე გაივლის ხანგრძლივი ლატენტური პერიოდი (ინკუბაციური) -1 თვიდან 4-6 წლამდე. ვირუსის პერსისტირება და დაგროვება ხდება ლიმფურ ქსოვილებში, თუმცა ამ პერიოდში ვირუსები აღწევენ დროდადრო სისხლში და შესაძლებელია აღმოჩნდეს გამონაყოფებშიც.

შიდსი რეგისტრირებულია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 206 ქვეყანაში. ოფიციალურად, სადღეისოდ მსოფლიოში შიდსის ვირუსით ინფიცირებულია 20 მილიონამდე ადამიანი. დღეისათვის, აივ ინფექცია უკვე მართვადი, ქრონიკული დაავადებების ნუსხაშია შესული, ჩამოყალიბდა და კოორდინირდა მსოფლიო მასშტაბით ყველა ის ძალისხმევა, რომელმაც უნდა შეაჩეროს პანდემია და ხელი შეუწყოს ინფიცირებულთა მკურნალობას, ზედამხედველობას და მხარდაჭერას.

დღემდე, შიდსის ვირუსის გავრცელების უპირველეს რისკჯგუფს ინტრავენური ნარკომანები წარმოადგენდნენ. ცხადია ეს არ ნიშნავს, რომ შიდსი მხოლოდ ნარკომანებს ემუქრებათ. ამ მითს

კიდევ ერთხელ აბათილებს ის ოფიციალური პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც არსებობენ მრავალ კვლევაზე დაყრდნობის შედეგად, თუ რა გზით შეიძლება დაინფიცირდეს ადამიანი.



აივ-ინფექციის გადაცემის გზებია:

- ✓ სისხლის გზა: გადასხმა (ტრანსფუზია); ნარკოტიკების ინექციური მოხმარება საერთო შპრიცით; კონტაქტი კანის საფარველის დაზიანებით (ნემსი, ნაკაწრი და სხვ.)
- ✓ სქესობრივი კონტაქტი: აივ-ინფიცირებულთან დაუცველი სქესობრივი კონტაქტი; ლორწოვანი გარსის კონტაქტისას (პირის ღრუ, თვალები)
- ✓ ვერტიკალური გადაცემა: ორსულობის დროს; მშობიარობის დროს; ძუძუთი კვებისას.

აივ-ინფიცირებული გადამდებია დაავადების მიმდინარეობის ნებისმიერ სტადიაზე (დაინფიცირებიდან მთელი სიცოცხლე).

აივ- ინფექცია არ გადადის:

- ✓ საყოფაცხოვრებო ნივთების: პირსახოცის, თეფშის, ჭიქის გამოყენებით;
- ✓ ცხოველებისა და მწერების კბენით;
- ✓ ერთ ოთახში ყოფნით;
- ✓ ტელეფონის გამოყენებით;
- ✓ ხელის ჩამორთმევით;
- ✓ ოფლით ან ცრემლებით;
- ✓ დახველებით ან დაცემინებისას;
- ✓ საცურაო აუზის ან საერთო ტუალეტის გამოყენებით;

დაავადების კლინიკური სურათი დამოკიდებულია დაავადების სტადიაზე. ინფიცირებისას შესაძლოა არავითარი სიმპტომი არ გამოვლინდეს, ან აღენიშნოს პაციენტს დაავადების გამწვავების პერიოდი, რომელიც დგება 1-3 თვეზე დაინფიცირების შემდეგ. უარესდება ორგანიზმის საერთო მდგომარეობა, მატულობს ტემპერატურა, დიდდება ლიმფური ჯირკვლები, აღინიშნება თავისა და ყელის ტკივილი. შეიძლება გაჩნდეს გამონაყარი სხეულის სხვადასხვა ადგილებზე. ეს სტადია გრძელდება 14-20 დღემდე და გადადის პერსისტირების სტადიაში. გარკვეული წლების შემდეგ (შესაძლოა 8-9 წელი) ვითარდება ლიმფური კვანძების გადიდება, ქრონიკული ფაღარათი, ცხელება, ხველა, სუნთქვის გაძნელება, წონის დაქვეითება, მცირდება ლიმფოციტების რაოდენობა, პირში და ენაზე ჩნდება უჩვეულო წარმონაქმნები, იმუნიტეტის დაქვეითებამ შესაძლოა გამოიწვიოს ზოგიერთი ავთვისებიანი ახალწარმონაქმნის წარმოშობა, კაპოშის სარკომა, თავის ტვინის ლიმფომა, ანგიობლასტური ლიმფადენოპათია.

დიაგნოსტირება და დადასტურება ლაბორატორიული მონაცემებით ხდება. გამოკვლევისთვის აუცილებელია ვენური სისხლის აღება. სისხლს იკვლევენ სწრაფი/მარტივი მეთოდით (სჭირდება 5-30 წთ.), ასევე იმუნოფერმენტული ანალიზით (2-5 სთ.), რომელიც მაღალი მგრძნობელობით და სპეციფიკურობით ხასიათდება. მათი საშუალებით აივ ანტისხეულები ვლინდება ინფიცირებიდან 4-

8 კვირის შემდეგ. დადებითი პასუხის შემთხვევაში, კვლევა გრძელდება დამადასტურებელი, ანუ კონფირმაციული მეთოდით.

დაავადების სიმწვავიდან გამომდინარე, ვაწარმოეთ კვლევა. კვლევის მიზანი იყო შიდა ქართლში ვირუსის გავრცელების სტატისტიკა, რისთვისაც მივმართეთ გორში, ბესიკის ქუჩა #3/6- ში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციას ,,ნაბიჯი მომავლისკენ" (ცენტრალური ოფისი) და გავეცანით მათი მუშაობის სპეციფიკას. აღნიშნული დაწესებულება სთავაზობს პაციენტს შემდეგ მომსახურებებს: 1) კონსულტირებას აივ/შიდსის B, C ჰეპატიტების, სქესობრივი გზით გადამდები დაავაადებების თავიდან აცილების და მკურნალობის, ნარკოტიკებით გამოწვეული ზიანის შემცირების საკითხებზე (პირისპირ სატელეფონო); 2) ანონიმური ტესტირება აივ-ზე, B, C ჰეპატიტებზე და სიფილისზე; 3) თერაპევტის, დერმატო-ვენეროლოგის, გინეკოლოგის, იურისტის, ფსიქოლოგის დახმარებას; 4) სოციალური მუშაკები პროექტის კონსულტანტები დაგეხმარებიან ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში; 5) ჰიგიენური და ბავშვის მოვლის საშუალებები, ორსულობის ტესტები და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები საჩუქრად; 6) დასაქმების შესაძლებლობას. აღნიშნული ცენტრიდან ჩვენ მოვიპოვეთ მათ ლაბორატორიაში 2013-2014 წელს ჩატარებული ვირუსული დაავადების კვლევის სტატისტიკური მონაცემები.

2013 წლის მონაცემები: სულ გაკეთდა 658 ტესტი, აქედან 66 ქალია. დაფიქსირებულია C ჰეპატიტის - 249; B ჰეპატიტის - 27; აივ/დადებითის - 5; სიფილისის - 29 შემთხვევა.





2014 წლის მონაცემები: სულ გაკეთდა ტესტი 1273, აქედან 127 ქალია. დაფიქსირებულია C ჰეპატიტის - 458; B ჰეპატიტის - 26; აივ/დადებითის - 6; სიფილისის - 52 შემთხვევა.

როგორც ვხედავთ, გამოკვლეულ პაციენტთა უმრავლესობა მამაკაცია, 2013 წელთან შედარებით კი აივ/ დადებითის რიცხვმა 1-ით იმატა.

ორგანიზაციაში შევიტყვეთ ასევე, რომ საქართველოში 2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში აივ-ით ინფიცირებულია 4697 ადამიანი; აქედან 3449 მამაკაცია, 1248 ქალია; პაციენტთა უმრავლესობა 29-40 წლამდეა.

შიდსი განუვითარდა 2827 პაციენტს; 977 - გარდაიცვალა.

დაავადების გავრცელება ჩვენი ქვეყნის რეგიონების მიხედვით:

№	**რეგიონი**	**დაავადებულთა რაოდენობა**
1.	თბილისი	1554
2.	აჭარა	557
3.	სამეგრელო	662
4.	იმერეთი	622
5.	ფოთი	70

6.	კახეთი	209
7.	აფხაზეთი	340
8.	ქვემო ქართლი	230
9.	შიდა ქართლი	149
10.	მცხეთა- მთიანეთი	46
11.	რაჭა-ლეჩხუმი	8
12.	სამცხე- ჯავახეთი	48
13.	გურია	98
14.	სვანეთი	19

მართალია, მსოფლიო სტატისტიკით საქართველო მიეკუთვნება აივ ინფექციის/ შიდსის დაბალ პრევალენტობის ქვეყნებს და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ამ ქვეყნებს შორისაც ერთ-ერთი ყველაზე ბოლო ადგილი უკავია, მაგრამ, მეორე მხრივ, შიდსის ეპიდემიის კანონზომიერებიდან გამომდინარე, აივ ინფიცირების სავარაუდო რიცხვი საქართველოში 6000-ს უტოლდება. ეს კი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, უკვე საკმაოდ სოლიდური რიცხვია.

აივ/შიდსზე გამოკვლევა და მკურნალობა საქართველოში უფასოა და ასევე ფუნქციონირებს: აივ ინფექცია შიდსით დაავადებულთა ორი რეგიონალური ცენტრი: ქ. ბათუმში და ქ. ზუგდიდში, ამ ცენტრებში შექმნილია ყველა პირობა ინფიცირებულთა მკურნალობისა და მოვლისათვის.

პროფილაქტიკა და რეკომენდაციები

- ✓ თავი შეიკავეთ ქორწინებამდე სქესობრივი კავშირებისგან;
- ✓ იყავით ერთგული თქვენი სქესობრივი პარტნიორის;
- ✓ მოერიდეთ შემთხვევით სქესობრივ კავშირებს ან უკიდურეს შემთხვევაში დაიცავით თავი;
- ✓ ისარგებლეთ მხოლოდ ერთჯერადი ან სათანადოდ გასტერილებული შპრიცებით, ნემსით;
- ✓ უარი თქვით ნარკოტიკების მოხმარებაზე. ნარკოტიკის ინექციური გზით მოხმარების შემთხვევაში არ ისარგებლოთ საერთო შპრიცით;

პრევენციის მიზნით - საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ყველა ორსული უზრუნველყოფილია აივ/ შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირებითა და ტესტირებით მკურნალობითა და მოვლით.

აივ ინფიცირებული დედიდან შვილზე შიდსის ვირუსის გადაცემის რისკი 2%-მდე მცირდება, თუ ორსულს ჩაუტარდება:

- ✓ ანტირეტროვირუსული თერაპია;
- ✓ საკეისრო კვეთა;
- ✓ სათანადო კონსულტაცია ბავშვის ხელოვნურ კვებასთან დაკავშირებით;

ამრიგად, გორში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ნაბიჯი მომავლისკენ“ მონაცემების საფუძველზე დავადგინეთ, რომ შიდსით ინფიცირებულთა რაოდენობა სოლიდურია და აღნიშნული დაავადების თავიდან ასაცილებლად ორგანიზაცია დგამს მნიშვნელოვან ქმედით ნაბიჯებს.

ლიტერატურა:

1. გ. გოგიჩაძე, სამედიცინო მიკრობიოლოგია, თბ., 2007.
2. გ. გოგიჩაძე, გ. ქიქავა, ლ. გოგიჩაიშვილი, მ. ნიკურაძე, სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები, ნაწილი I, თბ., 1997.
3. www.aidscenter.ge
4. www.tbgeo.ge

სპორტის ქართული ეროვნული სახეები სპორტსმენთა ფიზიკური მომზადებისა და მაღალი შედეგების მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა

ლაშა ღონღაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი,** პროფესორი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ისტორიასთან.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევები იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ფიზიკური ვარჯიშები გამოიყენებოდა ჩვენი შორეული წინაპრების შრომითი და სამხედრო აღზრდის საქმეში.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დღესაც არის შემორჩენილი ფიზიკური ვარჯიშები და თამაშები, რომლებიც თავიანთი ფესვებით შორეულ წარსულში მიდის.

ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების მანძილზე შექმნეს მრავალფეროვანი, ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური სისტემები, რომლებმაც სხვა ფაქტორებთან ერთად უზრუნველყო ქართველი ხალხის სიცოცხლისუნარიანობა, მისი საბოლოო ანგარიშით, წარმატებული ბრძოლა ეროვნული თვითდამკვიდრებისა და თვითშენარჩუნებისათვის.

საქართველოში უძველესი დროიდან მრავალფეროვანი იყო ქართული ფიზიკური მომზადების საშუალებები, რომელშიც გაერთიანებული იყო სპორტის ეროვნული სახეობები: თარჩია, კეჭნაობა, ლახტი, მკერდაობა, მოქნევა, საჯილდაო ქვის აწევა, ცხენნი, ხრიდოლი, მარულა. უნდა ითქვას, რომ ტრადიციულ ეროვნულ ასპარეზობათა შორის, უფრო პოპულარული ოდითგანვე მაინც ქართული ჭიდაობა, ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი და ლელო იყო.

ქართული ჭიდაობა სპორტის ერთ-ერთი უძველესი ეროვნული სახეობაა, რომელიც ძველთაგანვე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და წრთობის ძირითად საშუალებად იყო მიჩნეული.

ქართული ჭიდაობა ასახავს ჩვენი ხალხის ყოფას, ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს, ამიტომ იგი საუკუნეების მანძილზე ქართულ კულტურას შემორჩა, როგორც ერის ლამაზი და ჯანსაღი ტრადიცია. არსებობს გამოთქმა ქართული ჭიდაობა ქართველ კაცთან ერთად დაიბადაო. საქართველოში მამაკაცი და მოჭიდავე ვაჟკაცობის სინონიმებია.

საქართველოში ქართული ჭიდაობა, მეტწილად, იმ რაიონებში იყო გავრცელებული, სადაც გარეშე მტრების გამუდმებულ თავდასხმებს იგერიებდნენ, სადაც საჭირო იყო თავის დაცვა დამპყრობელთა მოძალადეობისაგან. აქედან გამომდინარე, ქართულ ჭიდაობას, თავდაპირველად, საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა და სამხედრო მომზადების ერთ-ერთ საშუალებად იყო მიჩნეული.

ქართულ ჭიდაობაზე არაერთი ცნობა მოიპოვება ქართლის ცხოვრების ქრონიკებსა და ხალხურ ეპოსში. საინტერესო საფალავნო ამბებზე მოგვითხრობს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ (XII საუკუნე).

XIII საუკუნის ისტორიულ წყაროებში შემონახული არის ლაშა გიორგის მეფობის დროინდელი მოჭიდავეების - ქართლელი ხიზამბარელისა და კახელი მებურიშვილის შერკინების ამბავი.

XV საუკუნის მემატიანე გადმოგვცემს ცნობას ათაბეგ მეჭაბუკნის შეხვედრაზე თათართა ფალავან ძალანთან.

ალავერდის ტაძრის შესასვლელთან შემონახულია XV საუკუნის ბარელიეფი, რომელზეც ქართული ჭიდაობის ეპიზოდებია აღბეჭდილი.

ჭიდაობის დიდი ქომაგი გახლდათ ილია ჭავჭავაძე, სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო თბილისში კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას შეხვედრა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე თავის გაზეთში „ივერია“ დიდ ადგილს უთმობდა ქართულ ჭიდაობას. ასევე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქართულ ჭიდაობას აკაკი წერეთელი, რომელიც ხაზს უსვამდა მის ხალხურობას და ერის კულტურის ერთ-ერთ საგანძურს.

საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ქართული ჭიდაობის შეტევისა და დაცვის ხერხები, კაურები, სარგები ცერულები, მოგვერდები, ბრუნები, კისრულები, ნამგალა და სხვა. ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიტუაციაში არცთუ ხშირად ვხვდებით ნებელობითი თვისებებისადმი ისეთ მაღალ მოთხოვნათა გამოვლინებას, როგორც ამას საჭიროებს ქართული ჭიდაობის შეჯიბრება და მთელი სპორტული საქმიანობა. გავლენა პიროვნებაზე და აქედან მისი მნიშვნელობა, სპორტული საქმიანობის სფეროში და

მასთან დაკავშირებით, ზნეობრივი აღზრდისათვის განპირობებულია ადამიანთა შორის ურთიერთობის სიფართითა და დაძაბულობით. ეს ურთიერთობები არასოდეს იფარგლება მხოლოდ პიროვნულით. სპორტულ კავშირებს მოჭიდავე შეჰყავს ფართო სოციალურ ურთიერთობათა სფეროში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ქართული ჭიდაობის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების სოციალური ფაქტორის როლს.

ქართული ჭიდაობის სანახაობითი მიმზიდველობის საფუძველია მისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური თვისებები. სპორტული მოღვაწეობის ბუნებრივი და ხალისიანი საწყისები, რაც აირეკლება მის ძირითად ნიშნებში, სულიერ და ფიზიკურ თვისებათა მაღალი და ჰარმონიული გამოვლინების დემონსტრირებაში; ალამართალი, ვაჟკაცური და უკომპრომისო ბრძოლის ჭეშმარიტი სილამაზე გამარჯვებისთვის და მრავალი სხვა პასუხობს ყველაზე მკაცრ ესთეტიკურ კრიტერიუმებს.

ქართლში ჭიდაობის ყოველი შეჯიბრი ზეიმია. ის ხომ საჭიდაო მუსიკის ჰანგების გარეშე წარმოუდგენელია ჭიდაობის „სიმფონია“ ეროვნული საგანძურის განუყოფელი ნაწილია. ქართული ხალხური საჭიდაოს შთაგონებით, გამოჩენილმა კომპოზიტორმა რევაზ ლაღიძემ 1952 წელს შექმნა მუსიკა - „საჭიდაო“. ამ ნაწარმოების შესახებ კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი წერდა: „საჭიდაო“, ეს არის ქართული სიმფონიური მუსიკის ფეიერვერკი“.

ქართულ ჭიდაობაში ნათლად ჩანს ჩვენი ხალხის შემართება. ჭიდაობის დაწყებამდე ფალავნები ხალხის მოთხოვნით ჯერ ცეკვავენ. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფალავანი ცეკვაზე ამჟღავნებს მის სიმარჯვეს, მოქნილობას და ამით არსებით გავლენას ახდენს მოწინააღმდეგეზე. მეტოქენი აქ ერთმანეთის საპირისპიროდ მკლავშემართულნი, მკერდიმკერდ მიდიან. ჭიდაობის წესები არ ითვალისწინებს წაჩოქებული მოწინააღმდეგის დაჯაბნას; მორკინალნი მხოლოდ დგომში იბრძვიან და წაქცეულ კაცზე იერიშის გაგრძელება აკრძალულია. როდესაც ერთ-ერთი მორკინალი იმარჯვებს, ისევ ცეკვავს გამარჯვებულიც და დამარცხებულიც, შემდეგ ერთმანეთს ძმურად კოცნიან და მათ ადგილს ახალი წყვილი იკავებს.

ქართული ჭიდაობა არაერთმა უცხოელმა მოგზაურმა თუ მწერალმა აღწერა თავის შემოქმედებაში 1947 წლის ზაფხულში საქართველოში 10 დღე დაჰყვეს ამერიკელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯონ სტაინბეკმა და ცნობილმა ფოტოგრაფმა რობერტ კაპამ (ანდრე ფრიდმანმა). ისინი გორში დაესწრნენ ქართულ ჭიდაობას. ჯონ სტაინბეკმა თავის წიგნში „რუსული დღიური“ (1948 წ.), სხვა შთაბეჭდილებებთან ერთად ასე აღწერა გორში ნანახი:

„კმაყოფილებამ შეგვიპყრო, რომ მოვხვდით პარკში, ვინაიდან იმ დღეს ტარდებოდა ეროვნული ასპარეზობის ფინალი ქართულ ჭიდაობაში. მრგვალი ფიცრული ღობე გამოჰყოფდა რაღაც ასპარეზის მსგავსს და ირგვლივ დაეწყოთ სკამები. თვით საჭიდაო წრე, დიამეტრით 12 მეტრისა, მოფენილი იყო ნახერხის სქელი ფენით, ერთ მხარეს იდგა მსაჯთა მაგიდა, ხოლო მის უკან პატარა გასახდელი, შეჯიბრებაში მონაწილეთათვის. უმალვე თვალში მოგვხვდა სამი მამაკაცი, ორი უკრავდა ზურნას, მესამე კი პატარა დოლს. მაღალი ფიცრულის გასწვრივ ჩამწკრივებულ ხეებზე მტევნებივით ეკიდნენ ბავშვები და იყურებოდნენ ღობის მიღმა“.

ქართული ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებების დამსახურება არის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველოს ძიუდოისტებს მოპოვებული აქვთ 5 ერთეული ოლიმპიური თამაშების, 5 ერთეული მსოფლიოს ჩემპიონატის და 33 ერთეული ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლები. 2006 წელს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გუნდურ პირველობაზე. სულ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ქართველ ძიუდოისტებს მოპოვებული აქვთ 43 ოქროს, 43 ვერცხლისა და 70 ბრინჯაოს მედალი.

პირველმა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, დავით ციმაკურიძემ, ჰელსინკის ოლიმპიადაზე გადამწყვეტი ფინალური ორთაბრძოლა ირანელ თავისუფალი სტილის მოჭიდავეს, ტახტის ქართული ჭიდაობის ხერხით მოუგო, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი შოთა ჩოჩიშვილი ბავშვობაში ქართული ჭიდაობით იყო გატაცებული და მან ჩვენებური კისრულით დაამარცხა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იაპონელი სასახარა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა კი, გადამწყვეტ ბრძოლაში, ქართული ფანდით მოუგო იაპონელ იზუმს.

ქართული ჭიდაობის ხერხებს შესანიშნავად იყენებდნენ თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონი „ჭიდაობის პროფესორად“ წოდებული ვახტანგ ბალავაძე და მისი მოწაფე, ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მოჭიდავე ლევან თედიაშვილი.

ძიუდო თავისი სტილითა და ხასიათით უფრო ახლოს აღმოჩნდა ქართულ ჭიდაობასთან, ვიდრე საბჭოური სამბო. ამიტომაც, სსრ კავშირის ნაკრები ძირითადად ქართველი ძიუდოისტებით იყო დაკომპლექტებული. 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრებში 6 სპორტსმენიდან 4 ქართველი იყო - შენგელი ფიცხელაური, გურამ გოგოლაური, შოთა ჩოჩიშვილი და

გივი ონაშვილი, სადაც შოთა ჩოჩიშვილი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა და ძიუდოს ისტორიაში პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.

უკანასკნელ წლებში ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ეროვნული სპორტის სახეობათა განვითარებისათვის. მართალია, რომ სპორტის საერთაშორისო სახეობებს დიდი და გამუდმებული ყურადღება სჭირდება, მაგრამ ამან არ უნდა შეაფერხოს ხალხურ-ეროვნული სახეობების განვითარება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ეს სახეობები აძლევს საზრდოს საერთაშორისო სპორტს. აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ადგილობრივი ტრადიციული სახეობების დანერგვა-გამოყენება.

ჩვენი ვალია, აღვადგინოთ ქართული ჭიდაობის ტრადიციები, ამასთან, მსოფლიო ჭიდაობის სამყაროს საფუძვლიანად გავაცნოთ ქართული ჭიდაობის თვითმყოფადობა. მისი არტისტიზმი და მდიდარი არსენალი.

რაც მეტი მოზარდი მოირგებს ქართული ჭიდაობის ჩოხას, მით მეტი ჯანმრთელი და ფიზიკურად განვითარებული თანამემამულე და ჩემპიონი ეყოლება საქართველოს.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ქართული ჭიდაობა თავის ცხოვრებისეულ ასახვაში არის ადამიანის დაუოკებელი ლტოლვა საკუთარ შესაძლებლობათა საზღვრების გაფართოებისაკენ. იგი, როგორც მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოვლენა. ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის ქმედითი ფაქტორია;
- ქართული ჭიდაობა შემოქმედებითი ხასიათით და სხვა თავისი ნიშნებით მოზარდი თაობის მრავალმხრივი განვითარების, ფიზიკური და ფსიქიკური უნარების სრულყოფის, ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ქმედითი ფაქტორია;
- ჭიდაობის ქართულმა სკოლამ შთამომავლობას არ უნდა დაუკარგოს საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქართული ჭიდაობის შეტევისა და დაცვის ისეთი ხერხების ცოდნა, როგორიცაა: კაურები, სარმები, ცერულები, მოგვერდები, ბრუნები, კისრულები, ღოჯურები, ნამგალა, ჩოქელა, გარესარმა, წემოგვერდი და სხვა მრავალი;
- არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხურ-ეროვნული სახეობები აძლევს საზრდოს საერთაშორისო სპორტს. აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, ფიზიკური აღზრდის და პროგრამებსა და პრაქტიკულ მუშაობაში ასახვა ჰპოვოს ადგილობრივმა ტრადიციულმა სახეობებმა და მოძრავმა თამაშებმა.

საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს ნაშრომში შევეხოთ ერთ-ერთ ძველ ქართულ თამაშს - ლელობურთს. ლელობურთის თამაშის შინაარსზე და მის მნიშვნელობაზე საუბრისას აუცილებელია გვახსოვდეს დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის გამონათქვამი ლელობურთის შესახებ.

„ქართველების ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარჯიშებს... ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს“. ეს სიტყვები აკაკი წერეთელს ეკუთვნის და მართლაც, მრავალი სახის თამაში ჰქონდა ქართველ ხალხს უხსოვარი დროიდან, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია - ლელო.

ბოლო წლებში, მსოფლიო მასშტაბით, შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ ქართველი რაგბისტები, მათი მიღწევების ერთ-ერთ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ქართველთა გენში არსებული ის აუცილებელი თავისებურებანი, რომელსაც ისინი ამჟღავნებდნენ ლელობურთის თამაშისას. ეს საუკეთესო თვისებები კი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და სამართლიანად მიგვაჩნია, რომ ქართულმა ლელობურთმა, როგორც ერთ-ერთმა უძველესმა ქართულმა ეროვნულმა თამაშმა ხელი შეუწყო საქართველოში რაგბის, როგორც სპორტის სახეობის დანერგვასა და მისი შემდგომი განვითარების საქმეს.

საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების 2003-2015 წლების კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სპორტის ეროვნული სახეების აღდგენის და შემდგომი განვითარების საქმეს. რადგან ფიზიკური აღზრდის მრავალსაუკუნოვანი ხალხური სისტემიდან აღმოცენებულ ქართული სპორტის სახეებს ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში.

ისე, როგორც ქართულ ჭიდაობას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ლელობურთის მასობრივად დანერგვის საქმეს. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია, სპორტის სხვა სახეებთან ერთად ისწავლებოდეს საჯარო სკოლებში ლელობურთი, გარდა ამისა, ლელობურთი შეტანილი უნდა იქნას საქართველოს მოსწავლეთა და სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამაში.

ლიტერატურა:
1. ლელო შეჯიბრების წესები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980.
2. ა. ციბაძე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია, თბილისი, 1991.
3. ოლიმპიური ენციკლოპედია, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 1997.
4. ჯ. ძაგანია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
5. გ. ბარჯაძე, ქართული ჭიდაობა „პრეზენტაციის თასზე“, თბილისი, 2005.
6. ა. იაშვილი, მ. ტულუში, ქართული ჭიდაობა, როგორც მაღალკვალიფიციური მოჭიდავეების მომზადების ეფექტური საშუალება, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია „განათლების თანამედროვე გამოწვევები“, გორი, 2013.

კალციუმი, ფოსფორი - სიცოცხლის ელემენტები

რუსუდან შატაკიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ესმა წკრიალაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

კალციუმი და ფტორი - ორი განსხვავებული ბუნების ქიმიური ელემენტი: ერთი აქტიური ლითონი, მეორე აქტიური არალითონი - ორივე ცოცხალი ორგანიზმებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტებია.

კალციუმი, პერიოდული სისტემის II ჯგუფის ტუტემიწა ლითონი, აქტიურობით გამოირჩევა. კალციუმი ბუნებაში გავრცელებულია სხვადასხვა მინერალის სახით: კალციტის, დოლომიტის, ქლორაპატიტის, ფტორაპატიტის, მლღობი შპატის, ფოსფორიტის, თაბაშირის, მერგელის სახით. დედამიწის ქერქში კალციუმის შემცველობა 2,96 %-ს შეადგენს.

კალციუმს უდიდესი როლი ენიჭება ადამიანის ორგანიზმისათვის. ის შედის კბილების და ძვლოვანი ქსოვილების, კუნთების, ნერვული ქსოვილების, ასევე ბუნებრივი წყლების და ნიადაგის შედგენილობაში. კალციუმის იონები აუცილებელია ცხოველური ორგანიზმების ძვლის ქსოვილის ჩამოყალიბებისა და სისხლის მიმოქცევის პროცესისათვის, სისხლის შედედებისათვის და ნერვული სისტემის ნორმალური მუშაობისათვის. კალციუმის იონების კონცენტრაციის შემცირება სისხლში იწვევს ძარღვების გადაფსკვნებს და კიდურების ტკივილს. კალციუმის მარილების ხსნარები ამცირებენ ალერგიული მდგომარეობით გამოწვეულ ქავილს, ამიტომ ანტიალერგიულ საშუალებადაც არის მიჩნეული. ადამიანის ორგანიზმში კალციუმი საშუალოდ 1 კგ-მდე შედის. კალციუმის ნაერთებიდან მედიცინაში გამოყენებულია კალციუმის ქლორიდი $CaCI_2$ და გამომწვარი თაბაშირი $2CaSO_4 \bullet H_2O$ ორთოპედიულ სტომატოლოგიაში და ქირურგიაში სახვევისათვის.

კალციუმის უმეტესი ნაწილი ადამიანის ორგანიზმში არის ჩონჩხსა და კბილებში ფოსფატების სახით. კბილის მინანქარი ადამიანის ორგანიზმში არსებული ყველაზე მაგარი ქსოვილია. იგი მთლიანად ფარავს კბილის გვირგვინოვან ნაწილს. მისი ასეთი სიმაგრე აიხსნება მინერალიზაციის ძლიერ მაღალი ხარისხით. კბილის მინანქარი ყველაზე ნაკლები ხარისხით შეიცავს წყალს. წყლის შემცველობა მასში საშუალოდ 4%-ია. დანარჩენი 96% მშრალი მასიდან, დაახლოებით 1,3 % მოდის ორგანულ ნაერთებზე, ხოლო ძირითადი ნაწილი კი არაორგანული ნაერთებია, მათ შორის - კალციუმის.

მინანქარის მინერალური საფუძველია ჰიდროქსიაპატიტის - $Ca_{10}(PO_4)_6(OH)_2$ კრისტალები, რომლებიც მინანქარში 75 %-ია. მათთან ერთად აქ გვხვდება კალციუმის ფოსფატიც, რომელიც რვა ატომ კალციუმს შეიცავს $Ca_8H_2(PO_4)_6 \cdot 5H_2O$. კბილი შეიცავს აპატიტისმაგვარ სხვა ნაერთებსაც, რომელთა შედგენილობა პირობითად ასე გამოისახება - $A_{10}(PO_4)_6X_2$, სადაც A-ს ქვეშ იგულისხმება ელემენტები: Ca, Cr, Ba, ხოლო X-ის ქვეშ ანიონები.

ჰიდროქსიაპატიტის გარდა მინანქარში გვხვდება კარბონატაპატიტი 19 %, ქლორაპატიტი - 4,4 %, ფტორაპატიტი - 0,66 % და 2 %-მდე სხვა არააპატიტური წარმოშობის მინერალური ნივთიერებები.

ჰიდროქსიაპატიტში კალციუმის სხვა ელემენტებით (Ba , Mg, Cr) ჩანაცვლებამ შეიძლება კალციუმის ხვედრითი წილის შემცირება გამოიწვიოს. ეს კი კალციუმ-ფოსფორის ბალანსს შეამცირებს, რაც მინანქარის შემდგომი დაზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს .

კალციუმის დეფიციტისათვის დამახასიათებელია მრავალი სიმპტომი, რომლებზეც ჩვენ ხშირად არ ვამახვილებთ ყურადღებას. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ძვლების მოტეხილობებისადმი მიდრეკილება, ოსტეოპოროზი, კბილის ემალის დეფექტები, დაღლილობა, ძილიანობა, აპათია, დეპრესიული მდგომარეობა, ხშირი გაცივება, თმებთან, ფრჩხილებთან, კანთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა.

კალციუმის ნაკლებობას ორგანიზმი დამოუკიდებლად გვამცნობს. ამაზე მეტყველებს პერიოდულად, განსაკუთრებით ღამის საათებში, განვითარებული წვივისა და ტერფ-ზურგის კუნთების კრუნჩხვა, სხეულზე სისხლნაჟღენთების განვითარება, მათ შორის უმნიშვნელო მექანიკური ზემოქმედების შემდეგ, კარიესი, ფრჩხილების მტვრევადობა, თმის ცვენა. ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობაზე მეტყველებს ნაადრევი ჭაღარა (ითვლება 40 წლამდე).

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც კალციუმის ნაკლებობაა საზიანო ორგანიზმისათვის, მისი ზედმეტი დოზაც ასევე სახიფათოა ორგანიზმისათვის. კალციუმის გადაჭარბებული რაოდენობა ორგანიზმში იწვევს სხვადასხვა დარღვევებს და პრობლემებს, სახელდობრ:

- უკონტროლო და უნებლიე კანკალს;
- ამცირებს რკინის შეთვისებას;
- იწვევს თირკმელში კენჭების წარმოქმნას;
- მუცელში გაზების დაგროვებას, ყაბზობას;
- ცვლილებებს გულის ფუნქციონირებაში (გულისცემის რიტმზე მოქმედებს);
- ტვინის გადაღლილობას, რაც გამოიხატება მღელვარებით, დაბნეულობით, ბოდვით, შეიძლება კომითაც.

კალციუმს შედარებით დიდი რაოდენობით შეიცავს რძის პროდუქტები (ადამიანის საშუალო დღიური მოთხოვნილება კალციუმზე შეადგენს დაახლოებით 830 მგ-ს, რაც დაახლოებით, დღეში 1,5 ლ რძის მოხმარების ტოლფასია), დანარჩენი კი მოდის ხორცზე, თევზზე და ზოგიერთ მცენარეზე (ლობიო, ცერცვი და სხვ.). კალციუმზე მოთხოვნილება დამოკიდებულია ასაკზე. ზრდასრულთათვის დღეღამეში საჭირო ნორმაა 800-1000 მგ, ბავშვებისათვის 600-900 მგ. კალციუმზე მოთხოვნილება იზრდება მაღალ ადამიანებში, ბავშვებში და ხანდაზმულებში.

კალციუმის შემცველობის მონაცემები ზოგიერთ საკვებ პროდუქტში მოყვანილია პირველ ცხრილში:

ცხრილი №1

კალციუმის შემცველობა საკვებ პროდუქტებში (მგ/100 გ პროდუქტში)

რძე 3 %	100	კომბოსტო	60	გარგარის ჩირი	170
რძე 1 %	120	ნიახური	240	ქიშმიში	56
ხაჭო	95	ხახვი	60	ნუში	254
მდნარი ყველი	300	ლობიო	40	არაქისი	70
ყველი	600	ზეთის ხილი	77	გოგრის თესლი	60
არაჟანი	100	ჭვავის პური	60	მზესუმზირა	100
თხის ყველი	300	ხორბლის პური	30	შებოლილი ძვლიანი თევზი	3000
იოგურტი	120	ფორთოხალი	35	სარდიანი ძვლით	350
დიეტ. იოგურტი	85	ვაშლის ჩირი	45	მოხარშული თევზი	20-30
მწვანე სალათი	83	ლეღვი	57	ძროხის ხორცი	10-30

ფოსფორი (P) - დედამიწის ქერქის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ელემენტია. იგი ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის III პერიოდის, V ჯგუფის A ქვეჯგუფის ელემენტია. ფოსფორი პლანეტა ვენერას (ცისკრის ვარსკვლავის) ძველი სახელწოდება იყო). სახელწოდება „ფოსფორი" ბერძნულად ნიშნავს ,,სინათლის მზიდს, მატარებელს". ასე ეწოდა იმიტომ, რომ მისი ალოტროპიული ფორმა - თეთრი ფოსფორი ჰაერზე ჩვეულებრივ პირობებში ადვილად იჟანგება და ამ დროს ანათებს. მაღალი ქიმიური აქტიურობის გამო ფოსფორი თავისუფალ მდგომარეობაში არ გვხვდება, წარმოქმნის დაახლოებით 190 მინერალს.

ფოსფორს დიდი რაოდენობით შეიცავს მცენარეთა ყველა ნაწილი, ნაყოფი და თესლი. ფოსფორი შედის ცილებისა და სხვა მნიშვნელოვანი ორგანული ნაერთების შედგენილობაში.

ფოსფორის ნაერთები ყველა ცოცხალ უჯრედშია. ეს ელემენტი მონაწილეობს ადამიანის ჩონჩხის ჩამოყალიბებაში, ამაგრებს კბილებს. კბილის ქსოვილში ის არის კალციუმის ფტორფოსფატის შედგენილობაში, რომელიც კბილს სიმტკიცეს ანიჭებს. ამიტომ, მინერალური ელემენტების სწორი ბალანსი ადამიანის ორგანიზმს იცავს კარიესის განვითარებისგან. ფოსფორის ნაერთების ცვლა ორგანიზმში რეგულირდება D ვიტამინითა და ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებით. თავის მხრივ, კალციუმი კარგად შეიწოვება, თუ ორგანიზმში ფოსფორი საკმარისი რაოდენობით არის. მაგრამ, ფოსფორის სიჭარბე ადამიანის ორგანიზმში იწვევს კალციუმის გამოდევნას ძვლებიდან. ფოსფორის რაოდენობა სხეულის წონის 1-1,5% შეადგენს.

ფოსფორი ადამიანის ორგანიზმში შემცველობის მხრივ მეექვსე ადგილზეა ჟანგბადის, წყალბადის, ნახშირბადის, აზოტისა და კალციუმის შემდეგ და არეგულირებს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე მრავალ სასიცოცხლო პროცესს. მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში 1 კგ-მდე ფოსფორია. ტვინის მუშაობა, კუნთის შეკუმშვა დაკავშირებულია ფოსფორის შემცველ ნაერთების ქიმიურ გარდაქმნასთან. ამიტომ უწოდეს ამ ელემენტს „სიცოცხლისა და აზროვნების ელემენტი".

ადამიანის ორგანიზმში ფოსფორის ნაერთები:

- უზრუნველყოფს ძვლოვანი ქსოვილის სიმტკიცეს;
- მონაწილეობს ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ცვლაში (აგროვებენ ენერგიას);
- მონაწილეობს გულის კუნთისა და თირკმელების მოქმედებაში;
- მონაწილეობს კუნთოვანი და გონებრივი აქტიურობის პროცესებში;
- აკონტროლებს ცენტრალური ნერვული სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას;
- არეგულირებს მჟავა-ტუტოვან წონასწორობას.

ფოსფორზე ორგანიზმის მოთხოვნილება საკმაოდ დიდია (კალციუმზე მეტიც კი), დღეში:

მოზრდილი ადამიანისთვის - 1,5-2 გ;
ორსულებისა და მეძუძური დედებისთვის - 3-3,8 გ;
ბავშვებისთვის - 1,5-2,5 გ.

ფოსფორის სიჭარბე იწვევს მოწამვლას, რომელიც ხასიათდება ძლიერი ტკივილებით კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. ქრონიკული მოწამვლა გამოიხატება ნივთიერებათა არასწორ ცვლაში, განსაკუთრებით ძვლოვან ქსოვილში. ფოსფორის დეფიციტი იწვევს კბილების დაშლას, პაროდონტოზს, სახსრებისა და ძვლების დაავადებებს, დარღვევებს ნერვული სისტემის მხრივ, ენერგეტიკულ დეფიციტს, რაც ვლინდება სისუსტით, მოდუნებით, ადვილად დაღლით. ბავშვებში ვითარდება რაქიტი.

ფოსფატების სახით ფოსფორი შედის ნუკლეოტიდებისა და ნუკლეინის მჟავების (დნმ და რნმ) შედგენილობაში, რომლებიც მონაწილეობენ კოდირებისა და გენეტიკური ინფორმაციის შენახვის პროცესებში.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთ საკვებ პროდუქტში ფოსფორის შემცველობის მონაცემები:

ცხრილი №2

ფოსფორის შემცველობა საკვებ პროდუქტებში (მგ/100გ)

შემწვარი საქონლის ხორცი	250	ხორბლის ქატო	1200
მოუხდელი რძე	93	მდნარი ყველი	1030
მოხარშული ლობიო	37	შირბახტი (ქუნჯუთი, სეზამი)	720
შემწვარი ვირთევზა	274	ღვიძლის პაშტეტი	450
ხორბლის პური	254	ქათმის თეთრი ხორცი	310
კარტოფილი	53	გოგრის თესლი	1144
ვაშლი	10	ყაბაყის თესლი	1144
ქათმის კვერცხი	205	მზესუმზირას თესლი	837
ხაჭო	152	ბროკოლი	78
ფინიკი	63	ნუში	550

განხილული მონაცემებიდან ჩანს, პერიოდული სისტემის განსხვავებული ბუნების ეს ორი ქიმიური ელემენტი -კალციუმი და ფოსფორი მართლაც სიცოცხლის ელემენტებია.

ლიტერატურა:

1. ნ. ალექსიძე, ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თსსუ, 2005.
2. ს. ადამია, ქიმია, გაღრმავებული კურსი, „საქართველოა მაცნე“, 2013.

3. www. medportal.ge
4. www.calciumd3.ru
5. active.ge/2013/12/04

ბავშვობის კრიტიკული პერიოდები

ლიკა ცერაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ უბირია,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ყოველი ასაკობრივი პერიოდისათვის არსებობს თავისი საკუთარი ნორმატივები და ის, რაც მოსწავლისათვის დაუშვებელია, შეიძლება სრულიად ბუნებრივი იყოს სამი წლის ბავშვისათვის.

ფსიქოლოგიური სიტუაციიდან (მშობლები-ბავშვები) რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს, რომელთა არსი მდგომარეობს შემდეგში: უმთავრესი შეცდომები, რომლებიც მშობლებს მოსდით თავიანთი შვილების ქცევის შეფასებისას, პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

I ჯგუფს შეადგენს ის შემთხვევები, სადაც სჭარბობს კონკრეტულ-სიტუაციური მიდგომა და ყოვლის მიმტევებელი ფორმულა **„ის ხომ ჯერ კიდევ პატარაა!“** ზოგიერთი მშობლისათვის შვილები საერთოდ მოწიფულობაშიც კი არ შედიან, არამედ მხოლოდ წლები ემატებათ.

II ჯგუფი თითქმის მთლიანად უპირისპირდება პირველ ჯგუფს. აქ ჭარბობს ფორმალური, შეიძლება ითქვას, დოგმატური მიდგომა, ბავშვის ქცევას მცირე ასაკიდანვე აფასებენ მოზრდილთა, ზოგადსაკაცობრიო ნორმების მიხედვით **(მაგალითად, თუ შენი დაპირება არ შეასრულე, მაშასადამე, უპატიოსნო ადამიანი ხარ, თუნდ ოთხი წლისა იყავ და თუნდაც თოთხმეტისა. მშობლებისაგან აკრძალული რაიმე ჩაიდინე? მაშასადამე, დანაშაული ჩაგიდენია და ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რაში მდგომარეობს შენი დანაშაულის არსი. ასეთ შემთხვევაში არცთუ იშვიათად იზრდებიან დამჯერნი, შემსრულებელი, ბეჯითი ბავშვები, მაგრამ არიან კი ისინი ბედნიერები?).**

შეცდომების III ჯგუფი მშობელთა ჩამოყალიბებაში მდგომარეობს, თუმცა მშობლებმა მშვენივრად იციან, რომ ბავშვი იზრდება, ვითარდება, მოწიფულობაში შედის, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვითონ რჩებიან ერთსა და იმავე დონეზე თავიანთი მოთხოვნილებებითა და შეფასებით და ეს მაშინ, როცა საჭიროა, რომ მშობელთა ფსიქოლოგიის გარდაქმნა წინაც კი უსწრებდეს ბავშვის სულიერ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში რომელიმე ეტაპზე თავს იჩენს ურთიერთგაუგებრობა, გაუცხოება, ბავშვი გულჩათხრობილი და განმარტოებული ხდება. განსაკუთრებით მწვავე შემთხვევებში საქმე შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ ბავშვი სახლიდან გაიქცეს და უგზო-უკლოდ გადაიკარგოს და ამაში გამოიხატება სასოწარკვეთილების უსასრულო ხარისხი, რომელშიც ბავშვი ამ მომენტში იმყოფება.“**[1;8]**

მშობლების შეცდომები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ თავს იჩენს თავს მძაფრი ფიზიკური და ფსიქიკური გარდაქმნების პერიოდში, როცა თვით „იდეალური“ ბავშვიც კი შეიძლება შესამჩნევად შეიცვალოს. ეს პერიოდები, რომელთაც ასაკობრივი კრიზისები ეწოდებათ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

ბავშვის განვითარება მოიცავს შემდეგ პერიოდებს:

„ახალდაბადებულის პერიოდი იწყება ბავშვის დაბადების მომენტიდან და გრძელდება სიცოცხლის პირველ 3-4 კვირის განმავლობაში.“ [2;3]

ახალდაბადებული ბავშვის ხმამაღალი ყვირილი თითქმის მთელ ქვეყანას ამცნობს, მაგრამ ძალიან დიდი გზის გავლაა საჭირო, სანამ სუსტი და უსუსური არსება არ გადაიქცევა იმად, რომელსაც ჰქვია საამაყო სახელი - **„ადამიანი!“**

ადამიანის ბავშვობა ყველაზე ხანგრძლივია მთელ ცოცხალ სამყაროში. ამ ხნის განმავლობაში ბავშვი არა მხოლოდ იზრდება, ფიზიკურად მაგრდება, არა მხოლოდ ივითარებს თავის თანდაყოლილ ნახაზებს, არამედ იგი ყალიბდება პიროვნებად - თანდაყოლილ და შეძენილ თვისებათა განუმეორებელ შენადნობად, რომელსაც მხოლოდ ადამიანთა საზოგადოების პირობებში აქვს ღირებულება. იყოს

საზოგადოების სასარგებლო წევრი, შეასრულოს ამ საზოგადოებაში გარკვეული როლი, რომელიც შინაგან მისწრაფებებს შეესაბამება, ინდივიდუალური ორგანიზმის გარდაქმნა განუმეორებელ პიროვნებად, რომელიც შეისისხლხორცებს ადამიანთა კულტურის ყველა მიღწევას, ყოველთვის ადვილად და შეუფერხებლად როდი ხდება, არამედ ზოგჯერ მას მნიშვნელოვანი სიძნელეები ახლავს.

თუ თვალს გადავავლებთ მოვლენებით აღსავსე იმ ვეებერთელა გზას, რომელსაც ბავშვი გაივლის ბავშვობის განმავლობაში, შეიძლება გამოვავლინოთ ინდივიდუალური განვითარებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ზოგადი კანონზომიერება.

ბავშვი იზრდება და ერთდროულად ბევრი მიმართულებით ვითარდება, ყველა ეს მიმართულება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლა საკმაოდ ხშირად ნახტომისებურად ხდება. ამას ამჩნევენ მოზრდილები, რომლებიც ბავშვებს გარედან აკვირდებიან. უდიდესი მოსამზადებელი მუშაობა წინ უსწრებს რომელიმე ფუნქციის შესამჩნევ გართულებას ან მისი ხარისხობრივად ახალი მახასიათებლების წარმოშობას, ეს ხშირად ჩვენი მხედველობისათვის შეუმჩნეველი რჩება. ამის შედეგი ის არის, რომ „ერთ მშვენიერ დღეს“ ბავშვმა დამოუკიდებლად გადადგა პირველი ნაბიჯი, წარმოთქვა მთელი ფრაზა, მოულოდნელად დაინტერესდა ამ ქვეყნად თავისი გაჩენით ან სიკვდილის პრობლემით.

როგორც ცნობილია, პატარა ბავშვი ერთბაშად არ ეუფლება ყველა ბგერის სწორ წარმოთქმას. თანდათანობით წარმოთქმა სულ უფრო დახვეწილი და მკაფიო ხდება, მაგრამ დავუშვათ, რომ იგი ერთ ან ორ ბგერას წინანდებურად ცუდად წარმოთქვამს. გადის წლები, მშობლები ფიქრობენ, რომ ყველაფერი თავისით მოგვარდება, მაგრამ უკვე 10-12 წლის ასაკში არასწორი წარმოთქმა, ისე მტკიცედ არის დამკვიდრებული, რომ მისი გამოსწორება ბეჯითი მეცადინეობის დროსაც კი მეტად გაძნელებულია.

ასაკობრივი კრიზისი თავისებური გარდატეხის, მობრუნების პუნქტია, რომელზეც ბავშვს შეუძლია მშვიდობიანად გაიაროს და ავიდეს განვითარების ახალ საფეხურზე, მაგრამ შეიძლება დაზარალდეს კიდევაც, შინაგანი დეფორმაცია განიცადოს. ამიტომ სპეციალისტ-მედიკოსების, პედაგოგების, ფსიქოლოგების, აგრეთვე მშობლების წინაშე დგება ამოცანა: როგორ განასხვავონ ამ ასაკისათვის ბუნებრივი ნორმალური ძვრები გადახრებისაგან, რომლებიც შეუქცევად პათოლოგიურ დარღვევებში, პიროვნების დამახინჯებულ განვითარებაში გადაზრდის საფრთხით გვემუქრება? ამ უკანასკნელ შემთხვევაში კრიზი, როგორც ინდივიდუალური ნორმის ნორმალური და აუცილებელი გარდაქმნა, კრიზისში გადადის, რომელიც სპეციალისტის სასწრაფო მაკორექტირებელ ჩარევას მოითხოვს. კრიზის გადასვლა კრიზისში, რომელიც პათოლოგიური გადახრებით იმუქრება, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ბავშვი, რომ **2** წლის ასაკის ზღურბლს გადააბიჯებს, ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქციით არის აღჭურვილი. ესენია: **დამოუკიდებელი სიარული** და **მეტყველება.**

სიარულის, ადგილგადანაცვლების უნარი მნიშვნელოვნად აფართოებს გარემომცველ სამყაროს ჩარჩოებს და ამით ქმნის ინდივიდუალური ცხოვრებისეული გამოცდილების ინტენსიურად დაგროვების შესაძლებლობას.

მეტყველების დაუფლება კი ხელს უწყობს სამყაროს შეცნობას ზოგადსაკაცობრიო კულტურის საფუძველზე, რადგან ენა კაცობრიობის ფიქსირებული ისტორიაა.

ცხოველმოქმედების ამ ეტაპზე გადასვლის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგია საკუთარი არსებობის გამოყოფა გარემოდან.

უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შინაგანი მდგომარეობისა და ქცევის დახასიათებანი, რომლებიც მოზრდილი ადამიანის თვალსაზრისით არცთუ ისე მიმზიდველია, ამ კრიტიკული პერიოდისთვის ბუნებრივია. ეს არის ნორმის ნიშნები, რომლებიც გარკვეული ეტაპისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ, ცხადია, მიუღებელია მოზრდილის ქცევის ნორმატივებისათვის.

„სკოლამდელი ბავშვები ძალიან აქტიურები არიან. სამი წლის ბავშვის აქტიურობის დონე ყველა სხვა ასაკის აქტიურობის დონეზე მაღალია. ამ ასაკის ბავშვები მოუსვენრად ტრიალებენ ტელევიზორის ყურების დროს; ცქმუტავენ, როცა მაგიდასთან სხედან და საჭმელს მიირთმევენ; ძილშიც ხშირად ტრიალებენ. ამიტომაც, სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ყოველდღე სჭირდებათ ფიზიკური ვარჯიში.“ [**3;7**]

ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი უნარი, გააკონტროლოს საკუთარი სხეული. მათ თანდათანობით უფრო დიდი ხნით შეუძლიათ ერთ ადგილზე ჯდომა და ყურადღების კონცენტრაცია. თუმცა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ჯერ კიდევ არ არიან ფიზიკურად ბოლომდე მომწიფებულნი და მათ ისევ სჭირდებათ ფიზიკური აქტიურობა.

ფიზიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ტვინის და ნერვული სისტემის განვითარება. ტვინის ზომა და ზრდა ყველაზე სწრაფად ჩვილობის ასაკში ხდება და ზრდას ადრეული ბავშობის ასაკშიც აგრძელებს, თუმცა უფრო შენელებული ტემპით. ბავშვის ტვინი მნიშვნელოვან ანატომიურ ცვლილებებს განიცდის 3-დან 15-წლამდე.

ბავშობის გარკვეულ პერიოდში ტვინი მოკლე დროში ძალიან სწრაფად იზრდება. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ტვინის ზოგიერთი ნაწილი ერთი წლის განმავლობაში შეიძლება ორჯერ გაიზარდოს და შემდეგ ისევ დაპატარავდეს, როცა უსარგებლო უჯრედებისაგან განიწმინდება და ხელახლა მოახდენს რეორგანიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ტვინის მთლიანი მოცულობა მნიშვნელოვნად არ იზრდება 3-დან 15-წლამდე, თუმცა, ამავე დროს, ტვინის სხვადასხვა ნაწილში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს.

ტვინი ორგანიზებულია ნერვულ წრედებად, რომლებიც ნეირონებს შეიცავს. ნეირონებს ბევრი ფუნქცია აკისრიათ. მაგალითად, ერთ-ერთი ნერვული წრედის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ყურადღება და სამუშაო მეხსიერება (სამუშაო მეხსიერება მოკლევადიან მეხსიერებას ჰგავს, იგი წარმოადგენს იმ ინფორმაციის დროებით შენახვის და მართვის სისტემას, რომელიც საჭიროა რთული კოგნიტური დავალებების შესასრულებლად. მაგალითად სწავლის, აზროვნებისა და გაგებისათვის).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები მეტად მოუსვენრები არიან და ეს მოუსვენრობა სრულიად ბუნებრივია ამ კრიტიკული პერიოდისათვის. ეს არის ნორმალური ნიშნები, რომლებიც გარკვეული ეტაპისათვის არის დამახასიათებელი. ამ ასაკის ბავშვი უწინარეს ყოვლისა ემოციურია, მაგრამ ეს ემოციურობა უფრო დიდი ასაკის ბავშვის ემოციურობისაგან განსხვავებით მდგრადი არ არის და ადვილად გადადის ერთი ობიექტიდან მეორეზე.

უმცროს სკოლამდელ ასაკში კრიტიკული პერიოდის დაძაბულობა, სირთულე ფაქტორების ორი ჯგუფით განისაზღვრება: **1) ბავშვის ნერვული სისტემის თანდაყოლილი თავისებურებებით, რომელიც მშობელთა პედაგოგიურ მიზანდასახულობასა და მათ პიროვნულ თვისებებს შეიცავს; 2) აღმზრდელობითი ფაქტორები გადამწყვეტ როლს ასრულებს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში, რადგან ნერვული სისტემის თანდაყოლილი თავისებურებანი მხოლოდ და მხოლოდ „ნამზადია“, რომელიც მოდიფიკაციის ძალიან ფართო დიაპაზონს იჩენს ზრდისა და განვითარების პროცესში.**

6-7 წლის ბავშვისათვის ქცევა ჩვეულებრივ წონასწორდება, იგი უფრო კრიტიკულად უდგება თავის საქციელს, იწყებს თავისი სურვილების შეფარდებას რეალურ შესაძლებლობასთან.

ბევრი ბავშვი იჩენს სკოლაში სწავლის აქტიურ სურვილს, რათა დაეუფლოს მისთვის საინტერესო პროფესიას. (ყველაზე მეტად - მფრინავის, კოსმონავტის, მძღოლის, ექიმის, მასწავლებლის პროფესიას) მაგრამ სასკოლო სწავლისადმი ემოციური განწყობილება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი მისთვის ფსიქოლოგიურად არის მომზადებული. სკოლისათვის ფსიქოლოგიურ მომზადებაში შეიძლებ პირობითად გამოვყოთ **ინტელექტუალური** და **პიროვნული** შემადგენლები, თუმცა ისინი ერთმანეთთან არის დაკავშირებული:

ინტელექტუალური მზაობა გულისხმობს გონებრივი განვითარების ისეთ დონეს, რომელზედაც ბავშვს შეუძლია განაზოგადოს და განასხვავოს ცნებები, თვალყური ადევნოს მასწავლებლის მსჯელობას, ნებისმიერად მოიკრიბოს გულისყური რომელიმე ამოცანის გადაწყვეტისათვის.

პიროვნული მზადყოფნა გულისხმობს პასუხისმგებლობის განვითარებულ გრძნობას, წუთიერი განწყობის დაქვემდებარებას დავალების შესრულების აუცილებლობისადმი.

გარდა ამისა, პიროვნულ თავისებურებებზე ბევრად არის დამოკიდებული ის, თუ რამდენად წარმატებით „ჩაიწერება“ ბავშვი სასკოლო კოლექტივში. ფსიქოლოგიურად მომზადებული ბავშვისათვის სკოლაში შესვლა, საერთოდ, უმტკივნეულოდ ხდება, გარდა ამისა, შესაძლოა, ერთგვარი დაღლილობა, რაც დაკავშირებულია ნერვულ-ფსიქიკური დატვირთვის გადიდებას და „მოძრაობითი თავისებურების“ შეზღუდვასთან. ბავშვი მიჩვეულია თავისუფლად ყოფნას, 6-8 წლის ასაკის ბავშვები ძალიან ენერგიულები არიან, აქვთ ჭარბი ენერგია, სულ მოძრაობაში არიან. ამ ასაკის ბავშვებს, ისევე როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ძალიან უყვართ თამაში, მაგრამ ახლა მისი ძირითადი აქტივობაა - ახალი, კონკრეტული ჩვევის დაუფლება. ამიტომ მთელი გაკვეთილის განმავლობაში მშვიდად ჯდომა ისეთი ამოცანაა, რომელიც ბევრი პირველკლასელისაგან დიდ დაძაბვას მოითხოვს. “9-11 წლის ბავშვი ფიზიკურად აქტიურია. აქვს ჭარბი ენერგია, რომელიც ფიზიკური აქტიურობის საფუძველს წარმოადგენს.

უყვარს თავგადასავლები, შთაბეჭდილებები, ფიზიკური ვარჯიშები.

ამ ასაკის ბავშვი იმდენადაა დაკავებული თავისი ყოველდღიური თავგადასავლებით, რომ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს - პირადი ჰიგიენა, საკუთარი ნივთებისა და ტანსაცმლის მოვლა. ამიტომ საჭიროა თვითდისციპლინის განვითარება“ [**4;39**]. დაახლოებით 10-12 წლის ასაკის ბავშვის ქცევა თანდათანობით სწორდება, მათი ქცევა უფრო ორგანიზებული და მშვიდად სამართავი ხდება, რასაც თან არ ახლავს მღელვარე სცენები და გაჭიანურებული კონფლიქტები. სულ უფრო აშკარა ხდება თვითკონტროლი, იმის უნარი, რომ წუთიერი განწყობილებანი დაუმორჩილოს შორეულ მიზნებს, რომელთა მიღწევისათვის საჭიროა შეუპოვრობა და მოთმინება.

ლიტერატურა:
1. მირონოვი ა., ბავშვის კრიტიკული პერიოდები, თბ., 1980.
2. ცქიტიშვილი ნ., ბავშვის მოვლა, 1993.
3. მასწავლებელთა პროფესიული განათლების ცენტრი, განვითარებისა და სწავლების თეორიები, 2008.
4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, www.tpdc.ge

ბიზნესი და მართვა

საინვესტიციო გარემო საქართველოში - პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

ნაილი ბალიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საინვესტიციო გარემო, ესაა ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში. საინვესტიციო გადაწყვეტილებათა რისკი მეწარმეებს ეკისრებათ, მაგრამ სახელმწიფო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოზე, იცავს რა უფლებებს საკუთრებაზე, ახორციელებს სამართლებრივ რეგულირებას და ბიზნესის დაბეგვრას, ქმნის ფინანსური ბაზრისა და შრომის ბაზრის ფუნქციონირების პირობებს, საბაზრო ინფრასტრუქტურას

საზოგადოება დიდ ძალისხმევას იჩენს ეკონომიკის რეფორმირებასთან დაკავშირებით, ინვესტიციებზე მოთხოვნის სიმწვავე არ იკლებს მაგრამ ჩვენი წარმოების დაბალი ეფექტიანობა ამ მოთხოვნათა რეალიზების საშუალებას არ იძლევა. შემოსავლიანობის დაბალი დონე კაპიტალწარმოქმნის პროცესის სიმწირეს განაპირობებს. სახელმწიფოში დაგროვების მაჩვენებლები, რომლებსაც სახელმწიფო ინვესტიციებსა და ბიუჯეტის დეფიციტს შორის სხვაობით განსაზღვრავენ, ქვეყანაში უარყოფითია სულ მცირე 15 წლის მანძილზე. დიდი საგარეო ვალი დაგროვების შიდა წყაროების შემცირებას სერიოზული ფაქტორია. როგორიც არ უნდა აღმოჩნდეს მისი რესტრუქტურიზაციის გარშემო მოლაპარაკებათა შედეგები, მისი მომსახურების ყოველწლიური ხარჯების თანხა ძირითადად კაპიტალში მთელი ინვესტიციების ნახევარს თითქმის უთანაბრდება. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ექსპერტები ასკვნიან, რომ განვითარების არსებული ტენდენციების პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მეტად საეჭვოა. ვითარების შეცვლა მხოლოდ კერძო ინვესტიციების ბაზარზე საინვესტიციო აქტივობის მკვეთრად ამაღლებას შეუძლია, რისთვისაც აუცილებელია საინვესტიციო გარემოს რადიკალურად გაუმჯობესება. მაგრამ საინვესტიციო გარემოს ნეგატიური მხარეების გასარკვევად საჭიროა გავატაროთ მათი წინასწარი ანალიზი, გადავხედოთ ისტორიასაც. მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკაში შეიძლება საინვესტიციო საქმიანობის ჩახშობის მიზეზის გამოვლენა, მათი აღმოფხვრის შესაძლებლობა ძიების კონსტრუქციული საფუძველი გახდეს, რაც განსაზღვრავს კიდეც ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების მიმართულებებს.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი მაჩვენებლებია: მაკორეკონომიკური პარამეტრები, ფინანსური მდგომარეობა, კერძო საკუთრება, ვალები და მათი მომსახურება, საგადასახადო რეჟიმი, პოლიტიკური რისკები და ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროება და გეოპოლიტიკური მდებარეობა.

ინვესტიციური გარემო თანამედროვე პირობებში საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო ერთმნიშვნელოვნად ძნელი შესაფასებელია. როგორც წესი, უცხოელი ინვესტორები პოზიტიურად აფასებენ ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას, საერთოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და დამუშავებაში მზად არიან დააბანდონ მნიშვნელოვანი თანხები.

შრომითი რესურსების მიმართაც სიტუაცია მარტივი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული მონაცემებით, საქართველოს შრომით ბაზარზე საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალაა, მისი ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია. ეს გარემოება ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს უცხოელი ინვესტორისათვის. მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალურ პირობებში ჩამოყალიბებული შრომის ორგანიზაციის შედეგად მუშაკები შეჩვეულნი არიან მკაცრ ფორმალურ კონტროლს, ზუსტ რეგლამენტაციას, დაბალ ინიციატივას და სხვა. ამ თვისებებით კი ისინი ნაკლებად იზიდავს უცხოელ ინვესტორს. ინვესტორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხასიათს, რომელშიც აისახება ზრდისა დაგანვითარების ტემპები, ინფლაციის დონე, შიგა სახელმწიფო ვალის სიდიდე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში საქართველოს კონკურენტები ჰყავს დსთ-ს ქვეყნების სახით, რომლებსაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების საქმეში მეტი წარმატება აქვთ.

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. მაკროეკონომიკური მდგომარეობა (მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, ინფლაცია, ვალუტის გაცვლითი კურსი);
2. ექსპორტზე ორიენტაციის დონე (წარმოებული პროდუქციის წილი, რომელიც მიდის ექსპორტში);
3. სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები;

ქვეყნის საინვესტიციო სფეროში ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობები ჯერ-ჯერობით მცირეა, მაგრამ ისინი იზრდება, განსაკუთრებით უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე. ამიტომ ამ სახსრების ეფექტიანად გამოყენების საჭიროება ფართოვდება. ამ დროს, სამწუხაროდ, ინვესტიციური პროცესები ეკონომიკის ცალკეულ სფეროში ჯერ კიდევ ქაოსურად მიმდინარეობს.

დღეისათვის ეკონომისტთა უმრავლესობა ერთნაირად განმარტავს საინვესტიციო გარემოს შინაარსს, მაგრამ მისი სტრუქტურისა და შეფასების მეთოდიკის დაკონკრეტებისას მათი შეხედულებები არსებითად განსხვავებულია. შევაჯამოთ საინვესტიციო გარემოს შეფასებისადმი დამახასიათებელი მიდგომები:

სამართლებრივი უზრუნველყოფა - საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ. კერძოდ, საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი.

ამავე კანონის თანახმად, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ახორციელებს ინვესტირებას. აღსანიშნავია, რომ გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ უცხოელ ინვესტორს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლება გააჩნია, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე - სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკოტრების, დანაშაულის ჩადენის ან სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

ინვესტიციები და საზოგადოება

ყველანი ვთანხმდებით, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას სწორი საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს, რასაც თან სდევს დასაქმება, შემოსავლების ზრდა, რეგიონალური განვითარება და ა.შ., და ამას ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ბოლო წლების გამოცდილება.

თუმცა, არც თუ ისე იშვიათად არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეთა ჯგუფი წინააღმდეგობას უწევს ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტის განხორციელებას სხვადასხვა მიზეზებით: ეკოლოგიური პრობლემები, კერძო საკუთრებასთან, ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ. განსაკუთრებით მწვავდება ვითარება მაშინ, როდესაც პროტესტს მოსახლეობა გამოხატავს უკვე დაწყებული საინვესტიციო პროექტის მიმდინარეობისას - შესრულებულია სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი, დახარჯულია თანხები. ბუნებრივია ასეთი პროცესები არ უწყობს ხელს სტაბილური საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას და აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას

ინვესტიციის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ყველასთვის სასარგებლო უნდა იყოს, აუცილებელია მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაში.

ინვესტორის, მოსახლეობისა და სახელმწიფოს (ადგილობრივი თვითმმართველობის) სამმხრივი შეთანხმება ინვესტიციის განხორციელების პირობებზე - ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, საწყისი ეტაპი, რომელიც გულისხმობს მოსახლეობისათვის საინვესტიციო პროექტის გაცნობას, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების გათვალისწინებას, მოსახლეობასთან წინასწარ შეთანხმებას კომპენსაციაზე, დასაქმებაზე, ინვესტორის მიერ მოსახლეობისათვის სასარგებლო ვალდებულებების აღებაზე, მაგ. საწარმოს მშენებლობის პროცესში, ინვესტორი კისრულობს ვალდებულებას დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა, განავითაროს ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, ააშენოს სკოლა ან სპორტული კომპლექსი, გადაიხადოს მოსახლეობის საკომუნიკაციო ხარჯები გარკვეული დროის მანძილზე, შეასრულოს ნებისმიერი სხვა პირობა, რაზედაც წინასწარ შეთანხმდებიან ინვესტორი, მოსახლეობა და სახელმწიფო (ადგილობრივი თვითმმართველობა).

საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ ითვალისწინებს როგორც აკრძალვებსა და შეზღუდვებს ინვესტიციის განხორციელების სფეროში, ასევე ინვესტიციების დაცვის გარანტიებს, რაც აღნიშნული კანონის ფარგლებში გულისხმობს ინვესტიციის ხელშეუხებლობასა და კომპენსაციას ინვესტიციის ჩამორთმევისას. აღნიშნული ნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული. ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. კომპენსაცია, რომელიც ინვესტიციის ჩამორთმევისას მიეცემა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. კომპენსაცია ყოველგვარი შეფერხების გარეშე უნდა გაიცეს და უნდა მოიცავდეს იმ ზარალს, რომელიც ინვესტორმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე.

ინვესტირებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი

საქართველო ფინანსური რესურსების ნაკლებობას ეკონომიკის ბევრ სექტორში ჯერ კიდევ განიცდის. ფინანსურ ინსტიტუტებს, ბანკებს, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიებს საქართველოში საქმიანობის წარმართვისას საკმაოდ მაღალი რისკის ქვეშ უწევთ მუშაობა. შესაბამისად, მაღალია სესხის საპროცენტო განაკვეთებიც. აქედან გამომდინარე, თანხების გამონახვა ახალი პროექტების ან სულაც ჩვეულებრივი საქმიანი ოპერაციებისთვის აქ უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ქართული კომერციული ბანკების კრედიტები ხშირად მოკლევადიანია, სესხის მოცულობა - შეზღუდული, ხოლო საპროცენტო წლიური განაკვეთი ხშირ შემთხვევაში მაღალია და შეადგენს 14-20%-ს. ასეთ პირობებში, ადგილობრივი კერძო სექტორი მხოლოდ მოკლევადიან გარემოსდაცვით, მათ შორის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებს ახორციელებს. განახლებადი ენერგიების გამოყენება, ენერგოეფექტიანობის ამაღლება, საქართველოსათვის სასიცოცხლოდ ესოდენ საჭირო სოფლის მეურნეობის აღორძინება და განვითარება, ტყეების დაცვა და გაშენება შედარებით დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს და ფინანსური მოგება საშუალო ან გრძელვადიან პერიოდში მოაქვს. ცხადია, ფინანსურ რესურსებზე ხელმიუწვდომლობა და საკრედიტო პირობების ისეთი სიმძიმე, როგორიც საქართველოშია, ხელსაყრელ პირობებს არ ქმნის, რათა კერძო სექტორმა მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები განახორციელოს.

მსოფლიო ბანკის კვლევები გვიჩვენებს, რომ მთავარ ფაქტორებს, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ საინვესტიციო გარემოზე განეკუთვნებიან:

პოლიტიკური განუსაზღვრელობა (28%), მაკროეკონომიკური არასტაბილურობა (23%), გადასახადები (19%), სამართლებრივი რეგულირება (10%), კორუფცია (10%).

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ზრდის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბაზრო ინსტიტუტების გაძლიერება. კერძოდ, უფრო მეტად უნდა იყოს დაცული საკუთრების უფლება; გასათვალისწინებელია, რომ, ბიზნესმენთა აზრით, ადმინისტრაციულ და საგადასახადო დავებთან დაკავშირებით სასამართლო ხშირად მიკერძოებულ გადაწყვეტილებებს იღებს; პრობლემატურია სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა; ნიშანდობლივია ისიც, რომ, ეკონომიკური სუბიექტების მიერ საქმიანობის შეწყვეტას საქართველოში საშუალოდ 2-ჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე OECD-ის ქვეყნებში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სასამართლო სისტემის რეფორმირება საქართველოში ჩამორჩება ბიზნეს-გარემოს ლიბერალიზაციის ტემპს და ხელისუფლების მხრიდან გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს.

ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზისა და არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, სამოქმედო რეკომენდაციები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- მიზანშეწონილია შემუშავდეს მყარი საინვესტიციო კანონმდებლობა, დაცული იქნეს კანონის უზენაესობა ამ სფეროში. დღეისათვის მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ; 1996 წელს მიღებული კანონი „საინვესტიციო საქმიანობის

ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, 2002 წლის კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“; 2006 წლის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საკმარისი არ არის. ჩემი მოსაზრებით, აღნიშნული კანონები საჭიროა გადაისინჯოს და მკაცრ შესაბამისობაში მოვიდეს: ა) ინვესტიციების გარანტიებით მრავალმხრივი სააგენტოს შესახებ კონვენციის კომენტარებთან; ბ) 1985 წელს სეულში მიღებულ კონვენციასთან - ინვესტიციების გარანტიების მრავალმხრივი სააგენტოს დაარსების შესახებ.

• საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისითაც ცალკე განხილვის საგანია მზარდი ინვესტიციების სტერილიზაციის თემა. უცხოური ინვესტიციების მართვისთვის საჭიროა მთავრობამ გაატაროს მკაცრი ფისკალური და ოპტიმალური პოლიტიკა, რომელიც ლარის კურსის სტაბილიზაციისკენ იქნება მიმართული.

• ყველა ინვესტიციის შემოდინება დამოკიდებულია ინვესტორების რწმენაზე საქართველოში ეკონომიკურ მდგრადობასთან დაკავშირებით. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა საფრთხეს უქმნის ინფლაციას. არის მოსაზრება, რომ პოლიტიკური არასტაბილურობაც უარყოფით გავლენას ახდენს. ნათელია, რომ თუ ინვესტორებს ეშინიათ, ხედავენ რისკს, მაშინ ისინი ფულს არ ჩადებენ.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ფრიად პოზიტიურ გარემოს ქმნის ისეთი, მეტწილად ტერიტორიული გავრცელების არეალშეზღუდული, დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, როგორიცაა ნავთობის მრეწველობა, შავი (ძირითადად მანგანუმის მადნისა და ფეროშენადნობის წარმოება) და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის ცალკეული სახეობანი, სამთოქიმიური მრეწველობა (ძირითადად დარიშხანის წარმოება), მტკნარი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, თამბაქოს წარმოება, მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.

• მსოფლიოს ენერგეტიკული ბაზრების დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სრტატეგიული მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირებისათვის მეტად ეფექტიან და უმოკლეს გზას კასპიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე. საქართველო ესაზღვრება იმ ქვეყნებს, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს, კერძოდ, რუსეთსა და კასპიის ქვეყნებს; მეორე მხრივ, იგი ესაზღვრება თურქეთს, რომელიც ენერგორესურსების მნიშვნელოვანი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, საქართველო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ისე აღნიშნული პროდუქტის შემსყიდველი ქვეყნების მხრიდან.

• აღსანიშნავია სუფსის ტერმინალისა (საქართველოს შავი ზღვის სანაპირო) და აზერბაიჯანის „ადრეული ნავთობის“ ნავთობსადენის მშენებლობის პროცესი, რომელმაც საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა.

• მეტად პერსპექტიულად არის მიჩნეული ტრანსკავკასიური გაზის მილსადენის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენეთიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების გავლით გაზის ტრანსპორტირებას თურქეთში. აღნიშნული პროექტების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანზიტო შემოსავლებს, უზრუნველყოფს სამშენებლო სექტორის სწრაფად განვითარებას და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

• მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნული უპირატესობისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების გარკვეული მიღწევებისა და საინვესტიციო კანონმდებლობისა, რომელიც პასუხობს მსოფლიოში აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, საქართველოს საინვესტიციო გარემო უცხოელი ინვესტორებისათვის ნაკლებ მიმზიდველი რჩება

ინვესტირების შესაძლებლობები

• ბოლო წლებში საქართველოს ენერგეტიკის სექტორმა ძირეული ცვლილებები განიცადა. ელექტროენერგიის იმპორტიორი ქვეყნიდან. საქართველო ექსპორტიორად გადაიქცა. ამჟამად საქართველო საკუთარი ჰიდრო-რესურსების დაახლოებით 20% იყენებს. საკმარისზე მეტია ახალი საწარმოების შექმნის საშუალებები, რაც სულ უფრო მეტ ინვესტიციებს იზიდავს. არსებული საკანონმდებლო თუ ტექნიკური რეგულაციები ხელს უწყობს ახალი თაობის სიმძლავრეების განვითარებას და ამცირებს ახალი საწარმოების შექმნასთან დაკავშირებულ რისკებს. საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების სეზონურობისა და მისი კონკურენტუნარიანი ფასის გათვალისწინებით, სექტორი სწრაფად იზრდება, რომ დააკმაყოფილოს ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნაა (როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამრეწველო) როგორც ქვეყანაში, ისე მთელს რეგიონში.

• ჰიდრო-ელექტრო სადგურებში (ჰესი) მზარდი ინვესტიციების წყალობით, ძლიერია საქართველოს ელექტროენერგიის საექსპორტო პოტენციალი. ამასთან, მნიშვნელოვანია განახლებადი

ენერგიის წყაროების უზარმაზარი გამოუყენებელი პოტენციალი, ინვესტორზე გათვლილი ბიზნეს-გარემო და სექტორის დაბალი თვითღირებულება. ელექტროენერგიის ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა თურქეთი. ტარიფებისა და ელექტროენერგიის მოხმარების საქართველო-თურქეთის ქვეყანათაშორისი სტრუქტურის გათვალისწინებით, ძირითად ელექტროენერგიას საქართველო მოიხმარს ზამთარში, ხოლო თურქეთის მოთხოვნის და, შესაბამისად, მოხმარების მაქსიმუმი ზაფხულზე მოდის.

• ქვეყანაში არსებობს ენერგო სექტორის განვითარებისა და ზრდის პირობები, როგორიცაა ხელსაყრელი საკანონმდებლო, საგადასახადო და ინსტიტუციური მოწყობა, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების სწრაფად განვითარებადი ინფრასტრუქტურა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქვეყნისთვის და შიდა მოხმარებისთვის, ისე ექსპორტისთვის. მიმდინარეობს ახალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა, მათ შორის თურქეთის მიმართულებითაც, რაც ზრდის ტრანს-სასაზღვრო გადაცემის პოტენციალს და ზრდის ინვესტორთა ინტერესს მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მიმართ საქართველოში.

• საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ინვესტორებთან მიმართებაში საკმაოდ აქტიურია, ორიენტირებულია პრაქტიკული შესაძლებლობების პრეზენტაციისკენ და საჭირო საინვესტიციო მომსახურებისკენ. მთავრობა სიფრთხილით ეკიდება ჰიდრო-ელექტრო სადგურების მშენებლობას ეკოლოგიური შედეგების თვალსაზრისით, ატარებს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან და ხაზს უსვამს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას. კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის დიალოგი, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა ამ დიალოგში, კონსენსუსის მიღწევისა და შეთანხმებული საქმიანობის საშუალებას იძლევა.

• ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციების უდიდესი ნაწილი კერძოა. საქართველოს რეგიონულ ლოჯისტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევის კონტექსტში, ენერგეტიკული სექტორის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, საპარტნიორო ფონდი მზადაა განიხილოს სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობის სტრატეგიული ფორმები ელექტროენერგიის გამომუშავების მსხვილმასშტაბიანი ახალი სქემების განხორციელებასთან დაკავშირებით, სადაც სახელმწიფო სექტორის აქტიურმა მუშაობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს კერძო ინვესტორების დაინტერესებას. აქ ყურადღება ექცევა კერძო ინვესტორის გამოცდილებას, ფინანსური პროექტების მდგრადობას, პროექტის სპონსორებისა და დამფინანსებლების მუშაობის ხარისხს, ფონდის პროექტიდან გასვლის (ინვესტიციების უკან გატანის) საიმედო სტრატეგიის არსებობას, კერძო სექტორის წარმომადგენელთა გამოცდილებასა და ნოუ-ჰაუს

აღიარებულია, რომ საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად 10 კონკრეტული მიზეზი არსებობს:

1. პოლიტიკური და ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები;
2. მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო;
3. კონკურენტული სავაჭრო წესები;
4. ლიბერალური საგადასახადო გარემო;
5. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია;
6. მოდერნიზებული ბიზნეს ლიცენზიების სისტემა;
7. რეფორმირებულ ტექნიკური რეგულირების სისტემა;
8. სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;
9. კონკრეტული საბანკო სექტორი;
10. საქართველო უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაა.

ჩემის მხრივ, დავამატებდი მეთერთმეტეს:

საქართველო უდიდესი ინტელექტუალური სიმდიდრის ქვეყანაა.

თანხები თბილისის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაციისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან გამოიყოფა

2015 წელს, თბილისის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაციისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 752 ათას 300 ლარი გამოიყოფა. როგორც თბილისის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტშია ნათქვამი, აღნიშნული პროგრამის მიზანი ინვესტორების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების რეალიზაციაა.

აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს თბილისის მერიის მუდმივ კოორდინაციას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, დედაქალაქის მუნიციპალიტეტებთან და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებთან. ამის მიზანი კი ინვესტორებისთვის ერთი ფანჯრის პრინციპით მუდმივადგანახლებადი ინფორმაციის მიწოდებაა. პროგრამა დაინტერესებულ პირებს ქალაქისა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების, საინვესტიციო გარემოსა (რეგულაციებისა და პროცედურების ჩათვლით) და სხვა

ეკონომიკური მონაცემების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის, ასევე წარმოქმნილი ბარიერების დაძლევაშიც დაეხმარება.

პროგრამის ფარგლებში, თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსთან ერთად დაინტერესებული ინვესტორებისთვის საინვესტიციო პაკეტებიც მომზადდება. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნება ინტერაქტიული ვებ-გვერდი, რომელიც დაინტერესებულ პირს ამომწურავი ინფორმაციის ელექტრონულად მიღების საშუალებას მისცემს.

დასკვნა

საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ გადაიქცეს საერთაშორისო ტურიზმის ქვეყნად 102 კურორტით, 182 საკურორტო ადგილით, 15000 ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, მოქმედი 2 და პერსპექტიული 7 ეროვნული პარკით, 2400 მინერალური წყაროთი, რომელთა დღე-ღამური დებიტი 130 მლნ ლიტრია, სამკურნალო ტალახებით, კასტრული მღვიმეებით, კლიმატის მრავალფეროვნებით, მოსახლეობის მდიდარი გამოცდილებით ტერიტორიული მომსახურების დარგში, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მაღალი დონით, არაორდინარული სტუმართმოყვარეობითა და განთქმული ქართული სამზარეულოთი. სამწუხაროდ, ქვეყნის ეს მრავალფეროვანი პოტენციალი დღეისათვის გამოუყენებელია. საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების მიმართულებით გასაკეთებელი ჯერაც ბევრია. უპირველესად, აუცილებელია საინვესტიციო კანონმდებლობის რეფორმა. მათი გონივრული გამოყენებით, შეუძლიათ უახლოეს წლებში თვისობრივი გადატრიალება მოახდინონ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მთავარია სახელმწიფომ შექმნას შესაბამისი სტრუქტურები წარმოების ფუნქციონირების ოპტიმალური პრინციპების გათვალისწინებით. ამ სტრუქტურებმა უნდა მოიცვან არა მარტო და არა იმდენად ე.წ. „ინდუსტრიული ცენტრები“, არამედ აგრარული წარმოების ტრადიციული რეგიონები.

დღეს ხშირად და ბევრს წერენ ეკონომიკური კადრების მომზადების დონის ამაღლებაზე. ამასთან, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ინვესტირების საფუძვლების, ინვესტიციური პროექტების, საინვესტიციო მენეჯმენტის სწავლების საკითხებს, ვინაიდან ინვესტიციები ეკონომიკის ქვაკუთხედია.

საქართველოს ეკონომიკაში, უცხოური ინვესტიციების სტიმულირების თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ინვესტორთათვის გარკვეული გარანტიების უზრუნველყოფა, რომელიც თავის მხრივ, გულისხმობს მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

მოსახლეობის აქტიური ჩართულობა საინვესტიციო პროექტში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ და გაზრდის სახელმწიფოს მიმართ მოსახლეობის ნდობას, დაამკვიდრებს სამოქალაქო ინიციატივების კულტურას და გაზრდის სამოქალაქო თვითშეგნების დონეს.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://commersant.ge
2. http://www.fund.ge
3. nplg.gov.ge
4. http://newposts.ge

შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა

ნათია გნოლიძე, ქეთევან თურაზაშვილი, მეგი ხაჩიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ხალიანა ჩიტაძე,** ასოცირებული პროფესორი

სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურობა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის მიღებული შემოსავლებისა და ამ შემოსავლების მისაღებად გაწეული დანახარჯების თანაფარდობით. ხარჯებთან შედარებით, რაც მეტია მიღებული ამონაგები, მით მეტია საწარმოს მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებელი.

შემოსავალი - არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა სააგნარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებაში და რომელიც არაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

ხარჯი - ესაა საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლით ან ვალდებულებების ზრდით, რომელიც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით და რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

შემოსავლებისა და ხარჯების წარმოშობა დაკავშირებულია: საოპერაციო შემოსავლებთან და ხარჯებთან, არასაოპერაციო შემოსავლებთან, დანახარჯებთან, განსაკუთრებულ შემოსავლებთან და ხარჯებთან.

საოპერაციო შემოსავლები - ესაა პროდუქციის რეალიზებიდან მიღებული შემოსავალი. საოპერაცო ხარჯები - ესაა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, მიწოდების ხარჯები, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

არასაოპერაციო შემოსავლები - მას მიეკუთვნება პროცენტები როიალტები, დივიდენდები და სხვა არასაოპერაციო საქმიანობით მიღებული შემოსავლები. არასაოპერაციო ხარჯები - მას მიეკუთვნება სესხის პროცენტების, საიჯარო, სავალუტო კურსის ცვლილებების და ა.შ. შედეგად მიღებული ხარჯები.

განსაკუთრებული შემოსავლები - მას მიეკუთვნება აქტივების გადაფასებით მიღებული შემოსავლები. განსაკუთრებულ ხარჯებს კი – სტიქიური უბედურებით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ამკრძალავი ღონისძიებებით მიღებული ხარჯები.

იმის მიხედვით, თუ რომელ მეთოდს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის გადასახადის გადამხდელი შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად იყენებს ***საკასო ან დარიცხვის*** მეთოდს. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტიდან, ხოლო ხარჯები უნდა გამოქვითოს განაღდების შემდეგ. დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტის მიუხედავად.

შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა

პირს, რომელიც მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მიზნებიდან გამომდინარე, ვალდებულია განახორციელოს ან ნებაყოფლობით ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით, უფლება არ აქვს გადასახადის გადახდისას გამოიყენოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებული წესი.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და სხვა ჯარიმები აღირიცხება საკასო მეთოდით.

ფიზიკურ პირს უფლება აქვს, შემოსავლები და ხარჯები საკასო მეთოდით აღრიცხოს, მათ შორის მიკრო, მცირე, ფიქსირებული სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელებმა.

მცირე ბიზნესმა ხარჯები უნდა აღრიცხოს ხარჯების აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში ,,მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის ფორმისა და წარმოების წესის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

მცირე ბიზნესი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შემოსავლები აღრიცხოს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებით.

მისი ძირითადი მუხლებია:

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დოკუმენტურად სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები.

დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე, ამ თავით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და გაწევა.

2. თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადასახადის გადამხდელი შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად იყენებს საკასო ან დარიცხვის მეთოდს, იმის მიხედვით, თუ რომელ მეთოდს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის.

3. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, რათა გარანტირებული იყოს კონტროლი მათ დაწყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე.

4. სამეწარმეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების შემთხვევაში (გარდა სპეციალური დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სასაქონლო ზედნადები უნდა გამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით, რის გარეშეც აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება. ამასთანავე, საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადების გამოწერის შემთხვევაში აკრძალულია ზედნადების გარეშე საქონლის შენახვა.

5. დასაბეგრი შემოსავალი (მოგება) უნდა განისაზღვროს იმავე მეთოდით, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის. ამასთანავე, შემოსავლის (მოგების) კორექტირება ხდება მხოლოდ ამ კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. თუ ამავე კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების მიხედვით გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები და კოდექსით დადგენილი ზღვრული ნორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან, დასაბეგრი ობიექტის განსაზღვრისათვის მან უნდა გამოიყენოს ამ კოდექსით დადგენილი ნორმები.

6. ამ მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, გადასახადის გადამხდელმა აღრიცხვა უნდა აწარმოოს საგადასახადო მიზნებისათვის აღრიცხვის საკასო ან დარიცხვის მეთოდით, იმ პირობით, რომ იგი საგადასახადო წლის განმავლობაში ერთ მეთოდს გამოიყენებს

7. ფიზიკურ პირს უფლება აქვს, შემოსავლები და ხარჯები საკასო მეთოდით აღრიცხოს

8. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი.

9. გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვის მეთოდის ნებისმიერი ასპექტის შეცვლისას დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) კორექტირება უნდა მოხდეს ასეთი შეცვლის წელს, იმის გათვალისწინებით, რომ დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) განსაზღვრასთან დაკავშირებული არც ერთი ელემენტი არ იქნება გამოტოვებული ან ორჯერ ჩართული.

10. თუ გადასახადის გადამხდელი არაფულადი ფორმით იღებს შემოსავლებს ან სწევს ხარჯებს, ასეთი შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი განისაზღვრება იმ წესით, რა წესითაც განისაზღვრება ფულადი ფორმით შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი.

11. ზოგიერთი სახის საქმიანობის განმახორციელებელ გადასახადის გადამხდელს, თუ ასეთი საქმიანობისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია დაბეგვრის განსხვავებული პირობები, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა შეიძლება დაუდგინოს ზოგიერთი სახის საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება. ამასთანავე, ზოგიერთი სახის საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები დადასტურებული უნდა იქნეს სააღრიცხვო დოკუმენტაციით.

12. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია შემოსავლები და ხარჯები აღრიცხოს ელექტრონული ფორმით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

საგადასახადო კანონმდებლობა გადასახადის გადამხდელს აკისრებს ვალდებულებას დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე, დროულად და სწორად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები კანონით დადგენილი მეთოდების გამოყენებით და მოახდინოს მათი მიკუთვნება იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელშიც მოხდა მათი მიღება და გაწევა. ასევე გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. ეს აუცილებელია იმისთვის, რათა გარანტირებული იყოს კონტროლი ამ ოპერაციათა დაწყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე. გადასახადის გადამხდელი შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად იყენებს საკასო ან დარიცხვის მეთოდს.

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მეთოდს იყენებს ის ბუღალტრული აღრიცხვისათვის. ბუღალტრული აღრიცხვისთვის გამოყენებული მეთოდით უნდა განისაზღვროს დასაბეგრი შემოსავალიც ანუ მოგებაც. გადასახადის გადამხდელი აღრიცხვას აწარმოებს საკასო ან დარიცხვის მეთოდით, იმ პირობით, რომ იგი საგადასახადო წლის განმავლობაში ერთ მეთოდს გამოიყენებს. ფიზიკურ პირს შეუძლია შემოსავლები და ხარჯები საკასო მეთოდით აღრიცხოს. ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ დარიცხვის მეთოდი. პირგასამტეხლო და სხვა ჯარიმები აღირიცხება საკასო მეთოდით. მუხლი 137. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა საკასო მეთოდით აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა: ა) შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტიდან; ბ) ხარჯები უნდა გამოქვითოს განაღდების შემდეგ (აღნიშნული არ ეხება ამ კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებულ ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს.) საწარმოს ფინანსური მდგომარეობა უტყუარად მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ყველა რეალური შემოსავალი და ხარჯია ასახული. ცხადია,

აღნიშნული განმარტება ეჭვს არ უნდა იწვევდეს და ფინანსური ანგარიშგება სწორედ ასე უნდა იყოს მომზადებული. საწარმოს გამართული საქმიანობისთვის აუცილებელია სწორი აღრიცხვა, რომელიც ფინანსური ინფორმაციის სისტემატურ რეგისტრაციასა და ინფორმაციის მომხმარებლამდე დაყვანას ემსახურება. არსებობს აღრიცხვის საკასო და დარიცხვის მეთოდები. ერთ-ერთი საკასო მეთოდი, რომლის გამოყენების დროსაც შემოსავალი ფულის მიღებისას, ხოლო ხარჯი გადახდისას აღიარდება, იყო და ზოგ შემთხვევაში კვლავაც რჩება ფინანსური ინფორმაციის ასახვის სრულიად მისაღებ მეთოდად. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას, აუცილებელი პირობაა, რომ გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების, ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტიდან. ხარჯები კი უნდა გამოქვითოს განაღდების შემდგომ. ეს არ ეხება ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს.

მუხლი 138. საკასო მეთოდით შემოსავლების მიღების მომენტი

1. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება: ა) ნაღდი ფულის ანგარიშსწორებისას - ნაღდი ფულის მიღების მომენტი; ბ) უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - ფულადი სახსრების ჩარიცხვა ბანკში გადასახადის გადამხდელის მიმდინარე ანგარიშზე ან სხვა ანგარიშზე, რომლის განკარგვის ან რომლიდანაც ამ სახსრების მიღების უფლება აქვს.

2. გადასახადის გადამხდელის ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი. როგორც უკვე აღნიშნული იყო, აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას, გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების მომენტიდან. რაც შეეხება თვითონ შემოსავლების მიღების მომენტს, იგი განსხვავებულია საკასო და დარიცხვის მეთოდების გამოყენებისას. საკასო მეთოდით აღრიცხვისას, შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება: ნაღდი ფულით ანგარიშსწორების დროს - ნაღდი ფული მიღების მომენტი; ხოლო, უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - ფულადი სახსრების ჩარიცხვა ბანკში გადასახადის გადამხდელის მიმდინარე ანგარიშზე ან სხვა ანგარიშზე, რომლის განკარგვის ან რომლიდანაც ამ სახსრების მიღების უფლება აქვს. გადასახადის გადამხდელის ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

მუხლი 139. საკასო მეთოდით ხარჯების გაწევის მომენტი

1. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტი, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება: ა) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას - ნაღდი ფულის გადახდის მომენტი; ბ) უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - ბანკის მიერ გადამხდელის საბანკო ან სხვა ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის მომენტი.

3. გადასახადის გადამხდელის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, ხარჯების გაწევის მომენტიდან ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

4. სავალო ვალდებულების ან ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული გადასახდელის მიმართ, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, ფაქტობრივად გადახდილი პროცენტის (იჯარის) თანხა, რომელიც გამოიქვითება საგადასახადო წლის განმავლობაში, არის პროცენტის (იჯარის) ის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით.

აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა ხარჯები უნდა გამოქვითოს განაღდების შემდეგ. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტი. ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას - ნაღდი ფულის გადახდის მომენტი; ხოლო უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ან სხვა ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის მომენტი. თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, კერძოდ, 1) გადასახადის გადამხდელის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, ურთიერთჩათვლის დროს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი და 2) სავალო ვალდებულების ან ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული გადასახდელის მიმართ, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, ფაქტობრივად გადახდილი პროცენტის (იჯარის) თანხა, რომელიც გამოიქვითება საგადასახადო წლის განმავლობაში, არის

პროცენტის (იჯარის) ის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით.

მუხლი 140 შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას, გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად, შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტის მიუხედავად, გარდა ამ კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. დღეისათვის აღრიცხვის მეთოდებიდან უპირატესობა დარიცხვის მეთოდს ენიჭება და იგი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადების ერთ-ერთ საწყის წინაპირობად და უმნიშვნელოვანეს დაშვებად ითვლება. დარიცხვის მეთოდი შემოსავლის აღიარებს ძირითადი პროცესის დამთავრებისთანავე ახდენს. როგორც წესი, ეს საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდებისას ხდება, როდესაც სათანადო დოკუმენტით გამყიდველი (მიმწოდებელი) საკუთრების (განკარგვის) უფლებასა და მასთან დაკავშირებულ რისკებს მყიდველს (მიმღებს) გადასცემს. ანალოგიურად რეგისტრირდება ყველა ხარჯი, შესაბამის მომენტში, როგორც წესი, საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) გამოყენებისას. სწორედ დარიცხვის მეთოდის გამოყენება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვის მეთოდით ასახვა, აუცილებელს ხდის ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე დაზუსტდეს მისი ელემენტები. ეს კი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კორექტირებადი გატარებით ხდება. დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტის მიუხედავად. თუმცა ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როცა გადახდა უკავშირდება ფიზიკურ პირს, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა; ბ) მიღებული მომსახურებისთვის საკომპენსაციო თანხის გადახდა უკავშირდება არარეზიდენტ საწარმოს, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში.

მუხლი 141. დარიცხვის მეთოდით შემოსავლების მიღების მომენტი 1. გადასახადის გადამხდელის შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ: ა) შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას; ბ) გადასახადის გადამხდელმა შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. 2. თუ გადასახადის გადამხდელი სწევს მომსახურებას, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული უფლება მის მიერ გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დამთავრების მომენტში მოპოვებულად ითვლება. 3. თუ გადასახადის გადამხდელი იღებს ან მას უფლება აქვს, მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით ან ქონების იჯარით გადაცემით, შემოსავალი სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტში მიღებულად ითვლება. ამასთანავე, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, შემოსავალი საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით. 4. ბანკები სესხებზე დარიცხულ პროცენტებსა და ჯარიმებს შემოსავლად აღიარებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით. დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების მომენტიდან. გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების მიღების უფლება კი მოპოვებულად ითვლება, თუ შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას ან გადასახადის გადამხდელმა შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის გადამხდელი იღებს ან მას უფლება აქვს, მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით ან ქონების იჯარით გადაცემით, შემოსავალი სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტში მიღებულად ითვლება. ამასთანავე, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, შემოსავალი საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით. სესხებზე დარიცხულ პროცენტებსა და ჯარიმებს კი ბანკები შემოსავლად აღიარებენ საქართველოს ბანკის მიერ დადგენილი წესით.

შემოსავლების ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით გამოიყენება ანგარიშთა შემდეგი ჯგუფები:

6100 - საოპერაციო შემოსავლები.

8100 - არასაოპერაციო შემოსავლები.

9110 - განსაკუთრებული შემოსავლები.

საბუღალტრო აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, ხარჯები შეიძლება აღირიცხოს ორი მეთოდით:

1) ხარჯების აღრიცხვა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

2) ხარჯების აღრიცხვა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლებისა და ამ შემოსავლების მისაღებად გაწეული ხარჯების შეპირისპირებით ვლინდება საწარმოს ფინანსური შედეგი, მოგება ან ზარალი. ამისათვის კი აუცილებელია შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშების დახურვა და გამოყვანილი ნაშთების გადატანა 5330 – „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი“ ანგარიშზე. ამ ანგარიშზე საკრედიტო ნაშთი გვიჩვენებს მოგებას, სადებეტო კი - ზარალს. მთლიანი მოგება ან ზარალი ესაა სხვაობა საწარმოს მთლიან შემოსავლებსა და საწარმოს მთლიან ხარჯებს შორის.

ლიტერატურა:

1. ი. მესხია, დ. ჯალაღონია, „ბუღალტრული აღრიცხვა“, თბ., 2006.
2. http://www.forms.ge/
3. http://www.bbi.ge/

ჩინეთის ეკონომიკის პოზიტივები და ნეგატივები

ნინო ზექალაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** პროფესორი

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ჩინეთში 30 წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო 10%-იანი ზრდის წყალობით, 500 მილიონზე მეტი მოქალაქე უკიდურესი სიღატაკისგან გათავისუფლდა. აზიური გიგანტის სასარგებლოდ მეტყველებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი რაოდენობით შედინება (2013 წელს ჩინეთი ამ მაჩვენებლით მხოლოდ შეერთებულ შტატებს ჩამორჩებოდა) და 2 ტრილიონი დოლარის ღირებულების წლიური ექსპორტიც. თუმცა, ამავდროულად, ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 6,091 აშშ დოლარია, რაც მას მსოფლიოში 90-ე ადგილზე აყენებს. 2013 წელს, ჩინეთის მაჩვენებელი შეერთებული შტატებისას 8-ჯერ ჩამოუვარდებოდა.

ჩინეთის ყოველდღიურად მზარდი ეკონომიკა, მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდა მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სავაჭრო ურთიერთობებში, დიდ ინტერესს იწვევს აღნიშნული სახელმწიფოს მიმართ. ყველასთვის ნათელია, რომ ჩინეთს აქვს ძალიან მზარდი პოტენციალი და შეუძლია ახლო მომავალში უდიდესი როლი შეასრულოს მსოფლიო ეკონომიკაში, რისი ნიშნებიც ამჟამად, აშკარად, იკვეთება. ამ ყველაფერს ადასტურებს ის ფაქტებიც, რომ ჩინეთი არის ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორი ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე და ევროკავშირის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო პარტნიორი. ცნობილია, რომ 2009 წელს, როცა სახელმწიფოთა უმრავლესობა კრიზისის დაძლევას ცდილობდა, ჩინეთის ეკონომიკამ თითქმის 9%-იანი ზრდა აჩვენა. გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით, ჩინეთის მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2010 2014 წლის მეორე კვარტალში 1. 337 ტრილიონი დოლარი შეადგინა, იაპონიის 1.228 ტრილიონთან შედარებით. თითქმის ოთხ ათწლეულზე მეტი იაპონია სამეწარმეო და ფინანსური ზესახელმწიფოს სტატუსს მტკიცედ ინარჩუნებდა. თუმცა დღეს ტოკიო ფარ-ხმალს ყრის და ეკონომიკური ზესახელმწიფოს სტატუსს ჩინეთს გადასცემს. ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ჩინეთი მესამე ადგილს დიდხანს არ დასჯერდებოდა, მაგრამ მოვლენების ასეთმა სწრაფმა განვითარებამ ტოკიოც კი გააოცა. ისინი ამბობენ, რომ ჩინეთმა დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს გლობალური რეცესიიდან გამოყვანის საქმეში. კვლევების მიხედვით უკვე წელს ჩინეთი ავტომობილების ყველაზე დიდ ბაზრად იქცა და ამავე კვლევის თანახმად, ენერგიის ყველაზე დიდი მომხმარებელია.

უდიდესია ჩინეთის დაინტერესება ,,შავი კონტინენტით“. ჩინეთსა და აფრიკას ურთიერთობის დიდი ხნის ისტორია გააჩნიათ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება 2000 წლიდან, როდესაც შეიქმნა "ჩინეთ-აფრიკის თანამშრომლობის ფორუმი". აქედან მოყოლებული, ჩინეთსა და აფრიკას შორის მჭიდრო კავშირების დამყარებისა და ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, მუდმივად იმართება ჩინეთისა და აფრიკის ქვეყნების უმაღლესი რანგის წარმომადგენელთა შეხვედრები. პირველივე ფორუმზე (2000 წ.) მიღებულ იქნა ორი უმნიშვნელოვანესი

დოკუმენტი: "პეკინის დეკლარაცია" და "ჩინეთ-აფრიკის თანამშრომლობის პროგრამა სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის". ჩინეთი აფრიკის სახელმწიფოებს ყოველთვის უწევდა და უწევს სხვადახვა სახის დახმარებას, იქნება ეს ფინანსური, ტექნიკური თუ სხვა.

დღესდღეობით, ჩინეთი კვლავ აგრძელებს თავის დასახულ სტრატეგიას აფრიკის კონტინენტზე სხვადასხვა ქვეყანაში, ცდილობს გააძლიეროს თავის ეკონომიკური გავლენა რეგიონის მასშტაბით და მოიპოვოს მოკავშირეთა მაქსიმალური რაოდენობა აფრიკის კონტინენტზე. ეს ყველაფერი ჩინეთს სჭირდება თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის. ჩინეთი სულ უფრო და უფრო ზრდის სავაჭრო კავშირებს "შავ კონტინენტზე". ჩინეთის სავაჭრო ბრუნვა აფრიკის ქვეყნებში ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი დოლარით იზრდება. ჩინეთის დაინტერესება აფრიკული ბუნებრივი რესურსებით. როგორც მოგეხსენებათ, აფრიკას გააჩნია ბუნებრივი რესურსების უდიდესი მარაგი. აფრიკა არის უმდიდრესი რეგიონი სასარგებლო წიაღისეულით. ქვანახშირი, რკინა, სპილენძი, ბოქსიტები, ოქრო, ალმასი და სხვა რესურსები აფრიკის მთავარი სიმდიდრეა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკა მდიდარია ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსებითაც. კერძოდ: ნიგერია, ლიბია, ეგვიპტე და ალჟირი ნავთობის მოპოვების მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნების ოცეულში შედიან. მართალია ჩინეთი ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა, თუმცა მხოლოდ საკუთარი რესურსებით მოთხოვნილებებს ვერ იკმაყოფილებს, ამიტომ ესაჭიროება მას რესურსებით მდიდარი აფრიკის კონტინენტი. ჩინეთისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აფრიკას, როგორც ერთ-ერთ უდიდეს გასაღების ბაზარს. აფრიკა თავისი მილიარდიანი მოსახლეობით უდიდესი პოტენციური ბაზარია, ამიტომაც დიდია დაინტერესება არა მარტო ჩინეთის, არამედ სხვა ქვეყნებისგანაც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკა უღარიბესი კონტინენტია, შესაბამისად, ევროპულ და ამერიკულ ძვირადღირებულ პროდუქციას ვერ ითვისებს. სამაგიეროდ, აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში უკვე სრული დატვირთვით ფუნქციონირებს ჩინური ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც თავისუფლად ასაღებენ წარმოებულ ჩინურ იაფ პროდუქციას.

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეკონომიკის სწრაფ აღმავლობას აუცილებლად მოჰყვება ზრდის შეჩერება. მაგალითად გამოდგება ინდუსტრიული რევოლუციის პირველი ტალღა დიდ ბრიტანეთში, აშშ-სა და გერმანიაში. აშშ-ში 1870-იანი წლების რეკორდული 15%-იანი ზრდა, 2000 წლიდან მოყოლებული, საშუალო 1-3%-მა მაჩვენებელმა ჩაანაცვლა. მე-19 საუკუნის მიწურულიდან დაიწყო დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის ზრდის შეჩერებაც. თუკი 1870 წლისთვის დიდი ბრიტანეთი ავსტრალიის შემდეგ მეორე ადგილს იკავებდა, 1914 წლისთვის მეოთხეზე იყო, ხოლო დღეს პირველი ათეულის მიღმაა. ასევე განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიკური სასწაულები იაპონიაში, კორეაში, ტაივანსა და დასავლეთ გერმანიაში. 1970-იან წლებში 8%-იანი ზრდის მაჩვენებელი იაპონიაში დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და 1990 წლიდან ამომავალი მზის ქვეყნის ეკონომიკა ნულოვან ზრდას განიცდის. სწორედ ამიტომ, ექსპერტები ჩინური ეკონომიკური სასწაულის მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილი, ისინი ამბობენ, რომ დროთა განმავლობაში, იაფი მუშახელი იკლებს, ხოლო ყოველი ახალი კაპიტალდაბანდება იმავე სექტორში უფრო და უფრო ნაკლებ მომგებიანია. ამდენად, საჭირო ხდება სოფლის მეურნეობისა და წარმოების ტრადიციული ფორმების სერვისითა და ტექნოლოგიებით ჩანაცვლება. ამ დრომდე, ჩინური კომპანიების წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებდა სიღატაკეში მცხოვრები სოფლის მოსახლეობის ინდუსტრიულ ზონებში მიგრაცია და იაფი მუშახელი. „ჰუკუს" რეგისტრაციის სისტემის მიერ დაწესებული მკაცრი შეზღუდვების მიუხედავად, ჩინეთის 250 მილიონზე მეტი მოქალაქე უკვე შიდა მიგრანტია, ხოლო შრომით ბანაკებში 200 000-მდე მოქალაქეა დაკავებული. მიუხედავად ამისა, არც მოსახლეობის რესურსია ამოუწურავი. ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩინეთის სამუშაო ასაკის მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, რამაც ურბანიზაციასთან ერთად ეკონომიკის აღმავლობა გამოიწვია. თუმცა, ერთი შვილის პოლიტიკის შედეგად, 2030 წლამდე ჩინეთის მუშახელი დაბერებას დაიწყებს. ამ ფონზე, პოლიტიკის შერბილებამ, როდესაც მოხდა მეორე შვილის გაჩენის ნებადართულობა, კიდევ უფრო მძიმე შედეგები შეიძლება გამოიწვიოს, რადგან მომუშავე მშობლებს ბავშვების სახით დამატებითი ეკონომიკური ტვირთი გაუჩნდებათ.

ჩინეთისგან განსხვავებით, შეერთებული შტატების დემოგრაფიული მაჩვენებელი იმედისმომცემია. ურბანიზაციის 82%-იანი დონით და ღია საიმიგრაციო პოლიტიკის წყალობით, აშშ ინარჩუნებს მოსახლეობის წლიურ 1-2%-იან ზრდას. სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, 2050 წლისთვის შტატების მოსახლეობა 40%-ით გაიზრდება და 440 მილიონი გახდება.

გარდა ამისა, ჩინური „იაფი მუშახელი" სულ უფრო და უფრო ძვირდება და ნაკლებ კონკურენტული ხდება. 2000 წლიდან მოყოლებული, ჩინეთში საშუალო ანაზღაურება ოთხჯერ გაიზარდა. მსგავსი დინამიკა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებას გამოიწვევს. სწორედ ამიტომ, პეკინი ცდილობს, შიდა მოხმარების ბაზარი გააფართოოს, ტექნოლოგიური ლიდერი გახდეს და მსოფლიოს წამყვან კომპანიებში წილები დააგროვოს.

აღსანიშნავია, რომ იაფი მუშახელის პრობლემა მწვავედ არ დადგება უახლოეს ათწლეულში. 1.3-მილიარდიანი მოსახლეობის 10% ჯერ კიდევ სიღარიბის ზღვარს მიღმა (დღიური 1,8 აშშ დოლარი) ცხოვრობს. ეს მაჩვენებელი ჩინეთს, ინდოეთის შემდეგ, ღარიბთა რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილზე აყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ უკვე სძლია საფრანგეთს, ბრიტანეთსა და გერმანიას, ექსპერტების ვარაუდით, ამერიკის ეკონომიკასთან გათანაბრებამდე ჩინეთს წინ ჯერ კიდევ 20 წელი აქვს.

თუმცა იმისი არ აღიარება, რომ ჩინურმა კომპანიებმა ბევრი რამ გააკეთეს საკუთარი თავის სრულყოფისათვის, არ შეიძლება, ამის მაგალითად ტელეკომუნიკაციების სფეროში ჩინური ტრანსნაციონალური კომპანია „Huawei Technologies“ კმარა. მისი სათაო ოფისი ქალაქ შენჟენში მდებარეობს. მას შემდეგ, რაც შვედურ ერიქსონს გაუსწრო, „ჰუავეი“ სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში. კომპანია 1988 წელს ყოფილმა სამხედრო ოფიცერმა რენ ჟენგფეიმ დააარსა და გააფორმა კერძო კომპანიად, რომელსაც მასში დასაქმებულები ფლობდნენ. ჰუავეის მთავარი საქმიანობაა სატელეკომუნიკაციო ქსელების გამართვა, ოპერაციული და საკონსულტაციო მომსახურებისა და აღჭურვილობის წარმოება როგორც ჩინეთის, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ საწარმოებში; ასევე საკომუნიკაციო მექანიზმების წარმოება სამომხმარებლო ბაზრისთვის. კომპანიაში დასაქმებულია 140 000 ადამიანი, რომელთა 46% ჩართულია კვლევისა და გაუმჯობესების (R&D) პროცესში. იგი ფლობს 20 R&D დაწესებულებას ჩინეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, შვედეთში, ინდოეთში, რუსეთსა და თურქეთში. 2011 წელს ამ სფეროში მან $3,74 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩადო. 2010 წელს „ჰუავეიმ“ 23,8 მლრდ ჩინური იუანის (3,7 აშშ დოლარი) მოგება ნახა. მის პროდუქციასა და მომსახურებას იყენებენ მსოფლიოს 140–ზე მეტ ქვეყანაში. მსოფლიოს 50 უმსხვილესი სატელეკომუნიცაციო ოპერატორიდან 45–ს ამჟამად „ჰუავეი“ ემსახურება.

ამერიკის მაღაზიებსა და პოპ-კულტურაში ჩინური ბრენდების და პროდუქციის რაოდენობა იზრდება, თუმცა მათ ამერიკულ ბაზარზე აღიარების მოპოვება უჭირთ, რადგან ამერიკელი მომხმარებლებისთვის მათი იდენტიფიცირება რთულია.

ჩინური კომპანიების ხელმძღვანელები თეთრკანიან მამაკაცებს წარმატების მისაღწევად ქირაობენ. სხვადასხვა წარმატებული ბიზნეს კომპანია ევროპული გარეგნობის მამაკაცს ქირაობს, რათა კომპანიაში საერთაშორისო სტილი შემოიტანოს. ეს ძალიან წარმატებული ბიზნეს-ტაქტიკაა. იმისთვის, რომ კომპანიაში აგიყვანონ, საჭიროა თეთრი კანი, ენების ცოდნა და მოხდენილი გარეგნული იმიჯი. საქმის ცოდნა აუცილებელი არ არის. ის მამაკაცები, რომლებიც ამ ტიპის სამსახურს თანხმდებიან, საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფი მოდელის, ან მსახიობის ამპლუას ირგებენ.

ლიტერატურა:

1. გუროვა ი. პ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2014.
2. ვეშაპიძე შ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008.
3. ვეშაპიძე შ., გლობალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი გამოწვევები და მათი გადაწყვეტის გზები, თბ., 2009.
4. ოქროცვარიძე ა., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2010.

კომპანია „Procter&Gamble“-ის ბიზნეს სტრატეგიები

გიორგი თამლიანი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** პროფესორი

Wal-Mart-ის სამხრეთ ვირჯინიის სუპერმარკეტში, Carefour-ის ფრანგულ მაღაზიაში, ეგვიპტის კუთხის ჯიხურსა თუ ფილიპინებზე არსებულ ინდურ Sari-Sari -ის მაღაზიაში ყოველდღე უამრავი ,,გამოცდა“ ტარდება. გამოსაცდელებს სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოებული ბრენდები წარმოადგენს, ერთი კაცისგან შემდგარ ჟიურის კი მომხმარებელი. ეს უკანასკნელი სულ რამდენიმე წამის

განმავლობაში, მაგრამ, როგორც წესი, რაციონალურად ადარებს ერთმანეთს დახლზე განთავსებულ კონკურენტ ბრენდებს და აკეთებს არჩევანს.

ყოველდღიურად, დაახლოებით 30 მილიონ ასეთ გამოცდას წარმატებით გადის Procter&Gamble-ის (პროქტერ-ენდ-გემბლ) პროდუქცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თუმცა, ეს ყველაფერი ნამდვილი გამოცდის მხოლოდ დასაწყისია. ჭეშმარიტ გამოცდას ის მაშინ აბარებს, როცა დიასახლისები რეცხავენ ტანსაცმელს ,,ტაიდით", ბავშვები ინარჩუნებენ სიმშრალეს ,,პამპერსით", ქალები კომპლიმენტს იღებენ თმების მიმზიდველობასა და სირბილეზე ,,პანტენის" წყალობით, ან კიდევ, როცა ,,კრესტის" დახმარებით ადამიანები ამჩნევენ სარკეში, რომ მათი ღიმილი უფრო ,,თბილი და ლამაზია", ვიდრე ადრე. სწორედ ამ დროს, ბრძენი და ყოველთვის მართალი მომხმარებელი კომპანიისთვის მეტად მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს: გაამართლა თუ არა პროდუქტმა ნდობა. ხშირ შემთხვევაში, ეს დასკვნა მომავალში დახლთან გაკეთებული მორიგი არჩევანის საფუძველი ხდება, გრძელვადიან პერიოდში კი - კომპანიის განვითარების აუცილებელი პირობა.

მკითხველისთვის კარგად ნაცნობი კომპანია Procter&Gamble-ი 1837 წელს დაარსდა ამერიკაში, ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატში. თავიდან ის საპნისა და სანთლის მწარმოებელი პატარა ფირმაა, რომელიც ოჯახის ბიზნესის დონეზე იმართება. მისი დაარსებიდან გავიდა მრავალი წელი. კომპანია განუწყვეტლივ იზრდება, ვითარდება და სულ უფრო მეტ მომხმარებელს უკმაყოფილებს საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს. დღეისთვის, დაარსებიდან 165 წლის შემდეგ იგი 250 პროდუქტითაა წარმოდგენილი 160-ზე მეტი ქვეყნის ბაზარზე. ყოველ დღე Procter&Gamble -ის 106 ათასი თანამშრომელი სამსახურში მიემართება და თავისი საქმიანობით დედამიწის მოსახლეობის ცხოვრებას აუმჯობესებს.

კომპანიის წარმატებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. მსოფლიოს მასშტაბით Procret&Gamble-ის წარმატებულ საქმიანობას ზოგიერთი ექსპერტი მომხმარებელზე ორიენტაციას ,,აბრალებს", ზოგი მოხერხებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას, ზოგიც საოპერაციო ეფექტიანობასა და ფინანსურ დისციპლინას. ეს ფაქტორები მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ Procter&Gamble-ის წარმატებაში, მაგრამ მთავარი ,,დამნაშავე" მაინც მისი სამარკო სტრატეგიაა, რაც სავაჭრო მარკების მრავალფეროვნებასა (მათი რაოდენობა 250-მდეა) და მათი განვითარების მუდმივ ზრუნვაში გამოიხატება, ხოლო დანარჩენი ფაქტორები მორგებულია ზემოთ აღნიშნულ სტრატეგიაზე და იცვლება მის შესაბამისად. მარკების ასეთ დიდ რაოდენობას, შესაბამისი ,,სამარკო კაპიტალი" მოაქვს. სამარკო კაპიტალი ის დამატებითი შემოსავალია, რომელსაც კომპანია პროდუქციის სამარკო სახელებით გაყიდვის გამო იღებს და ვერ მიიღებდა, ეს პროდუქტები რომ სამარკო სახელის გარეშე გაეყიდა, რადგან მარკირებული საქონელი უფრო მეტი ღირს, ვიდრე ჩვეულებრივი. Procter&Gamble-ი თითოეული სახეობის ახალ პროდუქტს (მაგალითად, სარეცხი ფხვნილი) საკუთარ სამარკო დასახელებას ანიჭებს („ტაიდი", „არიელი") და ცდილობს მაქსიმალურად განავითაროს იგი. მაღალი ხარისხობრივი მახასიათებლების, კარგი შეფუთვისა და სარეკლამო კამპანიის შედეგად მარკირებული პროდუქტი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება დროთა განმავლობაში მარკა იქმნის თავის რეპუტაციას კლიენტთან. სამარკო დასახელება უკვე გარკვეულ ხარისხთან, თვისებებთან და სხვა მახასიათებლებთან ასოცირდება. კლიენტი მაღაზიაში შესვლისას აღარ ეძებს სხვა პროდუქტებს და პირდაპირ მისთვის ცნობილი მარკის საქონელს ითხოვს. ყოველივე ამის შედეგად იზრდება სამარკო კაპიტალი. სამარკო დასახელების მნიშვნელობაზე კარგად მეტყველებს კომპანია Grand Met-ის მიერ კომპანიაHHeublein-ის შეძენის ფაქტი. GGrand Met-მა 1,2 მილიარდი აშშ დოლარი, ანუ საბალანსო ღირებულებაზე რამდენჯერმე მეტი გადაიხადა იმისთვის, რომ სავაჭრო მარკა - Smirnoff-ის გამოყენების უფლება მოეპოვებინა.

შორეულ წარსულში, როცა წარმოებაზე ორიენტირებულო მარკეტინგი დომინირებდა, სავაჭრო მარკები არ არსებობდა. მომწოდებელი და დისტრიბუტორები საქონელს კონტეინერებით, კასრებით და ყუთებით ყიდდნენ, მწარმოებლისა და მომწოდებლის ყოველგვარი იდენტიფიკაციის გარეშე. მომხმარებელი უმეტესად მიმწოდებლის კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული. ეს უკანასკნელი კი, არცთუ იშვიათად, ფალსიფიცირებულ პროდუქტებს ასაღებდნენ. მწარმოებლებმა, ფალსიფიკატორებისგან თავდაცვის მიზნით, საქონელზე გარკვეული საიდენტიფიკაციო ნიშნების განთავსება დაიწყეს და ასე გაჩნდა პირველი მარკები. ამჟამად, მარკის გარეშე თითქმის არც ერთი პროდუქტი არ იყიდება. მარილის მწარმოებლები მას ორიგინალურ ყუთებში ფუთავენ, ფორთოხლებსა და ბანანებს მწარმოებლის საიდენტიფიკაციო მარკას აკრავენ, ჩვეულებრივი ქანცები და ჭინჭიკები ჩაწყობილია სპეციალურ ცელოფანში დისტრიბუტორის ეტიკეტით და ა. შ.

ალბათ, საინტერესოა, რა გადაწყვეტილებების წინაშე დგას კომპანიის მენეჯმენტი მარკირებული პროდუქტის გამოშვებისას. პირველი გადაწყვეტილება ეხება იმას, თუ ვისი მარკით იწარმოება საქონელი. ამ მიმართულებით არსებობს ბაზარზე მარკირებული პროდუქციის გამოტანის სამი ალტერნატივა:

პირველ შემთხვევაში, მწარმოებელი კომპანია სრულად იღებს საკუთარ თავზე სავაჭრო მარკის შექმნა-განვითარებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და პროდუქციას საკუთარი მარკით უშვებს. ამ დროს დანახარჯები და შესაბამისად რისკიც მაღალია. თუ ექსპერტებს ვენდობით, სამომხმარებლო საქონლის ახალი სავაჭრო მარკით გამოშვება აშშ-ის ბაზარზე დაახლოებით 50-70 მილიონი დოლარი ჯდება. მიუხედავად ამისა, კომპანიების უმრავლესობა პროდუქციის გამოშვებას სწორედ საკუთარი მარკით ახორციელებს, რადგან სავაჭრო მარკის წარმატების შემთხვევაში მიღებული სარგებელი მეტად მნიშვნელოვანია. Procter&Gamble-ს შემთხვევაშიც საქმე გვაქვს მარკირებული საქონლის გამოშვების ასეთ ალტერნატივასთან. ეს კომპანია მრავალრიცხოვანი მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებას მხოლოდ საკუთარი მარკებით ახორციელებს.

მეორე ალტერნატივა გულისხმობს კომპანიის მიერ პროდუქციის გამოშვებას დისტრიბუტორის (მაგალითად, საცალო გაყიდვების მაღაზიათა ქსელის) მარკით. ამ შემთხვევაში, მწარმოებელი თავიდან იცილებს მნიშვნელოვან დანახარჯებს, თუმცა იძულებულია გაცილებით დაბალ ფასად მიაწოდოს არამარკირებული პროდუქცია დისტრიბუტორს, ვიდრე საკუთარი მარკის დადების შემთხვევაში გაყიდდა. დისტრიბუტორის მარკის დადების შესაძლებლობით ფართოდ სარგებლობენ განვითარებადი ქვეყნების მწარმოებლები. ისინი ქვეყანაში არსებული იაფი რესურსებით ახერხებენ ხარისხიანი პროდუქციის მინიმალური დანახარჯებით წარმოებას, თუმცა, საერთაშორისო ბაზრებზე საკუთარი მარკით გასასვლელად არ ჰყოფნით კომპეტენცია, გამოცდილება და ფინანსური სახსრები. ამიტომ ისინი უკავშირდებიან საზღვარგარეთის მსხვილ დისტრიბუტორს, რომელსაც საკუთარი მარკის ქვეშ გააქვს დაბალ ფასად ნაყიდი პროდუქცია. ასეთი დისტრიბუტორების კარგ მაგალითს წარმოადგენს საცალო გაყიდვების მაღაზიათა ქსელები Sears-ი, Wal-mart-ი, Mark&Spenser-ი. ამ ქსელებში მთლიან გაყიდვებში საკუთარი მარკით გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილი დიდია, მოგების მაღალ მარჟებს აღწევენ. დიდი ბრიტანეთის მაღაზიათა ქსელში Sansbury პროდუქციის ასორტიმენტის 51 %-ს საკუთარი მარკით გამოშვებული საქონელი შეადგენს და მისი მომგებიანობა ექვსჯერ აღემატება სხვა მაღაზიების მომგებიანობას, რომელთა ანალოგიური მაჩვენებელი 20 %-ია.

გარდა აღნიშნულისა, არსებობს მესამე ალტერნატივა, როდესაც პროდუქციის გამოშვება ხდება ლიცენზირებული მარკით, ანუ კომპანია ყიდულობს სხვა მწარმოებლის მარკით პროდუქციის გამოშვების უფლებას და შედის კონკრეტულ ბაზარზე. მაგალითად, Hart Shaffer&Marx-ის წარმოებული ტანისამოსის მნიშვნელოვანი ნაწილი კრისტიან დიორის, პიერ კარდენის და ჯონი კარსონის მარკეტით გამოდის. ასეთ შემთხვევაში ადვილია ბაზარზე შესვლა, ვინაიდან მომხმარებელი კარგად იცნობს მარკას, მეორე მხრივ, ასეთი ლიცენზიის შეძენა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

იმის გადაწყვეტა, თუ ვისი მარკით (საკუთარი, დისტრიბუტორის, ნაყიდი) გამოვუშვათ პროდუქტი, მხოლოდ პირველი ნაბიჯია მარკირებულ პროდუქციათა შორის ღირსეული ადგილის დასაკავებლად. მიუხედავად იმისა, რომ გიგანტი კომპანიები Procter&gamble, Hyundai და Matsushita ზემოთ ჩამოთვლილი ალტერნატივებიდან პირველს ირჩევენ და საკუთარი მარკის ქვეშ ახდენენ პროდუქციის გამოშვებას, მათი სამარკო სტრატეგიები ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან.

Procter&gamble მიჰყვება ინდივიდუალურ სამარკო სტრატეგიას, ანუ იგი სხვადასხვა სახის პროდუქციას უშვებს ინდივიდუალური სამარკო დასახელების ქვეშ: Ariel-ი, Pampers-ი, Always-ი, Grest-ი, Camay-ი, Head&Shoulders-ი. ეს მცირე ჩამონათვალია Procter&gamble-ს მარკირებული პროდუქციის სიისა.

ამ სტრატეგიის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იმიჯნება კომპანიისა და პროდუქტის რეპუტაცია, ანუ კლიენტის დამოკიდებულება კომპანიისადმი და კლიენტის დამოკიდებულება კონკრეტული საქონლის მიმართ. დიასახლისთა უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს, რომ „ტაიდი“ და „არიელი“, რომელთაც დამოუკიდებლად უკეთდება რეკლამა და ერთი შეხედვით მწვავე კონკურენტებად გვევლინება, ერთი და იმავე ფირმის ორ წარმატებულ მარკას წარმოადგენს. ეს საშუალებას აძლევს Procter&gamble-ს მნიშვნელოვნად შეამციროს რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებული რისკები. იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ გამოშვებული ახალი პროდუქტი ბაზარზე ადგილს ვერ დაიმკვიდრებს, ნაკლებად ზიანდება კომპანიის და მისი სხვა ბრენდების რეპუტაცია. გარდა ამისა, კომპანიას, რომელიც ინდივიდუალურ სამარკო სტრატეგიას მოჰყვება, საშუალება აქვს, თითოეულ პროდუქტს ისეთი მახასიათებლები და სახელწოდება შეურჩიოს, რომლითაც ყველაზე უკეთესად დააკმაყოფილებს მომხმარებელთა ცალკეული სეგმენტის მოთხოვნებს.

საკუთარი მარკით საქონლის გამოშვების სტრატეგიის მეორე უკიდურესობას წარმოადგენს კომპანიის მიერ განსხვავებული ტიპის პროდუქტების ერთი სამარკო დასახელებით გამოშვება. კორეული კომპანია Hyundai აწარმოებს და ამავე დასახელების მარკით ბაზარზე გამოაქვს საყოფაცხოვრებო საქონლით დაწყებული, სატვირთო გემებით დამთავრებული პროდუქცია.

Procter&gamble-ს მიერ გამოყენებული სამარკო სტრატეგიისგან განსხვავებით, მოცემული სტრატეგიის უპირატესობაა დაბალი დანახარჯები სავაჭრო მარკის ცნობადობისა და მის მიმართ

მომხმარებელთა კეთილგანწყობის გაზრდაზე. უფრო მეტიც, თუ მწარმოებლის სახელი ცნობილია და პოპულარული, ადვილია ახალი პროდუქტის გატანა ბაზარზე და მისი რეალიზების მოცულობის გარკვეული დონის მიღწევა.

თუმცა, რაც უფრო მეტი განსხვავებული სახის პროდუქტს უშვებს კომპანია ერთი სამარკო სახელწოდებით, მით მეტად უჭირს მომხმარებელს ამ მარკის ასოცირება ყველა მათგანთან. ხდება სავაჭრო მარკის ,,შესუსტება" და ამ მარკით გამოშვებულ ახალ პროდუქტებს გადარჩენის ნაკლები შანსი აქვს. მაგალითად გამოდგება ქართულ კომპანია ,,ყაზბეგი", რომელმაც ამ სახელწოდებით არაერთი პროდუქტი (ლუდი, გამაგრილებელი სასმელები) წარმატებით შემოიტანა ბაზარზე, თუმცა, პროდუქტების სახეობების გამრავლების შედეგად (მაკარონი, საპონი და სხვა) შესუსტდა ,,ყაზბეგის", როგორც მარკის ასოცირება ერთი ან მსგავსი სახის პროდუქტებთან.

ამ სტრატეგიის კიდევ ერთი უარყოფითი მომენტი არის ის, რომ კომპანია ვერ შეძლებს ერთი მარკის ქვეშ აწარმოოს რადიკალურად განსხვავებული პროდუქტები. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი ,,წარმატებით" გაიყიდებოდა მაღაზიებში კეტჩუპი სახელწოდებით Standart Oil-ი, რძე Ford-ი, ან კიდევ, ოდეკოლონი Boeing-ი.

Procter&gamble-სა და Hyundai-ს მაგალითებზე განხილულ ორ უკიდურესად განსხვავებულ სტრატეგიას შორის შუალედური ადგილი უჭირავს სამარკო ოჯახების შექმნის სტრატეგიას. იაპონური კორპორაცია Matsushita ბაზარზე წარმოუდგენელია ოთხი მარკით, ანუ ოთხი ოჯახით - National-ი,Panasonic-ი, Technics-ი და Quasar-ი. თითოეული დასახელების ქვეშ გაერთიანებულია ,,ოჯახი", ანუ სხვადასხვა სახის საქონელი. ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ ჩვენში ასეთი ცნობილი Panasonici არის არა კომპანია (თუმცა, შეიძლება ასეც დავარქვათ, რადგან იგი სხვებთან ერთად კორპორაციის შემადგენელი ერთეულია), არამედ მარკა, რომელსაც კორპორაცია Matsushita აწარმოებს. ეს სტრატეგია გარკვეული დოზით ფლობს როგორც Procter&gamble-ს, ასევე Hyundai-ს მიერ გამოყენებული სტრატეგიების უპირატესობებს. ერთი მხრივ, იგი კომპანიას საშუალებას აძლევს, ადვილად გამოიყვანოს ასპარეზზე ოჯახის კიდევ ერთი წევრი საერთო სახელწოდების მეშვეობით, მეორე მხრივ, კომპანიისთვის შესაძლებელი ხდება ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პროდუქციის გამოშვება. რომ არა ეს სტრატეგია, კომპანია Mead Jonson-ს გაუჭირდებოდა წონის მოსამატებელი ვიტამინების Nutriment-ის გამოტანა ბაზარზე, მანამდე წარმოებულ წონის დასაკლები საშუალების - Metrecal-ის მარკით. წარმოიდგინეთ რა გაურკვევლობაში იქნებოდა მყიდველი, წონის მოსამატებელ და წონის დასაკლებ წამალსაც ერთი და იგივე სახელი Metrecal-ი რომ ერქვას.

მას შემდეგ, რაც კომპანია გადაწყვეტს, თუ ვისი მარკით გამოუშვას პროდუქცია და ,,სახელების დარქმევის" რომელი სტრატეგია (ინდივიდუალური მარკები ყველა პროდუქტზე, ერთი მარკა ყველა პროდუქტზე და სამარკო ოჯახები) აირჩიოს, იგი კიდევ ერთი გადაწყვეტილების წინაშე დგას: როგორ გააფართოოს პროდუქციის ასორტიმენტი (ერთი სახის პროდუქტის, მაგალითად სარეცხი ფხვნილის სხვადასხვა სახეობა). ამ კითხვაზე ყველა პასუხი ორ ძირითად ალტერნატივაში ერთიანდება. მათ შორის სწორი არჩევანის გაკეთება, ხშირ შემთხვევაში, კრიტიკული მნიშვნელობისაა.

პირველი სტრატეგიული ალტერნატივა გულისხმობს ასორტიმენტის გაფართოებას ერთი მარკის ქვეშ. ამ შემთხვევაში კომპანია, მომხმარებელთა სპეციფიკური მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, უშვებს მოდიფიცირებულ პროდუქტს სახელწოდების შეუცვლელად (მაგალითად, კოკა-კოლა ალუბლის არომატით).

პროდუქტის ასორტიმენტის ამგვარ გაფართოებას კომპანიების დიდ უმრავლესობა მიჰყვება. ერთი შეხედვით, რატომ უნდა დახარჯო ფული იმავე ტიპის პროდუქტის განსხვავებული სახელით გამოშვებაზე, როცა ბაზარზე უკვე კარგად დამკვიდრებული მარკა გაქვს. Procter&gamble-ს მენეჯერმა, თავის დროზე ეს საკითხი ასე მარტივად არ გადაწყვიტეს და საფუძველი დაუდეს ასორტიმენტის გაფართოების განსხვავებულ სტრატეგიას - ასორტიმენტის გაფართოება განსხვავებული მარკების ქვეშ. მათ ბაზარზე გამოუშვეს ახალი სარეცხი საშუალება Cheer-ი მაშინ, როცა ამავე ბაზარზე მოწინავე პოზიციები ეკავა Tide-ს. ერთი შეხედვით, პარადოქსულია, როცა კომპანია გაყიდვაში უშვებს საკუთარი პროდუქტის უშუალო კონკურენტს, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, აშკარად დავინახავთ ამ სტრატეგიის დადებით მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში Tide-ს რეალიზაციის მოცულობები შემცირდა, ორივე ფხვნილის რეალიზაციის ჯამური მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს სულაც არ იყო შემთხვევითობა. Procter&gamble-მა მომავალშიც გააგრძელა ეს სტრატეგია და ამჟამად იგი ცხრა განსხვავებული დასახელების (მარკის) სარეცხ ფხვნილს უშვებს. ასორტიმენტის განსხვავებული მარკებით გაფართოების სტრატეგიის უპირატესობები ცხადია. ჯერ ერთი, კომპანიის პროდუქციას უფრო მეტი ადგილი უჭირავს დახლზე და მისი ხილვადობაც მაღალია. გარდა ამისა, კომპანიას საშუალება აქვს თავისი ,,ძირითადი" ბრენდები კონკურენტი პროდუქტებისგან დაიცვას შესაბამისი ,,ფლანგული" ბრენდების შექმნით. ამის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს საათების მწარმოებელი კომპანია

Seiko-ს მიერ შედარებით დაბალფასიანი მარკის, Pulsar-ის გამოშვება. მისი ძირითადი დანიშნულება იყო ძვირად ღირებული ბრენდის, Seiko lasalle-ს დაცვა იაფფასიანი კონკურენტებისგან. შესაბამისად, მომხმარებელი, რომელიც ვერ ახერხებს შეიძინოს Seiko-ს ძვირფასი საათი, არ გადადის კონკურენტი კომპანიის პროდუქციაზე და ყიდულობს მის შედარებით იაფფასიან მოდელს.

თუმცა, მთავარი უპირატესობა, რომელიც ამ სტრატეგიას აქვს, არის ერთსა და იმავე სეგმენტზე სხვადასხვა სპეციფიკის მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინების შესაძლებლობა. Procter&gamble ,,ტაიდით", ,,არიელით", ლენორითა" და სხვა პროდუქტების სახით მომხმარებელს სთავაზობს განსხვავებული სახელწოდების, შეფუთვის, ფუნქციონალური მახასიათებლებისა და ფასის მქონე სარეცხ ფხვნილს. Procter&gamble თითოეულ სეგმენტზე წარმატებით ახერხებს „იქაური ქუდის დახურვას" და მომხმარებელთა თითოეული ჯგუფისთვის ყველაზე მისაღები პროდუქტების მიწოდებას.

ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, ნ. ბაკაშვილი, ნ. ფარესაშვილი, თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, თბ., „უნივერსალი", 2011.
2. მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის. ჟურნალი „სტრატეგია და ორგანიზაცია", ავტ. ჯგ.: პ. ტოლიაშვილი, ჯ. ბურჯალიანი, ნ. ცერცვაძე; თბ., 2012.
3. საერთაშორისო ბიზნესი. ავტ. კოლ.: ო. გიგიაშვილი, რ. ფუტკარაძე, ჟ. თოლორდავა, თბ., „უნივერსალი", 2011.

უმსხვილესი საინვესტიციო ფონდები ქართულ ბაზარზე

მირიან ინდუაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** პროფესორი

მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში დასავლეთის ბიზნეს-საზოგადოებების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, პოლიტიკოსების, ექსპერტების გამწვავებული ყურადღება მიმართულია საინვესტიციო ფონდების საქმიანობისაკენ. თუმცა, ეს ფონდები არ არის ახალი მოვლენა მსოფლიო ეკონომიკისათვის. პირველად ეს ორგანიზაციები გამოჩნდა XX საუკუნის 50-60-იან წლებში. ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 50-მდე მსხვილი საინვესტიციო ფონდია. ზოგიერთ ქვეყანაში რამდენიმე ასეთი ორგანიზაციაა, თუმცა ისინი განსხვავდებიან ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსით, დაფინანსების მეთოდებით და კონკრეტული ამოცანებით. საქართველოს სინამდვილეში აქტიურად ფუნქციონირებს ორი მსხვილი საინვესტიციო ფონდი: სს „საპარტნიორო ფონდი" - სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი და საქართველოს თანაინვესტირების ფონდი - კერძო საინვესტიციო ფონდი.

სს „საპარტნიორო ფონდი" - სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი დაფუძნდა 2011 წელს, სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. 100% სახელმწიფო საკუთრებაა, არსებული კაპიტალი: 1.4 მლრდ.

ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით. პრიორიტეტული სექტორებია: აგრობიზნესი, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი. საპარტნიორო ფონდის საქმიანობა ხორციელდება 2 მიმართულებით: აქტივების მართვა და საინვესტიციო საქმიანობა. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან:

- საქართველოს რკინიგზა, რომელიც აერთიანებს და მართავს საქართველოს სარკინიგზო ხაზებს. სს „საპარტნიორო ფონდის" წილი -100% ჯამური აქტივები: 2,8 მილიარდი ლარი. სს „საპარტნიორო ფონდის" წილი - 100% ჯამური აქტივები: 2,8 მილიარდი ლარი.
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ბუნებრივი აირის იმპორტი, გაყიდვა და გაზსადენების გაქირავება. სს „საპარტნიორო ფონდის" წილი-100% ჯამური აქტივები: 878,3 მლნ ლარი.

- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, რომელიც არის დისპეჩერიზაციის ლიცენზიის ექსკლუზიური მფლობელი, რომლის სერვისებით სარგებლობს 50-მდე კომპანია საქართველოში. კომპანია აწარმოებს ტექნიკურ კონტროლს მთლიან ელექტრო სისტემაზე. სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი-100% ჯამური აქტივები: 1 მილიარდი ლარი.
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო), რომლის მთავარი ფუნქციაა ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა. სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი - 100% ჯამური აქტივები: 33,8 მლნ ლარი.
- „თელასი“, რომლის ძირითადი საქმიანობაა თბილისში ელ. ენერგიის დისტრიბუცია კომუნალური და კომერციული მომხარებლებისთვის. თელასის 75%-ის მფლობელია INTER RAO UES, ხოლო 24.53% არის საპარტნიორო ფონდის მფლობელობაში. დარჩენილი 0.47% ეკუთვნის კერძო პირებს. ჯამური აქტივები - 287,2 მლნ ლარი.

სს „საპარტნიორო ფონდი“ უფლებამოსილია:
- განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში
- ფონდის წილი არ უნდა იყოს მთლიანი ინვესტიციის 50%-ზე მეტი, ამიტომ პარტნიორის უნდა ჰქონდეს ფინანსური რესურსი კაპიტალის სახით პროექტის ნაწილის დასაფინანსებლად.
- წარმოდგენილი უნდა იყო პროექტის ეკონომიკურ ტექნიკური დასაბუთება (ბაზრის კვლევა)
- პროექტიდან ფონდის გასვლა უნდა იყოს შესაძლებელი 3-7 წლის განმავლობაში

სს „საპარტნიორო ფონდის" მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტებია:
1. სასტუმრო „ჯინო ველნეს სპა“. 38 ნომრიანი სასტუმრო და სპა ცენტრი ისტორიული რაბათის ციხის ტერიტორიაზე. ახალციხე, სამცხე ჯავახეთი. ინვესტორი: Eurocom Investment Georgia. ფონდის მონაწილეობის ფორმა: სესხი სულ ინვესტიცია: $5 მლნ. გაიხსნა: 2013 წლის აპრილში
2. მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობა „კალანდა“, ფერმა აღჭურვილი უახლოესი ტექნოლოგიებით. კოდა, ქვემო ქართლი. ინვესტორი: GeoAgro Ltd. ფონდის მონაწილეობის ფორმა: სესხი, სულ ინვესტიცია: $5 მლნ გაიხსნა: 2013 წლის ივნისში
3. სასტუმრო „როიალ ბატონი“. 32 ნომრიანი სასტუმრო. ყვარელი, კახეთი. ინვესტორი: ვინივერია ჯგუფი. ფონდის მონაწილეობის ფორმა: სესხი. სულ ინვესტიცია: $2,5 მლნ. გაიხსნა: 2013 წლის ივნისში
4. შავის ზღვის პორტი. ახალი ღრმა საზღვაო პორტი შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც დიდი ზომის (panamax) სატვირთო ხომალდების მომსახურებას შეძლებს. ჯამური ინვესტიცია: $500 მლნ. ფონდის მონაწილეობის ფორმა: კაპიტალი. სტატუსი: დიზიანი და ინვესტორის მოძიება
5. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური. 210 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგური (პოტენციური გამომუშავებით 1.3 მლრდ კვტ/სთ) სვანეთში, მდ. ენგურის შენაკადზე. ჯამური ინვესტიცია: $628 მლნ ფონდის მონაწილეობა: კაპიტალი მიმდინარე სტატუსი: მოსამზადებელი სამუშაოები და ინვესტორთან მოლაპარაკება.
6. გარდაბნის თბოსადგური. საქართველოში პირველი კომბინირებული ციკლის გაზის თბოელექტროსადგური (სიმძლავრე 230 MW). მშენებელი თურქული კომპანია ჩალიკ ენერჯი. გარდაბანი, ქვემო ქართლი. ინვესტორი: საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია ჯამური ინვესტიცია: $220 მლნ. ფონდის მონაწილეობის ფორმა: კაპიტალი დასრულების ვადა: 2015 წლის ბოლო
7. სასტუმრო Rixos Borjomi. 152 ნომრიანი სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი. ლიკანი, ბორჯომი, სამცხე ჯავახეთი. გახსნის თარიღი: 2014 წლის ბოლო. სასტუმროს ოპერატორი: Rixos ინვესტორი: შპს „ყაზმუნაიგაზ სერვისი“ ჯამური ინვესტივიცია: $48 მლნ. ფონდის მონაწილეობის ფორმა: კაპიტალი
8. კურორტი საირმე. 150 ნომრიანი სასტუმრო და სპა კომპლექსი. ინვესტორი: საირმის განვითარების კომპანია ჯამური ინვესტიცია: $10 მლნ. ფონდის მონაწილეობის ფორმა: სესხი.
9. სასტუმრო „წინანდალი Radisson“. 104 ნომრიანი სასტუმრო წინანდლის ისტორიული ბაღისა და მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინანდალი, კახეთი. გახსნის თარიღი: 2016 წელი. ინვესტორი: „Silk Road Group“ ჯამური ინვესტიცია: 22.3 მლნ აშშ დოლარი. ფონდის მონაწილეობის ფორმა: სესხი. სტატუსი: მშენებლობა

საქართველოს თანაინვესტირების ფონდი - კერძო საინვესტიციო ფონდი 2013 წლის 30 სექტემბერს დაფუძნდა 6 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის კერძო ინვესტიციებით. ფონდის საქმიანობა ძირითადად ენერგეტიკის, წარმოების, ტურიზმის, ლოჯისტიკის და სოფლის მეურნეობის სფეროებში განსახორციელებელ პროექტებს მოიცავს. თანაინვესტირების ფონდის ინვესტორები არიან:
- აბუ დაბი ჯგუფი (Abu Dhabi Group). იგი წარმოადგენს დედამიწის ევროპულ და აზიურ ნაწილს შორის მდებარე უმსხვილეს საინვესტიციო და ფინანსურ ცენტრს. ეს არის ბიზნესისათვის გახსნილი, ახალი იდეების ქალაქი. აქ თავს იყრიან ინვესტორები მთელი მსოფლიოდან, რათა იპოვონ საინტერესო და სიცოცხლისუნარიანი პროექტები.

- რას ალ ხაიმას საინვესტიციო სამმართველო (RAKIA). რას ალ ხაიმის საემიროს საინვესტიციო ჯგუფი (არაბთა გაერთიანებულ საემიროებიდან) RAKIA საქართველოში შემოვიდა 2006 წელს, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორი. იგი წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვან სექტორში.

დღევანდელი მდგომარეობით ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ჯგუფში შემავალი შემდეგი კომპანიები:

1. „რაკია საქართველო“;
2. „რაკიინ დეველოპმენტ საქართველო“;
3. „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“;
4. „რაკ საქართველო“ - ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

"რაკია ჯგუფმა" 2007 წელს 68 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა სასტუმრო „შერატონ მეტეხი“, 2008 წელს კი ფოთის პორტი - 145 მილიონ აშშ დოლარად. ჯგუფის მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტებიდან აღსანიშნავია "აფთაუნ თბილისი", რომლის ფარგლებშიც დედაქალაქში აშენდა კავკასიის რეგიონში უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი - "თბილისი მოლი".

- ჩალიკ ჰოლდინგი თურქეთიდან (Çalik Holding). იგი თურქული ჰოლგინგია, რომელიც ფლობს აქტივებს ტექსტილის, ენერგეტიკის, სამშენებლო, ფინანსურ და ლოგისტიკის ბიზნესში. კომპანიას დასაქმებული ყავს 19 ათასზე მეტი ადამიანი.
- მაილსტოუნ ინთერნეიშენელ ჰოლდინგი ჩინეთიდან (Milestone International Holdings)
- აზერბაიჯანის სახელმწიფოს ნავთობის ფონდი (State Oil Fund of Azerbaijan). 2011 წელს ფონდმა შეიმუშავა ახალი საინვესტიციო პოლიტიკა, მის საინვესტიციო პორტფელს დაემატა ახალი ფინანსური ინსტრუმენტები. ფონდის საინვესტიციო პორტფელის 50% ფორმირდება აშშ $-ში, 35% ევროში, 5% ფუნტ სტერლინგში, და დანარჩენი 10% მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გრძელვადიანი აქტივებია.
- ყაზტრანსოილის (KazTransOil) შვილობილი კომპანია – ბათუმის ინდუსტრიული ჰოლდინგი (Batumi Industrial Holdings Limited). ყაზტრანსოილი მაგისტრალური მილსადენებით ნავთობის და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების უმსხვილესი კომპანიაა საერთაშორისო დონეზე და ეწევა ამ მილსადენების ტექნიკურ მომსახურებას
- სამთომომპოვებელი გიგანტის ENRC–ს აქციონერი ბატონი ალექსანდრე მაშკევიჩი (Mr. Alexander Moshkevich). ის გახლავთ ებრაული წარმოშობის მილიარდერი, ჟურნალმა Forbes-მა 2011 წელს იგი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ებრაელების ექვსეულში დაასახელა. იგი „ევრაზიის ბანკის” დირექტორთა საბჭოს წევრია.
- ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი (Estate of Badri Patarkatsishvili)
- ბატონი ბიძინა ივანიშვილი (Mr. Bidzina Ivanishvili) ბიძინა ივანიშვილის კაპიტალი ფონდში მაქსიმუმ 1 მილიარდი ამერიკული დოლარია, რაც ფონდის დაახლოებით 15% შეადგენს.

ჩამოთვლილი ინვესტორები ფონდში შეზღუდული პარტნიორები არიან, რაც იმას ნიშნავს რომ ისინი მართვაში არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას. ფონდის გენერალური დირექტორია გიორგი ბაჩიაშვილი.

ფონდში მობილიზებული კაპიტალის მოცულობა ამჟამად 6 მილიარდ დოლარს უტოლდება. 5 წლიანი საინვესტიციო პერიოდის განმავლობაში ფონდი თანაინვესტორებთან ერთად 10 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტების განხორციელებას გეგმავს. საინვესტიციო პროექტების მინიმალური ღირებულება 5 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო ფონდის თანამონაწილეობა 25-დან 75%-მდე განისაზღვრება. მოხდება 7-9 წლის განმავლობაში სხვადასხვა პროექტიდან გამოსვლა. ინვესტიციების მინიმუმ 80%-ის განთავსება მოხდება საქართველოში, რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, მათი განთავსება საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოხდება.

პროექტებში ინვესტირებისას ფონდი მხოლოდ კაპიტალში მონაწილეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში ფონდი ითანამშრომლებს ბანკებთან პროექტებისთვის სასესხო რესურსის უზრუნველსაყოფად. ფონდი კონცენტრირებულია გრძელვადიან სტრატეგიაზე! - რაც იმაში გამოიხატება, რომ ის პარტნიორებს უზრუნველყოფს გრძელვადიანი რესურსით.

ლიტერატურა:

1. ლამარა ქოქიაური, ინვესტიციების თეორიული გენეზისი, თბ., 2007.
2. ლამარა ქოქიაური, საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, თბ., 2008.
3. გულთაზ ლაბარტყავა, ინვესტიციები საქართველოში, თბ., 2006.
4. გაიოზ სანაძე, ფინანსური ინვესტიციები, თბ., 2005.

საგარეო ვაჭრობის განვითარება საქართველოში

თეონა მაღალდაძე, ანნა გოლოშვილი, რუსუდან დემურიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

ვაჭრობას მნიშვნელოვანი როლი უკავია საერთაშორისო ურთიერთობებში. ზოგიერთი მეცნიერები თვლიან, რომ ვაჭრობა და ომი საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ნაწილებია. საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო კავშირებს ქვეყნებს შორის. თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოფილი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო დიდი ნაწილი მისი ეროვნული პროდუქციისა ჩაბმულია საერთაშორისო ვაჭრობაში. აღნიშნულ სფეროში დიდი მნიშვნელობა უკავია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, რომელსაც სამი ძირითადი მიზანი აქვს: ხელი შეუწყოს ვაჭრობას; მიაღწიოს თანდათანობით ლიბერალიზაციას მოლაპარაკებების გზით; დანერგოს დავების სამართლიანი მოგვარების მექანიზმები და ებრძოლოს პროტექციონიზმს.

ისევე როგორც სხვა ქვეყნებისათვის, საქართველოსთვისაც ვაჭრობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ ვაჭრობაზეა აგებული თითქმის მთელი სისტემა ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური ფუნქციონირებისათვის. ყოველივე ხელს უწყობს ქვეყნების განვითარებას და ვაჭრობიდან მაქსიმალური სარგებლობის მიღებას. საქართველოში ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც წარმოადგენს სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების საფუძველს და ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას.

საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს აღრიცხვის "ზოგად მეთოდს", რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა. ექსპორტში იგულისხმება, როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი.

2007 წლიდან ექსპორტსაც და იმპორტსაც ახასიათებდა ზრდა, მაგრამ უარყოფითი სავაჭრო ბალანსით, რაც განპირობებული იყო იმპორტის მეტოქეობით ექსპორტზე. 2009 წელს შეინიშნებოდა ვარდნა, რაც გამოწვეული იყო 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომით და მსოფლიო კრიზისით. 2011 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6 841 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 39%-ით მეტია; აქედან ექსპორტი 1552 მლნ. აშშ დოლარი იყო (42%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 4929 მლნ. აშშ დოლარი (38%-თ მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2011 წლის იანვარ-სექტემბერში 3 377 მლნ. დოლარი შეადგინა (37%-ით მეტი). ექსპორტ-იმპორტის ზრდასთან ერთად უცვლელად იზრდებოდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსიც. 2014 წლის იანვარ-სექტემბერს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 10 პროცენტით გაიზარდა და 8 376 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. ექსპორტი 7%-ით გაიზარდა და 2 153 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; იმპორტი 12%-ით გაიზარდა და 6 223 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წლის იანვარ-სექტემბერს 4 070 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სასაქონლო ჯგუფებიდან პირველ საექსპორტო ათეულს 67.5% უკავია. საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა და 408.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მეორე ადგილზე ფეროშენადნობის ექსპორტია 219.4 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო მესამე ადგილი სპილენძის მადნების და კონცენტრატების ექსპორტმა დაიკავა 201.0 მლნ. აშშ დოლარის მოცულობით. აზოტოვან სასუქებზე მოდის 8.6 პროცენტი, ღვინო-6.6, მინერალური წყლები - 4.3, რკინიგზის ლოკომოტივები - 4.2, თხილიც - 4.2 პროცენტს შეადგენს, სპირტიანი სასმელები - 3.6, სპილენძის მადნები - 3.5 პროცენტს შეადგენს და 2.7 პროცენტი რკინის ნახევარფაბრიკატებს უკავია.

2006 წელს რუსეთის მიერ ქართული წარმოების პროდუქციაზე ემბარგოს დაწესებამ რეალური საფრთხე შექმნა ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის განვითარებაში. მართალია, ბოლო პერიოდში აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ ისიც უნდა

აღინიშნოს, რომ ემბარგომდე არსებული დონე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. 2014 წლის მონაცემებით ყურძნის ნატურალური ღვინოები - ექსპორტი 130.3 მლნ. აშშ დოლარი (76%-ით და 56.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (65%), უკრაინაში (11%), ყაზახეთში (8%), ბელარუსსა (2%) და ლატვიაში (2%). 2007 წლამდე, წამყვანი ადგილი საქართველოსთან ვაჭრობაში რუსეთს ეკავა, რომლის ბაზარზეც იყო ორიენტირებული საქართველოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი. იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ურთიერთობები ამ ორ სახელმწიფოს შორის პრაქტიკულად არ არსებობს, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები არ შეწყვეტილა. 2014 წლის იანვარ-სექტემბერში პირველ ძირითად 10 სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას ექსპორტის მიხედვით საქართველოს ექსპორტის 75.1% ეკავა.

იმპორტის მზარდ მაჩვენებლებში ყველაზე დიდი წილი ნავთობპროდუქტებზე მოდის, შემდეგ კი არის ავტომობილები. ეს საგარეო ეკონომიკური აქტივობა რიცხვებში შემდეგნაირად გამოიყურება: საერთო ჯამში, საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა გაზრდილია 21 პროცენტით, ხოლო ქვეყნიდან საზღვარგარეთ გატანილი, ექსპორტირებული პროდუქციისა - 13 პროცენტით. ეს მონაცემები ქმნის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის სურათს, რომლის შემადგენელი ნაწილია სხვაობა იმპორტსა და ექსპორტს შორის. ამჯერად მისი მაჩვენებელი 2 მილიარდ დოლარს აჭარბებს და სავაჭრო ბრუნვის 53 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნებს შორის ლიდერობს თურქეთი. 2006 წლიდან 2012 წლამდე თურქეთთან ვაჭრობაში აღინიშნება იმპორტის სწრაფი და მაღალი ტენდენციით ზრდა, ხოლო ექსპორტი ამ პერიოდში თითქმის არ შეცვლილა, რაც განაპირობა იმან რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოსა და თურქეთს შორის დადებული შეთანხმებით საბაჟო გადასახადი გაუქმდა. უკრაინასთან წინა წლებთან შედარებით იმპორტი 579.მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რამაც საბოლოოდ 6% შეადგინა. იანვარში საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში თურქეთი (114 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (86 მლნ აშშ დოლარი) და ჩინეთი (58 მლნ აშშ დოლარი) ლიდერობენ.

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, იანვარში საგარეო სავაჭრო ბრუნვა გასულ წელთან შედარებით, 15 პროცენტით გაიზარდა და 761 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, 14 პროცენტით გაიზარდა ექსპორტი, ხოლო 15 პროცენტით - იმპორტი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირის წილი 23 პროცენტია (გასულ წელს 27% იყო), ხოლო დსთ-ის ქვეყნების წილი - 35 პროცენტამდე (გასულ წელს - 33 პროცენტი). ამასთან, მიმდინარე წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტის 51 პროცენტი სწორედ დსთ-ს ქვეყნებზე მოდის. ქვეყანაში იმპორტის დონის გასაზრდელად საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისთვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო სავაჭრო რეჟიმებს და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. საქართველოს საგარეო ვაჭრობა ბოლო რამდენიმე წელია მატების ტენდენციით ხასიათდება, რაც ქვეყნის და ეკონომიკის სწრაფი განვითარების ერთ-ერთ საწინდარს წარმოადგენს.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.geostat.ge/
2. http://www.economy.ge/

საბანკო საქმიანობის წარმოშობის ისტორია და ბანკები XXI საუკუნის საქართველოში

მზია მელაძე, თამარ იასაშვილი, ანი ლაშხი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ხალიანა ჩიტაძე,** ასოცირებული პროფესორი

პირველი საბანკო ურთიერთობები პრიმიტიული ფორმით XII საუკუნიდან იღებს სათავეს იტალიელთა მიერ. თავდაპირველად მათ ვაჭრობით დაიწყეს და შემდგომმა განვითარებამ ისეთი რთული მექანიზმი წარმოშვა, როგორიც არის ბანკი, ამასთან, ცალკეულ ბანკთა ფილიალების დაფუძნება

უცხო ქვეყნის ტერიტორიებზეც მოხდა. იტალიიდან მომდინარეობს საბანკო ურთიერთობები და მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება მხოლოდ XVII ს-ში მოხდა ჰოლანდიასა და ინგლისში, იტალია მაინც მთავარ წყაროდ ითვლება აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობებისა. თუმცა, პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნების შერწყმა და უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტიტუტის შექმნა, რომელიც ძლიერ, ცენტრალიზებულ, ელემენტს წარმოადგენდა უკავშირდება ინგლისს, როცა 1694 წელს შეიქმნა ინგლისის ბანკი. ძლიერ ბანკად ითვლებოდა ასევე შვედეთის ბანკი. ხოლო რაც შეეხება თანამედროვე, საერთაშორისო დონის ბანკებს, უკვე XIX ს-ში ჩამოყალიბდა.

თბილისის საადგილმამულო ბანკი, რომლის დამფუძნებლადაც ილია ჭავჭავაძე მიიჩნევა, დაარსდა 1875 წელს. საადგილმამულო ბანკში მიწები იდებოდა გირაოდ, ამავე დროს თავადებს გაეცემოდათ გარკვეული თანხა, ხოლო ნაყმევ გლეხებს კი სესხად ეძლეოდა მიწის გამოსყიდვის საფასური, რაც თავიდან აცილებდა გლეხობას მიწისაგან მოწყვეტას, განაპირობებდა სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური დარგის შენარჩუნებას და ხელს უშლიდა გლეხების მიგრაციას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძემ საოცარი სიზუსტით შექმნა საბანკო მომსახურების ისეთი სისტემა, რომელიც მაშინდელი სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფენისათვის მისაღები აღმოჩნდა, ხოლო შემდგომში საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

საადგილმამულო ბანკმა იარსება 1909 წლამდე. დაარსებისთანავე ბანკმა საზოგადოებრივი საჭიროებისა და საქველმოქმედო მიზნით გასცა 2 მილიონი მანეთი, რომელთაგან მეტი წილი დაიხარჯა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტის) მშენებლობაზე. საერთო ჯამში ეს ფული მოხმარდა სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ეთნოგრაფიულ, საგანმანათლებლო სფეროებს. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საადგილმამულო ბანკსაც, თავის მხრივ, საქველმოქმედო დანიშნულებით გაუცია ერთ მილიონ მანეთზე მეტი, რაც იმ დროისათვის კოლოსალური რაოდენობისა იყო.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ. თუმცა პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919-1921 წლებში ფუნქციონირებდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის უფლებამოვალეობები, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“.

საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნების მთავრობებს, ცენტრალურ ბანკებსა და ფულად-საკრედიტო ორგანოებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა წევრიც არის თვითონ საქართველო. ეროვნული ბანკი მონაწილეობს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გზით ფულად-საკრედიტო სფეროში ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა.

ბანკები XXI საუკუნის საქართველოში

ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოში ლიცენზირებულია 22 ბანკი: „თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „ბანკი რესპუბლიკა“, „საქართველოს სახალხო ბანკი“, „პროკრედიტ ბანკი“, „ხალიკ ბანკი“, „ტაოპრივატბანკი“, „აგროინვესტბანკი“, „პირველი ბრიტანული ბანკი“, „ბაზისბანკი“, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, „ბანკი ქართუ“, „გალტ ენდ თაგგარტ ბანკი“, „სტანდარტ ბანკი“, „ბტა სილქ როუდ ბანკი“, „ინვესტბანკი“, „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“, „ზირაათ ბანკის“ თბილისის ფილიალი, ღია სააქციო საზოგადოების „კავკასიის განვითარების ბანკის“ თბილისის ფილიალი, „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო“, „პროგრეს ბანკი“, „კორ სტანდარტ ბანკი საქართველო“.

სს “ვითიბი ბანკი ჯორჯია” საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი ტრადიციების მქონე ბანკია. ბანკი დღევანდელი ფორმით, მისი წინამორბედი სამი სახელმწიფო კომერციული ბანკის შერწყმის შედეგად, 1995 წელს შეიქმნა. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2005 წლიდან საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის „ვეტებეს“ წევრია. სს “ვითიბი ბანკ ჯორჯიას” უმსხვილესი აქციონერია ღსს ვეტებე ბანკი (VTB Bank) (აქციათა 96.31%).

სს “ვითიბი ბანკი ჯორჯია” უნივერსალური საბანკო ინსტიტუტია, რომელიც მომხმარებელს თანამედროვე კომერციული საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს სთავაზობს. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ განაღდებული და გაცხადებული საწესდებო კაპიტალი 148 042 701 ლარს შეადგენს. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მთლიანი აქტივები 428 948 090 ლარს შეადგენს. 2011 წლის 16 დეკემბერს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch-მა ბანკს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი BB (სტაბილური პროგნოზით) მიანიჭა.

ვეტებე ჯგუფი რუსული წარმოშობის საერთაშორისო ფინანსური ჯგუფია, რომელიც მსოფლიოს სამ კონტინენტზე (ევროპა, აზია, აფრიკა), 20 ქვეყანაში ოპერირებს. ვეტებე ჯგუფი ფინანსური

საქმიანობის მდიდარი ტრადიციებისა და გამოცდილების მატარებელია. საფინანსო ბაზრებს, სადაც იგი წარმოდგენილია, სთავაზობს საცალო და კორპორატიული საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს.

ვეტებე ჯგუფს 966 გაყიდვის წერტილი გააჩნია. Standard & Poor`s და Fitch სარეიტინგო სააგენტოების მიერ ვეტებე ბანკისთვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგია BBB, Moody`s სააგენტოს მიერ – Baa1.

ლიბერთი ბანკი, ყოფილი "სახალხო ბანკი" – კერძო ბანკი საქართველოში, სიდიდით მეშვიდე ადგილზეა მთლიანი აქტივებით და შიდა ბაზრის 3,4% უჭირავს (2009 წლის მდგომარეობით). ბანკს საქართველოს მასშტაბით ფილიალების უდიდესი ქსელი აქვს. 2009 წლის სექტემბერში ბანკის აქციათა 91,2 % შეიძინა კომპანიამ Liberty Investments Holding B.V. — ერთობლივი საწარმო შექმნილი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და საქართველოს ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი ლადო გურგენიძისა და რუმინელი მეწარმე დინუ პატრიციუს მიერ.

ბანკი "რესპუბლიკა" ერთ–ერთი უძველესი ქართული კერძო ბანკია, რომელიც დაფუძნდა 1991 წელს. ბანკი "რესპუბლიკა" წამყვანი კომერციული ინსტიტუტია, რომელიც ეწევა კორპორაციულ და საცალო საბანკო საქმიანობას, ასევე ფინანსურ მომსახურებას საქართველოს მასშტაბით. ბანკში დასაქმებულია 1000-ზე მეტი ადამიანი. ბანკს 37 ფილიალი და სერვის-ცენტრი აქვს ქვეყნის მასშტაბით.

2006 წელს ჯგუფი გახდა ბანკის აქციების 60%-ის მფლობელი. 2009 წელს ჯგუფმა თავისი წილი 80%–მდე გაზარდა. "სოსიეტე ჟენერალის" გლობალური ცოდნა და კომპეტენცია ბანკ "რესპუბლიკის" ყველაზე ძლიერი მხარეა. ბანკი თანაბრად აქტიურია როგორც კორპორაციული, ასევე საცალო საბანკო საქმიანობის კუთხით და გასწევს ნებისმიერი სახის საინვესტიციო საბანკო მომსახურებას "სოსიეტე ჟენერალის" ჯგუფის ფარგლებში. "ბანკი რესპუბლიკა" აქტიურია იპოთეკური და სამომხმარებლო დაფინანსებისა და მიკროდაკრედიტების კუთხით და დახმარებას უწევს მცირე საწარმოებს არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით.

2010 წელს საქართველოს საბანკო სექტორმა კრიზისის დაძლევა შეძლო [2] დაიწყო, რაც პოზიტიურად აისახა "ბანკი რესპუბლიკას" გააქტიურებულ მარკეტინგულ აქტივობაზე, კომერციული პოზიციის გაძლიერებასა და ახალი პროდუქტების განვითარებაზე.

ბანკი "რესპუბლიკა" სთავაზობს კლიენტებს ხელსაყრელ და ინოვაციურ პროდუქტებს. 2010 წლის ბოლოს და 2011 წლის დასაწყისიდან ბანკმა მნიშვნელოვნად გაამარტივა საკრედიტო პირობები და წარადგინა ყველაზე დაბალი განაკვეთები საქართველოს ბაზარზე, რაც საზოგადოების მიერ შეფასდა, როგორც "ძალზე პოზიტიური კამპანია". ყოველივე ეს დადასტურდა კამპანიის პოპულარობით და წარმატებით აისახა ბანკის საკრედიტო პორტფელის ზრდაზე.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბანკ "რესპუბლიკისთვის" კვლავაც ერთ–ერთ პრიორიტეტულ საკითხად რჩება. ბანკი რეგულარულად ახორციელებს მრავალ სოციალურ პროექტს საზოგადოების კეთილდღეობის მხარდასაჭერად.

ბანკი "რესპუბლიკა" საქართველოს ბაზრის სპეციფიკის ზედმიწევნით ცოდნას წარმატებით უთავსებს დასავლეთის მაღალ სტრუქტურებს, აღიარებულია ყველაზე სანდო და დინამიკურად განვითარებად სტრუქტურად საფინანსო ინსტიტუტებს შორის. კორპორაციული, საცალო და სხვა საფინანსო მომსახურების მხრივ, ის სწრაფად მზარდი კომერციული ბანკია, რომელიც თავის მომხმარებელს უნივერსალურ საბანკო მომსახურებას სთავაზობს.

ბანკ "რესპუბლიკის" საქმიანობა მომხმარებელზე და მის ბიზნეს შესაძლებლობებზეა ორიენტირებული, რაც ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" გააზრებული გადანაწილების პოტენციალისა და ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტის მაღალი მიღწევების შესაბამისად იზრდება. ჩვენ ვამყარებთ მუდმივ კავშირს კლიენტთან და ვაძლევთ მას განვითარების და საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალებას. ბანკ "რესპუბლიკის" ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალში" გაერთიანების შედეგად ორგანიზაციაში დაინერგა რისკის მართვის მექანიზმები. კლიენტების ნდობის მოპოვება, მათი ბიზნესის უფრო მეტად მოზიდვა მთლიანად ჩვენს პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

1995-1996 წლებში ბანკმა შემოიერთა კომერციული ბანკები "უნივერსიტეტბანკი" და "ენგური", რამაც განაპირობა აქტივებითა და კადრებით მისი გაძლიერება. გაიხსნა დელისისა და სამტრედიის ფილიალები. 1996 წელს ჩატარდა პირველი საერთაშორისო აუდიტორული შემოწმება აუდიტორული კომპანია KPMG-ს მიერ.

1997 წელს ბანკი "რესპუბლიკა" გაწევრიანდა და ჩაერთო Western Union-ის საერთაშორისო ქსელში, შეიძინა SWIFT-ის აქციები და ჩაერთო მის საგადამხდელო სისტემაში.

1998 წელს მსოფლიოს, ძირითადად კი აღმოსავლეთის ბაზარზე არსებულმა კრიზისმა გავლენა მოახდინა რუსეთის ეკონომიკურ კონიუნქტურაზე. ამ ფაქტორმა იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზეც. წარმატებული ბანკების ერთი ნაწილი ლიკვიდურობის პრობლემის წინაშე დადგა, მათი კლიენტები კი ბაზარზე შემორჩენილ ბანკებს შორის გადანაწილდნენ. სტაბილურობა, თავისუფალი ფულადი სახსრები,

სწრაფი და მაღალი ხარისხის მომსახურება - აი, ის კრიტერიუმები, რითაც ბანკმა "რესპუბლიკამ" მიიზიდა კლიენტები და სერიოზული კონკურენცია გაუწია ბაზარზე არსებულ მოწინავე ბანკებს. ექსპლუატაციაში შევიდა ბანკის ახალი შენობა, რომელიც თავისი დიზაინით, ტექნიკური და საკომუნიკაციო აღჭურვილობით საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდა.

1999 წელს ბანკმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ბანკის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტში. პროგრამის ფარგლებში გაცემულ იქნა 2 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო რესურსი.

2000-2001 წლებში გაფართოვდა და განვითარდა საბანკო ობიექტების ქსელი, გაიხსნა გლდანისა და სადგურის ფილიალები, რომლებიც ემსახურება როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს, დაინერგა მომსახურების ერთიანი სტანდარტი. 2000 წელს ამოქმედდა საქართველოში პირველი სადღეღამისო სერვისცენტრი.

2001 წელს ბანკი გაწევრიანდა VISA International-ის საერთაშორისო სისტემაში, დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

2002 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბანკის ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებისთვის, ამუშავდა კლიენტებთან ავტომატურ რეჟიმში სამუშაო პროგრამები, შემუშავდა რისკის მართვის სისტემები. კლიენტთა მომსახურების გასაუმჯობესებლად გაიხსნა ახალი სერვისცენტრები.

2003 წელს ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თანამედროვე ტექნოლოგიური პროდუქტების დანერგვას და მათი რეალიზაციის ხელშეწყობას. ამავე წელს დაიწყო ბანკ "რესპუბლიკის" ახალი სათავო შენობის, ასევე ფალიაშვილის ქუჩაზე და დიღმის მასივში ახალი სერვისცენტრების მშენებლობა.

2004 წელს ბანკის მუშაობა კვლავ მიმართული იყო საქმიანობის უნივერსალიზაციისკენ. წმინდა მოგების მაჩვენებლის შეფარდებამ საწესდებო კაპიტალთან და აქტივებთან 2004 წელს უმაღლესი შედეგი აჩვენა. ბანკმა შეინარჩუნა განვითარების ტრადიციად ქცეული მაღალი ზრდის ტემპები, საბაზრო პოზიციების განმტკიცება, კლიენტები და ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის საიმედო იმიჯი.

2005 წლიდან ბანკმა "რესპუბლიკამ" თანამშრომლობა წამოიწყო საერთაშორისო კომერციულ ბანკ "Commerzbank"-თან. პირველად ამიერკავკასიაში "Commerzbank"-მა 4 მლნ დოლარის საკრედიტო ხაზი გამოყო ბანკ "რესპუბლიკისათვის". ამ თანამშრომლობის საფუძველი გახდა KFW-ს (გერმანიის განვითარების ბანკი) საგარანტიო ფონდის პროექტი. KFW-სა და "Commerzbank"-თან თანამშრომლობით ბანკმა "რესპუბლიკამ" მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ და ქართული საბანკო ინდუსტრია ახალ საფეხურზე გადაიყვანა. 2005 წელი ბანკ "რესპუბლიკისათვის" აღსანიშნავია ფილიალთა ქსელის გაფართოებით. ბანკის მრავალრიცხოვან სერვისცენტრებსა და ფილიალებს ქ. ზუგდიდის ფილიალიც დაემატა, რომელიც მომხმარებელს ტრადიციულად მაღალ ხარისხსა და მრავალფეროვან მომსახურებას სთავაზობს.

2011 წლის ბოლოს ბანკმა რესპუბლიკამ შეიერთა ბანკ "HSBC საქართველოს" საცალო პორტფელი მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა ბანკმა დატოვა საქართველოს ბაზარი [4].

დღესდღეობით ბანკი "რესპუბლიკა" არის საბანკო ინსტიტუტი, რომელიც კლიენტებს სთავაზობს საბანკო-საფინანსო პროდუქტების ფართო არჩევანს კონკურენტული პირობებითა და პერსონიფიცირებული მომსახურებით.

„თიბისი ბანკი“ – ერთ-ერთი წამყვანი ბანკი საქართველოში, რომელიც ემსახურება თითქმის 700,000 მომხმარებელს ოთხ ბიზნეს სეგმენტში: კორპორატიული, საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესი და მიკრო. ეს არის ქვეყანაში მეორე უდიდესი ბანკი აქტივების მიხედვით და ბაზრის ლიდერი – საცალო დეპოზიტების სეგმენტში.

შვილობილ კომპანიებთან ერთად თიბისიში დასაქმებულია თითქმის 3,000 ადამიანი. ბანკი, ძირითადად, საქართველოში აწარმოებს საქმიანობას, თუმცა, მზარდი ქსელი შექმნა რეგიონში მისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით: „თიბისი“ კრედიტი - აზერბაიჯანში, თიბისი ინვესტი – ისრაელში და ბანკი კონსტანტა – საქართველოში, საერთო ჯამში 88 ფილიალით, 232 ბანკომატით და 2,446 პოს-ტერმინალით, 2011 წლის ბოლოს მდგომარეობით.

„თიბისი ბანკის“ აქციონერთა შორისაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), Deutsche Investitions- und Entwicklungsgesellschaft (DEG) და Nerlandese Financierings-Maatschappi Voor Ontwikkelingsladen N.V. (FMO), ბანკის 55% სააქციო კაპიტალით. სხვა საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორები, როგორებიცაა J.P. Morgan Chase Bank, N.A., London Branch ("JPMorgan") და Ashmore Cayman SPC No. 2 Ltd. ("Ashmore"), საერთო ჯამში ფლობენ ბანკის აქციების 10%-ს. ორი დამფუძნებელი აქციონერი ერთად ბანკის სააქციო კაპიტალის 28%-ს ფლობს, ხოლო დანარჩენ 7%-ი მენეჯმენტს და მინორიტარულ აქციონერებს ეკუთვნით.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები Fitch Rating Agency and Moody's Investor Services აწარმოებენ ბანკის ყოველწლიურ შეფასებას. მიმდინარე რეიტინგებია BB- (გრძელვადიანი IDR)/ B (მოკლევადიანი IDR) მინიჭებული Fitch -ის მიერ და B1 (FC)/ Ba3 (LC) მინიჭებული Moody's -ის მიერ. უახლესი შეფასებები ჩატარდა 2012 და 2011 წლებში. 2012 წლის ივლისში Fitch-მა თიბისი ბანკის გრძელვადიანი რეიტინგი (IDR) 'B+' საფეხურიდან 'BB-' საფეხურამდე აამაღლა, "სტაბილური" პროგნოზით. ამავე დროს, სააგენტომ ბანკის მდგრადობის რეიტინგი (VR) 'b+ საფეხურიდან 'bb-' საფეხურამდე გაზარდა. მანამდე, 2011 წელს, სააგენტო Moody's-მა ბანკის დეპოზიტების რეიტინგი უცხოურ ვალუტაში B3 საფეხურიდან B1 საფეხურამდე, ხოლო მისი ფინანსური პოტენციალის რეიტინგი (E+)დან (D-)მდე აამაღლა.

სახელი, „თიბისი ბანკი", მის საწყის დასახელებასთან – თბილისის ბიზნეს ცენტრი – არის დაკავშირებული, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს დაარსდა. ამჟამად, თიბისი ბანკი მისი ოფიციალურად რეგისტრირებული სახელია და არა საწყისი დასახელების აბრევიატურა. [1]

თიბისი ბანკის ისტორია 1992 წელს დაიწყო, როდესაც ორმა ქართველმა ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ ბანკი დააფუძნა. მისი საწყისი კაპიტალი 500 აშშ დოლარს შეადგენდა – სწორედ იმდენს, რამდენიც საჭირო იყო ბანკის დაფუძნებისთვის საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში.

1993 წლის 20 იანვარს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ("სებ") ლიცენზია (ზოგადი საბანკო მომსახურების ლიცენზია #85) გასცა, ხოლო 1993 წლის მაისში ბანკს კიდევ ერთი ლიცენზია მიენიჭა, რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო ტრანზაქციების წარმოებას.

დამფუძნებლებმა ბანკი მათი საკუთარი კომპანიის – თბილისის ბიზნეს ცენტრის – მეშვეობით შექმნეს, რომელიც რამდენიმე საცალო სავაჭრო საწარმოს მოიცავდა. იმ დროისათვის, საქართველოს საბანკო სექტორი მუშაობდა მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე, როდესაც ნდობა ბანკების მიმართ უაღრესად დაბალი იყო, რაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლასა და შემდგომ მომხდარ სამოქალაქო ომს. ეროვნული ბანკის რეგლამენტმა, რომელიც მხოლოდ 500 აშშ დოლარს მოითხოვდა ბანკის დასაფუძნებლად, ბევრს შეუქმნა ბანკის დაფუძნებისა და ამუშავების შესაძლებლობა. შედეგად, დაფუძნდა ოთხასზე მეტი ბანკი, რომელსაც არავითარი საბანკო ისტორია არ გააჩნდა და რომლის მიმართ ნდობის ფაქტორი დაბალი იყო. აქედან გამომდინარე, დამფუძნებლებმა, იმისათვის, რომ საკუთარი ბიზნესისათვის უსაფრთხოდ განეხორციელებინათ საერთაშორისო ტრანზაქციები და, ასევე, სხვებისთვისაც შეექმნათ ასეთი შესაძლებლობა, გადაწყვიტეს ბანკის დაფუძნება. ბანკის მფლობელებმა, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, გადაწყვიტეს, დაფუძნების პირველი დღიდანვე შეექმნათ ისეთი ბანკი, რომელიც ყველასგან გამორჩეული იქნებოდა პირველ რიგში, პერსონალით, რომელიც შედგებოდა ნოვატორული და ერთგული ახალგაზრდა, 27 წლის საშუალო ასაკის მენეჯმენტისგან. ბანკის სამიზნე კლიენტთა ჯგუფს წარმოადგენდა საცალო ვაჭრობის კომპანიები და ახალგაზრდა ბიზნესმენები. ბანკის მფლობელების ერთგულება, ასევე, აისახა აქციონერებს შორის მიღწეულ შეთანხმებაში, რომელიც ითვალისწინებდა მომავალი 10 წლის განმავლობაში მიღებული მოგების რეინვესტირებას და კონცენტრაციას მხოლოდ ბანკის გაფართოებასა და განვითარებაზე.

1995 წელს ბანკს ჰყავდა 1 ფილიალი და 29 თანამშრომელი, ხოლო ჯამური აქტივები შეადგენდა 1.4 მლნ აშშ დოლარს. ვახტანგ ბუცხრიკიძე, რომელმაც ბანკში 1993 წელს დაიწყო მუშაობა, 1995 წელს დანიშნეს მთავარი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე, იგი დღემდე ამ პოზიციაზეა.

„თიბისი ბანკი" თავიდან მთლიანად კორპორატიულ სეგმენტზე, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე იყო ორიენტირებული. ბანკის სწრაფვამ, მიეღო ცოდნა და გამოცდილება უცხოური დაწესებულებებისგან და, შედეგად, მისმა შესამჩნევად მზარდმა პოზიციამ ბაზარზე, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიის (DEG) მხრიდან დაინტერესება გამოიწვია, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის რეგიონის დაფინანსებაში ოთხმოცდაათიან წლებში. აღნიშნულმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა ბანკს დახმარება გაუწიეს ინტენსიური სატრეინინგო და საკონსულტაციო პროგრამების მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში, რისკების მენეჯმენტში, ფინანსებსა და ბუღალტერიაში, ადამიანური რესურსების მართვასა და სტრატეგიის შემუშავებაში. ტექნიკური დახმარების პროექტებთან ერთად, 1996 წლიდან, ისინი ბანკს აძლევდნენ გრძელვადიან საკრედიტო ხაზებს კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისთვის, საცალო სექტორში იპოთეკური სესხების გაცემისთვის, ასევე სუბორდინირებულ სესხებს მეორადი კაპიტალის შესავსებად და სესხებს სხვა მიზნობრიობებით.

1998 წელს, „თიბისი ბანკმა" ექსპორტ/იმპორტის საფინანსო ოპერაციების განხორციელება დაიწყო საქართველოში ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ევროპის რეკონსტრუქციისა და

განვითარების ბანკი (EBRD) პირველი საფინანსო დაწესებულება იყო, რომელმაც თიბისისთან გააფორმა ხელშეკრულება აკრედიტივების ხელშეწყობის პროექტის შესახებ. ამის შემდეგ, თიბისი ბანკმა ინტენსიურად დაიწყო მუშაობა ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციებზე სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და კომერციულ ბანკებთან და სავაჭრო სფეროს დასაფინანსებელი სესხები მოიზიდა შემდეგი კომპანიებისგან: BSTDB, ADB და IFC.

ამ პერიოდისთვის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ინტერესი იმდენად გაიზარდა თიბისი ბანკის მიმართ, რომ 2000 წლის მაისში კომპანიებმა IFC და DEG ბანკის სააქციო კაპიტალი შეიძინეს, თითოეულმა 10%, რაც წარმოადგენდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პირველ მონაწილეობას კომპანიის სააქციო სტრუქტურაში.

2002 წელს ბანკის მდგრადი განვითარება აისახა მის ეფექტურობაზე, როდესაც მან უკან ჩამოიტოვა ყველა კონკურენტი და ქვეყნის უმსხვილესი ბანკი გახდა აქტივებისა და საკრედიტო პორტფელის მიხედვით.

2004 წლის იანვარში, ბანკის შვილობილმა კომპანიამ, „თიბისი“ ლიზინგმა დაიწყო მუშაობა.

2005 წელს თიბისი ბანკის ახალი სათავო ოფისი გაიხსნა თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ შენობაში, რომელიც ქალაქის არქიტექტურულ ძეგლთა სიაში შედიოდა. მას შემდეგ, სათავო ოფისი უამრავ ბიზნეს, კულტურულ და მუსიკალურ ღონისძიებას მასპინძლობს.

შედეგები

ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 13 საბანკო დაწესებულება. გთავაზობთ კვლევის შედეგებს: ანკეტაში პირველი კითხვა იყო, თუ რა სიხშირით სთავაზობენ მომხმარებელს ახალ პროდუქტს/მომსახურებას? რესპოდენტთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ სამ თვეში ერთხელ. როგორც ჩანს საკმაოდ მოკლე პერიოდში ხდება ახალი სახის მომსახურების შექმნა, რადგანაც არავინ უპასუხა, რომ წელიწადში ერთხელ

კითხვაზე, თუ რა ასაკის მომხმარებელია უფრო აქტიური, შედეგები თითქმის თანაბრად განაწილდა შემდეგ ასაკთა ზღვარზე-19 დან 30-წლამდე და 31-დან 45 წლამდე.

მომსახურების სახეებში თითქმის ცალსახად ლიდერობს მომხმარებელთა მხრიდან მოთხოვნა სესხებზე, ხოლო პლასტიკურ ბარათებსა და ფულად გზავნილებზე მოთხოვნა თანაბარია, შემდეგ მოდის მოთხოვნა ანაბრებზე და კომუნალურ გადასახადებზე. ხოლო მოთხოვნა სამგზავრო ჩეკებზე თითქმის ნულს არის გატოლებული.

საინტერესოა, თუ რა სახის დამატებით მომსახურებას სთავაზობს ბანკი თავის მომხმარებელს. როგორც აღმოჩნდა ძირითადად, ასეთი მომსახურება არის ინტერნეტ ბანკი. თანაბარი ადგილები დაიკავეს საინკასაციო მომსახურებამ, ონლაინ გადახდებმა და ინდივიდუალურმა სეიფებმა.

კითხვაზე თუ რამდენად შეიცვალა ბოლო 5 წლის განმავლობაში მოთხოვნა საბანკო მომსახურებაზე, ცალსახა პასუხი იყო შემდეგი, რომ გაიზარდა 40-70 პროცენტით. არ დაფიქსირებულა ტენდენცია საბანკო მომსახურების შემცირებისა. ასევე მაღალი ადგილი დაიკავა ტენდენციამ საბანკო ბაზრის გაზრდა 70-100 პროცენტი.

კრედიტებს შორის ყველაზე მაღალი ადგილი დაიკავა სამომხმარებლო და ბიზნესისათვის კრედიტის მიზნობრიობამ. შემდეგ ადგილზე მოდის კრედიტ იპოთეკისა და ავტომანქანისათვის.

კითხვაზე თუ ძირითადად რა მიზნით იღებენ მომხმარებლები სესხს, რესპონდენტებმა უპასუხეს, რომ - უძრავი ქონების შესაძენად და საბრუნავი საშუალებისათვის.

რომელ ფორმას მიმართავენ ბანკები ყველაზე ხშირად უზრუნველყოფისათვის?

რესპონდენტთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ უძრავი ქონების გარანტიას უფრო მეტად ენდობიან, ასევე მნიშვნელოვანია მესამე პირის გარანტია.

ლიტერატურა:

1. იზოლდა ჭილაძე, ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში, თბ., 2011.
2. ანჟელი ხორავა, ნადია კვატაშიძე, ნანა სრესელი, ზეინაბ გოგრიჭიანი, ბუღალტრული აღიცხვა-თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, თბ., 2004.

ინტერნეტ რესურსები:

1. www.economists.ge
2. www.manajment.ge
3. www.strategy.ge
4. www.pbo.ge

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობა საქართველოში

მარიამ მთიულიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლია ბიბილაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საწარმოთა ურთიერთობის ქსელში მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებასა და დასაქმების ზრდაში. მცირე საწარმოები ქმედით როლს თამაშობენ სიღარიბის დაძლევაში. ისინი მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებული არიან ადგილობრივ ბაზრებზე. მცირე და საშუალო საწარმოების სტაბილური და კომბინირებული ურთიერთობები და მსხვილ და გლობალურ საწარმოებთან მათი კონკურენტუნარიანობა არის საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობისა და სარგებლის ზრდის წინაპირობა, რომელიც ღირებულების ზრდის სახელითაა ცნობილი.

ღირებულებათა ზრდის ჯაჭვი აერთიანებს მიმწოდებლების, მწარმოებლებისა და მომხმარებლების მიერ საბოლოო პროდუქტის შექმნისა და მოხმარების მთელ პროცესს. ამ სისტემაში თითოეული რგოლის ღირებულების ზრდა დამოკიდებულია მეორეზე და მათი რაციონალური და ეფექტური კავშირები მიმართულია ერთობლივი ძალისხმევით ხარჯებისა და რისკების შემცირებისა და პროდუქტისა და მოხმარების გაზრდისაკენ. ეს არის ვერტიკალური და ჰიროზონტალური კავშირების ქსელი, სადაც პარტნიორული ურთიერთობების გზით იზრდება როგორც თითოეული რგოლის სარგებელი, ისე სტაბილური ხდება მათი საქმიანობა. ცალკე საწარმო ვერ იქნება წარმატებული, თუ იგი გაერთიანებული არ არის კარგად კოორდინირებულ ღირებულებათა ზრდის მთლიან ჯაჭვში, დაწყებული ნედლეულის შეძენიდან, დამთავრებული პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციით და მისი შემდგომი სერვისების მიწოდებით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება დღევანდელ ეტაპზე ორიენტირებულია მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გაღრმავებაზე. ამ მიზნით ხორციელდება ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება, რაც პირდაპირ ზემოქმედებს კონკურენციის განვითარებასა და ურთიერთდაკავშირებულ საწარმოთა ქსელის განვითარების პროცესზე.

როგორც ემპირიული დაკვირვებები ცხადყოფენ, დღეს საქართველოში ბიზნეს-ერთეულებს არ აქვთ ბაზარზე შესვლის პრობლემები. მიუხედავად ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ღირებულებათა შექმნის მთლიან ჯაჭვში კვლავ უმნიშვნელოა ბიზნესის შემზღუდველი მრავალი იმ ფაქტორის გამო, რომლებმაც ვერ შეუწყვეს ხელი და შეზღუდეს პროდუქციისა და მომსახურების განვითარება.

საქართველოში 90-იან წლებში მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრის მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ აქცენტი გააკეთა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაზე და 1996 წელს პარლამენტის მიერ მიღებული სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებების კონცეფციაში მცირე და საშუალო მეწარმეობა აღიარებულ იქნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებად. 1999 წლის 23 ივლისს კი მიიღეს კანონი „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც შემდეგ, 2006 წლის 24 მაისს, გაუქმდა.

2003 წლის ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში საფუძველი ეყრება ე.წ. „რადიკალურად ლიბერალური“ ეკონომიკის პრინციპების განხორციელებას, რომლის თანახმადაც, ეკონომიკის ყველა სექტორი იმართება მხოლოდ თავისუფალი საბაზრო კანონების თანახმად და სახელმწიფო არც ერთ სექტორს არ ანიჭებს პრიორიტეტს.

დღეს საქართველოში ეკონომიკური ზრდა ძირითადად მსხვილი საწარმოების წილად მოდის და მზარდი ტენდენციაც აქვს. რაც შეეხება მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობასა და ეფექტიანობას, დაბალია და მცირდება. ისინი სუსტადაა განვითარებული.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის ძირითადი სეგმენტია: ვაჭრობა, მრეწველობა, რესტორნები, ფინანსური შუამავლობა და სხვ. დასაქმების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში მცირე და საშუალო მეწარმეობა. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი. მცირე ზომის ფერმები აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 82%-ს და თითო ფერმერზე საშუალოდ მხოლოდ 0.88 ჰა მიწა მოდის. აქედან მხოლოდ 8-10% არის ორიენტირებული ბაზარზე გასაყიდად, დანარჩენი შინამეურნეობების შიდა მოხმარებისათვის არის

განკუთვნილი. დიდი ზომის ფერმები აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 10%-ს, რომელიც რეალიზდება ბაზარზე. ეს გარემოება ადასტურებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მთლიანად დაფუძნებულია მცირე და საშუალო ზომის მეწარმეობაზე, რაც ხასიათდება დაბალეფექტიანობით და შესაბამისად, დაბალკონკურენტუნარიანიცაა, ხოლო მათი ღირებულების შემდგომი ზრდა ძალიან შეზღუდულია.

2005 წლიდან დაწყებული ხელისუფლებამ რადიკალურად გააუმჯობესა საქართველოს საინვესტიციო კლიმატი, ახალი სამეწარმეო კანონების შემოღებით კი გაამარტივა ბიზნესის რეგულირება. რეფორმები ძირითადად შეეხო საწარმოთა რეგისტრაციის გამარტივებას. აქცენტი გაკეთდა ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეგულირების ზედმეტი ხარჯების შემცირებაზე. ბიზნესის დაწყებისათვის ხარჯები და რეგისტრაციის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 10-ჯერ შემცირდა მოთხოვნა მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე. ბიზნესის რეგისტრაციის დელეგირება სასამართლოებიდან და ნოტარიუსიდან მოხდა საგადასახადო დეპარტამენტზე და შეიქმნა ვაჭრობის, გადასახადებისა და დასაქმების „ერთი სარკმლის“ პრინციპით რეგისტრაციის პირობები.

2005 წელს ამოქმედდა ლიცენზირების ახალი კანონი, რომელმაც 150 ლიცენზია და ნებართვა დატოვა, ნაცვლად ადრე არსებული 950-სა, რაც იყო ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებისაკენ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საგრძნობლად შემცირდა ლიცენზირების პროცედურა და მისი გაცემის ვადაც.

ამ და სხვა ინსტიტუციურმა რეფორმებმა შეზღუდა ბიზნესში ხელისუფლების ჩარევა, ბიუროკრატიზმი და კორუფცია. ამან შეამცირა ტრანსაქციული ხარჯები და საქართველო გახდა ბიზნესში ერთ-ერთი წარმატებული რეფორმატორი ქვეყანა. 2008 წლის „ბიზნესის კეთების“ მოხსენების თანახმად, საქართველომ 112 ადგილიდან მე-15 ადგილზე გადაინაცვლა. მეწარმეებს გაუმარტივდათ ბაზარზე შესვლის ინსტიტუციური პირობები. ყოველივე ამის შედეგად 2005-2008 წლებში მკვეთრად გაიზარდა მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა, რადგან გამარტივდა ბიზნესის დაწყება და შემცირდა დანახარჯები.

საქართველოში მცირეა იმ საწარმოების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ ექსპორტსა და იმპორტს. მათი უმრავლესობა ადგილობრივი მნიშვნელობისაა. როგორც გამოკვლევები ადასტურებენ, მეწარმეებისათვის არასატარიფო ბარიერები არ წარმოადგენს ტვირთს, რაც განპირობებულია ექსპორტის ბუნებით. მცირე და საშუალო მეწარმეები ძირითადად ეწევიან სოფლის მეურნეობის - ხილის, თხილის, ბოსტნეულის, აგრეთვე, ფერადი ლითონებისა და ჯართის ექსპორტს, მანქანების, სამრეწველო ტექნიკისა და სხვა მცირე საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტს. ამ პროდუქტების ღირებულების ზრდის პროცესი მოკლე ციკლს მოიცავს. საქართველოდან ექსპორტი ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ ბუნებრივ რესურსებითა და ნედლეულით. ევროკავშირში ექსპორტირებული მხოლოდ ორი აგროსამრეწველო პროდუქცია, ღვინო და თხილი, შეესაბამება სანიტარული და ფიტოსანიტარული შესაბამისობის სერტიფიკატის მოთხოვნებს. სამრეწველო პროდუქცია მხოლოდ ფიზიკური სახით იწარმოება. საწარმოები გადამუშავებული საბოლოო პროდუქციის მიწოდების ნაცვლად ახდენენ ფიზიკური პროდუქციის მიწოდების მომსახურებას. უცხოელი პარტნიორები კი უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან ლოგისტიკურ მომსახურებას და სერტიფიცირებას. მთავარი მიზეზი, რის გამოც ქართული კომპანიები ვერ ახდენენ ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში, არის ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტის უქონლობა. მეწარმეებისათვის ძირითადი ბარიერი არის საქონლის დაბალი ხარისხი, უცხოურ ბაზრებზე გასვლის სირთულე, მარკეტინგული უნარ-ჩვევების ნაკლებობა და სხვ.

ღირებულების ზრდის პროცესზე კონკურენტუნარიანობის ზემოქმედების ზრდა მოითხოვს ფინანსურ დისციპლინას მიმწოდებლების, კრედიტორების და საგადასახადო სამსახურების მხრიდან. კანონის უზენაესობა კი ხელს უნდა უწყობდეს ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის ზრდას, მესაკუთრეობის განვითარებას. ეს საკითხები რეფლექსურად აისახა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაზე და აღნიშნული ბარიერების გადალახვა არის ღირებულების ზრდის მთელი ქსელის განვითარების საწინდარი.

2007-2009 წლებში ხელისუფლებამ ბიზნესის მხარდამჭერი მნიშვნელოვანი პროგრამები განახორციელა. ფერმერების დასახმარებლად 2007 წელს დაიწყო 100 ახალი საწარმოს პროგრამის განხორციელება. იგი ითვალისწინებდა ექსპორტზე ორიენტირებული დარგების, ძირითადად რძის და რძის პროდუქტების საწარმოების დაფინანსებას, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და ახალი საწარმოების ამუშავების გზით სოფლად მოსახლეობის დასაქმების და შემოსავლების გაუმჯობესებას.



შემუშავდა „იაფი კრედიტის“ პროექტი სოფლის მეურნეობაში ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების დასაფინანსებლად. მათი განვითარება ხელს უწყობდა მცირე ფერმერების, როგორც ნედლეულის მიმწოდებლების, მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამდენად, ეს პროექტები ფაქტობრივად ჯაჭვურად აძლევდა სარგებელს ღირებულების ზრდაში მონაწილე საწარმოებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მცირე მეწარმეობის განვითარებაზე პირდაპირი ზემოქმედება არც ინსტიტუციურად და არც ფინანსურად არ ხორციელდებოდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან სახელმწიფო, მცირე და საშუალო მეწარმეები, მსხვილი ბიზნესი, მუნიციპალიტეტები, ასოციაციები და სხვ. თითოეულ მათგანს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, მის ჩართვას ღირებულებათა შექმნის ქსელში, იზრუნოს ღირებულების ზრდის ხელისშემშლელი ბარიერების აღმოფხვრასა და სტაბილურობის გაძლიერებას.

სახელმწიფო ძირითადი ინსტიტუციური ცვლილებებით და სახელმწიფო პროგრამებით უნდა უზრუნველყოფდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობას. ამჟამად ქვეყნის კანონმდებლობაში არ არის განსხვავებული მცირე და საშუალო მეწარმეობა მსხვილი ბიზნესისაგან და არ არის არც ერთი ნორმატიული აქტი, რომელიც უპირატესად მცირე და საშუალო მეწარმეობას და მათი პრობლემების გადაჭრას შეეხებოდა. საქართველოში არსებობს უნიფიცირებული სისტემა, სადაც მცირე და საშუალო მეწარმეობა მსხვილ მეწარმეობასთან ერთად მოგების ერთნაირი დასაბეგრი რეჟიმით განისაზღვრება. მხოლოდ ის მეწარმეები, რომელთა წლიური შემოსავალი 100 ათას ლარს ან უფრო ნაკლებს შეადგენს, განთავისუფლდნენ დღგ-ის გადასახადიდან. მაგრამ ასეთი მხოლოდ მცირე მეწარმეების ნაწილია, რადგან კანონმდებლობით მცირე საწარმოებად ითვლება ის, რომლის შემოსავალი 500 ათას ლარზე ნაკლებია. ამდენად, ეს ზღვარი ძალიან დაბალია იმისათვის, რომ მცირე მეწარმეობას ჰქონდეს საგადასახადო ხელშეწყობა.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს საომარი კონფლიქტისა და ფინანსური კრიზისის შედეგად საწარმოების მდგრადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი გახდა სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი ღონისძიებების ინიცირება. დღეს მცირე და საშუალო საწარმოები სახელმწიფოსაგან მხოლოდ „რბილ“ მხარდაჭერას იღებენ, რაც არასაკმარისია მათი კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად. „რბილი“ მხარდაჭერა მხოლოდ სეგმენტირებულ სფეროებში განხორციელდა, მას არასისტემატური ხასიათი აქვს. მხარდაჭერის სხვა ეფექტური და სისტემატური ფორმები, ანუ, მაგალითად, საგადასახადო შეღავათები, არ ყოფილა გამოყენებული.

პრობლემების გასანეიტრალებლად სახელმწიფო ქვეყანაში დროებით ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებს. იგი მოკლევადიან შედეგებზეა ორიენტირებული და მიმართულია ერთი დარგიდან მეორეზე ეკონომიკური სარგებლის გადანაწილებისაკენ. ქვეყანაში არ არის შექმნილი ხანგრძლივი ეკონომიკური სტრატეგია და კომპლექსური პროგრამა იმისათვის, რომ დაიცვას მეწარმეობა, არ გამოიყენება დაზარალებულ სექტორებში ისეთი ეფექტური ინსტრუმენტები, როგორიცაა წამახალისებელი საგადასახადო შეღავათები და სტიმულები, რის გამოც ეს ინსტრუმენტები მოკლე პერიოდში კარგავენ მნიშვნელობას, ხოლო მათგან მიღებული სარგებელი კი უმნიშვნელო ხდება მცირე მეწარმეობის გაფართოებისათვის.

სახელმწიფოსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, როგორც საგადასახადო, ისე პროგრამული ინიციატივების სახით, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური საფუძველი უნდა იყოს.

მსხვილი საწარმოები მცირე ბიზნესის განვითარების საბაზრო შესაძლებლობებს მხოლოდ მაშინ წარმოქმნიან, თუ ისინი წარმოადგენენ ე.წ. „დივერსიფიცირებულ კორპორაციებს“ და იყენებენ მცირე ბიზნესის უპირატესობებს (მაგალითად, საგადასახადო შეღავათებს) და სხვადასხვა მიდგომით („აუტსორსინგი“, სტრატეგიული ალიანსი, დროის თვალსაზრისით კონკურენცია, ხარჯების ხელსაყრელი მენეჯმენტი, „რეინჯინერინგი“ და სხვ.) აძლიერებენ პარტნიორობას მცირე და საშუალო ბიზნესთან.

ღირებულებათა ზრდის პროცესში პარტნიორობა არის კარგი გარანტი იმისათვის, რომ განხორციელდეს დაფინანსება და გაძლიერდეს ფინანსური ნაკადები ღირებულების ზრდის ერთი ჯაჭვიდან მეორეზე, რაც ფინანსური ინსტიტუტებისათვის მთლიან ჯაჭვს გახდიდა მიმზიდველს. ფინანსურ ინსტიტუტებსა და ღირებულების ზრდაში მონაწილე აგენტებს შორის ხიდის გადება და ღირებულების ზრდის პირდაპირი დაფინანსება არის მეწარმეთა რისკების შემცირებისა და ფინანსური ნაკადების ინტენსიფიკაციის გზა, სადაც მონაწილეობს მყიდველი, ვაჭარი, მწარმოებელი და ბაზრის სხვა სუბიექტი. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ღირებულების ზრდის დაფინანსების არაპირდაპირი გზა შეიძლება ბანკებისა და მსხვილი საბითუმო ვაჭრების მონაწილეობით განხორციელდეს. ეს პროცესები საქართველოში მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარებაში არსებული ბარიერების გადალახვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც მეწარმეთა ბიზნეს-ასოციაციების ფორმირება და განვითარება, ასევე ის ინსტიტუტები, რომლებიც დაეხმარებიან მეწარმეებს განათლების, ინფორმაციისა და სხვა მომსახურების მიღებასა და გაცვლაში. როგორც გამოკვლევები ცხადყოფს, რჩევებისთვის მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები იშვიათად მიმართავენ ბიზნესასოციაციებს. მართალია, არსებობს მოთხოვნა ბიზნეს-ასოციაციებზე, მაგრამ აქ მეწარმეები არ წევრიანდებიან, ვინაიდან მოქმედი ასოციაციები სასურველ მომსახურებას არ სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს - ან ამ მომსახურების ხარისხია დაბალი, ან საფასურია მაღალი. ბიზნესასოციაციების მეშვეობით მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება შესაბამისი მომსახურების მიღებით, აგრეთვე, ლობისტური კამპანიის წარმოება უკეთესი გარემოს შესაქმნელად. ბიზნესს-ასოციაციებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ საწარმოთა ზრდას. ამდენად, აუცილებელი ხდება ბიზნეს-ასოციაციების სრულყოფა და დახმარების გაწევა, რაც ხელისუფლებასთან ერთად დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების პრეროგატივა უნდა იყოს.

საქართველოში ეკონომიკის სტრუქტურის სუსტი მხარეა ის, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ვერ ასრულებენ ეკონომიკის ქმედითი მამოძრავებელი ძალის როლს, მათი შრომის მწარმოებლურობა დაბალია და ბოლო წლებში მათი წილი მშპ-ში შემცირდა. საქართველოს ეკონომიკის გენერატორი მსხვილი ბიზნესია, რომელიც სუსტად არის დაკავშირებული მცირე და საშუალო საწარმოებთან.

ნაშრომში მცირე და საშუალო მეწარმეობაში ღირებულების ზრდის შემაფერხებელი ძირითადი მიზეზები დახასიათებულია, როგორც ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ასევე ინსტიტუციური ფაქტორების კუთხით.

ინსტიტუციური თვალსაზრისით, ავტორის აზრით, საწარმოების დაბალ კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს გადასახადების, რეგულირების და საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებული ტრანსაქციული ხარჯები. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მართალია საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ბიზნეს-გარემო უმჯობესდებოდა და ხელისუფლება ზრუნავდა სამართლებრივი, საგადასახადო, საბაჟო და საერთოდ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, მაგრამ სამეწარმეო გარემოზე მათი ზემოქმედების დადებითი მუხტი ხშირად ნეიტრალდებოდა იმ ინსტიტუციური და ადმინისტრაციული ქმედებებით, რომლებიც თრგუნავდა მეწარმეობას და შესაბამისად, ზრდიდა საწარმოების დანახარჯს. ამასთან, მცირე ბიზნესის სამეწარმეო ინტერესები არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ფისკალურ პოლიტიკაში.

ეკონომიკურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ცუდი მობილიზება და მათი კოლექტიური ძალისხმევის არგამოყენება აფერხებდა ინვესტიციების ზრდას, საწარმოების ლოგისტიკის მდგომარეობა და ხარჯების არსებული პოლიტიკა მოითხოვდა მათი მენეჯმენტის მნიშვნელოვან გარდაქმნას, ხოლო გლობალური ტენდენციების გაძლიერება და ქვეყანაში ადამიანთა რესურსების ნაკლებობა ამწვავებდა მეწარმეობის პრობლემებს და მცირე ბიზნესის ღირებულებათა განვითარების ჯაჭვი განუვითარებელი რჩებოდა.

მცირე და საშუალო საწარმოების ანალიზისას ვფიქრობ რომ ღირებულების შექმნაში მონაწილე ყველა დაინტერესებული პირის - ცენტრალური ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და მუნიციპალიტეტების, მსხვილი მეწარმეების, ბანკირების და ასოციაციების პარტნიორულ თანამშრომლობაზე, ნდობასა და რაციონალურ მეწარმეობაზე არის დაფუძნებული ღირებულების სოცოცხლისუნარიანობის ზრდის პროცესი.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.epn.ge/old/archives/6429
2. www.nplg.gov.ge/.../library.exe?
3. www.mof.ge/ViewFile.aspx?Id=64
4. www.radiotavisupleba.ge/.
5. www.ctc.org.ge/news/254
6. geostat.ge

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა და სტატისტიკური მაჩვენებლების როლი ბიზნესის მართვაში

ბექა ნაოჭაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ნანული ქოქაშვილი,** პროფესორი

დღევანდელ ბიზნეს გარემოში გადაწყვეტილებების სისწორე სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული ინფორმაციაზე, რომლის ანალიზისთვისაც საჭიროა სტატისტიკური უნარ-ჩვევები, მონაცემების შეგროვება და აღწერა, შერჩევის და ექსპერიმენტების მომზადება, სტატისტიკური დასკვნების და გადაწყვეტილებების გამოტანა და მათი სანდოობის შეფასება, კორელაციურ–რეგრესიული ანალიზის მეშვეობით მომავალი შედეგების დაგეგმვა და შეფასება. მენეჯერმა უნდა გამოიყენოს ყველა ეს შესაძლებლობა, რათა მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება.

სტატისტიკური მეცნიერების თანამედროვე მეთოდები ფართოდ გამოიყენება ბიზნესის მართვის სფეროში. მენეჯერს სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლია:

- აღწეროს და წარმოადგინოს ინფორმაცია;
- შეიქმნას წარმოდგენა პოპულაციის შესახებ;
- წარმოადგინოს მომავლის სანდო პროგნოზი;
- გააუმჯობესოს ბიზნეს პროცესები.

მოსახლეობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშების ძირითადი მიზანია ქვეყნის კონკრეტულ ტერიტორიაზე, კონკრეტულ დროში ფორმირებული დემოგრაფიული სიტუაციის, მისი განვითარების შესწავლა.

სოციალურ-დემოგრაფიული სტატისტიკა, როგორც სტატისტიკური მეცნიერების უძველესი დარგი, შეისწავლის მოსახლეობისა და მისი განვითარების კანონზომიერებებს საზოგადოების განვითარების კონკრეტულ პირობებში.

მოსახლეობა ადამიანთა ერთობლიობაა, რომელიც საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია გეოგრაფიულ გარემოსა და მატერიალური დოვლათის წარმოებასთან ერთად. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაზე, სტრუქტურასა და დინამიკაზე, ჯანდაცვის

მდგომარეობასა და განათლების დონეზე დიდადაა დამოკიდებული საზოგადოებაში მატერიალური და სულიერი დოვლათის წარმოების განვითარება. ამიტომ სტატისტიკა შეისწავლის მოსახლეობის რიცხოვნობას, შემადგენლობას (სტრუქტურას), აგრეთვე, დინამიკას დროსა და სივრცეში.

მოსახლეობის, როგორც რთული ერთობლიობის შესწავლა, შეუძლებელია მისი სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფების გარეშე. მოსახლეობის სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლებიდან გამოყოფენ დემოგრაფიული პროცესებისა და სიტუაციების შეფასებისა (რომელიც შექმნილია კონკრეტულ ტერიტორიაზე, კონკრეტულ დროსა და სივრცეში) და მათი მომავალში განვითარების (პროგნოზირებას) შემდეგ მახასიათებლებს:

დემოგრაფიული სიტუაციების მახასიათებლებია:

1. მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები.
2. მოსახლეობის შემადგენლობის (სტრუქტურის) მაჩვენებლები.
3. მოსახლეობის განახლებისა და მიგრაციის მაჩვენებლები.

ბუნებრივია შეიძლება დაიბადოს კითხვა - რა საჭიროა სოციალურ-დემოგრაფიული გარემოს შესწავლა ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის განვითარებისათვის? ეკონომიკა, ბიზნესი და მენეჯმენტი ხალხის ნორმალური ცხოვრებისა და განვითარებისათვისაა საჭირო. ამიტომ მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობის, დინამიკის, ამ საფუძველზე მოთხოვნა-მიწოდების განვითარების, აგრეთვე, ცხოვრების დონის, შემოსავლების, დანახარჯების, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის და ქვეყანაში იურიდიულ-ეკონომიკური სამართლიანობის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და მენეჯერული და ბიზნეს გადაწყვეტილების მიღება.

ამის გარდა, სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია, ბიზნეს გარემოს ერთერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. აქ განიხილება ბიზნესის განვითარების გარემოს განმსაზღვრელი ისეთი საკითხები, როგორიცაა მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, აქედან გამომდინარე ბიზნესისათვის საჭირო შრომითი რესურსები, ცხოვრების დონე და სამუშაო ძალის ღირებულება, სოციალური ინფრასტრუქტურა (განათლება, ჯანდაცვა, საკანონმდებლო ბაზა და სამართლიანობის სტატისტიკის ინდიკატორები) და სხვ.

მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლა მისი რიცხოვნობის შესწავლით იწყება. მოსახლეობის რიცხოვნობის ინფორმაციული წყაროებია, პირველ რიგში, საყოველთაო აღწერები და შემდგომ, აღწერათაშორის პერიოდებში, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის აღრიცხვის მაჩვენებლები. მოსახლეობა ხასიათდება ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა მუდმივი, სახეზე მყოფი, დროებით მცხოვრები და დროებით წასული მოსახლეობა. მუდმივ მოსახლეობას მიეკუთვნება ის პირნი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ, ხოლო სახეზე მყოფთ – ვინც აღწერის კრიტიკულ მომენტში იმყოფებიან (მიუხედავად იმისა, ისინი ცხოვრობენ მუდმივად თუ არა, მოცემულ დასახლებულ პუნქტში). დროებით მაცხოვრებლებს მიეკუთვნება სახეზე მყოფი მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც დროებით ცხოვრობენ მოცემულ ტერიტორიაზე, მაგრამ მუდმივი საცხოვრებელი გააჩნიათ სხვა ტერიტორიაზე. მაშასადამე, მუდმივ საცხოვრებელზე ისინი ჩაითვლებიან დროებით წასულ მოსახლეობად. თუ სახეზე მყოფთ დავუმატებთ დროებით წასულ და გამოვაკლებთ დროებით მაცხოვრებლებს, მივიღებთ მუდმივ მოსახლეობას. მოსახლეობის რიცხოვნობის საფუძველზე სტატისტიკა ანგარიშობს მოსახლეობის საშუალოწლიურ სიდიდეს, აგრეთვე, სტრუქტურას და დინამიკას.

მოსახლეობის რიცხოვნობის სტრუქტურა, ანუ შემადგენლობა შეისწავლება სხვადასხვა ნიშნით. მათ შორის მნიშვნელოვანია ეთნიკური (ეროვნება, მშობლიური ენა), დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა), სოციალური (კლასობრივი შემადგენლობა), ეკონომიკური და პროფესიული.

ისტორიული წყაროების მიხედვით სტატისტიკური ცნობების მოპოვება საქართველოში XIII საუკუნიდან იწყება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კერძოდ კი 1990-იან წლებში საჭირო გახდა დაკვირვების მთელი ინსტრუმენტარიუმის ძირეული ცვლილება, ინფორმაციის მოპოვების განსხვავებული, ალტერნატიული წყაროების ფორმირება. მნიშვნელოვანი გახდა საბაზრო ეკონომიკის მახასიათებელი ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა. 1991–1995 წლებში ჩვენს ქვეყანაში სტატისტიკურ საქმიანობას აწარმოებდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ–ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი. ხოლო სტატისტიკურ სამუშაოთა სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი სტატისტიკის შესახებ. 1995 წელს ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სტატისტიკის განვითარების სახელმწიფო ფონდი. 1995–1997 წლებში სტატისტიკურ საქმიანობას ახორციელებდა საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი; 1997-2004 წლებში - საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. 2003 წელს სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეუერთდა. შესაბამისად,

სტატისტიკურ საქმიანობას აღნიშნული თარიღიდან 2009 წლის 11 დეკემბრამდე ახორციელებდა როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი. 1998 წლიდან 2009 წლის დეკემბრამდე მოქმედებდა 1997 წელს მიღებული კანონი "სტატისტიკის შესახებ".

დღეს საქართველოში სტატისტიკურ საქმიანობას დამოუკიდებელი სტრუქტურა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების გათვალისწინებით ახორციელებს. მისი ფუნქციონირების სამართლებრივ ბაზას 2009 წლის 11 დეკემბრიდან წარმოადგენს საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ". საქსტატის საქმიანობა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს.

1. *პროფესიული დამოუკიდებლობა* - სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ან/და დაინტერესებული ჯგუფების გავლენისაგან დამოუკიდებლად;

2. *ობიექტურობა* - სტატისტიკის წარმოებისას და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელებისას დაცული უნდა იქნეს სისტემატურობა, საიმედოობა და მიუკერძოებლობა, რაც გულისხმობს სტატისტიკის წარმოებას პროფესიული და ეთიკური სტანდარტების საფუძველზე, აგრეთვე განხორციელებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გამჭვირვალობას, ყველა მომხმარებლისათვის სტატისტიკური მონაცემების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

3. *სანდოობა* - სტატისტიკის წარმოება უნდა განხორციელდეს სწორად, ზუსტად და თანამიმდევრულად, რაც გულისხმობს სტატისტიკური სტანდარტების, მეთოდოლოგიისა და რესურსების შესარჩევად სამეცნიერო კრიტერიუმების გამოყენებას, აგრეთვე სტატისტიკის წარმოებისათვის გამოსაყენებელი მეთოდოლოგიის საჯაროობას;

4. *სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალურობა* - დაცული უნდა იქნეს დაკვირვების ერთეულთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა სტატისტიკური მიზნით, ადმინისტრაციული თუ სხვა წყაროებიდან. აკრძალულია ამ ინფორმაციის არასტატისტიკური მიზნით გამოყენება ან მისი უკანონოდ გავრცელება;

5. *ეფექტიანობა* - სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯი უნდა იყოს შედეგის მნიშვნელობისა და მიღებული სარგებლის პროპორციული. [1]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ძირითადი ფუნქციაა შეუფერხებლად მიაწოდოს სასარგებლო, მაღალი ხარისხის ინფორმაცია საზოგადოებას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ანალიტიკოსებს და პოლიტიკოსებს, როგორც სამთავრობო წრეებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკური ინფორმაციის ყველა მომხმარებლისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება; მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, თავისი მასშტაბითა და შინაარსით, წარმოადგენს უნიკალურ საინფორმაციო წყაროს, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. ცალკეული კონკრეტული კვლევების პირობებში შესაძლებელია მოსახლეობის შესახებ სხვადასხვა მაჩვენებლების მიღება და სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტა, მაგრამ, როდესაც მოსახლეობის სტატისტიკურ აღწერას აწარმოებენ, გამოყოფენ მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის შემდეგ ძირითად ამოცანებს:

1. მოსახლეობის რიცხოვნობისა და მისი ქვეყნის ტერიტორიების მიხედვით განლაგების განსაზღვრა.

2. მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის (შემადგენლობის) სხვადასხვა ნიშნებით შესწავლა:

- დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა),
- ეთნიკური (ეროვნება, მშობლიური ენა),
- განათლების პროფესიული საქმიანობისა და სხვა.

3. მოსახლეობის მიგრაციის შესწავლას.

4. მოსახლეობის სოციალური მახასიათებლების განსაზღვრას.

საქართველოში მოსახლეობის მორიგი საყოველთაო აღწერა 2014 წელს ჩატარდა. ამისათვის ჯერ კიდევ 2014 წლის მარტის თვიდან დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც თითოეული დასახლების მიხედვით შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები ოჯახების სიების შედგენას ითვალისწინებდა. ამისთვის საქსტატმა მოამზადა 389 რეგისტრატორი, საყოველთაო აღწერის მოსამზადებელ სამუშაოებზე დაახლოებით 4 ათასი ადამიანი დასაქმდა. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის აღწერის

საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით 2014 წლის 5-19 ნოემბერს დაიგეგმა. ამ მიზნისთვის შეირჩა 15 ათასამდე ადამიანი, რომელსაც მოსახლეობა სპეციალური კითხვარების მეშვეობით ინდივიდუალურად უნდა გამოეკითხა.

2014 წლის 5 ნოემბრიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა დაიწყო. აღწერის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით 15 დღის განმავლობაში გაგრძელდა და 19 ნოემბერს დასრულდა. აღწერის შედეგად მიღებული იქნება უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საარსებო წყაროების, საცხოვრისებისა და სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ. სასოფლო სამეურნეო აღწერის მეშვეობით მიიღება მონაცემები შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მუნიციპალიტეტებისა და მცირე ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე.

,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, აღწერის შედეგად მოპოვებული ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება გამჟღავნებას. [2]

ვფიქრობთ, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელებული სტატისტიკური კვლევები აქტიურად შეიძლება იქნას გამოყენებული ცალკეული ბიზნესების და მენეჯერების მიერ.

მოსახლეობის აღწერის პირველადი მონაცემები 2015 წლის აპრილში, ხოლო საბოლოო 2016 წლის აპრილში გამოქვეყნდება.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ხმალაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა „მერიდიანი", თბ., 2011.
2. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ", 2009 წლის 11 დეკემბერი.
3. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=31&lang=geo
4. http://www.geostat.ge/?action=news&lang=geo&npid=809

გადაზღვევის როლი და მნიშვნელობა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე

რუსუდან სუხიტაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით ჭიოტაშვილი,** პროფესორი

დაზღვევა საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. გარდა იმისა, რომ იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა ხასიათის უბედური შემთხვევებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, იგი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან საზომს წარმოადგენს. თანამედროვე ეტაპზე სადაზღვევო სფეროს განვითარების გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ ქვეყნის განვითარებასა და მაღალ დონეზე; რადგან იგი ერთი მხრივ, ხალხის კეთილდღეობასა და ბიზნესის დამცველ საშუალებად გვევლინება, მეორე მხრივ კი, თავისი საქმიანობით საკუთარი შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფს. ასე რომ, მისი განვითარება ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარება ფართო მასშტაბებით სათავეს იღებს 1997 წლიდან. სწრაფად იზრდება, როგორც მზღვეველთა მიერ სადაზღვევო პრემიების მოცულობა ასევე სწრაფად ფართოვდება საბაზრო ურთიერთობებში მონაწილე სადაზღვევო მომსახურებათა ჩამონათვალი, მაგრამ მიუხედავად ამისა გლობალურ სადაზღვევო დაცვაზე საუბარი ჯერ სამწუხაროდ ძალიან ადრეა.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხშირ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიების მოცულობა არ არის საკმარის რისკების დაბალანსებული პორთფელისათვის.

მაგალითად, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფუნქციონირებადი ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიის რისკების პორთფელში შეიძლება მოხვდეს ისეთი სადაზღვევო რისკი როგორიცაა სასტუმრო ,,შერატონ ბათუმი პალასი", რომლის სადაზღვეო ღირებულება შეადგენს 150 000 000 ევროს. იმის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო ბაზარზე ფუნქციონირებადი სადაზღვევო კომპანიების მიერ მობილიზებულმა სადაზღვევო პრემიების მოცულობა ბევრად ნაკლებია. აღნიშნულ რისკს შეუძლია გაკოტრებამდე მიიყვანოს ნებისმიერ სადაზღვევო კომპანია. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად გვევლინება გადაზღვევა.

სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ დამოუკიდებელ სახედ გადაზღვევა ჯერ კიდევ XIX-საუკუნის შუა ნახევარში იღებს სათავეს, როცა 1846 წელს დაფუძნდა პირველი პროფესიონალი გადამზღვევი ,,კიოლნის გადაზღვევის საზოგადოება".

ტერმინი გადაზღვევა გამოტანილ იქნა ინგლისის სასამართლოს მიერ 1907 წელს.

გადაზღვევა ეს არის ახალი დამოუკიდებელი დაზღვევა, რომელიც წარმოიქმნება ახალი დამოუკიდებელი ხელშეკრულებით, რომელიც დაკავშირებულია ძველ ხელშეკრულებასთან და ითვალისწინებს მზღვეველის დაცვას აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში.

პირდაპირ მზღვეველისათვის გადაზღვევის საჭიროება დგება იმის გათვალისწინებით, რომ:

- დაცული იყოს გაკოტრებისაგან მსხვილი და კატასტროფული რისკების შემთხვევაში;
- მაქსიმალურად შეზღუდოს საკუთარი ზარალის წლიური მერყეობა;
- როდესაც არ გააჩნია შეთავაზებული რისკის ასაღებად საჭირო საკუთარი ფინანსური რესურსები;
- როდესაც პირდაპირი მზღვეველის სადაზღვევო რისკების პორტფელი არაჰომოგენურია, ანუ დაუბალანსირებელი;

თუ რა მოცულობით, რა სახით და რა ფორმითაა საჭირო გადაზღვევა, ეს საკითხი თითოეული სადაზღვევო კომპანიის მენეჯმენტის გადასაწყვეტია და საბოლოო არჩევანი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე როგორებიცაა:

- რისკის აღების სურვილი;
- მზღვეველის ფინანსური სიმძლავრე;
- ბაზრის პრაქტიკა;

სადაზღვევო ბაზარზე გადაზღვევის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამომდინარეობს მის მიერ განხორციელებული შემდეგი ძირითად ფუნქციებიდან:

1. უზრუნველყოფს პირდაპირი მზღვეველის ფინანსურ მდგომარეობას, რათა მათ შესძლონ ნებისმიერი სადაზღვევო რისკის საკუთარ თავზე აღება;
2. უზრუნველყოფს პირდაპირი მზღვეველის მიერ დასაზღვევად მიღებული რისკების მეორად განაწილებასა და გადანაწილებას;
3. იცავს და სტაბილურს ხდის მზღვეველის წლიურ ბალანსს, განსაკუთრებით რისკის მერყეობის, ცვალებადი რისკისა და შეცდომითი რისკის შემთხვევაში;
4. მონაწილეობს პირდაპირი მზღვეველის საგადასახადო დაგეგმვაში;
5. მონაწილეობს პირდაპირი მზღვეველის დამატებითი სადაზღვევო აქტივების შექმნის პროცესში;
6. აუმჯობესებს პირდაპირი მზღვეველის გადახდის უნარიანობის მაჩვენებლებს;
7. ამაღლებს პირდაპირი მზღვეველის სადაზღვევო მომსახურების ხარისხს;
8. ამცირებს პირდაპირი მზღვეველის გაკოტრების შესაძლებლობებს;
9. ზრდის პირდაპირი მზღვეველის სადაზღვევო სიმძლავრეს;
10. უნაზღაურებს მზღვეველს გადაზღვევის საკომისიოს.

გადაზღვევა თავისთავად ამაღლებს პირდაპირი მზღვეველის საქმიანობის ეფექტურობას:

- აწვდის პირდაპირ მზღვეველს სტატისტიკურ ინფორმაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით;
- უზრუნველყოფს მზღვეველს „ნოუ-ჰაუთი";
- განსაზღვრავს და აფასებს სპეციფიკურ რისკებს;
- კონსულტაციას უწევს ზარალის თავიდან აცილებაში;
- ეხმარება ზარალის განსაზღვრასა და შეფასებაში;
- აწარმოებს აქტუალურ გათვლებს;
- ეხმარება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების დინამიკა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საერთაშორისო გადაზღვევის ოპერაციებზე, განსაკუთრებით ქონებრივ და პასუხისმგებლობის სახეებში. ქვეყანაში არსებული მსხვილი და კატასტროფული რისკები უცილობლად იწვევს გადაზღვევაზე მზარდ მოთხოვნილებას.

წარმოგიდგენთ 2013-2014 წლებში საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფუნქციონირებადი სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულ ჯამურ სადაზღვევო პრემიებს და გადაზღვევის მაჩვენებლებს.

2014 წლის III კვარტლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების მიერ გადაზღვევის საქმიანობით მოზიდული პრემია

შესაძლებელია მონაცემები მცირედით შეიცვალოს, რადგან რამოდენიმე კომპანიაში მიმდინარეობს ინფორმაციის დაზუსტება

* სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი" (ძველი) მონაცემები წარმოდგენილია 2014 წლის 7 თვის ანგარიშგების შესაბამისად

№	სადაზღვევო კომპანიის დასახელება	სიცოცხლის დაზღვევა	სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა)		სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა		ცეცხლის სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)	ქონების დაზღვევა		სულ	
		მოზიდული პრემია	მოზიდული პრემია	გადაზღვევის პრემია	მოზიდული პრემია	გადაზღვევის პრემია	მოზიდული პრემია	მოზიდული პრემია	გადაზღვევის პრემია	მოზიდული პრემია	გადაზღვევის პრემია
1	შპს სადაზღვევო კომპანია "უნისონი"	0	0	0	0	0	53 953	37 647 876	37 642 279	**37 701 829**	**37 642 279**
2	შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია "ირაო"	0	0	0	0	429	0	45 152	43 415	**45 152**	**43 844**
3	სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"	0	1 532	0	0	0	0	38 849	38 471	**40 381**	**38 471**
4	სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი" (ძველი)	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
5	სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი"	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
6	შპს სადაზღვევო კომპანია "აი სი ჯგუფი"	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
7	შპს სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი"	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
8	შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა"	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
9	შპს "ჰსპ დაზღვევა"	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
10	შპს დაზღვევის კომპანია "ქართუ"	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
11	შპს სადაზღვევო კომპანია "ტაო"	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
12	სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო"	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
13	ს.ს. სადაზღვევო კომპანია ჩარტისის საქართველოს ფილიალი	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
14	შპს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა - KAMARA	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
15	ს.ს. სადაზღვევო კომპანია იმედი L	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
16	სს "სადაზღვევო კომპანია კოპენბური"	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
	ჯამი	**0**	**1 532**	**0**	**0**	**429**	**53 953**	**37 731 877**	**37 724 165**	**37 787 362**	**37 724 594**

2013 წლის IV კვარტლის განმავლობაში განხორციელებული სადაზღვევო პრემია (პირდაპირი დაზღვევის საქართველოს, სადაზღვევო ბიზნესი)

შესაძლებელია მონაცემები მცირედით შეიცვალოს, რადგან რამდენიმე კომპანიას მიმდინარეობს ინფორმაციის დაზუსტება

№	სადაზღვევო კომპანიის დასახელება	ნავთობის დაზღვევა		სამოგზაურო დაზღვევა		უბედური შემთხვევის დაზღვევა		საკვლევი (ტექნოლოგიების) დაზღვევა		სამედიცინო საერთაშორისო სპეციალისტთა დაზღვევა (ადრე საერთაშორისო ტრანსპორტი)		სამედიცინო კომპანიების ვალდებულებათა დაზღვევის სამედიცინო პასუხისმგებლობის დაზღვევა		საერთო საერთაშორისო სპეციალისტთა დაზღვევა (ადრეული ტრანსპორტი)		საერთაშორისო სპეციალისტთა ვალდებულებათა დაზღვევის სამედიცინო პასუხისმგებლობის დაზღვევა		მესაფრენო საერთაშორისო სპეციალისტის დაზღვევა (ადრეული ტრანსპორტი)		მესაფრენო საერთაშორისო სპეციალისტთა ვალდებულებათა დაზღვევა სამედიცინო პასუხისმგებლობის დაზღვევა		ტვირთის დაზღვევა		ავტოს დაზღვევა		დანაკარგებისგან		ავტომბილთა მესაკუთრეთა დაზღვევა		საკრედიტო ავტომბილთა დაზღვევა		სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა		სულ	
		კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი	კან პირი პრემია	კან პირი ხელი
1	სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბროკერი"	4 998 036	4 346 441	1 983 929	1 961 440	1 078 640	1 070 058	102 818 588	101 757 614	12 797 437	13 213 712	1 994 998	1 791 486	548 184	73 571	718	179	56 085	22 774	0	0	1 624 446	1 212 218	17 191 623	7 793 774	0	0	1 152 596	847 622	85 747	85 747	1 651 006	1 095 228	151 161 720	136 271 873
2	სს "სადაზღვევო კომპანია ჯეი ეს ეს ჰოლდინგი"	4 261 771	3 483 496	493 956	493 906	641 730	636 776	55 483 559	55 463 615	9 618 432	9 354 935	1 232 463	1 087 445	83 941	32 511	0	0	215 735	158 640	0	0	1 056 709	612 967	7 243 448	1 541 696	439 119	34 258	804 827	211 833	0	0	1 408 213	438 482	82 865 255	73 559 051
3	საქართველოს დაზღვევის ჯგუფი სს "არტმედიცინა ფელიქსი ჯორჯია"	192 863	192 863	457 246	457 246	109 935	109 935	64 460 755	64 460 755	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	65 220 799	65 220 799
4	შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია "ირანი"	177 148	119 943	116 296	116 296	219 531	254 438	40 778 919	40 778 919	2 221 642	2 112 922	478 070	306 953	29 729	20 812	0	0	21 885	15 428	0	0	174 272	288 954	3 495 208	359 684	808 399	45 090	10 304	2 825	0	0	341 225	105 598	49 072 930	44 477 982
5	შპს სადაზღვევო კომპანია "ინსაი ჯორჯია"	142 502	135 325	241 413	241 413	219 405	158 772	36 711 597	36 711 597	2 630 286	2 627 516	251 001	192 332	2 247 585	57 818	2 025 088	47 071	0	0	0	0	124 524	89 727	1 135 644	196 684	178 631	46 557	42 742	24 499	0	0	254 833	136 440	46 305 529	40 666 303
6	შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა"	336 267	336 267	13 554	13 554	84 735	82 445	24 098 192	24 088 192	203 753	164 014	13 505	7 181	442	442	354	354	0	0	0	0	17 945	12 481	19 221	18 328	0	0	0	0	0	0	7 335	7 335	24 795 293	24 680 613
7	შპს სადაზღვევო კომპანია „ოდი ჯორჯია"	0	0	68 485	68 485	50 243	49 759	7 469 376	7 469 376	2 459 132	2 459 132	132 762	121 375	201 948	7 020	328 444	4 560	437 764	26 192	0	0	246 617	220 086	1 363 358	1 224 848	0	0	2 352 967	798 133	6	6	699 946	354 843	15 790 149	13 013 814
8	შპს „ჯეი ესპეციალური დაზღვევა"	2 934 000	2 934 000	222 667	222 667	293 014	291 014	10 391 789	10 391 789	939 686	939 686	88 565	88 565	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	14 869 721	14 869 721
9	შპს სადაზღვევო კომპანია "ეფესი"	0	0	15 743	15 743	66 886	66 886	741 849	741 849	857 946	845 686	177 677	174 783	734 689	754	684 926	5 200	127 651	61 778	25 955	7 205	310 685	205 186	7 007 242	606 288	255 843	57 222	512 486	133 187	0	0	1 443 446	187 384	12 842 399	3 339 231
10	შპს დაზღვევის კომპანია "ტროკე"	4 139	4 139	2 931	2 853	3 534	1 771	11 767 407	11 767 407	73 132	42 969	7 147	3 999	0	0	6 769	714	0	0	0	0	83 774	44 558	1 793	517	6 036	128	0	0	0	0	0	0	11 956 859	11 869 055
11	შპს სადაზღვევო კომპანია "ეკო"	1 487 562	1 487 562	3 618	3 618	13 044	13 044	4 461 189	4 461 189	712 515	712 515	16 273	16 273	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	75 584	75 584	0	0	34 844	34 844	220 431	220 431	0	0	7 025 040	7 025 040
12	სს „ალფდარე დაზღვევა საქართველო"	0	0	4 492	4 492	38 866	10 953	893 641	893 641	263 474	192 822	45 179	29 472	93 672	1 706	957 762	2 788	0	0	0	0	25 145	8 216	606 320	77 981	0	0	43 789	43 789	0	0	70 027	5 745	3 139 727	1 274 586
13	სს. სადაზღვევო კომპანია ჩარტერის საქართველოს ფილიალი	0	0	1 517	1 517	10 182	10 182	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	234 206	37 271	61 348	46 713	0	0	0	0	135 941	90 955	466 195	186 640
14	შპს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ვინი - KAMARA	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	ჯამი	14 534 259	13 040 036	3 605 887	3 603 320	2 828 043	2 707 961	360 076 642	359 994 323	33 877 696	32 605 930	4 337 829	3 839 883	3 939 189	194 638	3 964 061	61 468	859 071	284 812	25 955	7 205	3 942 998	2 694 403	38 575 637	11 932 656	1 769 556	259 970	4 954 554	2 096 853	306 184	306 183	8 014 075	2 825 010	485 611 616	436 454 618

მოცემული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სადაზღვევო ბაზარზე არსებული სადაზღვევო კომპანიის მიერ მობილიზებული სადაზღვევო პრემია შეადგენს 485611616 ლარს, ხოლო გადაზღვევის პრემია შეადგენს 31327721 ლარს. აღნიშნული მაჩვენებლები 2014 წლის III კვარტლის მონაცემებით გადაზღვევის პრემია შეადგენს 37724594 ლარს. რაც მიუთითებს იმაზე, რომ თანდათანობით იზრდება სადაზღვევო კომპანიების დაინტერესება გადაზღვევის ოპერაციებისათვის და იზრდება გადაზღვევაზე გაცემული პრემია, რაც თავის მხრივ ეფექტური სადაზღვევო დაცვის წინაპირობაა.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ მიუხედავად გადაზღვევის აუცილებლობისა, გადაზღვევას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, მისი გავლენა მზღვეველთა ფინანსურ მაჩვენებლებზე ურთიერთსაწინააღმდეგოა: ერთი მხრივ, გადაზღვევის ინსტიტუტი აბალანსებს სადაზღვევო ორგანიზაციების რისკების პორტფელს და იცავს მას მსხვილი და კატასტროფული რისკებისაგან, მეორე მხრივ, იგი დაკავშირებულია გადამზღვევის მიერ გადამზღვეველზე სადაზღვევო პრემიის გარკვეული (ხშირად მნიშვნელოვანი, ან სრული) ნაწილის გადაცემაში, რაც უარყოფითად მოქმედებს სადაზღვევო კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. გარდა ამისა, მიკროეკონომიკური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, გადაზღვევა ხელს უწყობს კაპიტალის გადინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც ასევე არასასურველი მოვლენაა, და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც გადაზღვევა არ არის 100%-იანი გარანტია სადაზღვევო კომპანიების გაკოტრების საწინააღმდეგოდ. ეს არის გარკვეული ეფექტური ინსტრუმენტი ამ შესაძლებლობის მნიშვნელოვნად შემცირებისათვის.

ინტერნეტ-რესურსები:
1. https://www.nbg.gov.ge
2. http://insurance.gov.ge/
3. http://www.wikipedia.org/

კომუნიკაცია თანამედროვე მსოფლიოში

ლიკა ტატულაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ ვანიშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოდან საქართველოში დაწყებულმა გლობალურმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა გარდაქმნებმა გამოიწვიეს საწარმოო, კომერციული და სხვა სახის სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაში არსებითი ცვლილებები. დღეისათვის ნებისმიერი ორგანიზაცია, საკუთრების ფორმების, საქმიანობის მიზნებისა და სფეროების მიუხედავად, იძულებულია იფუნქციონიროს მუდმივად ცვალებად და ურთიერთსაწინააღმდეგო გარემოში. ამიტომ ორგანიზაციის საქმიანობა ძირითადად უნდა განხორციელდეს მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით. თითოეული ჩვენთაგანი ერთი ან რამოდენიმე ორგანიზაციის წევრია. აშკარაა, რომ კომუნიკაცია აცოცხლებს ანუ სიცოცხლისუნარიანს ხდის ორგანიზაციულ სტრუქტურას.

კომუნიკაცია[1] ფართო გაგებით, არის ინფორმაციის გაცვლა ინდივიდებს შორის სიმბოლოთა საერთო სისტემის საშუალებით. კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ვერბალური ან არავერბალური მეთოდებით. განასხვავებენ ასევე კომუნიკაციის განხორციელების მექანიკურ და შემოქმედებით მიდგომებს. კომუნიკაცია, მექანიკური მიდგომით, არის ცალმხრივ მიმართული პროცესი ინფორმაციის კოდირებისა და გადაცემის, ინფორმაციის წყაროდან - ინფორმაციის მიმღებამდე. კომუნიკაცია, შემოქმედებითი მიდგომით, არის კომუნიკაციის მონაწილეთა ერთობლივი მოღვაწეობა, რომლის დროსაც გამომუშავდება საგნებზე და მოქმედებებზე საერთო (გარკვეულ ზღვრამდე) შეხედულებები [4].

ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც შედგება ორგანიზაციებისაგან. თითოეული ჩვენთაგანი ერთი ან რამოდენიმე ორგანიზაციის წევრია. ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი

[1] ლათინურიდან Communico - საერთოს ვხდი.

ორგანიზაციული ქცევის სფეროში **ჩ. ბარნარდი** აღნიშნავდა, რომ ორგანიზაციის სრულად გაშუქებულ ნებისმიერ თეორიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს კომუნიკაცია, რადგან ორგანიზაციის საქმიანობის სტრუქტურა, მოცულობა და მასშტაბები თითქმის მთლიანად განისაზღვრება კომუნიკაციების საშუალებით.

მოგვიანებით **დ. კაცი და რ. კანი** წერდნენ, რომ კომუნიკაცია წარმოადგენს სოციალურ პროცესს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ჯგუფის, ორგანიზაციის ან საზოგადოების ფუნქციონირებაში [2, გვ. 5]. კომუნიკაცია აყალიბებს სოციალურ სისტემას ან ორგანიზაციის ძირითად არსს. კომუნიკაციები მოწყობილია ისე, რომ მოხდეს გადაწყვეტილებების შემუშავება და შესრულება, განხორციელდეს უკუკავშირი, მოხდეს მიზნებისა და პროცედურების კორექტირება ორგანიზაციის საქმიანობაში წარმოქმნილი სიტუაციების მოთხოვნების შესაბამისად. კომუნიკაციები დამაკავშირებელი რგოლებია, რომლებიც აერთიანებენ ორგანიზაციის ურთიერთდამოკიდებულ ნაწილებს. წარსულში კომუნიკაციის კვლევა მეტწილად ორიენტირებული იყო იმის შესწავლაზე, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ის მიმღებზე. კომუნიკაციების დიდი მნიშვნელობის ფართო აღიარებამ დასაბამი მისცა მრავალ კვლევას ბიზნეს-კომუნიკაციების სფეროში. მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეფექტური კომუნიკაციები აუმჯობესებენ მნიშვნელოვან კომერციული ორგანიზაციებისთვის მრავალ ფაქტორს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ კოლექტივის სამუშაო განწყობა ორგანიზაციის სიჯანსაღის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს, რაც მეტადაა განვითარებული კომუნიკაციები, მით უკეთესია თანამშრომლების მორალური მდგომარეობა. კომუნიკაციები წარმოიშობა სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვაგვარ სიტუაციებში. კომუნიკაციური პროცესების მრავალფეროვნება ხელმძღვანელისგან მოითხოვს სხვადასხვა სახის ურთიერთობისადმი ადაპტაციის უნარს. ნებისმიერი ორგანიზაციის ხელმძღვანელი მთელი დროის 50-90%-ს ხარჯავს კომუნიკაციაზე ხელმძღვანელი მონაწილეობს პიროვნებებს შორის დამოკიდებულებაში, ინფორმაციის გაცვლაში და გადაწყვეტილების მიღებაში. სწორედ იმიტომ, რომ ინფორმაციის გაცვლა შეჭრილია ხელმძღვანელის საქმიანობის ყველა სფეროში, კომუნიკაციებს ვუწოდებთ დამაკავშირებელ პროცესს. ეფექტურად მომუშავე ხელმძღვანელები არიან ისინი, ვინც კომუნიკაციაშია ეფექტური.

ინფორმაციის გაცვლის პროცესში შეიძლება გამოვყოთ ექვსი ბაზისური ელემენტი:

1. გადამცემი წყარო - პირი ან ჯგუფი, რომელიც იდეების გენერატორია ან აგროვებს ინფორმაციას და გასცემს მას;
2. შეტყობინება - საკუთრივ ინფორმაცია, რომელიც გადაეცემა კოდირებულად, სიმბოლოების საშუალებით;
3. არხი - ინფორმაციის გადაცემის საშუალება;
4. მიმღები - პირი, რომლისთვისაც გამიზნულია ინფორმაცია და რომელიც ინტერპრეტაციას ახდენს;
5. აღქმა - პიროვნების უნიკალური თვისება ჩაწვდეს რაიმეს არსს;
6. უკუკავშირი - მიმღების რეაქცია შეტყობინებაზე.

კომუნიკაციის დამყარებამდე აუცილებელია არსებობდეს მიზანი, რომელიც შეტყობინების გადაცემით გამოიხატება. შეტყობინებას გამგზავნი გადასცემს მიმღებს, ის კოდირებულია და მიმღებს რამდენიმე შუამავლის (არხების) საშუალებით გადაეცემა, რომელიც ხელახლა გარდაქმნის გამგზავნიდან წამოსულ შეტყობინებას. შედეგად, აზრი ერთი ადამიანიდან - მეორეს გადაეცემა. ინფორმაციის გაცემის პროცესი იწყება იდეის ჩამოყალიბებით ან ინფორმაციის შერჩევით. ინფორმაციის გაცვლისას გადამცემი და მიმღები გაივლიან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს. ესენია:

1. იდეის ჩასახვა;
2. კოდირება და არხის ამორჩევა;
3. გადაცემა;
4. დეკოდირება (იხ. ნახ. 1).

ნახ. 1. კომუნიკაციის მარტივი მოდელი

არსებობს **ფორმალური** და **არაფორმალური, ვერბალური** და **არავერბალური** კომუნიკაცია. არაფორმალური კომუნიკაცია მაშინ წარმოიშობა, როდესაც მუშაკს გაუჩნდება ისეთ ინდივიდთან ურთიერთობის მოთხოვნილება, რომელთანაც არ აქვს მას ფორმალური კომუნიკაციის არხები. ფორმალური კომუნიკაცია ემსახურება ოფიციალური შეტყობინების გადაცემას. ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციის არხები ორგანიზაციაში ერთმანეთის შემავსებელი და ურთიერთშემცვლელია.

კომუნიკაცია არის კომპლექსური, ორმხრივი პროცესი, რომელიც, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოიცავს შეტყობინების კოდირების, გადაცემის და გაშიფრვის პროცესს. ისიც ნათელია, რომ ეფექტური კომუნიკაცია საჭიროებს კარგ კომუნიკატორს, რომელიც წარმოდგენილ აუდიენციას თავის შეტყობინებას ნათლად და ეფექტურად გასცემს. კომუნიკაციას დიდ როლი ენიჭება ადამიანებს შორის ურთიერთობაში.

ვერბალური კომუნიკაცია ინფორმაციის სიტყვიერი გაცემის გზაა. არავერბალურ კომუნიკაციას ისეთივე დიდი დატვირთვა აქვს კომუნიკაციის პროცესში, როგორც ვერბალურს. ინფორმაციის გადაცემისას გარკვეული დაბრკოლებები შეიძლება გამოიწვიოს სემანტიკურმა ბარიერებმა. სემანტიკაში იგულისხმება ინფორმაციის გადაცემა სიტყვების მეშვეობით. სიტყვების მეშვეობით გადაცემულ და მიღებულ ინფორმაციას უწოდებენ ვერბალურ ინფორმაციას. სიტყვა ვერბალური ლათინურია და ნიშნავს ზეპირს, სიტყვიერს. სემანტიკური ვარიანტები ხშირად ხდება არასწორი გაგების მიზეზი. საქმე ის არის, რომ ზოგ შემთხვევაში არ ჩანს სიმბოლოს ის მნიშვნელობა, რომელიც მას მიანიჭა ინფორმაციის გამგზავნმა. სიმბოლოს მნიშვნელობა იცვლება გამოყენებული კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით, რამდენადაც, ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი გამოცდილება, ინფორმაციის გაცვლის ყოველი აქტი განსაზღვრული ზომით წარმოადგენს ახალ სიტუაციას და არავინ შეიძლება იყოს მთლიანად დარწმუნებული, რომ ინფორმაციის მიმღები მიაწერს სიმბოლოს იგივე მნიშვნელობას, რომელიც მან მიანიჭა.

არსებობს **ცალმხრივი** და **ორმხრივი** კომუნიკაციაც. ცალმხრივი კომუნიკაციის დროს მხოლოდ ერთი ადამიანი საუბრობს. ორმხრივი კომუნიკაცია გულისხმობს ინტერაქტიული კომუნიკაციის პროცესს.

ცნობილია, რომ ორგანიზაციის ეფექტურობა იმითაა განპირობებული, თუ რამდენად კარგად და ერთსულოვნად მუშაობენ მისი წევრები. თანამედროვე ტექნოლოგიებმა და ინტერნეტმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კომუნიკაცია გაამარტივა. კომუნიკაციები რთული და ყველგან შეღწევადი პროცესია, რომელზეც უშუალოდ არის დამოკიდებული მართვის ეფექტიანობა. კომუნიკაციას რამდენიმე სახეობა გააჩნია: განასხვავებენ, როგორც **ორგანიზაციულ,** ისე **პიროვნებათაშორის** კომუნიკაციას, **გარე და შიდა** კომუნიკაციას.

არ არის სასურველი ინფორმაციის გადაცემის ერთი არხით შემოფარგვლა. კვლევებმა ცხადყო, რომ ინფორმაციის გაცვლა ერთდროულად ზეპირად და წერილობით უფრო ეფექტიანია, ვიდრე, ვთქვათ, მხოლოდ ზეპირად. ამასთან არ არის სასურველი, რომ ყველა სახის ინფორმაცია გადაიცეს წერილობით.

ზეპირი კომუნიკაცია შეტყობინების გადაცემის მთავარი საშუალებაა. სიტყვით გამოსვლები, პირისპირ საუბარი და ჯგუფური განხილვები, არაფორმალური ხმების გავრცელება ანუ ინფორმაციის არაფორმალური არხები - ზეპირი კომუნიკაციის პოპულარული ფორმებია. ზეპირი კომუნიკაციის უპირატესობა არის სისწრაფე და უკუკავშირი. სიტყვიერი შეტყობინება მინიმალურ დროში შეიძლება გადავცეთ და პასუხიც მივიღოთ. თუ მიმღები არ არის დარწმუნებული თავის შეტყობინების სისწორეში, სწრაფი უკუკავშირი გამგზავნს შეცდომის სწრაფად შემჩნევისა და გამოსწორების შესაძლებლობას აძლევს.

წერილობით კომუნიკაციაში შედის წერილების, ფაქსის გაგზავნა, ელექტრონული ფოსტა, სწრაფი შეტყობინება, ორგანიზაციული პერიოდული გამოცემები, ბიულეტენების დაფაზე განთავსებული შენიშვნები ან სხვა საშუალებები, რომლის გადაცემაც სიტყვებით ან სიმბოლოებით ხდება.

ორგანიზაციის მართვის პროცესში დიდ როლს ასრულებს პიროვნებათაშორისი კომუნიკაციები რომელთა ეფექტიანობაზეც მოქმედებს მრავალი ასპექტი. მათ შორის ძირითადია: აღქმა, სემანტიკა, არავერბალური სიმბოლოები, უკუკავშირის დაბალი დონე, მოსმენის უნარი.

პიროვნებათშორისი კომუნიკაციების დაბრკოლება შეიძლება გამოიწვიოს უკუკავშირის უგულებელყოფამ. უკუკავშირი დადებითად მოქმედებს ინფორმაციის გადაცემის პროცესზე, რადგან იძლევა იმის დადგენის შესაძლებლობას, თუ როგორ მოქმედებს გადაცემული ცნობა მის მიმღებზე. კომუნიკაციური პროცესი შეიძლება შეფერხდეს კადრების არადამაკმაყოფილებელი კვალიფიკაციით და არადანიშნულებისამებრ გამოყენებით, ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებს შორის კონფლიქტით და სხვა მიზეზებით.

თანამედროვე ორგანიზაციაში კომუნიკაციას კომპიუტერული ტექნოლოგიები აძლიერებს და ამდიდრებს. მასში შედის ელექტრონული ფოსტა, სწრაფი შეტყობინება, ინტრანეტისა და ექსტრანეტის კავშირები და ვიდეოკონფერენცია.

ელექტრონული ფოსტა. ელექტრონული ფოსტა (ი-მეილი) კომპიუტერული ტექსტის და დოკუმენტების გადასაცემად და მისაღებად ინტერნეტს იყენებს. მისი გამოყენება სწრაფად იზრდება. ფაქტობრივად, შეერთებულ შტატებში 100 მილიონზე მეტი ზრდასრული ადამიანი ელექტრონულ ფოსტას რეგულარულად იყენებს და ითვლება, რომ მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად დაახლოებით ერთი ტრილიონი ელექტრონული ფოსტა იგზავნება. ელექტრონული ფოსტის დიდი რაოდენობა მოდის სპამსა და ფიშინგური ელექტრონული ფოსტის სახით. მიუხედავად ამისა, ჩვენ იმიტომ ვეგუებით ი-მეილის „ნაგავს“, რომ ბევრი ჩვენთაგანისთვის ი-მეილი კომუნიკაციის აუცილებელი საშუალებაა. ი-მეილს, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, მრავალი უპირატესობა აქვს. ი-მეილის შეტყობინება სწრაფად იწერება, რედაქტირდება და ინახება.

ინტრანეტი[1] არის საინფორმაციო ქსელი მთელი ორგანიზაციის მასშტაბით, რომელიც გარეგნულადაც და ფუნქციითაც ვებ-გვერდს ჰგავს, მაგრამ მასზე ხელი მიუწვდებათ მხოლოდ ორგანიზაციის თანამშრომლებს. სწრაფად იზრდება ინტრანეტის, როგორც კომპანიებში თანამშრომლების ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარების საშუალების პოპულარობა.

ორგანიზაციები ქმნიან **ექსტრანეტსაც**[2], რომელიც შიდა დაქირავებულებს შერჩეულ მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან აკავშირებს. მაგალითად, ექსტრანეტი საშუალებას აძლევს „ჯენერალ მოტორსის“ დაქირავებულებს, ფოლადისა და რეზინის მომწოდებლებს ელექტრონული შეტყობინებები და დოკუმენტები გაუგზავნონ და დილერებთან კომუნიკაცია დაამყარონ.

ვიდეოკონფერენცია ინტრანეტისა და ექსტრანეტის სისტემის გაფართოებაა. ის საშუალებას აძლევს ორგანიზაციის დაქირავებულებს, გამართონ შეხვედრები სხვადასხვა ადგილზე მყოფ ადამიანებთან. პირდაპირი აუდიო და ვიდეო გამოსახულებით მათ ერთმანეთის დანახვის, მოსმენის და ლაპარაკის საშუალებას ეძლევათ. ვიდეოკონფერენციის ტექნოლოგია დაქირავებულებს შესაძლებლობას აძლევს, განახორციელონ ინტერაქტიული შეხვედრები ისე, რომ საჭირო აღარ იყოს ფიზიკურად იმავე ადგილზე ყოფნა.

კომპიუტერის საშუალებით კომუნიკაცია ახალ ფორმას აძლევს ორგანიზაციებში ჩვენს ურთიერთობებს. ასევე, პეიჯერები, ფიჭური ტელეფონები, პერსონალური გადამცემები და სატელეფონო შეტყობინებები დაქირავებულებს საშუალებას აძლევთ, ვირტუალურად, ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ

---

[1] წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერთ-ერთ სახეობას (კლასს), კერძოდ, ინფორმაციის გაცვლის ლოკალურ ქსელს.

[2] მოცემული საწარმოს, ორგანიზაციის ფარგლებს გრეთ მომხმარებლებისა და ფირმების (მაგალითად კლიენტების, გამყიდველების, მომწოდებლების) გაერთიანების მიზნით ინტრანეტის ქსელის გაფართოება. მომხმარებელთა გარკვეულ ჯგუფებს მონაცემებთან დაკავშირების შეზღუდული უფლებები აქვთ.

დროს მიაწვდინონ ხმა. შედეგად, საზღვრები სამუშაო და არასამუშაო სიტუაციებს ორგანიზაციის შიგნით და ორგანიზაციებს შორის აღარ არსებობს [1, გვ. 212-213].

მასმედია, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი, სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოებაში, იგი იჭრება ცხოვრების ყველა სფეროში. დღეს, დავას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ მომავალი საუკუნე ინფორმაციის საუკუნე იქნება და ინფორმაციული ზემოქმედების როლი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ადამიანების ქცევაზე კიდევ უფრო გაიზრდება.

მეცნიერება მასობრივი კომუნიკაციის შესახებ, სოციალურ მეცნიერებათა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. კომუნიკაციური მეცნიერებაც საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს შეისწავლის. ეს არის ადამიანური საქმიანობის ის ნაწილი, რომელიც მათ შორის ურთიერთობით არის გამოხატული. რაკი კომუნიკაცია ადამიანებს შორის ურთიერთობაა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ურთიერთობა მრავალფეროვანი და მრავალგვარია. არც ერთ ჯგუფს ან ორგანიზაციას არ შეუძლია არსებობა კომუნიკაციის გარეშე. ინფორმაციისა და აზრების გადატანა ერთი ადამიანიდან მეორისათვის მხოლოდ აზრის გადაცემის საშუალებით ხდება. კომუნიკაცია მეტია, ვიდრე უბრალოდ შეტყობინების გადაცემა, კომუნიკაცია გასაგები უნდა იყოს. ჯგუფში, სადაც ერთი წევრი ლაპარაკობს გერმანულად და სხვებმა გერმანული არ იციან, გერმანულად მოსაუბრე ადამიანს ვერავინ გაუგებს, ამიტომ კომუნიკაცია უნდა მოიცავდეს აზრის გამჭვირვალობასა და გაგებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ორგანიზაციებში კომუნიკაციური პროცესის სრულყოფა შეიძლება შემდეგი გზებით:

1. ინფორმაციული ნაკადის რეგულირება;
2. მმართველობითი საქმიანობის სრულყოფა;
3. უკუკავშირის მოწესრიგება;
4. წინადადებების შეგროვება;
5. საინფორმაციო ბიულეტენებისა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს გარკვეული ბარიერები ორგანიზაციულ კომუნიკაციებში, რომელთა აღმოფხვრა შესაძლებელია შემდეგი ფაქტორებით:

- ინფორმაციული ნაკადების რეგულირება მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების და ინფორმაციაზე მომხმარებლების მოთხოვნების გათვალისწინებით;
- რეგულარული კონტაქტების დამყარება ინფორმაციის მომხმარებლებს შორის შეხვედრების, საუბრების, განხილვების, შეკრებების ჩატარების გზით;
- უკუკავშირის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა;
- წინადადებების შეგროვების სისტემის შემოღება როგორებიცაა: ანონიმური ფოსტა, სატელეფონო კავშირი, მუშა ჯგუფებში გადაწყვეტილებების განხილვა, ინფორმაციული ბიულეტენები, პუბლიკაციები, ვიდეო ჩანაწერები და სხვა;
- კავშირის ელექტრონული საშუალებებისა და სატელეკომუნიკაციო სისტემის დანერგვა, ელექტრონული ფოსტა, ვიდეოკონფერენციები და სხვა;
- პერსონალის შრომის სტიმულირების სისტემის სრულყოფა;
- მენეჯმენტის ხარისხობრივი დონის ამაღლება;
- ორგანიზაციაში ჯანსაღი საქმიანი გარემოს ფორმირება.

კომუნიკაციური ბარიერების გადალახვა ხელს უწყობს პროდუქტიული, ორგანიზაციული კომუნიკაციების ჩამოყალიბებას, რომელიც განაპირობებს ორგანიზაციებში, მართვის მიზნების მიღწევას და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში დანერგილი, თანამედროვე კომუნიკაციური სისტემის ჩამოყალიბებას.

ლიტერატურა:

1. რობინსი ს. პ., ჯაჯი ტ. ა., ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2009.
2. შატაკიშვილი ლ., მიქაძე ზ., ბესტავაშვილი ბ., ეფექტური ბიზნეს-კომუნიკაცია, თბ., საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007.
3. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., „უნივერსალი", 2008.
4. http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90
5. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2010.
6. სურგულაძე რ., მასობრივი კომუნიკაცია, თბ., 2003.

ბიზნეს გარემო საქართველოში

მარიამ ტლაშაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

ბიზნეს გარემო წარმოადგენს სოციალურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე, პროცესებსა და საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს. სწორედ მოწესრიგებულ და მიმზიდველ ბიზნეს გარემოში დევს ის გასაღები, რომლითაც უნდა გადაიჭრას სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მოხდეს ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყნის ბიზნეს გარემოს განვითარების მდგომარეობა ერთგვარი პოლემიკის საგნად გადაიქცა, არსებობს აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა ბიზნეს გარემოს განვითარების მდგომარეობის შესახებ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევის შედეგებს გავუსვამთ ხაზს. მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივი ყოველწლიური კვლევების ,,Doing Business" თანახმად, 2012 წელს 183 ქვეყანას შორის ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით საქართველომ 16-ე ადგილი დაიკავა.

დიაგრამა 1. საქართველოს პოზიციები „Doing Business" რეიტინგში 2009-2012 წლებში



დიაგრამა 1-დან ჩანს, რომ 4 წლის მანძილზე მოცემულ რეიტინგში საქართველოს პოზიციები სტაბილურია, თუმცა აღსანიშნავია, რომ კვლევა დაფუძნებულია მხოლოდ 10 სხვადასხვა მაჩვენებლების შესწავლაზე, რომლებიც ფაქტობრივად ზომავენ ბიზნესის რეგულირების ხარისხს (ბიზნესის დაწყება, დაკრედიტება, გადასახადების გადახდა, ქონების რეგისტრაცია, ვაჭრობა საზღვრებს შორის, ინვესტორთა უფლებების დაცვა, გადახდის უუნარობის პრობლემა, მშენებლობის ნებართვები, კონტრაქტირება, ელექტროენერგიით მომარაგება) და არ მოიცავენ ბიზნეს გარემოს დამახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ინფრასტრუქტურის ხარისხი, კორუფციის დონე და სხვა. მოცემული რეიტინგის 10 მაჩვენებლიდან საქართველო 8 მაჩვენებლის მიხედვით პროგრესირებს.

Heretage Foundation – სადა The wall street Journal-ის 2012 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელიც შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს ეყრდნობა: ბიზნესის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება, საკუთრების უფლებები, კორუფციის განთავისუფლება და შრომის თავისუფლება, საქართველომ 179 ქვეყანას შორის 69,4 სარეიტინგო ქულით 34-ე ადგილი დაიკავა, რაც 2011 წელთან შედარებით 1 ქულით და 5 სარეიტინგო ადგილით გაუარესებული მაჩვენებელია. შესაბამისად საქართველო რეიტინგში „ზომიერად თავისუფალი

ეკონომიკის მქონე ქვეყნების“ კატეგორიაში ჩამოქვეითდა. რეიტინგის გაუარესების ტენდენცია ძირითადად შეინიშნება მთავრობის დანახარჯების ზრდის, კორუფციის განთავისუფლებისა და მონეტარული თავისუფლების გაუარესების ხარჯზე. თუმცა აღსანიშნავია, ის რომ საქართველო მოცემულ რეიტინგში ლიდერობს, როგორც კავკასიის რეგიონში, სადაც სომხეთი 39-ე პოზიციაზეა, ხოლო აზერბაიჯანი 91-ე პოზიციაზე, ასევე მეზობელ სახელმწიფოებს შორისაც, კერძოდ რუსეთის ფედერაციამ მოცემულ რეიტინგში 2012 წელს 144-ე, ხოლო თურქეთმა 73-ე პოზიცია დაიკავეს. მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალ ქვეყნებად კი ჰონგ-კონგი (89,9), სინგაპური (87,5) და ავსტრალია (83,1) დასახელდა.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოს ბიზნეს გარემოს 2012 წლის კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხულ სუბიექტთა მხოლოდ 2% მიიჩნევს ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოს ძალიან მიმზიდველად, 20% საკმაოდ მიმზიდველად, ხოლო გამოკითხულთა უმრავლესობა 53% საქართველოს ბიზნეს გარემოს მიიჩნევს მეტ-ნაკლებად მიმზიდველად (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. საქართველოს ბიზნეს გარემოს მიმზიდველობა



დიაგრამა 2-დან ჩანს, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 18% მიაჩნია საქართველოს ბიზნეს გარემო ნაკლებად მიმზიდველად, ხოლო 7% კი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ბიზნეს გარემო საერთოდ არ არის მიმზიდველი. აღსანიშნავია, რომ ამავე კვლევის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობა 42% მიიჩნევს, რომ ქვეყნის ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად უპირველეს ყოვლისა საჭიროა გადასახადების შემცირება, 21%-ი ასახელებს ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფის პრობლემას, 15% საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, 11% ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ხოლო 6% კი ქვეყნის პოპულარიზაციის უზრუნველყოფას.

დიაგრამა 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2006-2011 (მლნ. აშშ დოლარი)



როგორც დიაგრამა 3-დან ჩანს 2006-2007 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება, ეს გამოწვეული იყო 2003 წლის შემდეგ ომამდელი სიტუაციის დასტაბილურებით, საქართველოს მიმართ გაზრდილი ნდობით და საინვესტიციო ინტერესით. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკამ დაიწყო შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა, შესაბამისად იწყებს გააქტიურებას ბიზნეს სექტორიც, არსებული ბიზნეს გარემო ნელ-ნელა უბრუნდება აგვისტოს ომამდელ მდგომარეობას, რაც კარგად ჩანს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების დინამიკაში. ცნობილი მოვლენების გამო 2007 წელთან შედარებით 2008 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1564 მლნ. აშშ. დოლარამდე შემცირდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი კლების ტენდენცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდა და 2009 წელს ქვეყანაში 658 მლნ. აშშ. დოლარის ინვესტიცია დაფიქსირდა, 2010 წლისთვის კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 815 მლნ. აშშ. დოლარს შეადგინა, ხოლო 2011 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 1117 მლნ. აშშ. დოლარი იყო. 2009 წელს წინა წელთან შედარებით ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 57,9 %- ით ანუ 906 მლნ. აშშ. დოლარით შემცირდა. 2010 წელს აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში პირველად დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 23,9%-იანი ანუ 157 მლნ. აშშ. დოლარით ზრდა, ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა ასევე 2 011 წელსაც და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წინა წელთან შედარებით 302 მლნ. აშშ. დოლარით ანუ 37 %- ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როგორც ევროკავშირის, ასევე დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დანარჩენი წყაროებიდან (ოფშორული ზონები, სხვა სახელმწიფოები და ა.შ.) ხორციელდება.

საქართველოს ბიზნეს გარემოს განვითარება დადებითი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია საკანონმდებლო რეფორმებით (საგადასახადო, საბაჟო, ლიცენზიები და ნებართვები და სხვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო სფეროს პროცედურული ნაწილების მეტი დახვეწა/გამარტივება და შესაბამისი ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

მიუხედავად ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, საქართველოს ბიზნესკლიმატი კვლავაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა წარმატებით მიღწევისათვის აუცილებელია გამართული დიალოგის პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი მარტივად აღქმის უზრუნველყოფა. ასევე საკმაოდ დაბალია მეწარმეობრივი უნარები, რაც ბუნებრივიცაა თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არსებობას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. პრობლემატურია შრომის ბაზარი - ერთი მხრივ, მაღალია უმუშევრობის დონე, მეორე მხრივ კი, დამქირავებელს ძალიან უჭირს სასურველი კადრის მოძიება და დაქირავება. ისევ გამოცდილების, ტექნოლოგიის, საჭირო ბიზნეს უნარების ან და უბრალოდ ინფორმაციის არ ქონის გამო მრავალი კომპანია ვერ ახერხებს ვერც ადგილობრივ ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას და, მითუმეტეს, ვერც საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას.

ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისათვის უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

1) უნდა შემუშავდეს საინვესტიციო პოლიტიკა, უფრო ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ა.შ.

2) ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა მოხდეს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

3) სახელმწიფო უნდა ასტიმულირებდეს საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ასევე ხელს უნდა უწყობდეს რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ინფლაციის შემცირებას და სხვა მაკროეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციას.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, 2008.
2. გ. შუბლაძე, მ. ნანიტაშვილი, ბიზნესის საფუძვლები, 2011.
3. http://www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
4. http://www.nplg.gov.ge/
5. http://education.ge/
6. http://extsearch.worldbank.org/

მონოპოლიური ბაზარი

მარიამ ტლაშაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

მონოპოლია არის ბაზარი, სადაც მხოლოდ ერთი გამყიდველია და მის მიერ წარმოებულ საქონელს ახლოშემცვლელები არ აქვს. მონოპოლიურ ბაზარზე ძირითად რესურსს ერთი ფირმა ფლობს, მთავრობა ამ ფირმას რაიმე საქონლის წარმოების ექსკლუზიურ უფლებას აძლევს და წარმოების დანახარჯები ისეთია, რომ ერთი მწარმოებელი უფრო ეფექტიანად მუშაობს, ვიდრე მრავალი. მონოპოლიები, რომელთაც მთავრობა და კანონი მხარს უჭერს, ლეგალური მონოპოლიების სახელითაა ცნობილი. ასეთებია ბუნებრივი მონოპოლია, პატენტები, საავტორო უფლებები და სავაჭრო ნიშნები. ბუნებრივ მონოპოლიებს ხშირად კომუნალური მომსახურების მონოპოლიებსაც უწოდებენ, ისინი ხშირად ჩართულნი არიან წყალმომარაგების სფეროში, ელექტროენერგიის მიწოდებაში და სხვ. პატენტი ერთგვარი მონოპოლიაა, რადგან მთავრობა გამომგონებელს ახალ პროდუქტზე ან იდეაზე კერძო საკუთრების უფლებას აძლევს 17 წლის ვადით და თუ რომელიმე ფირმას იგივე პროდუქტის წარმოება მოუნდება პატენტის მფლობელს ფული უნდა გადაუხადოს. საავტორო უფლებები ნიშნავს საკუთარი ნაწარმოების გაყიდვის, ტირაჟირების ან გავრცელების ექსკლუზიურ უფლებას 50 წლის განმავლობაში. სავაჭრო ნიშანი სპეციალური დიზაინი ან სიმბოლოა, რომელიც პროდუქციის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. სხვა საწარმოს უფლება არ აქვს გამოიყენოს იგივე სიმბოლო, რათა მომხმარებელს ორიგინალში არ აერიოს. მონოპოლისტური ფირმები მოგების მაქსიმალიზაციას ცდილობენ, ამიტომ ისეთ რაოდენობას აწარმოებს, რომ ზღვრული შემოსავალი ზღვრული დანახარჯის ტოლი იყოს. ამის შემდეგ მონოპოლია ირჩევს ისეთ ფასს, რომლის დროსაც მოთხოვნა მიწოდებას გაუთანაბრდება.

არსებობს მონოპოლიის ორი ფორმა:

მონოპოლიური მდგომარეობა – ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და შეზღუდოს კონკურენცია;

მონოპოლიური საქმიანობა - საქმიანობა, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს სასაქონლო ბაზარზე ურთიერთშენაცვლებადი (კონკურენტული) საქონლის საბაზრო ფასზე და შეზღუდოს კონკურენცია;

საქართველოშიც ვხვდებით მონოპოლიის მაგალითებს:

საქართველოში მონოპოლიის საუკეთესო მაგალითია: „თელასი“ და “Georgian water and power”.

“Georgian water and power”

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP) წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე. ის წყალმომარაგებისა და წყალარინების (კანალიზაცია) მომსახურებას უწევს თბილისის მოსახლეობას, სახელმწიფო ორგანიზაციებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს.

მთავარი ღირებულებები:

- საიმედოობა -სასმელი წყლის საიმედო მიწოდება მომხმარებლისთვის;
- ხელმისაწვდომობა - მომხმარებლებისთვის სასმელი წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდება;
- პასუხისმგებლობა - დარგის განვითარების ხელშეწყობა. ობიექტებისა და ქსელების რეაბილიტაცია-მოდერნიზება. საუკეთესო კომუნალური მომსახურების პრაქტიკის დანერგვა;
- სამართლებრივი პასუხისმგებლობა - საქმის წარმოება ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად;
- ხარისხი - მომხმარებლის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასმელი წყლითა და მომსახურებით;
- უსაფრთხოება და სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი - უწყვეტ რეჟიმში, სანიტარული ზონებისა და ობიექტების დაცვა, უსაფრთხო სამუშაო პირობებისა და გარემოს შექმნა.

„თელასი“

„თელასი“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელური კომპანიაა, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის განაწილებას და გასაღებას. ამჟამად, კომპანიაში წარმატებით შრომობს 2300 ადამიანზე მეტი.

საქმიანობის ძირითადი სახეობებია: ელექტროენერგიის შესყიდვა და გაყიდვა; ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია; ელექტროენერგიის სატრანზიტო მომსახურება; აბონენტთა ტექნიკური მომსახურება

კომპანია ემსახურება 524,5 ათას აბონენტზე მეტს. მომხმარებელთა მომსახურება და ელექტრული ქსელების ექსპლუატაცია ხორციელდება 10 ბიზნესცენტრში, რომლებიც განთავსებულია ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში.

ამჟამად, თელასი ახორციელებს სამუშაოებს ელექტროქსელის ტექნიკური გადაიარაღების და მოდერნიზაციის მიზნით. ძირითადი ყურადღება ეთმობა გამანაწილებელი ქსელის ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე სუსტი სეგმენტების რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას. პრიორიტეტული ამოცანაა - ტექნიკური ინციდენტების რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა და ელექტროენერგიის დანაკარგების საერთო დონის მნიშვნელოვანი შემცირება.

დღესდღეობით თუ გადავხედავთ საქართველოში ფარმაცევტული ბაზრის განვითარების ეტაპებს 90-იანი წლებიდან დღემდე, ვნახავთ, რომ მისი განვითარება და ფარმაცევტულ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა სწრაფად მოხდა. ამ განვითარებამ გამოიწვია ის, რომ ბაზარზე გაჩნდა რამდენიმე კომპანია, რომლებიც გახდნენ დომინანტები საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე. საკმაოდ დიდია მათი წილი როგორც ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტის, ასევე პროდუქციის წარმოებასა და აფთიაქების რაოდენობაში.

ფარმაცევტული კომპანიები „ავერსი“ და „პსპ“ ყველაზე დიდი კომპანიებია იმპორტისა და დისტრიბუციის სექტორში, სადაც მათი ერთობლივი წილი 48%–ს შეადგენს.

ცხრილი 1. ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტების წილი (2011 წელი)



ფარმაცევტული კომპანიების დომინირებამ გამოიწვია მედიკამენტების ფასების ზრდა. საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტების ფასები ევროპული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით მაღალია.

ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ ბაზარი საქართველოში მონოპოლიურია და სრულყოფილი კონკურენცია არ არსებობს, რადგან ყველა იმ საქონელს, რომელსაც თითქმის ყოველდღიურად მოვიხმართ ერთი და იგივე ფასი აქვს და თანაც ძალიან მაღალი. რეალურად საქართველოს ბაზარი ყველაზე ახლოს ოლიგოპოლიასთანაა, რაც არსებითად იგივე მონოპოლიაა, თუმცა მათი ორგანიზაციული და ფუნქციური ხასიათი განსხვავდება. თუ მონოპოლია ბაზარზე ერთი კომპანიის ბატონობას ნიშნავს, ოლიგოპოლიის პირობებში ბაზარს რამდენიმე ერთმანეთთან შეთანხმებული სუბიექტი აკონტროლებს. იდება კარტერული გარიგებები, ჩნდება ე.წ. საიდუმლო ოლიგოპოლიები და „მეტოქეთა“ ფარული შეთანხმებებისა და ქმედებების შედეგად ვიღებთ ერთიან მაღალ ფასებს და არჩევანის უფლება პროდუქციის ხარისხზეც გვეზღუდება.

საქართველოში განხორციელებული რეფორმების შემდეგ, როდესაც ბევრი მარეგულირებელი სააგენტო გაუქმდა, დღეს რეგულაციების თემა კვლავ აქტუალური გახდა. აქტიურად დაიწყო მსჯელობა

ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის შესახებაც. ამის ერთ-ერთ მიზეზად ბოლო პერიოდში (როდესაც ანტიმონოპოლიური სამსახური არ არსებობდა) საქართველოს ბაზარზე წარმოქმნილი მონოპოლიები და ოლიგოპოლიები სახელდება. ბუნებრივია, თავისუფალი ბაზარი არ არის იდეალური და ზოგჯერ, რესურსების გადანაწილება არაეფექტურად ხდება, რადგან კომპანიები მხედველობაში არ იღებენ ე.წ. სოციალურ ხარჯებს. პოპულარული ტერმინოლოგიით, ბაზრის ჩავარდნას ასიმეტრიული ინფორმაცია განაპირობებს. სწორედ აქ, პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა და მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავრობას შეუძლია საბაზრო ხარვეზის გამოსწორება, თუ იგი თავად შექმნის ასეთ პროდუქტს ან დაარეგულირებს კერძო კომპანიების ეკონომიკურ ქცევას. სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ საქართველოს ბევრ სექტორში ოპერირებს მონოპოლისტური კომპანია. მათ შორის, განვიხილავთ როგორც ბუნებრივ, ასევე არაბუნებრივ მონოპოლიებს. დარეგულირების მცდელობა ბაზარზე რესურსების გადანაწილების პროცესს გაცილებით უფრო არაეფექტიანს გახდის, ვიდრე ეს დღეს მონოპოლისტური კომპანიის ოპერირების შედეგად არის გამოწვეული. თეორიულად, „ჭკვიან" მთავრობას შეუძლია ბევრი გააკეთოს იმისთვის, რომ საბაზრო ხარვეზი რესურსების არაეფექტიანი განაწილების პროცესში გამოსწორდეს. მაგალითად, რეგულაციები, რომელმაც უნდა: დაიცვას გარემო დაბინძურებისგან, უზრუნველყოს სასურსათო უსაფრთხოება, შექმნას უსაფრთხო სამუშაო პირობები და გრძელვადიანი დასაქმების გარანტიები და სხვა.

კონკურენტული ბაზრისაგან განსხვავებით, მონოპოლისტი (ან კარტელური შეთანხმება) ამცირებს პროდუქციის მიწოდებას იმ რაოდენობამდე, სადაც მისი ზღვრული დანახარჯები შეესაბამება ზღვრულ შემოსავლებს. შედეგად, მონოპოლისტური ფასი შეესაბამება მოთხოვნის ფასს, რომელიც წარმოიქმნება შემცირებულ რაოდენობაზე. ყველა სხვა შესაძლო სიტუაციაში, ფასისა და რაოდენობის ეს კომბინაცია მონოპოლისტს აძლევს მაქსიმალურ შემოსავალს. მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა გამოავლინოს არა მონოპოლისტური ფირმა, არამედ მონოპოლისტური ფასი. თავად მონოპოლიის არსებობა არ ამცირებს საზოგადოების სარგებელს – მხოლოდ მონოპოლიური ფასი წარმოქმნის დანაკარგებს. მონოპოლისტური ფასის გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტოს ექნება შესაძლებლობა, მონოპოლისტს ფასის დაწევა მოსთხოვოს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სააგენტო ბაზარზე დაადგენს „ფასის ზედა ზღვარს". იდეალურ შემთხვევაში, ზედა ზღვარი უნდა გაუტოლდეს ფასს, რომელიც წარმოიქმნება მოთხოვნის იმ რაოდენობაზე, სადაც მონოპოლისტის ზღვრული დანახარჯები საბაზრო მოთხოვნას გაუტოლდება. მაგრამ თუ ფასის ზედა ზღვარი აღმოჩნდება იდეალური ფასის დაბლა, მაშინ რა მოხდება ბაზარზე? – მოთხოვნის რაოდენობა იქნება მეტი, ვიდრე მიწოდების რაოდენობა, ანუ დეფიციტი, გრძელი რიგები და ჩრდილოვანი ბაზარი, სადაც დაუკმაყოფილებელი მომხმარებელი მზად იქნება გადაიხადოს კიდევ უფრო მაღალი ფასი მონოპოლიურ საქონელში, ვიდრე გადაიხდიდა მონოპოლიური ფასის პირობებშიც კი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საუკეთესო შემთხვევაში ვიღებთ საზოგადოებრივ დანაკარგებს + სააგენტოს საქმიანობით წარმოქმნილ დამატებით საზოგადოებრივ დანაკარგებს (რომელიც აღემატება მონოპოლიის დანაკარგებს) + სააგენტოს შენახვაზე გაწეულ დანახარჯებს და დაკანონებულ მონოპოლიებს. მაშასადამე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ბაზარი არის მონოპოლიური, რაც გამოიწვია ანტიმონოპოლისტური სამსახურების არარსებობამ. პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელია: ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა და მარეგულირებელი სააგენტოს მიერ მონოპოლისტური ფასის განსაზღვრა, რათა გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტოს მიეცეს შესაძლებლობა, მონოპოლისტს მოსთხოვოს ფასების დაწევა, რაც გაათანაბრებს მოთხოვნისა და მიწოდების შესაძლებლობას.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.tabula.ge/
2. http://resonancedaily.com/
3. http://intermedia.ge/

ვენჩერული ბიზნესი - სიმდიდრის შექმნის რეალური გზა

თეონა ფოლადაშვილი, სოფიკო კობერიძე, მარიამ ოქროპირიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი**, პროფესორი

ვენჩერული ბიზნესი გულისხმობს ახალი იდეების, პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების დაფინანსებას და შემდგომ მათ დაყვანას გადაყიდვისათვის მიზანშეწონილ დონემდე ანუ კომერციალიზაციას. ვენჩერული ბიზნესი საჭიროებს დიდ გარჯას, ფულსა და ენერგიას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში მას უზარმაზარი მოგების მოტანა შეუძლია.

სახელწოდება "ვენჩერული" წარმოიშვა ინგლისური სიტყვისაგან ვენტურე, რაც გარისკვას ნიშნავს. ვენჩერული ბიზნესის პრინციპები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ცნობილი. რა თქმა უნდა ამ პერიოდში ვენჩერული კომპანიები არ არსებობდნენ, თუმცა მევახშეები და მდიდარი ფეოდალები აფინანსებდნენ საზღვაო სავაჭრო ოპერაციებს. ასეთი ვენჩერული კაპიტალისტების მიერაა დაფინანსებული თითქმის ყველა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენის გმირი მარკო პოლოსა და ქრისტეფორე კოლუმბის ჩათვლით. ვენჩერული ბიზნესის განვითარების ისტორიაში, განსაკუთრებული როლი ითამაშა ცენტრალურ კალიფორნიაში შექმნილმა "სილიკონის ველმა". აქ 1950 წლისთვის 300 ათასზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობდა და ძირითად შემოსავლის წყაროს მებაღეობა წარმოადგენდა, მანამდე, ვიდრე AT&T BELL-ისა და სტენფორდის უნივერსიტეტის ლაბორატორიებში ელექტროდენის გასაძლიერებლად პირველად გამოიყენეს კაჟბადის ნახევარგამტარი დღეს ცენტრალური კალიფორნია მაღალი ტექნოლოგიების წარმოებისა და გამოგონების საუკეთესო ნიმუშია. სილიკონის ველში განლაგებულია 4 ათასზე მეტი კომპიუტერული ფირმა ნახევარ მილიონზე მეტი თანამშრომლით. აქ უშვებენ აშშ-ის რაკეტების და თვითმფრინავების წარმოების 1/3-ს და კომპიუტერების 1/6-ს. (www.en.wikipedia.org).

ვენჩერული კაპიტალის წყალობით დაფინანსება მიიღეს ისეთმა ფირმებმა, როგორიცა: lntel, Microsoft, apply, hotmile, yahoo და ა.შ. აშშ-ის ვენჩერული კაპიტალის ეროვნული ასოციაციისა და ანალიტიკური სააგენტოს მონაცემებით (global lnsigth) 1970-2005 წლებში. ვენჩერული კაპიტალით დაფინანსებული ამერიკული კომპანიების მიერ შეიქმნა 2,1 ტრლნ დოლარის შემოსავალი და დასაქმდა ა.შ.შ-ის მთლიანი სამუშაო ძალის 9%.

ამერიკული ვენჩერული სისტემა ამ ბიზნესის პირველი და წარმატებული მაგალითია მსოფლიოში. ყოველივე ამას ხელი შეუწყო საკანონმდებლო ბაზამ. 1958 წელს კონგრესმა მიიღო კანონი მცირე ბიზნესში ინვესტიციების შესახებ. ამ კანონის საფუძველზე დაიწყო ე.წ. SBIC-ების (small business investment companies) ჩამოყალიბება. მათ მიერ მოწონებული პროექტის შემთხვევაში კაპიტალით უზრუნველყოფდა არა მარტო კერძო კომპანია, არამედ თავად სახელმწიფო შეღავათიანი კრედიტის პირობებში. დასაშვებია სახელმწიფოს მიერ გაცემული სასყიდლო გრანტები დამწყებ მეცნიერ-მეწარმეებზე, ვინაიდან ისინი სამომავლოდ გადასახადების სახით ერთიასად დაუბრუნდება მთავრობას. მოგებაში არიან კვლევითი ლაბორატორიები, იმის გამო რომ მათ აქვთ წილი კომპანიებში და ამავე დროს გაზრდილი შეკვეთები.

ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული სურათია ყოფილი სსრკ-დან გამოყოფილ ქვეყნებში: მეწარმეები როგორც წესი არ დებენ ფულს მეცნიერული აზრის კომერციალიზაციაში, ხოლო სახელმწიფოს კი ან არ აქვს შესაბამისი რესურსი, ან თუ აქვთ არ იციან როგორ იმოქმედონ აღნიშნულ სფეროში (მეცნიერული იდეის კომეციალიზაციის თვალსაზრისით). მაშინ როდესაც საქართველოს უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი გააჩნია და არაერთი მეცნიერ-მკვლევარი გასაქანს საზღვარგარეთ ეძებს (მაგ. გია დვალი) მეცნიერება და განათლება აბსოლუტურად გამოუყენებელი აღმოჩნდა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. ასეთი აზრია წარმოდგენილი მსოფლიო ბანკის (world bank) ექსპერტთა დასკვნაში, რომელიც შემდეგი სათაურით გამოქვეყნდა "public financial support for comecial lnnovetion" ინოვაციების კომერციალიზაციის ფინანსური მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. მოხსენებაში გაანალიზებულია სსრკ-დან გამოყოფილი დღეს უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების მეცნიერული კვლევების კომერციალიზაციის პრობლემები. ამ გამოკვლევით მეცნიერული კვლევების დაფინანსებაზე იხარჯება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 1..5% - რუსეთი, 1.2% - უკრაინა, 0.8% - ესტონეთი 0.3% - აზერბაიჯანი 0.2% - სომხეთსა და ყირგიზეთში, საქართველო 0.3%. შედარებისთვის აშშ ხარჯავს 2.8%-ს, ფინეთი 3.6%, ხოლო ისრაელი 5.1%-ს.

უფრო ცხადი რომ გახდეს სახელმწიფოსთვის მეცნიერულ კვლევათა კომერციალიზაციის და ინოვაციური ბიზნესის დანიშნულება და მნიშვნელობა სავსებით საკმარისია რამდენიმე სტატისტიკური მონაცემის განზოგადება, რაც დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

ევროპაში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, მძიმე დაავადების დიაგნოსტირების შემდგომ, შეადგენს საშუალოდ 19 წელს. საქართველოში კი 7 წელს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრიტანელებს, გერმანელებს ან ფრანგებს შეუძლიათ 2,5-ჯერ მეტი იცოცხლონ, ვიდრე იგივე დაავადების მქონე პაციენტებს საქართველოში. ჩვენ არ გვაქვს არც ერთი ბიოტექნოლოგიური და ფარმაკოლოგიური პროფილის წარმოება, რაც განაპირობებს მოსახლეობის მაღალ სასიცოცხლო პერიოდს და ხელს შეუშლის ეროვნული ვალუტის საზღვარგარეთ გადინებას. პრობლემა ვერ მოგვარდება მეცნიერების დაფინანსებისა და უკვე არსებული ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე. ვენჩერული კაპიტალის ძირითადი წყაროებია:

1. დამოუკიდებელი ფონდები, რომლებიც ორგანიზებულია პარტნიორობის (ამხანაგობის) პრინციპით:
2. სახელმწიფო სახსრებით შექმნილი ფონდები, და პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას
3. მცირე ინოვაციური კომპანიები
4. კერძო ინვესტორები. (ლ. ყორღანაშვილი 2009)

ვენჩერული ბიზნესის არაფორმალურ ბაზარზე ბოლო დროს გამოჩნდნენ ახალი დამფინანსებლები "ბიზნეს-ანგელოზების" სახით. თამამად შეგვიძლია მათ ვუწოდოთ ვენჩერული ბიზნესით უკვე გამდიდრებული ადამიანები. ამჯერად ისინი თავიანთ სახსრებს "თესვის" სტადიის პროექტში აბანდებდნენ. ინვესტიციების მოცულობა ერთ პროექტში დაახლოებით რამდენიმე ათასიდან 1 მლნ დოლარამდე მერყეობს. მათი ძირითადი მიზანია საწარმოს ღირებულების დაჩქარებული ზრდის შედეგად მაღალი მოგების მიღება. ძირითადი მიზანია საწარმოს ღირებულების დაჩქარებული ზრდის შედეგად მაღალი მოგების მიღება, ძირითად შემოსავალს კი აქციების გაყიდვის შედეგად იღებენ, რომელიც ბევრად მეტია საწყის ღირებულებაზე. საინვესტიციო რისკების შემცირებას "ბიზნეს ანგელოზები" სხვადასხვა სექტორში ფულის დაბანდებით აბალანსებენ, ასევე აქტიურად არიან ჩართულები ფირმის მმართველობითი გადაწყვეტილების პროცესში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინოვატორები და "ბიზნეს ანგელოზები" ხშირად სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და კონსესუსს მხოლოდ ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად აღწევენ. (შაბურიშვილი: 2009) დაფინანსების წყაროების ნაკლებობას განიცდიან მეცნიერებიც. ამის სამი მთავარი მიზეზი არსებობს:

1). ნებისმიერი იდეა ან პროექტი ახდენს გავლენას საზოგადოებასა და ეკონომიკაზე, ამასთან თავად გამომგონებლები ხშირად ვერაფერს იღებენ, რის გამოც ითრგუნება გამომგონებლობითი სტიმული - ახალი იდეების შექმნის ინტერესი ეკარგებათ არა მარტო მეცნიერ-ნოვატორებს, არამედ იმ ადამიანებს ან სტრუქტურებს, რომლებიც აფინანსებენ მეცნიერულ კვლევებს ადრეულ სტადიაზე;

2). ინფორმაციული ასიმეტრიული გამოვლინება. გამომგონებელმა გაცილებით მეტი იცის საკუთარი გამოგონებისა და მისი პოტენციალის გამოყენების შესახებ, ვიდრე იმ ფინანსისტმა, ვისაც გააჩნია შესაბამისი სახსრები იდეის ფინანსური უზრუნველყოფისთვის. მეცნიერისთვის ძალზე რთულია ადეკვატურად წარადგინოს პროექტი და დაამტკიცოს, რომ წარმოდგენილი იდეა, სამრეწველო რეალიზაციისას მოგებას მოიტანს. ყოველივე ამის მიზეზს კი დაფინანსების პრობლემა განაპირობებს;

3). თავის მხრივ კომპანიები თავს იკავებენ ინოვაციური პროექტების დაფინანსებაზე, ვინაიდან დაბანდებები გრძელვადიანი ხასიათისაა და უკუგება არ არის მოსალოდნელი ადრეულ ეტაპზე. არსებობს იმის რისკიც, რომ ინვესტიცია საერთოდ უშედეგო აღმოჩნდეს.

სამწუხაროა, მაგრამ დღეისთვის საქართველოში არც საშუამავლო კომპანიები არსებობენ, რომლებიც მეცნიერ-ნოვატორს და ვენჩერული კაპიტალის განმკარგავ ფინანსისტებს (თუნდაც უცხოეთში) ერთმანეთს დაუკავშირებენ. აქ კი უკვე განათლების პრობლემას ვაწყდებით.

ქვეყნის ეკონომიკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინოვაციური პროექტების მენეჯერთა მომზადებას მეცნიერული კვლევების კომერციალიზაციის განვითარებისთვის. მენეჯერები გარდა ტექნოლოგიური პროცესის და საწარმოო რეალიზაციისა კარგად უნდა ერკვეოდნენ ისეთ დარგებში: როგორიცაა ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივი გარემო, საბუღალტრო აღრიცხვა, ფინანსები, კომუნიკაციის უნარი, უცხო ენები და ა.შ.

ზემოთ ხსენებული სტატიის ("public financial support for comecial lnnovetion") ავტორთა რეკომენდაციით, იმისთვის რომ დაიძლიოს კომეციალიზაციის უმდაბლესი ხარისხი აუცილებელია საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები ისეთი კომპანიებისთვის როგორიცაა, სამეცნიერო-კვლევითი

ლაბორატორიები და სასწავლო ცენტრები. ასევე ეფექტურია საგრანტო სისტემის გამოყენება კვლევების დასაფინანსებლად და ამ შედეგების სარეალიზაციოდ მომზადება.

ვენჩერული ბიზნესის დიდი სარგებლიანობის მიუხედავად საქართველოში ბიზნესის ეს სახეობა ფაქტობრივად არ არსებობს. უპირველესი მიზეზი კი არის საფონდო ბაზრის არ არსებობა, სადაც აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით დაინტერესებული პირები მოგებას მიიღებენ. ამ მხრივ ქვეყანაში არ არის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება.

თუმცა აღსანიშნავია, რომ მას ამ მიმართულებით დიდი პერსპექტივა გააჩნია. წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ 2010 წელს შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქსპატენტი" (www.sakpatenti.ge), რომელიც სამომავლოდ გეგმავს ისეთი ცენტრის შექმნას, რომელიც შუამავლის როლს ითამაშებს გამომგონებელსა და მეწარმეს შორის. დაეხმარება მათ პარტნიორული ურთიერთობების აგებაში და გაუწევს ხარისხიან მომსახურებას აუცილებელია შეიქმნას ვენჩერული ფონდები, რომლებიც შეძლებენ სარისკო ფონდების დაფინანსებას ამავე დროს ზოგიერთი წარუმატებელი ინვესტიციის დაფარვას.

გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მიდგომა ინტელექტუალური ახალგაზრდების მიმართ. მათ დასასაქმებლად სახელმწიფომ უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად უნდა შექმნას ბიზნეს ინკუბატორები, სადაც დასაქმდებიან სტუდენტები და სამომავლოდ პროფესიონალებად ჩამოყალიბდებიან.

საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ გახდეს ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა რეგიონში, უპასუხოს ათასწლეულის გამოწვევებს და მის ხელთ არსებული პოტენციალი თავისავე სასიკეთოდ მოიხმაროს.

ლიტერატურა:

1. შ. შაბურიშვილი, "ბიზნეს-ანგელოზები", თბილისი, 2009.
2. ლ. ყორღანაშვილი, "საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხები", თბილისი, 2009.
3. მ. მაცაბერიძე, "მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროექტების მართვით - XXI საუკუნის ქართული ეკონომიკისათვის, 2007. http://www.conference.ge\index.php\topic\2946-maghalteqnologiuri-inovatsiuri\

4 . www.en.wikipedia.org
5 . http://en.wikipedia.org\wiki\venture-capital
6 . www.pwcmoneytree.com
7 . https:\\www.pwcmoneytree.com\MTPublic\ns\index.jsp
8 . www.siterecoures.worldbank.org (http://siterecoures.worldbank.org\INTECA\resources\KEstudy-Final.pdf)
9 . http://sakpatenti.ge\

ქართველთა დიასპორის მოცულობა გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში

ნონა შოშიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია,** პროფესორი

მიგრაციის საკითხები უაღრესად პრიორიტეტულია საქართველოს რესპუბლიკისთვის და სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. მათ განხილვას ისეთივე დიდი დრო ეთმობა, როგორც პოლიტიკის ან ეკონომიკისას. საქართველო თანდათან იმიგრაციის ქვეყანა ხდება, მაგრამ ამასთან ემიგრაციაც მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება სახელმწიფოს განვითარების ყველა სფეროში. რთულია, იმ ადამიანების ზუსტი რაოდენობის დადგენა, რომლებიც საქართველოდან მიგრირებენ; სხვადასხვა ექსპერტის მიერ მოწოდებული რიცხვები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, მიგრაციის პოლიტიკის ცენტრის (MPC) შეფასებით 2012 წელს 770,000 საქართველოს თანამემამულე ცხოვრობდა საზღვარგარეთ. ამ ცენტრის დასკვნაში მოყვანილია საქართველოს საკონსულო რეგისტრაციის სისტემის მონაცემები, რომლის მიხედვითაც 2012 წელს საზღვარგარეთ

რეგისტრირებული იყო 400,000 ადამიანი საქართველოდან. სხვა ავტორები გარკვეულწილად ადასტურებენ ამ მონაცემებს და ამტკიცებენ, რომ საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეთა რიცხვი 350 000-500 000-ის ფარგლებშია. არის წყაროები, რომელთა მიხედვითაც ემიგრანტთა რაოდენობა 1 000 000 ადამიანს სცდება. მაშასადამე, საქართველოს მოსახლეობის 8%-დან 20%-მდე ემიგრაციაშია. ემიგრაციის მაღალი დონე, იმიგრაციის დაბალ დონესთან ერთად, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საქართველოს და მისი საზოგადოების განვითარებაზე. საქართველო არის წარმომავლობის ქვეყანა ემიგრანტთა ნაკადებისთვის, რომლებიც მიმართულია ძირითადად აშშ-ს, საბერძნეთის, გერმანიის, თურქეთის, ავსტრიის რუსეთის, და ევროკავშირის კიდევ რამდენიმე წევრი სახელმწიფოს, მაგალითად საფრანგეთისა და ესპანეთისკენ. 2008 წლიდან საქართველოს მიგრანტთა შედარებით ნაკლები რაოდენობა ირჩევს რუსეთს და მეტი რაოდენობის მიგრანტი მემგზავრება თურქეთში. ახალი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ევროპის ქვეყნებიც, განსაკუთრებით საბერძნეთი, იღებს ემიგრანტთა მეტ რიცხვს. ქვეყანამ მიგრაციის რამდენიმე ნაკადი განიცადა. საბჭოთა პერიოდში ეთნიკური ქართველები იშვიათად ტოვებდნენ ქვეყანას და მათი 95% ყოფილ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ცხოვრობდა. 1991 წელს მოპოვების შემდეგ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა გარე მიგრაცია. 1989 წლის მოსახლეობის აღწერიდან 2002 წელში ჩატარებულ ბოლო აღწერამდე განვლილ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 20%-ით შემცირდა. ეს ცვლილება შეიძლება ნაწილობრივ შობადობის შემცირებით აიხსნას, მაგრამ ძირითადად მაინც ემიგრაციით იყო განპირობებული. მასობრივმა გარე მიგრაციამ სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის განვითარებაზე, რაც გამოიხატებოდა „ტვინების გადინებას“ და „ტვინების დაკარგვაში“ (რადგან ბევრი ემიგრანტი აცხადებს, რომ საზღვარგარეთ მათი კვალიფიკაცია არასათანადოდაა გამოყენებული). მოგვიანებით, 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და მისმა შედეგებმა უარყოფითად იმოქმედა საზღვარგარეთ მყოფ მიგრანტებზე, შეამცირა რა მათი შემოსავალი და ბევრი დააფიქრა უკან დაბრუნების საჭიროებაზე. ამ პირობებში, საქართველოში არსებული საერთო ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია სერიოზულ გამოწვევად რჩება. მიგრანტთა ფულადი გზავნილები ზრდის ქვეყნის მშპ-ს (2011-დან 2013 წლამდე ფულადი გზავნილების წილი მშპ-ში მერყეობდა 8-დან 9%-მდე.) 2008-2012 წლებში მთავრობის სამოქმედო პროგრამის - „საქართველო სიღარიბის გარეშე“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო მიგრაციის ნაკადის პოზიტიური მაჩვენებლის მიღწევა, ემიგრაციის და ფულადი გზავნილებისგან მიღებული სარგებლის მაქსიმალიზაციის პარალელურად. მიგრაციის მთავარი მიზეზი იყო და არის საქართველოს ეკონომიკა, რომელმაც სერიოზული დარტყმა მიიღო საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად. ამ პროცესებმა ყველაზე მეტად სასოფლო-სამეურნეო სექტორი გაანადგურა. 2004 წელს მშპ 1989 წლის მაჩვენებლის 45% უტოლდებოდა. 2011 წელს ოფიციალური მონაცემებით დასაქმების მაჩვენებელი 55,4% იყო, უმუშევრობისა კი - 15,1%. შრომის ორგანიზაციის ვარაუდით კი უფრო რეალისტური მონაცემებით უმუშევრობის დონე 30-35%-ა. საქართველო ამჟამად გადამწყვეტ ეტაპზე იმყოფება მიგრაციის მართვის თვალსაზრისით. 2010 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ შექმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომელშიც გაერთიანდნენ ამ სფეროში მომუშავე უწყებები. კომისიამ შეძლო ზოგიერთი მიმართულებით გარკვეული პროგრესის მიღწევა, თუმცა საქართველოს მიგრანტებთან და დიასპორასთან ურთიერთობას შედარებით ნაკლები ყურადღება დაეთმო. უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის დეკემბრიდან საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიეცათ კომისიის სხდომებში მონაწილეობის უფლება. საქართველოს კანონი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ განსაზღვრავს, რომ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე არის „საქართველოს მოქალაქე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში, ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოდან წარმომავლობა ან/და რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართველურ-კავკასიურ ენებს“ დიასპორული ორგანიზაცია განსაზღვრულია, როგორც „გაერთიანება, რომელიც შექმნილია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქართული კულტურის, საქართველოს სახელმწიფო ენის, ტრადიციების პოპულარიზაციის, დიასპორების შეკავშირების, საქართველოსთან კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სპორტულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის მიზნით“. და ბოლოს ქვეყნიდან მიგრაციის შესახებ სანდო მონაცემთა ნაკლებობა ბევრი ქვეყნისთვის წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას და არც საქართველოა გამონაკლისი ამ თვალსაზრისით. ხშირად მოსახლეობის აღწერა არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას გარე მიგრაციის შესახებ. საკონსულო რეგისტრაცია ნებაყოფლობითია და ამდენად, არ მოიცავს ინფორმაციას საზღვარგარეთ მცხოვრები ყველა მოქალაქის შესახებ. ამგვარ შემთხვევაში, დიასპორისა და მიგრანტთა გაერთიანებების თაობაზე ინფორმაციის მოკრება ხდება დამატებითი წყაროებიდან და მისი ანალიზი ხორციელდება დიასპორის საკითხებში ცენტრალური უწყების მიერ. ასეთ წყაროებად შეიძლება ჩაითვალოს მონაცემები დანიშნულების ქვეყნიდან (საყოველთაო აღწერა, მონაცემები ბინადრობის ნებართვების და გრძელ-ვადიანი ვიზების შესახებ, სტატისტიკური და ოპერატიული მონაცემები არალეგალურ მიგრაციაზე და ა.

შ.) ან საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან კვლევითი ინსიტიტუტების მიერ განხორციელებული კვლევები. დიასპორის საქმიანობის ანალიზმა შესაძლოა მოგვაწოდოს საჭირო ინფორმაცია დიასპორის სოციალური მახასიათებლების, უნარების, ინტერესების, საჭიროებებისა და ქვეყნის განვითარებაში მონაწილეობის პოტენციალთან დაკავშირებით. „ქართველი ემიგრანტების როლის გაძლიერება საქართველოში (ERGEM)" კვლევა ჩვენს მიერ შერჩეული სამი ქვეყნის შესახებ გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას: გერმანიას, საბერძნეთსა და თურქეთს, როგორც საქართველოს მიგრანტთათვის დანიშნულებისა და ბინადრობის ქვეყნებს, საკუთარი განმასხვავებელი ნიშნები აქვთ. ეს განპირობებულია მათი ისტორიული ურთიერთობებით საქართველოსთან და მიგრაციის თავისებურებებით. თურქეთისა და საქართველოს მიგრაციული ისტორიას მივყავართ შუა საუკუნეებში თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობასთან და ოტომანთა იმპერიის დაპყრობებთან, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიაზე თურქთა დიდი დასახლებების გაჩენა და შემდეგ მათი გადასახლება შუა აზიაში. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული მჭიდრო ისტორიული კავშირები და გეოგრაფიული სიახლოვე განაპირობებს ამ ორ ქვეყანას შორის მიგრაციულ მოძრაობას, ხოლო ქართველთათვის სავიზო რეჟიმის გაუქმებამ გაზარდა თურქეთის, როგორც დანიშნულების ქვეყნის პოპულარობა. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთსა და გერმანიაშიც არის მცირე ზომის ისტორიული დიასპორა, ორივე ეს ქვეყანა იმიგრაციის შედარებით ახალი მიმართულებებია მიგრანტებისთვის, რადგან სერიოზული მიგრაციული ნაკადები გაჩნდა 1990-იან წლებში. საქართველოდან საბერძნეთში იმ პერიოდში გამგზავრებულ მიგრანტთა უმრავლესობა იყვნენ ბერძნული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ხშირად ბერძენ რეპატრიანტებს ან „პონტოელ ბერძნებს" უწოდებენ. ამან საფუძველი მოამზადა შემდგომში საქართველოდან საბერძნეთში მიგრაციის ზრდისთვის შერეული ქორწინებების, საქართველოსთან შენარჩუნებული მჭიდრო კონტაქტების და საბერძნეთში საქართველოს მოქალაქეთა საკმაოდ დიდი გაერთიანების არსებობის გამო. საბერძნეთში მიგრაციას ასევე ხელს უწყობს ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, მაღალგანვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მიგრაციის შედარებით დაბალი ხარჯები, რაც განპირობებულია ოჯახებში დასაქმებულთათვის ადგილზე ცხოვრების შესაძლებლობით.

საქართველოს ახლო ურთიერთობა აქვს გერმანიასთან, რაც უკავშირდება 200 წლის წინ სამხრეთ გერმანელი (შვაბი) ფერმერების ემიგრაციას საქართველოში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გახსნა საელჩო თბილისში, რაც 1992 წელს მოხდა. დღეისთვის გერმანული ისწავლება როგორც პირველი ან მეორე უცხო ენა საქართველოში არსებულ მრავალ სკოლაში და მოსწავლეთა დაახლოებით 11,5% სწავლობს ამ ენას. ამის შედეგია 2500-მდე თანამემამულე, რომლებიც ამჟამად სწავლობენ გერმანულ უნივერსიტეტებში ან მონაწილეობენ „au pair" პროგრამებში. ექსპერტები სხვადასხვა მონაცემებს გვთავაზობენ ზოგადად საქართველოდან მიგრაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვეულებრივ კამათს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მიგრაციული ნაკადების 60% საქართველოდან მიმართულია დსთ-ს ქვეყნების და განსაკუთრებით რუსეთისკენ. როცა მიგრაციის ნაკადების და მიგრანტთა საერთო რაოდენობის შეფასება ხდება ფულად გზავნილებთან მიმართებით, მიგრაციისთვის ყველაზე მიმზიდველ ქვეყნებად აშშ, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი და თურქეთი მიიჩნევა. გერმანიაშიც საკმაოდ დიდი რაოდენობით არიან მიგრანტები, თუმცა მათი ფულადი გზავნილების რაოდენობა მაღალი არ არის, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ მათი უმრავლესობა სტუდენტები და „au pair" -ები არიან. მიგრაციის ზემოთ მოყვანილი მონაცემების გათვალისწინებით, დსთ-ს გარდა სხვა დანიშნულების ქვეყნებში სავარაუდოდ იმყოფება 120000-დან 400000-მდე მიგრანტი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რიცხვებში არ იგულისხმება ე. წ. ისტორიული დიასპორა, რომელიც საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით თურქეთში. ასევე არ არის გათვალისწინებული იმ თანამემამულეთა რაოდენობაც რომელთაც დანიშნულების ქვეყნების მოქალაქეობა მიიღეს. გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში ამჟამად ცხოვრობს როგორც ისტორიული დიასპორა, ისე ბოლო პერიოდის შრომითი მიგრანტები. პირველ მათგანთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გამოთვლების მიხედვით, თურქეთში 2,5 მილიონი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. ქვემოთ მოყვანილია საკვლევ ქვეყნებში მიგრანტთა საერთო რაოდენობა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით.

ცხრილი 1. მიგრანტთა რაოდენობა გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში

	სტატისტიკური სამსახურები, 2011	კვლევის მონაცემები	საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული საკონსულო რეგისტრაციის მონაცემები
გერმანია	13,835[12]	25,000–35,000[3]	2,518
საბერძნეთი	16,523[4]	70,000[5]	17,711
თურქეთი	1,979[6]	18,000–25,000[7]	996

ცხრილში ნაჩვენებია, თუ რამდენად განსხვავდება მიგრანტებთან დაკავშირებული მონაცემები დანიშნულების ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა წყაროში. ეს შეიძლება აიხსნას იმ არალეგალურ მიგრანტთა დიდი რაოდენობით, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ და მუშაობენ (განსაკუთრებით საბერძნეთში), საქართველოს მოქალაქეთა ნატურალიზაციის მაღალი პროცენტული მაჩვენებლით და იმით, რომ მიგრანტები არ რეგისტრირდებიან დანიშნულების ქვეყნებში არსებულ საკონსულოებში.

მე შევეცადე ეს მოკლე ინფორმაცია გამეცნო თქვენთვის, რომელიც ვფიქრობ საინტერესო და სასარგებლო იყო. შემეძლო უფრო ვრცლად მესაუბრა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ რეგლამენტი არ იძლევა ამის საშუალებას. შევეცდები შემდეგ კონფერენციებზე გავაგრძელო დიასპორის საკითხებზე მუშაობა და მათ შესახებ ინფორმაცია მოვიპოვო სხვადასხვა მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ; http://www.carim-east.eu/media/sociopol_module/file-2 Georgia draft law_on compatriots living abroad and diaspora organizations_GE.pd
2. IOM პროექტის საიტი: www.informedmigration.ge
3. EUROSTAT 2012
4. People's Harmonious Development Society and TASO Foundation, 2010.
5. Statistical Office of Turkey, 2011.

ქართული კომპანიები და ონლაინ რეკლამა

ნატალია ჩოჩიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** პროფესორი

თანამედროვე რეკლამა სათავეს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, მასმედიის განვითარებასთან ერთად, იღებს. თუმცა ისტორია აქ როდი იწყება – თუ ჩავთვლით, რომ რეკლამა არის „სხვების ინფორმირება რაიმეს თაობაზე", ის ცივილიზაციასავით ძველი გამოდის. დადასტურებულია, რომ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, გაყიდვების შესახებ განცხადებებისა და კედლის პლაკატებისთვის, პაპირუსს იყენებდნენ. პომპეის ნანგრევებსა და ანტიკურ არაბეთში, ძველ საბერძნეთსა და რომში აღმოჩენილია უძველესი რეკლამების, პოლიტიკური კამპანიისა და კომერციული განცხადებების ნიმუშები. რეკლამის უძველესი სახეობაა კედელზე ხატვაც.

დიდი სიმძლავრის მიუხედავად, ქართული კომპანიები ონლაინ რეკლამის მიმართ არცთუ განსაკუთრებულ დაინტერესებას გამოხატავენ და სარეკლამო კამპანიის დაგეგმვისას მას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. საინტერესოა, მოაქვს თუ არა რეალური შედეგი კომპანიებისთვის ონლაინ რეკლამას? შედეგის გაზომვა დღესდღეობით საქართველოში ძალიან დაბალ დონეზე ხდება, თუმცა ონლიან რეკლამის ეფექტურობას არაერთგვაროვნად აფასებენ თავად კომპანიები. ზოგიერთი ამას

მხოლოდ იმიჯისთვის აკეთებს, ზოგიერთი კი კონკრეტულ მოგებასაც იღებს. ის ფირმები, რომლებმაც ონლაინ რეკლამის უპირატესობებს ალღო სწრაფად აუღეს, ინტერნეტში რეკლამის განთავსებას ინტენსიურად ახორციელებენ. ერთ-ერთი მათგანია ფარმაცევტული კომპანია "ავერსი", რომელიც რეკლამის ინტერნეტში განთავსებას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს. ონლაინ რეკლამის დანარჩენ სახეებთან შედარებით, არაკონკურენტუნარიანობაზე საუბრობენ სხვა კომპანიებშიც. ინტერნეტი ძალიან ბევრი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი. ონლაინ რეკლამას თავისი მომხმარებელი ჰყავს და მომავალი წლიდან ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. საქართველოში უკვე დაისვა ინტერნეტის გაუმჯობესების საკითხი, რაც გაზრდის მომხმარებელსაც. ჩვენი გადმოსახედიდან ინტერნეტ რეკლამა ძალიან ეფექტიანი საშუალებაა და კომპანიები, რომლებიც კარგად ათვითცნობიერებენ ამ გარემოებას, მას თავის სასარგებლოდ ეფექტურად იყენებენ. განსხვავებული აზრით რეკლამას ინტერნეტში დამკვეთისთვის მხოლოდ მცირე შედეგი მოაქვს და ამის მიზეზად საქართველოში ინტერნეტ მომხმარებლების შედარებით მცირე რაოდენობას ასახელებს.

ონლიან რეკლამის განვითარების მაღალ ტემპებზე საუბრობენ ონლაინ რეკლამის განმთავსებლებიც. Web Art Studio-ს და www.auto.ge -ის ხელმძღვანელები, რომლებიც ინტერნეტ რეკლამის განვითარების პერსპექტივებს მის ნაკლებ საფასურსა და რიგ შემთხვევებში მეტ ეფექტიანობას უკავშირებენ. ისინი თვლიან, რომ ონლაინ რეკლამის უპირატესობის მარტივი ლოგიკა გამოცდილმა ორგანიზაციებმა, რომელთაც შესაბამისი კვლევების ჩატარების საშუალება აქვთ, დიდი ხანია აითვისეს და ეს არის მიზეზი იმისა, რომ მათ საიტზე ყველა სარეკლამო ადგილი მთელი წლის ვადით პრაქტიკულად, უკვე დაკავებულია. ონლაინ რეკლამის უპირატესობა მარტივი მაგალითითაც დასტურდება: "ავტომობილის დაზღვევის რეკლამას თუ ტელევიზიით გავუშვებთ, 50 000 ადამიანი ნახავს. ამათგან ავტომობილი დავუშვათ 10000-ს ჰყავს. ამ ადამიანთა შორის ავტომანქანა სავარაუდოდ, ბევრს უკვე დიდი ხანია ჰყავს და დაზღვევა მათთვის აქტუალური მაინც და მაინც არ არის, ავტომობილის ყიდვას კი დაახლოებით 3000 ადამიანი აპირებს და დაზღვევაზე საუბარს აზრი მხოლოდ მათთან აქვს. ანუ გამოდის, რომ რეკლამაში გადახდილია დიდი საფასური მხოლოდ იმიტომ, რომ ეს რეკლამა ენახა 50000-ს ადამიანს, მაგრამ ეფექტი მოეხდინა 3000-ზე. ამ დროს ადვილად შესაძლებელია ეს რეკლამა დადებულიყო საიტზე www.auto.ge რომელსაც ყოველ დღე 3500 მნახველი ჰყავს და თანაც ყველა მათგანი დაინტერესებულია ახალი მანქანის შეძენით. ამასთან, ეს რეკლამა 24 საათის განმავლობაში მუშაობს და არა რამდენიმე წამით, როგორც ეს ტელევიზიაშია. პრაქტიკულად იგივე სარეკლამო ეფექტის მიღება შესაძლებელია უფრო დაბალი დანახარჯებით.

ეფექტურობის მიუხედავად, რატომ არ არის ონლაინ რეკლამა სათანადოდ პოპულარული საქართველოში და რატომ არ ხდება მისი პოტენციალის სრულად გამოყენება? საქართველოში მოქმედი კომპანიების მენეჯერები მიზეზად ამ სფეროში ცოდნის დაბალ დონეს ასახელებენ, ზოგს ონლაინ რეკლამა რომელიმე პოპულარულ საიტზე ბანერის განთავსება ჰგონია, მაშინ როცა ამ ბანერიდან კომპანიის ვებ-გვერდზე გადასული მომხმარებელი არაადეკვატურ და მოძველებულ ინფორმაციას იღებს. ამ შემთხვევაში ონლაინ რეკლამაში დახარჯული ფული ფუჭია, არადა მას სარეკლამო ბაზარზე თავისი მომხმარებელი ნამდვილად ჰყავს: როგორც წესი, ოფისში საქმიანობით დაკავებული ადამიანისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ინტერნეტია, ამიტომ ამ კატეგორიაზე გათვლილი რეკლამის განთავსება ინტერნეტ სივრცეშია უფრო უპრიანი, რომ აღარაფერი ვთქვათ ონლაინ რეკლამის სხვა უპირატესობებზე: გაცილებით დაბალი ფასი, ინტერაქტიურობა, მსოფლიო მასშტაბზე გასვლის შესაძლებლობა და ა.შ.

ქართულ სარეკლამო ბაზარზე ონლაინ რეკლამის განვითარების ტემპი რომ მზარდია, ამაზე ყველა თანხმდება - რეკლამის განმთავსებელიც და დამკვეთიც. თუ ერთი წლის წინ პოტენციური კლიენტების მიზიდვით აქტიურად იყვნენ დაკავებულები, ამჟამად მათ რეკლამის დამკვეთები ხშირ შემთხვევებში თავად უკავშირდებიან. ეჭვს არ იწვევს ის, რომ სულ მალე ინტერნეტი ყველაზე მძლავრ მედია სარეკლამო გარემოდ ჩამოყალიბდება და სატელევიზიო რეკლამას სერიოზულ კონკურენციას გაუწევს და ონლიაინ რეკლამის განვითარების დამატებით ბიძგად ელექტრონული კომერციის განვითარებას მიიჩნევს.

ანალიტიკოსთა პროგნოზით, ამერიკაში წელს ონლაინ-რეკლამიდან მიღებული შემოსავალი პირველად გადააჭარბებს რადიოში განთავსებული რეკლამიდან მიღებულ შემოსავალს, ევროპულ ბაზარზე კი 2013 წელს ონლიან რეკლამის მოცულობამ 16 მილიარდ ევროს მიაღწია, ხოლო კომპანია ZenithOptimedia-ს მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემებით, ონლაინ რეკლამის გლობალური ბაზრის მოცულობა 2013 წელს გასულ წელთან შედარებით 29,9%-ითაა გაზრდილი. ზოგადად, რეკლამის უმთავრესი მიზანია, დაარწმუნოს პოტენციური მომხმარებელი, რომ წარმოდგენილი პროდუქტის თუ მომსახურების ყიდვა არსებული ალტერნატივებიდან ყველაზე გონივრული არჩევანია.

მთელ მსოფლიოში ინტერნეტ რეკლამის ბუმია. თანდათან რეკლამები ქართულ საიტებზეც იზრდება, თუმცა ინტერნეტრეკლამის განთავსებისას სხვა სახის პრობლემა იკვეთება. პოპულარულ

საიტებს რეკლამის განსათავსებლად საჭირო სივრცე არ აქვთ. კერძოდ, ამ საიტებზე რამდენიმე რეკლამის დადებაა შესაძლებელი, რომელსაც კომპანია ნახევარი ან ერთი წლით უკვეთავს. რეკლამის განთავსების მსურველი არსებობს, თუმცა პოპულარულ საიტებს ამის რესურსი არ აქვს. ძალიან ცოტა სარეკლამო ადგილია. მან ეს რესურსი უნდა გაზარდოს, რათა მერე სარფიანად გაყიდოს. რამდენიმე წელიწადში ონლაინ რეკლამა უფრო პოპულარული გახდება, ვიდრე აქამდე იყო. დღეს 35 წლამდე ასაკის ადამიანთა დიდი ნაწილი ონლაინ რეჟიმშია, პოპულარობა ემატება ონლაინ მაღაზიებსაც.

საქართველოშიც, ინტერნეტზე მისაწვდომობის ზრდამ, სარეკლამო ბაზარზე დიდი როლი შეიძლება ითამაშოს. გაეროს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სააგენტოს (ITU) 2013 წლის მონაცემებით, საქართველოში 1,3 მილიონი ინტერნეტმომხმარებელია – ქვეყნის მოსახლეობის 28,3 პროცენტი. ეს მაშინ, როდესაც 2000 წელს ინტერნეტს ქვეყანაში 20 000 მომხმარებელი ჰყავდა, 2006 წელს კი – 332,000. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ონლაინ მედიას აქვს პოტენციალი, ტრადიციულ მედიას – პირველ რიგში, სწორედ ტელევიზიას – სერიოზული კონკურენცია გაუწიოს. ზოგადად, რეკლამის უმთავრესი მიზანია, დაარწმუნოს პოტენციური მომხმარებელი, რომ წარმოდგენილი პროდუქტის თუ მომსახურების ყიდვა არსებული ალტერნატივებიდან ყველაზე გონივრული არჩევანია.

ლიტერატურა:

1. მაია სეთური, რეკლამა მარკეტინგის სისტემაში, თსუ, 2011.
2. შალვა მელქაძე, პაატა გაჩეჩილაძე, ქეთევან მელქაძე, ინფორმაცია მომხმარებლისთვის და რეკლამა, თბ., 2014.
3. ტოდი ჯუდით (თარგმანი) დიდი სიცრუე, ინგლისის პრესა, რადიო, კინო, ტელევიზია და რეკლამა მონოპოლიების სამსახურში, თბ., ილიაუნი, 2013.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.ipromoters.ge
2. www.itdc.ge
3. www.nplg.gov.ge
4. https://sophiephopho.wordpress.com/tag/

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნქციები

ანი ხოდელი, ანი მამისაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში მეტად აქტუალურ, თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებით პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრა, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის ფუნქციონირებაში მონაწილეობის ისეთი ოპტიმალური ვარიანტის გამოძებნა, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო საკუთრების დაცვას და საზოგადოებრივი წარმოების ზრდას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას. საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების ასეთი ურთიერთშეხამება რთული თვითგანვითარებადი სისტემაა. მისი ევოლუციის პროცესში სრულყოფილი ხდება როგორც საბაზრო, ისე სახელმწიფოებრივი მექანიზმები, ისინი ახალი პირობების შესაბამისი ხდებიან და ერთმანეთს ერგებიან. სასაქონლო ბაზარს ემატება ფულის ბაზარი, ფასიანი ქაღალდების პირველად და მეორად ბაზარს, კაპიტალის ბაზარი. ბაზრის ყოველ ამ სეგმენტში მუდმივად ჩნდებიან საქონლის (მომსახურების), ფინანსური რესურსების, ყიდვა-გაყიდვის სულ ახალი და ახალი ინსტრუმენტები, ფორმები და მეთოდები. თავის მხრივ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ასევე მუდმივად იცვლება, რთულდება და მრავალგანშტოებად ფორმებს ღებულობს. სახელმწიფო თავისი ცენტრალური და რეგიონული ორგანოების ბაზაზე სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ასაკის ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის, სხვადასხვა დარგის საწარმოებსა და ქვეყნის რეგიონებს შორის ეროვნული შემოსავლის განაწილებასა და გადანაწილებაში. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მის ფუნქციებში,

ვალდებულებებში ვლინდება, რომლებიც მეცნიერ-ეკონომისტების მიერ დღემდე ერთნაირად არ არის შეფასებული. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პრაქტიკა არ იცნობს აბსოლუტურად თავისუფალ, „წმინდა კაპიტალისტურ“ სისტემას, ისევე როგორც არ იცნობს წმინდა ადმინისტრაციულ- მბრძანებლურ სისტემას (თვით სოციალისტურ-კომუნისტური სისტემის რუსული მოდელიც კი არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იყო აბსოლუტურად წმინდა „ყაზარმული“ სისტემა, რომ იგი არ შეიცავდა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ პრინციპებს), მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში პროფ. ე. მექვაბიშვილის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ნიშნები ყველაზე მეტად არის მისაღები. ამდენად, საქართველოში ეკონომიკური დემოკრატიის მშენებლობის პროცესში სწორედ ამ ნიშნებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

ასევე ეკონომიკური დემოკრატიის პირობებისათვის მისაღებად მიგვაჩნია ა. ილარიონოვის მოსაზრებები, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს შორის ასახელებს:

- ბაზრის მონაწილეთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

- კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას;

- ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის სამეურნეო ცხოვრების ერთიანი, თანაბარი, გამჭვირვალე და სტაბილური პირობების შექმნას და ამ პირობების საკანონმდებლო სახით გაფორმებას;

- ყველა იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას მათთვის ხელოვნური, ბიუროკრატიული შეზღუდვების ლიკვიდაციას, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობას;

- იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სამეურნეო კონტრაქტების აღსრულების უზრუნველყოფას;

- იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კანონების პატივისცემას, მათი აღსრულების უზრუნველყოფას;

აღნიშნული ფუნქციები და ვალდებულებები გულისხმობენ რომ სახელმწიფო უარს ამბობს, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინტერესებზე, მის აქტიურ მონაწილეობაზე ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ასრულებს, რა შეზღუდულ როლს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ამით უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის თანაბარ ეკონომიკურ თავისუფლებას. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეფასებისათვის აუცილებელია ეკონომიკური ძალაუფლების ცნების გარკვევა. ზოგადი თვალსაზრისით, ეკონომიკური ძალაუფლების ქვეშ იგულისხმება ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უნარი და შესაძლებლობა ეკონომიკური საშუალებების გამოყენებით ზემოქმედება მოახდინოს სხვა ადამიანზე, ადამიანთა ჯგუფზე ან მთელ საზოგადოებაზე მათი ქცევის (მოქმედების) საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარების მიზნით. ამასთან დაკავშირებით რუსი მეცნიერი ეკონომისტი ი. ოსიპოვი წერს: „სამეურნეო ძალაუფლება არის მეურნეობის წარმართვაზე, მეურნეობის პირობების შექმნაზე, მეურნე სუბიექტებსა და მთელ სამეურნეო ცხოვრებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის საკითხი. ცენტრალიზებული ადმინისტრაციულ–მბრძანებლური ეკონომიკის ფუნქციონირების პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ სახელმწიფოს ხელში ძალიან დიდი ეკონომიკური ძალაუფლების თავმოყრა, როგორც წესი, გამოიყენება როგორც საზოგადოების ისე ინდივიდის საზიანოდ. გარკვეული საფრთხეების შემცველია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაცია არასახელმწიფო სუბიექტების ხელში, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს (და გამოიყენება კიდეც) ძლიერის მიერ სუსტზე საკუთარი ნების თავზე მოხვევის ინსტრუმენტად. უკონტროლო ეკონომიკური ძალაუფლება კიდევ უფრო მეტ ეკონომიკურ ძალაუფლებას წარმოშობს და ხშირ შემთხვევაში უკონტროლო პოლიტიკურ ძალაუფლებაში ტრანსფორმირდება. ეკონომიკური თვალსაზრისით სახელმწიფო ორ მნიშვნელოვან როლში გამოდის:

როგორც მეურნეობრიობის საერთო პირობების უზრუნველმყოფელი სუბიექტი და შემოსავლების მიმღებ-განმკარგველი. სახელმწიფოს ფენომენი პერსონიფიცირდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების სახით.

ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში შესაძლებელია სახელმწიფოს შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქციების გამოყოფა:

• ქვეყანაში მართლწესრიგის უზრუნველყოფა, რომლის გარეშეც შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს, მათ შორის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება.

• საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის ბაზრის მონაწილეთა მიერ საყოველთაოდ მიღებული წესების გარანტირებული და უპირობო შესრულება;

• ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი ინფარასტრუქტურის (განსაკუთრებით სოციალური ინფრასტრუქტურის) შექმნა და შენახვა.

ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ჩვენეული გაგება ემყარება კლასიკური ეკონომიკური სკოლის და ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლების თეორიულ დებულებებს. კერძოდ. მხედველობაში გვაქვს კლასიკური სკოლის ფუძემდებლის და მთავარი შემოქმედის ადამ სმითის (1723-1790) და ნეოლიბერალიზმის მთავარი წარმომადგენლის - ფ. ჰაიეკის (1899-1992) თეორიული დასკვნები და წინადადებები, რომლებიც ეხება ეკონომიკურ თავისუფლებას. ა. სმითი ეკონომიკური თავისუფლების კონცეფციას არც ერთ თავის შრომაში („ზნეობრივი გრძნობების თეორია“ - 1759 წ. და „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ - 1776 წ.) არ უძღვნის ცალკე, სპეციალურ თავებს ან პარაგრაფებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მოძღვრების ცალკეული ადგილების განხილვა და ცალკეული განმარტებების შეფასება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახალხო მეურნეობის არსებობისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა ეს არის ეკონომიკური თავისუფლება, რომლის საფუძველს წარმოადგენს „ეკონომიკური ინტერესი“, „ეკონომიკური ეგოიზმი“.

სამეურნეო ცხოვრების ყველა ფენომენს შრომის დანაწილების, ფულის, რენტის, კაპიტალზე მოგების და სხვათა სახით საბოლოოდ საფუძვლად უდევს ერთი მამოძრავებელი ძალა - პირადი ინტერესი და ამ ინტერესის დაკმაყოფილება. „პირადი ინტერესი“ არის ყოველი ადამიანის ბუნებრივი სწრაფვა უკეთესი მდგომარეობისათვის. ადამიანი, რომელიც გამსჭვალულია პირადი ინტერესით, ეკონომიკური ეგოიზმით და განაგებს მთელ თავის სამეურნეო საქმიანობას, არის ის ადამიანი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ნორმალურ, იდეალურ ტიპს. ეს ადამიანი ზრუნავს რა თავის ინტერესებზე, ამავე დროს არის საზოგადოების ყველაზე სასარგებლო წევრი. ყოველი ადამიანი, რომელიც მიისწრაფვის გაიუმჯობესოს თავისი პირადი კეთილდღეობა, ააწყოს საკუთარი ცხოვრება, ხელს უწყობს მთელი საზოგადოების კეთილდღეობის განვითარებას. საზოგადოება ხომ სხვა არაფერია თუ არა ცალკეული იმპულსების არითმეტიკული ჯამი, რომელიც მიმართულია კეთილდღეობის მისაღწევად. მაგრამ თუ ყველა ადამიანი გაჟღენთილია ამ იმპულსით, მაშინ მთელი საზოგადოება მიაღწევს თავის უმაღლეს მიზანს - უმაღლეს კეთილდღეობას და სიმდიდრეს. საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის საჭიროა მხოლოდ ამ ფაქტის შეცნობა და ყოველი ადამიანის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ მას შეეძლოს განახორციელოს თავისი სწრაფვა. სახელმწიფო ხელისუფლებამ მხოლოდ უნდა გაათავისუფლოს ეს ინტერესი და ეს სწრაფვა იმ წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან მის განხორციელებას. სახელმწიფომ ადამიანს უნდა მისცეს თავისი სამეურნეო ეგოიზმის განხორციელების სრული თავისუფლება და არ ჩაერიოს მისი განხორციელების გზებსა და ხერხებში. თვითონ კი უნდა შემოიფარგლოს მინიმალური ამოცანებით - დაიცვას კერძო მეწარმეობა.

ნეოლიბერალიზმი, როგორც ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემა კლასიკური სისტემიდან მოდის და დაფუძნებულია ინდივიდუალური საქმიანობის წამყვანი როლის აღიარებაზე, რომელიც განპირობებულია პირადი ინტერესით. ინდივიდუალურ ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევა შეზღუდულია. თანამედროვე ეკონომიკური ლიბერალიზმისათვის მთავარია ორი დებულება: ჯერ ერთი, ისინი გამომდინარეობენ იქიდან, რომ ბაზარი როგორც მეურნეობრიობის ყველაზე ეფექტური ფორმა ქმნის ეკონომიკური ზრდისათვის საუკეთესო პირობებს და, მეორე, პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე ეკონომიკური სუბიექტების თავისუფლებას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონკურენციისათვის შესაბამისი პირობები და კონტროლი განახორციელოს იქ, სადაც არ არის ასეთი პირობები. როდესაც ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს შეზღუდული როლის შესახებ არის საუბარი, სულაც არ იგულისხმება, რომ იგი სულ უნდა წავიდეს ეკონომიკიდან. პირიქით, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის პრაქტიკა გვიჩვენებს არც ერთ ეკონომიკურ სისტემას არ მიუღწევია ეფექტიანი განვითარებისათვის სახელმწიფოს გარეშე.

საინტერესოა რა დოზით ერევა სახელმწიფო ეკონომიკაში? მსოფლიო ეკონომიკის ისტორია იცნობს სამი ტიპის ეკონომიკურ სისტემას: ტრადიციულს, ანუ არქაულს, მბრძანებლურს, ანუ ისეთს, როგორიც იყო სულ რაღაც ათიოდე წლის წინ, და თავისუფალს, როგორიც გვინდა ამჟამად ავაშენოთ. რა როლს ასრულებს სახელმწიფო, ანუ მთავრობა, ეკონომიკაში?

მიღებული აზრის თანახმად, რაც უფრო ნაკლებად ერევა მთავრობა ეკონომიკაში, მით უფრო მეტად თავისუფალი და სწრაფად განვითარებადია ეკონომიკა. მაგრამ არსებობს მთელი რიგი ფუნქციები, რომელიც სწორედ სახელმწიფომ უნდა იტვირთოს, რადგან, ობიექტურად, კერძო ბიზნესს ამ ფუნქციების შესრულება გაუჭირდება.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ამგვარ ფუნქციებს წარმოადგენს: საბაზრო სისტემის დაცვა, ანუ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ანტიმონოპოლიური აქტები, კერძო საკუთრების დაცვა და სხვ. მთავრობის ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებრივი სარგებლობის საქონლითა და მომსახურებით

მომხმარებელთა უზრუნველყოფა, ანუ თავდაცვა, პოლიცია, გზები, აეროპორტები, სანიტარული კონტროლი, ქუჩების განათება და სხვა

მთავრობამ უნდა იტვირთოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება და ეკონომიკის სტაბილიზაციაზე ზრუნვა. მთავრობა ეკონომიკაში უნდა ერეოდეს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული დოზით და მხოლოდ იმ სფეროში, რომელშიც აუცილებელია ჩაერიოს, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ე. ხარაიშვილი, ი. გაგნიძე, მ. ჩავლეიშვილი, ი. ნაცვლიშვილი, მ. ნაცვალაძე, მიკროეკონომიკა, (თეორიული და პრაქტიკული ნაწილი), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2011
2. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, მიკროეკონომიკა, სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2008
3. http://www.economy.ge
4. http://www.tabula.ge
5. http://geostat.ge
6. http://www.nplg.gov.ge

მომსახურების სფეროს განვითარების პერსპექტივები

ანი ხოდელი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ელენე ნასყიდაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაში მომხმარებელთა მომსახურეობის გაუმჯობესებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მომსახურება - ეს არის ნებისმიერი სახის საქმიანობა, ან სარგებელი, რომელსაც ერთი მხარე სთავაზობს მეორეს. მომსახურება თავისი არსით არანივთობრივი, არათვალსაჩინოა, რაც გულისხმობს იმას, რომ შეუძლებელია მისი დანახვა, მოსმენა, ხელით შეხება. მომსახურების სფერო ერთის მხრივ ესაა მოსახლეობისათვის გაწეული სერვისული მომსახურების წრე, მეორე მხრივ - ამ მომსახურების ორგანიზაციული და ინდივიდუალური შემსრულებელთა ერთობლიობა, რომლებიც უწევენ მომხმარებელს მატერიალურ, სოციალურ-კულტურულ მომსახურებას. მომსახურება არ შეიძლება შევინახოთ, დავასაწყობოთ, როგორც მატერიალური საქონელი. მისი წარმოება და მოხმარება ხდება ერთდროულად.

მომსახურების სახეებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სავაჭრო მომსახურება. სავაჭრო მომსახურეობის სრულყოფა უდიდეს როლს ასრულებს მომხმარებელთა გუნება-განწყობილების გაუმჯობესებასა და ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში. ზრდილობა, თავაზიანობა და პროფესიონალიზმის მაღალი დონე ადამიანის ის ძირითადი თვისებებია, რომლებიც ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ ფირმის წარმატებებსა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა მომსახურებას ტურიზმის სფეროში. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გადაიქცა.

მომხმარებელთა მომსახურება საქართველოში გაუმჯობესების გზას ადგას. ქვეყანა ვითარდება, კონკურენცია უფრო ძლიერი ხდება და კომპანიები ცდილობენ მომსახურების გაუმჯობესებას. თუმცა,

მომსახურების დონე ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ ჯერ კიდევ შორსაა საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

მომსახურების სფეროს განვითარება დღეისათვის წარმოადგენს ეკონომიკის სრულყოფის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას. მომსახურების სფერო, ერთი მხრივ, ესაა მოსახლეობისათვის გაწეული სერვისული მომსახურების წრე, მეორე მხრივ - ამ მომსახურების ორგანიზაციული და ინდივიდუალური შემსრულებელთა ერთობლიობა, რომლებიც უწევენ მომხმარებელს მატერიალურ, სოციალურ-კულტურულ მომსახურებას. მომსახურება არ შეიძლება შევინახოთ, დავასაწყობოთ როგორც მატერიალური საქონელი. მისი წარმოება და მოხმარება ხდება ერთდროულად.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაში მომხმარებელთა მომსახურეობის გაუმჯობესებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მომსახურების სფერომ განსაკუთრებით ინტენსიურად დაიწყო განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მომსახურების უძველეს სახეებს მიეკუთვნება სატრანსპორტო, საფინანსო, დაცვის, სამედიცინო მომსახურება, აგრეთვე მომსახურების ცალკეული სახეები (ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თავსამკაულის კერვა) კვება და ვაჭრობა.

მომსახურების სფერო დღეს ისე ინტენსიურად ვითარდება, რომ საბანკო სექტორი, სავაჭრო ქსელი და სარესტორნო ბიზნესი აჭარბებს მოთხოვნას. თანამედროვე ეტაპზე მომსახურების სფერო მოიცავს შემდეგ დარგებს: ვაჭრობა, სასტუმროები, რესტორნები, ტრანსპორტირება, ტურისტული ფირმები, ბანკები, მუზეუმები, კავშირგაბმულობა და სხვა. სწრაფად განვითარებადს წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა, რომელშიც წარმოდგენილია როგორც წვრილი საოჯახო ფირმები, ასევე მსხვილი საბითუმო გამანაწილებელი კომპანიები. ამასთან მიმდინარეობს წვრილი ფირმების გამოძევება ბაზრიდან. მათ ენაცვლებათ მსხვილი სუპერმარკეტები (საქართველოს შემთხვევაში შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ „გუდვილის“, და მსხვილი სუპერმარკეტების სავაჭრო ქსელი, რომელთაც საკმარის კონკურენციას ვერ უწევენ წვრილი სავაჭრო მარკეტები); სწრაფი ტემპით ვითარდება “სხვა მომსახურება”. აქ შედის: სილამაზის სალონები, დასასვენებელი პარკები, სანატორიუმები, კერძო სკოლები და ა.შ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბიზნესის სუბიექტების 78%-ზე მეტი უკავია ვაჭრობას და ამ სფეროს მიკუთვნებულ სუბიექტებს.



საქართველოს მომსახურების სფეროში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.



მომსახურეობის სრულყოფა უდიდეს როლს ასრულებს მომხმარებელთა გუნება-განწყობილების გაუმჯობესებასა და ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში. ზრდილობა, თავაზიანობა და პროფესიონალიზმის მაღალი დონე - ადამიანის ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ ფირმის წარმატებებსა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ბევრი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ცუდ მომსახურებას შეუძლია ბიზნესის დანგრევა და კლიენტებისადმი გულგრილობა, აუცილებლად მიიყვანს კომპანიას გარდაუვალ დაღუპვამდე. კარგი მომსახურებით, ბიზნესმენი ინარჩუნებს კლიენტებს რაც გაცილებით უფრო ადვილი და იაფია, ვიდრე ახალი მომხმარებლის მიზიდვა. შეერთებული შტატებში "ნიუს ენდ ვორლდ რეპორტმა" ჩაატარა კვლევა და აღმოაჩინა, რომ საშუალოდ ამერიკელი ბიზნესმენები მომხმარებლების 15 % კარგავენ წლიურად. 68% იმ ადამიანებისა ვინც წყვეტს ერთი კომპანიისგან შეძენას და მეორეს მომხმარებელი ხდება, მსგავს გადაწყვეტილებას იღებს ცუდი მომსახურების ან გულგრილობის გამო.

ნებისმიერი კომპანიისთვის მომხმარებლებისადმი არაგულგრილი დამოკიდებულება მენეჯმენტის მთავარი საკითხი უნდა იყოს. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლითაც კომპანიას შეუძლია უპირატესობის მოპოვება მეტოქეებთან შედარებით. მაღალი ხარისხის მომსახურეობა არის გასაღები მომხმარებელთა ერთგულებისკენ, ერთგული კლიენტი კი კომპანიის უდიდესი აქტივია. მომსახურების მაღალი დონე პირდაპირპროპორციულად უკავშირდება კომპანიის წარმატებას. მომსახურების სახეებს შორის მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების პრობლემა მუდმივად აღელვებს მომხმარებელსა და პროდუქტის გამყიდველს. იზრდება მომხმარებელთა კულტურული დონე, კეთილდღეობა და შესაბამისად იზრდება ხარისხიანი მომსახურებისადმი მოთხოვნა. გარდა ამისა, ხარისხიანი სავაჭრო მომსახურება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კონკურენტულ ბრძოლაში. ამიტომ საბაზრო კონკურენციის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების ხარისხს. სწორედ მასზეა დამოკიდებული ნებისმიერი საწარმოს ეფექტიანი მომსახურება და რაც მთავარია მოგების ზომა.

მომხმარებელთა მომსახურება წარმოადგენს მომსახურე პერსონალის კომპეტენტურობის, საიმედოობისა და პროფესიონალიზმის გარკვეულ საბაზო დონეს. მომსახურება, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა მომსახურების კულტურა, მომსახურების დონე, რომელთა საფუძველს წარმოადგენს მომხმარებელზე ზრუნვა. სავაჭრო მომსახურების კულტურა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მაღაზიებში მაღალი ხარისხის, ადამიანთა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და ფართო ასორტიმენტის საქონლის არსებობას მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომ ფასში.

სავაჭრო მომსახურების ხარისხი გულისხმობს შევუქმნათ მომხმარებელს მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები საქონლის შეძენისას. სავაჭრო მომსახურების ხარისხი თავის მხრივ დამოკიდებულია სავაჭრო პერსონალის კულტურის დონეზე, მათ პროფესონალიზმზე, პერსონალის მიერ მომხმარებელთა ფსიქოლოგიის ცოდნაში.

მომსახურების ხარისხი პირდაპირაა დაკავშირებული მომხმარებელთა მოლოდინთან. მომხმარებლის მოლოდინი კი განუწყვეტლივ იცვლება, ხდება უფრო დახვეწილი. მომხმარებლისთვის მაღალი დონის

მომსახურების შეთავაზება კი ნიშნავს ისეთი საბაზო დონის მომსახურების შეთავაზებას, რომლის მიღწევა უჭირს კონკურენტს.

მომსახურების დონის მაჩვენებელს კი მიეკუთვნება მომსახურების ხელმისაწვდომობა, საიმედოობა, ხარისხი. მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურეობის დონის ერთ-ერთ მაჩვენებელს მყიდველთათვის კონსულტაციის გაწევა წარმოადგენს, რასაც ხშირად ვერ ღებულობს მყიდველი გამყიდველის არაკვალიფიციური და დაბალი პროფესიული მომზადების გამო. მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების დაბალ დონეს მრავალი სხვა ფაქტორიც განაპირობებს. კერძოდ, ის, რომ ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო საქონლის ბაზარი გადატვირთულია დაბალი ხარისხის, საეჭვო წარმომავლობის უცხოური საქონლით, მრავალი მათგანი ჯანმრთელობისათვის მავნე ან ექსპლოატაციისათვის სრულიად უვარგისია.

მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურება საქართველოში გაუმჯობესების გზას ადგას. ქვეყანა ვითარდება, კონკურენცია უფრო ძლიერი ხდება და კომპანიები ცდილობენ მომსახურების დახვეწას. მიუხედავად ყველაფრისა მომსახურების დონე ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ მაინც შორსაა საერთაშორისო სტანდარტებისაგან: ჯერ კიდევ ხშირია მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების შემთხვევები, პერსონალის მხრიდან უხეში დამოკიდებულება, რაც იწვევს მომხმარებელთა სამართლიან უკმაყოფილებასა და კონფლიქტებს მყიდველსა და გამყიდველს შორის.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს შორის პრიორიტეტული მდგომარეობა უკავია მომსახურების სფეროს, რომელიც წამყვან სექტორს წარმოადგენს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ამდენად, ამ სექტორის განვითარება აქტუალურია საქართველოშიც.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. გ. არმსტრონგი, ფ. კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2005.
2. ნ. თოდუა, ბ. მღებრიშვილი, მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2010.
3. გ. შუბლაძე, მ. ნანიტაშვილი, მარკეტინგის საფუძვლები, 2009.
4. გ. ქათამაძე, დ. ქათამაძე, მომსახურების მარკეტინგი, 2013.
5. http://www.economy.ge
6. http://geostat.ge
7. http://www.nplg.gov.ge
8. http://www.biznessnews.ge

ტურიზმი

ტურიზმის სამომხმარებლო პოტენციალი საქართველოში

მთვარისა გიგუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გელა შაქარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს, თავისი მრავალფეროვანი ლანდშაფტით, რომელიც ასე ხელსაყრელია სპორტისა და სათავგადასავლო ტურებისთვის, უამრავი კულტურული, ისტორიულ-რელიგიური ძეგლებით და უნიკალური ბუნებრივი რესურსებით, შეუძლია კონკურენცია გაწიოს მსოფლიოს მზარდ ტურისტულ ბაზარზე. კერძოდ, კი ტურიზმის ისეთი სახეობებით, როგორიცაა ეკოტურიზმი, აგროტურიზმი და კულტურული ტურიზმი.

ამ სახეობებში ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი პრობლემები, როგორიცაა არასაკმარისი კვალიფიციური კადრები, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, არასაკმარისი სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა მოწესრიგების გარეშე ძნელია საქართველომ შეძლოს ამ სფეროში კონკურენცია გაუწიოს უფრო მეტად ცნობილ და განვითარებულ ქვეყნებს, აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმ ფაქტორების ერთობლიობას, როგორიცაა განვითარებული სატრანსპორტო საშუალებები, საკმარისი რესურსები ტურისტულ ობიექტებზე, უკეთ მომზადებული მომსახურე პერსონალი და ინვესტირებისთვის ხელსაყრელი საგადასახადო გარემო.

გამომდინარე შიდა ტურიზმის სპეციფიკიდან, ტურიზმის სამომხმარებლო პოტენციალი საქართველოში ჯერ კიდევ კვლევის საგანს წარმოადგენს და როგორც სტატისტიკური ისე სხვა მახასიათებლების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დღეს პოპულარული და ინტენსიურად მოხმარებადია ის ტურისტული შეთავაზებები, რომელიც ხასიათდება უპირველეს ყოვლისა პრესტიჟის ელემენტებით, დიდი მნიშვნელობა აქვს ფასს, ხარისხის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა კვება და ეკოლოგიური სისუფთავე.

საქართველოს ტურიზმის სამომხმარებლო პოტენციალის რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 800 ინტერვიუ საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, გორი, თელავი, რუსთავი, ფოთი, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი. ქალაქების მიხედვით სტატისტიკური ანალიზის მონაცემებით გამოიკვეთა დასვენების მოტივაციები. დასვენების პრაქტიკა ძირითადად დაკავშირებულია ოჯახის წევრებთან. დასვენება საქართველოში უპირველეს ყოვლისა საოჯახო აქტივობაა. გამოკითხულთა 81%-მა გასულ წელს დაისვენა ოჯახის წევრებთან ერთად, 15%-მა მეგობრებთან ერთად. მაშასადამე, დასვენების სოციალური ველი ხასიათდება სივიწროვით, დასვენების პრაქტიკიდან გამომდინარე. 2011–2012 წლის დასვენების პრაქტიკის მიხედვით, ყველაზე ხშირია დასვენება საკუთარ აგარაკზე, საკუთარ სოფელში (45%), შემდეგ მოდის დასვენება საქართველოში ზღვაზე (37%) და საქართველოში მთაში (32%). დასვენების პრაქტიკა მოიცავს შიდა კურორტებს და მხოლოდ ინდივიდუალური ქეისების დონეზე საზღვარგარეთ არსებულ ტურისტულ პოტენციალს. დასვენების ყველაზე გავრცელებული სეზონია ზაფხული (91%).

2012 -2013 წლის ზამთარში დაისვენა გამოკითხულთა მხოლოდ 10 %–მა. მოცემული კვლევის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დასვენება გაიგივებულია ხანგრძლივ პროცესთან. გამოკითხულთა 28%–მა გასულ წელს დაისვენა ერთი თვის განმავლობაში, 25%–მა ორ კვირაზე მეტი დროით, 32%–მა კი 10–12 დღით. ხანგრძლივი დასვენების პრაქტიკა განსაკუთრებით მკვეთრად დაფიქსირდა თბილისის მოსახლეობაში. 2–3 დღიანი დასვენების პრაქტიკა აღმოაჩნდა გამოკითხულთა მხოლოდ 6%–ს. წინა პრაქტიკიდან გამომდინარე, გამოკითხულთა 68%–მა წინა წლის განმავლობაში დაისვენა მხოლოდ ერთხელ, ხოლო 23%–მა ორჯერ.

დასვენება ფორმირებულია ძირითადად, როგორც საოჯახო აქტივობა, ნაწილობრივი პროცესი, რომელსაც ადამიანი ახორციელებს მეგობრებთან ერთად. თბილისში, სხვა ქალაქებთან შედარებით მაღალია მეგობრებთან ერთად დასვენების პრაქტიკაც და მოლოდინიც.

დასვენების სამომავლო ლოკაციის ადგილია საქართველოს საზღვაო კურორტები (38%) და დასვენება საკუთარ სოფელში, აგარაკზე (30%). შიდა საზღვაო კურორტებზე დასვენების განსაკუთრებით მაღალ მოლოდინს ავლენს თბილისის მოსახლეობა (40%). საქართველოში ყველაზე "სასურველი" კურორტებია: ქობულეთი, ბათუმი, ბორჯომი და ბაკურიანი. ეს ოთხი კურორტი საქართველოში დასვენების ყველაზე გავრცელებული და ამავდროულად მომხმარებლისათვის ღირებული კურორტებია. მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს არის ყველაზე პოპულარული, ნაწილობრივ პრესტიჟული კურორტები, სადაც ისვენებს მოსახლეობის დიდი ნაწილი წელიწადის განმავლობაში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვითითებს დასვენების ინდივიდუალური სტილის ჩამოუყალიბებლობაზე. ქართველ დამსვენებელს არ აქვს ფორმირებული დამსვენებლის, როგორც მომხმარებლის ფსიქოლოგიური ხედვა.

საქართველოში ტურიზმის სამომხმარებლო პოტენციალის კვლევებში გამოკითხულთა 26% გეგმავს 10-12 დღიან დასვენებას, 23% ორ კვირაზე მეტ ხნიანს ან ერთთვიანს, 3-4 დღიანი დასვენების სურვილი დაფიქსირდა, გამოკითხულთა მხოლოდ 2%-ში.

ამრიგად, დასვენება არის ასოცირებული ხანგრძლივ პროცესთან, რასაც მოწმობს აგრეთვე დასვენების პრაქტიკის მონაცემები. ქართულ მოსახლეობაში არ არის ჩამოყალიბებული 1-2 დღიანი ან 3-4 დღიანი დასვენების პრაქტიკა, ვინაიდან დასვენების კონცეფციაში მთავარია ფიზიკური ენერგიის აღდგენა, რისი მოთხოვნილებაც ჩნდება ძლიერი ფიზიკური გადაღლის შემდეგ და არ წარმოადგენს ჩვეულებრივი ცხოვრებისეული რიტმის ელემენტს.

თავისუფალი დროის გატარების სტილი უკვე მიგვითითებს დასვენების დაბალ კულტურაზე საქართველოში. სახლში ყოველდღიურად თავისუფალი დროის გატარების უამრავი საშუალება არსებობს, მათ შორის თბილისში. გამოკითხულთა 17% მიმართავს წიგნების კითხვას, 24% უსმენს

რადიოს, 51% მუსიკას, 94% უყურებს ტელეგადაცემებს, 60% უვლის სახლს, 56% „ერთობა“ საჭმლის მომზადების პროცესით, 41% კი დაკავებულია ბავშვებით, 48% საუბრობს მეგობრებთან. 61% არასოდეს არ არის დაკავებული პირადი კვალიფიკაციის ამაღლებით, ყოველი მეორე გამოკითხული არასოდეს უყურებს ვიდეოს ან DVD-ს, 72% არასოდეს თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს, 85% არასოდეს არის დაკავებული სპორტით, 62% არასოდეს მოიხმარს ინტერნეტს, 53% არასოდეს ქსოვს/ქარგავს ან კერავს, 72% არასოდეს თამაშობს მაგიდის ტენისს, ჭადრაკს ან კარტს. როგორც ხედავთ, თბილისში, სახლში თავისუფალი დროის გატარების სტილი ძალიან პასიურია, ადამიანები არ გამოირჩევიან ერთგვარი „მაძიებლურ“, თვითგანმავითარებელი აქტივობებით, ისინი არიან უფრო „რიგიდულები“, „ყოველდღიურები“, „ერთფეროვნები“. ანალოგიური სურათია სხვა ქალაქებშიც. ეს სურათი უკვე გვაფიქრებს საქართველოში დასასვენებელი კომპლექსის სამომხმარებლო მოტივაციური საფუძვლების პოვნის სირთულეზე. თავისუფალი დროის სახლში გატარების სტილი თბილისის სურათის ანალოგიურია. ძირითადად მოსახლეობა ერთობა პასიური აქტივობებით. მაგალითად მუსიკის მოსმენით, ტელევიზორის ყურებით, მეგობრებთან საუბრით. ცხოვრების სტილს აკლია „სიცოცხლე“, მრავაფლეროვნების ელემენტები, რაც სავარაუდოდ დეტერმინირებულია არა მხოლოდ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალით, არამედ დაბალი საფეხურის მოტივატორებითაც. მოსახლეობა ტოვებს „სიტუაციაზე მორგებულის“ შთაბეჭდილებას, გვაგონებს ადამიანს, რომელიც არ არის მზად სიახლეებისათვის, აქტიური, ენერგიული ცხოვრებისათვის.

თავისუფალი დროის გატარება სახლს გარეთ ისევე, როგორც სახლში, მწირია და ცხოვრების პასიურ სტილზე მიგვითითებს, როგორც თბილისის, ასევე სხვა ქალაქების მასშტაბით. სახლს გარეთ თავისუფალი დროის გასატარებლად 10-დან 8 გამოკითხული არასოდეს დადის სამხატვრო გამოფენებზე, გამოფენა-გაყიდვებზე, არასოდეს სეირნობს ბუნებაში, პარკში. 10-დან 9 გამოკითხული არასოდეს არის დაკავებული თევზაობით, ნადირობით, არასოდეს დადის სამორინეში, არასოდეს დადის დისკოთეკებზე ან ღამის კლუბებში, ინტერნეტ კაფეში, არასოდეს არის დაკავებული სპორტით. თავისუფალი დროის გატარების საშუალებებს შორის გამოკითხულთა 25%-ში დაფიქსირდა ქალაქში სეირნობა, 60%-ში - სტუმრად სიარული, 17%-ში კი - სიარული სილამაზის სალონში. მაშასადამე, საქართველოში მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების სტილი არის პასიური აქტიური გართობის საშუალებებისადმი. მათი მგრძნობელობა და მზაობა დაბალია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამომხმარებლო პოტენციალის გაზრდისა და ტურიზმის ბიზნესის განვითრებისათვის ტურ საწარმოებმა და კომპანიებმა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- კლიენტზე ორიენტირებულობა;
- კვალიფიციურობა, პროფესიონალიზმი;
- ოპერატიულობა, პუნქტუალურობა;
- მომსახურე პერსონალის ჩაცმულობის სტილი;
- გაღიმებული, თავაზიანი, ყურადღებიანი პერსონალი;
- კლიენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- კვება ტრანსპორტში;
- საინფორმაციო წყაროები კურორტის შესახებ ტრანსპორტში
- საჭირო ინვენტარის არსებობა ნომერში:
- კონდიცირებისა და გათბობის სისტემა;
- უსაფრთხოების ზომები;
- ეკოლოგიურად სუფთა, მოწესრიგებული გარემო სასტუმროს

ტერიტორიაზე;

- გართობის, აქტიური დასვენების საშუალებები;
- მრავალფეროვანი ასორტიმენტი;

ზოგადი სამომხმარებლო მოთხოვნილებების მიხედვით, კლიენტი დასასვენებელ კომპლექსს ირჩევს უპირველეს ყოვლისა მომსახურების ხარისხის მიხედვით.

თბილისისა და სხვა ქალაქების მიხედვით, ხარისხის კრიტერიუმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: უსაფრთხოების ზომები (საშუალო ქულა 6,8), ეკოლოგიური სისუფთავე სასტუმროს ტერიტორიაზე და მის გარეთ (6,8), ტრანსპორტში მძღოლის პროფესიონალიზმი (6,7), კვების მხრივ კლიენტის ინტერესების გათვალისწინება (6,7), ნომერში - კომფორტული საწოლი (6,8), სერვისის კუთხით - გაღიმებული, თავაზიანი, ყურადღებიანი პერსონალი (6,7), კვების მრავალფეროვანი ასორტიმენტი (6,6).

ქართველი დამსვენებელი იღებს გაცილებით ნაკლებს, ვიდრე სურს რომ მიიღოს. ის არის უკმაყოფილო და მგრძნობიარე ხარისხის ისეთი კრიტერიუმებისადმი, რომელიც გამოირჩევა რელევანტურობის მაღალი და დაკმაყოფილებულობის დაბალი დონით. ამ მხრივ განსაკუთრებით

სახიფათო ზონაშია მოხვედრილი უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური სისუფთავის ცვლადები. სასტუმროში კლიენტისათვის კომფორტის ატრიბუტებია მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზმი, როგორც ურთიერთობების ასევე უშუალოდ მომსახურების დონეზე.

ლიტერატურა:

1. ასტახიშვილი კ., ტურიზმი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1976.
2. ბარკალაია ბ., ეკოტურიზმი და მოსახლეობა, TACIS, თბ., 2000.
3. ბურკაძე თ., ტურიზმის ადგილი საქართველოს ეკონომიკაში და მისი განვითარების პერსპექტივა, ჟ. „ეკონომიკა“, №7-8, 2004.
4. კრიჭინაშვილი რ., მარგველაშვილი მ., ტურიზმის პრიორიტეტული სახეები და რეგიონები, მათი ეფექტიანი გამოყენების გზები, „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), გამოშვება IV, თსუ გამომცემლობა, თბ., 2001.
5. მელაძე მ., თოდუა ნ. და სხვ., საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევის საკითხი, „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), გამოშვება II, თსუ გამომცემლობა, თბ., 1998.
6. საზოგადოებრივი აზრის, კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი IPM-RESEARCH (წწწ.ინფო.გე) - ტურიზმის სამომხმარებლო პოტენციალი, IESC დამკვეთი კომპანია.

ღვინის ფესტივალი და მისი გავლენა ტურიზმის განვითარებაზე

თამარ დოიჯაშვილი, ნინო ღონღაძე, ქეთინო ჯოლბორდი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლალი ოსაძე,** ასოცირებული პროფესორი

ღვინო საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქტია. მეღვინეობა ჩვენი ქვეყნის ტრადიციული და უაღრესად მნიშვნელოვანი დარგია. საქართველოში მოწინავე ტექნოლოგიებით ღვინის დამზადება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს. ივანე ბაგრატიონ მუხრანელმა საფუძველი ჩაუყარა ევროპული წესით ღვინის წარმოებას. ქუთაისში მოქმედებდა ოდენბურგის ღვინო-შამპანიურის ქარხანა, ხოლო ცნობილმა მეცენატმა დ. სარაჯიშვილმა თბილისში დაიწყო კონიაკის წარმოება. 1929 წელს შეიქმნა გაერთიანება „სამტრედი“, რომელშიც შევიდა მევენახეობა-მეღვინეობის ყველა მსხვილი მეურნეობა .

ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის სხვადასხვა მიმართულება ვითარდება, მათ შორის არის ღვინის ტურიზმი. ღვინის ტურები ძალიან მიმზიდველია ტურისტებისთვის, ყოველწლიურად იზრდება ღვინის ტურიზმში მონაწილე ქვეყნების სია. ეს ე.წ. ღვინის "ვოიაჟები" ფანტასტიკური სისწრაფით გამრავალფეროვნდა. ღვინოს თითქმის ყველა ქვეყანა აწარმოებს, მაგრამ მსოფლიოში არსებობენ ღვინოები, რომელთა გამო ნამდვილად ღირს ქვეყნის ერთი კიდედან მეორემდე მისვლა. დღეს თითქმის ნებისმიერ ქვეყანაში შეგიძლიათ ღვინის ტურით წახვიდეთ. ჯერჯერობით ყველაზე პოპულარული ქვეყანა ამ ტიპის ტურიზმისთვის საფრანგეთი და იტალიაა. მეღვინეობის ცნობილი რეგიონებია პიემონტი და ტოსკანა, ბორდო და ბურგუნდია, შაბლი და შამპანი, სადაც პირდაპირ კასრებიდან შეგიძლიათ დააგემოვნოთ ღვინო. თუ ყველაზე გრძელი ღვინის მარნის და დიდი მიწისქვეშა ციხესიმაგრის ნახვა გწადიათ, შეგიძლიათ ქალაქ ბონში გაეშუროთ. ასევე პოპულარული ქვეყანაა ესპანეთი - რიოხა, შვეიცარია, სადაც აუცილებლად უნდა მოინახულოთ ვალე, გერმანია, არგენტინა, ახალი ზელანდია, ურუგვაი, ჩილე. მაგალითად ავსტრიაში, როგორც სხვა გერმანულენოვან რეგიონებში, სადაც ღვინოს წამყვანი ადგილი უჭირავს, ყიდვა-გაყიდვის 25% სწორედ ღვინის ტურიზმთანაა დაკავშირებული. ასევე ცნობილ ღვინის მწარმოებლებად ითვლებიან მოლდავეთი, ბულგარეთი, უკრაინა, საქართველო.

საქართველოს ღვინის ტურიზმის ფართო პოტენციალი და ღვინის წარმოების ათასწლეულების ტრადიცია აქვს, მაგრამ ეს პროცესი საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს. კერების მომრავლება

უკანასკნელ წლებში არაპირდაპირ სტიმულირებული იყო რუსული ემბარგოთი – ღვინის ექსპორტის მასშტაბის შემცირებამ ქართველი მწარმოებლები აიძულა, მისი გასაღების ახალი გზები მოეძებნათ. აღნიშნული სიტუაციიდან ერთ-ერთი გამოსავალი იყო ღვინის ტურიზმის განვითარება, რაც მთელ მსოფლიოში მიჩნეულია, როგორც პროდუქციის შედეგიანი რეალიზაციის საშუალება.

ღვინის ტურების ორგანიზებისა და ეფექტური წარმართვის პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში მოქმედ მეღვინეებსა და ტუროპერატორებს შორის მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. ღვინის ტური შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი ღონისძიებებით: მარნისა და ვენახის დათვალიერება, ღვინის დეგუსტაცია, რთველში მონაწილეობა, ჩურჩხელის ამოვლება, კვება, ღვინის რეალიზაცია და სხვა მრავალი აქტივობა, რომლის საშუალებითაც ტურისტი არა მხოლოდ შეიძენს პროდუქტს, არამედ ეცნობა ადგილობრივ ტრადიციებს, კულტურას და თავად მონაწილეობს პროდუქტის შექმნაში. ყოველივე აღნიშნული მეღვინეებისთვის აფართოებს შემოსავლის დამატებით შესაძლებლობებს, ხოლო მათი წარმოებისთვის ეს ხდება პოპულარიზაციის ერთგვარი გარანტი. საქართველოში, ბოლო პერიოდში, ტურიზმის სფეროსადმი განსაკუთრებულმა ინტერესმა ბიძგი მისცა ტურიზმის გამოცოცხლებას კახეთის რეგიონში. ტურისტების მოსაზიდად ამ რეგიონს ისეთი უპირატესობებიც აქვს, როგორიცაა კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიმრავლე, ვაშლოვნის, თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის და ლაგოდეხის ტერიტორიები, არაჩვეულებრივი ბუნებრივი პირობები, რაც შესანიშნავი საფუძველია ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კახეთი კარგი წინაპირობაა უცხოელი ტურისტების მოსაზიდად. თბილისიდან მოკლე ტურების განვითარებისთვის იდეალური იქნება სიღნაღის და თელავის ინფრასტრუქტურის შემდგომი რეაბილიტაციაც.

ღვინის ტურიზმის განვითარება შესაძლებელია გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში. სოფელი ესაზღვრება ატენის ადგილწარმოშობის სპეციფიკურ ზონას, სადაც ისტორიულად სახელგანთქმული „ატენური“ იწარმოებოდა. ღვინის ტურის ორგანიზებისას შესაძლებელია ისტორიული ძეგლების, უფლისციხისა და ატენის სიონის მონახულება, რომლებიც სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. აქ საცხოვრებელ სახლშია განთავსებული ქვის საწნახელი, ქვევრები და მცირე ენოთეკა. გაშენებულია ვაზის ჯიშები: თავკვერი, ჩინური, გორული მწვანე, კახური მწვანე, რქაწითელი. ღვინო დაყენებულია როგორც ქართული ტრადიციული, ისე ევროპული წესით. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ორი სახის ღვინო: „ატენური“ და „ხიდისთაური“. გარდა მეღვინეობისა, ოჯახი გვთავაზობს სხვადასხვა ნატურალურ პროდუქტს და მრავალფეროვან მომსახურებას. მათ აქვთ საკუთარი საფუტკრე მეურნეობა და ტურისტებს უმასპინძლდებიან თაფლით, ფიჭითა და თაფლის არაყით. წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში შეუძლიათ, მსურველს შესთავაზონ ქართული ტრადიციული კერძები.

ცნება "ღვინის ტური" სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ "ღვინის რუკის" მიხედვით იმოგზაურებთ. თუმცა ღვინის ტურის დროს ერთ-ერთი საჭირო ატრიბუტი მართლაც არის ღვინის ატლასი, სადაც ღვინის ყველა - კლასიკური თუ ახალი რეგიონის შესახებ საჭირო ინფორმაციაა მოცემული. არსებობს ინდივიდუალური ღვინის ტურები. ტურის დაგეგმვისას სპეციალისტები გვირჩევენ, რომ თავიდანვე ჩამოვყალიბდეთ, თუ რამდენ რეგიონში წახვალთ, რათა მოგზაურობა ძალიან ხანგრძლივი და დამქანცველი არ გამოგივიდეთ. იდეალურია ოთხი ან ნაკლები რეგიონის მონახულება (მათ შორის მანძილსაც გააჩნია). სპეციალიზებული "თემატური დეგუსტაციების" ორგანიზებას კი მეღვინეები და ეთნოლოგები გეგმავენ. ერთი საინტერესო დეტალი: სადეგუსტაციო ტურიზმში სრულიად ახალი და პოპულარული მიმართულება – ღვინის თერაპიაა. ტურისტებს საშუალება ეძლევათ არა მარტო დააგემოვნონ ცნობილი ღვინოები, არამედ ისინი ტანზეც კი „იცხონ“.

მსოფლიოში ღვინისადმი მიძღვნილი უამრავი ფესტივალი ტარდება. სექტემბრის დასაწყისში ღვინის ფესტივალი იმართება პორტუგალიის კუნძულ მადეირაზე. ფესტივალის სტუმრებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ გამართულ რთველში, შემდეგ კი მადეირას დედაქალაქ ფუნშალში, ეროვნული ცეკვებისა და სიმღერების თანხლებით, მთავარი ზეიმი იმართება.

ლუქსემბურგში, მოზელის ველზე, ღვინის ფესტივალი ჯერ კიდევ აგვისტოში იღებს ხოლმე სტარტს და ოქტომბრისთვის სრულდება. „ღვინის გზა” (ან „მოზელის გზა”), რომლის სიგრძეც 42 კილომეტრია, გერმანიაში იწყება. ლუქსემბურგის ვენახები სწორედ ამ მონაკვეთშია განლაგებული და ვინაიდან უფრო მზიან მხარეშია გაშენებული, უკეთესი ხარისხითაც გამოირჩევა. XIX საუკუნეში ამ რეგიონში მხოლოდ წითელ ღვინოს აწარმოებდნენ, დღეს კი უკვე ახალგაზრდა, თეთრი, მოზელის ღვინოებია პოპულარული.

სექტემბრის ბოლოს ღვინის ზეიმს უკვე შვეიცარია მასპინძლობს. ფესტივალს, რომელიც ქალაქ ნევშატელში 1902 წლიდან იმართება, ყოველწლიურად დაახლოებით ასი ათასზე მეტი სტუმარი ჰყავს.

ოქტომბრის მეორე კვირას მოლდოვა ნაციონალური ღვინის დღეს აღნიშნავს. ამ ღონისძიების პოპულარიზაციის მიზნით ხელისუფლება ტურისტებს ვიზის მოსაკრებელს არ ახდევინებს, ტურისტული სააგენტოები კი მათ ღვინის ტურებს სთავაზობენ.

ოქტომბრის შუა რიცხვებში პარიზში, მონმარტრზე იმართება ფესტივალი, რომელსაც საფუძველი მხატვრებმა ჯერ კიდევ 1934 წელს ჩაუყარეს. თუმცა ფრანგული ღვინის ყველაზე ცნობილი ფესტივალი მაინც არის ბოჟოლე ნუვო, რომელიც ყოველი წლის ნოემბრის მესამე ოთხშაბათს იმართება.

ჩეხეთში, კერძოდ კი მორავიაში, წლის განმავლობაში ღვინის ოთხი ფესტივალი იმართება. ეგზოტიკის მოყვარულებისთვის კი იმართება ფოლკლორულ-გასტრონიმიული "შოუ-სადილები" კვიპროსზე, ესპანეთში, პორტუგალიაში. მაგალითად საფრანგეთში შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ღვინის დღესასწაულზე და პარალელურად ფუა-გრას მომზადებაც სცადოთ, ან გაიგოთ ნორმანდიული სიდრის დაყენების საიდუმლო. არ შეიძლება არ აღინიშნოს "ლუდის" ტურები ჩეხეთში. პროფესიონალი მეღვინეები ცდილობენ თავიანთი ტური რაიმე დღესასწაულს ან მოვლენას დაამთხვიონ, მაგალითად არსებობს ასევე სპეციალური ტურები, რომლებიც სპეციალიზებულ ღვინის გამოფენას ეძღვნება.

ტრადიციული წესით დაყენებული საოჯახო მარნების ღვინის ფესტივალი საქართველოში პირველად 2013 წელს ჩატარდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, როგორც ქართლში, ასევე იმერეთში და რაჭაში. ფესტივალის მიზანია მოხდეს იმ ღვინის შეფასება, რომელსაც აყენებენ სოფლად მეღვინეები. ფესტივალზე საფუძველი ჩაეყარა ტრადიციული მეღვინეების ასოციაციების შექმნას ქართლში, რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთში, სამცხე ჯავახეთში. პირველი ქართლის ფესტივალისგან განსხვავებით, რომელიც 2013 წლის ზაფხულში გაიმართა და მონაწილეობდა მხოლოდ ქართლის 50-მდე მეღვინე, 2014 წლის 14 სექტემბერს გორის ღვინის ფესტივალზე მოწვეულები იყვნენ მეღვინეები: იმერეთიდან, რაჭიდან, ლეჩხუმიდან, სამცხე -ჯავახეთიდან, ქართლიდან. 2013 წელს პირველ ფესტივალს უპრეცედენტოდ ბევრი ადამიანი ეწვია, ფესტივალი რეაბილიტირებულ ძველ უბანში გაიმართა. ხოლო 2014 წელს ფესტივალი თეატრის ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო. ფესტივალში სულ 90 მდე მეღვინემ მიიღო მონაწილეობა და წინა წლისგან განსხვავებით პროფესიონალი სომელიეების მიერ გამოვლინდა რამდენიმე მეღვინე, რომლებსაც გამორჩეული ღვინო ჰქონდათ.

ფესტივალზე ტრადიციულად მოწვეულია ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვადასხვა კომპანიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხარისხიანი ღვინის შეძენით. შესაბამისად ამ კომუნიკაციის შედეგია, რომ დამკვეთები თავად უკავშირდებიან მეღვინეებს და ახდენენ მათთვის სასურველი რაოდენობის ღვინის შეძენას.

ფესტივალის შემადგენელი ნაწილია ასევე ხარისხიანი მუსიკა, ტრადიციულად ფესტივალის კულტურის პროგრამაშია როგორც ქართული, ასევე ჯაზ-მუსიკა. ასევე ფესტივალზე იმართება რამდენიმე კონკურსი და ყველაზე ხარისხიანი ღვინის აუქციონის წესით გაყიდვა, ასევე იყიდება უკვე ბოთლში მოქცეული ღვინო. აგრეთვე ფესტივალის განუყოფელი ნაწილია ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 50- ზე მეტი ხელოვანი წარმოადგენს თავის ნივთებს. ფესტივალი გამორჩეულია თავისი ფორმატით. წელს საფუძველი ჩაეყარა, რომ აღნიშნული ფესტივალი, რომელშიც სხვადასხვა კუთხეები იყო წარმოდგენილი, გორში ჩატარდება ტრადიციულად, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე ტურიზმის განვითარებისათვის ჩვენს რეგიონში.

ტრადიციული მეღვინეობის ასოციაციები, რომელთა წევრების რაოდენობა 800 მეღვინეზე მეტია, აერთიანებენ შესაბამისი რეგიონის იმ მეღვინეებს, რომლებიც მზად არიან მიიღონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მთელ იმ პროცესზე, რომელიც ახლავს ვენახის გაშენებას-ღვინის დაყენებამდე. ასოციაციები ასევე გაერთიანებული არიან საქართველოს ტრადიციული მეღვინეობის ეროვნულ ასოციაციაში, რომელიც მრავალ აქტივობას ახორციელებს მეღვინეებისათვის, ხოლო ფესტივალი ამ ასოციაციის ერთ-ერთი ღონისძიებაა. საქართველოს ტრადიციული მეღვინეობის ეროვნული ასოციაცია მიმდინარე წლის განმავლობაში ახორციელებს შემდეგ სამუშაოებს:

- **ასოციაციის წევრებისათვის უფასო კონსულტაციები ღვინის წარმოების ყველა საფეხურზე;** *კონსულტაციები და ტრენინგები წლის განმავლობაში ტარდება როგორც დასავლეთ საქართველოში ასევე აღმოსავლეთში.*

- **ტექნიკური დახმარება შესაბამისი მოწყობილობებით;** *ასოციაციებს გააჩნიათ შესაბამისი თანამედროვე აპარატურა მიღებული ყურძნის დაწურვისათვის, რომელსაც ასოციაციის წევრები გამოსაყენებლად იღებენ უსასყიდლოდ.*
- **საჭირო ლიტერატურის თარგმნა, გამოცემა, გავრცელება;** *გამოიცა რამდენიმე წიგნი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მთელ პროცესთან მარნის მოწყობიდან დაწყებული, ღვინის ჩამოსხმით დამთავრებული.*
- **ღვინის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი და ლაბორატორიული შემოწმება;** *მხოლოდ გასულ წელს 260 მეტი ღვინის დეგუსტაცია ჩატარდა და მათგან ლაბორატორიაში 20 მდე ღვინო გაიგზავნა;*
- **საუკეთესო ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა და რეალიზაციაში დახმარება;** *ლაბორატორიული შემოწმების შემდგომ 11 დასახელების ღვინის ჩამოსხმა მოხდა ბოთლებში და სარეალიზაციოდ იქნა გატანილი.*
- **კონსულტანტების ადგილზე ჩაყვანა და დეგუსტაციების მოწყობა;**
- **იშვიათი ჯიშების სანერგე მეურნეობის განვითარება და წევრთათვის შესაბამისი ნერგების მიწოდება;** *უკვე მსგავსი მეურნეობა არსებობს ლეჩხუმში, ხოლო ქართლში უახლოეს პერიოდში უკვე მზად იქნება.*
- **მეღვინეობის სასწავლო ცენტრის შექმნა;** *მეღვინეობის სასწავლო ცენტრი ჩამოყალიბების პროცესშია, იგი გორის რაიონში ატენის ხეობაში უახლოეს პერიოდში დაიწყებს მუშაობას.*

ფესტივალს აქვს კონკრეტული მიზნები:

- წლის განმავლობაში კონსულტაციების შედეგად შეფასება, თუ რამდენად გაუმჯობესდა ღვინის ხარისხი;
- უშუალოდ მომხმარებელთან ოჯახური მეღვინეს დაკავშირება;
- მოწვეული სომლიეების მიერ ღვინის ხარისხის შეფასება და კონსულტაციები;
- ღვინის, როგორც ჩვენი კულტურის შემადგენელი ნაწილის პატივისცემა
- კულტურული ღონისძიება;

ლიტერატურა:

1. მ. მეტრეველი, „ტურიზმის ბიზნესი“, თბილისი, 2011.
2. გ. შუბლაძე, ლ. დოლიკაშვილი, ტურიზმის მარკეტინგი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2009.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.enoteca.ge
2. www.vinoge.com

სამხრეთ საქართველოს მარშრუტები ბერდვოჩერებისთვის

დავით ლომაია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გია ედიშერაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლები, სტუმართმოყვარეობა, ეს შთაბეჭდილებების ის მცირე ჩამონათვალია, რომელსაც საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ტურისტების უმრავლესობისგან მოისმენთ და მაინც რამდენად განვითარებადი შეიძლება გახდეს საქართველოში ტურიზმი და რა მიმართულებებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი?! ეკოტურიზმი ის მიმართულებაა, რომელიც დროთა განმავლობაში შესაძლებელია ძირითად სეგმენტად ჩამოყალიბდეს ქვეყნის ტურისტულ ინდუსტრიაში, ამის საფუძველს სწორედ ჩვენი ქვეყნის ბუნების მრავალფეროვნება და უნიკალურობა იძლევა. ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის (TIES) განსაზღვრებით, ეკოტურიზმი ეს არის: გონივრული მოგზაურობა ბუნებრივ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას და ადგილობრივ მცხოვრებთა კეთილდღეობას. გამოიყოფა ეკოტურიზმის ძირითადი მახასიათებლები:

- ნებისმიერი მოგზაურობა, რომლის დროსაც მოგზაური შეისწავლის გარემოს.
- მოგზაურობა, რომლის დროსაც მთავარ ღირებულებას წარმოადგენს ბუნება.
- მოგზაურობიდან შემოსული თანხების ნაწილი მიემართება გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დასაფინანსებლად.
- ტურისტი თავად მონაწილეობს ისეთ ქმედებებში, რომელიც მიმართულია ველური ბუნების შესანარჩუნებლად ან აღსადგენად.

ამრიგად ეკოტურიზმის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტს ეკონომიკურ სარგებელთან ერთად გარემოს მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება და მისი დაცვა წარმოადგენს.

ბერდვოჩინგი

ეკოტურიზმის ძირითადი კომპონენტებიდან ბუნების შეცნობა ერთ-ერთი უმთავრესია, ბერდვოჩინგი ეკოტურიზმის ცალკეული მიმართულებაა. ეტიმოლოგიურად „ბერდვოჩინგი“ **(Birdwatching)**, ინგლისური სიტყვაა და ფრინველებზე დაკვირვებას, თვალთვალს ნიშნავს. ხოლო ადამიანებს რომლებიც ფრინველებზე დაკვირვებით არიან დაინტერესებულნი ბერდვოჩერებს უწოდებენ, ადამიანი არაა ის ერთადერთი არსება დედამიწაზე, რომელსაც მოგზაურობა და კონტინენტიდან კონტინენტზე გადაადგილების უნარი შესწევს. ფრინველებისთვის ეს ბუნებრივი პროცესია და როგორც მოგეხსენებათ მათი უმრავლესობის ნაწილი ზამთრის დადგომასთან ერთად იმ ტერიტორიაზე გადაადგილდება სადაც გამოზამთრებისთვის უკეთესი პირობებია შექმნილი. ასეთი გადაადგილება ქმნის ფრინველთა მიგრაციის გზებს მთელს მსოფლიოში და საქართველო სწორედ ერთ-ერთ ასეთ გზას წარმოადგენს. ფრინველებზე დაკვირვება თანამედროვე მსოფლიოში ეკოტურიზმის ერთ-ერთი პოპულარული მიმართულებაა და მას 10 მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს. ფრინველებით დაინტერესება იმდენად დიდია, რომ ეს პროცესი ცალკეულ ტურისტულ შეთავაზებად ჩამოყალიბდა. ზოგიერთისთვის, შესაძლოა ეს ერთი შეხედვით უცნაური საქმიანობა, მსოფლიოში ძალიან ბევრი ადამიანისთვის ცხოვრების წესადაც კია ქცეული. ბერდვოჩინგს უამრავი მიმდევარი ჰყავს აშშ სა და დიდი ბრიტანეთის ქვეყნებში, მაგალითად მხოლოდ დიდ ბრიტანეთში ბერდვოჩერების 2000-მდე კლუბია, ისინი ხშირად მოგზაურობენ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში და ერთმანეთს ეჯიბრებიან კიდეც იმაში, თუ ვინ უფრო მეტი სახეობის ფრინველს მოინახულებს. ბერდვოჩერები ფრინველებს დეტალურად შეისწავლიან, იკვლევენ ფრინველების კვებას, ბუდეების შენებას, მიგრაციას, ან ხანდახან უბრალოდ მათი სილამაზით ტკბებიან. მათი მთავარი ინტერესია, ნახონ ისეთი უნიკალური სახეობის ფრინველები, რომლებიც მათ ქვეყანაში არ მოიძებნება.

ბერდვოჩინგი და საქართველო

საქართველოში ფრინველების დაახლოებით 350-ზე მეტი სახეობაა. აქედან არსებობენ ენდემური ჯიშები რომელიც მხოლოდ ამ რეგიონისთვისაა დამახასიათებელი მაგალითად: კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი, კავკასიური ყარანა და ა.შ ფრინველების მრავალფეროვნება გამოიწვია ქვეყნის ისტორიულმა, კლიმატურმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ბერდვოჩინგი საქართველოს ტურიზმისთვის ახალი გამოწვევაა, ამიტომ განვითარების საწყის ეტაპზეა, ცოტაა ფირმა, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს, შესაბამისად ხშირად სრულფასოვნად ვერ აკმაყოფილებს ბერდვოჩერთა მოთხოვნებს, ქვეყანაში პროფესიონალ გიდ გამცილებელთა სიმცირეა, თუმცა, ეს არ უშლის ხელს ბერდვოჩრებს, რომ თუნდაც დამოუკიდებლად შემოვიდნენ საქართველოში. საქართველოში ფრინველებზე დაკვირვება შესაძლებელია შემდეგ ძირითად რეგიონებში: ხევი-ყაზბეგის რაიონი, სამხრეთ საქართველო-ჯავახეთის ზეგნის ტბები, ივრის ზეგანი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი, კოლხეთის დაბლობი და ვაშლოვანის ნაკრძალი. პერსპექტივაშია დიდმაღალის მასივი -აბასთუმნის თავზე და კვერნაკის ქედი.

ბერდვოჩინგის ძირითადი მარშრუტები სამხრეთ საქართველოში

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე ბერდვოჩინგის განვითარება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია შესაძლებელი, თუმცა ამ ტურისტული შეთავაზებისთვის ვფიქრობ, ყველაზე მიმზიდველი რეგიონი სამხრეთ საქართველო და სამცხე–ჯავახეთის ზეგნის ტბათა შემოგარენია. მოცემული რეგიონი განსხვავებული სილამაზით გამოირჩევა. აქ მცენარეულობის ნაირფეროვნებით გამორჩეული საძოვრები, ვულკანური წარმოშობის ნაშალი მთები განუმეორებელი სილამაზის ტბები და ტენიანი მდელოებია. უნდა აღინიშნოს ისიც რომ საბჭოთა პერიოდში ეს ტერიტორია დახურულ ზონად იყო გამოცხადებული, რამაც ნაწილობრივ, მაგრამ მაინც ხელი შეუწყო ბუნებრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებას. ჯავახეთის ზეგანი ფრინველთა მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ ტრასას წარმოადგენს.

ჯავახეთში ბევრი მობუდარი წყლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ფრინველია (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ზამთარშიც აქ რჩება და გაყინული ტბებიდან მდინარეებზე ინაცვლებს). ეს ადგილები კარგ საშუალებას აძლევს ბერდვოჩერებს შეხვდნენ წეროებს, ყანჩებს, თოლიებს, ყარყატებს, იხვის სხვადასხვა სახეობებსა და სხვადასხვა ჯგუფის გარეულ ფრინველებს. ვიზიტისთვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი ივნისი-აგვისტოა. რეგიონში ბერდვოჩერებისთვის ბევრი საინტერესო მარშრუტის შეთავაზებაა შესაძლებელი, თუმცა რამდენიმეზე შევჩერდები.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მარშრუტი ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილია, სადაც ტაბაწყურის ტბასთან ერთად არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, აქ მდებარეობს ჩამქრალი ვულკანი თავკვეთილი. ნარიან ველზე შესაძლებელია ისეთი უნიკალური სახეობის ნახვა როგორიცაა არჩიბალდის რუხი წერო, რომელიც რუხი წეროს ახალი აღწერილი ქვესახეობაა, მისი საერთო პოპულაცია საქართველოში, სომხეთსა და თურქეთში 100 წყვილს არ აღემატება. თავკვეთილის ფერდობზე დეკიან ნაწილში ბინადრობს კავკასიური როჭო. ტაბაწყურის დაჭაობებულ ნაპირებთან შესაძლებელია ყანჩების ნახვა. ტაბაწყურის კუნძულებზე ასევე ბუდობენ სომხური თოლიები. აქვე შეიძლება სხვადასხვა მტაცებელი ფრინველის ნახვა როგორიცაა: მყივანი არწივი, ბექობის არწივი, მაისის ბოლოდან აქ ორბების ნახვაც შესაძლებელია. ტაბაწყურიდან შემდეგი მარშრუტი შესაძლებელია ახალქალაქისკენ დავგეგმოთ, საიდანაც შეგვიძლია გეზი ხანჩალისა და კარწახის ტბებისკენ ავიღოთ. კარწახის ტბაზე აღრიცხულია 59 სახეობის ფრინველი, აქედან 20 წყალმცურავია; კარწახის ჭაობზე კი 21 სახეობის ფრინველია, მათგან კი 6-ია წყალმცურავი. ხანჩალის ტბის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ წყალი ძალზედ დაბალია. ტბის სიღრმე მხოლოდ 80 სანტიმეტრია და გარეულ ფრინველს ძალზედ უადვილდება ტბის ფსკერიდან საკვების მოპოვება. ჯავახეთის სხვა ტბებთან შედარებით დაბალი სიღრმის გამო ხანჩალი ყველაზე თბილია და წყლის ფრინველებისთვის საუკეთესო საცხოვრებელი და დასასვენებელი ადგილია. ტიგმატიშის უღელტეხილის გავლით შესაძლებელია ფარავანზე და საღამოს ტბაზე ფრინველების დაკვირვება, ამ ორი ტბის შორის მდებარე ტერიტორიაზე ბუდობენ წითელი იხვები (შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. ნინოწმინდიდან სომხეთის საზღვრის მიმართულებით შეგვიძლია ბუღდაშენის ტბის ნახვა, სადაც ბევრი წყლის ფრინველი ბუდობს, შევხვდებით ისეთ სახეობებს როგორიცაა ღამის ყანჩა, რუხი ყანჩა, ვეჟანი თოლია, თევზიყლაპია, ზაფხულის შუა თვეებში აქ 1000-მდე წითელი იხვი იყრის თავს. ბუღდაშენის ტბის სიახლოვეს სოფელ გორელოვკასთან შეგვიძლია შევხვდეთ ლაკლაკების ყველაზე დიდ კოლონიას. ბუღდაშენის ტბიდან გეზი მადატაპას ტბისკენ შეიძლება ავიღოთ, სადაც ყანჩების, იხვებისა და წეროების ნახვაა შესაძლებელი, კარწახის ტბიდან მადატაპაზე საკვების მოსაპოვებლად პერიოდულად მოფრინავენ ვარხვები, ხუჭუჭა და ვარდისფერი ვარხვი.

რეგიონს ბერდვოჩინგის მიმართულებით უდიდესი პოტენციალი გააჩნია, თუმცა დარგის განვითარებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსია საჭირო, ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია ბიომრავალფეროვნების გაფრთხილება და შენარჩუნება, სამწუხაროდ რეგიონში ანთროპოგენური ჩარევის გამო ბუნების დეგრადაცია შეინიშნება, საჭიროა სწორი სტრატეგია და მკაცრი კონტროლი. რეგიონში ბერდვოჩინგის განვითარება მოიტანს არა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს, სამუშაო ადგილებს, არამედ გარემოს დაცვის კუთხით რეგიონს მნიშვნელოვნად განავითარებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს დაცული ტერიტორიები, „წიგნის სახელოსნო“, 2007.
2. A Birdwatching Guide to Georgia, „ბუნება პრინტ“, 2005.
3. ეკოტურიზმი, „ეკოტურიზმის განვითარების ცენტრი“, 2013.
4. www.apa.gov.ge - საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო
5. http://www.birdwatching.com/birdingfaq.html
6. http://www.dw.com/ru Елена Байер ,,бёрдвотчинг –наблюдение за птицами”

შიდა ქართლის ტურისტული მეურნეობის განვითარების პერსპექტივები კასპის რაიონის მაგალითზე

დიმიტრი მაღლაკელიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მჭიდროდ იკიდებს ფეხს და მკვიდრდება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გამგზავრება დასვენების, გართობის, სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღების, უცხოეთის ქვეყნების ღირსშესანიშნაობების დათვალიერების, ასევე მისი ფოლკლორის, ტრადიციებისა და ცხოვრების წესის გაცნობის, ახალი, ამაღელვებელი შთაბეჭდილებების მიღების მიზნით.

ტურისტების დიდი რაოდენობით ჩასვლა ამა თუ იმ ქვეყანაში, კიდევ ერთ დამატებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მოცემული სახელმწიფოს ეკონომიკური გაუმჯობესებისა და წინსვლისთვის. იმისათვის, რომ ქვეყანაში შემოვიდეს დიდი რაოდენობით ტურისტი აუცილებელია ქვეყანას ჰქონდეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად გამართული სისტემა. მოწესრიგებული უნდა იყოს საგზაო ინფრასტრუქტურა, რათა ტურისტს გადაადგილებისას დისკომფორტი არ შეექმნას და ქვეყანა მომსახურებით უკმაყოფილომ არ დატოვოს. ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმი რომ განვითარდეს, სასურველია მრავლად იყოს ისეთი ტიპის სასტუმროები, რომლებიც უმაღლესი ხარისხის მომსახურებას შესთავაზებენ ვიზიტორს, შეუქმნიან დასვენებისათვის ან სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულებისათვის კომფორტულ პირობებს, ამავდროულად სასტუმროები დიდი მანძილით არ უნდა იყვნენ დაცილებულნი იმ ობიექტებს, რომელთა მონახულებასაც ტურისტი გეგმავს.

ასევე, სასურველია, აუცილებელიც კი, რომ ქვეყანა ამ ადამიანებს დახვდეს მოწესრიგებული ტურისტული სააგენტოებითა და მაღალკვალიფიციური გიდებით, ვისაც ტურისტი სრულიად ენდობა და მათგან მიიღებს მაქსიმალურ, ამომწურავ ინფორმაციას ამა თუ იმ ისტორიულ ძეგლზე, მუზეუმებზე და ბუნების იმ უმშვენიერეს ქმნილებებზე, რომლითაც ასე უხვადაა დაჯილდოვებული და ამაყობს საქართველო.

საქართველო ტურიზმის კუთხით ძალზე მიმზიდველი ქვეყანაა, აქ ტურისტი ნახავს ადგილებს, სადაც მწვანე მთები უერთდება ლურჯ და სუფთა შავ ზღვას, ნახავს უნიკალურ არქიტექტურულ ძეგლებს, გაეცნობა მათი წარმოშობის ისტორიას და ბევრ საინტერესოს გაიგებს მთლიანად საქართველოსა და მისი კუთხეების შესახებ. მათ საშუალება ექნებათ ეწვიონ სხვადასხვა გამოჩენილ ადამიანთა მუზეუმებს, შეიტყონ თუ როგორი იყო მათი ცხოვრების სტილი - როგორ უჭირდათ ან ულხინდათ, რა იყო ამის მიზეზი, რისთვის ან ვისთვის ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ და ხარჯავდნენ უდიდეს ენერგიას ეს პიროვნებები.

ტურისტებს უყვართ საქართველოს კულტურა, ტკბებიან მისი მრავალფეროვნებით, ფოლკლორით, შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტებით, სამკურნალო წყლებითა და მწვანე, ხშირი ტყეებით, მისი ფლორითა და ფაუნით და სტუმარ-მასპინძლობით, რომელიც ქართველი სტუმართმოყვარე და მეგობრული ხალხის ცხოვრებისა და სულის განუყოფელი ნაწილია. ტურისტებს მოსწონთ როდესაც თვითონ იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ყოველდღიურ აგროტურისტულ საქმიანობაში. მაგ., ღვინის დაწურვაში, ხაჭაპურის გამოცხობასა და ხინკლის გაკეთებაში. ხანდახან კი ხმასაც შეუწყობენ ხოლმე სუფრის თავში მჯდომ თამადას და ცდილობენ უცხოეთშიც შექმნან ქართული ფოლკლორული ანსამბლები და სხვა ადამიანებიც აზიარონ ქართული კულტურის მადლს.

საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას, საჭიროა განვიხილოთ ისეთი საკითხები როგორიცაა: 1. არსებობს თუ არა ამ ქალაქში (რეგიონში) ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსები; 2. არსებობს თუ არა შესაბამისი ტურისტული ბაზარი, რომელზეც შეიძლება გასვლა; 3. ეკონომიკური განვითარების მისაღწევად ესაჭიროება თუ არა ქალაქს (რეგიონს) ტურიზმის განვითარება; 4. არის თუ არა საჭირო შრომითი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის, დამატებითი შრომითი რესურსების შემოყვანის გარეშე; 5. გამართლებულია თუ არა დანახარჯები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის; 6. შესაძლებელია თუ არა კონკურენტების გამოჩენა არსებული ან შესაძლო ტურისტული პროექტებიდან მეზობელ რეგიონებში.

საქართველო დაყოფილია ფიზიკურ-გეოგრაფიულ 12 რეგიონად. თითოეული რეგიონი კულტურისა და ბუნების ფასდაუდებელ საგანძურს ინახავს და უფრთხილდება საუკუნეთა

განმავლობაში. ეს სიმდიდრე გვიჩვენებს თუ რა დიდი ისტორიის, ტრადიციების მატარებელია ქართველი ერი. რა თქმა უნდა ამ ყველაფერს გონივრული მოვლა-პატრონობა და გამოყენება სჭირდება. საქართველოს რეგიონებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული რაიონია შიდა ქართლი. შიდა ქართლის ერთ-ერთი მართლაც დასაფასებელი და მნიშვნელოვანია კასპის რაიონი, რომელიც გამოირჩევა თავისი უნიკალური ისტორიითა და შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტებით, ფლორითა და ფაუნით, ეკლესიებითა და მონასტრებით, მუზეუმებით, რომლებიც უნიკალურ ინფორმაციას გვაწვდიან ჩვენს წარსულზე.

კასპის რაიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთის, დასავლეთით გორის, სამხრეთით თეთრიწყაროსა და წალკის, ჩრდილო-აღმოსავლეთით დუშეთისა და ახალგორის რაიონები. კასპის რაიონის მოსახლეობა 2010 წლისთვის 52202 ათას შეადგენს. ფართობია 803,2 (805,2) კასპი რომელიც წარმოადგენს კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს, გაშენებულია მდინარე ლეხურის ნაპირებზე იქ, სადაც მდინარე კვეთს კვერნაქის სერს და გამოდის ვაკეზე. ქალაქი გორაკ-ბორცვებზეა გაშენებული, ზღვის დონიდან 560 მ-ზე. რკინიგზის სადგური თბილისიდან 48 კმ. ქალაქად გამოცხადდა 1959 წელს. მოსახლეობა 19,9 ათასი (2005 წ.)

კასპის რაიონსა და ზემოთ ჩამოთვლილ რაიონებს შორის მანძილი არც თუ ისე დიდია და ტურისტს მოკლე დროში შეუძლია ამ რაიონებში ჩასვლა და იქ არსებული რამდენიმე ტურისტული ღირსშესანიშნაობების მონახულება. სარკინიგზო მაგისტრალით და ავტობანთან სიახლოვით ტურისტისთვის უიოლდებათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან დაკავშირებაც.

კასპის რაიონი გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაფტებით. აქ შეხვდებით ტყით დაფარულ მთებს და მოტიტვლებულ გორაკ-ბორცვებსა და ვაკე ადგილებს. კასპის რაიონს შუაზე ჰყოფს მდინარე მტკვარი. მარჯვნიდან მას ერთვის თეძამი და კავთურა, ხოლო მარცხნიდან ქსანი და ლეხურა. ეს მდინარეები ზოგჯერ მწვანეში ჩაფლულ, ხან კი მოტიტვლებულ ხეობებში იკვლევენ გზას. მათ მიმდებარე ტერიტორიებზე კი გვხვდება ეკლესია-მონასტრები, სახლ-მუზეუმები, სხვადასხვა სახელწოდების, არქიტექტურით და უნიკალური წარსულით, ასევე ბალნეოლოგიური კურორტები.

კასპის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა და მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობენ, რომ აქ ადამიანი უწყვეტად ცხოვრობს ქვის ხანიდან დღემდე. თანამედროვე ქალაქი კასპი დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. ქალაქი განსაკუთრებით V საუკუნეში დაწინაურდა. მას დიდი სამხედრო-სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, ჰყავდა საკუთარი სპასალარი და წარმოადგენდა გარკვეული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის „კასპის სასპასალაროს“ ცენტრს. კასპში იზრდებოდა ვახტანგ გორგასლის და მირანდუხტი. სათავადოთა სისტემის წარმოქმნის შემდეგ (XV ს-ის II ნახევარში ქართლის მეფე სიმონ I-მა კასპი ბარძიმ ამილახვარს ჩამოართვა და სვეტიცხოველს შესწირა. XIX საუკუნეში კასპი სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა. კასპის ტერიტორიაზე მოქმედებს საწარმოთა ფართო სპექტრი. მათმა განვითარებამ რეგიონის ეკონომიკურად წინსვლაში შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს, რადგან წარმოებიდან შემოსული თანხები შესაძლოა მოხმარდეს კასპში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, დაიგოს გზები კეთილმოეწყოს კულტურული დანიშნულების ადგილები...

კასპის რაიონს, ისევე როგორც სხვა რაიონებში ტარდება დღესასწაულები, სადაც ყველაზე კარგადაა შესაძლებელი აბორიგენი ხალხისთვის დამახასიათებელი კულტურის ნახვა. ტურისტი გაეცნობა ფოლკლორს, ნახავს ხელნაკეთ ნივთებს, მონაწილეობას მიიღებს კიდეც სხვადასხვა სანახაობებშიც. კასპის რაიონში სახალხო დღესასწაულებია: 1. „გურამიშვილობა“ (ლამისყანა); 2. „ჯავახიშვილობა“ (ხოვლე); 3. „გოსტიბეობა“ (გოსტიბე); 4. „კალოუბნობა“ (ზემო ხანდაკი); 5. „ლომისობა“ (კავთისხევი).

კასპის რაიონში გვხვდება კურორტები, რომლებიც გამოირჩევიან სამკურნალო თვისებებით და იმის საშუალებას იძლევიან, რომ რაიონში ტურისტები მოვიზიდოთ. კასპში გაუმართავია სასტუმრო და საგზაო ინფრასტრუქტურა, არ ჩატარებულა ამ ტერიტორიაზე კეთილმოწყობითი სამუშაოები. ეს ყველაფერი კი დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ტურისტისთვის. მინდა გამოვყო მნიშვნელოვანი რამოდენიმე კურორტი: კურორტი ხოვლე ცნობილია გოგირდწყალბადოვანი წყაროებით, წყალი გამოიყენება რევმატიული, ოსტეოქონდროზის, გინეკოლოგიური და კუჭ-ნაწლავთა დაავადების სამკურნალოდ; კურორტი გარიყულა განსაკუთრებით სასარგებლოა ასთმით დაავადებულთათვის. ასევე რკონი და კურორტი გოსტიბე, რომელიც სასარგებლოა ბავშვების ბრონქიალური ასთმისგან განსაკურნებლად.

კასპის რაიონში განვითარებულია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები, რომლებიც ოდითგანვე განსაზღვრავდნენ მის ეკონომიკურ სიძლიერეს. უძველესი კულტურაა ვაზი, რომლის წიპწებიც (მსოფლიოში უძველესი (ძ.წ. 8000 წ.) სწორედ ქართლის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

სამომავლოდ შესაძლებელია კასპში ღვინის ტურიზმის განვითარება, რასაც მოიაზრებს, კასპის ტურისტული პოტენციალი.

კასპი 300-ზე მეტი რაოდენობის კულტურული ძეგლის მონახულებას სთავაზობს ტურისტებს, ან უბრალოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დამთვალიერებლებს. კასპში შესაძლოა განვითარდეს პილიგრიმული ტურიზმი. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა კასპის სხვადასხვა ტერიტორიაზე მოსალოც ადგილთა სიმრავლე. ასეთ ადგილებს მიეკუთვნება:

ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი მდინარე კავთურას ხეობაში მდებარეობს. პლატონ იოსელიანი მის ამშენებლად წმ. მეფე დავით აღმაშენებელს ასახელებს და 1126 წლით ათარიღებს, სხვა გადმოცემა კი მის მშენებლობას წმ. მეფე თამარს უკავშირებს. ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა. კასპიდან კავთისხევამდე კარგი გზაა. კავთისხევიდან მონასტრამდე გზა ძლიერ დაზიანებულია, რაც რასაკვირველია პრობლემას წარმოადგენს ტურისტისთვის.

სამთავისი - სოფელი კასპის რაიონში. კასპიდან 11 კმ... ძველად სამთავისი კულტურულ - საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. ძეგლი აშენებულია 1030 წ. მას გარს ერტყმის გალავანი, რომლის შიგნით ეპისკოპოსის სასახლის ნანგრევებია. გადმოცემის მიხედვით, სამთავისის ტაძარი აუგია ვახტანგ გორგასალს. ამ ეკლესიას დღეს საკმაოდ ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს. აქ მოდიან როგორც ქართველი ისე უცხოელი დამთვალიერებლები.

ერთაწმინდა - სოფელი კასპის რაიონში. კასპიდან 20 კმ, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 16 კმ... ერთაწმინდა „ესტატე წმინდის“ შეცვლილი ფორმაა. აქ არის დაკრძალული გიორგი სააკაძის ერთ-ერთი ვაჟის, მოწამებრივად დაღუპული პაატას მოკვეთილი თავი.

რკონი - სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში, სოფელ ჩაჩუბეთის მიდამოებში, ნასოფლარ რკონის მახლობლად. კომპლექსის ტერიტორია 2 მონაკვეთად იყოფა. ერთში განლაგებულია საკულტო ნაგებობანი, მეორეში - საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები. აქ არის ხიდი, რომელზეც გადმოცემის მიხედვით მეფე თამარს გაუვლია და ხიდიც მის სახელს ატარებს.

გრაკლიანი გორა მდებარეობს შიდა ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტში (სოფ. სამთავისისა და იგოეთის ტერიტორია). ამ ძეგლზე დადასტურებულია 11 სხვადასხვა პერიოდის ნაშთი.

ძვ. წ. V-IV საუკუნეების ასეთი მასშტაბური, კულტურულად და ეკონომიკურად დაწინაურებული დასახლება საქართველოს ტერიტორიაზე მანამდე არ იყო ცნობილი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ 2 500 წლის წინანდელი შენობების ინტერიერში ყველა ნივთი თავის ადგილზე დევს. სამომავლოდ შესაძლებელია ეს ადგილი ჩაჯდეს რომელიმე ტურისტულ მარშრუტში, რომელსაც დიდი სიხარულით მოინახულებენ ის ტურისტები, ვისაც ძლიერ აინტერესებთ ისტორია და ყოველივე ის რაც ხალხის კულტურას უკავშირდება.

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – მუზეუმი ქალაქ კასპში დაარსდა 1960 წლის 22 ივნისს. მუზეუმს აქვს 4 ფილიალი: 1) სოფელ ხოვლეში ივანე ჯავახიშვილის; 2) სოფელ სასირეთში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის; 3) სოფელ ლამისყანაში ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანების. 4) კავთისხევში ომარ კელაპტრიშვილი სახლ-მუზეუმები.

ბოლო პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა კასპის რაიონში საგზაო ინფრასტრუქტურას, გარემონტდა ხიდები და დაიგო რამდენიმე სოფლის დამაკავშირებელი გზები. ქალაქში დგას მაგთისა და ჯეოსელის ანტენები, ასევე არის ინტერნეტიც. თუმცა პრობლემა ისაა რომ ტურისტებს არა აქვთ ამომწურავი ინფორმაცია საერთოდ საქართველოსა და მით უმეტეს კასპის ტურისტულ პოტენციალზე. კასპში არაა ტურისტული სააგენტო და ვფიქრობ, კასპის ტურისტული კუთხით განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. მხოლოდ ინტერნეტში დადებული ინფორმაციით მას ვერ დააინტერესებ. აუცილებელია თანამშრომლობა უცხოურ ტურისტულ ორგანიზაციებთან. ტურიზმის განვითარებასთან ერთად გაიზრდება დასაქმებულთა რიცხვი, გაიზრდება შემოსავლებიც, იქიდან შემოსული თანხა კი მოხმარდება რეგიონის ტურისტული კუთხით განვითარებას.

შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორებია: შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არ ფუნქციონირებს არცერთი კერძო ტურისტული სააგენტო. დაბალია კოორდინაციის ხარისხი დედაქალაქში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებს შორის. არ არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურა, ობიექტების დათვალიერებაზე დაწესებული ტარიფები, ტურისტული ობიექტების არასათანადო დასუფთავება, ზოგადად, რეგიონს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, თუმცა საჭიროა სწორი ტურისტული „ნიშების“ პოვნა და კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტების განვითარება და შეთავაზება. რეგიონში შესაძლებელია განვითარდეს, სამკურნალო ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმი, აქტიური და ექსტრემალური ტურიზმი.

ლიტერატურა:
1. მ. მეტრეველი, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები. თბილისი, 2008.
2. ნ. პავლიაშვილი, ტურიზმის გეოგრაფია, 2006.
3. დ. ქათამაძე, გ. დიასამიძე, საერთაშორისო ტურიზმი, 2013.
4. გ. ხომერიკი, ტურიზმი, 2006.
5. http://greenalt.org/other

საყდრისი - ოქროს უძველესი წარმოების კერა მსოფლიოში „მითი თუ რეალობა“

თამარ ტერმაკოზაშვილი, ქეთევან მარკოზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საყდრის ყაჩაღიანის ბორცვი - სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთთან ახლოს ბოლნისიდან 20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ბორცვზე პირველადი სამეცნიერო სამუშაოები გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარდა თამაზ მუჯირის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში მომზადებულ ანგარიშებში პირველად გამოჩნდა მოსაზრება აქ შესაძლო პრეისტორიული ნამუშევრების არსებობის შესახებ. 2004 წელს საყდრის-ყაჩაღიანის ბორცვზე პირველი არქეოლოგიური კვლევები დაიწყო. 2007 წლიდან 2013 წლამდე კვლევებს აწარმოებდა ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიცია თომას შტოლნერისა და ირინა ღამბაშიძის ხელმძღვანელობით. მათი მტკიცებით, ობიექტი პრეისტორიული ოქროს მაღაროა (ძვ.წ 3350-2250 წ). თუმცა სამეცნიერო წრეებში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, სადაც მეცნიერები კატეგორიულად გამორიცხავენ ამ ადგილას პრეისტორიული ოქროს მაღაროს არსებობას.

ბოლნისის რაიონ დაბა კაზრეთთან მდებარე საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის გარშემო ხმაური დიდი ხნის წინ ატყდა. არქეოლოგთა ერთი ჯგუფის მტკიცებით, იქ უძველესი ოქროს მაღაროა ნაპოვნი, სადაც ოქროს მოპოვება საქართველოში ეგვიპტელებზე ადრეულ პერიოდში, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4, მე-3 ათასწლეულში ხდებოდა. ექსპერტთა ნაწილისა და კულტურის სამინისტროს კომისიის მიერ დადებული დასკვნიდან დღეს კი ირკვევა, რომ იმ დროისთვის ამ ტერიტორიაზე არსებულ პირობებში ოქროს მოპოვება დაუსაბუთებელი და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ანუ თუ იქ მაღარო მაინც არსებობს, მას სხვა დანიშნულება ჰქონდა და მაშინ ეს მხოლოდ მორიგი არქეოლოგიური ობიექტია და არა ეროვნული კატეგორიისა და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი, როგორც ამას ამტკიცებენ.

მთავარი დავა სწორედ, ამ თემის გარშემოა: იყო იქ ოქროს მაღარო და ტერიტორია სახელმწიფომ უნდა დაიცვას, როგორც უნიკალური ძეგლი, თუ არ იყო ოქროს მაღარო და კერძო კომპანია RMG-ის შეუძლია ეს ტერიტორიები ოქროს მოპოვების ან მისთვის სასურველი მიზნით აითვისოს, ანუ აწარმოოს საქმიანობა, რის უფლებასაც მას სახელმწიფოს მიერ გაცემული ლიცენზია აძლევს. დავაში კულტურის სამინისტროც მოჰყვა უფრო მეტიც, მინისტრის მოადგილეს მარინა მიზანდარს სერიოზული ბრალდება წაუყენეს. საყდრის ყაჩაღიანის საბადო, მითი თუ სამეცნიერო თაღლითობა? ამისთვის შევეცადოთ მოვიშველიოთ თომას შტოილნერი, რომლის ექსპედიციამ საფუძვლიანად შეისწავლა ობიექტი.

თომას შტოილნერი ,,ეს საბადო, მთლიანობაში პოლიმეტრიულია. ეს ეხება მთელ იმ რეგიონს: ბოლნისს, საყდრისს, მარნეულის რაიონს. ცხადია, ამ საბადოში არის სპილენძი, მაგრამ სპილენძი ღრმა შრეებშია: 20-40-60 - მეტრის სიღრმეზე. ჩვენ არ გვაინტერესებს სპილენძის, როგორ სულფიდურ საბადოსთან გვაქვს საქმე, მაგრამ საბადოს ზედა, როგორც მას უწოდებენ ხოლმე „რკინის ქუდის“ ნაწილში, ყაჩაღიანის ბორცვში, რომელიც შევისწავლეთ არ არის მხოლოდ რკინის ოქსიდები, არამედ ძვირფასი ლითონების, ამ შემთხვევაში ოქროს და ვერცხლი მინარევები. ეს ოქროს თვითნაბადი მინარევები, ამგვარი საბადოსათვის ერთობ ტიპიურია. ფირმა RMG-ის, ხომ მხოლოდ ოქრო აინტერესებს, ამიტომაც მოიპოვებს იქ მას და არა სპილენძს. საბადოს მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს წინარე მოსახლეობისათვის მე-4 ათასწლეულში. ამის ზუსტად დამტკიცებაც შეგვიძლია.

პრეისტორიულ პერიოდში, ანუ მე-4 ათასწლეულში მოპოვება ხდებოდა იმ ძარღვებში, სადაც ოქროს შემცველობა მაღალი იყო, ტონაზე დაახლოებით 200-250 გრამი, რაც ძალიან მაღალი შემცველობაა. ცხადია ამ საბადოებში ოქრო შემცველობა სხვადასხვა შრეში განსხვავებულია: ზოგან მეტია, ზოგან – ნაკლები.

იმისთვის, რომ საყდრის-ყაჩაღიანის საბადოში პრეისტორიულ ხანაში ოქროს მოპოვების და მიღების წესი დაემტკიცებინათ, ოქრო პრეისტორიული ცდის მეთოდით მიიღეს და ეს საჯაროდ წარადგინეს შარშანწინ ზაფხულში. ცდა უჩვენეს ქართველ მეცნიერთა საზოგადოებას და ოქროს მიღების ბოლო ეტაპს დაესწრო ქალბატონი მიზანდარიც. ცდამ დაამტკიცა, რომ სრულიად მარტივად მიიღებ ოქროს, თუ მიყვები ამ მეთოდს. ჯერ ხდება ამ ოქროვანი ძარღვებიდან თვითნაბადი ოქროს ამოღება და შემდეგ სველი მექანიკური, ანუ ოქროს გამორეცხვის მეთოდით, მისი გამოთავისუფლება, ბოლოს კი ტილეგში გამოდნობის გზით მისი მიღება.

მოგეხსენებათ, რომ როდესაც არქეოლოგი რაიმეს პოულობს, რის დათარიღებაც ხერხდება, ასეთ ნივთს დახურულ ნივთს უწოდებენ. საყდრისი სწორედ ასეთი შემთხვევაა. იქ საბადოს ქვედა ნაწილში, არის ხელუხლებელი შრეები მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდიდან. ეს არის მეოთხე ათასწლეულის შუა ხანა ან მისი ბოლო. იქ აღებული ნიმუშები უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ მაშინ იქ ოქროს ნამდვილად მოიპოვებდნენ და ეს რესურსი დღესაც საჭირო რაოდენობითაა, რადგან ამგვარ კვალს საბადოს ყველა მონაკვეთში ვაწყდებით. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ საბადოს პირველი ფაზა ქრისტემდე გვიანდელი მეოთხე ათასწლეულით თარიღდება და ეს არის მსოფლიოში სამთამადნო წესით ოქროს მოპოვების ჩვენთვის ცნობილი უძველესი ადგილი. ეგვიპტეში ამის დასტური დაახლოებით მე-3 ათასწლეულით თარიღდება, ანუ თითქმის ათასი წლით ახალგაზრდაა და თან ტექნიკური თვალსაზრისით საყდრისს ჩამოუვარდება.

2014 წლის შემდგომით ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოიკვლიეს საბადოს ტურისტული პოტენციალი მის ტურისტულ ობიექტად გადაქცევის შემთხვევაში. აღნიშნული კვლევა ჩაატარა რადიო თავისუფლებამ. **კითხვარი: როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია საყდრისის მაღაროს ტურისტულ ობიექტად გადაქცევა?**

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საყდრისი საქართველოს სხვა მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლების მახლობლად მდებარეობს. იქიდან სულ 14 კილომეტრია დმანისამდე, სადაც ევრაზიის უძველესი ჰომინიდების ნაშთები აღმოაჩინეს და საქართველოსთვის ეს ალბად ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია. იქვეა ბოლნისის რაიონი, არუხლოს გორა, რომელიც მიწათმოქმედების ძველი კულტურის არქეოლოგიური ძეგლია და სადაც ერთად მუშაობენ ქართველი და გერმანელი არქეოლოგები. საერთოდ ქვემო ქართლი მშვიდი რეგიონია, იქ შეიძლება ტურიზმის განვითარება, მაგრამ საჭირო იქნება სწორად დაბანდებული ინვესტიცია. ასე მიტოვება და ლოდინი იმისა, რომ ტურისტები თვითონ მოვლენ, სწორი არ იქნება. ჩასატარებელია სამუშაო, რომ ტურისტებს საბადო აჩვენონ. მთა შედარებით სტაბილურია, თუმცა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იქ საგანგებო კონსტრუქცია უნდა აიგოს, სასურველია პატარა მუზეუმის აშენებაც. აუცილებელია ნება და ტურისტი იქაურობას სიამოვნებით ეწვევა. სხვა ქვეყნებში არსებულ ტურისტულ საბადოზე ტურიზმის სფეროს იქვე მოქმედი მომპოვებელი ფირმა განაგებს და რასაკვირველია მოგებაც მისია. ცხადია საქართველოს მსგავს ქვეყანას, რომელიც ტურიზმს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას ანიჭებს, შეუძლია ასეთ ძეგლზე აიღოს ორიენტირი. სწორედ ამიტომ გაიყო საზოგადოების აზრი ორ ნაწილად. ერთი ნაწილი ემხრობა იდეას, რომ მსგავსი რესურსის შემცველი ობიექტი აუცილებლად უნდა იქცეს ტურისტულ ძეგლად და დამატებით შემოსავალს წარმოადგენდეს სახელმწიფოსათვის, მეორეთა აზრით კი ეს ძეგლი ეროვნული, უძველესი, პრეისტორიული მომენტია და მისი ისტორიული მახასიათებლები თაობათათვის უნდა გადაეცათ ხელშეუხებლად. რელიგიური საზოგადოებისათვის კი ერთგვარ წმინდა ადგილად ითვლება. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს მისი სახელწოდებაც: საყდარი-საყდრისი.

საყდრის-ყაჩაღიანის საბადოს ძეგლის სტატუსი კომისიის გადაწყვეტილების გარეშე მიენიჭა, რაც მაშინ მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის დარღვევა იყო. 2013 წლის 26 აპრილს კომისიას ,,RMG", რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზე ოქროს მოიპოვებს, მიმართა კულტურის სამინისტროს საყდრისის საბადოსათვის კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მართებულობა შეესწავლა. გადაწყვეტილების შესწავლის მომხრე იყო საქართველოს მთავრობაც. 2013 წლის 28 მაისს, ოდიშარიას ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის და დაბა საყდრსის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია", რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა.

დარღვეულია ამ დროს მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის

მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა. სამინისტროში არ მოიძებნა არცერთი დოკუმენტი, რომელიც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით უნდა ყოფილიყო არქეოლოგიური ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველი. კულტურის სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული ძეგლი იყო სპილენძის და არა ოქროს მომპოვებელი საბადო. კომისიის დადგენილებით, ის იარაღები, რომლებიც აღმოჩენილია საბადოში იყო უფრო მყიფე, ვიდრე ნიადაგი, რომლის დასამუშავებლადაც ის იყო განკუთვნილი. სამინისტროს გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ძეგლისთვის სტატუსის მინიჭება უნდა მომხდარიყო, სამინისტროში არ მოიძებნა.

კომისიის სხდომებზე, წარდგენილ იქნა: გეოლოგიური, გეოლოგიურ-საინჟინრო, მეტალურგიული და მასალათგამძლეობის დასკვნები, რომელთაგან გამომდინარე მიჩნეულ იქნა, რომ გეოლოგიური კუთხით, პრეისტორიულ პერიოდში ოქროს მოპოვება საყდრისში არ დასტურდება. ირინა ღამბაშიძე საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 2004 წლიდან იკვლევს საყდრისის საბადოს. ამბობს, რომ მან დოკუმენტაცია სამინისტროში მიიტანა. ის არ გამორიცხავს, რომ დოკუმენტაცია სამინისტროდან დაიკარგა. ირინას თქმით საქმე გვაქვს ოქროს მომპოვებელ უძველეს საბადოსთან. არქეოლოგიის ცენტრში აცხადებენ, რომ ძეგლი სპილენძის მომპოვებელი საბადოც რომ ყოფილიყო, ამით მისი მნიშვნელობა მაინც არ მცირდება. ღამბაშიძის თქმით არქეოლოგიურ ძეგლზე 10000 მდე ქვის იარაღია აღმოჩენილი და კიდევ ბევრია აღმოსაჩენი, რადგან ძეგლის ძალიან მცირე ნაწილია შესწავლილი. განსაკუთრებით მინისტრის ბრძანების ის ჩანაწერია გასაკვირი, რომლის მიხედვითაც საბადოს მოძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. როგორ შეიძლება მთის მასივის გადატანა ისე რომ, არ დაზიანდეს. მინისტრის განცხადებაში ნათქვამია, რომ ბოლნისის ტერიტორიაზე აშენდება მუზეუმი, სადაც საყდრის-ყაჩაღიანის საბადოზე ნაპოვნი მასალა განლაგდება. მინისტრის ბრძანებითვე 15 სექტემბრამდე უნდა დასრულებულიყო ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა. სამეცნიერო ლაბორატორიაში კი უკვირთ, როგორ შეიძლებოდა ძეგლის შესწავლა ასე მცირე დროში.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, 2013 წლის 5 ივლისს გამოცემული იქნა N03/108 ბრძანება, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიური ობიექტისათვის კანონის დარღვევით მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობას. ამავე ბრძანების საფუძველზე, დაიწყო მუშაობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში მუზეუმის აშენების საკითხზე, სადაც განთავსდება საბადოში მოპოვებული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის მქონე არტეფაქტები.

საყდრის-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ტერიტორია ინარჩუნებდა არქეოლოგიური დაცვის ზონის სტატუსს. შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას. ამრიგად საბადო სრულყოფილადაა დაცული. ნათქვამია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

მიუხედავად ფაქტობრივი მასალისა და წერილობითი დოკუმენტაციის არსებობისა, რომლებიც გამორიცხავენ ძეგლის დაზიანებას და მით უმეტეს დანგრევას, 2014 წლის დეკემბერში საყდრისის საბადო მაინც ჩაანგრიეს, განადგურდა.

ჩვენი თემის ირგვლივ ჩავატარეთ მცირედი გამოკითხვა, გორის უნივერსიტეტის სტუდენტებში. გამოვკითხეთ 60 სტუდენტი. აქედან: 14-მა სტუდენტმა საერთოდ არაფერი იცოდა საყდრისთან დაკავშირებით, 25-მა სტუდენტმა, მათ შორის უმეტესობა ტურიზმის სპეციალობის იყო, მწვავე რეაქცია დააფიქსირა ობიექტთან დაკავშირებით. მათი აზრით საყდრისი უნდა დარჩენილიყო, როგორც ისტორიული მემკვიდრეობა და მოწყობილიყო ტურისტულ ობიექტად. 21 სტუდენტს სმენიათ სხვადასხვა საშუალებებით საყდრისის შესახებ, თუმცა დიდად არ აინტერესებთ.

ლიტერატურა:

1. http://gyla.ge/uploads/ge_full.pdf
2. https://www.google.com/search?q=saydrisi&tbm=isch&tbo=u&source=univ&sa=X&ei=IgXGVPmpMcPDOYq8gOAE&ved=0CCwQsAQ&biw=1366&bih=608
3. http://geoforum.ge/viewtopic.php?t=8393&sid=8838a2d3898e392eec3448e0cfbbce22
4. http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/266019-kompania-rmg-saydrisi-yachaghianis-oqros-sabadosthan-dakavshirebith-ganckhadebas-avrcelebs.html?ar=A
5. http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/266019-kompania-rmg-saydrisi-yachaghianis-oqros-sabadosthan-dakavshirebith-ganckhadebas-avrcelebs.html?ar=A
6. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა, გზა მომავლისკენ, 2014.

საქართველოს მთის კლიმატური კურორტების ბუნებრივ-რეკრეაციული მნიშვნელობა ბაკურიანის მაგალითზე

ნინო ღვინიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკურორტო-ტურისტულ ქვეყანას. მისი თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარული კავკასიონის ქედი, შავიზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მთის მდინარეები და ჩანჩქერები, კარსტული მღვიმეები, კურორტები და მინერალური წყაროები, ისტორიის, კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლები ხელს უწყობენ საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას. ბუნებრივი ფაქტორების სიმდიდრემ და მრავალფეროვნებამ საშუალება მოგვცა საქართველოში გამოყოფილიყო 340 საკურორტო ადგილი, რომლებიც გამოიყენება ჯანმრთელობის განმტკიცების, დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. საკურორტო ადგილებისათვის დამახასიათებელია სასურველი ჰავა, მინერალური წყლების ან სამკურნალო ტალახების არსებობა.

აღმოსავლეთი საქართველო ხასიათდება ზომიერი სუბტროპიკული ჰავით. აქ ტენიანობა დაბალია, ნალექების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დასავლეთში, ზამთარი უფრო ცივია და შესაბამისად, ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა უფრო დიდია. აღმოსავლეთ საქართველოში გამოირჩევა ქვეოლქი გარდამავალი ჰავით, ზომიერი ნოტიო სუბტროპიკულიდან, წინა აზიის ზეგანის მშრალ ჰავამდე. ქვეოლქი გამოირჩევა უფრო მშრალი და კონტინენტური ჰავით, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიები. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კიოპენის სისტემის შესაბამისად გამოყოფენ 16 კლიმატურ ქვეზონას.

განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია შექმნილი დაბალ და საშუალომთიან ზონებში (500-2000 მეტრი), სადაც კონცენტრირებულია სამთო-კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების უდიდესი ნაწილი. საშუალომთიანი ზონის (1500-2000 მეტრი) ზემოწელი ხასიათდება რბილი ზამთრით, ძლიერი და ხანგრძლივი თოვლის საბურველით, ზომიერად გრილი ზამთრით, მზის ნათების დიდი ხანგრძლივობით. ქვემო ზონებისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელში საკურორტო მიზნებისათვის გამოიყენება მხოლოდ გარკვეული ტერიტორიები. დასავლეთ საქართველოს კურორტებიდან ცნობილია – შოვი, ბახმარო, ავადხარა; ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ბაკურიანი და გუდაური.

საქართველოს მთიანი ზონა გამოირჩევა ულამაზესი ლანდშაფტებით, ჯანმრთელი ჰავითა და მრავალრიცხოვანი წყაროებით. მთის ჰავის დადებითი სასარგებლო სამკურნალო თვისებები - სუფთა ჰაერი, მზის (მათ შორის ულტრაიისფერი) რადიაციის ინტენსივობა, რის გამოც იგი უფრო აქტიური ხდება, ზაფხულში ზომიერი ტემპერატურა (დაბლობ ზონასთან შედარებით) - ასევე ხელს უწყობს დასვენებას. ბორჯომ-ბაკურიანის რეკრეაციული რაიონი მთის ტიპის მრავალფუნქციურ არეალს წარმოადგენს. იგი რესპუბლიკაში ერთ-ერთი უმთავრესი რაიონია; თავმოყრილია მთელი ქვეყნის სანიტარულ-კულტურული დაწესებულებების საწოლების ფონდის 15%-მდე.

ბაკურიანი საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ცნობილი სამთო-კლიმატური კურორტი და საერთაშორისო მნიშვნელობის სამთო-სათხილამურო ცენტრია. ყოველწლიურად აქ ათეულ ათასობით ადამიანი ჩამოდის, ქართველიც და უცხოელიც, რათა დაისვენონ, ისიამოვნონ თხილამურებითა და სნოუბორდით სრიალით, დატკბნენ კავკასიონის ულამაზესი ხედებით, მოიარონ წიწვიანი ტყით დაფარული მიდამოები, დალაშქრონ მარშრუტები ახლომდებარე სოფლებსა და წყაროებამდე, როგორც ფეხით, ასევე ცხენით, ველოსიპედით, თოვლმავლით ან კვადროციკლით. იგი მისი უნიკალური მდებარეობით, ზღაპრული ბუნებით, არაჩვეულებრივი კლიმატითა და შესანიშნავი სათხილამურო ტრასებით უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მთელი წლის განმავლობაში.

ბაკურიანი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ბაკურიანის წყლის (გუჯარეთის წყლის შენაკადი) ნაპირას, იგი განლაგებულია ზღვის დონიდან 1700 მეტრზე, ხოლო ბორჯომიდან 30კმ. დაშორებით და მთებითაა გარშემორტყმული, რომელთა ფერდობებზე შეფენილია წიწვოვანი ტყეები. ტყეების ზემოთ მდებარეობს ალპური მდელოები. თემის ცენტრი (სოფლები: დიდი მიტარბი, პატარა მიტარბი, პატარა ცემი, საკოჭავი). დაბის სტატუსი მიენიჭა 1926 წელს. ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს 3000 ადამიანს.

ბაკურიანი გაშლილია ე.წ. ბაკურიანის ქვაბულის ძირზე, რომელიც ვულკან მუხერიდან ამოფრქვეული ლავით არის აგებული. ბაკურიანი ერთ-ერთი ულამაზესია მსოფლიოს სამთო კურორტებს შორის. აქ ჯერ კიდევ 1932 წელს გაიხსნა პირველი სათხილამურო ბაზა, ხოლო 1970-1980 წლებში ბაკურიანი იყო საბჭოთა კავშირის სამთო-სათხილამურო ოლიმპიური ნაკრების საწვრთნელი ბაზა. 2005 წელს ბაკურიანი წარდგენილი იყო 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ერთ-ერთ კანდიდატად. ბაკურიანიდან კოხტაგორის მთაზე (1,3 კმ) და ცხრაწყაროს უღელტეხილზე (3,5 კმ) გაყვანილია საბაგირო გზები, აგებულია სათხილამურო ტრამპლინები. დაბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენებულია ბაკურიანის ბოტანიკური ბაღი, რომელიც 1910 წელს დაარსდა და იგი მაღალმთიანი კავკასიის ალპურ მცენარეთა სრულ უმრავლესობას წარმოადგენს. ბაკურიანის ლოკალურ კომპლექსს გააჩნია ორმაგი ფუნქცია: ზაფხულში მთის კლიმატური კურორტის, ხოლო ზამთარში ემატება უმსხვილესი სამთო სათხილამურო ცენტრის ფუნქცია. უნიკალური კლიმატური პირობების გამო ტურისტებს იღებს წლის ნებისმიერ დროს. საციგურაო ტრასის სიმაღლე 1800-2850მ. საციგურაო ტრასის სიგრძე 10 კმ. ბაკურიანში აღმოჩენილია მეგალითური კულტურის ნაშთი, შემორჩენილია ადრინდელი ფეოდალური ხანის საკულტო ნაგებობა „პანტნარის ტაძარი“. კურორტის ჰავის თავისებურება განპირობებულია მისი სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობით, მთის შედარებით მაღლობ ნაწილში. კლიმატია მაღალი მთის, მშრალი, თანაბარი ტემპერატურით, მზის მდიდარი ულტრაიისფერი რადიაციით. ჰავა ზღვის ნოტიოდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურისაკენ გარდამავალია, ზამთარი - ცივი, თოვლიანი, ზაფხული - ხანგრძლივი. საშუალო წლიური ტემპერატურა 4,3 °C, იანვრისა 7,2 °C, აგვისტოსი 15 °C. ნალექები 734 მმ წელიწადში. თოვლის საფარი დევს 4-5 თვე, (64 სმ სისქის) დეკემბრის დასაწყისიდან მარტის ბოლომდე. მზის ხანგრძლივი ნათება (2052 სთ წელიწადში) და ულტრაიისფერი სხივების მაღალი რადიაცია, ასევე ლანდშაფტის თავისებურებები ქმნის ხელსაყრელ პირობებს სასუნთქი მილების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებების, ფუნქციონალური ნევროზების, ქრონიკული მალარიის, სისხლნაკლულობის, ასევე ბრონქული ასთმით დაავადებულთა, ლიმფადენტისა და სისხლნაკლებობის სამკურნალოდ. კურორტის ჰავის თავისებურება გამოიყენება, აგრეთვე, გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად.

XIX საუკუნეში, ბორჯომის მინერალური წყალი, თავისი უნიკალური სამკურნალო თვისებების გამო ყურადღების ცენტრში მოექცა, რამაც ბორჯომის ხეობის მიმართ დიდი ინტერესი გამოიწვია. 1871 წელს ბორჯომის ხეობა რუსეთის მეფე ალექსანდრე II-მ თავის ძმას, მიხაილ რომანოვს უბოძა, რომლის მმართველობის დროს ხეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ხეობაში მოიზიდეს ინვესტიციები, აშენდა მინერალური წყლის ჩამოსასხმელი საწარმო, დასასვენებელი სახლები და რკინიგზა, რომანოვის მმართველობის დროს (1898-1901) გაიყვანეს ბორჯომ-ბაკურიანის ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზაც. სწორედ ის, „გუგული ("კუკუშკა") მატარებლის“ სახელით ცნობილი რკინიგზა, ბაკურიანის ახალი ცხოვრების დასაწყისის ძირითადი მიზეზი ხდება. ბაკურიანში რკინიგზის არსებობამ, 1902-1910 წლებში, კოხტაგორის ფერდზე, როლოვისა და ფომინის ხელმძღვანელობით, მაღალი მთის ბოტანიკური ბაღის შენება გააადვილა. ბოტანიკური ბაღის შენება და მისი სტუმართმოყვარე ხელმძღვანელი კოზლოვსკი აქ ჩამოსული დამწყები მოთხილამურეების ხელშემწყობნი ხდებიან.

ევროპაში სათხილამურო სპორტის ბუმი იყო და საქართველოში ახალჩამოსული გიორგი ნიკოლაძე, თავის მეგობრებთან ერთად სათხილამურო სპორტის პოპულარიზაციაზე ოცნებას იწყებს. იგი პირველია, რომელსაც ბაკურიანში ქართველი მოთხილამურეები ჩამოჰყავს.

1934 წელს პტეს-მა (პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება) იჯარით აიღო შემდგომში ბავშვთა სანატორიუმის შენობა და იქ სამთო-სათხილამურო სკოლა და ზამთრის ფიზკულტურის სახლი დააარსა. 1935 წელი ბაკურიანის, როგორც სათხილამურო ცენტრის, დაბადების წელია. 1935 წლის 6 იანვარს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სამთო-სათხილამურო სკოლა და ფიზკულტურის სახლი. ეს მოვლენა იმდროინდელმა პრესამ ვრცლად გააშუქა. სკოლისა და სახლის უფროსი გოგი ბაქრაძე გახდა. ამავე წელს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ნაკრებიც შემდეგი შემადგენლობით: მაყაშვილი, გელაძე, მიქაბერიძე, კოსმაჩევსკი, ფურცელაძე, გვალია, მოლოვიჩკო, ბოიკო, სმირნოვი, სელეზნიოვა. რუსი მოთხილამურეები ბაკურიანის ჰავითა და მრავალფეროვნებით მოიხიბლნენ. მათ ბაკურიანს "საბჭოთა სათხილამურო სპორტის დედაქალაქი" შეარქვეს. ამავე პერიოდის პრესაში უწოდეს მას "საბჭოთა დავოსიც". 1950 წელს აქ აშენდა ჯერ 45, ხოლო შემდეგ – 75 მეტრიანი ტრამპლინი, რამაც უფრო მოიზიდა სათხილამურო სპორტის მოყვარულები.

1954 წელს ბაკურიანში დაიდგა საბჭოთა კავშირში პირველი საბუქსირო გზა. დღევანდელი გადასახედიდან დაუჯერებელია, მაგრამ ამ წლამდე კოხტაგორის წვერზე მოთხილამურენი ფეხით ადიოდნენ და ტრასასაც ფეხით ტკეპნიდნენ. 1960 წელს დასრულდა ბაკურიანის ელექტროფიცირება. 90-იანი წლების დასაწყისში ბაკურიანი ცარიელდება, ქვეყანაში არსებული რეალობით (სამოქალაქო ომები, ეთნოკონფლიქტები) სარგებლობენ მავანნი და წლების მანძილზე თაობების მიერ შექმნილი ოცნება თუ

რეალობა – ტურბაზები, დასასვენებელი სახლები, საბუქსირო და საბაგირო გზები და ა.შ.) ნადგურდება, ბაკურიანი დიდ კრიზისს განიცდის.

დღესდღეობით ბაკურიანი მეორედ იბადება: შენდება ახალი სასტუმროები, საბაგირო გზები, სათხილამურო ტრასები, იქმნება ახალი, ოცნების პროექტები და ეს საწინდარია მისი ტურისტული პოტენციალის გაზრდისა. ბაკურიანისა და მთელი საქართველოს საკეთილდღეოდ.

სამთო-სათხილამურო კურორტზე „ბაკურიანში“ ნებისმიერი კონტინგენტის დამსვენებლებისათვის მოიძებნება როგორც დასასვენებელი, ასევე საუკეთესო გასართობი ადგილები, კეთილმოწყობილი სასტუმროები, გასართობი ბარები, რესტორნები, ღამის კლუბები, ბასეინები, ყინულის მოედნები და მრავალი სხვა, ხოლო აზარტული თამაშების მოყვარულთათვის ფუნქციონირებს კაზინო. ასევე ექსტრემალებისათვის კვადროციკლების და ბურანების გამოყენებით ეწყობა შეჯიბრებები სხვადასხვა დისტანციაზე. დაბა ბაკურიანიდან 13 კმ-ზე მდებარეობს უღელტეხილი „ცხრაწყარო“, საიდანაც ციგურებით დაშვება ითვლება საპატიო საქმედ და დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებს შორის. ბაკურიანის ნებისმიერი ადგილის გადასახედიდან თქვენს თვალწინ იშლება ბუნების ულამაზესი პანორამა, კავკასიის ქედი.

ბაკურიანს დიდი რაოდენობით ტურისტი სტუმრობს. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის უფროსი თანაშემწის განცხადებით, დამსვენებელთა დიდი ნაწილი აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და უკრაინიდანაა. ექსპერტების ინფორმაციით, ტურისტები ჩამოვიდნენ ბალტიისპირეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტშიც აცხადებენ, რომ წელს უცხოელი ტურისტების რაოდენობა 20%-ით გაიზრდება, თუმცა რა რაოდენობის ტურისტი იქნება სამთო სათხილამურო სეზონზე, ზუსტი მონაცემები საკურორტო სეზონის დასრულების შემდეგ გაირკვევა. ბაკურიანი, საშუალოდ, 40 ათას დამსვენებელზეა გათვლილი. საქართველოში ზამთრის სეზონზე, დაახლოებით, 200 ათასი ტურისტი ისვენებს, აქედან 15-20 ათასი უცხოელია.

ბაკურიანში ყველაზე დიდი მოთხოვნა საოჯახო სასტუმროებზეა. სასტუმრო ''ორბის" მენეჯერი კოტე სირბილაძე ამბობს, რომ შეთავაზებულ სერვისში სამჯერადი კვებით ერთი დამსვენებელი 35 დოლარს იხდის: „სასტუმრო სრული დატვირთვით მუშაობს. ფასები იწყება 35 დოლარიდან -160 დოლარამდე. ეს სერვისზე და სასტუმროს მდებარეობაზეა დამოკიდებული."

სასტუმრო-საცხოვრებელ კომპლექს "მგზავრები ბაკურიანს" მიმდინარე წელს ტურისტების რაოდენობა დაახლოებით 40 პროცენტით გაეზარდა. როგორც „კომერსანტს“ სასტუმროს მენეჯმენტში განუცხადეს, ამის მიზეზი ის მომსახურებებია, რომელიც კომპლექსს წელს დაემატა. საუბარია ყინულის მოედანსა და სათხილამურო ტრასაზე. როგორც მენეჯმენტში აცხადებენ, წელს ახალი წლის პერიოდში ტურისტები ძირითადად უცხოეთიდან იყვნენ, განსაკუთრებით ჭარბობდნენ უკრაინელები. მათივე განცხადებით, ამ ეტაპისათვის ტურისტების უმეტესი ნაწილი ადგილობრივია. სასტუმრო "მგზავრები ბაკურიანი" მომხმარებელს, როგორც თავად აცხადებენ, დასვენებისთვის საუკეთესო პირობებს სთავაზობს, რომელშიც შედის საცურაო აუზი, საუნა. ბავშვთა გასართობი ცენტრი და დილა საუზმით. ფასი ერთ პერსონაზე მოიცავს 50 ლარს. სასტუმროს ტერიტორიაზე მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს დამატებით ფასიანი სერვისებით: რესტორანი „მგზავრული“, პიცა ბარი, სწრაფი კვების ობიექტი, ყინულის მოედანი, სათხილამურო ტრასა.

ყურადღებას იქცევს „SPA კრისტალი“ სასტუმრო - პირველი 4 ვარსკვლავიანი სტანდარტების სასტუმრო და ერთადერთი სპა ცენტრი ბაკურიანში, 2013 წლის იანვარში გაიხსნა. სასტუმროს მდიდარ ინფრასტრუქტურას, ევროპული კომფორტის ატმოსფეროს, მომსახურების მაღალ დონეს - ბაკურიანის კურორტი მასპინძლობის სხვა სიმაღლეზე აჰყავს. სასტუმრო „კრისტალი“ დიდველის სათხილამურო ტრასიდან რამოდენიმე წუთის სავალზე მდებარეობს სოფლის დასახლებიდან მოშორებით (ცენტრიდან 2 კმ) და გარშემორტყმულია ტყეებითა და მთის ფერდობებით - ეს ბაკურიანის ერთ-ერთი ულამაზესი ხეობაა. სასტუმროს გარს აკრავს 4000 კვ.მ. კეთილმოწყობილი დაცული ტერიტორია საბავშვო სათამაშო მოედნებით და პარკინგით. SPA ცენტრი ფინური და თურქული საუნებით, სატრენაჟორო დარბაზი, ბარი, აუზი, ბავშვთა ოთახი, თხილამურების გასაქირავებელი პუნქტი, თხილამურების საცავი, საკონფერენციო დარბაზი 80 პერსონაზე, ავტოსადგომი, საბავშვო მოედნები.

ბაკურიანი, როგორც წესი, დამსვენებლების ნაკლებობას არ უჩივის. 2013 წელს საახალწლოდ იქ 12 ათასამდე ტურისტი ჩავიდა. ბაკურიანის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ამ ეტაპზე კურორტზე 9-10 ათასამდე ტურისტი ისვენებს.

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. დაახლოებით 58% საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან ტურიზმზე მოდის. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, 2013 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 1.72 მილიარდ დოლარს (ზრდა

22%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0.29 მილიარდი დოლარი შეადგინა (ზრდა 15%). შედეგად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 1.43 მილიარდ დოლარს (ზრდა 23%).

მიმდინარე წლის ოქტომბერში კვლევა ჩატარდა, რომელიც შეეხება საკურორტო ზონებში უძრავი ქონების ღირებულებას. კვლევის ფარგლებში შერჩეული იქნა სამი საკურორტო ზონა ბათუმი, ბაკურიანი და გუდაური. მიერ წარმოდგენილი კვლევა მოიცავდა დასახლებულ საკურორტო ზონებში როგორც ახალი ისე ე.წ. მეორადი ბინების ფასებს. კვლევის ფარგლებში დათვლილი იქნა უძრავ ქონებაზე ფასები კვადრატული მეტრის ღირებულების მიხედვით. კვლევის შედეგების თანახმად ერთი კვადრატული მეტრის ფართის უძრავი ქონების ღირებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია ბაკურიანში - 920 აშშ დოლარი, შემდგომ ადგილს იკავებს გუდაური - 892 აშშ დოლარი. ერთი კვადრატული მეტრ უძრავ ქონებაზე კვლევის ფარგლებში შერჩეული საკურორტო ზონებიდან ყველაზე დაბალი ფასი დაფიქსირებულია ბათუმში - 848 აშშ დოლარი.

მართალია ინფრასტრუქტურის განვითარება, ძალიან მნიშვნელოვანია, არა მარტო ტურისტების მოსაზიდად, არამედ ქვეყნის განვითარებისათვისაც, მაგრამ ტურისტული დანიშნულების ობიექტმა არ უნდა დაკარგოს ძველი იერსახე და რაც მთავარია ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი სამკურნალო რესურსი. უდავოა, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის უნიკალურ ბუნებრივ რესურსებს. საქართველოს კურორტები და საკურორტო ადგილები ყოველთვის იზიდავდა მრავალრიცხოვან ტურისტსა და დამსვენებელს. მათ დღესაც უნდა შეასრულონ გადამწყვეტი როლი ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის წამყვან დარგად გადაქცევის საქმეში.

ამრიგად, მზის ხანგრძლივი ნათება, მაღალი მთის კლიმატი, ზომიერი თოვლი, სხვადასხვა სირთულის 12 სათხილამურო ტრასა, ულამაზესი ხედები, განთქმული ქართული სამზარეულო და ოჯახური სიმყუდროვე – დაუვიწყარს ხდის ბაკურიანის კურორტზე გატარებულ ზამთარს.

ლიტერატურა:

1. კ. არაბული, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, 2006.
2. ნ. სააკაშვილი, თ. ჩილინგარიშვილი, საქართველო - ტურიზმის და კურორტების ქვეყანა, თბილისი, 2011.
3. ლ. ქართველიშვილი, რეკრეალოგიისა და კურორტოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2011.
4. მ. მეტრეველი, ტურიზმი და გარემოს დაცვა, თბ., 2008.
5. www. wikipedia.com

რეკლამის როლი და სპეციფიკა ტურისტულ ბიზნესში

მონიკა ცინცაძე, ანი ტიელიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

ტურიზმი - ადამიანის ნებაყოფლობითი, თავისუფალი, დროებითი გადაადგილება საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების და სხვა მიზნით. ხოლო ტურისტი - პირი, რომელიც გადაადგილდება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების და სხვა მიზნით.

ყველამ კარგად იცის, თუ რა მთავარ როლს ასრულებს რეკლამა ადამიანის განწყობაზე. ყველა პროდუქტს, კომპანიასა თუ ქვეყანას აქვს თავისი რეკლამა. რეკლამა ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „წამოვიყვირებ“. ეს არის ინფორმაცია, რომელსაც ავრცელებენ ნებისმიერი ხერხებით, ფორმით, მეთოდით და რომელიც მიმართულია საზოგადოებისკენ ყურადღების მისაქცევად.

სწორედ რეკლამამ განაპირობა ზოგიერთი ქვეყნის ტურისტული განვითარება, ტურისტების მატება და ა.შ. რეკლამის შემქმნელთა მთავარი მიზანი ხომ ისაა, ყველაზე უარესიც კი საუკეთესო პროდუქტად წარმოაჩინონ, არა აქვს მნიშვნელობა ეს ნივთია, კომპანიაა თუ პროდუქტი.

დღევანდელ დღეს რეკლამა არა მარტო საინფორმაციო როლს და ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს, არამედ წარმოადგენს საზოგადოების უმნიშვნელოვანეს იდეოლოგიურ ინსტიტუტს, რომელიც მოთხოვნილებების, ღირებულებების და ქცევების ფორმირებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს. რეკლამის ურთიერთკავშირი საზოგადოებასთან და კულტურასთან მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანია. თანამედროვე რეკლამა ინტენსიურად ვითარდება. მას ახასიათებს ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და არა მარტო რეალური, არამედ არარეალური სივრცეების დაპყრობაც. რეკლამა წარმოადგენს მრავალასპექტიან, ეკონომიკურად, სოციალურად და კულტურულად მნიშვნელოვან მოვლენას, რომლის გარეშეც საზოგადოების არსებობა თითქმის წარმოუდგენელია. რეკლამა ტურისტული საწარმოს ყველაზე მოქმედი ინსტრუმენტია, იმისათვის რათა მიიტანოს ინფორმაცია მის კლიენტებამდე, ყურადღება მიიქციოს შემოთავაზებულ მომსახურებაზე, შექმნას თავისი საწარმოსათვის სასურველი იმიჯი, აჩვენოს მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამიტომ ეფექტური სარეკლამო საქმიანობა ფირმის მიზნის მისაღწევად უმთავრესი საშუალებაა. როგორც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს ტურიზმის სფერო რეკლამის ერთ -ერთი უდიდესი მომხმარებელია. საზღვარგარეთის ტურისტული ფირმების მუშაობის გამოცდილება აჩვენებს, რომ მათი საქმიანობიდან მიღებული მოგების 5-6 პროცენტი რეკლამაზე იხარჯება.

ტურიზმის სფეროში რეკლამის თავისებურებას განაპირობებს:

- ტურიზმის და ტურისტული პროდუქტის, ასევე თვითრეკლამის სპეციფიკურობა
- რეკლამის არაპირადული ხასიათი - პოტენციურ კლიენტთან კომუნიკაციური სიგნალი მიდის არა პირადად ფირმის თანამშრომლების, არამედ სხვა ტიპის შუამავლებისაგან (მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პროსპექტები, კატალოგები, აფიშები და სხვა სარეკლამო მასალები);
- რეკლამის ცალმხრივი მიმართულება - რეკლამას ფაქტიურად გააჩნია მხოლოდ ერთი მიმართულება, დამკვეთიდან - ადრესატამდე. რეკლამის შედეგი გამოიხატება პოტენციური კლიენტის საქციელში;
- რეკლამის საზოგადოებრივი ხასიათი - ტურისტული რეკლამა ატარებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რომ მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია იყოს უტყუარი და ზუსტი;
- ინფორმაციული გაჯერება - ტურისტულ პროდუქტს, რომელსაც ტრადიციული საქონლისაგან განსხვავებით არა აქვს მატერიალური ფორმა და მუდმივი ხარისხი, ესაჭიროება ისეთი საქმიანობის განვითარება, როგორიც არის პროპაგანდა და ინფორმაციულობა;

თანდათან გართულებული სარეკლამო საქმიანობა ტურიზმში მრავალფეროვან სარეკლამო მეთოდებს იყენებს:

რეკლამა პრესაში - მას მიეკუთვნება რეკლამა პერიოდულ გამოცემებში (გაზეთები, ჟურნალები, სპეციალური ჟურნალები, დაიჯესტები). რეკლამა პრესაში ყველაზე ხშირად გამოიყენება. მას მიმართავენ როგორც მსხვილი ტურისტული საწარმოები, ასევე ახლად შექმნილი ფირმები. პრესაში რეკლამის დანახარჯები ტურისტული ფირმის სარეკლამო ბიუჯეტის 85 პროცენტს შეადგენს. რეკლამა პრესაში ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ტურისტული პროდუქტის რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირდაპირი სარეკლამო განცხადებები კონკრეტული ფირმის პროდუქციის შესახებ, არამედ მიმოხილვითი ხასიათის პუბლიკაციები: სხვადასხვა სტატიები, რეპორტაჟები, რომელთაც ზოგჯერ პირდაპირი და ზოგჯერ ირიბი რეკლამის სახე აქვთ.

ბუკლეტები - სპეციალური გამოცემები, რომელიც ეძღვნება ერთ ფირმას ან მის პროდუქციას. ბუკლეტებში სარეკლამო განცხადებების გვერდით მიღებულია ფოტოების და ფირმის პირველი პირების ბიოგრაფიული მონაცემების განთავსება, ფირმის სპონსორული და საქველმოქმედო აქციების დასახელება და საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობა. ბუკლეტები ინფორმაციის მომხმარებლამდე მიტანის ძალიან პრესტიჟული ხერხია. ბუკლეტებს აუცილებლად ჩუქნიან მოქალაქეებს ფირმის ნებისმიერი მონახულებისას, პრეზენტაციებზე, გამოფენებზე ან კონტრაქტის დადებისას.

კატალოგები - ბეჭდური გამოცემები, რომლებიც რეკლამას უწევენ საქონლის და მომსახურების დიდ ჩამონათვალს, რომელთაც ახლავთ მოკლე დახასიათება და ფასი. კატალოგები შეიძლება გავრცელდეს გამოფენებზე, თუმცა ჩვეულებრივ კატალოგები ვრცელდება ტურსააგენტოებსა და ტუროპერატორებს შორის .

აფიშები - დიდი მოცულობის ფერადი სარეკლამო გამოცემები, რომელზეც დიდი ილუსტრაციებია მოცემული და ქუჩებშია გამოკრული. პრაის - ლისტი-ტურების ჩამონათვალი ფასებთან ერთად, ილუსტრაციების გარეშე. კალენდრები, აპლიკაციები, იარლიყები, კალმები, და სხვა წვრილი პროდუქცია გამოიყენება გაყიდვების ადგილზე დასარიგებლად ან სარეკლამო აქციების ჩასატარებლად .

ტურისტული პროდუქტის რეალიზაციისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბეჭდვითი რეკლამა. ტურისტული პროდუქტი, ტურისტული მომსახურება ხელშეუხებელია, მას ვერ ვაჩვენებთ და გავასინჯებთ მომხმარებელს, ამიტომ, ბეჭდვითი პროდუქცია, რომელსაც საჭიროების დროს კვლავ

დაუბრუნდება და თვალს გადაავლებს კლიენტი, ძალზე ეფექტურია. ბეჭდვით რეკლამასაც აქვს თავისი ნაკლი: ბუკლეტებისა და სხვა ბეჭდვითი რეკლამის მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდება რეალურ კლიენტთან, დანარჩენს კითხულობს მხოლოდ პოტენციური, ან სულაც არაპოტენციური კლიენტიც (ლამაზი სურათები ბევრს იზიდავს). თუმცა ეს მდგომარეობა სულაც არ უკარგავს ბეჭდვით რეკლამას თავის მნიშვნელობას. ქართულ რეალობაში ტურისტული ბიზნესი იყენებს ბეჭდვით რეკლამას, თუმცა არა ისეთი ინტენსივობით, როგორც ეს მთელს მსოფლიოშია, ალბათ ეს აიხსნება საქართველოს ტურიზმის ბაზრის თავისებურებებით: საშინაო ტურიზმის განსახორციელებლად ქართველები ნაკლებად ენდობიან სარეკლამო განცხადებებს და ძირითადად ეყრდნობიან საკუთარ ნაცნობ-მეგობრების რეკომენდაციებს. ამიტომ ქართული ტურისტული ფირმები ბუკლეტებსა და საცნობარო მასალას ძირითადად უცხოელი ტურისტებისათვის ბეჭდავენ და ავრცელებენ: საქართველოში საელჩოებისა და სასტუმროების საშუალებით, ხოლო საზღვარგარეთ ტურისტული გამოფენა- ბაზრობების საშუალებით .

ტურისტულ ბიზნესში გამოიყენება აუდიო და ტელე რეკლამის საშუალებები. აუდიო რეკლამებია: რეკლამა რადიოში და ხმოვან კავშირებში (სავაჭრო ცენტრებში, ტრანსპორტში და სხვა). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტელერეკლამა. ტელევიზიაში რეკლამის სხვადასხვა საშუალება არსებობს. მათ შორის ძირითადია: პროგრამების და ფინანსებით გაწეული რეკლამა, ფირმის სარეკლამო რგოლები, ცალკე სარეკლამო განცხადებები. პროგრამის და ფინანსებით გაწეულ რეკლამას რიგი უპირატესობანი გააჩნია, როდესაც ფირმა პროგრამას აფინანსებს, აუდიტორია მას პრესტიჟულ ფირმად თვლის. მაგალითად ტურისტულმა ფირმამ „მოგზაურთა კლუბი“ დააფინანსა გადაცემა „ამტანები“, კერძოდ, გამარჯვებულები დააჯილდოვა ეგვიპტეში მოგზაურობით, რამაც გადაცემის თაყვანისმცემელთა პატივისცემა მოუტანა და შესაბამისად იმოქმედა მისი პროდუქტის - „ტური ეგვიპტეში“ რეალიზაციაზე. ტურისტული კომპანია «N- ტურის» სარეკლამო პრაქტიკაში კი ხშირია მხატვრული ფილმების ჩვენების დაფინანსება.

ტელერეკლამის საკმაოდ გავრცელებული სახეებია სარეკლამო რგოლები და სარეკლამო განცხადებები. მათ ამზადებენ პროფესიული სარეკლამო სააგენტოები ტურისტული ფირმების დაკვეთით. ტურისტული საქმიანობის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე ტურისტული სააგენტო ჩვეულებრივ ვერ ხარჯავს სახსრებს, რომლებიც ბრუნვის 10 პროცენტს აღემატება. ამიტომაც ტურისტული ორგანიზაციების სარეკლამო გზავნილებს უნდა ჰქონდეს დიდი აუდიტორია . ამაში მდგომარეობს ტურისტული რეკლამის სპეციფიკა.

საქართველოში ტურისტული ფირმების უმრავლესობა მარკეტინგულ გამოკვლევებს არ ატარებს, თუმცა იყენებს მარკეტინგული კომპლექსის ისეთ ელემენტს როგორიცაა სტიმულირება. სტიმულირების მეთოდებს შორის კი იყენებენ რეკლამას და გასაღების სტიმულირებას.

საქართველოს ტურისტული ფირმების უმრავლესობა მიმართავს ტელერეკლამას, ასევე რეკლამას გაზეთში, ჟურნალში, დასპონსორებას, ლიფლეტებს, ვებ-გვერდებს, გარე რეკლამას და სხვ.

ტურისტული ფირმების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს დადებითი იმიჯის ფორმირებისაკენ, რადგან ტურიზმის სფეროში იმიჯი გადამწყვეტია. ტურისტული ფირმების საქმიანობის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ტურისტული პროდუქტის/მომსახურების მოხმარების პროცესში, ამიტომ ტურისტები მოგზაურების სააგენტოს მიმართავენ იმიჯიდან გამომდინარე. იმიჯის ფორმირებისათვის კი საჭიროა არა მხოლოდ ეფექტური სარეკლამო კამპანიის წარმოება, არამედ ფირმის მიერ გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხი და საიმედოობა.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ რეკლამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის. ამიტომ ქართულმა ტურისტულმა კომპანიებმა არ უნდა დაზოგონ თანხები, რათა დროულად და ეფექტურად მოახერხონ თავისი პროდუქტის რეკლამირება და წინ წაწევა.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. მეტრეველი მ., „ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები“, თბ., 2008.
2. მეტრეველი მ., ტურიზმის ბიზნესი, თბ., 2011.
3. შუბლაძე გ., დოლიკაშვილი ლ. ,,ტურიზმის მარკეტინგი'', 2009.
4. http://ru.wikipedia.org/wiki/Туризм
5. http://www.answers.com/topic/tourism
6. http://en.wikipedia.org/wiki/Ecotourism

პერსონალური მონაცემების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში (შედარებითი ანალიზი)

ნინო აკოფაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ გაბარაევი**, მოწვეული სპეციალისტი

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ქართველი ხალხის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. დღეს-დღეობით მწვავედ დგას საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად არის დაცული „ადამიანი", როგორც სამართლის სუბიექტი.

ელექტრო კომუნიკაციების ფართო გავრცელებამ და განვითარებამ ბოლო წლებში კიდევ უფრო წინ წამოწია აღნიშნული საკითხი და გახდა საზოგადოების, მედიის და პოლიტიკოსების მხრიდან მწვავე განხილვის საგანი, რამეთუ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდგომ დაიწყო მუშაობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის სრულყოფის კუთხით. პირადი ინფორმაციისა თუ პიროვნების ელექტრონული მონაცემების დაცვის საკითხთან მიმართებაში აუცილებელია, რომ ხელისუფლებას ჰქონდეს გამოკვეთილი პოლიტიკა. ჯერ კიდევ 1994 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გატარდა საკანონმდებლო რეფორმა, რომლის შემდეგაც პიროვნების პერსონალურ მონაცემზე წვდომა გამკაცრდა. ეს არ იყო ყოვლისმომცველი რეფორმა და მოიცავდა მხოლოდ შეზღუდულ საკითხებს, თუმცა კარგად წარმოაჩენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობას.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება აღიარებულია როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს ადამიანის პირადი ცხოვრების, საქმიანობის ადგილის, ასევე პირადი ჩანაწერების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრის და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუვალობას, ხოლო ამავე მუხლში გაკეთებულია დათქმა იმის თაობაზე, რომ ეს არ არის აბსოლუტური უფლება და მისი შეზღუდვა დაიშვება სასამართლო გადაწყვეტილებით ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

სამართლებრივ სახელმწიფოში კანონმდებლობით დადგენილია, თუ როდისაა პერსონალური მონაცემი ღია და როდის – დახურული, ამასთან, რომელი პრინციპების დაცვით წარმოებს ამ მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გავრცელება, რათა ადამიანის პირადი ცხოვრება თუ საქმიანობა დაცული იქნას არამართლზომიერი ჩარევისაგან.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი და საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სამოქმედო უფლებამოსილებათა ზუსტი ფორმულირება და გარკვეული შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხელისუფლების ბოროტად გამოყენება[1].

1. პერსონალური მონაცემების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოში

პირადი ცხოვრების უფლების ჩამოყალიბების პერიოდში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ხშირად ასოცირდებოდა ინდივიდის იზოლირებულ სფეროსთან, რაც გამოხატულებას პოვებდა გარკვეულ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებში: სახლის, ოჯახის და შეტყობინებების საიდუმლოების დაცვაში. ამგვარი სტრუქტურების რიცხვი თანდათან გაიზარდა (ტელეკომუნიკაციები, პერსონალური მონაცემების დაცვა, ა.შ). ამ ინსტიტუციების დაცვას ისეთი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის იდეა, რომელიც მის საფუძველს წარმოადგენდა, ხშირად უკანა პლანზე გადადიოდა[2].

---

[1] იხ. ვოლფგანგ გაული, კონსტიტუციის მიღება და შემუშავება საქართველოში, 1993-1995. Tb. 2002, გვ. 197.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, 2009 წელი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიზანი უკავშირდება მასში ჩამოთვლილი სიკეთის ხელშეუხებლობის დაცვას. რაც შეეხება ზოგადად „პირადი ცხოვრების“ ხსენებას, იგი ემსახურება იმ ინტერესის ხაზგასმას, რის გამოც პირადი მიმოწერის, სახლის ან სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა დაცულია.

საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი ყოველთვის ფართო განმარტების საგანი იყო და არის, თუმცა საკითხავია, რამდენად ფართოდ უნდა განიმარტოს ეს ნორმა. მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი არ მოიცავს პირადი ცხოვრების უფლების ყველა ასპექტს, და, მათ შორის, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის საკითხს. ოჯახურ ურთიერთობებს, ისვე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე–16 მუხლი საგანგებოდ ითვალისწინებს თავისუფალი განვითარების უფლებას, ხოლო 36–ე მუხლი განამტკიცებს სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას.

პერსონალურ მონაცემთა შესახებ კონკრეტულ დათქმას აკეთებს საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომლის შესაბამისად პერსონალური მონაცემად მიიჩნევა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ამასთან, ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, თუ შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

ფიზიკური პირის ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან აშკარა ხდება, რომ პერსონალური მონაცემის გავლენის სფეროში ექცევა ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო, მათ შორის, მისი პირადი ცხოვრების დეტალური საკითხებიც. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ცალკე გამოჰყოფს „განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს“, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა[1].

კანონი გვაძლევს ჩამონათვალს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებები[2]. აღნიშნულის თანახმად საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებები, თუ ამ უფლებების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

1. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებს;
2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
3. დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას;
4. ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს);
5. მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

აღნიშნულთან მიმართებაში მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად ჯეროვნად ხორციელდება კონტროლი პერსონალურ მონაცემთა უფლებების შეზღუდვის კანონიერებაზე; საქართველოს კანონმდებლობით რა საფუძვლებია მოცემული შეზღუდვის წინაპირობად; რამდენად შეესაბამება ევროსტანდარტებს და რამდენად არის უზრუნველყოფილი პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის შეზღუდვის მაკონტროლებელის დამოუკიდებლობა.

პერსონალური მონაცემების შეზღუდვის საფუძვლები საზღვარგარეთის ქვეყნებში

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს არცერთ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში პერსონალური მონაცემები არ მიიჩნევა აბსოლუტურად დაცულ სამართლებრივ სიკეთედ და გათვალისწინებულია მისი შეზღუდვის საფუძვლები. ამასთან, აღნიშნული საფუძვლები ძირითადად ერთი და იგივე შინაარსისაა.

---

[1] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მ.2, პ.“ზ“.
[2] იქვე, მ. 24

საფრანგეთი

საფრანგეთში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დარეგულირებულია 1978 წლის აქტით მონაცემთა დამუშავების, მონაცემთა ფაილების და ინდივიდთა თავისუფლების შესახებ. აღნიშნული აქტის პირველივე მუხლი ამკვიდრებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნას ყოველი მოქალაქის პირადი ცხოვრების განვითარების უფლება და არ უნდა დაირღვეს ადამიანის პიროვნების, პირადი ცხოვრების უფლება და თავისუფლება.

აღნიშნული აქტის თანახმად პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს ინფორმაცია ფიზიკურ პირზე, რომელიც იდენტიფიცირებულია ან შესაძლებელია იქნეს იდენტიფიცირებული[1].

ამასთან, საფრანგეთში აკრძალულია ისეთი სახის პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება პირის რასობრივ ან ეთნიკურ საწყისებს, პოლიტიკურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ შეხედულებებს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სქესობრივ ცხოვრებას. თუმცა ეს აკრძალვა არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც:

1. არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
2. საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლის დაცვას და მონაცემთა სუბიექტს არ შეუძლია თანხმობის მიცემა ქმედუნარობის ან ფიზიკური ნაკლის გამო;
3. მონაცემის მოპოვება ხდება ასოციაციის ან სხვა არა მოგებაზე ორიენტირებული რელიგიური, ფილოსოფიური, პოლიტიკური ან სავაჭრო კავშირის მიერ (მხოლოდ ორგანიზაციის წევრთან მიმართებაში);
4. საქმე ეხება ისეთ მონაცემს, რომელიც სუბიექტმა საჯარო გახადა და ა.შ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონით განსაზღვრულია სასამართლოს აქტიური როლი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში.

გერმანია

გერმანიაში პერსონალურ მონაცემად მიიჩნევა ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია, როგორც პირად, ისე მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზე გაყრდნობითაც შესაძლებელია მონაცემების სუბიექტის იდენტიფიკაცია[2].

ისევე როგორც საფრანგეთში, გერმანიაშიც 2001 წლის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ფედერალური აქტით განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემად არის მიჩნეული ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პიროვნების რასობრივი ან ეთნიკური საწყისები, პოლიტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური შეხედულებები, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სქესობრივი ცხოვრება.

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში[3]:

1. საჯარო ინტერესის დასაცავად;
2. მონაცემთა სუბიექტის თანხმობით;
3. სახელმწიფო უშიშროებისთვის საფრთხის ასაცილებლად და ა.შ.

ინგლისი

ინგლისში პერსონალური მონაცემი ეწოდება ყველა ტიპის ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ინდივიდის იდენტიფიკაცია. ამასთან, პერსონალურ მონაცემად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი დახასიათება ან აზრი, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას. აგრეთვე განსაზღვრულია ისეთი მონაცემები, რომელიც განეკუთვნება ე.წ. მგრძნობიარე მონაცემებს და მისი დამუშავება დაუშვებელია კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა. აღნიშნულ მონაცემებს განეკუთვნება პიროვნების რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობა, მისი პოლიტიკური შეხედულება და რელიგიური მრწამსი, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილება, ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა, სქესობრივი ცხოვრება და მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია[4]. ამასთან, აღნიშნული პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

---

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა (2007 წ.), „პერსონალური მონაცემების დაცვა. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი“, გვ. 48

[2] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა (2007 წ.), „პერსონალური მონაცემების დაცვა. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი“, გვ. 66

[3] იქვე. გვ. 64

[4] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა (2007 წ.), „პერსონალური მონაცემების დაცვა. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი“, გვ. 76

1. მონაცემთა სუბიექტმა გამოხატა აშკარა თანხმობა;
2. დამუშავება აუცილებელია იმ უფლებებისა და ვალდებულებების განსახორციელებლად, რომელიც კანონით მინიჭებული აქვს მონაცემის მაკონტროლებელს;
3. დამუშავება აუცილებელია მონაცემების სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესის დასაცავად, მიუხედავად მონაცემების სუბიექტის თანხმობისა, რომლის მოპოვებაც შეუძლებელია;
4. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია სამართლებრივი მიზნებიდან გამომდინარე, ასევე სამართლებრივი რჩევის მიღების, სამართლებრივი უფლების განხორციელების და დაცვის მიზნით და. ა.შ.

როგორც ვხედავთ ევროპის წამყვან სახელმწიფოებში კანონმდებლობით დეტალურად არის განსაზღვრული ის შემთხვევები, თუ როდის არის დასაშვები პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა.

პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის საფუძველს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით წარმოადგენს დანაშაულის გამოვლენის, გამოძიებისა და აღკვეთის მიზანი, რაც ასევე მოცემულია მაგალითად საფრანგეთში მონაცემთა კონტროლიორი უშუალოდ ერთვება პერსონალური მონაცემების შეზღუდვის პროცესში და მას უფლება აქვს გააპროტესტოს აშკარად გადამეტებული შეზღუდვა და მოითხოვოს პროცესის შეწყვეტა ან მოითხოვოს დეტალური დასაბუთება დაწესებულებიდან. საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორს აქვს უფლება:

1. მოითხოვოს დარღვევისა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების, მის მიერ მითითებული ფორმით და მითითებულ ვადაში გამოსწორება;
2. მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებით ან სამუდამოდ შეწყვეტა;
3. მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, განადგურება ან დეპერსონალიზაცია;
4. მოითხოვოს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა;
5. წერილობით მისცეს რჩევები და რეკომენდაციები მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს.

თუმცა ევროპაში მონაცემთა დაცვის მაკონტროლებლის მოცემული ფუნქციები განმტკიცებულია საკანონმდებლო დონზე, ხოლო საქართველოში რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ზემოთ მიმოვიხილეთ საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპის კანონმდებლობას შორის ფორმალური შესაბამისობა პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვებთან, რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ საქართველოში მოცემული საფუძვლები არის შესაბამისი ევრო-სტანდარტებთან, თუმცა მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როგორ ხდება ამ საფუძვლების გამოყენება პრაქტიკაში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

1. სამართლიანობა და კანონიერება, პიროვნების ღირსების დაცვა;
2. მონაცემების დამუშავება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის;
3. მონაცემთა დამუშავება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი და ა.შ.;

საკითხთან მიმართებაში, მოცემულ ეტაპზე საქართველოსათვის აქტუალურ თემას წარმოადგენს ის, თუ რამდენად აქვს სახელმწიფოს უფლება, განახორციელოს პიროვნების მობილური თუ სხვა ტექნიკური საშუალების კონტროლი.

როგორც ზემოთ აღინიშნა სახელმწიფოს აქვს უფლება შესაბამისი საფუძვლის არსებობისას შეზღუდოს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებები, თუმცა ეს შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს ლეგიტიმურ საჯარო მიზანს და დაცული უნდა იყოს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა. დაუშვებელია ხელისუფლებამ პოლიტიკური ან სხვა არასახელმწიფოებრივი ინტერესის გავლენით შეზღუდოს ადამიანის უფლება.

ჩვენ გვინახავს გასულ წლებში ტელევიზიით გაშვებული პირადი სატელეფონო ჩანაწერები, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება იყოს გამართლებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების არსებობის გამო (მაგ.: სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილება და სხვა), მაგრამ ხშირად გვინახავს პოლიტიკოსების ჩანაწერები, სადაც ისინი ერთმანეთს მოიხსენიებენ უშვერი სიტყვებით და არაფერი აქვს საერთო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის საფუძვლებთან.

აშკარა იყო, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით საჭირო იყო მნიშვნელოვანი ცვლილებები, რათა ადამიანებს დაცულად ეგრძნოთ თავი. ამ მიზნით ახალმა ხელისუფლებამ განახორციელა საკანონმდებლო რეფორმები 2014 წლის ოქტომბრის თვეში, ცვლილებებამდე აღნიშნული საკითხი განიხილებოდა საზოგადოების ფართო მასების მიერ, თუმცა აზრის ბოლომდე შეჯერება ვერ მოხდა. საკითხი იდგა შემდეგნაირად: ე.წ. კონტროლის ელექტრონული სისტემა, რომლითაც ხდება სატელეკომუნიკაციო საშუალებების თვალთვალი, მოთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. წლების განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდებოდა ფარული მოსმენები და არ იქნება სიახლე თუ ვიტყვი, რომ საკმაოდ ხშირად ფარული მოსმენა არ ხდებოდა საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით, არამედ მიზნად ისახავდა პოლიტიკოსის დისკრეტიდაციას და სხვა. სწორედ ამიტომ, საზოგადოების ნაწილი მოითხოვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის აღნიშნული ტექნიკის ჩამორთმევას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო წინააღმდეგია, ფარულ ოპერატიულ-საგამოძიებო მოსმენებზე წვდომის ე.წ გასაღები შსს-დან მობილურ ოპერატორებს გადაეცეს. შს სამინისტროს ინიციატივით, „გასაღები" დარჩება შსს-ში, გარე კონტროლის მექანიზმი კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ექნება.

ევროსაბჭოს ექსპერტები კი ფარულ ოპერატიულ-საგამოძიებო მოსმენებზე წვდომის მექანიზმებთან დაკავშირებით ქართულ მხარეს ახალი მოდელის – ე.წ. ორგასაღებიანი სისტემის შემოღებას სთავაზობენ. აღნიშნულ თემაზე მომუშავე ჯგუფს ურჩიეს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ფარული მოსმენა-მიყურადების გასაღები შინაგან საქმეთა სამინისტროს ექნება, კერძო პროვაიდერს ან მონიტორინგის სპეციალურ სამსახურს მეორე გასაღები გადაეცეს. მათი შეფასებით, ამგვარი მექანიზმი უკანონო მოსმენებისგან დაცვას მეტად უზრუნველყოფს.

ამასთან, ე.წ. „გასაღების" ერთ შემთხვევაში სასამართლოსთვის, ხოლო მეორე შემთხვევაში მობილური ოპერატორებისთვის გადაცემა ქმნიდა გარკვეულ სამართლებრივ ნონსენსს, რადგან, კანონით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი არის ზოგადად პროცესის მაკონტროლებელი და დაუშვებელია აღმასრულებელი ხელისუფლების შტოში მოქცეულმა პირმა აკონტროლოს საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ამასთან, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან/და სხვა უფლებამოსილი პირი არ ასრულებს მის მითითებას და შესაბამისად, პროცედურულად სასამართლო ვერ იქნება „გასაღების" მფლობელი, ხოლო, რაც შეეხება მობილურ ოპერატორებს, ასევე დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების განხორციელების აუცილებელ რგოლად იქცეს კერძო სამართლის იურიდიული პირი, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის „რ" პუნქტის შესაბამისად კრიმინალური პოლიცია და გამოძიება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება, ხოლო კერძო სამართლის იურიდიული პირის სავალდებულოდ ჩართვა დაარღვევს კონსტიტუციის ამ მნიშვნელოვან პრინციპს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. კანონის თანახმად მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. გარდა ამისა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინების ერთი ეგზემპლარი და აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოს მიერ სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინების ერთი ეგზემპლარი, განჩინების გამოტანიდან 24 საათში გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს[1].

აღნიშნულთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ის, თუ ვის მიერ და როგორი წესით ინიშნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. არსებობს თუ არა გამართული პროცედურა ობიექტურობის უზრუნველსაყოფად. ხელისუფლების მიზანი უნდა იყოს სწორედ იმ საფუძვლების უზრუნველყოფა, რომ ობიექტურ პირს შეექმნას სამართლიანობის და ობიექტურობის განცდა.

კანონის თანახმად საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კანდიდატურების წარდგენიდან 14 დღის ვადაში 3 წლით ირჩევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. თავისთავად, ის ფაქტი, რომ პარლამენტი ჩართულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დანიშვნაში, არის დადებითი, თუმცა დემოკრატიულობის და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით უმჯობესი იქნებოდა პრემიერის, ე.ი.

[1] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მ.20. პ.3

აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის გამოთიშვა ამ პროცესიდან და აღნიშნული ფუნქციის მინიჭება პრეზიდენტისათვის, უმჯობესია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი დაინიშნოს პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ და პროცესი წარიმართოს საჯარო განხილვების ფონზე.

მაგალითად: ევროპაში პერსონალური მონაცემების დაცვის კონტროლის განმახორციელებელი წევრები ინიშნებიან ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს მიერ ერთობლივად შექმნილი სიებიდან, რომლებიც არის საჯარო და შემდგომში საჯარო განხილვებისა და საპარლამენტო კომიტეტებთან გასაუბრების საფუძველზე მონაცემთა დაცვის ხელმძღვანელი და მისი თანაშემწე ინიშნებიან თანამდებობაზე ევროპის პარლამენტის გადაწყვეტილებით. როგორც ვხედავთ, ევროპაში პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა ხორციელდება პარლამენტის მიერ, შესაბამისად უმჯობესი იქნება აღნიშნულ სტანდარტებთან მორგების მიზნით საქართველოს პარლამენტის როლის ზრდა აღნიშნულთან მიმართებაში.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით კვლავაც არსებობს გარკვეული სახის პრობლემები და საკითხზე მუშაობა და კვლევა კვლავ აქტუალურია.

საბოლოოდ, ცვლილებების შემდგომ კონტროლის ელექტრონული სისტემა დარჩა კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს მფლობელობაში, თუმცა ცვლილებები კვლავაც იგეგმება, რადგან ხელისუფლება ხვდება, რომ არსებული სისტემა არ არის გამართული, ხოლო იდეალურ სისტემამდე საქართველოს საკმაოდ დიდი გზა აქვს გასავლელი.

როგორც ნაშრომში აღვნიშნე, სწორად მიმაჩნია ის, რომ სპეციალური მოსასმენი აპარატურა დარჩა შინაგან საქმეთა სამინისტროში. აღნიშნული აპარატურის გადაცემა სასამართლოსთვის ან მობილური ოპერატორებისათვის სამართლებრივად დაუსაბუთებელია და პროცედურულად ვერ განხორციელდება, თუმცა ვფიქრობ, რომ ყველაზე მისაღები გზა მოცემულ შემთხვევაში იყო პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის მიერ უშუალო კონტროლი, აღნიშნული მოწყობილებისა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
3. რაინჰოლდ ციპელიუსი, ,,იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, 2006.
4. სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისათვის (ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა), 2012.
5. გზამკვლევი საქართველოს ახალ სს საპროცესო კოდექსში, 2010.
6. ვოლფგანგ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. (1993-1995), თბ., 2002.
7. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „პერსონალური მონაცემების დაცვა. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი“, 2007.
8. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.
9. ჯერემი მაკბრაიდი, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ევროსაბჭო, 2011.

საკანონმდებლო აქტები:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.
2. ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი – საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ე. ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

რა არის პოლიტიკა

ავთანდილ მეცხვარიშვილი, მზია შავლოხაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი,** პროფესორი

პოლიტიკა ძველი ბერძნული სიტყვაა და „პოლისი“ ანუ სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას ნიშნავს. ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ თქვა, რომ „ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი“ ან, რაც იგივეა „ადამიანი არის სოციალური ცხოველი“.

(სიტყვები: „სოციალური“ და „ პოლიტიკური“ სინონიმებს წარმოადგენს.)

არისტოტელეს განმარტებით, ადამიანი იმიტომაა „პოლიტიკური ცხოველი“ ანუ პოლიტიკური არსება, რადგან მხოლოდ მას შეუძლია და ეწევა კიდეც ცხოვრების სახელმწიფოებრივ წესს, მხოლოდ ადამიანს შეუძლია იცხოვროს სახელმწიფოში.

ადამიანები მრავალნაირ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ურთიერთობები. არისტოტელეს მიხედვით, სახელმწიფო პოლიტიკურ ურთიერთობათა ერთიანობას წარმოადგენს. სახელმწიფოებრივი ცხოვრებისკენ მისწრაფება მხოლოდ ადამიანშია ბუნებით ჩადებული, ამიტომაა ადამიანი ბუნებით პოლიტიკური არსებაა.

პოლიტიკა, არისტოტელეს აზრით, ადამიანური საქმიანობის უმაღლესი ფორმაა. სახელმწიფო ანუ პოლისი ადამიანთა ისეთი გაერთიანებაა, რომლის მიზანი სამართლიანობის დამკვიდრებაა. ყველა მეცნიერება ან ხელოვნება მიზნად რაღაც სიკეთის მიღწევას ისახავს, ის სიკეთე, რისი მიღწევაც უნდა პოლიტიკას - სამართლიანობაა. სამართლიანობა აღემატება ყველა სხვა სიკეთეს, რადგან იგი სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის. „ბუნებრივად თითოეულ ადამიანს ახასიათებს მისწრაფება სახელმწიფოებრივი ურთიერთობისაკენ. ხოლო, ვინც პირველად შემოიღო სახელმწიფოებრივი კავშირი, მან ადამიანებს დიდი სიკეთე მოუტანა. ადამიანი, რომელმაც მიაღწია სრულყოფილებას, ის ცოცხალ არსებათა შორის საუკეთესოა. ხოლო ადამიანი, მოცილებული კანონსა და სამართალს, ყველაზე მდაბალი არსებაა, რადგან ყველაზე უფრო დიდი საშინელებაა შეიარაღებული უსამართლობა. ბუნებრივად ადამიანის იარაღს წარმოადგენს გონიერება და ზნეობა, რომლის გამოყენებაც შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებითაც, ამიტომ უზნეო ადამიანი უსინდისოა და მხეცური ბუნების სათნოების გარეშე როგორც სქესობრივ, ისე სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხში. სამართლიანობა კი სახელმწიფოებრივი მოვლენაა, რადგან სამართალი არის სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი საშუალება და სამართლიანობის საზომი”. (არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწილი პირველი, თავი პირველი)

არისტოტელეს აზრით, პოლიტიკა იმიტომაა ადამიანური საქმიანობის უმაღლესი ფორმა, რომ მისი მეშვეობით ყალიბდება ადამიანურ ურთიერთობებში საერთო სიკეთე-სამართლიანობა. ამდენად პოლიტიკა არის საერთო სიკეთის სამართლიანობის მოსაპოვებლად წარმართული საქმიანობა.

ცხოველებიც ცხოვრობენ ჯგუფებად, ფარებად ან გუნდებად, მათთანაც არსებობს სოციალური ცხოვრება, მაგრამ ის არასდროს იქცევა პოლიტიკურ ცხოვრებად.

პლატონისთვის პოლიტიკა არის ადამიანის მიერ ადამიანის მართვის სფერო, მისი საფუძველია, ერთდროულად, როგორც სამეფო ცოდნა, ისე ხელოვნება.

არისტოტელე პოლიტიკას „სამეფო მეცნიერებას“ უწოდებს, რომლის დახმარებითაც შეიძლება ცხოვრების გაუმჯობესება და ღირსეული საზოგადოების შექმნა.

ბისმარკის აზრით, პოლიტიკა მეცნიერება კი არ არის, არამედ ხელოვნებაა.

მაქს ვებერის მიხედვით, პოლიტიკა არის ძალაუფლებაში მონაწილეობისკენ სწრაფვა, ან სწრაფვა ძალაუფლების განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისკენ. სულ ერთია, იქნება ძალაუფლების ეს გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, თუ რომელიმე ერთი სახელმწიფოს შიგნით, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ოსვალდ შპენგლერის აზრით, „პოლიტიკა - შესაძლებლობის ხელოვნებაა.“

ყველაზე ზოგადი გაგებით, პოლიტიკა ეს არის პროცესი, რომლის შიგნითაც ადამიანები ქმნიან, ხვეწენ და ინარჩუნებენ ერთად ცხოვრების ნორმებს. პოლიტიკა არსებითად არის საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობა და, მათგან გამომდინარე, მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოების, ხალხების, ერების, სოციალური ჯგუფების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან.

პოლიტიკა ადამიანების თვალში ორი განსხვავებული რეპუტაციით სარგებლობს: ზოგი თვლის, რომ პოლიტიკა „ბინძური საქმეა“ მეორენი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკოსობა მნიშვნელოვანი და საპატიო საქმიანობაა.“ პოლიტიკური ფილოსოფია მაშინ დაიბადა, როცა ადამიანებს გაუჩნდათ კარგი ცხოვრებისა და კარგი საზოგადოების შესახებ ცოდნის შეძენის წყურვილი.

პოლიტიკური ფილოსოფია იკვლევს სახელმწიფოს, მმართველობის მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემებს და ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: რატომ უნდა დავემორჩილო სახელმწიფოს? როგორ უნდა განაწილდეს კეთილდღეობა საზოგადოებაში? როგორია პირადი თავისუფლების საზღვრები საზოგადოებაში? გვჭირდება თუ არა სახელმწიფო? არის თუ არა შიშის გარდა დამორჩილების სხვა საშუალება? რა არის თავისუფლება? რა არის სამართლიანობა? რა არის თანასწორობა? და სასურველია თუ არა მისი არსებობა?

პოლიტიკური ფილოსოფია ნორმატიული დისციპლინაა. ფილოსოფიას ყოველთვის აინტერესებდა „არა არსებული“, არამედ ის, რაც „უნდა იყოს“ და რაც გაკეთდეს. ამიტომ პოლიტიკური ფილოსოფია ყოველთვის ატარებდა უპირატესად ეთიკურ, მავალდებულებელ ან როგორც დღეს ამბობენ, ნორმატიულ ხასიათს. პოლიტიკური ფილოსოფია მჭიდრო კავშირშია ზნეობის ფილოსოფიასთან. იგი ეძებს ჭეშმარიტების და სიკეთის პრინციპებს, რათა ადამიანები უფრო ბედნიერები იყვნენ.

პოლიტიკური ფილოსოფიის ფუძემდებლები არიან: პლატონი, რომელმაც პოლიტიკურ ფილოსოფიას ორი ნაშრომი მიუძღვნა ესენია ,,სახელმწიფო და კანონები“. არისტოტელემ - სპეციალური ტრაქტატი „პოლიტიკა“. ავგუსტინე - მისი ნაშრომია „ღვთის ქალაქი“. ავგუსტინე მიიჩნევს, რომ „ცოდვით დაცემული და სამოთხიდან გაძევებული ადამიანი მიდრეკილია ძალადობისკენ. სახელმწიფოს ამ მიდრეკილების ალაგმვა აკისრია. ამდენად, ცუდი სახელმწიფო უფრო ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე სახელმწიფოს სრული არარსებობა”.

მაკიაველი ნაშრომით ,,მთავარი“. მაკიაველის აზრით, არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე - ძალის მეშვეობით, პირველი ნიშნეულია ადამიანებისათვის, მეორე კი - მხეცებისათვის. მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად უნდა მივმართოთ ხოლმე მეორეს. ამიტომ მთავრისათვის აუცილებელია, რომ თანაბარი წარმატებით იბრძოდეს როგორც მხეცი და როგორც კაცი. სწორედ ამნაირი, თუმცა შეფარვით გამოთქმული შეგონებით მიმართავდნენ მთავრებს ძველი მწერლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ აქილევსს და ძველი დროის ბევრ სხვა მთავარსაც აღსაზრდელად აბარებდნენ კენტავრ ქირონს, რათა მისი მეთვალყურეობით დავაჟკაცებულიყვნენ. ამ ნახევრად მხეცი და ნახევრად კაცის ზედამხედველობას აქ მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ მთავარი უნდა ითვისებდეს და ისისხლხორცებდეს ორივე ბუნებას, და რომ ერთი მეორის გარეშე უდღეურია. ამრიგად, თუ მთავარი იძულებული იქნება იბრძოდეს, როგორც მხეცი, ცხოველთა მთელი სიმრავლიდან ლომსა და მელას უნდა ირჩევდეს, ვინაიდან ლომს არ შეუძლია თავი დაიცვას გველისაგან, მელას - მგლებისაგან. მაშასადამე, მელა უნდა იყო, რომ შენიშნო გველი და ლომი, რომ დაიფრინო მგლები. იმას, ვინც მხოლოდ ლომობას იჩემებს, ბევრი რამ არ ესმის (ნიკოლო მაკიაველი, „მთავარი“). ასევე პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებს იკვლევდნენ: ჰობსი ნაშრომში „ლევიათანი”, მონტესკიე ნაშრომში „კანონთა გონი“, ჟან-ჟაკ რუსო ნაშრომში „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, ჯონ ლოკი ნაშრომში „ორი ტრაქტატი სამოქალაქო საზოგადოების შესახებ“. პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებს იკვლევდნენ: კანტი, ჰეგელი, მარქსი და ა.შ.

XX საუკუნეში პოლიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები არიან ჯონ როულსი, რობერტ ნოზიკი, ისაია ბერლინი, ჯონ ნერვენსონი და ა.შ.

ამდენად, პოლიტიკური ფილოსოფიის ამოცანაა სახელმწიფოს, ძალაუფლების არსის, მისი მიზნების და დანიშნულების, ადამიანის ბუნებასთან მისი ურთიერთობის კვლევა.

ლიტერატურა:

1. არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწილი პირველი, თავი პირველი, თბ., 1995.
2. ნიკოლო მაკიაველი, მთავარი, თბ., 1984, გვ. 186-187

ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით

გიორგი მღებრიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** უფროსი მასწავლებელი

ვალდებულების შეწყვეტა, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, გულისხმობს უფლებას, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილეებს ანიჭებს, გაქვითონ ერთმანეთის მიმართ არსებული მოთხოვნები და ამ გზით, ამგვარად შეწყვიტონ ვალდებულება. ვალდებულების შეწყვეტის ეს სახე აადვილებს და უფრო რაციონალურ შესაძლებლობას იძლევა რიგი სამართლებრივი ურთიერთობების მოგვარებისას მხარეები გათავისუფლდნენ ნაკისრი ვალდებულებისაგან ყოველგვარი ზედმეტი მოქმედებისა თუ ფორმალობის გარეშე. მარტივ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც პირობითად A ბინის დამქირავებელი B-გან სესხულობს თანხას 200 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა დაუბრუნოს 30 მაისს. ასევე თვის დასასრულში B, როგორც ჩვეულებრივ, უხდის A-ს ქირას 200 ლარს. მაგალითის მიხედვით გვყავს ორი მოვალე, რომელთაც ვალდებულების შესრულება აკისრიათ ერთმანეთის მიმართ. A ვალდებულია დააბრუნოს ვალი (200 ლარი). ხოლო B ვალდებულია გადაუხადოს ბინის ქირა იმავე ოდენობით. ამ შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაქვითვის გზით, მარტივად შეწყვიტონ ვალდებულება. პირველ რიგში, ესაა საშუალება A და B მხარემ საკუთარი ვალდებულების რეალური შესრულების გარეშე, საკუთარი ,,მოთხოვნის სანაცვლოდ" დაფაროს ნაკისრი ვალდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, ორივე პირს, როგორც კრედიტორებს, საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების უმარტივეს გზას სთავაზობს. აღნიშნულ შემთხვევაში ორივე მოთხოვნის შესრულების ვადა დადგა. თუმცა ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულება ჯერ არ არის დამდგარი, მაგრამ გაქვითვას მხარს უჭერს ამ მოთხოვნის უფლების მქონე. იმისათვის, რომ ვალდებულებათა გაქვითვა განხორციელდეს, აუცილებელია მეორე მხარისათვის შეტყობინება. ,,გაქვითვის მდგომარეობის დადგომის მომენტიდან, წყდება ძირითადი და საპირისპირო მოთხოვნები. ამ მომენტიდან არ გაითვალისწინება ვადის გადაცილების შედეგები (ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შესრულების რისკზე პასუხისმგებლობა, პროცენტი)."[1]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 443 მუხლის თანახმად, **მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს ვალდებულებათა გაქვითვას, თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა.** ანუ კანონი იძლევა, გამონაკლისის სახით, საშუალებას იმ მოთხოვნათა მიმართ, რომლებიც, თუმცა ახლა ხანდაზმულია, მაგრამ იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა შეიძლებოდა. ამ წესის გამოყენება შესაძლებელია მაშინაც, როცა ხანდაზმულობის გამო მოვალეს უარი ეთქვა საპასუხო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. თუმცა ზემოაღნიშნული პირობით, რომ ეს მოთხოვნა უნდა არსებობდეს იმ დროს, როცა მოთხოვნის გაქვითვა შესაძლებელი იყო.

მაგალითად:

,,მოვალეს ბანკისათვის უნდა დაებრუნებინა სესხი 5000 ლარი. თავის მხრივ ბანკს უნდა აენაზღაურებინა მოვალისათვის ბანკის რემონტის საფასური იმავე ოდენობით. იმის გამო, რომ მოვალემ გაუშვა ხანდაზმულობის ვადა ბანკისაგან ანაზღაურების მოთხოვნაზე, ბანკმა მოვალეს უარი უთხრა სესხის დაბრუნების მოთხოვნის გაქვითვაზე. მოვალეს ცალმხრივად შეუძლია გაქვითოს მოთხოვნა, მიუხედავად მისი საპასუხო მოთხოვნის ხანდაზმულობისა. მას ამის უფლებას აძლევს 443-ე მუხლი."[2]

შესაძლოა შეგვხვდეს გასაქვითი მოთხოვნები, რომლებიც სრულად ვერ ფარავდნენ ერთმანეთს. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 444 მუხლი აწესებს, რომ გაიქვითოს მოთხოვნა, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე. შედეგად ერთი მოთხოვნა შესრულდება მთლიანად, ხოლო მეორე – ნაწილობრივ. ეს გულისხმობს იმას, რომ, თუ ერთ მხარეს აქვს ვალდებულება 600 ლარის ოდენობით, ხოლო მეორეს 200 ლარის ოდენობით, მათ შეუძლიათ გაქვითონ ერთმანეთთან ვალდებულებები. პირველ მხარეს დარჩება ვალდებულება 400 ლარის ოდენობით, მეორე კი გათავისუფლდება ვალდებულებისაგან, მისი ვალის სიმცირიდან გამომდინარე.

---

[1] ი. კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი „სასწავლო კომენტარი", თბილისი, 2014, გვ. 275;

[2] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ,,ვალდებულებით სამართალი ზოგადი ნაწილი", წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ. 550;

მუხლი 445. განმარტავს, რამდენიმე გასაქვითი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის საშუალებას.

1. თუ ხელშეკრულების იმ მხარეს, რომელსაც ეცნობა გაქვითვის შესახებ, აქვს რამდენიმე გასაქვითი მოთხოვნა, მაშინ გამოიყენება 387-ე მუხლის წესები. (აქვე განვმარტავ სსკ-ის 387-ე მუხლს, ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობის თაობაზე. *1. თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის, სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე, ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. 2. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა. 3. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი)* 2. თუ მხარეს მეორე მხარის წინაშე, ძირითადი ვალდებულების გარდა, ეკისრება პროცენტებისა და სხვა ხარჯების გადახდაც, მაშინ გამოიყენება 388-ე მუხლის *წესები. (სამოქალაქო კოდექსის 388 მუხლი, სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტულობის შესახებ განმარტავს, რომ მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ _ ძირითადი შესრულება (ვალი) და ბოლოს _ პროცენტები.)*

ვალდებულების გაქვითვისათვის ხელშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენს შესრულების ადგილის სხვადასხვაობა. ამ აზრს განამტკიცებს სსკ-ის მუხლი 446. *(ვალდებულებათა გაქვითვა დასაშვებია მაშინაც, როცა მოთხოვნებისათვის გათვალისწინებულია შესრულების სხვადასხვა ადგილი).* ეს ნიშნავს იმას, რომ არ არის გამორიცხული ვალდებულების გაქვითვით შეწყვეტა ტერიტორიული სხვადასხვაობის გამო, შესრულების ადგილი შესაძლოა იყოს საზღვარგარეთიც. როგორც ყველა საკითხს, გარკვეული ფარგლები (შეზღუდვები), მოთხოვნათა გაქვითვის შესაძლებლობასაც აქვს და ამ საკითხს სსკ-ის 447-ე მუხლი განამტკიცებს. **მოთხოვნათა გაქვითვის დაუშვებლობა.** მოთხოვნათა გაქვითვა *დაუშვებელია: ა. თუ მოთხოვნათა გაქვითვა შეთანხმებით წინასწარ იყო გამორიცხული;* (ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეების შეთანხმებით დავიდანვე შეიძლება აიკრძალოს ან შეიზღუდოს გაქვითვა. რაც თავისთავად ხაზს უსვამს სახელშეკრულებო თავისუფლებასა და მხარეთა ავტონომიის პრინციპებს. მხარეებმა გაქვითვა შესაძლოა შეზღუდონ ან დაუშვებლად განიხილონ შემთხვევებში, როცა გაქვითვამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას. როცა შესრულების მიღება კრედიტორისათვის ნატურით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი მოთხოვნის გაქვითვით.) *ბ. თუ ვალდებულების საგანზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა, ან ვალდებულების საგანს შეადგენს სარჩო* (ობიექტების ჩამონათვალს, რომლებზეც არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა, განსაზღვრავს კანონი სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ. (მაგალითად პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთებზე, რომლებიც აუცილებელია მოვალისათვის თავისი პროფესიული საქმიანობისათვის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის, ასევე, მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები ან მათ შესაძენად საჭირო თანხა. ამგვარი მარაგის არარსებობის შემთხვევაში (ბ. პუნქტში ზემოაღნიშნული ,,სარჩო" იგივეა, რაც ალიმენტი). *გ. თუ ვალდებულება ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით ან სიკვდილით;* (ამ შემთხვევებში საუბარია დელიქტური ვალდებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე) *დ. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.* (კანონმდებლობა შესაძლოა ითვალისწინებდეს ამგვარი აკრძალვის სხვა შემთხვევებსაც, მაგალითად სახელმწიფოს წინაშე არსებული საგადასახადო დავალიანების გაქვითვა სხვა მოთხოვნებით დაუშვებელია. ამიტომ 447-ე მუხლს მიმატებული აქვს ბოლო დ. ქვეპუნქტი).

ვფიქრობთ, ვალდებულებათა შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ვალდებულებით ურთიერთობებში და ვალდებულებათა გაქვითვა კი, ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაწილი. გამომდინარე მისი სიმარტივის, მოქნილობისა და სწრაფი გადაწყვეტილების შესაძლებლობის შემოთავაზების საშუალებიდან. სამოქალაქო კოდექსის ნაწილი, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით ვალდებულების შეწყვეტის შესახებ, განამტკიცებს მისი გამოყენების პერსპექტივას, ხსნის შესაძლო გაურკვევლობის ან გართულების არსებობის ალბათობას მხარეებს შორის და შესაძლებელს ხდის მისი გამოყენებით ვალდებულებითი ურთიერთობების მშვიდობიანად, დაუბრკოლებლად, ყოველგვარი ზედმეტი ფორმალობის გარეშე შეწყვეტა-გადაწყვეტას.

ლიტერატურა:
1. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი 1999.
2. ი. კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ,,სასწავლო კომენტარი", თბილისი, 2014.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ,,ანბანურ-საგობრივი საძიებლით", თბილისი, 2007.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ,,ვალდებულებით სამართალი ზოგადი ნაწილი", წიგნი მესამე, თბილისი 2001.

ბავშვთა სიკვდილიანობა - საფრთხე ქვეყნის დემოგრაფიული ფონისათვის

თამარ ტერმაკოზაშვილი, ქეთევან მარკოზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარიკა შერაზადიშვილი,** პროფესორი

საქართველოში შექმნილმა რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. რამდენიმე ათეული წელია, მცირდება შობადობა, უარესდება დედათა და ბავშვთა გარდაცვალების მაჩვენებელი, მცირდება ბუნებრივი ნამატი. ბავშვთა ავადობისა და გარდაცვალების მიზეზებში დომინირებს ახალშობილთა პათოლოგიები. ამ ფონზე აუცილებელი გახდა დედათა და ბავშვთა ავადობისა და გარდაცვალების ძირითადი მიზეზების ღრმად შესწავლა და ანალიზი როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე მის ცალკეულ მხარეებსა და რაიონებში.

ჯანდაცვის სამინისტროს ბოლო 7 თვის მონაცემებით, საქართველოში 5 წლამდე ასაკის 328 ბავშვის გარდაცვალების შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 292 ჩვილია და 36 - 1-დან 5 წლამდე ასაკის. აღსანიშნავია, რომ როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო დაწესებულებებიდან ინფორმაციის სრულად მიწოდება არ ხდება. კერძოდ, 2013 წელს სამოქალაქო რეესტრში დაფიქსირდა გარდაცვალების 373 შემთხვევა, 2014 წელს სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 322-მდეა შემცირებული, ხოლო სამინისტროში ოპერატიულად 292 შემთხვევა შევიდა.

სტატისტიკა, რასაც ამ სფეროში სახელმწიფო აწარმოებს, განსხვავდება საერთაშორისო ორგანიზაციების - გაეროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციების მონაცემებისაგან. სავალალო სიტუაციაა მსოფლიოს მასშტაბითაც. UNICEF-ის გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებში ნათქვამია, რომ მსოფლიოში 20 წლის წინ 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობის მაჩვენებელი 12 მილიონს აღწევდა, ახლა კი 7 მილიონით ნაკლებია. განსაკუთრებულ წარმატებას ამ მხრივ მიაღწია ლაოსმა, ნიგერიამ და ბანგლადეშმა. პოზიტიური ცნობის მიუხედავად, რეალობაა, რომ 5 წლამდე ასაკის ბავშვებს შორის სიკვდილიანობა ძალიან მაღალია. დედამიწაზე დღეში 19 ათასი ბავშვი იღუპება. მათ შორის უმრავლესობა ისეთი დაავადებებით, როგორებიცაა: პნევმონია, დიარეა, მალარია და სხვა. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკის მიუხედავად ფაქტია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით საქართველო ერთ-ერთ „მოწინავე" ადგილზეა. ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მხრივ საქართველო 194 ქვეყნიდან 113-ე ადგილზეა.

ჩვილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის ერთ-ერთ მიზეზად ჯანდაცვაზე არასათანადო ხელმისაწვდომობაც სახელდება. ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალური ფონია. მოსახლეობას არა აქვს მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღების მატერიალური შესაძლებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებული პრობლემა რეგიონებშია. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამამ სოციალურად დაუცველ ოჯახებს დადებითი შედეგი მოუტანა. ხელმოკლე ოჯახების დაახლოებით 40% ჩართულია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაში სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. სახელმწიფო ფარავს ჯანდაცვის მომსახურების მოზრდილ პაკეტს, ყველა ბავშვი იღებს უფასო გადაუდებელ დახმარებას, ხოლო 0-3 წლამდე ასევე ეკუთვნით უფასო სტაციონალური მომსახურება. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება სრულად იფარება სახელმწიფოს მიერ, ხოლო დანარჩენზე გამოყოფილია სამთავრობო სუბსიდია 80%-ის

ოდენობით. რაც შეეხება დღევანდელ საყოველთაო დაზღვევას, გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას სრულად ფარავს, ხოლო გეგმიურ სამედიცინო მომსახურებას – არა.

გარდა სოციალური ფონისა, საქართველოში 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზებია ასევე: პნევმონია, დიარეა და განვითარების თანდაყოლილი მანკები. ხშირ შემთხვევაში სიკვდილიანობა კვების ნაკლებობასაც უკავშირდება. საქართველოში 5 წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის 45% არასაკმარის კვებასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, ბავშვებს შემდეგი რისკებიც ემუქრებათ: მავნე გარემო, სიმსუქნე და ცხოვრების არაჯანსაღი წესი. ბავშვთა სიკვდილიანობის უმეტესი შემთხვევები დაბადებიდან 28 დღის განმავლობაში ხდება. ეს, ძირითადად, გამოწვეულია დღენაკლულობით, ასფიქსიით, დაინფიცირებით - პნევმონიით, რაც მთლიანობაში ახალშობილთა სიკვდილიანობის მიზეზების სამ მეოთხედს შეადგენს. ბავშვთა სიკვდილიანობის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება მშობლებთან ერთად ძილი, რაც ბავშვის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობას 5-ჯერ ზრდის სწორედ ის ფაქტი, რომ მშობლები პატარებს ცალკე საწოლის ნაცვლად თავისთან აწვენენ. აღსანიშნავია ისიც, რომ წლების წინ ბავშვის დედ-მამის საწოლში ძილი საშიშად ითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშობლები მოიხმარდნენ ნარკოტიკს, ალკოჰოლს ან ეწეოდნენ სიგარეტს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ გაკეთებული შეფასების შედეგად განისაზღვრა მიმართულებები ჯანდაცვის სისტემის შემდგომი გაძლიერებისათვის. 2013 წელს შეიქმნა ,,ბავშვთა ზრდისა და განვითარების პირადი ბარათი“ (ინდივიდუალური ჩანაწერი ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების შესახებ). სახელმწიფო ბაზისურ ცოდნას აწვდის ყველა ახალშობილის მშობელს ქვეყანაში ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების შესახებ 0-6 წლის ასაკში. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე მშობლებს მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით მიეწოდებათ გზავნილები ბავშვის ზრდისა და განვითარების შესახებ, ელექტრონულ მონაცემთა ბაზასთან კავშირის მეშვეობით. ამავე წლის 13 სექტემბერს საქართველომ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად პასუხისმგებლობა აიღო, აღმოფხვრას ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია. ამით იგი შეუერთდა გლობალურ კამპანიას ბავშვთა გადასარჩენად: „ვალდებულება ბავშვთა გადასარჩენად: განახლებული დაპირება“. აღნიშნული დაპირება ითვალისწინებს - საქართველოში ყველა ბავშვს სიცოცხლის საუკეთესო დასაწყისი ჰქონდეს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში შეიმჩნევა სწრაფი პროგრესი, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების კუთხით, რაც ადასტურებს, რომ შესაძლებელია ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირება. საქართველოც იმ ქვეყანათა შორისაა, სადაც ბავშვთა სიკვდილიანობის კლების ტენდენციაა. 1999 წლის შემდეგ 5 წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა ორი მესამედით. 2013 წლის რეპროდუქციული კვლევის თანახმად, მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის კვლევის სტატისტიკა: 1999 წელს 1000 ცოცხლად შობილზე 42 შემთხვევიდან 21 შემთხვევამდე შემცირდა სიკვდილიანობა, 2005 წელს და 14 შემთხვევამდე 2014 წელს. ამავე წლის თებერვლიდან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა დაექვემდებარა აქტიურ ზედამხედველობას. შემუშავდა საკეისრო კვეთისა და აბორტის გაიდლაინი და მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები სელექციური აბორტების შემცირების მიზნით. საქართველოში ბოლო დროს მომრავლდა საკეისრო კვეთით მშობიარობა. ექსპერტები იუწყებიან, რომ საკეისრო კვეთის ასეთი მაჩვენებელი ბუნებრივი არ არის და თავის მხრივ გართულების მეტ რისკს შეიცავს.

როდესაც საუბარია ბავშვების სიცოცხლესა და უფლებებზე, „მდუმარე მოწმეები“ არ უნდა არსებობდნენ, თუმცა რეალობა სულ სხვაა. 2013 წელს დედოფლისწყაროში 3 წლის ემილი გველის ნაკბენისაგან გარდაიცვალა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში 7 საათის განმავლობაში იმყოფებოდა. თუმცა ამ ხნის მანძილზე მისთვის ექიმებმა მარტივი სამედიცინო მანიპულაციის - შრატის გაკეთებაც ვერ უზრუნველყვეს. მიზეზი კი სამედიცინო დაწესებულებაში შრატის არარსებობა იყო. ექიმებმა გოგონას თბილისში გადმოყვანა მხოლოდ მაშინ ჩათვალეს საჭიროდ, როცა მიხვდნენ, რომ კვდებოდა. სამწუხაროდ, ეს დაგვიანებული აღმოჩნდა. ეს მიუთითებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გაუმართაობაზე განსაკუთრებით რეგიონებში. გასულ ზაფხულს მედიკოსებმა პატარას გადარჩენა ვერ მოახერხეს. დაბადებიდან 10 დღის შემდეგ ჩვილი გარდაიცვალა. როდესაც ბავშვი დაიბადა, ფილტვი არ გაეხსნა და შესაბამისად, აპარატზე შეაერთეს. როგორც კი მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდებოდა, აპარატიდან რთავდნენ, რამაც ბავშვის მდგომარეობა უფრო გაართულა და სიკვდილი გამოიწვია. თუმცა ბავშვის დედა აცხადებდა, რომ ორსულობა ნორმალურად მიმდინარეობდა და ანალიზებში არ გამოჩენილა, რომ ბავშვს რაიმე პრობლემა ჰქონდა. ეს უკვე მედიკოსების უყურადღებობასა და არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს.

საქართველოში ყველა ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნების, ჯანმრთელობისა და განვითარების უკეთ უზრუნველსაყოფად უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: 1. ზოგადი პედიატრიული,

ხარისხიანი მომსახურება ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ფეხმძიმე ქალისა და ყველა ბავშვისათვის; 2. საბაზო საშეღავათო პაკეტით, რომელიც მოიცავს სუფსიდირებულ მედიკამენტებს, უზრუნველყოფილი იქნეს ყველა ფეხმძიმე ქალი და 5 წლამდე ასაკის ბავშვი; 3. გაგრძელდეს იმუნიზაციის ეროვნული პროგრამის მხარდაჭერა; 4. აქცენტი გაკეთდეს ჯანმრთელობის პოპულარიზაციაზე, ცნობიერების ამაღლებასა და დაავადებათა პრევენციაზე, რადგან ჩვილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მიზეზი საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონეა.

რაც შეეხება ჩვენს რეგიონს, კვლევა ჩავატარეთ გორის საავადმყოფოში „იავნანა“ როგორც ირკვევა, ბავშვთა სიკვდილიანობის ბოლო ოთხი წლის მონაცემები ასეთია: 2012 წელს დაიღუპა 3 ბავშვი. აქედან ერთი ბავშვი 0-7 დღემდე რესპირატორული დაავადებით, ერთი თვის ბავშვი სუნთქვის და გულის მწვავე უკმარისობით და 10 თვის ბავშვი დაუზუსტებელი დიაგნოზით.

2013 წელს გარდაიცვალა 8 ბავშვი. აქედან 3 ბავშვი 0-5 დღემდე რესპირატორული დაავადებებით, ერთი დღის ბავშვი მძიმე ასფიქსიით მშობიარობის დროს და ერთი ბავშვი, აგრეთვე 0-5 დღემდე მცირე ნაყოფი დაიბადა და ამის გამო ვერ განაგრძო სიცოცხლე. ათი თვის ორი ბავშვიდან ერთი გარდაიცვალა სუნთქვის მწვავე უკმარისობით, ხოლო მეორე - თანდაყოლილი გულის მანკით, 2 წლის ბავშვი დაიღუპა მენინგოკოქცემიით.

რაც შეეხება 2014-2015 წლებს, გარდაცვალების შემთხვევები საერთოდ არ დაფიქსირებულა, თუმცა აღსანიშნავია, რომ მწვავე დიაგნოზის მქონე ბავშვებს კატასტროფის ბრიგადის დახმარებით აგზავნიან ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ დალხინების უფლება არა გვაქვს და სტატისტიკა კვლავაც საგანგაშოა.

ლიტერატურა:

1. http://www.tabula.ge/ge/topic/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%98%
2. http://www.for.ge/view.php?for_id=22340&cat=3
3. http://primetimenews.ge/news/shobadoba-sikvdilianoba-chiaberashvili
4. გორის საავადმყოფო „იავნანა“.

იპოთეკა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება

თამარ ქერდიყოშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** უფროსი მასწავლებელი

იპოთეკა მოთხოვნის, განსაკუთრებით საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საიმედო და პოპულარული საშუალებაა. თუმცა ზოგჯერ ეს არაა საკმარისი და დამატებით პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებებსაც მიმართავენ, მაგალითად თავდებობას.[1]

იპოთეკის ინსტიტუტი წარმოადგენს უძრავი ნივთის კრედიტორის სასარგებლოდ დატვირთვას ისე, რომ კრედიტორს უფლება აქვს თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ამ ნივთის რეალიზაციით ან საკუთრებაში გადაცემით (სსკ-ის 286-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, თუმცა რეალურად ძალზე ხშირია ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების პეცენდენტები, რაც კრედიტორს თავიდანვე უბიძგებს მიმართოს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს, რომელთა მეშვეობით კრედიტორი დაზღვეული იქნება იმ შესაძლო დანაკარგისაგან, რაც მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას მოჰყვება. არსებობს ორი სახის

[1] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012

უზრუნველყოფის საშუალება: პიროვნული და სანივთო, რომელიც თავის მხრივ იყოფა სხვადასხვა ქვესახეებად, კერძოდ, პიროვნული მოთხოვნის უზრუნველყოფას განეკუთვნება მოვალის გარანტია, თავდებობა. ხოლო სანივთო უზრუნველყოფის საშუალებას განეკუთვნება: გირავნობა და იპოთეკა. იპოთეკარის მიერ ნივთის ფლობის უფლებას. [2]

იპოთეკის ინსტიტუტს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია გააჩნია. იპოთეკა, იპოთეკური სესხი-კრედიტი უძრავი ქონების თავდებით, როგორც წესი გაიცემა ბანკის მიერ, თუმცა კრედიტორი შეიძლება გახდეს ასევე ნებისმიერი სხვა სამართლებრივი პირი.

ტერმინი „იპოთეკა“ პირველად საბერძნეთში გაჩნდა ჩვ. წ. VI საუკუნეში. იგი თავის კანონმდებლობაში გამოიყენა სოლონმა.[*]

მას იცნობდნენ ჯერ კიდევ ძველ რომში, როგორც გირავნობის უფლების ერთ-ერთ ფორმას. იგი წარმოიშვა კლასიკურ პერიოდში (Hupotheca) აღმოსავლური ბერძნულ-ეგვიპტური სამართლის გავლენით. ბერძნები არ აღნიშნავდნენ მოვალის პასუხისმგებლობას კრედიტორის წინაშე საკუთარი მიწით. მსესხებლის მიწის ნაკვეთის საზღვარზე სვამდნენ ბოძს წარწერით, რომელიც აღნიშნავდა, რომ ეს მიწა სესხს უზრუნველყოფდა. სწორედ ბოძი იწოდებოდა „იპოთეკად“, რომელიც ძველი ბერძნულიდან ნიშნავს „მისადგმელს“

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საფინანსო-საკრედიტო სისტემის განვითარება და მისი სამართლებრივი რეგულირება. კერძო სამართლის სუბიექტთათვის მაქსიმალური ხელშეწყობა და მოხერხებული დაკრედიტების საშუალების შეთავაზება.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, კომუნისტური სისტემის ნგრევას მოჰყვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც შემაფერხებელ გავლენას ახდენდა იპოთეკის ინსტიტუტის განვითარებაზე. [3]

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება კი წარმოშობის მიხედვით არის ორი სახის: სახელშეკრულებო და კანონისმიერი. სახელშეკრულებო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება გულისხმობს მხარეთა თავისუფალ ნების გამოვლენას, დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი, მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს სესხის უზრუნველყოფის მრავალ საშუალებას, თუმცა, ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე კი, ვისაუბროთ უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებაზე იპოთეკაზე, მის წარმოშობაზე, არსსა და სახეებზე.

იპოთეკა ვითარდებოდა მიწის ნაკვეთის გირავნობის საფუძველზე. იპოთეკა სრულიად უარყოფილი იყო საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო სამართალში. ვინაიდან არ არსებობდა კერძო საკუთრება მიწაზე. იგი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო საკუთრების ეს ფორმა, როგორც წესი, საერთოდ არ ექვემდებარებოდა გირავნობას, იპოთეკა კი სხვა არაფერია, თუ არა გირავნობა უძრავ ნივთებზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველომ მიიღო დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი და თავისი პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარა დემოკრატიული რესპუბლიკა, ძირეული გარდატეხები მოხდა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ცვლილებები შეეხო საქართველოს სამოქალაქო სამართალსაც და მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სანივთო სამართალსაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლი განმარტავს მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთ საშუალებას, როგორიცაა იპოთეკა. „უძრავი ნივთი შეიძლება ისე იყოს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა)“[2]

მიუხედავად ბევრი მსგავსებისა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იპოთეკის ცნების განხილვისას სავალდებულოდ თვლის, რომ ვის სასარგებლოდაც იტვირთება უძრავი ნივთი, ამ ნივთიდან უნდა ხდებოდეს პერიოდული გადახდები. ეს თითქოს უმნიშვნელო სხვაობა ჩემი აზრით ბევრ მნიშვნელოვან საკითხს გადაწყვეტს.[4]

იპოთეკა არის სხვის უძრავ ნივთზე შეზღუდული სანივთო უფლება, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად წარმოიშობა. ამ უფლების შინაარსი კანონით არის დადგენილი და მისი შეცვლა

---

[2] განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2014.

[*] სოლონი - (ძვ. წ. 638-558) გამოჩენილი ათენელი პოეტი, მხედართმთავარი, რეფორმატორი და კანონმდებელი იყო. დემოკრატიას პირველად მან ჩაუყარა ფუძე. მან დაწერა კანონები, რომლებიც აწყობდა ხალხის დამალ ფენას, ანუ დემოსს.

[3] თამარ შოთაძე, იპოთეკა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, „მერიდიანი“, 2012

[4] იან კროლჰპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, „GIZ ფონდი“, 2014.

მხარეებს მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში შეუძლიათ. იმავდროულად, იპოთეკა არის აბსოლუტური სანივთო უფლება, განსხვავებით სხვა სანივთო უფლებისაგან, როგორიცაა აღნაგობა, უზუფრუქტი ან სერვიტუტი.

უძრავი ქონების გირაოს ქვეშ სესხმა (იპოთეკამ) ფართო გავრცელება ჰპოვა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორც ხანგრძლივვადიანი ფინანსირების ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა წყარომ. ასეთი გარიგების დროს ქონების მფლობელი სესხს ღებულობს გირაოს მიმღებისაგან და ვალის დაბრუნების უზრუნველყოფის სახით, ამ უკანასკნელს, გადასცემს თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას დაგირავებული ქონების ღირებულებიდან. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანების დაფარვაზე მთლიანი ან ნაწილობრივი უარი იქნება ნათქვამი, სესხის ფულადი თანხა, ბუნებრივია, რამდენადმე ნაკლებია გირაოდ ჩადებული ქონების შეფასებულ ღირებულებაზე. აშშ-ში, მაგალითად, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, აკრძალულია სესხის გაცემა, თუ მისი სიდიდე ქონების შეფასებული ღირებულების 80%-ზე მეტია. გირაოს ყველაზე გავრცელებულ ობიექტად ითვლება საცხოვრებელი სახლები (აშშ-ში დაგირავებული ქონების 3/4), ფერმები, მიწა. იპოთეკური სესხები გაიცემა კომერციული ბანკების, სპეციალური იპოთეკური ბანკების (მაგალითად, სხვადასხვა სასამართლო, შემნახველი ასოციაციების და სხვა) მიერ.

იპოთეკური სესხის ანალიზის დროს აუცილებელია გადავწყვიტოთ რამდენიმე პრობლემა: დამუშავდეს დავალიანების დაფარვის კონკრეტული გეგმა, განისაზღვროს იპოთეკის ეფექტიანობა ინვესტორისთვის და სესხის ფასი მევალისთვის; გამოიძებნოს დამატებითი პარამეტრები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა უფრო დასაბუთებულად იქნეს არჩეული იპოთეკის საჭირო სახე. ამ პრობლემების გადაწყვეტა დამოკიდებულია იპოთეკური სესხის სახეზე და, რა თქმა უნდა, მისი გაცემის კონკრეტულ პირობებზე.

იპოთეკური სესხის სახეებია:

1. სტანდარტული, ანუ ტიპური იპოთეკა;
2. იპოთეკა გადასახდელების ზრდით;
3. იპოთეკა შენატანების თანხის პერიოდულად გაზრდით;
4. იპოთეკა გადასახდელების ცვალებადი თანხით;
5. იპოთეკა გირაოს ანგარიშით;
6. სესხი შემცირებული განაკვეთით;
7. სესხი პროცენტული განაკვეთის პერიოდული გადახედვით;
8. იპოთეკა ცვალებადი პროცენტული განაკვეთით;
9. სესხი ქონების ღირებულების ნამატის გაყოფით;
10. გირაო შებრუნებული იმუნიტეტით.

შენობა-ნაგებობა შედის უძრავი ნივთის ცნებაში და მასზე მოთხოვნიდან გამომდინარე, იპოთეკის უფლების გავრცელებულ ობიექტს წარმოადგენს. დღეისათვის თუ გადავხედავთ იპოთეკის საფუძველზე აღსრულების პრაქტიკას, თავისის რაოდენობითა და მასშტაბებით საცხოვრებელი ფართების იპოთეკით დატვირთვის შემთხვევები პირველ ადგილზე დგას. ნაგებობის იპოთეკით დატვირთვის საკითხი შესაძლებელია განვიხილოთ ორი მიმართულებით: ნაგებობა, რომელზეც არ არსებობს საკუთრების უფლება და ე.წ. მშენებარე ობიექტები, რომელზეც საკუთრების უფლების წარმოშობა უკავშირდება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. შენობა-ნაგებობის იპოთეკით დატვირთვის დროს თავს იჩენს ისეთი სამართლებრივი პრობლემები, როდესაც მიწის ნაკვეთისა და შენობის მესაკუთრე არ არის ერთი და იგივე პიროვნება, როდესაც ხდება წილის დატვირთვა იპოთეკით, ეს არ წარმოადგენს სამართლებრივ პრობლემას, წილი, როგორც ცალკე უფლების ობიექტი, შეიძლება დაექვემდებაროს უფლებრივ ტვირთს. თანამედროვე ეტაპზე, პრობლემურ საკითხად განიხილება დაუსრულებელი შენობა-ნაგებობის იპოთეკით დატვირთვის შემთხვევები.

ვიცით, რომ ჩვენი სამოქალაქო კოდექსი იცნობს ხანდაზმულობის ვადას. უზრუნველყოფის საშუალებასთან დაკავშირებით კი არ ადგენს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას, მიუხედავად ამისა, იპოთეკიდან წარმოშობილი მოთხოვნის დაცვის ხანდაზმულობის ვადას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად მასზე, ვრცელდება ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა. იპოთეკა სანივთო უზრუველყოფის აქცესორული საშუალებაა და მისი არსებობა დამოკიდებულია უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე, რომლის გარეშეც არ არსებობს იპოთეკა. 286 II მუხლის მიხედვით იპოთეკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამომავლო ან პირობით მოთხოვნასთან დაკავშირებით. უზრუნველყოფილი მოთხოვნა უნდა იყოს განსაზღვრული, განსაზღვრულობა კი ნიშნავს, რომ ცნობილია მისი კრედიტორი, მოვალე და საგანი. მის ერთ-ერთ გამოხატულებად მიიჩნევა მოთხოვნის დაფიქსირება ფულად თანხაში.

სსკ-ი იცნობს, როგორც საერთო ისე მესაკუთრის იპოთკას. ეს საკითხი გერმანიის სამოქალაქო კოდექსშიც ისე წესრიგდება როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. იმ წესიდან გამომდინარე, რომ სარეგისტრაციო განაცხადის საფუძველზე, ერთ უძრავ ნივთზე რეგისტრირდება ერთი უფლება, გავლენას ახდენს საერთო იპოთეკის რეგისტრაციის წესზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული რამდენიმე ქონებიდან მხოლოდ ერთ უძრავ ნივთზე უფლების წარმოშობა ავტომატურად არ გულისხმობს ყველა დანარჩენ მათგანზე იპოთეკის უფლების განხორციელებას. საქართველოს სსკ-ის 288-ე მუხლი აწესრიგებს მესაკუთრის იპოთეკის მარეგულირებელ წესს. [5]

თუ მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, არ წარმოშობილა, იგი ქარწყლდება ან გადადის უძრავი ნივთის მესაკუთრეზე, მაშინ იპოთეკაც გადადის ამ უკანასკნელზე (მესაკუთრის იპოთეკა) ფორმისა და სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის პირობების მიხედვით სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ჩვეულებრივ იპოთეკასა და იპოთეკის მოწმობას. ორივე მათგანის წარმოშობისათვის აუცილებელია საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, თუმცა ისინი სამოქალაქო ბრუნვაში განსხვავებულად მონაწილეობენ. სსკ-ი იპოთეკის მოწმობას 2007 წლის 29 მაისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე არ იცნობდა. იპოთეკის მოწმობა წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. (289-ე მუხლი) იპოთეკის მოწმობის დამატებითი აუცილებელი წინაპრობაა მისი გაცემა საჯარო რეესტრის მიერ (289 II მუხლის მე-2 წინადადება) მოწმობის ფაქტობრივი მფლობელი ითვლება კანონიერ მფლობელად. იპოთეკის მოწმობის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ერთ ეგზემპლარად. საერთო იპოთეკისას, როდესაც დატვირთულია რამდენიმე უძრავი ქონება, გაიცემა მხოლოდ ერთი მოწმობა. დაუშვებელია იმდენი ეგზემპლარის გაცემა, რამდენიც იპოთეკარია ან უძრავი ქონება. თუ კი იპოთეკის მოწმობა გაყიდულ იქნა აუქციონზე, მას მიეთითება „გაყიდულია აუქციონზე“ და დაადასტურებენ სპეციალური სამოტარო წესით. ამ მოწმობის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში უნდა ეცნობოს საჯარო რეესტრს, ხოლო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება სასამართლოს მეშვეობით. მოწმობის გაუქმებაც ასევე უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში. დღესდღეობით უმთავრესად გამოიყენება ჩვეულებრივი იპოთეკა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში განსაკუთრებით კარგადაა მოწესრიგებული პასუხისმგებლობა დამატებითი მოთხოვნებისათვის და პასუხისმგებლობის გაზრდა პროცენტებისათვის (1118-ე და 1119-ე მუხლები) თუ მოთხოვნას არ ერიცხება პროცენტი ან საპროცენტო განაკვეთი პროცენტზე ნაკლებია, მაშინ იპოთეკა თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებამოსილ პირთა თანხმობის გარეშე შეიძლება გაიზარდოს იმგვარად, რომ პროცენტებისათვის მიწის ნაკვეთიდან დაკმაყოფილება მოხდეს ხუთ პროცენტამდე ოდენობით.[6]

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე შეიძლება იმავდროულად იყოს ძირითადი ვალდებულების, ე. ი. უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, მაგრამ შეიძლება არც იყოს მოვალე. მაგალითად, თუ ინდივიდუალური მეწარმე ბანკისგან აიღებს სესხს და მის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთავს საკუთარ სახლს, მაშინ ეს ერთდროულად იქნება, როგორც მოთხოვნის პირადი მოვალე, ისე უძრავი ნივთის მესაკუთრე. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მოვალის ძმის ბინა დაიტვირთება იპოთეკით, მაშინ ძმა მხოლოდ უძრავი ნივთის მესაკუთრე იქნება, მაგრამ არა იპოთეკარის პირადი მოვალე.

იპოთეკის თავისებურება, გირავნობისაგან განსხვავებით, მდგომარეობს იმაში, რომ იპოთეკით დატვირთული ნივთი იმყოფება მესაკუთრის მფლობელობაში. ეს ფაქტობრივად განსაზღვრული საფრთხის შემცველია, რადგან მესაკუთრის არაკეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ შეიძლება ამ ნივთის დაზიანება და მისი ღირებულების შემცირება გამოიწვიოს. ამიტომ იპოთეკარი უფლებამოსილია მესაკუთრისაგან მოითხოვოს ნივთის ისეთი მოვლა-პატრონობა, რომ იპოთეკის მიზანს არ შეექმნას საფრთხე (294 I მუხლი).

იპოთეკარს აქვს უფლება სადაზღვევო თანხის გადახდა მესაკუთრისთვის დააყოვნოს, თუ იგი შიშობს, რომ თანხა არ იქნება გამოყენებული ნივთის აღსადგენად. (294 II მუხლი) ასევე, იპოთეკარს აქვს უფლება, მოითხოვოს ნივთის სამართავად გადაცემა, თუკი, ირკვევა, რომ მესაკუთრე ვერ ასრულებს ნივთის მოვლის მოვალეობას (294 III მუხლი).

295-ე მუხლის თანახმად იპოთეკა და მის საფუძვლად არსებული მოთხოვნა მხოლოდ ერთდროულად და ერთობლივად შეიძლება იქნეს სხვა პირისათვის გადაცემული.

მეტად მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხია საკრედიტო სფეროში იპოთეკის რიგითობა. საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს იპოთეკართა რიგითობასა და მოთხოვნის რიგითობის საკითხს. საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 82-ე III მუხლის

[5] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012 გვ. 62-65

[6] იან კროლჰპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, „GIZ ფონდი“, 2014 .

თანახმად, არსებობს პირველი, მეორე და მესამე რიგის მოთხოვნები, მოთხოვნათა რიგითობის კლასიფიკაცია უკავშირდება იმ ფაქტს, რომელია რეალიზაციის საფუძველი - უზრუნველყოფილი თუ არაუზრუნველყოფილი ვალდებულება. თუ შესრულება არ არის უზრუნველყოფილი ქონებით, მაშინ პირველ რიგში დაკმაყოფილდება მოთხოვნები: პირველი რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხით დაკმაყოფილდება ყველა სხვა მოთხოვნა. ჩვეულებრივი გზა იპოთეკარის დაკმაყოფილებისა არის იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია აუქციონზე. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს აუქციონის ჩატარების ორ ფორმას: მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.[7]

იმის მიხედვით აუქციონი მხარეთა შეთანხმებით ტარდება თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით მის ორგანიზებას ახორციელებს სპეციალისტი ან სააღსრულებო ბიურო. აღნიშნული აუქციონი ტარდება გარკვეული წესების დაცვით. აუქციონის ჩატარების დროს და ადგილს ადგენს სპეციალისტი, რის შესახებაც იგი აქვეყნებს აუქციონის ჩატარებამდე არანაკლებ 7 დღისა. განცხადებაში უნდა მიეთითოს მესაკუთრის სახელი გვარი და მისამართი, აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი, ნივთის მთელი აღწერილობა და სხვა. სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სპეციალისტის მიერ შეიძლება ჩატარდეს ხელახალი, განმეორებითი მეორე და მესამე აუქციონი. განსხვავება ისაა, რომ მეორე აუქციონზე შემოთავაზებული ფასი უნდა იყოს პირველ აუქციონზე შემოთავაზებული ფასის ნახევარი ან კრედიტორის წერილობითი თანხმობით უფრო მცირე თანხა.

არსებობს სეკვესტრის ინსტიტუტი, რომელიც განიხილება, როგორც იძულებითი აღსრულების სახე. სეკვესტრის ინსტიტუტი საშუალებას იძლევა მოვალის საკუთრების ცვლილების გარეშე კრედიტორმა დაუკმაყოფილოს უზრუნველყოფილი მოთხოვნა. გართულებულ სასესხო-საკრედიტო სამართლებრივ ურთიერთობებში იშვიათად კეთდება არჩევანი სეკვესტრის ინსტიტუტის სასარგებლოდ.

იპოთეკის შეწყვეტის სპეციალურ წესებს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს. იპოთეკა, როგორც უზრუნველყოფის აქცესორული საშუალება, წყდება იმ მოთხოვნის შეწყვეტასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც არის იპოთეკა დადგენილი. ასევე, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების განადგურებამ უნდა გამოიწვიოს იპოთეკის შეწყვეტა. და იპოთეკარის უარი იპოთეკაზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

იპოთეკის შეწყვეტის ერთ-ერთი შემთხვევა გათვალისწინებულია მე-300 მუხლში და იგი ეხება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გადასვლას იპოთეკარის საკუთრებაში. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრისთვის მნიშვნელოვანია, რომ იპოთეკის შეწყვეტა სათანადოდ გაფორმდეს და დროულად მოხდეს ამ ფაქტის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სპეციალურ ნორმებს ამის თაობაზე სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს. ამიტომ სასურველია ანალოგიის წესით 275-ე მუხლის წესების გამოყენება და მესაკუთრისთვის იპოთეკარისაგან იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. იან კროლჰპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, „GIZ ფონდი“, 2014.
3. თამარ შოთაძე, იპოთეკა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, „მერიდიანი“, 2012.
4. ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012
5. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2014.

[7] თამარ შოთაძე. იპოთეკა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, „მერიდიანი“, 2012.

სასჯელის ცნება, მიზნები და მისი ალტერნატიული საშუალებები

თამარ ქერდიყოშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ გაბარაევი,** მოწვეული სპეციალისტი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა. [1]

დანაშაულებრიობა კი არის უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, იგი არსებობს ადამიანთა საზოგადოებაში, გააჩნია გარკვეული კანონზომიერებანი, ხასიათდება რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლებით, იწვევს საზოგადოებისა და ადამიანებისთვის ნეგატიურ შედეგს და მოითხოვს სპეციფიკურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს.[2] კონკრეტულად სანამ საუბარს განვავრცობ სასჯელის ცნებაზე, მიზნებზე და მის ალტერნატიულ სასჯელებზე და ზოგადად ამ ცნების ჩამოყალიბების ისტორიაზე, მინდა ყურადღება გავამახვილო საქართველოს სისხლის სამართალში შეტანილ ერთ-ერთ ცვლილებაზე, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 29 დეკემბერს. ეს ცვლილება შეეხო სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლს.

42-ე 5^1 მუხლის თანახმად, „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს“

ამ ცვლილებას ურთიერთწინააღმდეგობაში მოჰყავს რამდენიმე ნორმა და ეწინააღმდეგება სასჯელის უმთავრეს მიზნებს. ამ ცვლილებამდე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგებოდა ინდივიდუალურად, რაც განამტკიცებდა სისხლის სამართლის კოდექსის როგორც მე-7, ისე 39-ე მუხლებში მოცემულ დებულებას. კარგი იქნება, თუ კანონმდებელი კიდევ ერთხელ მიუბრუნდება ამ საკითხს და ამ ნორმას დაუბრუნებს პირვანდელ სახეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-40^1 მუხლის თანახმად ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამატყუნებელი განაჩენით.[3]

ჩემი აზრით, აღნიშნული ცვლილება ასევე წინააღმდეგობაშია საქართველოს უზენაეს კანონთან, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-40^1 მუხლთან. თუ კი კანონმდებელი გვეუბნება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველი დანაშაულებრიობაა, ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა დანაშაული აქვთ ჩადენილი მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს? თუ ასე მარტივად მოგვარდება პრობლემა, ჯარიმის ტვირთი პასუხისმგებელ პირზე გადადის და არა არასრულწლოვანზე ალტერნატიული სასჯელის სახით, რაც მას შეუძლია, მაშინ როგორაა შესაძლებელი არასრულწლოვანის გამოსწორება.

სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე 5^1 მუხლის და ამავე მუხლის მესამე ნაწილი შინაარსობრივად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რადგან მესამე ნაწილში ამოვიკითხავთ „ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით“. ამ ნაწილში ნათლად ჩანს, პირს, რომელსაც არ აქვს პირადი შემოსავალი, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს და დაუნიშნოს სხვა ალტერნატიული სასჯელი. სხვაა თუ არასრულწლოვანს აქვს შემოსავალი და შეუძლია თავისი შემოსავლით პასუხი აგოს საკუთარ ქმედებაზე. თუმცა მშობლის, მეურვის ან მზრუნველის პასუხისმგებლობა აღარ უნდა დგებოდეს ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო.

კაცობრიობის ისტორიაში დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სისხლის სამართლის არსებობის გამართლება ადამიანთა სასარგებლო თანაცხოვრების განვითარებისთვის სამართლის ასეთი დარგის ჩამოყალიბების უდავო საჭიროებიდან გამომდინარეობს. სისხლის სამართალი სამართლებრივ სიკეთეთა დაცვით, საერთო კეთილდღეობის ხორცშესხმასა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის შენარჩუნებას ემსახურება.

დაცული უნდა იყოს კონსტიტუციის პირველი მუხლი: „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია“. ამის გარდა, „დასჯის“ განხორციელების აუცილებელი პირობაა სამართლებრივად კონსტრუირებული ბრალის

---

[1] ოთარ გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 74
[2] ზაურ წულაია, კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი, 2000, გვ. 58
[3] საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხლი მე-40^1

არსებობა. ბრალის პრინციპის თანაბარი მნიშვნელობისაა სისხლისსამართლებრივ სანქციათა სისტემის ისეთი საფუძველი, როგორიცაა რესოციალიზაციის პრინციპი. სასჯელთა ორკვალიანი სისტემის მიხედვით, ადამიანს „დასჯასთან“ ერთად ძირითადი ყურადღება მისი უსაფრთხოებისა და გამოსწორებისთვის საჭირო „ღონისძიებებზეა“ გადატანილი.

დიდი ხანია მიმდინარეობს კვლევა, თუ რა არის დასჯის მიზანი. ძირითადად ორ მიმართულებას განასხვავებენ. ესენია: სასჯელის მიზნის აბსოლუტური და რელატიური თეორიები. განვიხილოთ ეს თეორიები ცალ-ცალკე.

ტერმინი აბსოლუტური (absulutus = მოწყვეტილი) ცხადყოფს, რომ დასჯა ამ შემთხვევაში იზოლირებულია ყოველგვარი საზოგადოებრივი ზემოქმედებისგან. სასჯელმა მხოლოდ რეპრესიულად უნდა იმოქმედოს. სასჯელის მიზნის აბსოლუტური თეორია, თავის მხრივ, ერთმანეთისგან განსხვავებულ, დანაშაულის გამოსყიდვისა და სამაგიეროს მიზღვის თეორიებს მოიცავს.

რელატიური თეორიის მიხედვით კი სასჯელი მხოლოდ პრევენციული მოქმედების ფუნქციითაა აღჭურვილი. ამ შემთხვევაში დასჯის აქტის ამოცანაა შემდგომი დანაშაულის თავიდან აცილება. [4]

სასჯელის ზოგადპრევენციულ მიზანზე მიუთითებს გარკვეულ სასჯელთა საჯაროდ ჩატარების წესი. საჯარო სასჯელები ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ძირითადად საჯარო გამოსაჩენ ადგილას ტარდებოდა. მაგალითად, ვაჟა-ფშაველა მიუთითებს, რომ ფშავში თემის ღალატისა და უკანონო სქესობრივი კავშირისათვის შესაძლო იყო ჩაქოლვის გამოყენება. აღნიშნული სასჯელის აღსრულება ხდებოდა „ხიდის ყურზე“ ან „გზის შესაყარში“, რომ ყველა გამვლელსა და გამომვლელს ენახა დამნაშავენი. ამის მიზანი იყო, რომ საზოგადოების ნებისმიერ წევრს გაეთვალისწინებინა, თუ რა მოჰყვებოდა აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, ანუ ასეთ ადგილას სასჯელის აღსრულებას გამაფრთხილებელი, პრევენციული მნიშვნელობა ჰქონდა.[5]

ცნობილია, რომ ნორმატიული ანუ შეფარდებითი თეორიის მიხედვით, რომელიც თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს გაბატონებულ მოძღვრებას, ბრალი (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველი) არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. მისი მოკლე ფორმულით, ბრალი არის გასაკიცხაობა და არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი. ე. ი. ბრალი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მოსამართლე დაადგენს პირის ბრალეულობას.

ახლა მინდა ვისაუბრო მთავარ საკითხზე სასჯელზე და მის ცნებაზე.[6] სისხლის სამართალმა თავისი არსებობის განმავლობაში მრავალი ეტაპი და განვითარებისაკენ მიმართული საფეხური გაიარა, ჯერ კიდევ რომის სამართალი იცნობდა დანაშაულისა და სასჯელის ცნებებს. რომის სამართალი კი გამოირჩევა სასჯელთა სახესხვაობებით.

XII ტაბულის კანონების მიხედვით სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა საკრალური დანაშაულის ჩამდენს, ვინც ღვთის ნებას შეეწინააღმდეგებოდა. ამავე კანონების მიხედვით, ქურდობის ჩამდენ მონას ჯერ გაშოლტავდნენ, ხოლო შემდეგ გადააგდებდნენ ტარპეის მთიდან (რომის მახლობლად). სასჯელის მრავალი სახე მიზნად ისახავდა სამაგიეროს მიზღვასა და ფიზიკურ წვალებას. სასჯელთა სახეებიდან გამოირჩეოდა სიკვდილით დასჯა. სიკვდილით ისჯებოდნენ მძიმე სახელმწიფო, ზოგჯერ სხვა სახის დანაშაულებისთვისაც. სასჯელის ცალკე სახეს წარმოადგენდა თემიდან მოკვეთა და გადასახლება. გამოიყენებოდა სხეულის დამაზიანებელი სასჯელები. ამისათვის გამოიყენებოდა მათრახი, როზგი და შოლტი.

სასჯელის განსხვავებულ, ცალკე სახეს წარმოადგენდა ჯარიმა. ჯარიმებს აკისრებდნენ, როგორც დანაშაულის ჩადენისთვის, ისე მაგისტრატების ბრძანებების შეუსრულებლობისათვის. იმპერიის პერიოდში ჯარიმის პარალელურად ფართოდ გამოიყენებოდა ქონების კონფისკაცია და იმპერატორის ხაზინაში მისი ჩარიცხვა. [7]

დღესდღეობით რომის სამართლისაგან განსხვავებით, სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება. „სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39[3] მუხლი).

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს

---

[4] იოჰანეს ვესელსი, ვერნერ ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება. გამომც. თბილისის უნივერსიტეტი, 2010, გვ. 2-6

[5] დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, „მერიდიანი“, 2011, გვ. 191

[6] მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, „მერიდიანი“, 2011, გვ. 403-404

[7] ვალერიან მეტრეველი, რომის სამართალი და საფუძვლები, „მერიდიანი“, 2013, გვ.112-116

შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის ღონისძიებებს. ქვეყნების უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებით ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში, კანონმდებლობებმა გაიარა სტადიები. თითოეულ სტადიას ახასიათებდა საკუთარი პრივილეგირებული სასჯელები, სხვების გამომრიცხავი და სხვების დამჩაგრავი. პირველი ფაზა დასრულდა XVIII საუკუნეში და ეს იყო ფიზიკური სასჯელების (სიკვდილით დასჯა, წამება, კატორღა) ზეობის პერიოდი. მეორე ფაზა XIX საუკუნეზე მოდის და ახასიათებს თავისუფლების აღკვეთის აღზევება. ამ სასჯელს პ. როსი მიიჩნევდა „განვითარებულ ქვეყნების საუკეთესო სასჯელად"

XIX საუკუნეში გერმანიაში, ფონ ლისტმა გააკრიტიკა ხანმოკლე პატიმრობა, რომელიც დესოციალიზებას ახდენდა სათანადო მოპყრობის გაუთვალისწინებლად. ასე დაიწყო მესამე ფაზა, როდესაც თავისუფლების აღკვეთა შეცვალა ანგლო-საქსურმა პრობაციამ.

XX საუკუნის შუა წლებში ვითარდება თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელები: ჯარიმა, მანქანის მართვის ნებართვის ჩამორთმევა, ან დროებით დაუქმება, კონფისკაცია, პროფესიული აკრძალვები და ა.შ.შ. ეს არის მეოთხე ფაზა. ბოლო, მეხუთე ფაზა 1980-1990 წლებზე მოდის და ინიციატორი იყო აშშ. იქმნება თავისუფლების აღკვეთის და პრობაციის შუალედური სასჯელები. (Intermediate punishments)[8]

ზოგადად სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში ჩამოყალიბებულია სასჯელის მიზნები, ესენია: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის მიზნებს განსაზღვრავს აბსოლუტურ და პრევენციულ თეორიათა სინთეზირების გზით. აბსოლუტური თეორიის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, პრევენციული თეორიის მიხედვით კი ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

სასჯელის სახეებია: ა) ჯარიმა, ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, გ) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, დ) გამასწორებელი სამუშაო, ე) სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა, ვ) თავისუფლების შეზღუდვა, ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა, ი) ქონების ჩამორთმევა. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ძირითად და დამატებით სასჯელებს. მაგალითად, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელებად, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ქონების ჩამორთმევა კი მხოლოდ დამატებით სასჯელად დაინიშნება. განვიხილოთ ცალ-ცალკე თითოეული:

ჯარიმა - არის ფულადი გადასახდელი, რომელიც სასამართლოს მიერ ინიშნება. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი იმ დანაშაულისთვის, რომლის სასჯელი არ აღემატება თავისუფლების აღკვეთის სამ წელს. დანარჩენ შემთხვევაში მისი ოდენობა არ უნდა იყოს 2000 ლარზე ნაკლები. ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს მაშინაც, როცა იგი კერძო ნაწილის, მუხლის სანქციაში დამატებით სასჯელად არ არის გათვალისწინებული.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა - მსჯავრდებულს შეიძლება აეკრძალოს თანამდებობის დაკავება სახელმწიფო სამსახურში ანდა სხვაგვარი პროფესიული საქმიანობა. იგი ძირითადად ინიშნება 1-დან 5 წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად 6 თვიდან სამ წლამდე ვადით.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - ინიშნება 40-დან 800 საათამდე ვადით, ყოველდღიურად არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. 2008 წლამდე დღიურად არ აღემატებოდა 4 საათს, რა დროსაც თავისუფლად შეეძლო პირს ეკეთებინა თავისი საქმეც და შეესრულებინა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაც.

გამასწორებელი სამუშაო - ინიშნება 1 თვიდან 2 წლამდე ვადით. მისი მოხდა ხდება მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე. და მდგომარეობს მისთვის 5-დან 20%-მდე ხელფასის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაქვითვაში.

სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა - ინიშნება 3 თვიდან 2 წლამდე ვადით, ხელფასიდან 20%-მდე დაკავებით. ამ პერიოდში არ შეიძლება მისი დაწინაურება და ეს დრო მის სამსახურეობრივი დამსახურების წლებში არ ჩაითვლება.

თავისუფლების შეზღუდვა - ესაა ერთ-ერთი გამორჩეული და ჰუმანური ინსტიტუტი, რომელიც ენიშნებათ ნასამართლეობის არმქონე პირებს 1-დან 5 წლამდე ვადით. სამწუხაროდ, სასჯელის ეს ფორმა

[8] ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, „სანი", 1999.

ფართოდ არ გამოიყენება ვინაიდან არაა შესაბამისი პირობები, ანუ არაა მსგავსი დაწესებულებები. ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ მიექცევა ყურადღება ფართოდ ამ სასჯელის ამოქმედებას, ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში დანაშაულის პრევენციასა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების გამოსწორებას.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება 6 თვიდან 20 წლამდე ვადით. დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს. არასრულწლოვანს კი 14-დან 18 წლამდე ასაკში დანაშაულის ჩადენისათვის ენიშნება თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 10 წლისა. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, არა უმეტეს 15 წლისა.

უვადო თავისუფლების აღკვეთა ინიშნება, მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაეკისრება მას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი, ან ვისაც განაჩენის გამოტანისას შეუსრულდა სამოცი წელი.[9]

ქონების ჩამორთმევა - სისხლის სამართლის კოდექსში დღეს არ არსებობს არავითარი მითითება დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობაზე, რომლის ჩადენის დროსაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის ეს სახე. საკანონმდებლო დეფინიციით, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს, დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

სისხლის სამართლის კოდექსი განვითარების ეტაპებზე იცვლებოდა, იხვეწებოდა და მათ შორის ცვლილება შეეხო სასჯელის სახეებსაც. სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსება, როგორც სასჯელის ღონისძიება, ამოღებულ იქნა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიდან მასში 2000 წლის 5 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით. იგი ინიშნებოდა 3 თვიდან 2 წლამდე ვადით. სასჯელთა სისტემიდან ამოღებულ იქნა ტუსაღობა. იგი მდგომარეობდა საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციაში და ინიშნებოდა 1-დან 6 თვემდე ვადით.

სიკვდილით დასჯა, რომელიც არსებობდა ყველა ქვეყანაში და რომელიც ავტორიტარული მოდელის მახასიათებელი იყო გაუქმდა ქვეყნების უმეტეს ნაწილში და შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის კანონმდებლობა, ქვეყნების პირველ ტიპს შეადგენდა სამართლებრივად აბოლოციონისტი ქვეყნები, მაგალითად ევროპის. მეორე ჯგუფში გაერთიანდნენ ფაქტობრივად აბოლიციონისტი ქვეყნები, ასეთი ქვეყნებია საბერძნეთი და ბელგია. და ბოლო მესამე ჯგუფს შეადგენენ არააბოლიციონისტი ქვეყნები, მათ რიცხვშია აფრიკის თითქმის ყველა სახელმწიფო და აზიის ქვეყნების უმეტესობა.

კოდექსმა განსაზღვრა შემამსუბუქებელი გარემოებათა არსებობისას სასჯელის დანიშვნის წესი. მოსამართლის უფლებაა გარკვეული პირობების არსებობისას დანიშნოს კანონით გათვალისწინებული კონკრეტული სანქციის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა. ასეთი შეღავათები შესაძლებელია, როდესაც მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. თავისებურებებით ხასიათდება დანაშაული რეციდივის დროს, კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებდა: რეციდივს, საშიშ რეციდივს და განსაკუთრებით საშიშ რეციდივს, ეს განსხვავება დღესდღეობით ამოღებულია.[10]

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ წამახალისებელი ნორმები, რომლებშიც მოცემულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების სახეები, საფუძვლები და წესი. არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემდეგი საფუძვლები: ქმედითი მონანიება, დაზარალებულთან შერიგება, ვითარების შეცვლა, გამოძიებასთან თანამშრომლობა, ხანდაზმულობის ვადის გასვლა.

სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლები კი შემდეგია: სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო, ორსული ქალის და მცირეწლოვანი შვილის დედის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება, ამნისტიის, შეწყალებისა ნასამართლობის გაქარწყლებით.

მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან მოიხადა 25 წელი და სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარაა სასჯელის მოხდა.

სისხლის სამართლის კოდექსის 70^1-ე მუხლის საფუძველზე ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ ნიშნავს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლებას.

[9] მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010.

[10] მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010.

ლიტერატურა:
1. მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა. თბილისი, 2010.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2014 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით.
3. ვალერიან მეტრეველი, რომის სამართალი და საფუძვლები, „მერიდიანი“, 2013.
4. თამაზ დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2002.
5. ოთარ გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005.
6. მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, „მერიდიანი“, 2011.
7. ზაურ წულაია, კრიმინოლოგია. ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი, 2000.
8. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2014.
9. იოჰანეს ვესელსი, ვერნერ ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, გამომც. თბილისის უნივერსიტეტი, 2010.
10. დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, „მერიდიანი“, 2011.

ქართული ენა

მცენარეთა სახელდებისათვის გორის რაიონის სოფლებში ჩაწერილი მასალების მიხედვით

მარიამ კვაღნიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

გორის რაიონის სოფლებში: ყელქცეულში, შინდისში, ფხვენისსა და სხვაგან ტოპონიმიკურ-ონომასტიკური მასალების პარალელურად, გვერდით საკითხებსაც ვიწერთ, მათ შორის, მცენარეთა სახელებსაც, რომელთა გამოვლენაც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს.

მცენარეთა სახელები, მათი რეალური, ბოტანიკური სახეობები შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისტემათა სიმრავლე, რომელიც მხარის ისტორიასთან, მეურნეობასთანაა დამოკიდებულებაში, ასევე ისეთი მიდგომა, რომელიც ენასთან არის დაკავშირებული უპირველესად კი მორფოლოგიასთან, სიტყვის ფორმასთან.

ჩაწერილ მცენარეთა სახელების დაჯგუფება შეიძლება, მაგრამ ისინი საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. წარმოგიდგენთ ისეთ ფიტონიმებს, რომლებიც მოტივირებულია ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა სახელებით. თვით „ფიტონიმი“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად მცენარის სახელწოდებას ნიშნავს. ჩაწერილი მასალების უმრავლესობა სამეცნიერო მიმოქცევაშია შესული, ზოგიერთის გამოკლებით. სახელწოდებები შევადარეთ ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონს“, მერი მესხიშვილის „ქართულ ლექსიკონს“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“.

ჩაწერილი მასალებიდან მოტივაციის ერთ-ერთი პრინციპია მცენარის მიმსგავსება ცხოველებზე, ფრინველებზე, მწერებზე ფორმის, ზომის მიხედვით. ამ მოდელის ენობრივი გამოხატვის საშუალებად გამოყენებულია ორწევრიანი კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი ყოველთვის ზოონიმითაა გამოხატული, ხოლო მეორე ნაწილი იმ ორგანოს სახელია, რომელთანაც მიმსგავსებულია მცენარის რომელიმე ორგანო.

1. მიმსგავსება ფორმის და ზომის მიხედვით:

ზღარბა-ბალახი, რომელსაც აქვს ეკლიანი ფოთლები

ზღარბა სოკო, რომელიც წიწიბურებად ანუ ოდნავ დატოტვილი ნაწიბურებით გამოირჩევა, ეკალთან მიმსგავსებით.

ბატის მარწყვი - მინდვრის მარწყვია, რომელსაც პატარა, წვრილი ნაყოფი აქვს. ძირითადად მზვარე ადგილებში მოიპოვება. შესულია ალ. მაყაშვილის ლექსიკონში. სულხან-საბას ლექსიკონში ის განმარტებულია, როგორც ღერღეტის ბალახი.

დათვის მარწყვი - მსხვილია და თავისი აგებულებით შინაურს მოგვაგონებს. ის ძირითადად ბუჩქნარების პირას ან ტყის პირებში მოიპოვება.

ცხენის ძუძუ - აგებულებით მოგრძო მოყვანილობის სოკოა, რომელიც ძუძუსთან არის შედარებული.

მხარეში, სადაც ძველი დროიდან ხალხი მესაქონლეობით ირჩენდა თავს, მცენარეთა სახელები მიმსგავსებულია ცხოველების რომელიმე ორგანოსთან, ნაწილთან.

ასეთებია: ცხენისკუდა, იგივე ვირისტერფა. რომლებიც ძირითადად ყელქცეულსა და ზემო ნიქოზშია დადასტურებული. ასევე ცხვარა, ცხვრის სამყურა, ცხვრის წივანა, ძაღლის ენა, ძაღლის პიტნა, ძაღლის სატაცური, ძაღლნიორა, რომელსაც ასევე თავნიორა ეწოდება, ძაღლყურძენა და სხვა.

ზოგიერთი ზოონიმი გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობით: ჩიტისთვალა, მეფისთავა, მელაკუდა, ასევე ვენახის მელაკუდა.

მსგავსება ფერის მიხედვით:

კრაზანა-ყვავილია, რომელიც გამოიყენება სამკურნალოდ და, ფერის მიხედვით, კრაზანას მსგავსია.

კაჭკაჭა - არის ერთგვარი ლობიოს ჯიში, თეთრი ფერისა, მაგრამ შავლაქიანი, რომელიც ამ ფრინველის კუდს ემსგავსება.

ცხვარიო ან ცხვარისა - თეთრი ფერის სოკოა, მინდვრად განფენილი. ასევეა ნაცარქათამა, ქათმისქონა, რომლისგანაც ერთგვარი მასალა მზადდება გაზაფხულობით „ხიხრიკაობის დროს, როცა გლეხს პროდუქტების მარაგი გამოელეოდა“. (ჩაწერილი მასალების მიხედვით).

ზოგიერთი მცენარის სახელი კუთვნილების მიხედვით არის მოტივირებული, მაგალითად, ზემოხსენებული ცხვრის წივანა, რომელიც ნიქოზსა და ყელქცეულს შორის აღინიშნებოდა და ახლაც არის საძოვარი, სადაც ეს ბალახი მოიპოვება.

დათვისმსხალა მომრგვალებული ნაყოფია მსხლისა, რომელიც ძირითადად მინდვრის განაპირა ადგილებში იყო დარგული, სადაც სოფლის მოსახლეობა მინდვრის სამუშაოების დროს ისვენებდა და ამ მსხალსაც საჭმელად იყენებდა, მაგრამ ის, ძირითადად, გარეული ცხოველებისთვის იყო, ანუ ისინი მიირთმევდნენ.

ასეთივე სახელებითაა დათვის მსხალი, დათვის პანტა, დათვის კენკრა, დათვის ყურძენი, კატაბალახა - იგივე უსურვაზი.

თუ მცენარე ადამიანისათვის მაწყინარია, არასარგებელია და უარყოფითი თვისებებით ხასიათდება, ზემოხსენებული სოფლის მცხოვრებლები ამ შემთხვევაში მოტივაციის მიზნით იყენებენ იმ ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავლების სახელებს, რომელთა მიმართაც ადამიანი უარყოფითადაა განწყობილი. ეს ზოონიმებია: ვირი, გველი. ასევე უარყოფითი დატვირთვა აქვთ ისეთ ზოონიმებს, როგორებიცაა ძაღლი, ღორი, თაგვი, ყვავი. მაგალითად: გველის ენა, გველის სურო, ვირისტერფა, ჯორის ქუსლა, თაგვისკუდა, თაგვის ცერცველა, ძაღლის ენა, ყვავის კუდა, ძაღლის სატაცურა, ღორთიფქვილა, იგივე ჩადუნა, ღორთკაჭაჭა, იგივე ვარდკაჭაჭა, ღორისსაჩეჩელა, ღორის ჩაი და სხვა.

ლექსიკური თვალსაზრისით ჩაწერილი მასალებიდან ნიშანდობლივია - ა დაბოლოებიანი სახელები, რომლებიც შედარებით დიდი რაოდენობითაა.

მიჩნეულია, რომ სახელებში _ ა არის მქონებლობის აღმნიშვნელი სუფიქსი ან კნინობით-ალერსობისა (შანიძე, 1980, გვ. 120-126). არის სხვა შეხედულებებიც, მაგრამ ჩანს, რომ ქართულში ამ სუფიქსის ძირითადი ფუნქცია მქონებლობის აღნიშვნა უნდა იყოს, რადგან ხშირად არის გამოვლენილი სხვადასხვა სახელების გამოვლენისას.

რისამე მქონებლობა: ზღარბა, ფუტკარა, ვაშლანა. რაიმე ნიშანთვისების ან მსგავსების მქონებლობა.მართალია _ ა საწარმოქმნო სუფიქსია, მაგრამ შეიძლება ის ფუძისეული ხმოვანი იყოს: კამა, ია, კომშა. ამიტომ საჭიროა იმის გაგება, თუ რატომ არის - ა საწარმოქმნო საშუალება.

- ა დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და გამოხატავს რაიმე ნიშან-თვისებას ან მქონებლობას. მაგალითად, შხამა ან ცოცხა, ცოცხის მსგავსი.

დაერთვის ზედსართავი სახელის ფუძეს და აღნიშნავს მცენარის რაიმე ნიშან-თვისებას- ჭრელა.

კომპოზიციას, რომლის პირველი კომპონენტი ა სუფიქსიანი სახელია: ჩიტავაშლა, ძაღლაყურძენა, კატაბალახა, მელაკუდა. გამოხატავს მართულმსაზღვრელიან კომპოზიციას: ცხენისწაბლა, ჩიტისთვალა, ცხვრისწივანა, ძაღლის ენა, ვირისტერფა, დათვის კენკრა, ყვავისკუდა და სხვა.

მცენარეთა სახელდების დროს რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობა ძირითადად _ ა სუფიქსს უკავშირდება, რომელიც ხშირად დასტურდება ფიტონიმებში, ამიტომ დგება საკითხი ამ სახელწოდებების ძველი ძირების ძიებისა, რაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი იქნება.

ლიტერატურა:
1. მ. მესხიშვილი, ქართული ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 2006.
2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, II, თბილისი, 1991.
3. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, მეცნიერება, 1991.
4. თ. ბეროზაშვილი, თ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1981.
5. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტომი II, თბილისი, 1980.

ჯემალ აჯიაშვილის თარგმანის ერთი ენობრივი თავისებურება

მარიამ ოქროპირიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** პროფესორი

ქართულ ენაში არსებული სიტყვათა მარაგს ათ მეტყველების ნაწილად ყოფენ, რომლებიც შემდგომ სამ ჯგუფს გვაძლევენ: სახელების, ზმნებისას და უდეტრებისას. პირველი ჯგუფი ენაში არსებულ ოთხივე სახელს მოიცავს. მეორე ზმნას სრულად, მესამე კი იმ დანარჩენ მეტყველების ნაწილთ, რომლებიც არც ზმნები არიან და არც სახელები.

სახელი ქართულ ენაში მარტივი შინაარსისაა და მხოლოდ ორი მორფოლოგიური კატეგორია აქვს: რიცხვისა და ბრუნვისა.

ზმნა მეტყველების ნაწილთაგან ერთ-ერთი ურთულესთაგანია. ამ უღლებად სიტყვას თოთხმეტიოდე მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა, მწკრივი, გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი.

ზმნის საზიარო მორფოლოგიური კატეგორია სახელთან რიცხვია.

აშკარად ნათელია, თუ რაოდენ დიდია ზღვარი მეტყველების ამ ორ დიდ ჯგუფს შორის, მაგრამ ეს ზღვარი დრეკადია: შესაძლებელია ზმნის წარმოება სახელისაგან და საპირისპიროდ სახელის მიღება ზმნისაგან. ამის დამადასტურებელია ქართულ სალიტერატურო ენაში ნასახელარი ზმნებისა და ნასახელარი სახელების არსებობა. აქ და შემდგომ მაგალითები მოგვყავს „შუა საუკუნეების პოეზიის ჯემალ აჯიაშვილისეული თარგმანებიდან.

ნასახელარი ზმნები

ა) ნაარსებითსახელარი: მოციქული-გვიმოციქულებს, მანდიკური-ვამანდიკურებ, დაისი-მიადაისებს, ნარგიზი-მოგინარგიზებიაო, დარბაზი-მოგიდარბაზებიაო, ვენახი-მიავენახებს.

ბ) ნაზედსართავსახელარი: უდაბური-მიუდაბურებს, უდღეური-მიუდღეურებს.

გ) ნანაცვალსახელარი: თავისი-ითავისებს, სად-სადაობს, თვისი-ეთვისება.

ნაზმნარი სახელები: თხრა-თხრილი, ჭრა-ჭრილი.

პროცესი ზმნიდან სახელის წარმოებისა და, პირიქით, სახელიდან ზმნისა, აგრერიგად რომ წარმოაჩენს ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, მოქნილობას, მაღალუნარიანობას, იმდენად ბუნებრივია და ენის მიერ გათავისებულია, რომ ზმნიდან ნაწარმოები სახელისაგან შესაძლებელია ზმნის ხელახლა მიღება. ამის დასტურად აკაკი შანიძისეულ მაგალითს მოვიყვანთ: „ტირილი“ თვითონ მასდარია, ანუ სახელზმნა, ე. ი. ზმნისაგან (ტირს) ნაწარმოები სახელი, რომლისგანაც ხელმეორედ შეიძლება ზმნის წარმოება. (1, 40) ტირს-ტირილი-ატირდა.

სახელისა და ზმნას შორის ზღვარის არამდგრადობაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართულ ენაში საწყისის არსებობა. სწორედაც, რომ არ ცდებოდა ანტონ პირველი, როდესაც მეტყველების ამ ნაწილს, ამ გარდამავალ საფეხურს სახელსა და ზმნას შორის სახელზმნა უწოდა. სახელზმნა ზმნის უპირო ფორმაა. ზმნის უპირო ფორმები კი ქართულ ენაში ბრუნვიანია და წინადადებაში მათ იგივე ფუნქცია აქვთ, რაც სახელებს. სახელზმნათა ბრუნებადობის მაგალითები: ციაგ-ი, ციაგ-მა, ციაგ-ს, ციაგ-ის.... რთხმევა, რთხმევა-მ, რთხმევა-ს, რთხმევ-ის.....

წინადადებაში სახელის ფუნქციანი სახელზმნა

ა) აღარც ვედრება,

აღარც ყვედრება.....
ოდენ კვამლი კრთის თხემთა ზედაო,
არც მხედრიონის ამომხედრება, არც მოძახილი მოლაშქრეთაო. (3, გვ. 30)

ბრუნვიანობისა და წინადადებაში სახელის ფუნქციის გამო სახელზმნები სახელებია, მაგრამ ამასთანავე, მათი ადგილი უფრო ზმნათა სისტემაშია, რადგან ზმნასთან მათ აერთიანებთ ლექსიკური შინაარსი, წარმოება და გამოყენება მესამე სერიის ფორმათათვის. (2, გვ. 555)

ქართულ ენაში ზმნა ორი სახისაა: ძირეული ანუ პირველადი და ნასახელარი ანუ მეორადი. აკაკი შანიძის განმარტებით, პირველადია ზმნა, რომელიც პირველთაგანვე ზმნა იყო და ზმნადვე დაარჩა. (1, გვ. 39) (რბის, ცლის, წნავს....). ასეთი ზმნა წმინდაა. მაგრამ ამ ტიპის ზმნები ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენენ.

ნასახელარი ზმნის რაობა კი თავად მისი დასათაურებიდანაც ნათლად ჩანს. აკაკი შანიძე შემდეგნაირად განმარტავს: მეორეულია, რომელიც პირველად სახელი იყო და მერე ზმნად იქცა (1, გვ. 39). ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა ნასახელარი ზმნის აზრობრივ ძირს სიტყვის მნიშვნელობის განვითარების შედეგად დაეკარგოს დამოუკიდებელი მნიშვნელობა (სახელი იყო და მერე ზმნად იქცა). ზმნისგან ნაწარმოებ სახელს ყოველთვის მიჰყვება თავისი ზმნური ნიშნები, რომლებიც მან შეიძლება დაკარგოს და ჩვეულებრივ სახელებში გადავიდეს („თხრილი," „კრებული"), მაგრამ ეს ხდება სიტყვის მნიშვნელობის განვითარების შემდგომ საფეხურზე. ხოლო, როცა სახელისაგან ზმნას ვაწარმოებთ, მას სახელისა არა შერჩება რა (2, გვ. 557), გარეგნულად გვექნება წმინდა ზმნა, და უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ძირის პოვნა, დადგენა იმისა, თუ, კერძოდ, რომელი სიტყვისაგან მომდანარეობს. ნაზმნარ სახელებში კი ამის დადგენა ჭირს. ეს გრამატიკული პროცესი ხშირად ისე ღრმად მიდის, ისტორიულად ისე შორსაა, რომ შეუძლებელი ხდება დადგენა იმისა, წმინდა ზმნაა, ნასახელარი თუ ნაზმნარი სახელისაგან ხელახლა ნაწარმოები. სწორედ ეს მოვლენა შეინიშნება „ წვიმს" ტიპის ზმნებში. ძნელია დაბეჯითებით თქმა იმისა, „წვიმა" - დანაა ნაწარმოები „წვიმს", თუ „წვიმს"-დან - „წვიმა". ამ შემთხვევაში „წვიმა" ორნაირად შეიძლება გავიგოთ: პირველი, როგორც არსებითი სახელი, მეორე – როგორც სახელზმნა.

ჩვენი აზრით, „წვიმის" მაგალითიდან ნათლად ჩანს ამ ტიპის ზმნათა წარმოშობის საკითხი. სწორედ არსებით სახელს დაესესხა სახელზმნა და მისი უცვლელი გრამატიკული ფორმა გამოიყენა თავისი თავის, თუმცა შინაარსობრივად სხვა არსის გამოხატვაში. სახელიდან წარმოებული იქნა საწყისი. რა გასაკვირია, რომ ზმნაც სწორედ მისგან იღებს სათავეს.

ჯემალ აჯიაშვილის თარგმანებში წმინდა ზმნებს ნასახელარი ზმნები ჭარბობს რიცხობრივად. თარგმანებისას მეორეული ზმნების ხმარება ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა პოეტის ენისა. მთარგმნელი ფართოდ იყენებს ნასახელარ ზმნებს, უმთავესად ნაარსებითსახელარსა და ნაზედსართავსახელარს, ზოგჯერ ნანაცვალსახელარსაც. ვერ ვხვდებით ნარიცხვითსახელარ ზმნებს, რაც, ალბათ, თავად პოეზიის ბუნებიდან მომდინარეობს, დასტურდება აგრეთვე ნაზმნიზედარი ზმნების ხმარებაც, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს პოეტის ენის მაღალპოეტურობაზე, მოქნილობასა და ინდივიდუალობაზე. ეს კი (ე. ი. მეორეული ზმნების ხმარება) სათანადო ეფექტს იწვევს და ძლიერ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

შეგეყრები შორიახლო,
შეგეშარვანდებიო,
ჰალილუ!.....
ბინდის მაცნე მოიხელთა,
ნისლი მოაქამანდაო...
მოეც სულთა სიამეო,
კვლავაც ცეცხლად იალეო...
გადმოაგე ნათლის სვეტი,
სული აგვიმზიანეო... (3, გვ. 144-146)

როდესაც ჯემალ აჯიაშვილის პოეტურ ენაზე ვსაუბრობთ, მის თავისებურებად მივიჩნიეთ ნასახელარი ზმნების სიჭარბე. ყოველივე ეს მწერლის ენის მაღალპოეტურობაზე მეტყველებს.

ერთი და იმავე ძირისაგან პოეტი მრავალნაირ ზმნას აწარმოებს. ოსტატურად უჩენს მათ კუთვნილ ადგილს და ამ ხერხით თითოეულ სიტყვას ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ნიუანსს, მაღალ ემოციურობას და ჟღერადობას ანიჭებს. ახლა ნასახელარი ზმნის მაგალითს მოვიყვანთ. ზმნის ძირი არსებითი სახელია - „მზე".

მზე-ობდა	აა-მზე-ვეთ
მზე-ობს	აგვა-მზე-ვე
ა-მზე-ვებს	ამა-მზე-ვო

არსებითი სახელისაგან „ მზე“ ნაწარმოები ზედსართავი სახელი „ მზიანი“.

ა-მზიან-და	აგვი-მზიან-ეო
ავა-მზიან-ოთ	მოგვი-მზიან-ო
ავა-მზიან-ე	ამი-მზიან-ა
ამა-მზიან-ე	ჩამო-მზიან-დი

მაგალითისთვის მოვიყვანთ ჯემალ აჯიაშვილის თარგმანებიდან ნასახელარი ზმნების კიდევ ერთ ნაწილს: მოვლანდე, გამიფერშავე, აგეზღუდები, მესიმღერება.

მოგირთვია სხვათა მდელო,
მოგიდარბაზებიაო.....
მოგიქარგავს სევდის სახლი,
მოგინარგისებიაო.....
შორით ხმობენ ასოები,
მივეშორიახლოები .....(3, გვ. 71)

ჯმალ აჯიაშვილი ხშირად იყენებს ძველი ქართული ენის ფორმებსაც. მაგ: გვედრი, ვმწყისდი, გინდის, იკეთა, ვიენოთ.....

„გ-ვედრ-ი-ს“ („მე კი შენ გვედრი-ისევ მალხინო, ისევ მეტკბო მეანდამატო“.....) შესატყვისი „გ-ე-ვედრ-ებ ი“ უნდა იყოს, ე პრეფიქსინი, ებ თემისნიშნიანი ვნებითი. „გვედრი“ კი უთემისნიშნოდ და უპრეფიქსოდ ნახმარი ვნებითი გვარის ზმნა.

ნასახელარი ზმნების შესწავლა პოეტ ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებაში უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: პოეტი ნასახელარ ზმნას უფრო ხშირად ხმარობს, ვიდრე წმინდა ზმნებს, რაც ქართული ენისათვის გარკვეულწილად იშვიათობაა. ხმარების სიხშირის მიხედვით ისინი შემდეგი მიმდევრობით შეიძლება განვალაგოთ: ნაარსებითსახელარი, ნაზედსართავსახელარი, ნანაცვალსახელარი. ჩვენს მიერ თარგმნილ ნაწარმოებებში ნარიცხვითსახელარ ზმნებს ვერ ვხვდებით. თარგმანები გამოირჩევა ჯემალ აჯიაშვილის პოეტური ენის ესოდენ მკვეთრი თავისებურებებით მეორეული ზმნების სიჭრელით, რაც პოეტის შემოქმედებითი სტილია, აჯიაშვილისეული და არა სხვისი.

ჩვენ შევეცადეთ ჩვენს ნაშრომში წარმოგვედგინა ჯემალ აჯიაშვილის თარგმანის ერთი თავისებურება. შევეცდებით ამ მიმართულებით მომავალშიც გავაგრძელოთ კვლევა და სხვა ბევრი საინტერესო მასალა წარვუდგინოთ მკითხველს.

ლიტერატურა:

1. აკ. შანიძე, თხზულებანი, ტომი მესამე, თბ., 1980.
2. აკ. შანიძე, თხზულებანი, ტომი მეორე, თბ., 1981.
3. შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, თბ., 1979.

სოფელ ხელთუბნის ანთროპონიმები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით

რუსუდან ტატიაშვილი, ნათია ტერტერაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

სპეციალურ ლიტერატურაში ანთროპონიმი განმარტებულია, როგორც ინდივიდის აღმნიშვნელი ნებისმიერი წარმოშობის საკუთარი სახელი, რომელსაც ესა თუ ის პირი ატარებს. ისტორიულად ქართული ანთროპონიმული სტრუქტურა ჩვეულებრივ ორწევრაა. სინტაგმას ქმნის პირის საკუთარი სახელი + ნათესაობით ბრუნვაში დასმული წინაპრის სახელი.

ანთროპონიმიდან გაჩნდა ტერმინები ანთროპონიმია და ანთროპონიმიკა, რომლებიც სწავლობენ გვაროვნულ-კრებით სახელებს, ზედმეტ სახელებს, სახელის წარმოშობის ისტორიას და რომელიც მეცნიერების სხვადასხვა დარგთან არის დაკავშირებული.

ქართული ანტროპონიმების შესახებ ინფორმაცია დაცულია ქართულ ისტორიულ და საეკლესიო ძეგლებში. თუმცა, სტატისტიკურ-დემოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები საქართველოს ისტორიის ფეოდალურ ხანას რომ შეეხება, მეტად მცირედ მოგვეპოვება. ეს გარემოება ამ ხასიათის საბუთების დაუცველობა-შემოუნახველობას მიეწერება და არა მათ ოდითგანვე არარსებობას. ნ. ბერძენიშვილიც ცნობით, ერთ ძველ ქართულ წყაროში დაცული ცნობა, რომლის მიხედვით გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ წესი შვიდ წელიწადში ერთხელ ხალხის აღწერისა შემოსულია ჩვენში არა XVII-XVIII საუკუნეებში, არამედ გაცილებით ადრე, რომ ეს წესი, უკვე არსებობდა ქართული ფეოდალური ურთიერთობის დიდი აღმავლობის ხანაში. აგრეთვე, არსებობს გაყრის წიგნები (ბარათები) და საეკლესიო აღწერის წიგნები, საიდანაც ვიღებთ ფასდაუდებელ ინფორმაციას ქართული ანთროპონიმების შესახებ.

ჩვენი თემის მიზანია, გორის რაიონ სოფელ ხელთუბნის ანთროპონიმების შესწავლა ისტორიული თვალსაზრისით. ხელთუბნის გვარ-სახელების შეკრება და შესწავლა საინტერესოა ისტორიულ-ენობრივი თვალსაზრისით. რამდენიმე დოკუმენტი არსებობს ამ მიმართულებით და ერთ-ერთი მათგანია საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, რომელშიც სოფლის მეთვრამეტე საუკუნის გვარ-სახელებია დაფიქსირებული. ეს დოკუმენტი განხილული აქვს ივანე ჯავახიშვილს 1967 წელს გამოცემულ „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლების" პირველ წიგნში.

აღნიშნულ წიგნში შეტანილია ერთი ნაწყვეტი ასეთი სათაურით „ლეხურის ხეობის მცხოვრებთა აღწერის XVIII საუკუნის შუაწლების დავთრის ნაწყვეტი". ეს დავთარი ექვსი სხვადასხვა კეფისაგან შედგება. კეფას, ანუ ფარდებს სათვალავი არ უწერიათ, ამიტომ თავში რამდენიმე კეფა უნდა აკლდეს. ეს გამოურკვეველი რჩება. გრაგნილის სიგრძე 2,51 მეტრია, სიგანე – 17 სმ. მას თავში მარჯვენა მხარე ირიბად ცოტა მოგლეჯილი აქვს (ამჟამად ეს გრაგნილი რესტავრირებულია). იგი მხედრულად არის მეტად აჩქარებით დაწერილი, უფრო მეტად კი მეორე ნახევარი ნახევარში ნაწერი. ხალხის აღწერის წესით სხვა დავთრებისგან განსხვავდება: არც თავისა და არც კომლის რიცხვი აღნიშნული არ არის, მხოლოდ ჯამში, დასახელებული რიცხვი სწორედ კომლის, ანუ, როგორც ძეგლშია ნახმარი, „მეკომლის" რაოდენობას გამოხატავს. დავთრის ეს ნაწყვეტი სულ ოთხი-ხუთი სოფლის მცხოვრებთა აღწერილობას წარმოადგენს შიგ მოხსენიებულ პირთა ზეობის მიხედვით. ეს ძეგლი, როგორც „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში" აქვს გამოკვლეული წიგნის ავტორს, ივანე ჯავახიშვილს, XVIII საუკუნის შუაწლების აღწერის დავთრის ნაწყვეტად უნდა იქნეს მიჩნეული.

დავთრის ნაწყვეტი დაყოფილია ქვეთავებად:

1. „გარეჯვარს თუმნია";
2. „იქით გარეჯვარს";
3. „გორის ახალდაბას";
4. „ქ. ხელთუბანს თუმნიანთი".

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ოთხიდან „ქ. ხელთუბანს თუმნიანთი", რომელშიც ასეთი ანთროპონიმებია მოხსენიებული. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

1. „ქ. გაჯასპი მდივნის ყმა **ჩარუხაშვილი** იესე მეკომლე".
2. „ამისივე ყმა **ებიაშვილი** ოქროა ბოგანო".
3. „ამის ყმა **ბერდიკელი** ელიზბარა უმამულო".
4. „ამისივ ყმა ნასყიდი ჯილზელი **ლელუაშვილი** გალუსტა უმამულო".
5. „ამისივ ყმა **მექვევრიშვილი** დავითა უმამულო".
6. „ქ. ედიშერ მდივნის ყმა **კაციაშვილი** გიორგი მღვდელი მეკომლე".
7. „ამისივ ყმა **ჩრდილისუბნელი** ბერუა მეკომლე".
8. „ქ. თუმანიშვილის ღვთისავარის ყმა **ბეტაშვილი** ელიზბარა მეკომლე".
9. „ქ. ზურაბიძის შვილის ყმა **საინაშვილი** სარქისა ხიზანი".
10. „ამისივ ყმა ახპატელი **ბაღდასარაშვილი** ოჰანეზა ხიზანი".
11. „ამისივ ყმა ახპატელი **შამბარაშვილი** არუთინა ხიზნად".
12. „ამისივ ყმა **ბეგიჯანაშვილი** მეჯნუნა ხიზანი".
13. „ქ. იარალიშვილის ყმა სავანელი **მღებრიშვილი** თამაზა ხიზანი".
14. „ქ. მანგლელის ყმა **სოლომონაშვილი** იორდანე ხიზანი".

ასევე ვხვდებით შემდეგ ანთროპონიმებს: ბერძენიშვილი, ყულიაშვილი, დალაქიშვილი, ფერიაშვილი, აბელაშვილი, თედიაშვილი, ფანაოსაშვილი, ძამაშვილი, ხევსურიშვილი, მირაქაშვილი, ამირაშვილი, მურადაშვილი, ბაბულაშვილი, გერმანოზაშვილი, როსტომაშვილი, მირიანაშვილი და ა. შ.

ზემოხსენებული ანთროპონიმები აღარ გვხვდება სოფელ ხელთუბანში და ამდენად ეს დოკუმენტი კიდევ უფრო მეტად ღირებულია ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის. თუმცა დოკუმენტში

მოხსენიებულია ისეთი ანთროპონიმები, რომლებიც დღესაც გვხვდება ამ სოფელში. მაგალითად, დავთარში ვკითხულობთ:

1. „(ქ. გოჯასპი მდივნის) ყმა **შიოშვილი** ბერუა ობოლი ბოგანო.''

   დღესდღეობით ეს გვარი გვხვდება სოფელ ხელთუბანში და ამ გვარის წარმომადგენლები საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოვრობენ იქ.

2. „ (ქ.გოჯასპი მდივნის) ყმა ნასყიდი **ჯავახი** ასლამაზას შვილი ნასყიდა".

   დღესდღეობით, ამ სოფელში ცხოვრობენ ჯავახიშვილები, რომლებიც საკუთარ წარმომავლობას უკავშირებენ ჯავახეთს.

3. „ქ. ედიშერ მდავანსვე გირაოთ ჰყავს **სტეფანიშვილი** გიუნა უმამულო".

   ამჟამად, სოფელში სტეფანიშვილების ცხრა ოჯახია.

4. „ქ. ოთარ მდივნის ყმა **დათუაშვილი** ნადირა მეკომლე".

   სოფელში დათუნაშვილების ორი ოჯახი ცხოვრობს, მათ გვარს ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად დათუაშვილებად მოიხსენიებს, რაც გვავარაუდებინებს, რომ დავთარში მოხსენიებული დათუაშვილების შთამომავლები დღეს იქ მცხოვრები დათუნაშვილები არიან და შესაძლოა ეს ნ ხმოვანთასაყარზე წარმოქმნილი ბგერა იყოს.

5. „ (ქ. ოთარ მდივნის) ყმა **ცარიელაშვილი** ბერუა მეკომლე".

   სოფელ ხელთუბანში დღევანდელი მონაცემებით ცარიელაშვილების რამდენიმე ოჯახია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აგრეთვე ვხვდებით ანთროპონიმს ცარელაშვილი.

6. „ (ქ. ოთარ მდივნის) ყმა **კოჩოაშვილი** ბერი მეკომლე".

   სოფელში ცხოვრობენ კოჩუაშვილები და არა კოჩოაშვილები. ამ გვარის წარმომადგენლები საკმაოდ დიდი ხანია, რაც სახლობენ იქ, თუმცა მათი გვარი არ არის შესული დავთარში, ამის გამო, სავარაუდოა, რომ კოჩუაშვილები ძველად კოჩოაშვილები იყვნენ და სწორედ ასეთი სახით შევიდა ეს გვარი დავთარში.

7. „ (ქ. ოთარ მდივნის) ყმა **მეგრელიშვილი** დათუნა ბოგანო".

   დღევანდელი მონაცემებით სოფელში რამდენიმე ოჯახია მეგრელიშვილების.

8. „ქ. გიორგი თუმანიშვილის ყმა **მარღიშვილი** დემეტრე მეკომლე".

   ასევე, რამდენიმე ოჯახია სოფელში მარღიშვილებისა.

9. „(ქ. იესეს შვილი პაპუას) ყმა **მეგრელი** პაპუნა მეკომლე".

   სოფელში დაახლოებით ოცი ოჯახია მეგრელიშვილებისა. ამ ანთროპონიმის წარმომავლობა უკავშირდება სწორედ "მეგრელს".

10. „(ქ. თუმანიშვილის ელისბარას შვილის პაპუას) ყმა **კობლიაშვილი** ბეჟანა მეკომლე".

    დღეს კობლიაშვილების ოჯახთა რაოდენობა საკმაოდ დიდია.

11. „(ქ. თუმანიშვილის ელისბარის შვილის პაპუას) ყმა **ტერნაკოზას შვილი** ზაქარა მეკომლე".

    დღესდღეობით ეს ანთროპონიმი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ამ სოფელში. სოფელ ხელთუბანში ეს გვარი ოჯახთა რაოდენობის მიხედვით მეორეა.

12. „(ქ. ორბელიანის სარდლის რევაზის) ყმა ვარბაგარელი **ჯილავდრიშვილი** პეროზა ხიზანი".

    დღევანდელი მონაცემებით ეს ანთროპონიმი ასეთი ნაირსახეობით გვხვდება: ჯილავდარი. ამ გვარის წარმომადგენელთა რაოდენობა არ არის ძალიან დიდი.

13. „ქ. აქავ ხელთუბანს ამილახვრის შვილის ნიკოლოზას ყმას **ანესაშვილს** ესტატეს მამული უყიდნია, მეკომლე".

14. „ქ. აქავ ხელთუბანს ხელმწიფის ნასყიდი განჯელი **ტერტერას შვილი** ელიზბარა ხიზანი".

    დღესდღეობით, ეს გვარი საკმაო გავრცელებულია სოფელში.

    ამჟამად, ეს ანთროპონიმი სოფელ ხელთუბანში გვხვდება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დავთარში რამდენიმე ადგილასაა მოხსენიებული ანთროპონიმი თუმანიშვილი. როგორც ირკვევა, თუმანიშვილებს ბევრი ყმა ჰყოლიათ და ერთ-ერთი დაწინაურებული გვარი ყოფილა სოფელ ხელთუბანში. თუმცა ამჟამად თუმანიშვილების მხოლოდ ორი ოჯახიღაა შემორჩენილი ხელთუბანში.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ დოკუმენტი საკმაოდ ვრცელია და მასში აღნუსხულია ორასამდე გვარ-სახელი, რომელთა წარმომადგენლებიც ამ სოფელში ცხოვრობდნენ. აქ ვეცნობით თავადების, აზნაურების, გლეხების, ბოგანოების, ასევე სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის პირების სახელებს, გვარებს. მათი მცირე ნაწილი დღესაც მოქმედებაშია. ჩვენ ისინი დავაჯგუფეთ, დავყავით ჯგუფებად და მოვახდინეთ მათი შედარება დღევანდელ ვითარებასთან, რამაც საკმაოდ საინტერესო შედეგი მოგვცა. ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება უნდა იყოს მიზეზი, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სოფელში ჩამოდიოდნენ ადამიანები და თავშესაფარს ეძებდნენ. ასეთი პირებისათვის „აღწერაში" მოცემულია ის გეოგრაფიული სახელები, საიდანაც მიგრირდებოდნენ.

ლიტერატურა:
1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967.
2. ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.

ნოდარ დუმბაძის პერსონაჟთა მეტყველება
(რომანები „მე ვხედავ მზეს“, „მარადისობის კანონი“)

ეკა ხანიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე,** პროფესორი

ნ. დუმბაძის XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი შემოქმედია, გამორჩეულია თავისი ენითა და სტილით. გიორგი გოგოლაშვილი თავის წიგნში „ქართული სალიტერატურო ენა“ იმოწმებს მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებს: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“ (გ. გოგოლაშვილი, 2013, გვ. 4). ავთანდილ არაბული ამბობს: „ენა ეროვნების არსებითი ნიშანია და, ბუნებრივია, ეროვნული ენის ჯანსაღი ფუნქციონირების საკითხი ყოველთვის რჩება ერის სულიერი ცხოვრების (ამ სულიერი ცხოვრებისდა კვალად) აქტუალურ უბნად“ (ავ. არაბული, 2013, გვ. 271).

ერთხელ ნოდარ დუმბაძეს გურამ ასათიანისათვის უთქვამს: „მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი იმისთვის ავირჩიეო“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 346). მისი თხრობის ლირიზმმა და განუმეორებელმა იუმორმა განაპირობა მწერლის პოპულარობა, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ნოდარ დუმბაძის მიერ დაწერილი დიდებული ნაწარმოებებია: “მე ვხედავ მზეს“ და „მარადისობის კანონი“. ბოლო რომანში („მარადისობის კანონი“) მთავარი გმირი კეთილისა და ბოროტის შეცნობას ცდილობს. აღნიშნული ორი რომანი სხვადასხვა დროს არის გამოცემული, პირველი 1962 წელს, ხოლო მეორე 1978 წელს. ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ყველა სხვა მწერლის შემოქმედებისაგან განსხვავდება იმ უბრალო მარტივი ენითა და სიცოცხლის უზომო სიყვარულის მოტივით, რომელსაც მწერალი თავად ეტრფოდა და ჩვენც გვაზიარებდა ამას, თავის უზადო ლიტერატურული შემოქმედებით (http://ka.wikipedia.org/).

თავისებურია ნოდარ დუმბაძის ენა და სტილი. ჩვენ შევეცადეთ, ჩვენს მოხსენებაში გვეჩვენებინა ნოდარ დუმბაძის პერსონაჟთა ენისათვის დამახასიათებელი რამდენიმე თავისებურება.

ნოდარ დუმბაძის რომანებში ხშირია ემფატიკური -ა ხმოვნის გამოყენების შემთხვევები. მავრცობი **-ა** დაერთვის : 1) “თეთრი კედლები, ერთი დიდი ფანჯარა და ერთიც საერთო მაგიდა, წყლიანი გრაფინით-**ა** და დამჭკნარი ვარდებით“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 21); 2) “რამდენი მთვრალს-**ა** მნახავდა, იმდენი ყვავივით დამჩხაოდა“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 31); 3) “ვინც-**ა** ხართ ლამაზი, მესრლეთ აბაზი“... (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 8); 4) „მოქალაქეები დაცურებული მორებივით მიჰყვებოდნენ მდინარეთ-**ა** ამ თავაწყვეტილ დინებას“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 296); 5) „ვივლით ასე უსასრულოდ ხელიხელჩაკიდებული, შენ აღარ მოიტან ჩვენს ამბებს სოფელში სამკუთხა წერილებით-**ა** და ნაბეჭდი მისამართებით, ჩვენ დავბრუნდებით ჩვენი ფეხით“ (ნ.დუმბაძე, 2011, გვ. 218); 6) „ კივილი სოფლის ბოლოდან ისმოდა. შუკებს-**ა** და ორღობეებში დაფეთებული ხალხი გარბოდა, ჩვენც გავიქეცით“ (ნ. დუმბაძე, 2011, ტ. II, გვ. 30); 7) „მზე ნელ-ნელა ჯდებოდა სუფსის ჭალაზე. ტყეს-**ა** და მინდორში გასული სოფელი აბღავლებულ ნახირთან ერთად შინ ბრუნდებოდა“ (ნ. დუმბაძე, 2011, ტ. II, გვ. 29); 8) „იტაცებენ ჩემს ხმას ბიჭები და გუგუნებს სუფსის ჭალა, - მივდივართ ლევან მასწავლებლის არწივები ზოგი მამის, ზოგი ძმის, ზოგი ბიძის გამონაცვალი შარვლების- **ა** და ხალათების ფართხუნით“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 138).

დიალექტიზმები მეტ-ნაკლებად ბევრი ქართველი მწერლის თხზულებებში გვხვდება და არც ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისათვის არ იყო უცხო. ნოდარ დუმბაძე, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის - გურიის შვილი, თავის შემოქმედებაში, კერძოდ, პერსონაჟთა მეტყველებაში, უხვად იყენებს გურული კილოსათვის დამახასიათებელ გამოთქმებს, დიალექტურ ლექსიკას, რომლებიც ორივე რომანში ნათლად ჩანს. მაგ.: **1. ნოღა** - ახალგაზრდა პატარა ხე (გრ. იმნაიშვილი, 2006, გვ. 339): „მკვრივი

აღნაგობის კაცი იდგა. ცალ ხელში თოფი ეჭირა, მეორეთი თხემლის **ნოღაზე** იყო მიყრდნობილი“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 58). 2) **გახაზირებული** - ნ. ნაზირიხე (გრ. იმნაიშვილი, 2006, გვ. 325): „ცოტა ხნის შემდეგ პალატაში ჟენია შემოვიდა **გახაზირებული** ნემსით“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 70). 3) **ბურდღა -** ბუმბული (გრ. იმნაიშვილი, 2006, გვ. 323): „დღეს გაპატიებ, მამუკა იაშვილო, მაგ ლაზღანდარობას და ხვალიდან შენი **ბურდღა** არ დავინახო ამ სასადილოში, - დაემუქრა დუტუ“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 104). 4) **წკვარამი** - უფსკრული, ქვესკენელი: ,,სად ვიხრაგუნოთ ახლა ამ **წკვარამში** და ფშკერნალში?! - გასძახა სიპიტომ ახორში შესულ გლახუნას“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 52). 5**) ხვადაგი** - რქიანი საქონლის ზოგადი სახელი: „და თუ მე და ეს **ხვადაგი** მართლა ერთი ტალახიდან ვართ მოზელილი, მაშინ წაიღე შენი ნაბოძი სიცოცხლე, აღარ მარგია არაფერში..“(ნ. დუმბაძე, 2011, ტ. VI, გვ. 56).

რომანში „მე ვხედავ მზეს“ ასევე მრავლადაა დიალექტური ლექსიკა: 1) **ღინღლი**, რაც იმერულსა და გურულში ნიშნავს ბუმბულს (ვ. ბერ): „წვერი კი არა, **ღინღლია**, - ვუთხარი და ლოყაზე ცეცხლი წამეკიდა“ (გვ. 321); 2) „მე და ხატია გადავედით ეზოდან და **შუკას** გავუყევით“ (გვ. 263). **შუკა** (გურ., იმერ., ლეჩხ) - სასოფლო გზა, ორღობე (ა.ღლ., მ.ალავ.); 3**) კოთხო** (გურ., ზ.აჭარ.) - საოჯახო ჭურჭელი ხისა, გაკეთებული ხელით (შ.ნიჟარ.): „- გადაირბინე, ბიჭო, მინასთან და თხოვე ამ ორშაბათამდე კიდევ გვასესხოს ერთი **კოთხო** ფქვილი, - მთხოვა მამიდამ“ (გვ. 372); 4) **გამოღეჭვა** (გურ.) - ძუძუს გამოწოვა (ალ. ღლონტი, 1984, გვ. 127). „გამოდით გარეთ, თხა **გამოუღეჭია** ვიღაცას“ (გვ. 265); 5) **გამოძღვანიება** - წამოღება (რაღაცასთან ერთად). „ნავთს და საპონს ვეღარ მოვერიე, ხვალ **გამევიძღვანიებ**“ (გვ . 236); 6) **ბაყუნი** (იმერ.) - ღონივრად დარტყმა (ქეგლ, 1953, გვ. 160). „ბიჭი უმაღლესში უნდა მოეწყოს წელს და თოხი **ვაბაყუნებინოთ** ყანაში?“ (გვ. 222); 7). **დაცხიკვება** (იმერ., გურ.) - სახელი დააცხიკვებს ზმნის მოქმედებისა, იგივეა, რაც ცხვირის დაცემინება (ქეგლ, გვ. 998). **„ დაცხიკვება** თუ შეიძლება საზოგადოებაში?“ (გვ. 369).

მხატვრულ ლიტერატურაში მწერლები ხშირად საკუთარი სათქმელის უფრო ლამაზად, ზოგჯერ ნათქვამის გაძლიერების მიზნით იყენებენ გამეორებას . ნოდარ დუმბაძე ამ ხერხს არა ერთხელ მიმართავს, მის რომანებში („მე ვხედავ მზეს“, „მარადისობის კანონი“) გამეორებულია სინტაქსური წყვილები. მაგ.: 1) **–„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო,** რაისთვის დამიტევებ მე! - თქვა ავადმყოფმა“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 5); 2**)“ამოდი, ამოდი, ამოდი** - ჩაესმა კიბეზე მჯდომ ბაჩანას ვიღაცის ძალიან ნაცნობი ხმა“ (ნ. დუმბაძე, გვ. 27); 3) „ მე, **მე მგონი... მე მგონი,** უკეთ ვარ..“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 67); 4**) “დივერსია, დივერსია, დივერსია...** გაიმეორე ძილღვიძილში ბაჩანამ...“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 15); 5) ვინცა ხართ ლამაზი, მესროლეთ აბაზი, **ტანანინა, ტანანინა,** ჰე!“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 8); 6)“ **მიდი, მიდი,** ჩვენია! - გაუცინა ბაჩანამ“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 272).

რომანში „მე ვხედავ მზეს“ გამეორებული სინტაქსური წყვილებია: 1) „სკოლის ზარი რეკავდა ყოველ დილით ყრუდ და მჭახედ. **გვეძახდა, გვეძახდა, გვეძახდა**...“(ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 100); 2) „წადი, ბიძია და შეეგებე. **გაიქეცი, გაიქეცი**!.. -- გერასიმეს სიტყვის თქმა აღარ დავამთავრებინე, მოვწყდი ადგილიდან და თავქვე დავეშვი“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 216); 3) **„ხლებ,** ფრაუ, **ხლებ**... - თქვა გერმანელმა და ტუჩები აუცახცახდა, მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ტყვე არც მე, არც მამიდას აღარ გვიყურებდა, იგი თვალს არ აცილებდა გაწყობილ სუფრაზე ოხშივარავარდნილ ჭადს“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 196); 4) „**პაპიროს, პაპიროს,** - თქვა სახეგაბრწყინებულმა გერმანელმა“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 197); 5) „ აბა, რა გინდა, სოსოია? - **არაფერი**, ხატია, **არაფერი**..“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 174); 6) **„მიეცი, მიეცი,** - ხელი წამკრა ანატოლიმ“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 92). 7) „**სუ**, სოსოია, **სუ**, ნუ გეშინია, მზე ჩავიდა? - მკითხა ბეჟანამ“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 99).

ნოდარ დუმბაძის ენისა და სტილისათვის დამახასიათებელია რთული სიტყვების გამოყენების შემთხვევებიც. ხშირ შემთხვევაში მწერალი იყენებს ისეთ რთულ სიტყვებს, რაც სხვა მწერლის შემოქმედებაში არ გვხვდება და მისეულია. მაგ.: 1) „ თავის მოსაწონებლად მოჯაყე ის გოგო სოფელში, მართალს ვამბობ, ზოსიმე ბიძია? ჰკითხა ბაჩანამ სასადილოს კუთხეში **მკლავებდაღლიავებულ** და იმ სასადილოს კედელივით გათეთრებულ ზოსიმეს“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 115); 2) „ბიჭმა ხურჯინისაკენ წაიღო ხელი და მარჯვენა თვალში ჩააცურა. ხელში **ნაქურჩალადაცობილი** ბოთლი მოჰყვა“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 59).

ქართული ენის ლექსიკურ მარაგში გარკვეულ ადგილი უჭირავს ნასესხებ, სხვა ენობრივი სამყაროდან შემოსულ სიტყვებს. სესხება ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. ქართულ ენას უძველესი დროიდან შეუთვისებია უცხოური სიტყვები ბერძნული, ლათინური, სპარსული, არაბული, მოგვიანებით - ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული, იტალიური, ესპანური... ენების სამყაროდან. ნასესხები სიტყვათა ნაწილი დიალექტიზმებად, კერძოდ, გურული დიალექტისათვის დამახასიათებელ გამოთქმად, არის ქცეული. ავტორი ხშირად იყენებს ასეთ სიტყვებს. მაგ.: 1) **ოდა** - „მობრძანდით ოდაში“ (გვ. 301). **ოდა** (გურ.) - ჭერ - იატაკიანი, ფანჯრიანი და ბუხრიანი ფიცრული სახლი. მეტწილად ხის ან ქვის ბოძებზე დგას (ალ. ღლონტი, 1984, გვ. 425); 2**) დუნია** - „აგი **დუნია** პატარა ნუ გგონიათ..“ (გვ. 239). **დუნია** - არაბ. (ძვ. საუბ.) ქვეყანა, ქვეყნიერება,

მსოფლიო (ქეგლ, 1953, გვ. 469); 3) **მილეთი** - „ნუ ამაბღავლებ ამ **მილეთის** ხალხში“ (გვ. 271). მილეთი (გურ.) ბევრი ხალხი, მთელი ქვეყანა, სამყარო (ქეგლ, 1958, გვ. 657); 4) **საინი** - „ძმარი ჩამომართვა, ღრმა **საინზე** დაასხა, წყალი გაურია...“ (გვ. 255).

ნოდარ დუმბაძის რომანებში გვხვდება საკუთარი სახელებიდან ადამიანის სახელები ანუ ანთროპონიმები, გეოგრაფიული სახელები (ტოპონიმები, ჰიდრონიმები..). რომანში „მე ვხედავ მზეს“ მთავარი გმირი მეტწილად მოხსენიებულია სოსოიას სახელით. იშვიათად გვხვდება სოსო: „სოსო, სოსოია, ბიჭო!“ (გვ. 217). „მარადისობის კანონის“ მთავარი გმირი მოხსენიებულია ბაჩანას სახელით: ,,- შენი დედა, ბაჩანა... - ქალს ხმა ჩაუწყდა. ასევე ხშირია მეტსახელების ხმარებაც აღნიშნულ რომანებში („შავი მაშიკო“, „ნოდარა თავა“...)".

ზოგჯერ მწერალი დიალოგებში გაკვირვების ან ემოციის გამოსახატავად იყენებს „**ა“** ხმოვანს. მაგ.: 1. „ არ გამოდის ქალებო, ძალიან ვეცადეთ, ეგრე, **აა,** გადავთხარეთ მთელი ნაცარი, მაგრამ უფრო ადრე არ ხერხდება, - ამოიოხრა ბეგლარამ“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 119); 2. –„ **ა**, კიდო! მე რა გითხარით თქვენ? - გაუკვირდა ბენედიქტეს.

-რა გინდა, ბენედიქტე ბიძია? - ვკითხე მე“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 202);

3. – „რა გინდა, რა? - ვკითხე ახლა რუსულად.

- ხლებ, ხლებ... - თქვა გერმანელმა.

- **აა**, შავი პური გინდა თუ თეთრი?..“ (ნ. დუმბაძე, 2011, გვ. 196).

მხატვრული ნაწარმოები ფასდება მასში გამოყენებული ხატოვანი სიტყვა - თქმებით, რითაც მწერალი გამოხატავს თავის სტილს, ენობრივ შესაძლებლობებს და ა.შ. ფრაზეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების უხვად გამოყენებით ავტორი პირველ რიგში ემსახურება თავისი შემოქმედების გაძლიერებას, ხელს უწყობს ენაში ფრაზეოლოგიზმებისა თუ დიალექტიზმების მარაგის შენარჩუნებას.

ნოდარ დუმბაძე თავის ნაწარმოებებში იყენებს ფრაზეოლოგიურ გამოთქმებასაც, მაგ.: 1) „ლუკაიას **უცბად მკვდრის ფერი დაედო** (გვ. 223); 2**) „ სისხლი გამეყინა ძარღვებში“** (გვ. 275); 3) „რომ ხედავდე ახლა შენ, როგორ **აბჩენს პირს,** მაგის **ცოდვაში არ ჩადგებოდი“** (გვ. 287); 4) „მოვა ზამთარი და გამოხვალ შენც ნადირივით ტყიდან, **სული ამოგხდება** შიმშილით“ (გვ. 292); 5) „სანამ დავიარები ამ ქვეყანაზე, შენს **სახლს არ წავაქცევ**“ (გვ. 300); 6) „ჩვენ სულგანაბული **ვუგდებდით ყურს**“ (გვ. 259); 7) მერე ვამჩნევ, რომ მამიდაც **უცქერის** ანატოლის **ქურდულად**, ჩემგან დაფარვით. ანატოლი ქერაა, გამხდარი და ლამაზი“ (გვ. 299).

ნოდარ დუმბაძის რომანების წაკითხვის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწერალი სხვა ხერხებთან ერთად ოსტატურად იყენებს მეტაფორებსაც. კოლმეურნეობის კრებაზე დამსწრე ხალხი ბეჟანას აბრალებს თხის რძის მოპარვას. ბეჟანა ვერ ითმენს და ამბობს: „რომ გამოვიდა ჩვენი თავჯდომარე და თქვა, **ომს დიდი კუჭი აქვს,** მართალია, მეც დიდი კუჭი მაქვს, ამიტომ გამოვღეჭე“ (გვ. 277).

ქირი მუზაფერი ამბობს: „ნოდარ დუმბაძე, შესაძლოა, მივამსგავსოთ რამდენიმე თურქ მწერალს. რომანის პრობლემები, სოფლური ცხოვრება, ბრძოლა აღმავლობისათვის, უკეთესი მომავლისათვის, ადამიანთა განცდები - ამ პრობლემების ფონზე ბევრი თურქი შემოქმედის ნაწარმოების თემატიკაცაა. მწერალს შეუძლია შეამჩნიოს არსებითი ხალხის ცხოვრებაში, გაიაზროს მოვლენები და შემდგომ ეს მხატვრულად, ნიჭიერად ასახოს“ (ქ. მუზაფერ, 2010, გვ. 157).

ამრიგად, ნოდარ დუმბაძემ საკუთარი ინდივიდუალიზმითა და წერის საკუთარი სტილით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ მწერლობაში. მის მხატვრულ ქმნილებებს ასაზრდოებს ლექსიკა, სტილი, ფრაზეოლოგია, ტიპობრივი სახეები და ასევე მხატვრული სახეები. ზემოთ ხსენებულ ორ რომანში („მე ვხედავ მზეს“ და „მარადისობის კანონი“) წარმოჩენილია მსგავსი სახის ენობრივი მოვლენები, მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ დუმბაძის აღნიშნულ რომანებში განსხვავებული თემატიკაა და სხვადასხვა დროის ქმნილებაა.

ლიტერატურა:

1. არაბული ა., ენა ჩვენი არსობისა, თბ., 2013.
2. გოგოლაშვილი გ., ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები, თბ., 2013.
3. დუმბაძე დ., მარადისობის კანონი, ტ. VI, თბ., 2011.
4. დუმბაძე დ., მე ვხედავ მზეს, ტ. II, თბ., 2011.
5. იმნაიშვილი გრ., გურული დიალექტი, თბ., 2006.
6. მუზაფერ ქ., ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“ თურქულად, ქუთ., 2010.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1953.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958.
9. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
10. http://ka.wikipedia.org/.

მერაბ ელიოზიშვილის ენის ზოგიერთი თავისებურება

მარიამ ხმიადაშვილი, ლალი თათრიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ცნობილი მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის, მერაბ ელიოზიშვილის, პროზა უაღრესად საინტერესოა. ის ცხინვალში დაბადებული და გაზრდილია და კარგად იცნობდა მშობლიურ კუთხეს, ლიახვის ჭალებს, ნაცნობ გარემოს მხატვრულად გვთავაზობს, გამორჩეული ენობრივი კოლორიტით.

ზოგადად თუ ვიტყვით, მწერლის ენის კვლევა ხელს უწყობს სახეების, იდეური ტენდენციების, სიტყვის მხატვრული ოსტატობის, თავისებურებების გაგებას.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე თავის ერთ-ერთ წერილში მიუთითებს: „საჭიროა ქართულის ცოდნა ისტორიულად და გეოგრაფიულად, სხვანაირად რომ ვთქვათ საჭიროა წიგნების ფურცლებზე უკვე გაქვავებული ენის შესწავლა და მასთან ერთად ცოცხალი და მოძრავი ენისა და კილოების გამოკვლევა. ეს ორი პროცესი ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიმდინარეობდეს.“ (შანიძე, ტ. II).

მხატვრული ნაწარმოების ენა უდიდეს როლს ასრულებს სალიტერატურო ენის განვითარებაში, ჩამოყალიბებაში. ენის შესწავლა სხვადასხვა საკითხებთან არის დაკავშირებული, უპირველესად, უნდა გავითვალისწინოთ ის ეპოქა, რომელშიც მწერალი მოღვაწეობდა. ამ შემთხვევაში მწერალი და ცნობილი პიროვნება – მერაბ ელიოზიშვილი.

მწერლის ენის შესწავლა რთულია, მაგრამ საინტერესოა ის, რომ ცალკეული ნაწარმოების დაწვრილებით შესწავლას მოითხოვს.

მერაბ ელიოზიშვილის მხატვრული ოსტატობისათვის დამახასიათებელია შეკუმშული ფრაზები, დიალოგები, შედარებები, მათ შორის, პოლიტიკური მოვლენების ზუსტი ანალიზი, ირონიული ფორმით გამოხატული, ის, რაც ცხინვალში, შიდა ქართლში ხდებოდა და მოხდა ახლო წარსულში. ყოველივე ამაზე კი მწერალი დუმილს არღვევს, სამარცხვინო ბოძზე აკრავს დამნაშავე ექსტრემისტულად განწყობილ ელემენტებს.

ჩვენი მიზანია მოკლედ გავაშუქოთ უმთავრესი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მერაბ ელიოზიშვილის ენასა და სტილთან, რომლის შესწავლაც საგულისხმოდ გვეჩვენება. მათი გამოვლენის საჭიროება დღევანდელ ფონზე რეალურად იგრძნობა.

ჩვენ დავაკვირდით მისი თხზულებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრებულს სათაურით „ანდერძი“, რომელიც მოიცავს ორ მხატვრულ ნაწარმოებს – „მდუღარე მდინარე“ და „უმთავრესი“ (გამოიცა 1991 წელს).

მოკლე ცნობებია მოთავსებული მწერალზე „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, სადაც ვკითხულობთ, რომ დაიბადა ქალაქ ცხინვალში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ 1958 წელს, მისი პირველი კრებულია „მოლოდინი“ (1961 წ.). გამოქვეყნებული აქვს ექვსი პროზაული კრებული, მასვე ეკუთვნის კინოსცენარები: „თეთრი ქარავანი“, „დიდი მწვანე ველი“, „დიდედები და შვილიშვილები“, „ბებერი მეზურნეები“, ასევე ბევრი საგაზეთო და საჟურნალო სტატია, რეცენზია.

მერაბ ელიოზიშვილის მხატვრული ენის შესწავლის აუცილებელი ამოცანაა ნაწარმოების ღრმად გაგებისა და დაუფლებისთვის მწერლის ენა, რომელიც მოცემულია ზემოხსენებულ თხზულებებში, მიგვაჩნია, რომ თვით მწერლის დახასიათებისთვის გამოდგება. ეს იმიტომ, რომ მასში მჟღავნდება მწერლის სულიერი თვისებები, განათლება, მისწრაფებები, სურვილები, გრძნობები, მისი იდეურ-ზნეობრივი მხარე. მწერალი გვიხატავს სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობას და, აქედან გამომდინარე, იცვლება მისი მეტყველების ინტონაცია, რომელიც ხშირად ირონიული ხასიათისაა. მაგალითად:

- ჩემო ნაფი ჯუსოითი, შენ კარგა ხანია დაფრენ კრემლის წითელ მოედანზე, კენკავ სამათხოვროდ მიმობნეულ საკენკს.

- ჩამოდი დროით, გუთანი უნდა გავმართოთ - მწერალო თქვენ რომ გუთუს ეძახით.

- თხუთმეტი დასახელების თევზს ვიჭერდით ლიახვში, თქვენ ენაზე კიდე მხოლოდ ერთი სახელი აქვს „ქასაგ“ ანუ თევზი, ფრინველს - წიეს ეძახიათ, აქაოდა წივის.~

- ფუტკარს „მედე ბენჯს“ ანუ თაფლის ბუზი, შეიძლება ასეთი რამ?

- მითხარით, რა ჰქვია მამულს? რა ჰქვია დედულს? აი ეს არის თქვენი ლექსიკა და სამშობლოს გვეცილებით?!“

მწერლის მხატვრული გამოსახვის ხერხებიდან ერთ-ერთი საყურადღებო მხატვრული შედარებაა, სადაც მოცემულია ის, რასაც ედარება, იგი ხელს უწყობს აზრის უკეთ წარმოსახვას: „დამნაშავესავით გატვრენილი ლიახვის ბარტყების ლურჯ ტალღებში. გვამხნევებს ფრანგებთან მოუბარი ჩოლოყაშვილისეული დროშა ეკოლოგიური შიშივით გვათუხთუხებს.

- ზურგში ბოლივით აგვდიოდა ხან ცივი ხან ცხელი ომი.

- დამნაშავესავით დავდიოდით

- იყვნენ მტევნებივით ქალიშვილები

- ქართლის სადროშოს მირაჟივით გაება წეროს დიდი გუთნეული.“

ეპითეტი მხატვრული განსაზღვრაა. მწერალთან ეპითეტად გამოყენებულია ძირითადად ზედსართავი სახელი, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას აღნიშნავს და ქმნის მხატრულ გამომსახველობას. მწერლის ზემოხსენებული მოთხრობები ასახავს ქართლში 2008 წელს შემოჭრილი მაწანწალების დახასიათებას, მაგალითად:

„ბანჯგვლიანი ხელით დაუშინა გავარვარებული ქვები,
ყელგამოღადრული საქართველო ნელ-ნელა საფლავდებოდა,
გატყავებული ეკლესიები თავდაყირა დააყენეს,
ომით თვალებდათხრილი თანამემამულენი,
გაშავებულ-გავერანებული ქართლის ბაღები,
დამონებული მხარის აღრიცხვა,
მოდიოდა შელახული მტკვარი,
გორბაჩოვის უთვისტომო ჩონჩხები,
აწყვეტილი მატრონა აქეზებს ოსებს და სხვა.“

მერაბ ელიოზიშვილის ერთ-ერთი სტილური ხერხია გამეორება, რომელსაც მწერალი ექსპრესიულობის გასაძლიერებლად მიმართავს, მეორდება როგორც სრულმნიშვნელოვანი, ისე არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები, მაგრამ ყველაზე მეტი სიხშირით მეორდება ზმნა, რომელიც წინადადების ხერხემალია. მაგალითად:

„- ეს ერთი და სხვა მრავალი, მრავალი! რამდენიც გნებავთ! როდესაც გნებავთ! სადაც გნებავთ!

- ასეა ყველა, იმ ტოკიოდან ამ ტოკიომდე!

-კოშკიდან კოშკზეა ქსელი გადასული და გადმოსული და ქსელვა-ქსელვით კრემლის ქონგურებზე გადაწეული, როგორც ჯინის კალათაში, როგორც რკინის ბაგირზე მცოცავი ობობა.

- თენდება და იქვე ისევ ღამდება, თენდება-ღამდება, თენდება-ღამდება,

-ამ ჯოჯოხეთურ მიფეთ-მოფეთებაში მოვდივარ!“

მწერალი, მართალია, საგნების აღწერის დახასიათებას შედარებებით, ეპითეტებით ან სხვა მხატვრული საშუალებებით ახორციელებს, მაგრამ ზმნების საშუალებით კარგადაა გამოხატული პერსონაჟის შინაგანი სამყარო, ხასიათი: „თამარაშნული ღვინო ხომ ყველას მოგწონდათ, ჩამოდი მაგათი საკენკით ჩვენი ხალხი ვეღარ გაძღება, ჩამო! რას ჩამოვა? შიმშილი დაიბღავლებს ლიახვის ხეობებში, როდემდე მოგაწოვებენ ვერტმფრენები ძუძუს?

- ჩამოდი, თუ მწერალი გქვია, გუთანი გავმართოთ თქვენ რომ გუთუს ეძახით, თუნდა სიკვდილი გავიაროთ და გავჩერდეთ,

- რომ წერ, გავაჟლეტინო ვეღარც აფრიკელს მოატყუებ შენი კალმის ცრუ წუწუნით!

- ვინ რა გიბოძათ, მხარზე გადაკიდებულს რას მიარბენინებთ!?

აქ ზმნების გამოყენების რაიმე წესი არ არსებობს, წესი თვით ზმნების სიუხვეა, რომლებსაც არქაულობის იერი დაჰკრავთ, ეს ყოველივე კარგად ასახავს ზემო ქართლის მეტყველებას, თავისებურ კოლორიტს.

მწერლისათვის უცხო არაა, როგორც გამეორება ისე სიტყვათქმნადობა, ირონიული სიტყვათ შეხამებანი. მაგალითად:

„-კამეჩი შავია, შავი ჩქარია, არაყი მწარეა, სიმწარეა, წაიღო ოჯახის სიმწარე კამეჩმა

-გამოვდივარ ყრუ-მუნჯობის, ბრმა-ყრუობის, მრუმე მღვიმიდან.

- ბევრჯერ გააბა სიყვარულის ყიჟინი ფურკამეჩმა თავის ძველ სამშობლოში, არსაიდან ხარ-კამეჩის ხმა არ მისვლია.

-უსიყვარულოდ რძეს რა უნდა მეთქი ჯიქანში?

-შუა დარბაზში არყის ქვაბში იცრემლები.

სისხლიანი დადგმის მთავარი რეჟისორი მშვიდობისათვის საერთაშორისო ნობელის პრემიის ლაურეატი მიხეილ გორბაჩოვია.

შეიძლება ითქვას, რომ მწერალი კარგად ფლობს ქართული ენის საგანძურს.

მწერლის მოთხრობებში დიალოგები ქმნიან რიტმს და აჩენენ კითხვებს:

-რატომ ჩაფიქრდით ახალგაზრდავ?
-ისე უბრალოდ, ფიქრიც გამექცა სადღაც, არ ვიცი სად?
-უთქვენოდ ვერ დაირჩენენ თავს?
-თქვენ როგორ გვიბძანებთ?
-თქვენ?
-ხომ მოგახსენეთ?“

მწერალი დიალოგების გამოყენებაშიც თვითმყოფადი შემოქმედია, რომელიც ფორმობრივ გამორჩეულია.

მერაბ ელიოზიშვილმა გაამდიდრა ქართული ენა მრავალი სიტყვით, ზოგიერთი მათგანი შეიძლება შევიდეს კიდეც ენის სალექსიკონო საგანძურში, მის შემოქმედებაში ენობრივი ცვლილებები მთელმა რიგმა ფაქტორებმა განაპირობა, მათ შორის 2008 წლის ომმა, როდესაც სკვითების შთამომავლები საქართველოს მიწა წყალზე შემოიჭრნენ და ენით აღუწერელი უბედურება დაატრიალეს. აქ აღსანიშნავია ლექსიკური ერთეულები, რომლებიც იუმორისტული მანერით არის გადმოცემული. მაგალითად: „დავიწყებოდათ კონვერსიული სიჩქარისაგან ბეხლეწი ტანკები.

-ვართ ასე ჩრდილოეთივით გამსუბუქებულები, გვიბზინავს ფრთები, ხმელი და დედამიწის მეექვსედზე.

-სტეპის უთვისტომო ძუ მგელი პირდაპირ გვირაბის პირიდან ბარტყობს, ლეკვებს კი თესლად თესავს, საქართველოს თავისუფლების სიკვდილის მოსავლისათვის“.

მწერალთან წარმოდგენილია შორისდებულები, ავტორის თხრობის ექსპრესიას სრულიად შეეფერება შორისდებულების სემანტიკური თავისებურებები. ის ხომ რთულ ემოციურობასა და სულიერი განწყობილების ექსპრესიას გადმოგვცემს. ზოგიერთი შეიძლება არალიტერატურულიც არის, მაგრამ ის ქართლში გაგონილი და დამკვიდრებულია.

მწერალი დიდი გულისყურით ეკიდება ყველა სიტყვას, რომელიც აღებული აქვს ამა თუ იმ მოვლენის ზუსტად დასახასიათებლად, მისი ყველა ნიუანსის შესწავლა ბევრ საინტერესო ენობრივ დეტალს წარმოაჩენს, რომელთა დაწვრილებით შესწავლასაც სამომავლოდ ვგეგმავთ.

ლიტერატურა:

1. ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1981, გვ. 14.
2. მ. ელიოზიშვილი, ანდერძი, თბ., 1991.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, 1979, გვ. 130

ქართული ლიტერატურა

ზღაპრული ეპოსის ლიტერატურული გადამუშავება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“

ნაირა მძინარაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე,** პროფესორი

ფოლკლორი ხანგრძლივი შემოქმედების ნაყოფია. იგი იქმნებოდა თაობების მიერ საუკუნეთა განმავლობაში. ლექსები და სიმღერები, ზღაპრები და ანდაზები, გამოცანები, ლეგენდები, თქმულებები, მითები და შელოცვები, რითაც ასე მდიდარია ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, ჩამოყალიბებულია არა ერთ დროს, ერთი პირის ან რომელიმე ერთი კლასის მიერ, არამედ შექმნილია ისტორიის მანძილზე მთელი საზოგადოების მიერ.

ეპოქა, მისი სოციალური და პოლიტიკური პრობლემები რომ დიდად განსაზღვრავს ლიტერატურის ხასიათსა და მიმართულებას, ამის დასტურს ვხედავთ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების გვირგვინში „სიბრძნე სიცრუისაში“. ავტორი უთუოდ თავისი დროის შვილია და მისითვეა გაპირობებული. ამავე დროს იგავ-არაკთა ეს შესანიშნავი კრებული ზეპირსიტყვიერებასთან შემოქმედებითი დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია.

დიდი ქართველი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეწეოდა სამწერლო, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეობას. ის იყო თავისი ეპოქის მეიგავე, ლექსიკოგრაფი, ფილოლოგი, მქადაგებელი, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი.

მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარი და შინაარსიანია. ის ჩვენს ყურადღებას იპყრობს ცხოვრების ღრმა ცოდნით, მრავალფეროვანი თემატიკით, მაღალმხატვრული ენით, დიდი შემოქმედებითი ფანტაზიითა და მეცნიერული ერუდიციით. მისი ნაწერები – „წიგნი სიბრძნე სიცრუისა'', „ქართული ლექსიკონი'', „მოგზაურობა ევროპაში'' და „სწავლანი'' –ქართული მწერლობის უკვდავი ძეგლებია, რომელთა მეცნიერულად შესწავლას აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ფილოლოგიაში.

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებითი წყაროების გამოსავლინებლად საკმარისი არ არის მხოლოდ ქართული სინამდვილე. ქართულთან ერთად მკვლევარმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ბერძნული, სპარსული, თურქული, არაბული, სომხური, ფრანგული, იტალიური ლიტერატურა და ფოლკლორი, ისტორია და ლექსიკოგრაფია.

ქართულ ფოლკლორისტიკაში სულხან-საბა ორბელიანის ფოლკლორთან მიმართების საკითხს პირველად შეეხო ფოლკლორისტი მიხეილ ჩიქოვანი. მკვლევრის შეხედულებით, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა'' წარმოადგენს ზღაპრული ეპოსის ლიტერატურულ გადამუშავებას და მასში შესული მრავალი სიუჟეტი ქართული ეპოსის შემადგენელი ნაწილია'' (ჩიქოვანი 1938: XXIX). სულხან-საბა ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა'' – წერს ლევან მენაბდე ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ბრწყინვალე ლიტერატურულ გადამუშავებას წარმოადგენს. მას ეს იგავები აუღია ხალხური ზეპირსიტყვიერების წიაღიდან, მისი საფუძველი ქართული ხალხური შემოქმედებაა (მენაბდე 1953:103). სულხან-საბა ორბელიანი ფოლკლორთან ურთიერთობაში გვევლინება როგორც მისი შემსწავლელი, შემკრები და მხატვრულად გარდამქმნელი. თავისი დროის ხალხური შემოქმედების შესწავლა და მეცნიერული ცოდნა მოჩანს სულხან-საბას იმ დაკვირვებებში, რომლებიც მას შეტანილი აქვს ფოლკლორული ტერმინების განმარტების სახით „სიტყვის კონაში'', აგრეთვე იმ ცნობებში, რაც ხალხურ ტრადიციას შეეხება და შესულია „მოგზაურობაში'', „სწავლანში'', „სიბრძნე სიცრუისაში'' და თარგმანის საბასეულ რედაქციაში. „სიტყვის კონაში'' სულხან-საბას მუსიკალური (მაგ: მღერა, სიმღერა, მგოსანი, გალობა, ღიღინი, ბანი და სხვა) და ქორეოგრაფიული (მაგ: ცეკუა, თამაშობა, ფუნდრუკი, ფერხული, წყობა და სხვა). ფოლკლორის რამდენიმე ათეულ ტერმინთან ერთად განმარტებული აქვს ორმოცამდე ფოლკლორული ტერმინი. მაგ.: სულხან-საბას მიერ განმარტებული სიტყვა „ზეპირი'', რომელსაც ავტორი უწიგნოდ თქმას უწოდებს, ხოლო „თხრობა'' ლექსიკოგრაფიის განმარტებით არის თქმა. საზოგადოდ, ფოლკლორის აღმოცენების ადრეულ საფეხურზე ჟანრობრივი დიფერენციაცია არ არსებობდა.

განვითარების შემდგომ ეტაპზე ფოლკლორში თანდათან გამოიკვეთა ეპიკური, დრამატული, ლირიკო-ეპიკური და ლირიკული ჟანრები. სულხან-საბა ორბელიანის მიერ განმარტებული ტერმინები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა XVII-XVIII საუკუნეებში გავრცელებული ფოლკლორულ ჟანრებზე. ლექსიკოგრაფი არაკს განმარტავს, როგორც იგავის სომხურ სახელწოდებას. „არაკი'' - სომხურად იგავს ჰქვიან. ხოლო იგავი „ესე არს სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მისანიშნი''. აბსოლუტურად იდენტურია „სიტყვის კონასა'' და ქართული ფოლკლორის ლექსიკონში განმარტებული სიტყვა „ზღაპარი“. ლექსიკოგრაფი მას ტყუილს, მოგონილს და რეალობას მოკლებულს უწოდებს. „ზღაპარი'' არს მოგონებული ტყუილი, ამბავად შემჭურვებული და არა ქმნილი მყოფობით (ორბელიანი 1991:29). თვითონ პროცესს „ზღაპრობას“ განმარტავს, რომ იგი არის საწარმართო, საცრუო, მოგონებული და ტყუილით შემჭევრებული. ხოლო ზღაპრის მთქმელი, ლექსიკოგრაფიის განმარტებით, არის მეზღაპრე. თანამედროვე ფოლკლორისტიკაში ზღაპრის თქმა, ეს არის ზღაპრის მოყოლა, თხრობა, რომელიც საყოფაცხოვრებო მოვლენას წარმოადგენს.

სულხან-საბა ორბელიანს თხზულების შექმნისას გაუთვალისწინებია დიდი აღმოსავლელი მეიგავეების გამოცდილება და „სიბრძნე სიცრუისა'' ჩარჩოსებური კომპოზიციის კანონის საფუძველზე აუგია. „სიბრძნე სიცრუისა'' სადა და დახვეწილი სტილითაა დაწერილი, მასში ისეა ინდივიდუალიზებული პერსონაჟთა მეტყველება, ისეთი ძალითაა და მიზანმიმართულებით მოძრაობს მწერლის სიტყვა, ლექსიკის იმისთანა სიმდიდრეს ვხვდებით, რომ ყოველივეს, ხანის გარდა, ის მწერლური სიბრძნე ესაჭიროებოდა, რომელიც ასაკში მოდის. თავის ეპოქის მრავალგვარ მანკიერებაზე

შეაჩერა ყურადღება. მანკიერებებზე სასაუბროდ ყველაზე უხვადაა გამოყენებული ცხოველთა ზღაპრის პარალელურად შემოტანილი ფანტასტიკური ზღაპრები და ხალხური ფაბლიოები.

ცხოველთა ზღაპრებისაგან განსხვავებულად გადმოგვცემს მწერალი ისტორიებს, რომელთა საფუძვლად ჯადოსნური ზღაპრებია გამოყენებული. აქ სხვაა მწერლის ამოცანა, განსხვავებულია თხრობის სტილი, თავისებურია მხატვრული ტექსტის გამართვის ტექნიკაც. ამბის შესაბამისად, გმირთა თავგადასავალს მწერალი გადმოგვცემს ვრცლად, მოქმედებათა მიზეზშედეგობრივი კავშირის დაცვით, დიალოგების გაწყობით მწერალს განახლება შეაქვს თხრობაში. ფანტასტიკური ზღაპრების უპირატესად ჰყვება უფლისწულის აღმზრდელი ლეონი, რომელიც მწერალს მოგზაურად და, შესაბამისად, მრავლის მნახველ პიროვნებად ჰყავს გამოყვანილი. მისი ნანახი და გაგონილი ეგზოტიკური ამბები სასიამოვნო მოსასმენია, თუმცა ყოველ მათგანში იკითხება მეორე პლანიც, ანუ მკითხველს შეუძლია ჭკუის სასწავლებელი დასკვნის გამოტანა. ეს ამბები წარმოშობისა და შედგენილობის მიხედვით არაერთგვაროვანია. მათ მწერალი ხან თხრობის გასახალისებლად იყენებს, ხან მსმენელის გასაოცებლად, ხან კი აღმზრდელობითი ფუნქციით. ეს ამბები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

1. საკვირველი ამბები ცნობილი ფანტასტიკური ზღაპრებიდან;
2. დიდაქტიკურ-მორალისტური შეგონებებისათვის შესაფერისი ფანტასტიკური სიუჟეტები (მოტივები);
3. ზღაპრისათვის უცნობი მოკლე ფანტასტიკური ისტორიები.

„სიბრძნე სიცრუისაში“ მეფეთა სახეები გაშლილადაა წარმოდგენილი. აქ მწერალი უფრო ეძებს, აზუსტებს „უმაღლესი სოფლის დიდების“ მფლობელთა ხასიათებს, ცდილობს აჩვენოს და მიახვედროს მკითხველი, თუ რა არ ეკადრება და რაა შესაფერისი ღირსეული მეფისათვის. აქ არაა მხოლოდ რაიმე ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა. განსჯა გარკვეულწილად თავად მკითხველისათვის აქვს მინდობილი საბას, ხოლო მორალი, როგორც წესი, იგავის ბოლოშია გადატანილი ან შეგონების სახითაა ხოლმე ჩამოყალიბებული [4, 23]. „სულხან-საბა“ ორბელიანის მორალი ძირითადად და პრინციპულად ქრისტიანულია. ის განიხილავს სიკეთესა და ბოროტებას არა მარტო რელიგიური ასპექტით, არამედ ამქვეყნიურითაც. ამიტომ საბა ყველაზე მეტად ხაზს უსვამს სწავლის, ცოდნის შეძენისა და აღზრდა-განათლების საჭიროებას. სწავლა-განათლება, მისი აზრით, აკეთილშობილებს ადამიანს და საზოგადოებას, გარკვეულ ღირსებებს მატებს მათ, ის უფრო მაღლა დგას, ვიდრე გვარიშვილობა, სიმდიდრე და სამსახურებრივი მდგომარეობა. [(4, 259] სულხან-საბა გმირთა თავგადასავალს გადმოგვცემს ვრცლად, არგუმენტირებულ მოტივირებებით, მოქმედებათა მიზეზშედეგობრივი კავშირის დაცვით. სულხან-საბა ორბელიანმა ფანტასტიკური ამბების მოთხრობით მორალისტური შეგონებების ერთტიპობრიობიდან გამოიყვანა თხრობა, შეცვალა მისი რიტმი და უთუოდ გაამრავალფეროვნა იგავ-არაკთა კრებული.

ლიტერატურა:

1. თეიმურაზ ქურდოვანიძე, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 2001, გვ. 43
2. მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1975, გვ. 7
3. მარინე ტურაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ფოლკლორი, თბ., 2011.
4. გ. მურღულია, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1992, გვ. 235.259

აკაკი წერეთლის ტექსტებზე მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის ისტორიიდან

ნათელა საზანდრიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე,** პროფესორი

ეროვნული სამუსიკო შემოქმედებას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ხელოვნების ფრონტზე და დიდ როლს თამაშობს ამა თუ იმ ერის კულტურულ ცხოვრებაში. ხოლო მისი მნიშვნელობა უფრო ღრმავდება, როდესაც იგი შეზავებულია ეროვნულ პოეტურ შემოქმედებასთან, როდესაც ხელოვნების ორი დარგი, პოეზია და მუსიკა, ერთიმეორეს ავსებს და ერთ მთლიანობაში მოცემული. (ჩხიკვაძე 1940: 29)

ამ თვალთახედვით დიდ ინტერესს წარმოადგენს საკითხი, რამდენად არის გამოყენებული ქართული ლიტერატურული საგანძური მუსიკაში, იქნება ეს ფოლკლორული მუსიკისა თუ აკადემიური სამუსიკო შემოქმედების ნაყოფი.

ცნობილია, რომ სანამ გაჩნდებოდნენ ქართველი პროფესიონალი კომპოზიტორები, ჯერ ქართული სამუსიკო ფოლკლორი, ხოლო შემდეგ უსახელო ავტორები და მუსკის მოყვარული დილეტანტები ან ნახევრად პროფესიონალები ხარბად ეწაფებოდნენ ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა პოეტურ შემოქმედებას.

პოეზია და მუსიკა, ხელოვნების ძირითადი შემადგენელი ნაწილია და არცთუ იშვიათად დაკავშირებულია ურთიერთთან. საუკუნეთა მანძილზე ხალხური ეთნომუსიკა სარგებლობდა ფოლკლორული ნიმუშებით. მაგრამ დროთა განმავლობაში ამა თუ იმ პოეტის ლექსი იქცევა მუსიკალური ნაწარმოების წყაროდ. ეს პროცესი უფრო მეტად შეინიშნება XIX ს-ში, როდესაც აღმოსავლური მოტივებისგან გათავისუფლდა მუსიკა და უფრო ევროპულს დაუახლოვდა, ავითარებდა რა ქართული სიმღერის ეროვნულ ტენდენციებს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად აღმოსავლური ქვეყნებთან დიდი სიახლოვისა ქართულ მუსიკაში ვერ დამკვიდრდა თარი, მაგრამ XIX ევროპიდან შემოვიდა გიტარა და იგი იქცა ქართველი მომღერლის საყვარელ ინსტრუმენტად.

მუსიკალური ნაწარმოების შექმნას ხელს თვით პოეტის შემოქმედების მუსიკალობა უწყობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტი აკაკი წერეთელი (1840-1915), რომელმაც ჭაბუკობაშივე აიღო სწორი ტენდენცია. აკაკიმ უარყო ძველი ლექსის ფორმა და მსუბუქ-ჰაეროვანად დაიღვარა მკითხველის წინაშე. მას კარგად აქვს შეგნებული თავისი დანიშნულება - მწერლობა მიაჩნია არა მშრალ ხელოვნებად, „სადაც მხოლოდ მუსიკა და კეთილხმოვანება უნდა იყოს“, არამედ - „დღიურ ავკარგიანობის საბრძოლველ - სამსახურად“. ეს მკაფიოდ აქვს გამოხატული შემდეგ სტრიქონებში:

„მისთვის მომცა ღმერთმა ენა,
სამართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო,
თუნდა ქვითაც დავიკირო“. (ჩხიკვაძე 1940: 30)

აკაკი წერეთელი პოეტი მოქალაქეა, რომელსაც მუდამ აწუხებს ბედ-იღბალი და მშრომელი ხალხის მწარე ხვედრი. მისი პოეზია გაჟღენთილია სოციალური მოტივებით. იგი ქართველი ერის გუშაგია. მისი „დაფი და ნაღარა“ მოუწოდებს ქართველ ხალხს ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ნაციონალური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. პოეტს თავისი სამშობლო ეგულება „ცხრაკლიტულში მჯდომარე“, ან „კავკასიის ქედზე მიჯაჭვული“, რომლის დახსნაც შესაძლებელია მხოლოდ გაერთიანებული ძალით, ერთი მთლიანი შეტევით.

ქართველი ხალხი ხარბად დაეწაფა ქართული პოეზიის სიამაყის აკაკი წერეთლის ლექსებს და შექმნა მრავალი თვალსაჩინო ნიმუში ქართული სამუსიკო ფოლკლორისა. ამაში არც კომპოზიტორები ჩამორჩნენ და, როგორც ძველმა, ისე ახალმა თაობამ შექმნა მის ტექსტებზე სხვადასხვა ჟანრის საკმაო რაოდენობის სამუსიკო ნაწარმოები. მის ლექსებზე სიმღერების შექმნა უწყვეტი პროცესია, რომელიც დღესაც აქტიურად მიმდინარეობს.

უაღრესად მუსიკალური აკაკის ლექსები მალე იქცა ქალაქური ჰანგების მუზად. თვით აკაკი არაიშვიათად ახსენებს თავის ლექსებში ადრე თუ მის დროს გამოყენებულ ინსტრუმენტებს: ჩანგს, ჩონგურს, ქამანჩას, დაფს, ნაღარას, სალამურს და სხვა.

გ. ჩხიკვაძე იგონებდა: „აკაკი წერეთლის თითქმის ყოველი ლექსი სამღერალია; თითქოს თითოეული მათგანი საჭიროებს სიმღერით შესრულებას. თვით პოეტი თავის მრავალ ლექსს უწოდებს „სიმღერს“, „მესტვირულს“. ის ხშირად მიმართავს სამუსიკო საკრავებს, მემუსიკეთ ან მომღერალ ჩიტებს, რათა მიეშველონ პოეტს თავისი „გულის დუღილის“ გამოთქმაში. მისთვის ცნობილია ძველად განთქმული მესტვირეები ბლიაძე და ქებაძე და მიმართავს მათ თავის ლექსში - „ირაკლის საფლავზე“, რომელსაც აგრეთვე „მესტვირულს“ უწოდებს:

„სტვირის გუდა მაქვს ბლიაძის
ქამანჩა ქებაძისაო...“. (ჩხიკვაძე 1940: 31)

პირველი ნაბიჯი აკაკის ტექსტებზე მუსიკალური ნაწარმოების შექმნისა გადადგა მელიტონ ბალანჩივაძემ (1862-1937). 1889 წელს მან შექმნა რომანსი „აღმართ-აღმართ“, სწორედ ეს მუსიკალური ნაწარმოები იქცა ქართული რომანსის სათავედ. სიმღერაში გამოყენებულია ქართული ჰანგი. ლექსიდან ამოკრებილია 5 სხვადასხვა ტაეპი. მ. ბალანჩივაძეს შემდგომშიც არ შეუწყვეტავს აკაკის შემოქმედებასთან კავშირი. ოპერას „დარეჯან ცბიერი“ აკაკის პიესა დაედო საფუძვლად.

მისი ლექსები გაუმღერებია და კლასიკური სული ჩაუბერავს მრავალ კომპოზიტორს. ესენია:

არაყიშვილი დიმიტრი - რომანსი „ჭაღარა“. კარგარეთელი ია - რომანსი „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“. სულხანიშვილი ნიკოლოზ - ოპერა „პატარა კახი“ (დაუმთავრებელია), ამ ოპერიდან

ქვაბულიძის არია „დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან“ დამკვიდრდა საკონცერტო რეპერტუარში. საგუნდო ნაწარმოებები: „მესტვირული“ (1913 წ.); „ჩონგურს სიმები გავუბი“. ფოცხვერაშვილი კონსტანტინე, აზარაშვილი ვაჟა, ბობოხიძე იაკობ, გაბიჩვაძე რევაზ, გიგაური ნოდარ, გოკიელი ივანე, გუდიაშვილი ნიკოლოზ, დავიდოვ-დავითაშვილი შალვა, თაქთაქიშვილი ოთარ, თაქთაქიშვილი შალვა, თოხაძე რუსუდან, თუმანიშვილი ქეთევან, კერესელიძე არჩილ, ლაღიძე რევაზ, მაჭავარიანი ალექსი, მირიანაშვილი ალექსანდრე, ნარიმანიძე ნიკოლოზ, სლიანოვა-მიზანდარი დაგმარა, ფალიაშვილი ზაქარია, შავერზაშვილი თამარი, ჩიმაკაძე არჩილ, ჩუბინაშვილი გიორგი, ცაგარეიშვილი ვალერიან, ცინცაძე სულხან, ციციშვილი გივი, ჭუმბურიძე ვლადიმერ, მაჭავარიანი-წერეთლისა ვარინკა (ბარბარე) - სიმღერა „სულიკო“. ნინო ქათამაძე „სულიკო“ (ჯაზის ელემენტებით, პრემიერა 2013 წ. 27 თებერვალი. გადაცემაში „ნანუკას შოუ“.)

პოეტის ლექსზე „ციცინათელა“ შეიქმნა ქალაქური ხალხური საგუნდო სიმღერა ჩაწერილი გრ. ჩხიკვაძის მიერ. ადრე იმღერებოდა იგი სულ სხვა ჰანგზე. ამჟამად გავრცელებული მელოდია აღმოცენებულია დაახლოებით მეოცე საუკუნის დასაწყისში. (გიორგაძე 2003: 102)

ლექსები: „მინდვრად ეგდო თეთრი ქვაო“, „მშვენიერო“, „სანთელივით გავქრები“, „საიდუმლო ბარათო“, „ღმერთო, წვიმა მოიყვანე“, „სალამურმა დაიკვნესა“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „მუხამბაზი“, „სალამური“, „იავნანინა“, „მუშური“ - ქალაქურ ხალხურ სიმღერებად იქცა, პოპულარული იყო მეცხრამეტე მეოცე საუკუნეების მიჯნაზე, კომპოზიტორი უცნობია (გიორგაძე 2003)

საყოველთაოდ ცნობილი სიმღერა „სულიკო“, აკაკის სიცოცხლეშივე შეიქმნა. ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ „სულიკოს“ მუსიკის ავტორის ისტორიას.

„დაახლოებით 45 წინათ აკაკიმ მიძღვნა ლექსი „სულიკო“ და მითხრა, შენებურად ხმა გამოუძებნე და იმღერეო. დიდი მგოსნის შეკვეთამ, რა თქმა უნდა, საგონებელში ჩამაგდო. ლექსის მომხიბლავმა სილამაზემ ჩემში უთვალავი მუსიკალური სახეები აღძრა, ერთ მშვენიერ დღეს გიტარის აკომპანიმენტზე სრულიად მოულოდნელად ჩამოყალიბდა „სულიკოს“ მელოდია. როდესაც აკაკიმ ეს მელოდია პირველად გაიგონა, დიდად ნასიამოვნები დარჩა, მამღერა მრავალჯერ, შემდეგ თავისი პორტრეტი მაჩუქა წარწერით: „ჩემს საყვარელ ბულბულს, სულიკო-ვარინკას აკაკისაგან“. (აკაკის სამრეკლო, 1990)

ვარინკა-ბარბარე მაჭავარიანი-წერეთლისა დაიბადა 1874 წელს სოფელ ცხრაწყაროში გენერლის, სპირიდონ მაჭავარიანის, ოჯახში. განათლება ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში მიიღო. მას ბავშვობიდანვე მშვენიერი ხმა აღმოაჩნდა. მუსიკას ცნობილი ლოტბარის ფილიმონ ქორიძის მეუღლე, მუსიკოსი ზინაიდა ვორობეცი, ასწავლიდა. ვარინკა აკაკი წერეთლის ახლო ნათესავს სერგო წერეთელს მისთხოვდა. გარდა იმისა, რომ იგი კარგად მღეროდა გიტარის თანხლებით, მშვენიერ სიმღერებსაც თხზავდა, მათ შორის აკაკის ლირიკულ ლექსებზე. ამ გარემოებამ აკაკი და ვარინკა მეტად დააახლოვა. იშვიათი მუსიკალური ნიჭით, ხმის თავისებური ალერსიანი ჟღერადობით ვარინკა ყველას ხიბლავდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს „სულიკო“ ბულგარელ პარტიზანთა საბრძოლო ჰიმნი ყოფილა. ეს ფაქტი ნაწილობრივ დაკავშირებული უნდა იყოს ქართველ მუსიკოსთან, მევიოლინე ილიკო ქურხულის სახელთან, რომელიც გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ბულგარეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იქაურებს ქართულ სიმღერებს ასწავლიდა და თავისი მუსიკალური სკოლაც ჰქონდა გახსნილი. ასევე პრესის ფურცლებიდან შევიტყვეთ ის, რომ ლერი ალიმონაკის მიერ ვარინკა წერეთლის შესახებ პატარა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ გურამ ალექსანდრიას სტატიაში (გაზ. ქუთაისი #16 1972 წ. 22 იანვარი) იხსენებს, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების დამლევს ქუთაისში სტუმრად აშშ-დან სტუდენტთა ჯგუფი იმყოფებოდა, რომელიც ძირითადად ნიუ-იორკელი და კალიფორნიელი ახალგაზრდებისაგან შედგებოდა. მათ ხელმძღვანელობდა 45-50 წლის დარბაისელი არისტოკრატიული იერის ქალბატონი ესთერ ვაისი. ქალაქის დათვალიერებისას ჯგუფი აკაკის ძეგლთან შეჩერებულა. მასპინძელმა სტუმრებს დიდი მგოსანი წარუდგინა და თან დააყოლა, რომ იგი „სულიკოსა“ და „ციცინათელას“ ტექსტის ავტორიც გახლავთო. თავისდაუნებურად მოსკოველ თარჯიმან გოგონას „სულიკო“ წამოუწყია, მას მასპინძლებიც აჰყოლიან და უეცრად ყველასთვის მოულოდნელად მათ ინგლისურ ენაზე ხმა აუწყო ქალბატონმა ესთერმა. შემდეგ კი გაოცებულ სტუმარ-მასპინძელთა შეკითხვაზე, ასე უპასუხია, ჩემს ქალიშვილობაში „სულიკო“ ძალიან მოდაში იყო ამერიკაშიო.

მათ შორის, როგორც ამბობენ, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II-ც ყოფილა, რომელსაც „მერცხალი“ უწოდებია მისთვის. განსაკუთრებით კარგად ვარინკა გიტარის თანხლებით ამღერებდა აკაკის ლექსებს „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ და „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“. 1895 წელს აკაკიმ დაწერა ლექსი „სულიკო“ და ვარინკას გადასცა „შენებურად ხმა გამოუძებნე და იმღერეო“. შემდგომში ვარინკა წერეთლის მიერ შეწყობილ ჰანგებსა და მშვენიერ ნამღერს დიდი მგოსნისათვის აღტაცების ცრემლი მოუფენია და მისთვის ხელები დაუკოცნია. პოეტმა ვარინკას „მაისის ბულბული შეარქვა“.

„სულიკო” დაწერისთანავე ელვის სისწრაფით გავრცელდა და ხალხის საყვარელი სიმღერა გახდა. შალვა კაშმაძე წერდა: „აკაკის მარგალიტად ასხმულმა ლირიკამ საუკეთესო გამოხმაურება ჰპოვა ბარბარე წერეთლის უპრეტენზიო სიმთა ჟღერაშიო“.

ნიშანდობლივია, რომ ბევრი „სულიკოს“ ხალხურ სიმღერად მიიჩნევდა და მისი მელოდიის ჭეშმარიტი ავტორი ჩრდილში აღმოჩნდა. ამ თუ სხვა მიზეზთა გამო საავტორო უფლების მოპოვების მსურველნი გამოჩნდნენ.

1937 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე „სულიკო“ შესრულებულ იქნა ავქსენტი მეგრელიძის მიერ დამუშავებული საჩონგურო აკომპანიმენტის თანხლებით. (http://shokoladi.ge/content/sada-xar-chemo-varinka)

1898 წელს ინგლისურმა ფირმამ „ფონოგრაფი“ ვარინკას სიმღერა ცვილის ლილვაკებზე ჩაწერა, ვანო მაჩაბლის სახლში, ხოლო 1900 წელს ქართული ხალხური მუსიკის დიდმა მოამაგემ კოტე ფოცხვერაშვილმა ნოტებზე გადაიტანა, მეჩონგურეთა გუნდისათვის და ფორტეპიანოსათვის, რომელიც ორკესტრმა 1905 წლის აგვისტოში შეასრულა ქუთაისის საქალაქო თეატრში. (http://shokoladi.ge/content/sada-xar-chemo-varinka)

1934 წელს მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო ფილმი "უკანასკნელი მასკარადი", რომლის საოცარი წარმატება ორმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი იყო - გონებამახვილური სიუჟეტი, სადაც საქართველო შედარებულია პატარძალს, რომელსაც ჯერ მეფის რუსეთის ჩინოვნიკზე, შემდეგ ბურჟუაზე და ბოლოს კი - ბოლშევიკზე გათხოვებას უპირებენ. მთელი თბილისი ალაპარაკდა და ბევრმა ამ ფილმში დრამატურგი ქალის, ნატალია აზიანის სცენარი ამოიცნო. დღემდე უცნობია ფართო წრისათვის, რომ სწორედ მან უჩივლა სტალინის ფავორიტ შემოქმედს: ფილმის ლიბრეტო მე მეკუთვნის და სამართლიანობის აღდგენას მოვითხოვო. ამაოდ გაისარჯა ნატალია - მისი იდეით დაფრთიანებულმა ჭიაურელმა დაუბრკოლებლად გაიკვლია გზა კრემლის და კინემატოგრაფიის მწვერვალებისკენ. თავად ნატალიას კი 1943 წელს სიღარიბესა და შიმშილში ამოხდა სული. ფილმის წარმატების მეორე მიზეზი იყო „სულიკო“, რომელსაც ფილმში თავად რეჟისორი ასრულებს. ადვილი მისახვედრია, თუ ვის უმღერის ჭიაურელი, ვის ვნებებს ელაციცება?! ამისათვის კი სხვის ნაშრომს უშურველად ეწაფება და საკუთრებად აქცევს - თავად ხდება აქტორიც, აქტიორიც და ავტორიც. (http://shokoladi.ge/content/sada-xar-chemo-varinka)

1937 წლის იანვარში მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადა გაიმართა. როცა "სულიკოს" ასრულებდნენ, სტალინი თურმე ფეხზე წამოდგა და ისე უსმინა მომღერლებს. იმ დღიდან მთელმა ქვეყანამ გაიგო სტალინის ამ სიმღერისადმი განსაკუთრებული სიყვარული და ამიტომაც მთელი საბჭოეთის შემოქმედებითი ჯგუფები ერთმანეთს ასწრებდნენ მის შესრულებას, გადამღერებას თუ გადამუშავებას. ვარინკა წერეთელი, ცხადია, არავის უხსენებია, რადგან „სულიკო“ დაფიქსირებული იყო, როგორც ხალხური სიმღერა.

ვარინკას ნათესავი, პაპუნა წერეთელი, რომელიც დეკადაზე რუსთაველის თეატრს ახლდა, სამშობლოში გულდამძიმებული დაბრუნდა: „სულიკოს“ არნახული წარმატება და ვარინკას უნუგეშო მდგომარეობა ერთმანეთთან ვერ თავსდებოდა.

მიხვდა ვარინკა, რომ მას ყოველთვის დაივიწყებდნენ, თუ თავად არ გაიხსენებდა საკუთარ არსებობას, ამიტომაც დაიწყო "ბრძოლა გახსენებისთვის": ჩამოვიდა თბილისში და შესაბამის სამინისტროს მიმართა:

„საქართველოს სსრ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს

ზესტაფონის რაიონის, სოფელ ცხრაწყაროს 26 კომუნარების სახელობის

კოლმეურნეობის წევრის ვარინკა წერეთლის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სიმღერა "სულიკო", რომელიც ამჟამად გავრცელებულია მთელ საბჭოთა კავშირში, მისი სიტყვების ავტორის, აკაკი წერეთლის თხოვნით, 1895 წელში ჩემ მიერ არის გამოთქმული და გიტარაზე დასამღერებლად აწყობილი.

ამ სიმღერას აღნიშნულ წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ მე ვასრულებდი და სწორედ ამ გზით გავრცელდა იგი მთელ საქართველოში.

ყოველივე ამის დასადასტურებლად მე შემიძლია წარმოვადგინო როგორც წერილობითი საბუთები, აგრეთვე სანდო მოწმეებიც, რომელთა ჩვენებით გამოირკვევა ჩემი განცხადების სრული სისწორე. ასეთ მოწმეებად ჩემის მხრით მე ვასახელებ: საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს წევრს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ორდენოსანს აკაკი ხორავას და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორს, ორდენოსანს კოტე ფოცხვერაშვილს.

გთხოვთ, მოაწყოთ თქვენი თანდასწრებით ჩემი საბუთების განხილვა, ჩემ მიერ დასახელებული მოწმეების დაკითხვა და მომცეთ თქვენმიერი საბუთი სიმღერა „სულიკოს“ კილოზე ჩემი ავტორობის დამტკიცების შესახებ“.

საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის, 1938 წლის 5 ოქტომბრის სხდომამ

(თავმჯდომარე ვანო გოკიელი, ესწრებოდნენ: კოტე ფოცხვერაშვილი, შალვა დადიანი, ავქსენტი მეგრელიძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი სანდრო კავსაძე) დაადგინა, რომ სიმღერა "სულიკოს" ავტორი ვარინკა წერეთელია.

მაგრამ ავქსენტი მეგრელიძემ არ ისურვა, რომ შემოსავალი ავტორისთვის გაეყო და თანაავტორობა დაიჩემა. ამიტომ ვარინკა იძულებული შეიქნა, ამ საკითხში მეტი გარკვეულობა შეეტანა და 1939 წლის 3 იანვარს იუსტიციის კომისარს მიმართა:

„მას შემდეგ, რაც სრულიად გამოირკვა და დადასტურდა, რომ სიმღერა „სულიკო“ მე მეკუთვნის, ამ ნაწარმოებზე შემოსული საავტორო ჰონორარი მე უნდა მეძლეოდეს უკლებლივ.

მაგრამ ეს ასე არ ხდება, რადგან „საუდი“ (ჰონორარის დამრიგებელი ორგანიზაცია) გადაჭრით ვერ ერკვევა იმ ერთადერთი პიროვნების პრეტენზიაში, რომელიც მე ამ შემთხვევაში ჰონორარის ნაწილში მედავება.

ეს არის მოქალაქე ავქსენტი მეგრელიძე, რომელიც თავის პრეტენზიას ამყარებს არა კანონიერ საფუძველზე, რომ მას ჩემთან შეთანხმებით არსებითად გადაემუშავებინოს და ახალი, განსხვავებული ფორმა-შინაარსი მიეცეს ჩემი კილოსთვის, არამედ მხოლოდ მასზე, რომ იგი მას არა ჩემგან, არამედ მრავალ უკვე ჩამწერთა შემდეგ, მხოლოდ უბრალოდ ჩაუწერია და ეს ჩანაწერი ჩონგურზე დაუმღერებია.

ასეთი ოპერაციის ჩამტარებელს, ამ შემთხვევაში კი ავქსენტი მეგრელიძეს, ჩემის ცნობით, კანონი არ უნდა ანიჭებდეს თანაავტორობის უფლებას.

თუ ვინმე ჩემს „სულიკოს“ გადაამუშავებს და ახალ განსხვავებულ ფორმა-შინაარსს მისცემს, ეს სხვა საკითხია. ავქსენტი მეგრელიძეს კი გამოქვეყნებული აქვს ჩემი დანამღერის პირდაპირი განმეორება.

გთხოვთ წერილობითი განმარტება მომცეთ ამის შესახებ. ამასთანავე დავსძენ "სულიკოს" შესახებ რამდენიმე საბუთს (დაერთო ლევან ასათიანის, კოტე ფოცხვერაშვილის, სანდრო კავსაძის წერილები, სადაც ისინი კიდევ ერთხელ ამტკიცებენ ვარინკას ავტორობას, ასევე კომპოზიტორთა კავშირის 1938 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებას).

1939 წლის 7 აპრილს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, ლეო ესაკია „საუდს“ უგზავნის წერილს:

„ხელოვნების საქმეთა სამმართველო გაცნობებთ, რომ სიმღერა „სულიკო“-ს ავტორობის საკითხის გარკვევის შემდეგათ, თანახმად წარმოდგენილი ფაქტიური მასალებისა, დადასტურდა, რომ აღნიშნული სიმღერის ავტორათ უნდა ჩაითვალოს ვარინკა წერეთელი. ჰონორარის 75%-ი უნდა მიეცეს ვარინკა წერეთელს და 25% ავქსენტი მეგრელიძეს, ვინაიდან უკანასკნელს ეკუთვნის სიმღერის ჩონგურზე დამუშავება და პოპულარიზაცია“.

ვარინკას ავტორობა სულ მალე მოსკოვშიც გაიგეს. 1939 წელს თბილისში ლენინგრადის კაპელა ჩამოვიდა, ალექსანდრე სვეშნიკოვის ხელმძღვანელობით. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამართული კონცერტის ბოლოს მათ „სულიკოც“ შეასრულეს და მისი ავტორი სცენაზე აიყვანეს. ასეთი ყურადღებით გაკვირვებული ვარინკა აღტაცებას ვერ მალავდა. შინ მიმავალმა, როცა მას ტრამვაიში ადგილი დაუთმეს, ნათესავს უჩურჩულა: „ეტყობა, მიცნო ამ ახალგაზრდამ“-ო.

1940 წლიდან ქართულ კულტურას ხალხური და ქალაქური სიმღერის განუმეორებელი შემსრულებლები შეემატნენ - დები იშხნელები. მათი დედა, ვასასი ლოლაძე, ვარინკას მეგობარი და საუკეთესო მომღერალი იყო.

იშხნელების რეპერტუარში, „სულიკოს“ გარდა, შედიოდა ვარინკას მეორე არანაკლებ პოპულარული "მუხამბაზი". სამწუხაროდ, დღეს უკვე ძალიან რთულია მის მიერ შექმნილი სხვა მელოდიების დადგენა, რადგან აღარავინაა ისეთი, ვისაც ამ საკითხზე დაელაპარაკები.

ვარინკა წერეთელი 1948 წლის 21 მარტს გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ ცხრაწყაროში, მისი ვაჟის გვერდით.

სიმღერა „სულიკოს“ უამრავ სანოტო გამოცემათაგან მუსიკის ავტორი მხოლოდ 1939 წლისაზეა აღნიშნული, ესეც იმიტომ, რომ ეს საკითხი მაშინ სულ ახალი გარკვეული იყო. სხვა ყველა გამოცემას აწერია: "ტექსტი აკაკი წერეთლისა, მუსიკა - ხალხური". მათ შორის არის 1954 წელს ვანო გოკიელის მიერ გუნდისა და ფორტეპიანოსთვის დაბეჭდილი ნოტები. აქ უცნაური ის არის, რომ სწორედ ეს ადამიანი თავმჯდომარეობდა სხდომას, რომელმაც ვარინკას ავტორობა დაადგინა. დავიწყების ამ მისტიკას ეძღვნება ლია ჯაყელის ფილმი „სადა ხარ, ჩემო სულიკო“. რეჟისორი დეტალურად მოგვითხრობს „სულიკოს“ ისტორიას და დემონსტრაციულად აღადგენს სამართლიანობას - ტიტრებში ხაზგასმულად აჩვენებს წარწერას: „კომპოზიტორი ვარინკა წერეთელი“ ანუ აღადგენს სამართლიანობას: ვარინკას უწოდებს „კომპოზიტორს“, რაც აქამდე ვერავის დასცდა.

1981 წლიდან, მამუკა ასლანიკაშვილის ინიციატივით, ვარინკას მშობლიურ ცხრაწყაროში „ვარინკობა“ აღინიშნება: იმართება კონკურსი ხალხური და ქალაქური სიმღერის საუკეთესო შემსრულებელთა გამოსავლენად.

მაშასადამე აკაკის შემოქმედება მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. არანაკლებ მრავალფეროვანია მის ტექსტებზე მუსიკალური ნაწარმოების შექმნის არეალი. ჩვენ ვცადეთ წინამდებარე ნაშრომში ძირითადად შევჩერებულიყავით პოპულარული სიმღერის „სულიკოს“ ისტორიაზე.

ლიტერატურა:

1. თ. გიორგაძე, „ქართული მწერლობა და მუსიკა“, თბ., 2003.
2. გ. ჩხიკვაძე, „აკაკი წერეთელი და ქართველი კომპოზიტორები“, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1940, №6.
3. აკაკის სამრეკლო. თბ., 1990.
4. http://shokoladi.ge/content/sada-xar-chemo-varinka
5. https://artpalacee.wordpress.com/2011/11/18/აკაკი-და-ვარინკა-წერეთლე/

არქიტექსტი, როგორც წყარო სხვა ტექსტებისათვის: „აპოვთეგმატა“ - „სიბრძნე მალაღობელი“, „დავითიანი“, „ვახტანგიანი“

ნინო ტატიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მურად მთვარელიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში წინა პლანზე მნიშვნელოვნად წამოიწია საგანმანათლებლო იდეებმა, რაც ეპოქის მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი. ამ კუთხით, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სამი პოეტის - ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილისა და ოტია ფავლენიშვილის თვალსაზრისი.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, გავაანალიზოთ ამ სამი პოეტის შეხედულებანი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გავარკვიოთ, რამდენად ორიგინალურია ესა თუ ის თვალსაზრისი, ან ხომ არ გააჩნია ტექსტებს ერთი საერთო არქიტექსტი, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ამ მწერალთა შესაბამისი ნააზრევი.

აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სამი ავტორის საგანმანათლებლო პედაგოგიური იდეები სათავეს იღებს იმ ეპოქაში განსაკუთრებით პოპულარული აპოვთეგმური კრებულიდან, ესაა თხზულება, რომელიც ქართულად თარგმნა და თითქმის ორიგინალური ელფერი შესძინა ვახტანგ VI.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ასკეტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ანგარიშგასაწევი ჟანრი არის ”apophegmata Patum”. იგი შეიცავს ასკეტების, ეკლესიის მამების, სასულიერო პირთა ბრძნულ გამონათქვამებს. ასეთი კრებულები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ საეკლესიო წრეებში, ამიტომაც ისინი ბერ-მონაზონთა ზნეობრივ აღზრდაში უდიდეს როლს ასრულებდა.

დროთა ცვლასთან ერთად ეს კრებულები მდიდრდებოდა ახალი მასალით. არცთუ იშვიათად, ცალკეულ მონასტერში ასეთ კრებულებს ამდიდრებდნენ იქაურ ბერ-მონაზონთა აპოთეგმებით, თუ მათი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებით. სწორედ ამის გამო შეერქვა ამ კრებულებს „პატერიკები“ ანუ „მამათა ცხოვრება“. ამავდროულად, ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ისეთი კრებულები, რომლებშიც ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა ნააზრევი იყო შეტანილი.

განსაკუთრებული ინტერესი აპოვთეგმების მიმართ, შეიმჩნევა ეგრეთ წოდებული აღორძინების პერიოდში. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე შენიშნავს: „აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში ჩვენ გვაქვს რამდენიმე ასეთი კრებული“. (კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 483).

ვახტანგ მეექვსეს გაულექსავს „სიბრძნე მალაღობელი“, რომელსაც საფუძვლად უდევს ვახტანგის ამალის წევრის, ერასტი თურქისტანიშვილის, მიერ თარგმნილი „აპოთეგმატას“ მოკლე პროზაული ტექსტი.

აღნიშნული თარგმანის გამომცემელი, მკვლევარი ლალი ძოწენიძე, წერს: „როგორც ჩანს, ამ კრებულის არსებობა და მისი ასეთი პოპულარობა უყურადღებოდ არ დარჩენიათ იმ დროის ქართველ მწერლებს და მომწიფებულა აზრი, მოეწოდებინათ იგი ქართველი მკითხველისათვის.

მოსკოვის კოლონიის ერთ-ერთ მოღვაწეს, ერასტი თურქისტანიშვილს, ვფიქრობთ, ვახტანგის თხოვნით (თუ დავალებით) უთარგმნია ეს კრებული ქართულად“. (ლ. ძოწენიძე, რუსული აპოვთეგმატას ქართული რედაქციები, თბ., 1959, გვ. 43)

„სიბრძნე მალაღობელი“ მრავალფეროვნად და დიდი გულმოდგინებით არის დამუშავებული, აქ გვხვდება ისეთი მომენტებიც, როდესაც პოეტი თავის წყაროს ავრცობს, უმატებს თითო სტროფს (იშვიათად მეტსაც), რომლებშიც დედნისეულ თვალსაზრისს ავითარებს და ზოგჯერ სხვა მიმართულებასაც აძლევს. ასე მივიღეთ განთქმული აფორიზმი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“. (ბორის დარჩია, ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, თბ., 1986, გვ. 3)

„სიბრძნე მალაღობელში“ ვახტანგი ადამიანურ ღირებულებათაგან ყველაზე წინ ჭკუა-გონებას, ცოდნას, სიბრძნეს, სწავლა-განათლებას წამოსწევს. აქ პოეტი იმასვე ქადაგებს, რაც შემდგომ ჩამოაყალიბა დავით გურამიშვილმა ბრწყინვალე პოეტურ სახეებში.

ჩვენ მიერ დასახელებული პოეტების თანახმად, სწავლა რთული პროცესია, ამასთანავე ძალზე საჭირო და აუცილებელი, რაც ადამიანის სიყრმეში უნდა განხორციელდეს.

ვახტანგ მეექვსე იმეორებს აპოთეგმატას კონცეფციას სიყრმეში სწავლის მიღებასთან დაკავშირებით:

„სიყრმითგანვე ყოველ სწავლა სიბერეში გამოგადგეს“.

ამავე თვალსაზრისს იმეორებს დავით გურამიშვილიც:

„ვით ძნელად ძველი ბერ-ფუყი დაიგრიხების წნელადა,

ეგრეთვე კაცი მხცოვანი განისწავლების ძნელადა“.

სიყრმეში სწავლის მიღების აუცილებლობაზე საუბრობს ოტია ფავლენიშვილი პოემაში „ვახტანგიანი“:

„არ მართებს კაცსა სიყრმის ჟამს ქმნას წავლის თაკილობანი“.

,,აპოვთეგმატაში“ ვკითხულობთ: ,,სწავლის ძირი მწარე არის, მაგრამ ფოთოლი და ნაყოფი ტკბილი“. (83) ესე იგი, ავტორი გვეუბნება, რომ სწავლის პროცესი რთულია, სამაგიეროდ მისი შედეგი ტკბილია.

ეს თვალსაზრისი, არქიტექსტზე დაყრდნობით, ვახტანგმა ასე ჩამოაყალიბა:

„სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგცემს ბოლოდ ტკბილსა“.

ამ დებულებას ოდნავი ფრაზეოლოგიური სახესხვაობით წარმოგვიდგენს დავით გურამიშვილი:

„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

დავით გურამიშვილი და ვახტანგ მეექვსე არ გამორიცხავენ სწავლის პროცესში ფიზიკურ დასჯას:

„მწვრთნელთა მოსწავლის ცემაზე ვინ დაუზრახოს ბრალები“. (ვახტანგი)

იგივე თვალსაზრისი შემდეგნაირადაა ფორმულირებული დავითთან:

„ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემის კივილი

მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლულების ტკივილი“.

ვიქრობთ, ორივე პოეტის შეხედულება უნდა მომდინარეობდეს სწორედ აპოვთეგმატაში წარმოდგენილი თვალსაზრისისაგან: ,,ამას უთხრეს: შენს მოწაფეთ ძლიერათ ჰგვემ! მიუგო: დაკოდილს დასტაქარიც მრავალს ჭირს აჩენებს, მაგრამ მოარჩენს, ეგრეთვე მკურნალიც, როდესაც სნეულთ მორჩენას მოინდომებენ, მრავალს ფარეზს აქნევინებენ და მწარეს წამლებსაც შეასმევენ და, თუმცა არ დაუჯერა, უსაცილოდ მოკვდება“. (35)

სწავლა-განათლების საკითხებზე მსჯელობისას ქართველი პოეტები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, თუ რა უპირატესობა გააჩნია განათლებას უსწავლელობასთან შედარებით.

„სწავლული კაცი მალ ნახავს, რა რაზე მიზდევს რისასა,

ვერ ხედავს გაუსწავლელი ვერც სხვისა, ვერცა მისასა“.

ვახტანგ VI

„ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში ყოფნა ნებისა,

ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა“.

დავით გურამიშვილი

რასაც ისწავლი უფრო გაქვს პატივი დასადებელად,

ყოველ დღე კაის საქმისა გახდები შემასწრებელად.

ვფიქრობ, ეს გამონათქვამები აზრობრივ კავშირშია ,,აპოვთეგმატას“ თვალსაზრისთან: „იმას უფრო ბევრი აქვს, ვისაც სწავლისათვის ყური მოუკრავს, ამისთვის, რომ ყველა საქმეს მსწრაფლ იქმს“.

უაღრესად საინტერესო პოეტური სახეებით არის წარმოდგენილი სწავლის პროცესის მნიშვნელობა ადამიანის ფორმირების საკითხში. ვახტანგი მას ბნელ ღამეში მთვარის მოვანებას ადარებს:

„კაცსა სწავლა განანათლებს, ვითა მთვარე ღამე ბნელსა“.

დავით გურამიშვილის აზრით, განათლება სიბრძნეა, სიცოცხლეა, უსწავლელობა კი-სიგიჟე და სიკვდილი.

„თქმულა სიბრძნესთან სიგიჟე, ვითა ცოცხალთან მკვდარია“.

ხოლო ოტია ფავლენიშვილთან სწავლის პროცესი ვერცხლის მიღების პროცესს უტოლდება:

„სწავლასა შინა ვერცხლისებრ თავს უყოს გამოდნობანი“.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით მივადექით მთავარ საკითხს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, „სიბრძნე მალაღობელი“ ვახტანგმა 1731 წელს დაამუშავა. მიღებული თვალსაზრისით, დავით გურამიშვილი მოსკოვში 1729 წელს ჩავიდა. თვითონ დ. გურამიშვილის მონათხრობის მიხედვით, იგი მოსკოვში 1730 წელს ჩასულა. აი, რას წერს პოეტი:

ექვსის წლის წინათ ჩემს უწინ
ქართლიდან წაბრძანებულნი,
რა მოველ მოსკოვს, ვიხილე
მეფე და ქართველთ კრებულნი.
რომლისაც ხელმწიფესაგან
მუნ იყვნენ დაბარებულნი,
იმისთვის ვეღარ მიესწრათ,
მით იყვნენ გამწარებულნი.
ერთს დიდ პეტრეს და ორს სხვასა
მოშლოდათ წუთისოფელი,
წართმოდათ მოკლე სამყოფი,
ეშოვნათ გრძლად სამყოფელი.

როგორც გურამიშვილი წერს, ის მოსკოვში ჩასულა პეტრე პირველისა და მისი შემდგომი ორი მეფის გარდაცვალების შემდეგ. პეტრე პირველი გარდაიცვალა 1725 წელს, მისი ცოლი ეკატერინე პირველი, რომელიც მის შემდეგ მეფობდა -1727 წელს, ხოლო ეკატერინეს შემდეგ ტახტზე ასული პეტრე მეორე -1730 წელს.

დავით გურამიშვილი რომ 1730 წელს უნდა ჩასულიყო მოსკოვში, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ოტია ფავლენიშვილი, რომელიც პოემაში მოთხრობილ ამბებს აღწერს 1730 წლამდე, არსად ასახელებს დავით გურამიშვილს, მაშინ, როდესაც ყურადღების გარეშე არ ტოვებს ვახტანგის გარშემო მყოფ არცერთ თანმხლებ პირს. დავითი რომ მოსკოვში 1729 წელს ჩასულიყო, ეს ფაქტი უთუოდ აისახებოდა ,,ვახტანგიანში“.

დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ორი პოეტი - დავით გურამიშვილი და ოტია ფავლენიშვილი – მოწმე ხდებოდა ერასტი თურქისტანიშვილის მიერ თარგმნილი „აპოვტეგმატის“ გალექსვისა, შესაძლებელია, ვახტანგი, როგორც თანამოაზრეებს და თანამოკალმეებს მათ უკითხავდა თავის მიერ ნათარგმნ ტექსტებს და ისინი ერთად მსჯელობდნენ, როგორც თხზულებების ავკარგიანობაზე, ისე მასში გამოთქმულ არაერთ თვალსაზრისზე, რამაც, ჩვენი აზრით, თავისი გავლენა იქონია ამ ორი პოეტის ნააზრევზე, ესე იგი, „აპოვთეგმატა“ იყო ის არქიტექსტი, რომლიდანაც უპირველესად იხელმძღვანელა ვახტანგ VI და მასთან ერთად აღნიშნული ტექსტის მთელი რიგი შეხედულებანი და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანიც კი მხატვრულად გადავიდა გურამიშვილისა და ფავლენიშვილის შემოქმედებაში.

ლიტერატურა:

1. ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975, გვ. 96-157
2. დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 20-31
3. ო. ფავლენიშვილი, ვახტანგიანი, კრებულში „ლიტერატურული ძიებანი“, 1947, გვ. 187-188
4. მ. მთვარელიძე, ძველი ქართული აფორისტული მეტყველება, თბ., 1996, გვ. 63-68
5. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 483
6. ლ. ძოწენიძე, რუსული აპოვთეგმატას ქართული რედაქციები, თბ., 1959, გვ. 43
7. ბ. დარჩია, ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, თბ., 1986, გვ. 3

ძველი და ახალი მასალები მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის

ნათია ტერტერაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელები: **თამარ გოგოლაძე,** პროფესორი
ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

XIX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობს პოეტი, თეატრალური კრიტიკოსი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი (1818-1875 წწ.). მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია დაკავშირებულია ქართლთან, სოფელ ხელთუბანთან. თუმანიშვილებმა და მისმა ნათესავებმა თუ მოგვარეებმა თავისებური წვლილი შეიტანეს XIX –XX საუკუნეების ქართულ კულტურასა და მეცნიერებაში (დიდი თეატრალური რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, რომლის სახელსაც ატარებს კინომსახიობთა თეატრი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გრიგოლ თუმანიშვილი და სხვ.).

ოდესღაც თუმანიშვილები ქართლის მეფეთა მდივანბეგები ყოფილან (ეგნატე თუმანიშვილი - ვახტანგ VI-ის დროინდელი მწიგნობარი, გიორგი, ეგნატე თუმანიშვილის ძე, ერეკლე მეფის მდივანბეგი და სხვ.).

სადღეისოდ ბევრი რამ იკარგება და იშლება ამიტომ თუმანიშვილთა ნაკვალევზე ძიება ფრიად საშური საქმეა. წინამდებარე ნაშრომში ვცადეთ წარმოგვედგინა ის ინფორმაცია, რომელიც მოვიძიეთ უშუალოდ ხელთუბანსა და ქართულ საისტორიო ძეგლებში.

სოფელი ხელთუბანი ყოფილა თუმანიშვილების სამფლობელო, თუმცა მათი ორი ოჯახიღაა შემორჩენილი. შესაძლოა ეს უკავშირდება იმ საზარელ ფაქტს, რომელიც 1906 წლის 28 ივნისს მოხდა სოფელში. ამ დღეს „სოფ. ხელთუბნის ცენტრში, სოფლის რევოლუციურად განწყობილმა ჯგუფმა მოაწყო თავადის მიხეილ (ევსტაფი) თუმანიშვილის მკვლელობა. მათი შეპყრობა მთავრობის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს“ (5, 122).

ყველაზე ძველი საბუთი, რომელშიც თუმანიშვილები არიან მოხსენიებულნი მეთხუთმეტე საუკუნით თარიღდება. 1412 წელს შედგენილი საბუთით, თუმანიშვილები სოფელ ახალდაბას ფლობენ. ერთ საბუთში ვკითხულობთ: „დაიწერა ხელითა მდივანმწიგნობრისა ზაქარიასიათა“ (7,135).

შუა საუკუნეებში თუმანიშვილები ყმა-მამულის მფლობელები იყვნენ სოფელ ხელთუბანში. ასევე ფლობდნენ მიწებს დიდ გარეჯვარსა და ხიდისთავში.

დავით ციციშვილი თუმანიშვილებზე წერს: „ესენი შთამოვიდნენ საათაბეგოდან, ოდეს იქმნა საათაბაგო“. საისტორიო საბუთების მიხედვით, XV-XVIII საუკუნეებში ისინი იყვნენ სამეფო კარის მდივან-მწიგნობრები. მაგალითად, XVII საუკუნის მეორე ნახევარში გივი თუმანიშვილი რაჭაში სოფელ წესის მოურავია. თუმანიშვილებს ეკავათ ასევე სხვადასხვა თანამდებობები.

ცნობილი ენციკლოპედისტი იოანე ბაგრატიონი ცნობილ ნაშრომში, „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, აღნიშნავს: „ესენი ძველად იყვნენ ვანის ადგილთა შინა მოსრულნი კილიკიიდგან, მეფესა ბაგრატიონსა თეოდორესა. ხოლო, ახლდნენ რა გვარი მათი ლაშთა ერთი ყრმა და ზრდიდა ბებია თვისი. ჟამსა თურქთაგან დაპყრობისა ქართლსა წარვიდნენ დასახიზნავად სამეფო ადგილსა შინა კავკასიისა როკად წოდებულსა და მუნ ბებიამან მისმან კარგისა ოჯახისასა გვარისა ქალსაზედა და შვა მუნ ძენი და ბებია მათი მოვიდა ძღვნითა ისაყ ფაშასა თანა და ევედრა შვილთა თვისთათვის და ფაშამან მისცა ადგილი ხელთუბანი და შთამოვიდნენ მუნ თუმნიანი და რომელი ლაშთა როკისა შინ ისინი იწოდებიან თომანიანად. ამათი გვარნი იწოდნენ მდივნებად მეფისა თეიმურაზ მეორისა და მსახურებდნენ. ისინი არიან რაოდენიმე სახლად - ნიკოლოზის შვილები, სულხანის შვილები, მანუჩარის შვილები, ბირთველის შვილები, ეგნატეს შვილები“ (7, 29).

თუმანიშვილის გვარის ისტორიასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ამ სოფლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ნაზი თუმანიშვილს. მან დაგვიდასტურა ამ გვარის წარმომავლობის ადგილი, ეს არის კილიკია (აღმოცენდა XI საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიის მიერ ვასპურაკანის, ანისისა და კარის (ყარსი) დაპყრობის შედეგად. არსებობდა 1080 წლიდან 1375-წლამდე). ამასთანავე, მისგანვე მივიღეთ ინფორმაცია თუმანიშვილების რამდენიმე ოჯახის გადასახლების შესახებ ამ სოფლიდან. თურმე ხელთუბნელი ვინმე თუმანოვი (თუმანიშვილი), სავარაუდოდ, მიხეილ თუმანიშვილის პაპის ძმა, წასულა რუსეთში, სადაც ცოლად შეირთო რუსი ქალი და შვილები მის გვარზე დაწერა. ასე, რომ მისი შტო დაიკარგა. სოფელში თუმანიშვილების ოჯახის სიმცირის მიზეზად მაინც თბილისში

საცხოვრებლად წასვლა დაგვისახელა. აგრეთვე საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ თუმანიშვილების ძველ საცხოვრებელ ტერიტორიებზე. აღნიშნული ინფორმაცია ჩვენს მიერ იქნა პირველად მოძიებული.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საისტორიო წყაროებით დადასტურებულია, რომ თუმანიშვილებს მემკვიდრეობით ჰქონდათ მინიჭებული „მეფის მდივანთა თანამდებობა“. ზაქარია XV საუკუნეში გიორგი VIII-ისა და კონსტანტინე მეფის მდივან-მწიგნობარია. ნასრი - XVII საუკუნის დასაწყისში ლუარსაბ II-ის კარის მწიგნობარია, ბირთველი - XVII საუკუნის მეორე ნახევარში როსტომ მეფის მდივან-მწიგნობარია.

ავთანდილ თუმანიშვილი, ავტორი „ქალაქ გორის ისტორიის“, ერთგან ამაზე აღნიშნავს: „ვალი წინაპართა ჩემთა იყო ესე, რათამცა მსახურობაი ჩუენნი შედგმულ იყო კალამსა შინა“. მართლაც, თუმანიშვილთა საგვარეულოდან გამოვიდა არაერთი პოეტი, მთარგმნელი, გადამნუსხველი და ბიბლიოფილ-მწიგნობარი. ბირთველ თუმანიშვილის ძირითადი სამოსახლო ადგილი სოფელი ხელთუბანი იყო. მას ორმოცდაათამდე დესეტინა მიწა და თხუთმეტიოდე გლეხი ჰყოლია.

მიხეილ თუმანიშვილის პაპა გოგია (გიორგი), რომელიც თუმანიშვილთა ოჯახში შემორჩენილი ცნობებით, ცოცხალი ყოფილა 1799 წელსაც, მდივანი არ იყო. მეურნეობას უვლიდა ხელთუბანში. სახლთან მის მიერ აგებული იყო ციხე-სიმაგრე კოშკი და გაშენებული ბაღი, სადაც არაერთხელ ყოფილა სტუმრად მეფე გიორგი მეცამეტე.

რუსეთის მეფის მოხელეები ხშირად აწუხებდნენ გოგიას სხვადასხვა ბეგარით და მოითხოვდნენ, რომ მას სურსათი მიეწოდებინა მეფის ჯარისათვის გორსა და სურამში. ქართლის სხვა მემამულეთა მსგავსად, გოგია განსაკუთრებულ გულმოდგინებას არ იჩენდა მოხელეთა და სამხედრო ხელისუფალთა ბრძანების შესრულებაში, მაგრამ, როგორც ჩანს, მას არც მტრულ გამოსვლებში მიუღია მონაწილეობა.

თუ გოგია შორს იდგა სახელმწიფო საქმეებისა და მდივნობისაგან, ბირთველი მთლიანად მისდევდა გვაროვნულ ტრადიციებს. დაიბადა ხელთუბანში 1763 წელს. ახალგაზრდობიდანვე, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ჯერ მეფე ირაკლის, შემდეგ გიორგი მე-13-ის მდივანი იყო, 1800-1801 წლებში ბატონიშვილის ვახტანგ-ალმასხანისა, რომელიც ქართლის ერთ ნაწილს განაგებდა და ცხოვრობდა დუშეთში.

მიხეილ თუმანიშვილი ამ გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის დაიბადა 1818 წლის 19 მაისს. ბავშვობა მან მამაპაპეულ სოფელ ხელთუბანში გაატარა. მალე მისი ოჯახი ქალაქში გადმოვიდა საცხოვრებლად და პატარა მიხეილიც 1831 წელს თბილისის გიმნაზიაში შეიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის გიმნაზიაში უხეშად მიმდინარეობდა ადგილობრივ მკვიდრთა გარუსების პოლიტიკა, ხოლო სასწავლო პროცესი მკაცრად იყო მოქცეული ოფიციალური პროგრამის ფარგლებში, გიმნაზიელთა ერთი ჯგუფი, პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლის - სოლ. დოდაშვილის და სხვათა ზეგავლენით, ეცნობოდა თავისი დროის მოწინავე პოლიტიკურსა და ლიტერატურულ იდეებს. ამ ჯგუფში მიხეილ თუმანიშვილი თვალსაჩინო როლს ასრულებდა. საკმარისია ითქვას, რომ პირველი ლიტერატურული ალმანახი, ე.წ. „ანთოლოგია“, რომელიც გიმნაზიელებს შეუდგენიათ (დაახლოებით 1833 წ.), გადაწერილია მიხ. თუმანიშვილის მიერ. ასევე მიხ. თუმანიშვილის ინიციატივით გამოსცეს გიმნაზიელებმა ხელნაწერი ჟურნალი რუსულ ენაზე - „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ („Цветок Тифлисской гимназии“, 1835-1836 წწ.).

ლიტერატურული წრის წევრთაგან (ესენი იყვნენ: ლ. მელიქიშვილი, მ. ჭყონია, ი. ანდრონიკაშვილი, მ. ბებუთაშვილი, გ. ვარლამოვი, ე. ვილემსი და სხვ.) მ. თუმანიშვილს ყველაზე ახლო კავშირი ნიკოლოზ ბარათაშვილთან ჰქონდა. ჩანს, რომ ეს ურთიერთობა სკოლის ამხანაგთა უბრალო დამეგობრებას სცილდებოდა და ინტელექტუალური ინტერესების სფეროში გადადიოდა. ნ. ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში დაცულია მიხეილ თუმანიშვილისადმი გაგზავნილი, 1938 წლით დათარიღებული, წერილი: „საყვარელო მეგობარო! ნუ გამიჯავრდები დუმილისათვის. მართალი გითხრა, ჩვენს ქალაქში, რომელიც სიცხეებისაგან მოსაწყენია და მტვრისაგან - სულის შემხუთველი, საყურადღებო არაფერია. მხოლოდ გამოვცოცხლდები ხოლმე მთვარიან საღამოს, რომელიც ასე მშვენიერია თბილისში. გუშინ ერთ-ერთ ასეთ საღამოს წავედი სახეტიალოდ მოსკოვის სადარაჯოსაკენ და მოულოდნელად თავი სასაფლაოზე ამოვყავი. უნდა გამოგიტყდე, ცოტა შევშფოთდი, როდესაც თვალი მიმოვავლე ამ მყუდროებას; ღამის 11 საათია, არც ერთი სული, გარშემო მარადიული სიცარიელე; მთვარე მკრთალად ანათებს საფლავებს, როგორც მიცვალებულის მიმქრალი ბაზმა. ჩუმად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს ამ სევდიანი ქვეყნის მყუდროება... შენ ახლა არხეინადა ხარ და მე არ მინდა შეგაშფოთო მჭმუნვარე ფიქრებით, რომლებიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-ქვეყნიურმა სანახაობამ! გეტყვი კი, სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა; ის აუცილებელია, რათა მოკვდავი დროგამოშვებით იმაში თავის ცხოვრებას კითხულობს! ბედკრულის ნუგეშისცემა - დასასრული ბედნიერებისა“ (1, 99). წერილის ეს ნაწილი ამ ორი ადამიანის სულიერი კავშირის დამადასტურებელია და, ამასთანავე, ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრული პროზის ნიმუშსაც

წარმოადგენს. წერილის მეორე ნაწილში ადრესატი ადრესანტს უთვლის მეგობრულ სალამს და ესაუბრება ლექს „ასტრას“ შესახებ.

მწერლობისადმი სიყვარულმა მ. თუმანიშვილში ადრე გაიღვიძა. ჯერ კიდევ 14-15 წლის ყმაწვილმა „ანთოლოგიაში“ განათავსა მის მიერ კრილოვიდან თარგმნილი „ფოთოლნი და ფესვნი“, „სირი და ჭვინტა“, „ბაყაყნი, მთხოვნელნი მეფისა“, ნაწყვეტი პუშკინის პოემიდან „კავკასიის ტყვე“, ხოლო ორიგინალური ლექსებიდან - იდილია „მირტილი“ და „კახეთს“. მ. თუმანიშვილის ეს ლექსები ჯერ კიდევ მოუმწიფებელ შემოქმედს ამჟღავნებენ და მოწმობენ, რომ მათი ავტორი საკუთარი პოეტური ხმის ძიებაშია. ამ პერიოდში მ. თუმანიშვილი წერდა რუსულ ენაზეც. მისი რუსული ლექსები მოთავსებულია „თბილისის გიმნაზიის ყვავილში“ გრაფ გორსკის ხელმოწერით. მისი ორიგინალური ლექსები ცოტაა. უმეტესი მათგანი გამოიცა 1881 წ. მწერლის შვილის - გიორგი თუმანიშვილის ინიციატივით. ამ ლექსებიდან რამდენიმე მათგანი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, ასეთებია: „უდაბნო“, „სალამური“, „ფიალა“, „ჩონგური“, „ტირიფი“, „ელეგია“, „როდის იქნება...“ და სხვ.

მიხეილ თუმანიშვილი, როგორც ლექსის დიდოსტატი, განსაკუთრებით არ გამოირჩევა, თუმცა მკითხველის ყურადღებას მაინც იქცევს ზოგჯერ მოხდენილი პოეტური გააზრება, ლექსის მელოდიურობა, უმეტეს შემთხვევაში, რითმა. მაგრამ, ბუნებრივია, იგი იჩრდილება დიდი თანამედროვეების - ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის - გვერდით და მისი პოეზია, როგორც ეპოქის გარკვეული ტენდენციების გამომხატველი, ამჟამად მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებასღა წარმოადგენს ზოგიერთი მკვლევარის აზრით. თუმცა საკმაოდ ცნობილია მისი ლექსი „ფიალა“, რომელიც პოეტს დაუწერია 1838 წლის ივლისში:

„მიყვარს ფიალა სპეკალი,
ოდეს ღვინის ნაპერწკალი,
ნათობს, დუღს, ელავს მასშიგან,
თითქოს ლალის ნათელ-წყალი“ (1:303).

მ. თუმანიშვილის მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ლიტერტაურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები. ის ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსია, რომელიც მსჯელობას იწყებს რეალისტური ტენდენციების შესახებ ლიტერატურაში. ჯერ კიდევ 1852 წელს, გაზ. „კავკაზში“, მ.თუმანიშვილმა მოათავსა რეცენზია („მიხაკო და ნინას“ სათაურით) რუსი მწერლის მ. ლივენცოვის მოთხრობაზე „ქართული იდილია“. აქ მან პირველმა გაილაშქრა სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ, რაც მომდევნო ხანებში ჩვენი კრიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად იქცა. ამასთანავე, აქ მიხეილ თუმანიშვილმა ქართული კრიტიკის ისტორიაში პირველად დაიმოწმა დიკენსი და გოგოლი, როგორც მისაბაძი მწერლები, როგორც დიდი ხელოვნების წარმომადგენლები. XIX საუკუნის 50-იან წლებშია დაწერილი მ. თუმანიშვილის სათეატრო წერილები, რომლებშიც იგი გვევლინება პირველ ქართველ თეატრალურ კრიტიკოსად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. პირველი წერილი - სათაურით „ქართული თეატრი“ - მ. თუმანიშვილმა გამოაქვეყნა 1852 წ. „კავკაზის“ მე-10 და მე-11 ნომრებში. მისი წერილები უდავოდ ანგარიშგასაწევია ჩვენი წარსული კულტურის გასათვალისწინებელად. ამ წერილებში ავტორმა არა მარტო მთელი რიგი საინტერესო ფაქტები მოგვაწოდა ქართული თეატრის ისტორიიდან, არამედ, რაც მთავარია, განსაზღვრა ეროვნული თეატრის წარმატებისა და წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები და პირველმა შეიგნო და დასახა ქართული დრამატურგიის განვითარების ჭეშმარიტი გზა. ხოლო ეს გზა, კრიტიკოსის ღრმა რწმენით, რეალისტური ხელოვნების განვითარებასთან იყო დაკავშირებული.

მიხეილ თუმანიშვილის ბიოგრაფიისათვის მასალების ძიების პროცესში ბევრი რამ საინტერესოდ წარმოჩინდა. ვფიქრობთ, ლიტერატურის კრიტიკოსთა განცხადება, თითქოს მის შემოქმედებას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არაა მთლად მართებული, რამდენადაც, კვლევა ამ მიმართულებით საყურადღებო მასალას გვაწვდის მის მიერ გამოთქმული ეპოქის ქართული საზოგადოებრივი აზრის შესახებ. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია, მიხეილ თუმანიშვილის გვარის ისტორიასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მკვლევართათვის.

ლიტერატურა:

1. ახალი ქართული ლიტერატურა, ქრესტომათია, I ნაწილი, თბ., 1979.
2. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ., 1969.
3. ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 1974.
4. ა. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბ., 1982.
5. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. VI, თბ., 1990.
6. http://www.bu.org.ge/x1233?page=1&tab=2
7. ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1965.

ქართული ძირების ძიება ქართველ მწერალთა მიერ, ვარაუდები ქართველთა წინაპრების შესახებ

მარიამი ქელეხსაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინე ცერცვაძე,** პროფესორი

ყოველი ერი, ყოველი ენა თავისთავად უდიდესი ღირებულებაა, მაგრამ, ამასთან ძალზე ძნელია მსჯელობა ერების თუ კაცობრიობის წარმოშობის საკითხზე. ერი არ არის ადამიანთა მექანიკური ერთობა. ის უპირველეს ყოვლისა, ცოცხალი ორგანიზმია. ზოგიერთი ერისთვის აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნევს ენის, ტერიტორიის, სარწმუნოების და ა.შ. ერთობას, მაგრამ რეალობას თუ გადავხედავთ, მივხვდებით და დავინახავთ იმას, რომ ყოველივე ეს სულაც არ არის საკმარისი ერის რაობის გასარკვევად. მაგალითს ქართველებზე თუ მოვიყვანთ, ვნახავთ, რომ ქართველები მინიმუმ ექვს ენაზე ვლაპარაკობთ (მეგრულად, სვანურად, წოვა თუშურად, ქართულად, ოსურად და აფხაზურად), სამი რელიგიის მიმდევარნი ვართ (მართლმადიდებლობის, კათოლიციზმისა და ისლამისა) და მაინც ერთ ერს წარმოვადგენთ. ასევე ებრაელები, ისინი საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა სახელმწიფოებში სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემებში ცხოვრობდნენ, სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდნენ (ივრითი, იდიში და ა.შ.), მაგრამ მაინც ებრაელებად რჩებოდნენ. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ზემოთქმული დასტურია იმისა, რომ ერი, უპირველეს ყოვლისა, ბოლომდე შეუცნობი, სულიერი ორგანიზმია, რომლის არსებობასაც ღვთის ნება და ის მისია განაპირობებს, რომელიც მას დაეკისრება. ერები, ისევე, როგორც ადამიანები, ოდესღაც იბადებიან და კვდებიან და, ალბათ, მათი მკვდრეთით აღდგომაც შეუძლებელია.

ხშირად დასმულა კითხვა, თუ საიდან მოვდივართ ქართველები, სად ვართ და საით მივდივართ. ამის შესახებ არაერთი რამ დაწერილა და თქმულა. არაერთ მწერალს გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ, იმის შესახებ, თუ სადაა ქართველი ერის დასაბამი.

ქართველ მწერლებს აწუხებდათ კითხვები: ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? როგორ აღმოვჩნდით ამ დუალისტურ, ბოროტება-სიკეთის სამყაროში, რას ვაკეთებთ აქ, ან სად მივდივართ. ყოველივე ამის გასაგებად მოვიშველიებთ როსტომ ჩხეიძის „ქალდეას მონატრებას“, სადაც მას წარმოდგენილი აქვს, თუ რომელი ქართველი მწერალი რას მიიჩნევს ქართველი ერის წარმოშობის ადგილად, სად ეძებენ ქართველების ფესვებს.

„-აბა, რა არის უჩვეულო, უპრეცედენტო საქართველოს მისიაში? - რიტორიკულად იკითხავს გურამ ასათიანი და პასუხს არც ელის .

ვინ შეიძლება ეს იცოდეს?

ვინ შეიძლება რამენაირად შეეცადოს ახსნას?

მაგრამ უმძაფრესია სწრაფვა თვით სფინქსის გამოცანის ამოსახსნელადაც.

და კიდეც:

-უპრეცედენტოა თვითონ ქართველი ერის მარტვილობა ქრისტიანული კულტურის სახელით.

ზვიად გამსახურდიას ეს ფრაზა ლაპიდარულადაა ჩამოქნილი, მაგრამ... ამოიხსნა კი ამით სფინქსის ამოცანა? თუ ვერა, იქნებ სწორ გზაზე მაინც შევეყენებინეთ?

ან იქნებ ეს ის პასუხია, რომლის მსგავსი სხვაც არაერთი მოიძებნება, მაგრამ საიდუმლო დიდი ზღუდით შემოვლებულ საიდუმლოდ დარჩება? ყოველ შემთხვევაში, გურამ ასათიანისათვის იმჟამად ეს სულაც არ ყოფილა ყურადღების მისაქცევი დაკვირვება და კიდევ ერთხელ ჩაიღიმებდა საქართველოს მისიასა და მის უჩვეულობაზეც“ – წერს როსტომ ჩხეიძე „ქალდეას მონატრებაში“ (1, გვ. 3).

ზვიად გამსახურდიაზე კი იგი ამბობს: „ზვიად გამსახურდიასათვის კი ეს ჰიპოთეზა ის საყრდენი იყო, საიდანაც უნდა ჩაწვდომოდა ქართველი ერის ბედისწერასაც და სიცოცხლის აზრსაც პირადად თავისთვის, და მაშინაც და მერეც მტკიცედ სჯეროდა: ეს მომენტი ყველაზე არსებითია, როგორც ჩვენი ერის ისტორიული პროფილის, ასევე ქართველი კაცის ეროვნული ხასიათის გამოსავლენადო. მსხვერპლისუნარიანობა, იდეისათვის თავგანწირვა, მოყვასისათვის თავგანწირვა - აი, რა არის ძირითადი ჩვენს ეროვნულ ხასიათში. ესოდენ მცირერიცხოვანი ერის მოწამეთა და მარტვილთა განსაცვიფრებელი სიმრავლე ჭეშმარიტად განასხვავებს საქართველოს ისტორიას სხვა ქრისტიანი ერების ისტორიისაგანო. ზვიად გამსახურდიას გამძაფრებული ეროვნული სულისკვეთება ვერ შეეგუებოდა გურამ ასათიანის

მონიჰილისტო შეხედულებებს. მონიჰილისტოსა და არა ნიჰილისტურს, რაც ჩვენს თვალში უფრო ნიკოლო მიწიშვილისა თუ სერგი დანელიას 20-იანი წლების შეხედულებანია, თუმც ასეთი მწარე შეფასებისათვის იქნებ არც იმათ უნდა ვიმეტებდეთ. ყოველ შემთხვევაში, გურამ ასათიანი ისე მწვავედ არ შეეხებოდა ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, და, თუ საქართველოს მისიის უპრეცედენტობა ეგრე იოლად ვერ ირწმუნა, მოვიდოდა დრო და გაიზიარებდა ზვიად გამსახურდიას სულისკვეთებას (1, გვ. 4).

როსტომ ჩხეიძის თქმით ზვიად გამსახურდიას არ ეშინოდა შეცდომის აღიარებისა, მით უფრო, როდესაც ქართველი ერის ბედისწერასა და არსებობის საზრისს უკვირდებოდა; და ბოლოსდაბოლოს შექმნიდა თავისი ცხოვრების მთავარ წიგნს „სათავეებთან“, ჩვენი ქვეყნის ისტორიული რაობის, ქართველი კაცის ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების, ზოგიერთი ნიშან- თვისების გარკვევას რომ შეეცდებოდა.

რაც უფრო საშიშად აღმართულა სფინქსი, მით უფრო გიზიდავს და აღარც გენაღვლება, ბედისწერადაც რომ გადაგექცეს მისი გამოცანის კირკიტი.

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიანო...

აბა, რა არის უჩვეულო, უპრეცედენტო საქართველოს მისიაშიო, - რიტორიკულად იკითხავდა გურამ ასათიანი და პასუხს არც დაელოდებოდა.

მერე არა, მერე უკვე იგრძნობოდა იმ გამოუთქმელს, რომლის ძიებასაც ანაცვალებდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებს.

უნდა გადავხედოთ რა არის ჩვენი ცხოვრება, ვინ ვართ, რა გაგვაჩნია, საიდან მოვდივართ, როგორ ვხედავთ ჩვენს მომავალს. ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ მთიდან დაგორებულ ლოდს. საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა და ეს სულიერებაში გამოიხატება.

ვინ გასცემს ჩვენს კითხვებზე პასუხს, ვინ გვეტყვის, ვინ განგვიმარტავს, ისევ ჩვენ თუ არ ვიმტვრიეთ თავი და არ ვჩხრიკეთ საისტორიო თუ ლიტერატურულ ძეგლები და... ჩვენივე სულის იდუმალი კუთხე-კუნჭულები.

ქალდეველების ქვეყანა, სხვანაირად ამ ქვეყანას ქარდუს ეძახიან... აქედან წარმოიშვა სიტყვა ქართველი... ანუ ქალდელი, ქარდუელი. სიტყვამ განიცადა ცვლილება და ჩამოყალიბდა ასე - ქართველი...

ტიციან ტაბიძე სიამაყით გვიცხადებს თავისი გვარის მღვდელმსახურებას და სურათს ეზოს წინ დაღვრემილი საყდრისა გერბად წარმოგვიდგენს.

გრძელია ჟამი, მღვდელმსახურობს რაც ჩემი გვარიო. ამ გრძელ ჟამს სიმბოლურად მამა განასახიერებს, მწუხრის ლოცვად მდგარს შვილი მუნჯად რომ შესცქერის და გრძნობს, თუ როგორ შეუცურდება სულში ფსალმუნი და იქ დაიმარხება. შავ ანაფორას კი მეწამული ფერი გადაკრავს.

რელიგიური ექსტაზით განმსჭვალული სურათია, და უეცრად:

და ვხვდები ახლა, თუ ქალდეა რად მენატრებაო.

ტიციან ტაბიძეს წინაპარი აღმოუჩენია ექსტაზური მოლანდებისას და ეს განცდა მისთვის ეგზოტიკა კი არ არის, არამედ სულიერი მოკავშირე ქალდეას სამყაროში შესაღწევად, რათა კიდევ უფრო ცხადად შეიცნოს, ეს სამყარო რადაც მონატრებია.

როსტომ ჩხეიძის თქმით, ტიციან ტაბიძეს მთელი წიგნის დაწერა განეზრახა ამ სახელწოდებით „ქალდეას ქალაქები“, და თუმც რამდენიმე ლექსი შემოგვრჩა ჩანაფიქრიდან, ისინი უაღრესად საგულისხმოა პოეტის მისწრაფების ასახსნელად.

თვითონ განზრახვაა დამაფიქრებელი, მაინცდამაინც ქალდეას ქალაქებს რომ შეჰფოფინებდა - გამქრალთ, ამოშლილთ საკაცობრიო ცხოვრებიდან, მაგრამ კვლავაც რეალურთ მხატვრული გააზრებისას.

თუ ქალდეა რად მენატრებაო...

„ივანე ჯავახიშვილიც მძაფრად განიცდიდა ამ მონატრებას და მეცნიერულ ძიებას იმ დასკვნამდე მიჰყავდა: ქართველ- მეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება - ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომთა სახელწოდებაში მოიპოვება, ის უეჭველად ქართველთა თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო“ (1, გვ. 28).

ამ სამშობლოს ხსოვნა ქართველთა მესამე შტოს - სვანებსაც აქვთ შემორჩენილი. სვანეთში ახლაც მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც „ხალდე“ ჰქვია. ერთი სიტყვით, ხალდე ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოსო.

ივანე ჯავახიშვილს არ ეეჭვებოდა, ქართველებს ქალდეაში უძველეს დროს უნდა ეცხოვრათო და თუმც ჯერ ვერ გაერკვა, როდის მოსახლეობდნენ იქ და რა დროს აყრილიყვნენ, მაგრამ ქართველ ტომთა სხვადასხვა დროს ბინადრობის ადგილის დადგენა კი უკვე შესაძლებელი იყო გერმანელ მკვლევართა (ჰ. გერცერი და ე. შრადერი) ნაშრომების მოშველიებით, ასურული წყაროებიდან ტაბალისა და მუსკების შესახებ ცნობები რომ ამოეკრიბათ და შეესწავლათ.

ტიციან ტაბიძეს კი ქალდეა მონატრებოდა და კიდეც მიმხვდარიყო, ზმანებაში მისი ქალაქები რატომაც ეცხადებოდა. ის კი არა, უფრო შორსაც ცდილობდა გადაეხედა: „იყო ქალდეა და ბაბილონი, იქნება უფრო შორი გზაც გვქონდაო“ (1, გვ. 29).

მიწა მაშინ ხდება შენი, როდესაც იქ შენი მოდგმის პირველი საფლავი გაიჭრება. საფლავი - სამკვიდროა. ამ ტვიფარით აღიბეჭდა ერის ცნობიერების გარიჟრაჟი, მისი წეს-ჩვეულებების პირველსათავე. და რაკიღა ქალდეა ტიციან ტაბიძის წარმოსახვაში გაცილებით მეტია და ძვირფასი, ვიდრე სხვა რომელიმე პოეტური ხილვა და ეპოტინება გაელვებულ აჩრდილებს, იმ სამყაროში დასამკვიდრებლად საფლავი უნდა გაჭრას - საკუთარი საფლავი და ეზიაროს, შეერწყას იმ იდუმალებას, რომლის მონატრებაც - მონატრება და არა პირველხილვა - ასე მძაფრად გასჩრია გულში.

ამგვარი სწრაფვა საერთოდაც ბუნებრივია პოეტთა უმეტესობისათვის, იდუმალებაში ბორიალი ადრე თუ გვიან გვიბიძგებს ფიქრით გაჰყვე სამყაროს უშორეს ხანას, მაგრამ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგარი ქვეყნის შვილისათვის მაინც სხვა ტკივილით გაჟღენთილა საკუთარი ფესვების ძიება. როდესაც ცდილობენ ამოგიშალონ ისტორია და შენი ქვეყნის დრამატული თავგადასავალი ზღაპრად მოგინათლონ, მით უფრო მწყურვალედ მიიწევ დასაბამისაკენ, მით მეტს ნიშნავს შენთვის ამ ისტორიის ხანგრძლივობა და თავშესაფრად, სულის მოსაბრუნებლად გეგულება ყოვლად გაუსაძლის პირობებში.

როსტომ ჩხეიძე გრიგოლ რობაქიძეზე წერს: „იქიდან სხვა გრიგოლ რობაქიძე დაბრუნდა ორ ზღვას შუა მოქცეულ სამკვიდროს, შეკვეცილს, დაწრეტილს „გეოგრაფიის ტრაგედიის“ გამომხატველს, მაგრამ ოდესღაც ამ უსაზღვროების შუაგულში მდგარს. მიწის შეგრძნება მის არსებაში მანამდეც განსაკუთრებულად გამოხატულიყო, მაგრამ ირანის ზეგანზე ეს განცდა რაღაც კოსმიურად გადაიქცევა და აღარც მზეა უკვე მისთვის უბრალო ასტრონომიული მოვლენა.

პოეტური ფესვები ქართველთა უძველეს საცხოვრისშია მიგნებული და გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ წარმოსახვებში ამიტომაც გამოჩნდება სახე-სიმბოლო კარდუ-რეალური პიროვნებაც მონღოლთა ეპოქისა და თავისებური ეპონიმიც ქართული მოდგმისა - მზის ნიშნით აღბეჭდილი“. (1, გვ. 34).

ჩენი თავდაპირველი სამშობლოს სახელი ტიციან ტაბიძეს თუ „ქალდეას“ ჟღერადობით მოხიბლავს, გრიგოლ რობაქიძისათვის „კარდუ“ უფრო მეტყველია, უფრო მახლობელი და მჟღერი.

ლეონტი მროველი ქართლოსს ამჯობინებდა, გრიგოლ რობაქიძე კარდუს ანიჭებს უპირატესობას და ამ სახელს შეარქმევდა მონღოლთა ეპოქის დიდ ქართველ მთავარსაც - ყველა რომ ემორჩილება მონღოლებს, ერთადერთი არ ემორჩილება კარდუ, ნაშიერი დიდი თავადის ირუბაქ ირუბაქიძის.

გრიგოლ რობაქიძე ქმნის თავისი გვარის მითოსს და, როგორც ტიციან ტაბიძე ეძიებდა თავის წინაპარს ქალდეველ მაგში, რობაქიძეც თავის წარმოშობას იმავე ფესვს უკავშირებს - ირუბაქ ირუბაქიძეს თავისი გვარი ქალდეიდან გამოჰყავდაო: „სიტყვა „ირუბაქ“ ქალდეული ძირისაა. უნდა ნიშნავდეს ხის კორძს: საკუთრივ ძელქვისას“.

„არც ანა კალანდაძე მდგარა იმ მიწაზე, სადაც რიგოლ რობაქიძემ ასეთი სულიერი ფერისცვალება განიცადა, მაგრამ შინაგანი ნათელის შუქზე მაინც დაინახავს ქალდურ მზეს. თუ ჩვენი თავდაპირველი სამშობლოს ხსენება ტიციან ტაბიძესა და ანა კალანდაძის „ქალდეს“ ჟღერადობით ურჩევნიათ, გრიგოლ რობაქიძეს კი - „კარდუსი“, ოთარ ჩხეიძე „ჰალდეს“ ამჯობინებს რომანში „მეჩეჩი“. ფალდე წარმოსახვითი სოფელია ქართლში. ხალდე რომ დაერქმია, შესაძლოა გაუგებრობა გამოეწვია, რადგანაც სვანეთში დღესაც არსებობს ამ სახელწოდების სოფელი, ივანე ჯავახიშვილი ჩვენი უძველესი სამშობლოს სახელის გამოძახილად რომ მიიჩნევდა, არა უნებლიე დამთხვევად, არამედ სწორედ მის თავისებურ ნაშთად“ (1, გვ. 42).

ის, რაც ტიციან ტაბიძისა თუ ივანე ჯავახიშვილის თვალში უპირველესად ქალდეასთან გაიგივებულა, ლეო ქიაჩელისათვის ხეთაა (1, გვ. 45).

საიდან ვართ მოსულიო…

გრძნეული ძალა იფარავს საიდუმლოებას, რომელიც უთუოდ გადაიხსნება და მიწისქვეშეთიდან ამოვა ის უშორესი წარსული, ბუნდოვან ხსოვნას რომ მოჰქონდა ჩვენამდე.

საქართველოზე და, ზოგადად, ქართველებზე საუბრის დამთავრება არასწორი იქნება თუ არ შევეხებით იმ მრავალფეროვან ლიტერატურას, რომელიც ქართველებს აქვთ. რადაგანაც როსტომ ჩხეიძის ნაწარმოების განხილვა გვქონდა ზემოთ და „ქალდეას მონატრებით“ შევიქმენით ზოგადი აზრი იმის შესახებ, თუ რომელ მწერალს რა ადგილი მიაჩნდა ქართველების დასაბამად, ლიტერატურის განხილვის დროსაც შეგვიძლია მოვიშველიოთ როსტომ ჩხეიძის წერილი „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“.

„ის ათასხუთასწლოვანი ლიტერატურა, რაც ქართულ ენაზე მოგვეპოვება და თავისთავად საკმაოდ ხანგრძლივადაც წარმოდგება, პავლე ინგოროყვას განსაზღვრებით, მარტოოდენ ახალი ხანაა ქართული მწერლობისა (2, გვ. 152).

ეს იმიტომ, რომ ხეთურ ქართველური სამყაროს გადმოსახედიდან გადაჰყურებს საუკუნეთა წყებას, ამ გადმოსახედიდან კი ჩვენი ლიტერატურის დასაწყისი სულაც არ უკავშირდება ორ ზღვას შუა მოქცეულ მიწა-წყალს და გაცილებით მეტ ტერიტორიულ საზღვრებს შემოწერს. მით უმეტეს, ქართული ანბანის წარმოშობის მიჯნად დებდა ქრისტეს დაბადებამდე V-VII საუკუნეებს, მეფე ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნის ცნობას კი განმარტავდა ანბანის რეფორმასა და ქართული წელთაღრიცხვის შემოღებაზე მინიშნებად“ -წერს როსტომ ჩხეიძე.

იგი ზემოთ ხსენებულ წერილში მიმოიხილავს მთლიანად ქართულ ლიტერატურას და იმ ეპოქას, რა ეპოქაშიც უხდებოდათ ქართველ მწერლებს მოღვაწეობა და ამბობს, რომ ჩვენ არ უნდა განვსაჯოთ არცერთი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, თუ ჩვენ მათ ნაწერებში რაიმე მიუღებელს დავინახავთ, რადგან არავინ არ იცის მოცემულ სიტუაციაში ვინ როგორ მოიქცეოდა.

„საბჭოთა ეპოქამ მოიტანა ქართული ემიგრაციის დიდი ნაკადის გაჩენაც და რკინის ფარდით გამიჯვნაც „აქაური“ და „იქაური“ ცხოვრებისა, ამის კვალობაზე კი, ცხადია, ორი კულტურული ყოფის დამოუკიდებელი არსებობაც. და მხოლოდ ეპოქის დასრულების შემდეგ აღდგა და გამართლდა სამანსაქეთური და სამანსიქეთური სამწერლო პროცესების, მაგრამ ჩვენი ლიტერატურის მთავარი ძარღვი კვლავაც მთელია და გაუბზარავი და თუმც ისევ და ისევ ტრაგიკული ელფერით აღბეჭდილა და პოლიტიკურ ძვრებსა და წინააღმდეგობებში მონაწილეობასაც ვერ გამოშორებია, იმედი მაინც გვასულდგმულებს, რომ დადგება ჟამი საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში, როდესაც ლიტერატურას სრულებით აღარ დასჭირდება ქვეყნის წინამძღოლობა და თავის მთავარ დანიშნულებად დაიტოვებს სულიერ ზეგავლენას ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად - ქრისტიანული ეკლესიის თანამდგომად და მოკავშრედ“ - წერს როსტომ ჩხეიძე“ (1, გვ. 55).

წერილს „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ ეხმაურება ნანა კუცია წერილით „ზედროულობის კონტექსტში“ და ამბობს: „ქართული ლიტერატურის ისტორიის როსტომ ჩხეიძისეული „ვერსია“ სწორედ კონცეპტუალურ-საავტოროსა და მასის ბელეტრისტიკის (პუბლიცისტიკისაც) ერთგვარ მიქსს წარმოადგენს, გავიმეორებთ, კონცეპტუალურ-საავტოროს პრევალირებით (4, გვ. 2).

მწერალი-მკვლევარი ქმნის პანორამას, მონუმენტურ ტილოს, ერთგვარ მოზაიკას, სადაც ყოველ დეტალს არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთიანი სურათის სრულყოფილად წარმოჩენისათვის, იმავდროულად, ერთგვარ დისტანცირებასაც გვთავაზობს, რათა „პანო“ უკეთ იქნეს აღქმული“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუკი აქ ნახსენები პოეტები ნოსტალგიამ შეიპყრო, ზოგადქართულმა ნოსტალგიამ, ამიერიდან ამ ნოსტალგიას „ქალდეას მონატრება“ ჰქვია.

ლიტერატურა:

1. როსტომ ჩხეიძე, „ქალდეას მონატრება“, „ლომისი“, თბილისი, 2002.
2. „ლიტერატურული პალიტრა“, N9 (120), ოქტომბერი, 2014.
3. „ლიტერატურული პალიტრა“, N10 (121), ოქტომბერი 2014.
4. ნანა კუცია, „ზედროულობის კონტექსტში (როსტომ ჩხეიძის „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“)“, „ჩვენი მწერლობა“, 28 ნოემბერი, 2014.

პერსონაჟთა ხატვის ზოგიერთი თავისებურება გიორგი ერისთავის პიესებში

მარიამ ხმიადაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი ხორბალაძე,** ასოცირებული პროფესორი

გიორგი ერისთავის შემოქმედება არცთუ იშვიათად გამხდარა მკვლევართა ყურადღების საგანი, არსებობს არაერთი სტატია, რომელშიც მკვლევარები დრამატურგის შემოქმედებას განიხილავენ ამა თუ იმ რაკურსით და საინტერესო დასკვნებსა თუ შეფასებებს იძლევიან, ბუნებრივია, ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვიძიეთ უმრავლესობა მათგანი და გავითვალისწინეთ ჩვენი კვლევის მიმდინარეობისას.

რაც შეეხება ჩვენს დაინტერესებას ამ ნაშრომის ფარგლებში, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გიორგი ერისთავის მიერ შექმნილმა პერსონაჟებმა, იმან, თუ როგორ ხატავს მწერალი გმირებს განსხვავებულ და მსგავს სიტუაციებში.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველი ბიძგი ამ მიმართულებით კვლევის ჩატარებისა, მოგვცა გიორგი ერისთავის შემოქმედებისათვის დამახასიათებელმა ერთმა გარემოებამ: მწერლის განსხვავებულ ნაწარმოებებში აშკარად შეინიშნება თითქოსდა განსხვავებული პერსონაჟების ხასიათების ნიშანდობლივი მსგავსებები და, რიგ შემთხვევებში, სრული იდენტურობაც კი. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ მოსაზრებისგან და არ ვამტკიცებთ, რომ დასახელებული შენიშვნა მკვლევრების მიერ არასოდეს გაკეთებულა, პირიქით, ხაზს ვუსვამთ, რომ ფრაგმენტულად და რეპლიკური ხასიათით არაერთი მკვლევარი აფიქსირებს ამ მოსაზრებას, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენი დაკვირვებით, საკითხი კომპლექსური კვლევის საგანი დღემდე არ გამხდარა, რადგან აღნიშნულ თემატიკაზე შესრულებული ვერანაირი ნაშრომის მოძიება ჩვენ ვერ შევძელით, მიუხედავად ხანგრძლივი და მიზანმიმართული მცდელობისა.

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში, მაშინ, როდესაც საქართველო ცარიზმის გავლენას განიცდის და ქართველი თავადაზნაურობა მძიმე ტვირთად აწევს საზოგადოებას, საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ სარბიელზე ახალ ფონს ქმნის პირველი ქართველი დრამატურგი და კომედიოგრაფი, ქსნის ერისთავთა უშუალო შთამომავალი, გიორგი ერისთავი.

დრამატურგმა რთული ცხოვრება განვლო, რამაც მისი შემოქმედება რეალური მასალით გაამრავალფეროვნა:

გ. ერისთავი მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რის შედეგადაც გადაასახლეს პოლონეთში. საქართველოში დაბრუნებისას კი იწყებს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მწერლის დამსახურება მრავალმხრივია, იგი გახდა ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების მაგალითი, თეატრისა და ჟურნალისტიკის ფუძემდებელი. თავისი კომედიებით საფუძველი დაუდო ქართული დრამატურგიის განვითარებას. სწორედ ეს კომედიები გახდა ჩვენი ინტერესის საგანი, კონკრეტულად კი ჩვენი კვლევის მიზანია ნათლად გამოგვეხატა და გვეჩვენებინა იმ დროის საქართველოში დრამატურგის მიერ გაბედული მხილება ცარიზმისა და უუნარო თავადაზნაურობისა, რომელსაც მწერალი საკუთარი კალმის ქვეშ აერთიანებს ეპოქისთვის დამახასიათებელ მანკიერებების კონტექსტში.

მსჯელობენ რა გიორგი ერისთავის შემოქმედების ლიტერატურული მიმდინარეობის თაობაზე, მკვლევართა ერთი ნაწილი მას კრიტიკულ რეალიზმის დამწყებად თვლის, ნაწილი კი ადრეული რეალიზმის წარმომადგენლად მიიჩნევს. ტერმინი „რეალიზმი“ გვიან ლათინურიდან მოდის და საგნობრივს, ნამდვილს ნიშნავს, როგორც მხატვრული მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში დამკვიდრდა XIX საუკუნის I მესამედიდან. მისთვის დამახასიათებელია ისტორიზმი და სოციალურ ანალიზი. საქართველოში როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 40-50-იან წლებში, ხდება რეალიზმის განვითარება” [4, 211]

გ. ერისთავის ადრეული დრამაა „შეშლილი „ (1839 წ.); შემდეგ ერთმანეთს მოჰყვა კომედიები: „დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია“ (1840 წ.); ,,გაყრა” (1849წ.) ,,ძუნწი” (1850 წ.)

კომედია „შეშლილის“ პერსონაჟები გარკვეულწილად რომანტიკული ხასიათს ატარებენ, როგორც ცნობილია, მხატრულ ნაწარმოებებში მოქმედ პირთა აღნიშნვა ხდება პერსონაჟის საშუალებით. „პერსონაჟის“ ცნება შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ეპიკურ და დრამატულ ნაწარმოებებთან მიმართებაში, რადგან ამ ჟანრებში პერსონაჟები მოქმედების სუბიექტები არიან, პერსონაჟის განმარტებაც სწორედ ეს არის (ლათინურად - persona - პირი, პიროვნება) ის მხატვრულ სახეს, მოქმედების სუბიექტს წარმოადგენს” [4, 132]. „შეშლილი“ ერისთავის ადრეული დრამაა და უშუალოდ ეხება იმ პერიოდს რომელსაც ახასიათებს დრომოჭმული თავადაზნაურული წრეების მანკიერი მისწრაფებები, ყავლგასული ყოფილი მემამულეები ცდილობენ შვილების მომავალი ოჯახები გაიხადონ ფუფუნების დაბრუნების საშუალებად, ეძებენ მდიდარ სარძლოებსა თუ სასიძოებს, გრძნობებს კი იოტისოდენ მნიშვნელობასაც არ ანიჭებენ. კომედიაში კარგად ჩანს ,,თავადაზნაურული დედების” სულისკვეთება არა მარტო ანხანუმის, არამედ, სხვა პერსონაჟებისა, მაგალითად, ანახანუმის რძლების, ანასტასიას, მელანიას, სიდონიას, კეკელას სახითაც კი, რომლებიც უმთავრესად ყურადღებას აქცევენ ყმა-მამულებს და გვარიშვილობას.

„**ანასტასია** - რა გაქვს სულელო, შენ საწუხარი? ერთი ქალი გყავს, - ხომ შერთე ქმარი:

დიდი კაცია ძე, უცხო გულისა, მქონე კარგისა ყმა მამულისა“.

ანხანუმ - მერე ვის მივცე, არავინ არი, მე მინდა იყოს ცოტა მდიდარი“.

ანასტასია - მაშ რუსს მიეცი, ჩვენ გლუხარიჩსა, იმ პოლკოვნიკსა, თეოდორიჩსა!“ [1, 28]

აშკარაა, რომ ეს რამოდენიმე პერსონაჟი რეალობასთან დამოკიდებულების მხრივ, იმდენად ჰგვანან ერთმანეთს რომ, ჩნდება შთაბეჭდილება, თითქოს, ერთ პერსონაჟს წარმოადგენენ და, რაც უფრო საინტერესოა, ყოფილ თავადაზნაურთა საზოგადოების ძირითადი ნაწილი სწორედ ასეთი პერსონაჟებად

არიან წარმოჩენილნი გიორგი ერისთავის შემოქმედებაში და მეტნაკლებად მსგავსი პრინციპებით აზროვნებენ.

„შეშლილი“ გვისურათებს XIX საუკუნის 30 – 40 -იანი წლების თბილისის წვრილბურჟუაზიული - მეშჩანური საზოგადოების ყოველდღიურ ყოფას. მისი პერსონაჟებისთვის დამახასიათებელია ცრუმორწმუნოება, ჭორები, დესპოტიზმი ოჯახურ ურთიერთობებში, უანგარო ადამიანური გრძნობებისა და გულწრფელი განცდების უგულებელყოფა, საღი პრინციპების და აზრის ჩანაცვლება ნებისმიერი აბსურდული, ოღონდ მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოზიციით.

საღი პრინციპების არმქონე საზოგადოების გარდა „შეშლილი” გვიხასიათებს ახალგაზრდა, გამოუცდელ, გულუბრყვილო გოგონას ტასოს, რომელიც სხვა პერსონაჟებისგან განსხვავებული ტიპაჟია და გვიხასიათებს ასევე მის მიჯნურს - ბეგლარს, რომელიც ტასოს მსგავსად არ არის მის გარშემო არსებული საზოგადოების ტიპური წარმომადგენელი, თუმცა, საბოლოოდ, არც თანამედროვე, ადეკვატურ ადამიანად არის შემდგარი. ტასო ერთგვარად მოგვაგონებს ნინოს („დავა“), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნინო ახერხებს საკუთარი მიზნის მიწევას და ცვლის რეალობას. მას სწავლა-განათლება აქვს მიღებული. ინსტიტუტი დაუმთავრებია და არ მოსწონს მშობლების შურიანობა. ნინოს მთელ არსებით უყვარს ბეგლარი („დავა“) და, მსგავსად ტასოსი, თავისუფალ და ბუნებრივ სიყვარულს სცემს თაყვანს. თუმცა ორივე პერსონაჟი გამოივლის იმ დაცინვასა და უსამართლობას, რომელსაც ოჯახის წევრებისა და ნათესავებისგან აწყდება.

ბეგლარის („შეშლილი”) განსჯა შეიძლება ორი რაკურსით, ერთი მხრივ, იგი დადებითად ხასიათდება: უყვარს წიგნები, ლიტერატურა და სხვა ბევრ მის თანატოლ ახალგაზრდაზე სწავლულია, შეუძლია უანგარო სიყვარული, რაც იმ დროის მეშჩანური საზოგადოებისთვის სრულიად გაუგებარი და სასაცილო მოვლენაა. საინტერესოა, სიყვარულის ღირსეული განცდა, რომელიც უნდა აკეთილშობილებდეს ადამიანს, რა გავლენას ახდენს და როგორ წარმოაჩენს ბეგლარს? რუსთველისეული სიყვარულისგან განსხვავებით, როდესაც სიყვარულის გავლენით სულიერად კიდევ უფრო ამაღლებული გმირები, ყველაფერს აკეთებდნენ სიყვარულისთვის და საყვარელი ადამიანებისთვის. ბეგლარის სიყვარული აბსოლუტურად ცარიელი და არაფრისმომცემია, ბეგლარი საკუთარ ნაჭუჭშია გამოკეტილი, მას აქვს თავისი სამყარო, უშინაარსო ოცნებები ქმედითი ნაბიჯების გარეშე და, ნაცვლად იმისა, რომ მიზანმიმართულად იბრძოლოს სანუკვარი ადამიანის დასახსნელად, მხოლოდ დაუსრულებელი, ფუჭი ოცნებებით იფარგლება.

„ბეგლარ (ოცნებობს) – მოდით, მერცხალნო, მომეცით ფრთები, მიწით შევიქმნე აღმა საფრენი!

აღვფრინდე მაღლა და კვალად მაღლა, რომ ვერ ვხედვიდე ქვეყანას დაბლა” [1, 28].

ეს არის ბეგლარის მუდმივი დამოკიდებულება, იგი სრულიად არის მოწყვეტილი რეალობის განცდას და შესაბამისად არაადეკვატურია საკუთარ ქმედებებში, უფრო სწორედ კი უმოქმედობაში. აღსანიშნავია, რომ ,,შეშლილის” ენა სადაა და საგრძნობლად განსხვავდება მისი ადრინდელი ლექსებისთვის დამახასიათებელი არქაული, ძალზე მძიმე და მოუქნელი ენისგან. (მაგ., „ოსური მოთხრობა“).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ დროის საქართველოში თავადაზნაურობა ტვირთს წარმოადგენს, ბატონყმური სისტემა კრიზისშია და იწყება სრულიად ახალი კაპიტალისტური ურთიერთობები. შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ერისთავის რეალისტური ნაწარმოებები ემსახურება ამ სოციალური მდგომარეობის შეგრძნებას და გათვალისწინებას, რომელშიც იმყოფებოდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენა. ბეგლარები და ივანეები უმწეონი არიან აღადგინონ ანდუყაფარების, პავლეების, ამირინდოებისა და ონოფრეების ბედოვლათობით დაცემული მეურნეობა. ივანეს, რომლის ტიპაჟსაც საკმაოდ მჭიდროდ ენათესავებიან ბეგლარები, რაღაც მაინც უნახავთ და უსწავლიათ, თუმცა ბოლომდე თვითონაც არ იციან, რა ისწავლეს, ან რის გაკეთებას აპირებენ, ამიტომ, ივანესა და მისი მსგავსი განათლებული ბატონების იდეალი, კვლავ ბატონყმობაზე გადის. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მებატონეთა ახალ თაობას არ შესწევს ძალა რამე შეცვალოს და ახალ რეალობაში დაგეგმოს მომავალი.

კომედიაში „გაყრა“ გ. ერისთავმა დაგვიხასიათა სამი ერთმანეთისგან განსხვავებული თავადაზნაურობის წარმომადგენელი ძმა: ანდუყაფარ დიდებულიძე, რომელიც ბრმად მისდევს ძველ ადათ-წესებს; პავლე დიდებულიძე, გ. ერისთავმა ხაზი გაუსვა ამ პერსონაჟის უსაქმურობას და ფუქსავატობას და დიდებულიძეთა მესამე ძმა, ივანე, რომელიც ახალი თაობის თერგდალეულების წარმომადგენელია და რომელიც გაყრას უპირებს ძმას, ეს კი ყოვლად მიუღებელია იმ დროის საქართველოში.

ამ სამი, ერთმანეთისგან განსხვავებული პერსონაჟით, ერისთავმა დაგვანახა ძველი და ახალი სამყაროს ჭიდილი, დასაწყისი სრულიად სხვა, ახალი რეალობისა, ბურჟუაზიისა.

ძმების გარდა საინტერესოა სხვა პერსონაჟთა სახეები, მაგალითად, მოხერხებული მსახურის ბარამის, რომელიც ანდუყაფარის მოურავია და ყველა სიტუაციიდან პოულობს გამოსავალს, რა თქმა უნდა, ფულის გზით.

„ბარამ - (მარტო ფიქრობს) ახლა გინდა, ბარამ მოურავო გონება, გაიყრებიან ბატონები, საუფროსოთ იქნება არ ამიყვანოს დიდმა ბატონმა?..... პავლეს რომ ვერგო, დედაკაცთან ძნელია, იმას გროშს ვერავინ მოჰპარავს, მაშინ გოგოები უნდა გავიმეგობრო“[1, 143].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენთვის მევახშე მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვის პერსონაჟი, რომლის მეშვეობითაც ივანე, ადრე მხოლოდ სიყვარულით ქორწინებაზე მეოცნებე, ახლა მიკირტუმას შუშანაზე იწერს ჯვარს და მიკირტუმას მეუღლე, თათელა მათ ლოცავს. ყოველივე ეს კი კომიკურ სიტუაციას ქმნის.

პერსონაჟის მეტყველებას თავისებურ იერს აძლევს აკვიატებული სიტყვები და გამოთქმები. მაგ.: პავლე დიდებულიძე ფრაზას ისე არ წარმოსთქვამს, რომ არ დააყოლოს: „ვაი არა აქვს შენს პავლესა“.

„მაკრინე - (ქოქოლას აყრის ქმარს) ეგ არის ძაღლები და ძაღლები!

პავლე - რა დაგემართა, ხვალ მოვიდნენ ეგ შენი დიატორები, ისე დავტრიალდები, როგორც ჩალხი, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!” [1, 158].

ზოგიერთ ნაწარმოებში პერსონაჟის მეტყველება გამოირჩევა სისხარტითა და ლაკონურობით, ზოგჯერ, პირიქით, ფრაზები ხელოვნურადაა გაჭიმული.

მაგ.: ანდუყაფარის საუბარი დინჯია, მძიმე და აუჩქარებელი. რუსეთში გაზრდილ ივანეს მეტყველება ზუსტი და გამოკვეთილი აქვს, ამასთან აჭრელებულია რუსიციზმებით:

„ივანე - რა ამბავია. ჩტო ზა რაზბოი?

ბარამ - აი, შენი წირიმე, ემ მუთაქაზედ ჩხუბობენ.

ივანე - ფუ, კაკაია ნიზოსტ! გაიტანეთ, გადაყარეთ ჩიხა-მახოები”[1, 158].

მწერლის ერთ-ერთი ამოცანაა პერსონაჟის ინდივიდუალობის შექმნა, რომელსაც ახერხებს პერსონაჟის ხასიათის მეშვეობით. თანამედროვე მწერლობაში ხასიათი პიროვნების ინდივიდუალური თვისებების ერთობლიობაა რომელიც ვლინდება ქცევის თავისებურებებში [4, 133].

გ. ერისთავი არ აიძულებს თავის პერსონაჟებს ავტორის აზრები გადმოსცენ. პერსონაჟები თავის სიტყვიერ და ენობრივ გამოთქმებში თავისუფალნი არიან. მაგ.: „დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია“, სადაც მრავლადაა რუსული დიალოგები და რუსულში შერწყმული ქართული მეტყველება არა მარტო სტრაპიჩ - ხარიტონ ფილიპიჩ ვზიატკინს, მიხაილსა და ბეგლარს შორის, არამედ მამა-შვილს შორისაც. აღსანიშნავია, რომ დრამატურგის პოემები დიალოგების უწყვეტი ჯაჭვია, სწორედ დიალოგების საშუალებით ცდილობს ავტორი სიტუაციის განვითარებას.

,,მიხაილ - Пустяки, შენგანაც აიღებს, ჩემგანაც, მაგრამ ცალ-ცალკე უნდა მივცეთ, ჩალიანი ნინოსია, გესმის, смотри женись.

ბეგლარ - (გამოართმევს ხელს) - Как тебе не стыдно, ჩალიანი, ужасна, მე სიყვარული მინდა.

მიხაილ - Она любит, братец… ვიღაც მოდის”[1, 111].

დამოწმებული ციტატა, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მოგვიტანია, იგი ნათლად ასახავს საქართველოს და ქართველი ხალხის რუსიფიკაციას. ქართულ მეტყველებაში, საუბარში თუ წერაში რუსული განუყოფელია. ასევე, ცალკეა აღსანიშნავი სამოხელეო და სასამართლო აპარატის ბიუროკრატიზმი, უვიცობა, ზნედაცემულობა. ამ თვისებების ხაზგასმა კომედიებში „დავა“ და „გაყრა“, პირველად მოხდა ქართულ ლიტერატურულ და თეატრალურ სინამდვილეში და ავტორის მხრიდან უნდა მივიჩნიოთ დიდ გაბედულებად. ამ მხრივ საინტერესოა „სუდის სეკრეტარი” რამაზი, რომელიც ცდილობს დიდებულიძეების გაყრით თვითონაც ისარგებლოს („გაყრა“).

,,რამაზ - დიახ, უმჯობესია გაყრა... მე სწორე მოგახსენოთ, არ მიყვარს გარევა მაგგვარ საქმეში” [1, 155].

საინტერესოა, რომ „შეშლილის“ ბეგლარის და „დავის“ ბეგლარის პარალელების გავლებისას სრულიად განსხვავებულ და ურთერთსაწინააღმდეგო პერსონაჟებს ვღებულოთ, როგორც ღირებულებით, ისე ცხოვრების წესით. ესეც მწერლის ინდივიდუალურ სტილზე მიუთითებს. ის ერთმანეთს უპირისპირებს ორ განსხვავებულ პერსონაჟს და ცდილობს დაგვანახოს, თუ რა არის იმდროინდელი საზოგადოების ღირებულებები.

ახალ ეკონომიკურ ურთიერთობაში ფული შეიქმნა ყოვლის შემძლე, მისთვის იბრძვის და მას ემორჩილება ყველა. ბურჟუაზია თანდათან იპყრობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ პოზიციებს.

სწორედ ფულის შეძენის სურვილია პირველ პლანზე წამოწეული გ. ერისთავის კომედიაში „ძუნწი“, რომელიც სატირულ ნაწარმოებს წარმოადგენს. შესაძლოა ითქვას, კარაპეტა დაბაღოვის პერსონაჟით დრამატურგმა სრულიად ახალი რეალობა დაგვანახა. მართალია, ის იმდენად უარყოფითი პერსონაჟია,

რომ შუაღამის პაემანს მართავს თავის ოქროებთან, ეალერსება და ეფერება მათ, მაგრამ სწორედ ამ კომიკური სიტუაციებით შეძლო ერისთავმა ჩვენში რეალობის ასახვა.

„კარაპეტა (ახდის ყუთს) - ჩემი პარკები იზრდებიან, იზრდებიან, როგორც მელქუას მუცელი (ამოიღებს ერთ პარკს) ჩემო აღდგომის ბატკანო! ჩემო ახალი წლის ჰალვავ! გაიზარდე, ჩემო შვილო!“ [1, 179].

მეორეხარისხოვანი გმირის მონავარდისას და კარაპეტას დიალოგით ნახშირზე ერისთავმა ყოველმხრივ წარმოაჩინა კარაპეტა.

„მონავარდისა - მაშ სიცივით ხომ არ დავიხოცებით?

კარაპეტა - სულელო, სიცხემ გაწყენს. ეგ ლოყამ წაგიხდება სიცივე ასე გაწითლებს, როგორც ვარდი. (უნდა უჩქმიტოს ლოყაზედ)”[1, 179].

კარაპეტა დაბაღოვი სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის ტიპის პერსონაჟია, ოღონდ საკუთარი ინდივიდუალობით გამორჩეული, პარალელის გავლებისას, იგრძნობა მათი აშკარა მსგავსება ცხოვრების წესით და ღირებულებებით, თუმცა სოლომონისგან განსხვავებით, რომელიც ბოლოს გონს მოეგო და მიხვდა, რომ მომხვეჭელობა ავადმყოფობად შეჰყროდა, ინანა და დაიწყო მთელი თავისი დანაზოგის ხარჯვა, კარაპეტა ბოლომდე ერთგული დარჩა ოქროებისა. ზოგადად, დრამატურგის კომედიებში გამოყვანილი ვაჭრები: მიკირტუმ ტრდატოვი („გაყრა“) და კარაპეტა დაბაღოვი („ძუნწი“) მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების ვაჭართა კლასის ტიპიური წარმომადგენლები არიან. თუმცა საერთოსთან ერთად, რომელსაც ფულის სიყვარული ჰქვია, მათ განმასხვავებელი თვისებებიც აქვთ.

მიდიან რა ცხოვრების სარბიელიდან, ანხანუმი („შეშლილი“), ანდუყაფარი, პავლე, ონოფრე და ამირინდო („დავა“), მათ ადგილს იჭერენ არა ბეგლარი, ტასო („შეშლილი“), მიხეილი, ნინო, ბეგლარი („დავა“) ან ივანე („გაყრა“), არამედ მიკირტუმ გასპარიჩი და მისი თანამოძმენი. თავადაზაურობის როგორც ძველ, ისე ახალ თაობას არ შესწევს ძალა გაუმკლავდეს ბურჟუაზიას.

თუმცა, კომედიაში „ძუნწი“ არჩილის სახით, დრამატურგმა დაგვანახა სრულიად განსხვავებული პერსონაჟიც, რომელიც ცხოვრობს ბურჟუაზიული ქალაქისგან მოწყვეტილ, მშვიდ სოფელში. თავისი ცხოვრება ისე აქვს მოწყობილი, რომ სარჩო-საბადებელი არ აკლია, ამიტომ, გ. ერისთავის კომედიების სხვა პერსონაჟებისგან განსხვავებით, იგი არ არის ფულის მონა. არჩილი არ ჰგავს არც ბეგლარს, არც მიხეილსა და ივანეს. მისთვის ერთადერთ სიამოვნებას წარმოადგენს თავის სატრფოსთან, ხამფერასთან, ერთად ყოფნა, რასაც უშლის სასიმამრო - სომეხი ვაჭარი კარაპეტა. საბოლოოდ, ყოველგვარ ტიტულებს მოცილებული ყოფილი თავადი, მაინც აღწევს მიზანს და ხამფერას ცოლად ირთავს, ამ შემთხვევაში, არჩილს უანგარო სიყვარულიც ამოძრავებს და იბრძვის კიდეც სიყვარულისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არჩილი გარკვეულწილად იმედია ახალი მომავლისა, რომელიც უამრავი დამაბრკოლებელი გარემოების მიუხედავად, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ილანდება გიორგი ერისთავის პიესებში.

გ. ერისთავმა თავისი კომედიებით არამარტო შექმნა საინტერესო ლიტერატურულ-თეატრალური შედევრები, არამედ დაგვიხატა მრავალფეროვანი და ობიექტური რეალობის ამსახველი პერსონაჟთა გალერეა. მისი კომედიები შესული იყო ქართული თეატრის ძირითად სარეპერტუარო ფონდში, რომლებიც სამი საუკუნის განმავლობაში არ ჩამოსულან სცენიდან და დღესაც წარმატებით სარგებლობს თანამედროვე მაყურებლებში. გიორგი ერისთავის მიერ შექმნილი პერსონაჟები გამოირჩევიან ტიპურობით, მის შემოქმედებაში ასახულ რეალობასთან მიმართებით, რაც არაერთი საინტერესო დასკვნის საშუალებას იძლევა. იმდენად რამდენადაც, დრამატურგი სწორედ პერსონაჟების საშუალებით ქმნის ფრიად საინტერესო მხატვრულ სამყაროს, მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი საკითხი აქტუალურია, ხოლო აღნიშნული ნაშრომით შევეცადეთ მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა საკითხის შესწავლის საქმეში.

ლიტერატურა:

1. გ. ერისთავი, პიესები, სახელგამი, თბილისი, 1950.
2. ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი, ,,ქართული ლიტერატურა”, ტ. II, თბილისი, 2013.
3. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1972.
4. ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, 2008.
5. ქართული ლიტერატურის ისტორია, III ტომი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1969.

ПРОИСХОЖДЕНИЕ НОВЫХ СЛОВ В СОВРЕМЕННОМ РУССКОМ ЯЗЫКЕ (НА МАТЕРИАЛЕ НЕОЛОГИЗМОВ ИНОСТРАННОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ)

Ана Тиникашвили
ст. 3 к. спец. рус. филология гуманит. фак.
научн. рук. докт. **Н.Пацация**

Наше исследование «Происхождение новых слов в современном русском языке (на материале неологизмов иностранного происхождения)» посвящено изучению современных процессов в истории русского языка.Словарный состав языка связан с жизнью общества, с теми изменениями, которые происходят в исторической, экономической, культурной и других ее сферах. Ежедневно люди стараются жить интереснее, удобнее, комфортнее. Для этого они совершают открытия, изобретают. В результате мы получаем много новых вещей и услуг, и каждое из них требует своего названия.Однако, многие изобретения приходят к нам из других стран, и их названия нам не всегда понятны. Как итог - большое количество этих непонятных слов делает нашу речь ясной только для тех, кто знает их смысл, значение.Для истории современного русского языка эти слова называются неологизмами иностранного происхождения, заимствованными словами. Скоро они перестанут быть «новыми», будут частью языка, но сегодня эти слова – большая преграда в общении даже тех людей, которые хорошо знают русский язык.

Цель нашего работы – изучить место и роль неологизмов иностранного происхождения в истории современного русского языка.Исходя из поставленной цели, нами были поставлена задача описать неологизмы иностранного происхождения в современном русском языке за последнее десятилетие. В процессе работы мы использовали эмпирический способ (наблюдение), метод сбора информации, анализ научных изданий, посвященных неологизмам, метод анкетирования, метод статистической обработки собранной информации, анализ собранных языковых единиц, выраженный в графике, схеме, таблице.

Словарный состав языка тесно связан с жизнью общества.Историческое развитие общества, развитие науки и техники, литературы и искусства, изменения в повседневной жизни вызывают появление новых слов, которые называются неологизмами.Неологизмы в современном русском языке образуются различными способами:

1. Появление нового наименования предмета, явления, процесса. Например, компьютер, Интернет, модем и т.д.
2. Появление нового значения у уже существующего слова. Например, руль – в значении дистанционный пульт.
3. Возникновение нового названия для уже существующего предмета, явления или процесса. Например, мэйкап – для макияжа, сталлинг – для лакированной укладки.
4. Возникновение новых слов на основе уже существующих. Например, флэшка от флэш, мультимедийный от мультимедиа.
5. Перенесение названия на предмет. Например, памперсом стали называть все подгузники.

Сегодня значительную часть неологизмов занимают заимствования.В лексике русского языка около 10% заимствованных слов, основную часть которых составляют имена существительные.Практически ежедневно современный человек сталкивается с необходимостью узнать большое количество новых слов, значение которых без специального знания других языков выяснить трудно.

Изучение неологизмов иностранного происхождения не только позволит человеку в современном мире быть компетентным, но и позволит описать историю развития современного общества.

Частью нашей работы являлось исследование места и роли неологизмов иностранного происхождения в современном русском языке. Чтобы понять, как к неологизмам относятся окружающие нас люди, мы составил анкету и опросили по ней 20 человек: 10 человек в возрасте от 8 до 22 лет – подростки (от начальной школы до университета) и 10 человек в возрасте старше 23 лет – взрослые.В анкете мы указали 4 неологизма иностранного происхождения и попросили участников анкетирования написать рядом с каждым словом его значение: скейтборд (катание на доске с роликами), постер (небольшой плакат с изображением артиста), паркинг (стоянка) и инвестиция (вложение). Анкетирование показало, что среди 10 человек в возрасте до 22 лет 5 человек правильно истолковали слово «постер», 6 человек – слово «скейтборд» и 4 человека – слово «паркинг», ни один человек из этой группы не пояснил слово «инвестиция» (рис.1).

Рис. 1 . Результаты анкетирования опрашиваемых до 22 лет



Слова «постер» и «скейтборд» чаще звучат среди подростков, в то время как «инвестиция» и «паркинг» – среди взрослых. Однако ни те, ни другие не справились с предложенным им заданием полностью, несмотря на то, что используют данные слова в общении с другими людьми (рис. 2).

Рис. 2. Результаты анкетирования опрашиваемых старше 22 лет



В следующем задании анкеты мы попросили ответить на 2 вопроса:

1. «Часто ли вам приходиться слышать от других слова, значения которых вам неизвестны?» 2. «Что вы чувствуете, когда в разговоре с вами собеседник использует незнакомое вам слово (слова)?».

Отвечая на первый вопрос, все опрашиваемые (20 человек) ответили «да». Из ответов на второй вопрос мы выяснили, что многие «стесняются», «смущаются», «стараются перевести разговор на другую тему», «стараются прервать разговор».

Итак, мы провели анкетирование и убедились, что незнание неологизмов иностранного происхождения в современном русском языке не просто затрудняет общение людей, но зачастую делает его невозможным.

Мы составили список неологизмов, а затем и картотеку этих слов, в которой указали их происхождение, толкование и то, где они используются. Картотеку составили 60 неологизмов. По происхождению все слова пришли в русский из разных языков: английского (британский и американский) и французского.

Отобранные слова мы разделили на сферы употребления. Они черпались из различных источников: словарей, интернета, СМИ, рекламы, теле-, радио. Наиболее эффективным источником следует назвать рекламу: рекламные проспекты, радио-, телереклама, рекламные вывески, сообщающие о появлении нового товара или услуги. Вторым по степени важности источником следует назвать средства массовой информации: телевидение (передачи, программы, шоу), радиоэфир. Особым источником явился Интернет.

Таким образом, за последнее двадцатилетие нижеперечисленные заимствованные слова прочно вошли в лексику современного русского языка. Это:

1) экономика:

Оффшор, оффшорные средства – в значении «свободный», находящийся на расстоянии от берега, в открытом море,

Демпинг – от англ. «снижение, уменьшение», торможение развития,

Девелоперская фирма – от англ. «развивать, совершенствовать, разрабатывать», строительная фирма, разрабатывающая стройку домов,

Фьючерс – от англ. «будущее», надбавка в цене, взимаемая продавцом за отсрочку расчёта по сделке,

Лизинг, от англ. «сдавать в аренду», долгосрочная аренда машин и оборудования, транспортных средств, сооружений производственного назначения и др.,

Тендер – от англ. «обслуживать», конкурс,

Сейл – от англ. «распродажа по пониженной цене в конце сезона»,

Рекрутер – от англ. «нанимать», человек, занимающийся устройством людей на работу.

2) компьютерные технологии:

Сайт – от англ. «местоположение, местонахождение», в компьютерной сети объединенная под одним адресом совокупность документов частного лица или организации,

Файл – от англ. «регистратор, досье, дело», (в информатике) – логическая единица информации, хранимая на носителе;(канцелярская принадлежность) – тонкий прозрачный пакет для бумаги, имеющий отверстия для подшивания в папку,

Апгрейд – от англ. «повышение качества») Увеличение производительности системы, путём замены модулей или добавления дополнительных элементов. Данный термин обычно используется для обозначения перекомплектации устаревших моделей персональных компьютеров, или полной замены системных блоков.

Фейк – от англ. «подделка, фальсификация, обман», как правило, используется для определения изменённых (приукрашенных, искажённых) с помощью специальных программ-редакторов оригинальных цифровых фото или видео файлов,

Флэшка – от англ. «вспышка», USB Flash, мобильное устройство хранения информации, программа, написанная на MacromediaFlash,

Редире́кт – от англ. «перенаправление», переадресция, переход с одного e-mail на другой, с сайта на сайт и т. д.,

Сканер – от англ. «поле зрения», устройство, которое, анализируя какой-либо объект (обычно изображение, текст), создаёт цифровую копию,

Принтер – от англ. «печатник», устройство печати цифровой информации на твёрдый носитель, обычно на бумагу,

Мэйл – от англ. «почта», электронная почта в Интернете.

3) связь:

Роуминг – от англ. «распространение, возможность широкого использования», услуга связи с дальним и ближним зарубежьем,

Рингтон – от англ. «звук», мелодия, воспроизводимая на сотовом телефоне для оповещения о входящем вызове,

Прайм-тайм – от англ. «лучшее время», услуга мобильной связи, связанная с предоставлением услуг по выгодной цене в зависимости от времени.

4) гастрономия и бытовые предметы:

Ростер –от англ. «жарить», жаровня,

Шейкер – от англ. «встряхивать», сосуд для приготовления коктейлей,

Ноу фрост – от англ. «без замораживания», тип холодильного оборудования, не нуждающийся в механическом размораживании,

Гриль – от франц. «жарить», устройство для жарения или выпечки с нагревом,

Фуршет – от франц. «вилка», совместный прием пищи, когда приглашенные едят стоя, свободно выбирая блюда и напитки,

5) индустрия красоты, косметология:

Лифтинг – от англ. «подтягивать», косметологическая процедура, связанная с подтяжкой кожи,

Пилинг – от англ. «очищение, чистка», очищение кожи лица,

Скраб – от англ. «царапать», крем для отшелушивания, очистки кожи лица, тела.

6) индустрия развлечений:

Клип – непродолжительная по времени художественно составленная последовательность кадров.

Сингл – от англ. «один, единственный», песня, записанная отдельно,

Ремейк – от англ. «переделка»,

Реа́лити-шо́у или реалити-телевидение – от англ. «действительность, реальность», телевизионный жанр, разновидность развлекательной программы или телевидения,

Шоу-рум – от англ. «выставочный зал», демонстрационный зал для показа образцов товаров.

7) спорт:

Боулинг – от англ. «шар; игра в шары», игра, в которой пущенным по полу шаром нужно сбить стоящие группой кегли,

Дайвинг – от англ. «нырять, погружаться в воду», «подводное плавание»,

Дайвер – любитель подводного плавания, водолаз,

Скейтборд – от англ. skate «катание на коньках, скольжение» и board «доска», катание на доске с роликами,

Сноуборд – от англ. snow «снег» и board «доска», катание на доске по снегу»,

Сноублэйд – от англ. snowblade «трюковые лыжи»; катание по снегу на набольших по размеру трюковых лыжах.

Байкер – от англ. bike – сокращ., разг. от bicycle «велосипед», велосипедист, мотоциклист,

Шейпинг – от англ. придание формы; вид гимнастики.

Т.о., на основании проведенного исследования можно сделать следующие выводы:

- Неологизмы – важная часть развития современного русского языка. В них отражена жизнь современных людей в различных сферах: экономической, культурной, технологической и др.;
- Неологизмы в современном русском языке образуются различными способами: появление нового наименования предмета, явления, процесса; появление нового значения у уже существующего слова; возникновение нового названия для уже существующего предмета, явления или процесса; возникновение новых слов на основе уже существующих; перенесение названия на предмет.

- Состав неологизмов не постоянен. Сегодня значительную часть неологизмов занимают заимствования, но когда слово входит в широкое употребление, оно перестает быть неологизмом;
- В результате анкетирования мы подтвердили актуальность исследования, доказав, что неологизмы иностранного происхождения при их незнании создают барьер в общении.

ЛИТЕРАТУРА:

1. Бабайцева В.В., Чеснокова Л.Д. Русский язык: теория. М., Просвещение, 2005.
2. Неологизмы//Энциклопедический словарь молодого филолога/Сост. М. В. Панов. М.:, 2008.
3. Розенталь Д.Э., Теленкова М.А. Словарь-справочник лингвистических терминов. М., 2001.
4. Словарь иностранных слов / Под ред. Ф.Н.Петрова, Л.С.Шаумяна. М., 1964.

გერმანელი მწერლის გ. ებერსის რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიისათვის

მაია მაისურაძე, მარიამ ბესიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე,** პროფესორი

ეროვნული მწერლობის ისტორიაში შემოქმედი არაიშვიათად მიმართავს უცხოური ენიდან თარგმანს ან გადმოკეთებას.

მხატვრულ თარგმანებში აისახება ისტორიულ ეპოქათა მოთხოვნილებები, ამ ეპოქათა ხასიათი, უპირატესობა ენიჭება ამა თუ იმ მეთოდს და, რაც მთავარია, განუწყვეტლივ მიმდინარეობს ბრძოლა იმ პრინციპებს შორის, რომლებიც თითქოს იმთავითვე ნათლად იყო ჩამოყალიბებული, როგორც ჩანს, პრინციპთა სიმტკიცე და გარკვეულობა შეფარდებითია და ყოველი ეპოქა, როგორც წარსული, ისე დღევანდელი, მოითხოვს ამ პრინციპთა ხელახალ მტკიცებას ეპოქის მოთხოვნილებათა შესაფერისი არგუმენტაციით.

თარგმანის ცნება ისტორიული გაგებით ნიშნავდა ,,იგავიანი სიტყვის გაცხადებას''. ასე განმარტავს ამ სიტყვას სულხან-საბა ორბელიანი თავის ქართულ ლექსიკონში. ქართული თარგმანის ისტორიულად ,,თარგმანში'' იგულისხმება ის, რასაც დღეს განმარტებას, გაგებას, ინტერპრეტაციას ვუწოდებთ. მართლაც, ძველი ქართული თარგმანები თავისი დანიშნულების შესაბამისად ხშირად წარმოადგენენ უცხო ძეგლების ქართულ ინტერპრეტაციას, ზოგჯერ მათ ქართულ რედაქციას. ამ გაგებაში გამოსჭვივის ის ძირითადი ტრადიციული პრინციპი, რომლითაც წარსულში ხელმძღვანელობდა ქართული თარგმანი - არა სიტყვასიტყვით, არამედ თავისუფალი თარგმანით, რომელიც უპასუხებდა თანამედროვეობის მოთხოვნილებას და ორიგინალურად უკავშირდებოდა ქართულ კულტურას. ბიოგრაფიული ძეგლების თარგმანს მოჰყვა საერო მწერლობის ნიმუშების გადმოქართულება-თარგმნაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება XIX საუკუნის დასაწყისიდან [გ. გაჩეჩილაძე, გვ. 54]

ჩვენი მწერლობა რუსულ-ევროპულ კულტურულ სამყაროს შეეხო, თარგმანისადმი ახალი ძალით იჩინა თავი, ხოლო გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ეს ტენდენცია კიდევ გაძლიერდა, რასაც ქართული პრესის აღორძინებამაც შეუწყო ხელი. მთარგმნელობითი მუშაობა თანდათან არასასურველი გზით წარიმართა, რადგან სათარგმნი მასალის შერჩევა რაიმე პრინციპის მიხედვით არ ხდებოდა, ითარგმნებოდა ყველა დროისა და მიმართულების მწერლები ისე, რომ მაინცდამაინც გათვალისწინებული არ იყო ეროვნული ლიტერატურის საჭიროებანი. აღსანიშნავია ისიც, რომ 50-იანი წლების რეალისტურმა კრიტიკამ უკვე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და პრინციპულად გაილაშქრა ყოველივე უცხოურის ხელაღებით თარგმნის წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძემ არა მარტო მხარი დაუჭირა ჩვენი მწერლობის ჯანსაღ ტენდენციას, არამედ, საერთოდ, ახლებურად გააშუქა მთარგმნელობითი მუშაობის ხასიათი. ილიას დიდი დამსახურება ისაა, რომ მან დაასაბუთა რეალისტური თარგმანის პრინციპები და ფართო კრიტიკული ანალიზის საფუძველზე უჩვენა არა მარტო ის, თუ რა არ უნდა თარგმნილიყო, არამედ, რაც მთავარია, კონკრეტულად მიუთითა, რა უნდა

თარგმნილიყო და როგორ თარგმნილიყო ქართულად. ილიამ განსაზღვრა მთარგმნელობითი საქმიანობის ძირითადი პრინციპები. [ჭუმბურიძე, 162-163]

თავისი პირველივე ლიტერატურული გამოსვლა ილიამ მიუძღვნა თარგმანის პრობლემას. ეს იყო მისი წერილი ,,ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის ,,შეშლილის'' თარგმნაზედა'' (გამოქვეყნდა ჟურნალ ,,ცისკრის'' 1861 წლის №4-ში). ეს წერილი ცხადყოფდა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია მხატვრულ თარგმანს მშობლიურ ლიტერატურის განვითარებაში და თარგმანის პრობლემას აყენებდა სხვა ისეთ პრობლემათა გვერდით, როგორიცაა ქართული მართლწერის, ნაწარმოებთა სტილის, მწერლობის ამოცანების, წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებისა და სხვა ასეთი პრობლემები. [გაჩეჩილაძე, გვ. 88-89].

ილიამ თავიდანვე კატეგორიულად მოითხოვა, რომ საგანგებოდ შერჩეულიყო სათარგმნი მასალა, ყველაფერი ხელაღებით არ გადმოეღოთ ქართულად, გაეთვალისწინებინათ ჩვენი მწერლობის საჭიროება და მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა, რომელიც არცთუ ისე განებივრებული იყო თარგმანებით, გაემდიდრებინათ იმ მწერალთა შემოქმედებით, რომელთაც ლიტერატურის ისტორიაში გარკვეული კვალი დატოვეს. უჩვენა რა კაზლოვისა და მისი ყაიდის მწერლების უვარგისობა, ილიამ კონკრეტულად მიუთითა, თუ ვის გაცნობას საჭიროებდა ქართული ლიტერატურა [ჭუმბურიძე, გვ. 163].

ილია მოითხოვდა დედნის ფორმისა და შინაარსის გადაღებას მთლიანობაში, დამახასიათებელი მხატვრული ძალისა და ენერგიის დაცვით. რა თქმა უნდა , ეს ილიას საერთო კრიტერიუმი იყო ყოველგვარი თარგმანის განსჯის დროს. ამიტომაც, რაც უნდა ცუდი და უარსაყოფი იყოს თვით კოზლოვის ნაწარმოები, მაინც იგი, თუკი კაცმა იკისრა მისი გადმოთარგმნა, გულმოდგინედ და მსგავსად უნდა გადმოეთარგმნა და არა ისე უწყალოდ გაეფუჭებინა, როგორც თავად ერისთავს გაუფუჭებია [გაჩეჩილაძე, 90].

ილიამ უჩვენა მკითხველს, რომ მთარგმნელმა ორი ენა უნდა იცოდეს ზედმიწევნით: დედნის ენა, ე.ი. საიდანაც თარგმნის და ის ენა, რომელზედაც თარგმნის. ილიამ მრავალი კონკრეტული ენობრივი მაგალითის მოტანით ცხადყო, რომ რევაზ ერისთავი ყოველ შემთხვევაში მშობლიურ ენას სუსტად ფლობდა [ჭუმბურიძე, გვ. 167].

1856-1861 წლებში ილია თავად ჰკიდებს ხელს მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნის გოეთეს, სკოტის, შილერის, ბაირონის, ჰაინეს, რიუკერტის, ანდრე შენიეს, პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებს. ამ ლექსებში გამოხატულია სხვადასხვა ამაღლებული, წმინდა ლირიკული ან სატრფიალო მოტივები, რომლებიც ეხმაურებოდნენ ილიას პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. როდესაც კითხულობთ ილიას მიერ თარგმნილ ბაირონის ებრაულ მელოდიას ,,სტიროდეთ'', არ შეიძლება არ იგრძნოთ ილიას უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი [გაჩეჩილაძე. გვ. 93-94]

„განდეგილის“ პრობლემათა გააზრება მსოფლიო ლიტერატურასთან კავშირში აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს ნაწარმოები, რომელიც, შესაძლოა, მივიჩნიოთ „განდეგილის“ ლიტერატურულ წყაროდ. ეს არის ილიასავე თარგმნილი ცნობილი გერმანელი ეგვიპტოლოგისა და მწერლის გეორგ ებერსის (1837-1898) რომანი „Homo sum“.იგი გ. ებერსმა 1878 წელს დაწერა. ნაწარმოები იმ წელსვე ითარგმნა რუსულად და გამოიცა 1878 წლის ივლისში. როგორც ირკვევა, რომანი ილიამ ამ რუსული წყაროდან თარგმნა და სათაურით „რამეთუ კაცი ვარ“ გამოაქვეყნა „ივერიის“ 1878-1879 წლების ნომრებში. რომანი ითარგმნებოდა ბეჭდვის პროცესის დროს და ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა „ივერიის“ ფურცლებზე. ეს თარგმანი ილიას თხზულებათა ადრეულ გამოცემებში არ დაბეჭდილა. პირველად ი. ჭავჭავაძის თხზ. ხუთტომეულში (1988 წ.) იქნა შეტანილი. (www.nplg.gov.ge)

სტილთან ერთად თარგმანის ილიასეულობას ადასტურებს ის, რომ რომანის ტექსტი ხელნაწერი ასლის სახელითაა დაცული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდის №217 კრებულში. მკვლევარ ნ. ჩიტაურის აზრით, აღნიშნული რომანი წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის პოემა ,,განდეგილის“ ლიტერატურულ წყაროს. ნ. ჩიტაურის გარდა, არსებობს კიდევ სხვა რამდენიმე მოსაზრება, რომელის მიხედვითაც, როგორც თვითონ პოეტი მიგვითითებს პოემის ხელნაწერში ,,განდეგილს“ ,,ხალხში გაგონილი“ ლეგენდა დაედო საფუძვლად, რომელიც მას, როგორც ირკვევა, ხევში უნდა მოესმინა. ლეგენდისათვის ილიას იმდენად შეუცვლია სახე, რომ მისთვის ფილოსოფიურ სიღრმესთან ერთად ზოგადკაცობრიული პრობლემის ძალაც მიუნიჭებია. ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტიც, რომ განდეგილობის საკითხი, ადამიანში სულისა და ხორცის ჭიდილის პრობლემა ილიას ყრმობიდანვე აინტერესებდა. ამას ადასტურებს ის, რომ ილიას ახალგაზრდობის დროინდელი ოცნება იყო ბერად შედგომა. როცა შეისწავლა ,,სამიჯნურო თემაზე“ შექმნილი თხზულებები, კ. კეკელიძემ, დადასტურდა, რომ ილია არ იყენებს ლიტერატურულ მასალას. მოსაზრებები ,,განდეგილის“ შექმნის წყაროდ ხალხური თქმულების მიჩნევისა და ილიას ახალგაზრდობის ოცნება ბერად აღკვეცისა ეჭვს ქვეშ დააყენეს გ. ყიფშიძემ და, უფრო ვრცლად, სილ. ხუნდაძემ, ისინი ეთანხმებიან ნ. ჩიტაურის მოსაზრებას, რომ ილიას ,,განდეგილის“ ლიტერატურული წყაროა გეორგ ებერსის რომანი. (ლ. მინაშვილი, გვ. 318-320)

გ. ებერსის რომანის ილიასეული თარგმანის არსებობა, ჩვენი აზრით, ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის გაცნობით მიღებული შთაბეჭდილება, მის მიერვე თარგმნილი გ. ებერსის რომანით გამოწვეული ზემოქმედება 1879 წლიდან 1883 წლამდე ილიამ საკუთარ შემოქმედებით ქურაში გადაადნო, ეს გავლენა მან ქართულ ლიტერატურულ და ფოლკლორულ ტრადიციებს, აგრეთვე ეთნოგრაფიულ მასალას დაუკავშირა და მის მხატვრულ წარმოსახვაში თანდათან გამოიკვეთა ქართული ლიტერატურის უბრწყინვალესი ნაწარმოების „განდეგილის“ სამყარო.

სიუჟეტი ასეთია, ილიასეული თარგმანი გეორგ ებერსის „რამეთუ კაცი ვარ“ არის ისტორიული რომანი, რომელიც იწყება სინას მთაზე ბუნების აღწერით და მოგვითხრობს პირველ ქრისტიან ბერ-მონაზონთა ცხოვრებაზე, რომლებიც ცხოვრებისაგან მოღალულ იყვნენ და შესდგომოდნენ სულის საცხოვნებელს და სინანულის საქმეს. სინას მთაზე ცხოვრობდნენ სამი მეუდაბნოე: გერმასი, პავლე და გერმასის ავადმყოფი მამა, სტეფანე. დასაწყისშივე გადმოცემულია მეუდაბნოე ყმაწვილის, გერმასისა, და მწყემსი ქალის მირიამის საუბარი, მათი ეს საუბარი კამათში გადაიზრდება და მეუდაბნო ქალს სატანაც კი უწოდებს, რომლის სიტყვაც არ უნდა რომ მოისმინოს, ამაზე ღვთისმეტყველი პავლეც აფრთხილებდა მორიდებულიყო ამ ქალს, რადგან მისი თვალით ეშმაკი იყურება, რომლის შემოხედვისას გერმასს სურვილი უჩნდება ყოველი წმინდა გაანადგუროს, რომელიც ამ ქვეყანაზეა.

გარდა მეუდაბნოე, ბერებისა ნაწარმოებში გხვდებიან საერო პირებიც, კერძოდ სენატორი პეტრე, რომლის სახლის ერთი ნაწილი ნაქირავები ჰქონდათ რომის იმპერატორის მეციხოვნეთა ჯარის უფროს ცენტურიონ ფებიცის და მის ცოლს სირონას, პეტრეს თავის მდგმურები არ მოსწონდა, რადგან ქრისტიანები არ იყვნენ.

ნაწარმოებში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მამის წამალზე გამოგზავნილი გერმასი შეხვდება სირონას და ისინი მოიხიბლებიან ერთმანეთით. ამის შემდეგ გერმასი ხშირად დადიოდა სირონასთან მამის წამალზე. ერთ-ერთ მისვლაზე კი გერმასი ტრფიალებით და აღტაცებით შეჰხაროდა და სირონას ჭვრეტით ვერა ძღებოდა, ამ დროს მოვა ფებიცი, ხოლო გერმასი ფანჯრიდან გადახტება და იქ ცხვრის ტყაპუჭი დარჩება.

სირონას სძულდა უგუნური სარწმუნოება თავისი ქმრისა და უფრო დაშორდნენ ერთმანეთს ცოლ-ქმარნი. ამას ის მოჰყვა შედეგად, რომ სირონა გაიქცა სახლიდან, ფებიცის ეგონა, რომ თავისი ცოლი პეტრესთან მივიდოდა, იქ მისულ ფებიცს პავლე დახვდა, რომელმაც გერმასის ეს ამბები თავის-თავზე აიღო, ფებიცმა კი გერმასის მაგიერ პავლე დასაჯა.

ნაწარმოები ვითარდება იმგვარად, რომ პავლე სიკვდილისაგან იხსნის სირონას, მიუხედავად იმისა, რომ მუხანათი და დამნაშავე იყო, მას წაიყვანს მღვიმეში, მისი მღვიმეში ყოფნა კი არავინ იცოდა. პავლეს სულიერი სიძლიერის მიუხედავად ქალის სილამაზე აცდუნებს. ნაწარმოების დასასრულს პავლე იკარგება და მას პოულობენ ერთ გადაკარგულ მღვიმეში, სიკვდილის ანგელოზი ის იყო იბარებდა მის სულს. გააკეთებინეს ქვა, სადაც ამოჭრეს სიტყვები, რომელიც თვითონ პავლეს დაეწერა ნახშირით თავის მღვიმის კარებზედ: „ილოცდეთ ჩემთვის ცოდვილისათვის, რამეთუ კაცი ვარ“.

ჩვენთვის უცნობია, როგორია ებერსის რომანი ორიგინალში, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ ნაწარმოებებს საერთო აქვთ არა მხოლოდ თემა, არამედ ძირითადი იდეაც, გმირების ფსიქოლოგიური პორტრეტები, ზოგჯერ სულიერი ბრძოლის სურათები და რამდენიმე მომენტიც. აშკარაა, რომ მეუდაბნოე ბერისათვის აუცილებელია უდაბური გარემო, რომელიც წარმოდგენილია ებერსის ნაწარმოების შესავალში და ძალზე წააგავს „განდეგილის“ შესავალს: „გარეშემო კლდებია-შიშველი, ტვიფარნი და დარიჩინისფრად მაყურებელნი... არაფერია ზედ, არც ერთი ბუჩქი, არც ერთი ძეძვი, არც ერთი მუჭა ხავსი;... „თითქოს იმის მაგალითად, რომ ცხოვრების შემოქმედების ძალა ბუნებისა თავის კვალსა ჰსტოვებს უნაყოფო ქვაზედაცო.“ (ი. ჭავჭავაძე, გვ 132)

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა ჰხდებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთა ჟრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია,-" (ი. ჭავჭავაძე, გვ. 225)

ამის შემდეგ, ორივე ნაწარმოებში მოსდევს იმის დახასიათება, თუ ვინ იყვნენ მონასტრის მკვიდრნი და რატომ შეეფარნენ ღვთის ტაძარს. საერთოა აგრეთვე მწყემსი ქალის პერსონაჟი, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ,,გენდეგილში“ მწირის მაცდუნებლად წარმოგვიდგება, ხოლო ებერსის რომანში ნაწარმოების დასაწყისში თითქოს მაცდუნებლად გვევლინება, მაგრამ როგორც მაცდური, გვევლინება სხვა ქალის სახე, რომელსაც სირონა ქვია. ებერის რომანის გავლენა იგრძნობა აგრეთვე, ილია ჭავჭავაძის

პოემის ,,განდეგილის“ ფინალში. როგორც „რამეთუ კაცი ვარ“ რომანის მეუდაბნოე იღუპება სულისა და ხორცის ჭიდილში, ასევე იღუპება ილიას პოემის გმირი.

მწერლისა და პუბლიცისტის ილია ჭავჭავაძის პირველსავე წერილში ,,ორიოდე სიტყვა...“ განხილულ იქნა ის მნიშვნელოვანი საკითხი, თუ რა და როგორ უნდა თარგმნილიყო ქართულ ენაზე. ამის პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთი ნიმუშია გერმანელი მწერლის გეორგ ებერსის ისტორიული რომანი „რამეთუ კაცი ვარ“, რომლის ქართულ თარგმანსაც ილიას მიაკუთვნებენ. კვლევის შედეგად აშკარა გახდა ილიას დაინტერესება ებერსის რომანში წამოჭრილი საკითხებით, რომელიც მოგვიანებით იდეის სახით უნდა გაშლილიყო პოემაში „განდეგილი“.

ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1988.
2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1987.
3. ლ. მინაშვილი, „ილია ჭავჭავაძე“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1995.
4. გ. გაჩეჩილაძე, „მხატვრული თარგმნის თეორიის შესავალი“, „განათლება“, თბილისი 1966.
5. www.nplg.gov.ge

ОБ ЭТИМОЛОГИИ РУССКИХ ДЕНЕЖНЫХ ЕДИНИЦ XI-XVII ВВ.

Лана Терлецкая
Ст. 2 курса спец . история
научн. рук. пригл.спец. **Т. Хабалаеви**

Лексический состав языка отражает в большей или меньшей степени различные стороны жизни народа на протяжении всей его истории. Поэтому изучение лексики в историческом аспекте является необходимым звеном в русской лексикологии, на актуальность и важность которого не раз указывалось в лингвистической литературе. Главная задача русской исторической лексикологии заключается в том, чтобы выяснить, как происходило развитие лексических средств русского языка в целом, во всех его разновидностях – литературного языка и говоров, включая и профессиональную терминологию, в том, чтобы установить, с чего это развитие началось, как протекало, какие этапы прошло, установить хронологические рамки отдельных слов или целых групп и категорий слов, т.е. изучить внутренние законы развития этого словарного состава в связи.

Цель нашей работы – на историко-семантическом анализе предметно-тематической группы слов (названия денежных единиц двух периодов в истории русского языка) проследить происхождение, развитие слова в этой группе на протяжении XI – XVII веков.

Вопрос о наименовании денег и денежных единиц в период с XI по XVII век в древнерусском и русском языках, как предметно-тематической группы слов в историко-семантическом аспекте, является мало изученным, что и составляет актуальность нашей статьи.

Материалом нашего исследования послужили данные различных лингвистических словарей: этимологических, исторических, толковых, энциклопедических, диалектных и словаря современного русского литературного языка.

XI-XVII вв. являются очень важными в истории русского народа: это период формирования русской народности и ее языка. С одной стороны, это древнерусский период: образование Киевского государства, объединившего почти все восточнославянские племена, что сыграло важную роль в развитии восточнославянской письменности и языка восточных славян. В этот период закладывается новая языковая основа литературного языка, вытесняются глаголица и другие системы письма кириллицей, которая становится единственным письмом в Древней Руси. Исследуемыми в данной работе наименованиями денег и денежных единиц этого периода (XI-XIV вв) являются динарий, драхма, гривна, куна, злато, серебро, резана. С другой стороны, это период народной борьбы с татаро-монголами, сплочение народных сил, задачи организации на севере и северо-востоке сильного централизованного великорусского государства. Это период формирования старорусского языка великорусской народности XIV-XVII вв., выразившийся в ряде новых явлений, в широком распространении новых слов, прежде всего, таких, которые фиксируются памятниками гораздо раньше этого периода, но с другой семантикой. К таким словам относятся названия денежных единиц: рубль, копейка, полтина, полушка, денежка, деньга, грош, алтын.

Особенностью денежных отношений исследуемого периода в Древней Руси было отсутствие строго установленной, единой во всем государстве денежной системы. Этим в известной степени и объясняется

разнообразие названий денежных единиц в деловой лексике русских памятников XI – XVII вв. Русский язык в XI-XVII вв. – период формирования языка великорусской народности. Данный тип языка представлен, в основном, текстами делового языка: судебники, в которых употреблялась различная терминологическая лексика, грамоты. Деловой язык на раннем этапе обслуживал документальную письменность. Исследуемые наименования денежных единиц принадлежат именно деловому языку двух периодов: XI-XIV вв. и XIV-XVII вв. В письменных текстах такая лексика представлена разнообразно. В качестве общеславянских наименований (болгарскому, словенскому, македонскому польскому, чешскому, словацкому русскому, украинскому, белорусскому) выступают слова: гривна, серебро. Как древнерусские названия употребляются векша, куна, резана, золото. А такие названия, как рубль, полтина, полтинник, копейка, полушка считаются исконно русскими и относятся к старорусскому языку. Редко встречаются названия оврь, изрой.

Одной из основных единиц денежной системы Древней Руси до XIV века была *гривна*. По происхождению данное слово родственно со словом *грива*. В связи с этимологическими и историко-лексикологическими исследованиями было выявлено, что это слово общеславянского характера. Развитие семантики этого слова происходило следующим образом: *шея, затылок, загривок*, *то, что растет на шее*, *грива животного*, *поросшая лесом возвышенность* и т.д. С таким значением слово гривна появилось в славянских языках. “Словарь Академии Российской” отмечает это значение, *как золотой знак, который жаловался достойным от государей и который носился на цепи у шеи.* С течением времени семантика слова расширяется. Данное слово начинает обозначать не только *ожерелье* и другие украшения, связанные с шеей, но и то, что соотносится с “обхватом” чего-либо, т.е. появляется значение *обруч, кольцо, браслет*. В связи с тем, что ожерелье, браслет, кольцо большей частью – предметы ценные, зачастую, сделанные из золота и серебра, гривна стала употребляться в значении весовая и денежная единица и представляла из себя серебряный или золотой слиток. В памятниках письменности часто упоминается о слове гривна, как о названии денежной единицы, что свидетельствует о ее широком распространении на Руси. Таким образом, можно предположить, что значение *весовая и денежная единица*, постепенно вытеснив первоначальные значения, становится основным в течение нескольких столетий.

С 1699 по 1720 год на Руси чеканились серебряные монеты из серебра низкой пробы. Впоследствии подобные монеты получили название гривенников. В отличии от общеславянского слова *гривна*, *гривенник* – собственно русское название и в памятниках отмечается с XVII века.

Слово *серебро* в качестве денежной единицы зафиксировано не позднее начала XII века, а в памятниках старославянской письменности в переводе с греческого наряду с серебренником употребляется и серебро.

По всей вероятности, серебро в значении *денежная единица* было общеславянским. По гипотезе А.П. Погодина, то сложное слово сере-бро. По его мнению, первая часть сер – *свет, блеск* соответствует греческому слову selaz *свет, сияние, блеск* , вторая часть – бро восходит к бера в первоначальном значении *ношу* . Получается «светоносный металл». В древнерусском языке данное слово функционировало в значениях: 1. металл, 2. денежная ценность , 3. деньги вообще**,** 4**.** доход, 5. подать. Но, как денежная единица, употреблялось в виде слитка металла. А монеты назывались сребреник и сребреница. Итак, слово серебро – древнерусское образование от праформы *sьrebro, функционирующее в языке в значении *денежная единица* примерно до XIV века, в значении «деньги вообще» до XIX века. В современном русском языке существует только в значении *драгоценный металл*.

Среди названий денежных единиц, имеющих общеславянскую основу, определенное место занимают слова, первоначальное употребление которых находим в церковнославянском языке. К таким словам относится *злато.*

В древнерусском языке слово злато употреблялось для общего обозначения денег. В качестве денежной единицы и золотой монеты функционировало слово златица. В значении *деньги вообще* употреблялось слово *золото*. Примерно в XIII-XIV веках появляется слово *золотой* для обозначения денежной и весовой единицы и золотой монеты и полностью вытесняет старославянское название *златица.*

Одна из стадий развития товаро-денежных отношений, отраженная в названиях денежных единиц – это применение в качестве денег пушнины. Из летописных свидетельств видно, что в Древней Руси длительный период дань и различные штрафы выплачивались мехами, которые постепенно превращались в средство платежа и обмена. Поэтому одними из широко распространенных наименований денег являются куна, векша, мордка, образованные от названий “куница” и “белка”.

Куна – денежная единица Древней Руси, находившаяся в обращении до конца XIV начала XV века. Термин произошел от названия меха куницы, имевшего хождение, как меховая ценность в X – XI веках. Современное исследование слова допускает два основных его толкования: 1. куньи меха и шкурки, 2. деньги (денежная единица или монета). В связи с этим, существуют разные мнения по поводу семантики данного слова. С одной стороны, приверженцы теории кожаных денег утверждают, что кунами назывались только шкурки куницы, имевшие в торговле определенную цену (Погодин), Другие исследователи русской старины доказывают, что куны были металлическими знаками ценности (Прозоровский).

Наименование денежной единицы *векша* тоже принадлежит денежной системе, восходящей к натуральному товарообмену, так как название образовано от названия белки, меха белки. Векша - одна из самых мелких денежных единиц Древней Руси. Десять векш составляли одну куну. В языке слово векша также функционировало в двух значениях; 1. *белка, мех белки – как денежная единица*, 2. *податная* (натуральная и денежная единица). Данное слово в значении денежной единицы сохранилось до XIV века. В современном

русском языке слово векша сохранилось и функционирует только в простонародном языке для обозначения белки.

Неясным по происхождению является слово *резана*. Это одна из древних единиц денежной системы Древней Руси. Полагают, что слово происходит от глагола *резать*. Может быть, так называлась часть разрезанной шкурки. Первоначально резаной назывались обрубки и обрезки широко обращающихся в Древней Руси арабских дирхемов. В XII веке денежная единица резана фактически была приравнена к куне и заимствовала ее название. В языке данное слово существовало в значении мелкая денежная единица в Древней Руси и соответствующая ей мелкая монета.

Денежное наименование МОРДКА, по- видимому, восходит (как КУНА и ВЕКША) к денежной системе, состоящей на этапе натурального товарообмена. Первоначальное значение данного слова - ***мордочкакуницы*** . Известно, что мордка зверька никогда не являлась ценным мехом, поэтому денежная единица с таким названием всегда была очень мелкой. С таким значением данное слово встречается в Псковской летописи 20, в различных грамотах XI-XVII веков.

В следующую группу входят названия денежных единиц, функционирующие в старорусском языке великорусской народности, которые принято считать собственно русскими: рубль, копейка,полтина, полтинник, полушка. Во время монго-татарского нашествия серебряные гривны стали делить пополам. Тем самым данные слитки уменьшились вдвое, но при этом сохранили прежнюю ценность. Так появились рубли (от глагола *рубить*).

Слово *рубль* достаточно раннего происхождения, так как засвидетельствовано в древнерусских памятниках с XII века. Но значение *денежная единица* вторичное, появилось в XIV-XV веках, поэтому данное слово относим к названиям денежных единиц более позднего характера. К моменту фиксирования этого слова в языке, оно обозначало *обрубок*. Далее семантика слова рубль расширяется, появляются значения, характерные для слова гривна: 1. платежный слиток серебра стандартной формы и устойчивого веса, 2. серебряная монета (в XVI-XVII вв.), 3. Денежное взыскание, пеня, 4. Деньги вообще.

Слово *полтина* в памятниках древнерусской письменности отмечается с XII века, но до XIV-XV века существовало в одном значении – *обрубленный слиток***.** Первые полтины, как наименования денежных единиц, появились в результате разделения рубля вдоль. Поэтому многие этимологи (Н.М.Шанский, М.Фасмер) рассматривают данное слово, как слияние пол и тина (пол– *половина*, ТИНЪ, старославянское ТЬНХ, ТАТИ – *рубить, сечь, резать*)..

Среди русских денежных единиц *полушка* – самая мелкая монета (1/4 копейки). В памятниках письменности отмечается с XVII века. Первоначально данное слово означало полденьги. Некоторые этимологи рассматривают данное слово, как производное от древнерусского слова *пул – медная мелкая монета*, которое восходит к турец. pul. Полушка – малоупотребительное в старорусском языке название, поэтому в современном русском языке данное слово почти не находим.

Копейка– одно из самых поздних по происхождению названий денежных единиц в языке XI – XVII веков. Данное слово собственно русского происхождения. В русских памятниках письменности встречается с конца XV – начала XVI века. Она начала чеканиться с середины 30-х годов XVI века из серебра. Очень часто называлась *новгородкой*, так как появилась в Москве после завоевания Новгорода (XVI-XVII вв.). В 1704 году Петр 1 ввел в обращение медную копейку, и серебряные копейки перестали чеканиться.

Другие ученые относят данное слово к тому же корню, что и слово *копить*. В современном русском языке слово копейка имеет широкое распространение и в литературном языке, и в просторечии. В последнем наблюдаем появление новых слов, связанных с различным достоинством монеты, например: “*двушка* ” – 2 копейки, “*десятчик* ” – 10 копеек, “*пятнашка* ” – 15 копеек.

Исходя из вышесказанного, можно сделать следующие выводы:
рассмотренная предметно-тематическая группа слов (названия денег и денежных единиц) представляет собой достаточно сложную денежную систему, существовавшую в Древней Руси XI-XVII вв. Однако, в данном периоде не было строго установленных, единых во всем государстве денежных норм.

- Словарный материал исследуемого периода, связанный с названиями денежных единиц, своими корнями уходит в глубину веков – все слова данной тематической группы зарегистрированы словарями древнерусского и русского языков XI – XVII вв.
- Основная часть наименований денежных единиц является достоянием древнерусского языка (гривна, серебро), древние заимствования (динарий, драхма), более поздние заимствования (деньга, алтын).
- Некоторые слова, связанные с наименованиями денег и денежных единиц, появились в языке великорусской народности в связи с развитием в стране товаро-денежных отношений, ростом городов, развитием торговли с соседними странами. Сюда относятся слова собственно русского образования XIV – XVII вв. – рубль, копейка, полтина, полтинник.
- В ходе исторического развития русского языка шло совершенствование, упорядочение лексики, связанной с товаро-денежными отношениями.
- Наименования денежных единиц, соответствующие натуральному товарообмену, ушли из активного употребления только в связи с введением монетной чеканки на Руси (куна, векша).
- Определенная часть рассмотренной денежной терминологии дожила до наших дней, сохранив прежние значения (рубль, клпейка, деньга, грош).

➢ Небольшая часть названий денег и денежных единиц употребляется в говорах, но большей частью с другой семантикой. (КУНА, ВЕКША).

ЛИТЕРАТУРА:

1. Богатова Г.А. История слова как объект русской исторической лексикографии. М., 2012.
2. Виноградов В.В. История слова. М., 2014.
3. Даунене З.П. Торговая лексика в деловой письменности XV – начала XVII века. Вильнюс, 2011.

ისტორია

ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და გაზეთი „ერთობა“

რუსუდან ბიხანაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ოთარ ჯანელიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ძველი ქართველები ხშირად იტყოდნენ: ამ ცოდვილ წუთისოფელში არის ერთი რამ განძი, რასაც ჯანგი და ობი არ ეკიდება, ცეცხლში არ იწვის, წყალში არ იძირება და ხმალი ვერას აკლებს, - ეს განძი უცხო მოყმეთა ძმობა და მეგობრობა არისო. მაგრამ ისეც ხდება, რომ სოლიდარობის, ზრუნვისა და დახმარების მიუხედავად, „სხვისი ჭირის“ გამზიარებელ ერს, ხშირად როდი უფასდება სიკეთე, გაწეული ამაგი. ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც ნებისმიერი ლტოლვილი თავს მასპინძლად გრძნობს. თავის ენაზე ნათლდება, თავის ტაძარში ლოცულობს, თავის თეატრში იღებს სულიერ საზრდოს [17: 4].

ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემებზე საქართველოში ბოლო დროს ბევრი იწერება. ადამიანის უფლებებთან ერთად ეთნიკურ უმცირესობათა მდგომარეობა თანამედროვე სახელმწიფოებში დემოკრატიულობის ბარომეტრად გაიაზრება. ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რამდენად მწვავედ იდგა არაქართველი მოსახლეობის, მათ შორის შიდა ქართლში კომპაქტურად მცხოვრები ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) და როგორ აისახა ეს პრობლემა მაშინდელ მედიაში.

ცნობილია, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება და ძირითადი პოლიტიკური სპექტრი დემოკრატიული პრინციპების ერთგულებით გამოირჩეოდა. დამკვიდრებული იყო მრავალპარტიული სისტემა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. პერიოდული პრესა გააჩნდა, როგორც მმართველ ძალას, ისე ოპოზიციურ პარტიებს. ჟურნალ-გაზეთების სიმრავლიდან ამჯერად ყურადღებას სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ ,,ერთობაზე“ შევაჩერებ და შევეცდები განსახილველი საკითხი მხოლოდ მისი პუბლიკაციების მიხედვით გავაანალიზო. მით უფრო, რომ ეს გამოცემა საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატების პარტიული ოფიციოზი იყო და ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან ფაქტსა და მოვლენას ოპერატიულად ეხმაურებოდა.

ქართველი სოციალ-დემოკრატები 1903 წლიდან რსდმპ-ს რიგებში იყვნენ გაერთიანებული, რის გამოც მათი ჟურნალ-გაზეთებიც ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ეგიდით გამოიცემოდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია დაიშალა, ხოლო ხელისუფლებას ბოლშევიკები დაეპატრონენ, ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები გამოეყვნენ საიმპერიო პარტიას და ცალკე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ჩამოაყალიბეს. მათ მთავარ პერიოდულ ორგანოდ ამიერიდან გაზეთი „ერთობა“ იქცა. ,,ერთობის“ პირველი ნომერი 1917 წლის 15 მარტს გამოვიდა. ეს იყო ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, რომელიც 1918 წლის 26 ნოემბრიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოდ იწოდებოდა. თავდაპირველად მას ვლადიმერ ბობოხიძე, 1920 წლის ივლისიდან კი ლევან ნათაძე რედაქტორობდა. გაზეთი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სამსახურში იდგა და დიდ ყურადღებას უთმობდა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას. „ერთობის“ მრავალი მოწინავე,

ქრონიკა თუ ანალიტიკური სტატია ეროვნული საკითხის გაშუქებას ეძღვნებოდა, მათ შორის წინა პლანზე იდგა ეთნიკურ უმცირესობათა ყოფისა და ცხოვრების, მათი პოლიტიკური მისწრაფებების ასახვა და სხვ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რომანოვთა სამეფო ტახტის დამხობით სათავე დაუდო იმპერიის რღვევას და ჩაგრულ ერებსაც გზა გაუხსნა თავისუფლებისაკენ. ფინეთის, პოლონეთის, უკრაინისა და ბალტიის ხალხების მსგავსად, გამოცოცხლება დაეტყო სამხრეთ კავკასიის ერებსაც, თუმცა ეს მხარე 1918 წლის აპრილამდე იურიდიულად რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში რჩებოდა. საქართველოში 1917 წლის ნოემბრამდე, ვიდრე ეროვნული ყრილობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს აირჩეევდა, ქვეყნის ინტერესების დამცველი და გამომხატველი რაიმე ერთიანი ორგანო არ არსებულა. საქართველოს ოსურმა მოსახლეობამ კი თავისი ეროვნული საბჭო, ქართველებზე ადრე, 1917 წლის ივნისში ჩამოაყალიბა და თავისი მომავალი სვე-ბედის საკითხი მის მოღვაწეობას დაუკავშირა. გაზეთ „ერთობის“ მესვეურთა აზრით, ეროვნული საბჭოები ივიწყებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არავის, თვით ადგილობრივი მთავრობის ჩათვლით, ნება არ აქვს დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმისა საგარეო თუ საშინაო სფეროში [8:N 230].

ოსთა შორის არსებობდა სხვა, უფრო რადიკალური ძალა ბოლშევიკების სახით, რომელიც ოსთა ეროვნულ საბჭოსთანაც იყო დაკავშირებული, მაგრამ უფრო მეტად მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციებით მოქმედებდა და უმთავრესი აქცენტი კლასობრივ ბრძოლაზე გადაჰქონდა. მათი ერთ-ერთი დასაყრდენი შეიძლებოდა გამხდარიყო რუსეთიდან თავიანთ სოფლებში დაბრუნებული ის ჯარისკაცები, რომლებიც ბოლშევიზმის გავლენას განიცდიდნენ. სწორედ ასეთ ჯარისკაცთა წარმომადგენლებმა დაიწყეს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად გლეხების ამხედრება. მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა გორის მაზრის ცალკეულ სოფლებში, სადაც ოსი გლეხობა დაუპირისპირდა მთავრობასა და თავადაზნაურობას [14: 23]. ამ საკითხთან დაკავშირებით, გაზეთ „ერთობის“ კორესპონდენცია - „მდგომარეობა ოსებში“, გვაუწყებს: „წითელმა გვარდიელებმა იარაღი აჰყარეს თავხედ სალდათებს გორში, მიხაელოვში, ბორჯომში და მოუწოდეს გლეხებს არ ეღალატათ რევოლუციისათვის და არ აჰყოლოდნენ ბოლშევიკების მიერ მოშხამულ სალდათებს“ [3: N 50].

თავდაპირველად ოსები საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოვიდნენ. მათი შიდა ქართლის დაბლობში ჩამოსახლება XVIII საუკუნის დასასრულიდან იწყება. უკვე მე–19 საუკუნის 60-იან წლებიდან ოსები მასობრივად გადმოდიან საცხოვრებლად საქართველოში. ისინი ქართლის ბარის რაიონებშიც სახლდებიან და ამაში არავითარ შეზღუდვას არ განიცდიან. მე–19 საუკუნის 80-იან წლებში ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. მე–20 საუკუნის დასაწყისიდან შეინიშნება მათი ცხინვალში მომძლავრების პროცესი. საქართველოში დასახლებული ოსები ისტორიულად საერთო ქართული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ემორჩილებოდნენ საქართველოში მოქმედ კანონებს. „ოსი გლეხი და ქართველი მემამულე“ – ასე აფიქსირებს გაზეთი „ერთობა“ ოსი და ქართველი ხალხის ურთიერთდამოკიდებულებას. აღსანიშნავია, რომ ქართველები არასდროს გამოსულან ოსების მიმართ ძალმომრეობის, მათ წინააღმდეგ ბრძოლის პირველდამწყების როლში [14: 8].

რატომ განუდგნენ საქართველოში მცხოვრები ოსები ქართულ სახელმწიფოს? ოსების უმრავლესობა შიდა ქართლის სოფლებში ხიზნის სტატუსით ცხოვრობდა. ისინი ქართველი თავადების მიწებს იჯარით ამუშავებდნენ და გასამრჯელოს იხდიდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ორივე მხარე მოვალეობას პირნათლად ასრულებდა და გართულებებიც უმნიშვნელო იყო. მოგვიანებით, როცა მიწის სიმცირის გამო მისი საიჯარო ფასი გაიზარდა, უთანხმოებანიც გახშირდა. გაზეთ „ერთობაში“ ვკითხულობთ: „ოსები აქ ას წლობით სცხოვრობენ ზოგი ხიზნად, ზოგი გრძელ ვადიან იჯარით... სამხრეთ ოსეთში სახნავი მიწების დიდი სივიწროვეა. ხორბალს გარედან ეზიდებიან. ერთადერთი წყარო შემოსავლისა მთაში არის საძოვრები და ტყეები“ [1: N1]. საიმპერიო მთავრობამ საქმის მოწესრიგება კავკასიის ადმინისტრაციას დაავალა, რუსეთის თვითმპყრობლური რეჟიმი კი ისე დაემხო, ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა. რეალობა ასეთი იყო, ქართველ თავადებთან შეხიზნული ოსები ბატონყმობის გაუქმების შემდგომ დროებითვალდებულ ადგილობრივ გლეხებზე უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ. ხიზნებს ტყითა და საძოვრებით უფასოდ სარგებლობის ნება ეძლეოდათ, მაშინ, როდესაც მკვიდრი გლეხობა ამაში ფულს იხდიდა. სწორედ ამ მიზეზით, ხიზან ოსებს ხშირად მოსდიოდათ დაპირისპირება ქართველ მიწისმფლობელებთან და გლეხობასთან.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს ქართველი ხალხის სიძულვილი არ ჰქონიათ, მათ უფრო ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფო აშინებდათ, რომელიც ოსთა ტრადიციული ცხოვრების წესს გარკვეულ ჩარჩოში მოქცევით ემუქრებოდა [18]. ჩემი აზრით, ოსთა სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი აქ არის საძებარი. ოსი მოსახლეობის ნაწილში, ბოლშევიკური პროპაგანდის შედეგად, მკვიდრდებოდა აზრი, რომ საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის გაძლიერების შემთხვევაში მათ საერთოდ გარეკავდნენ ამ ტერიტორიიდან, ან ქართველები მათ უფლებებს ისე შეზღუდავდნენ, რომ თავად გახდებოდნენ იძულებულნი ეს ადგილი დაეტოვებინათ.

ნუთუ არ შეეძლოთ მათ ქართველებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება და კონფლიქტის თავიდან აცილება? როცა ეცნობი ამ ურთიერთობის ამსახველ წყაროებს, განსაკუთრებით დოკუმენტურ მასალას, გიმტკიცდება აზრი, რომ კომპრომისის გზით ქართულ სახელმწიფოში ოსების ქართველებთან თანაცხოვრება უპრობლემოდ იყო შესაძლებელი. სამწუხაროდ, ოსებმა უარი თქვეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების შეთავაზებაზე, რომელიც მათთვის კულტურული ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებდა. უარყვეს აგრეთვე მთავრობის პროექტი შიდა ქართლში არსებული ოსური სოფლების ერთ საერობო ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბების თაობაზე ცენტრით ჯავაში. ოსთა პოლიტიკური ლიდერები საზრდოობდნენ იმედით, რომ საქართველო რუსეთის მარწუხებიდან თავს იოლად ვერ დაიძვრენდა და მოსკოვი რამეს აუცილებლად მოიმოქმედებდა საქართველოს რესპუბლიკის დასამხობად. სწორედ კრემლი აგულიანებდა ოსების სეპარატისტულ მისწრაფებებს. კრემლი დიდძალ თანხას გამოყოფდა, იარაღით და სხვა საშუალებებით ეხმარებოდა ადგილობრივ კომუნისტებს და საქართველოს ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ სეპარატისტულ ძალებს. ასე რომ, ოსთა მთელ მოძრაობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აქეზებდა და წარმართავდა მეზობელი სახელმწიფო - რუსეთი და მისი კომუნისტური ხელისუფლება [18]. ეს იყო მთავარი მიზეზი ურთიერთობის გამწვავებისა. გაზეთი „ერთობა“ გვაუწყებს, რომ „ქართველი დემოკრატია არას დროს არ უზღუდავდა უფლებებს ოსის დემოკრატიას. ქართველ დემოკრატიას არასდროს არ დაუტანებია ძალა ოსის დემოკრატიისათვის სამშობლო ენაზე ხელი აეღოს...“

1918 წლის 10 იანვარს სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ, რომელიც თავს საქართველოში მცხოვრები ოსების პოლიტიკური ხელისუფლებად მიიჩნევდა, ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა პროექტი, რომელშიც ნაჩვენები იყო, თუ რა ფორმით და რა საზღვრებში უნდა ჩამოყალიბებულიყო მათი ცალკე სამაზრო ადმინისტრაციული ერთეული, სამხრეთ ოსეთის სახელწოდებით [14:16]. ოსთა მოთხოვნები ასე იყო ფორმირებული: სამხრეთ ოსეთის გამოყოფა ცალკე საერობო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად. შემდეგში ამას სკოლის, ადმინისტრაციის, სასამართლოსა და ჯარის ნაციონალიზმის თემა დაემატა. ცოტა მოგვიანებით კი გამოიკვეთა ერობის ფორმაც – მთიანი ოსეთის რაიონის სამაზრო ერობა ცენტრით ცხინვალში [18]. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ოსების ეროვნულმა საბჭომ, რომელიც იმ დროს ბოლშევიკური იყო, არ სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ამ ორგანომ გამოიტანა დადგენილება „სამხრეთ ოსეთის“ „საბჭოთა რუსეთთან“ შეერთების შესახებ, მაგრამ, რადგანაც ეს მაშინ მოუხერხებელი იყო, გადაწყვეტილება შეცვალა და ავტონომია მოითხოვა. პროექტს საფუძვლიანი შეფასება მისცა გაზეთმა „ერთობამ“. მასში დაბეჭდილ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „სამხრეთ ოსეთმა“ წარმოადგინა ისეთი პროექტი, რომელიც შორს სცილდება ეროვნულ ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებს და აწესებს საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, ცალკე სახელმწიფოს. [10: N 205]. ამ პროექტის შემდგენლები ავტონომიას კი არ მოითხოვდნენ, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ასეთ ფონზე, ბუნებრივია, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა წინაშე მთელი პრინციპულობით დადგა საკითხი, თუ როგორ მოქცეოდნენ შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს.

გაზეთი „ერთობა“ ცდილობდა დაესაბუთებინა ოსთა ავტონომიის მოთხოვნის აბსურდულობა, მიუთითებდა ოსთა საცხოვრისი სივრცისა და ოსი მოსახლეობის სიმცირეზე. გაზეთის სიტყვით, „მიუვალ ციხე-სიმაგრეთ მიაჩნიათ ოს ნაციონალისტებს ჯავის ხეობა. ამ ხეობაში ცხოვრობენ სულ ოსები დაახლოებით ჯავის საზოგადოებაში 700 კომლი, როკის ხეობაში სულ 500 კომლი და ყემულის ხეობაში 400 კომლი... ვინც ოსების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობს მას არაფერი გაეგება ქვეყნიერების ავ-კარგის” [7: 119].

1918-1920 წწ. შიდა ქართლში სამი აჯანყება მოხდა. სამივე აჯანყებას ერთი დიდი ლოზუნგი აერთიანებდა: საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და, რაც მთავარია, სამხრეთ ოსეთის რსფსრ-ს შემადგენლობაში შესვლა. განსაკუთრებით ძლიერი 1920 წლის აჯანყება იყო. ნიშანდობლივია, რომ აჯანყებები ყოველთვის ემთხვეოდა საქართველოში გარეშე მტრის შემოჭრის საფრთხეს [16: 276].

ბოლშევიკური ლოზუნგებით ოსთა პირველი გამოსვლა, რაც ცხინვალის დარბევასა და ძარცვაში გამოიხატა, 1918 წლის მარტში, შეგულიანებული იყო იმ ხანად ჩრდილოეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებითა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნით. ამ დროს ოსმალეთი ბრესტის ზავით აღარ დაკმაყოფილდა და სამხრეთ კავკასიის სიღრმეში შემოიჭრა. ამით ისარგებლეს ოსებმა და ცეცხლი გახსნეს.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ოსებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა დელეგაცია სანდრო კეცხოველის მეთაურობით. ოსები ტყვიის სროლით შეხვდნენ დელეგაციას, რომელსაც თეთრი ბაირაღები

ჰქონდა გამოფენილი. ბრბო სასტიკად გაუსწორდა სანდრო კეცხოველს. ის ჯერ ტყვიით განგმირეს, ხოლო შემდეგ გაციებული გვამი დაასახიჩრეს. ოსმა მეამბოხეებმა დაარბიეს და გაძარცვეს ცხინვალი. ამ ფაქტის გამო გაზეთ „ერთობაში“ 1918 წლის 23 მარტს დაბეჭდილი კორესპონდენცია „ცხინვალის ამბები“, შემდეგს გვაუწყებს: „გაძარცულთა რიცხვის დადგენა შეუძლებელია. ძარცვავდნენ ყველას, ვისაც კი მოასწრებდნენ, მიჰქონდათ საათები, ფულები, მანუფაქტურა, კოვზები, საცვლები; ქალებს ბეჭდებს აძრობდნენ თითებიდან. იყო შემთხვევა როცა წაიღეს აკვანი“. ოსთა 1918 წლის მარტის აჯანყება ქართულმა სახალხო გვარდიამ აღკვეთა. მდგომარეობა, ცხადია კვლავ დაძაბული რჩებოდა.

1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებს თეთრგვარდიელთა არმია მოადგა. შეიქმნა დენიკინის თავდასხმის რეალური საფრთხე. ოსებმა კვლავ ისარგებლეს ამ კრიტიკული მომენტით და აჯანყება დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ 1919 წლის მაისში მიატოვა შტაბბინა და მთებში გაიხიზნა. მისი წარმომადგენლები სოფლებში დადიოდნენ და ბარის გლეხებს მოუწოდებდნენ დახმარებოდნენ ჯაველ აჯანყებულებს. გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის 5 ივნისის ნომრის თანახმად, მშვიდობიან ოს მოსახლეობას კორესპონდენტისათვის განუცხადებია: „ისინი (ამბოხების მეთაურები - რ. ბ.) არევ-დარევენ საქმეს და შემდეგ მთებში მიიმალებიან. ყოველგვარი ვაი-ვაგლახი და მთავრობის რისხვა ჩვენ უნდა გადაგვხდეს, ჩვენ ქართველებთან რა გვაქვს საჩხუბარი, მათთან ვცხოვრობთ ძმურად და კვლავაც ასე ვიცხოვრებთ“ [14: 31]. ირკვევა, რომ აჯანყების მონაწილე ოსთა უმრავლესობამ ზუსტად არ იცოდა მიზეზი, რატომ გამოდიოდნენ იმ ერის წინააღმდეგ, რომელთაც „არც ერთხელ არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, შენ ჩემი მტერი ხარ, მე შენი, მე მშია, შენ მაძღარი ხარ, მე ქართველი ვარ, შენ ოსი ხარ, მე ნასწავლი ვარ, შენ უსწავლელი“ [9: N 152].

ცხინვალის ამბოხების თვითმხილველი კირილე ნინიძე, რომელიც თვალსაჩინო ოს სოციალ-დემოკრატ გიორგი გაგლოევთან ერთად არეულობის დროს ცხინვალში იმყოფებოდა, გაზეთ „ერთობაში“ წერდა, რომ ოსებმა ისინი დაიჭირეს, გაჩხრიკეს და დახვრეტას უპირებდნენ. როცა მათ უკითხავთ მიზეზი ოსი ხალხის აჯანყებისა, ოსებს უპასუხიათ, რომ თავადები და წითელი გვარდია შეერთდნენ და ხალხს ებრძვიანო [4: N 67]. სინამდვილეში, ეს აჯანყება მოამზადა რკპ კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და კავკასიის ბოლშევიკების საერთო პარტიულმა თათბირმა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ცნობილი გახდა ბოლშევიკური გამოსვლების გეგმა. შესაბამისმა ორგანოებმა აჯანყების დათქმულ ვადამდე ორი დღით ადრე დააპატიმრეს ბოლშევიკთა სამხედრო-რევოლუციური შტაბისა და საგარნიზონო საბჭოს წევრები. კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული გახდა გადაედო აჯანყება, თუმცა 1919 წლის 23 ოქტომბერს შეტაკება მაინც მოხდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ეს გამოსვლა შედარებით ადვილად უვნებელყო. [14: 32]. „ერთა თვითგამორკვევა – ამ დიადი იდეის სახელით ამართლებენ ბოლშევიკები ოსების მუხანათურ თავდასხმას“ ასე აფასებს გაზეთი „ერთობა“ ოსთა შეიარაღებულ გამოსვლებს.

გაზეთი ,,ერთობა“ არც თუ იშვიათად თავის ნომრებში ადგილს უთმობდა ოს ავტორებსაც და ბეჭდავდა მათ მიერ მოწოდებულ მასალებსაც. ერთ-ერთი ასეთი ავტორი იყო ოსი სოციალ-დემოკრატი ალ. ფარნიევი. ამიერკავკასიის ოსთა მესამე ყრილობის შედეგების შეჯამებისას იგი „ერთობაში“ წერდა: „ვინც იცნობს ოსების და ქართველების გეოგრაფიულ პირობებს, ვინც იცის ოსების პოლიტიკური მიმართულება, ყველა დარწმუნდება, რომ ოსები არ არიან დაინტერესებული ქართული დემოკრატიის დასუსტებაში და თუ ზოგიერთი პირები ცდილობენ ამ ორ ერს შორის აამღვრიონ წყალი, ეს ოსებს არ უნდა მიეწეროს“ [5: N 114].

გაზეთის პუბლიკაციების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ,,ერთობას“ ოსებთან მიმართებაში მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია ჰქონდა: იგი სეპარატიზმში არ ადანაშაულებდა მთელ ოს ხალხს. „ერთობის“ მესვეურთა წარმოდგენით, საქართველოსა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებს მხოლოდ ოსთა გარკვეული ჯგუფი, ისიც გარედან მართული, რომლის მიზანია შუღლი გააღვივოს ქართველ და ოს ხალხს შორის. გაზეთს ეს შეხედულება არ შეუცვლია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში.

1920 წლის მაისში რუსეთის წითელი ჯარის ნაწილებმა გასაბჭოებული აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრები გადმოკვეთეს. ქართლის ოსებმა თავდაცვით ომში ჩაბმულ ქართულ სახელმწიფოს კიდევ ერთხელ ჩასცეს მახვილი ზურგში. ხსენებულ აჯანყებებთან, სამწუხაროდ, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართველი ბოლშევიკები ა. გეგეჭკორი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე და სხვა, რომლებიც საქართველოში მოქმედ რუსეთის მეხუთე კოლონას მეთაურობდნენ. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის აჯანყების ბოლშევიკ ხელმძღვანელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რუსეთთან შეერთება. 1920 წლის ზაფხულში დაწყებული შიდა ქართლის ოსთა აჯანყების მესვეურები გორის აღებას, სურამის უღელტეხილის ჩაკეტვას, საქართველოსა და მთელ სამხრეთ კავკასიაში

„კომუნიზმის წითელი დროშის" აღმართვის გეგმებსაც კი თხზავდნენ და ყოველივე ამას ოსი ხალხის თვითგამორკვევას უწოდებდნენ.

რა საერთო აქვს სამხრეთ კავკასიაში კომუნიზმის დამყარების მიზანს ოსი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ოსთა ბოლშევიკური გამოსვლები რომ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობას, არღვევდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ძირს უთხრიდა სახელმწიფოს პოლიტიკურ სიმტკიცეს, ეს უცილობელი ფაქტია.. [18]. შესაბამისი იყო საქართველოს ხელისუფლების რეაქციაც. ოსების წინა პერიოდის ამბოხებებთან შედარებით, 1920 წლის აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი. გაზეთი „ერთობა" ამ აჯანყებას ოსი ხალხისაგან საქართველოს ღალატად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ „ვეღარ გაუძლო საქართველოს ლაშქარმა განიადაგებულ ღალატს და რისხვად დაატყდა, ქარტეხილად გადაიარა მათ საბინადროში" [9: N 169].

ოსების გენოციდი ნამდვილად არ მომხდარა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოვალე იყო დაეცვა ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლით მონაპოვარი თავისუფლება და სუვერენიტეტი. საქართველოს მთავრობამ 1920 წელს აჯანყებული ოსი ბოლშევიკები დასაჯა მათი ანტისახელმწიფოებრივი, დანაშაულებრივი ქმედებისათვის და არა ეთნიკური ნიშნით. უფრო ადრე სახელმწიფომ აღკვეთა ასეთივე ხასიათის გამოსვლები დუშეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში და სხვ. ოსთა მიერ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილმა მუდმივმა აჯანყებებმა, მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვამ და ქვეყნის მომავალი ბედის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებამ, საქართველოს ხელისუფლებას სხვა ალტერნატივა არ დაუტოვა. აღნიშნული საკითხი ამ კუთხით უნდა იქნეს განხილული.

გაზეთი „ერთობა" ამ საკითხს ობიექტურად აშუქებდა და ცდილობდა ოსი ხალხისთვის დაენახებინა, რომ ქართველები არ არიან ოსების მტრები და რომ ამ ორ ერს შორის ურთიერთობის გამწვავების მთავარი მიზეზი რუსეთია. გაზეთი დროულად აუწყებდა მკითხველს, მათ შორის შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებსაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ყოველ წამოწყებას ოსთა პრობლემის მოსაგვარებლად, აშუქებდა ოსთა ეროვნული ყრილობების მიმდინარეობას, ბეჭდავდა მათ გადაწყვეტილებებსა და მოთხოვნებსაც, მაგრამ მისი ძალისხმევა არ გამოდგა საკმარისი ოსური სეპარატიზმის დასაძლევად, რომლის უკან, საბჭოთა რუსეთის სახით, უფრო ძლიერი ძალა იდგა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზ. „ერთობა", 1918 წელი, N1;
2. გაზ. „ერთობა", 1918 წელი, N5;
3. გაზ. „ერთობა", 1918 წელი, N50;
4. გაზ. „ერთობა", 1918 წელი, N67, N71;
5. გაზ. „ერთობა", 1918 წელი, N114, N150;
6. გაზ. „ერთობა", 1918 წელი, N230;
7. გაზ. „ერთობა", 1918 წელი, N119;
8. გაზ. „ერთობა", 1918 წელი, N230;
9. გაზ. „ერთობა", 1920 წელი, N152, N169;
10. გაზ. „ერთობა", 1919 წელი N205;
11. გაზ. „ერთობა", 1920 წელი, N154;
12. ვადაჭკორია შ., შიდა ქართლის მთის ოსების საგადასახლებო პოლიტიკა და ქართული პოლიტიკური აზრი (XX საუკუნის 20-იანი წლები), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, N 1 (7), თბ., 2010.
13. ვაშაყმაძე ნ. ბარამიძე ი., სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო და ქართული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ინტერნეტ მის: https://burusi.wordpress.com/2011/03/20/nino-vashakmadze/ posted in history
14. თოიძე ლევან, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი „მაცნეს" ბიბლიოთეკა, გამომცემლობა „მეცნიერება" თბ., 1991.
15. თოგოშვილი გ. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა (1801-1921 წწ.) გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1969.
16. მენთეშაშვილი ა., ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებულში - „ოსთა საკითხი", გამომცემლობა „პითაგორა", გორი-თბილისი 1996.
17. სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი" საქართველოში?!", გამომცემლობა უნივერსალი, თბ., 2009.
18. ჯანელიძე ო., ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში, ინტერნეტ მის: https://iberiana.wordpress.com/samachablo/janelidze/

19. 40 მილიონ მანეთად ღირებული „ოსების გენოციდი“ და „ემოციური დიპლომატია“, ინტერნეტ მის: https://iberiana.wordpress.com/samachablo/osebi-2/

უცხოელი ავტორები ქართველი ქალების შესახებ

მერი გიგუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქართველი ხალხი ცნობილია უძველესი კულტურითა და მდიდარი ტრადიციებით. უცხოელი მოგზაურები, უმეტეს შემთხვევაში აღფრთოვანებულნი არიან ქართული სტუმართმოყვარეობით, ტრადიციებით, ქართველთა შინაგანი კულტურით. განსაკუთრებით ხიბლავდა მათ ქართველი ქალების კდემამოსილება, ოჯახისადმი ერთგულება, სათნოება და ფიზიკური სილამაზე.

არ არსებობს სფერო, სადაც თავი არ გამოეჩინათ ქართველ ქალებს: პოლიტიკა, დიპლომატია, ხელოვნება, რელიგია. ყველგან ჩანს მათი ნამოღვაწარის კვალი, მაგრამ, ამჯერად ჩვენ უცხოელ ავტორთა მხოლოდ ერთ სფეროს მივაპყრობთ ყურადღებას, კერძოდ, თუ როგორ აღაფრთოვანებდათ მათ ქართველი ქალის ფიზიკური სილამაზე და კეთილშობილება.

ქართველებისა და ჩერქეზების სილამაზის შესახებ ბევრი უწერიათ XVII, XVIII და XIX ს-ის პირველი ნახევრის უცხოელ (ინგლისელ, ფრანგ, გერმანელ) მოგზაურთ. მათი შთაბეჭდილებანი ტრადიციულად დამკვიდრდნენ დას. ევროპის მეცნიერებასა და ფილოსოფიაშიც კი (დარვინი, ვიკელმანი, კანტი, ჰეგელი). ამ მხრივ აღსანიშნავია XVII ს-ის ფრანგი ვაჭარ-იუველირისა და მოგზაურის ჟან-შარდენის განთქმული „მოგზაურობა“. მისიონერების წერილებში კარგადაა დახასიათებული აღმოსავლეთ საქართველო და ქართველი ქალების სილამაზე.

ამ საკითხზე შარდენი წერდა: „ქართველები მთელს აღმოსავლეთში და შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოვებია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ, ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია. ქართველი ქალები არიან მაღლები, სუსტები, საოცრად მოხდენილები და დახვეწილები, ზრდილობიანები და ჰუმანურები, ამავე დროს ძალიან საიმედოები და ერთგულები !“. ჯერ კიდევ 1740 წელს ნადირ-შაჰზე ფრანგულად გამოცემული წიგნის **ანონიმი ავტორი** წერდა: “ქართველი ქალები, ისინი ოდითგანვე ულამაზესებად ითვლებიან აზიაში“. მეორე, ფრანგი მოგზაური **ჟაკ ფრანსუა გამბა,** შარდენის მსგავსად, ქართველებს ადამიანის მოდგმის ნიმუშად მიიჩნევდა. მისი აზრით, ქართველები მეტად ლამაზები, გონიერები და თავაზიანები არიან. იტალიელი მისიონერის **დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის** დახასიათებით კი “ქვეყანა და განსაკუთრებით ქალები მეტისმეტად ლამაზები არიან. ამ მხარეში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყანაში, დიდი თავშეკავებაა საჭირო, რომ ცდუნებაში არ ჩავარდეს კაცი“.

ჰაქსტჰაუზენი აღგვიწერს გარეგნობას (აფხაზის, მეგრელის, ოსის, ქართველის), აქებს ქართველ ქალთა სილამაზეს და საერთოდ ამბობს, რომ „ეს ხალხი ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერია დედამიწის ზურგზე თავისი დიდებული, მეტყველი, გაცისკროვნებული გარეგნობით”.

იტალიელი მისიონერი და მხატვარი **დონ ქრისტოფორო დე კასტელი** მის მიერ დახატულ ქართველი ქალის სურათზე ასეთ წარწერას აკეთებს: „იგი ნაწილობრივ ზეციური იყო დედამიწაზე შექმნილთა შორის”.

ქართველი ქალის სილამაზეზე არაერთ გამოჩენილ უცხოელ მოღვაწეს აქვს ეპითეტი ნახმარი. მათ შორის, **ჯონ დოს პასოსი** წერს: „საქართველო საუკეთესო ღვინისა და მსოფლიოში ულამაზესი ქალების სამშობლოა!“

ემანუელ კანტი (1724-1804): ყველა ევროპელი მოგზაური, ვინც ერთხელ მაინც სტუმრობდა საქართველოს, განსაკუთრებულად აღნიშნავდა ქართველი ქალების მომაჯადოებელ სილამაზესა და შარმს! ამავე აზრს იზიარებდნენ თურქები, არაბები და ირანელები, რომლებიც ყოველთვის აღიარებდნენ,

რომ მათი ერი ქართული სისხლით იყო გაჟღენთილი და სწორედ ამის წყალობით ჰყავდათ ლამაზი ქალები!“

ფრიდრიხ ბოდენსტადტსი (1819-1892): „ქართველები მიეკუთვნებიან მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ერს! საქართველოში ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს ყოველთვის თვალში საცემია მაღალი, მხარბეჭიანი მამაკაცები და ქალების დახვეწილი, კეთილშობილი სახეები, დიდი ულამაზესი თვალებით!“

ჯოსეფ ბარბარო XV საუკუნის იტალიელი მოგზაური: „ქართველები ულამაზესი შესახედაობის და დახვეწილი გარეგნობის ერია!“

რასების ყველაზე ცნობილი ექსპერტი - **უილი ამრიპლი** ხალხის იდეალურ რასად და მის წარმომადგენლებად ქართველებს მიიჩნევს !

იოჰან ვინკელმანი, გერმანელი არქეოლოგი აღნიშნავს: ,,იშვიათად მოიძებნება ქვეყანა მსოფლიოში, სადაც, ამდენი ლამაზი და კარგი შესახედაობის ხალხი ცხოვრობს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და არ სჩვევიათ საკუთარ სილამაზეზე ხმამაღლა საუბარი!“

ემილია მეილს ზარენბა (პოლონელი ფოტოგრაფი) აღწერს ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს: ,,მე გადავუღე სურათი ერთ-ერთ ქართველ გოგონას მცხეთაში, ის სხვა ქართული სილამაზეების წარმომადგენლებთან ერთად იდგა სვეტიცხოველთან და მეგობრის ჯვრისწერის ცერემონიას ელოდებოდა. აღვნიშნავ, რომ ქართველი ქალების სილამაზე ზღვარს სცილდება, მათ იციან საკუთარი თავის მოვლა და ლამაზად ჩაცმა, რაც მთავარია უმეტესობა მათგანი საკმაოდ განათლებულია. ეს არის ქვეყანა არა მარტო ულამაზესი ხალხით, არამედ ულამაზესი ბუნებითა და უმდიდრესი წარსულით!

იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახი (1752-1840): ,,კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთ ნაწილში ყველაზე თვალწარმტაცი ქალბატონები და წარმოსადეგი მამაკაცები იბადებიან, მხედველობაში მაქვს საქართველო!“

ალბერტო ტომბა, ცნობილი მოთხილამურე, როგორც კი ჩამოვიდა საქართველოში, პირველ რიგში ქართველი ქალების სილამაზეს გაუსვა ხაზი: „საქართველოში აქამდე არასოდეს ვყოფილვარ და სამწუხაროდ ცოტა რამ ვიცი თქვენი ქვეყნის შესახებ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მართლაც ულამაზესი ქალბატონები გყავთ!“

იური მეჩითოვი, ცნობილი ფოტოგრაფი: „მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და მსოფლიოში ყველა ქალის სილამაზე ერთად რომ აიღოთ, ქართველ ქალზე უკეთესი მაინც არ გამოვა!... ყველაზე უშნო ქალები გერმანიასა და საფრანგეთში ცხოვრობენ, რადგან შუა საუკუნეებში ამ ქვეყნებში ურწმუნოებმა ყველა ლამაზი ქალი კოცონზე დაწვეს, იმიტომ, რომ სილამაზეს ეშმაკეულად თვლიდნენ! რაც შეეხება მამაკაცებს, ყველაზე ლამაზი მამაკაცები ესპანელებს ყავთ!“

დასავლურ გამოცემებსა და სოციალურ ქსელებში ხშირად აქვეყნებენ რეიტინგებს, სადაც მასობრივად ლამაზი ქალებით დასახლებული ქვეყნების სიაა წარმოდგენილი. უცხოელი ბლოგერები ქართველი გოგონების სილამაზესა და საქართველოზე ხშირად წერენ, მაგრამ ამჯერად რამდენიმე დასავლურ გამოცემაში სხვადასხვა დროს დაბეჭდილ სტატიებს გაგაცნობთ. ვებსაიტმა **Beautiful Women Pedia** -მ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია ქართველ ქალებზე, სახელწოდებით „ლამაზი ქართველი ქალები":

„ქართველებს ძალიან ბევრი კარგი და ლამაზი ტრადიცია აქვთ, ისინი ცნობილები არიან ღვინით, სტუმართმოყვარეობითა და ლამაზი ქალებით. ქართველი ქალები გამაოგნებელი სილამაზის პატრონები არიან ყველა ასპექტში. როგორც წესი, მათ აქვთ მუქი ყავისფერი თმა, ლამაზი თვალის ჭრილი, ლურჯი ან მწვანე თვალები და ღია ფერის კანი. ამ ქვეყნის ქალბატონებს შესაშური ქალური ფორმები აქვთ, ამასთანავე ისინი ინარჩუნებენ ბუნებრიობას, რადგან ხშირად არ იყენებ კოსმეტიკას. მათ უყვართ სამკაულები, აგრეთვე მოდის აქტიური მიმდევრები არიან. ისინი არ არიან „დრამის დედოფლები“ და, როგორც წესი, პირად პრობლემებს არ ამჟღავნებენ და თავად აგვარებენ.“

ბრიტანულ გამოცემა **,,The Independent“**-ში 1997 წლის 31 აგვისტოს ჟურნალისტმა მაიკ ჟერარდმა დაბეჭდა სტატია, რომელიც საქართველოს, ქართულ კულტურასა და ქართველ ქალებს ეძღვნებოდა.

„ვფიქრობდი ყველა ქართველი ქალი ასეთი ლამაზია თუ მეჩვენება მეთქი. ამდენი ლამაზი ქალი არსად მინახავს. გოგონებს ხორბლისფერი კანი და თაფლისფერი თვალები ჰქონდათ. შევნიშნე, რომ ასაკოვან ქალებს მხოლოდ შავი ფერის კაბები ეცვათ. “ - წერს ჟურნალისტი.

საქართველოში ქალებს დიდად აფასებენ და მათ ქართულ საზოგადოებაში ენიჭებათ რაინდული პატივისცემის ფორმა. დედის ქანდაკება (ქართლის დედა, ან „ქართლის დედა“), რომლის ძეგლიც დგას თბილისში, ქართული ეროვნული ხასიათის სიმბოლოდ შეიძლება ითქვას. იგი არის ქართველი ქალის სილამაზის გამოხატულებაც. მას მარცხენა ხელში უჭირავს ღვინის თასი, რაც კეთილად მოსულ მოყვარისათვის სტუმარმასპინძლობის მაჩვენებელია, ხოლო მარჯვენა ხელში მახვილი - მომხდურს მძიმე ბრძოლას ჰპირდება.

ლიტერატურა:
1. მერი გიგუაშვილი, ქალთა როლი XI-XII ს-ის საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, 2014;
2. ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, XVIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი (1628-33 წ.წ), ტ. III, თბ., 1967;
3. ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, XIII- XX ს-ის პირველი მეოთხედი (1600-28 წ.წ), ტ. II, თბ., 1986;
4. დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, XVII ს, თბ., 1977;
5. ალექსანდრე დიუმა, „კავკასია“ (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი), თბ., 1970;
6. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2011;
7. http://en.wikipedia.org/wiki/Women_in_Georgia_%28country%29
8.http://www.ambebi.ge/sazogadoeba/94530-ras-tseren-qarthveli-qalis-silamazeze-uckhour-gamocemebshi.html
9. http://www.angel.ge/georgians/

ქართლ-კახეთის დედოფალი დარეჯანი

ნანი დანიელოვი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელდარ მამისთვალიშვილი**, პროფესორი

მეფე ერეკლე II-ის მესამე ცოლი (1750-დან), ქართლ-კახეთის დედოფალი დარეჯანი (დაახლ. 1726-1807), სამეგრელოს მთავრის კაცია I დადიანის ასული იყო. ზოგიერთი ავტორი მას მოიხსენიებს, როგორც გონებაშეზღუდულ და პატივმოყვარე ქალს, რომელიც ახალგაზრდობისას სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა, მაგრამ, ასაკის მატებასთან ერთად, სასახლეში ინტრიგების ქსელი გააბა სიბერეში, როცა მისი, აგრეთვე პატივმოყვარე და ურჩი, ვაჟები წამოიზარდნენ [გვ. 91][2]. იგი და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სამეფო ტახტზე თავისი შვილები დაემკვიდრებინა. ამ მიზნით ერეკლე II-ს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კანონიც კი მიაღებინა, რითაც საუკუნეების განმავლობაში არსებული მეფის გამეფების წესი დაირღვა. [გვ. 383][4].

დარეჯან დედოფალი, თავის გერს - გიორგი XII-ს მტრობდა და შუღლს აღვივებდა მის ძმებსა და მამასთან, რადგან სამეფო ტახტი გიორგის ერგო.

იმპერატრიცა ეკატერინე II-მ მემკვიდრედ ერეკლეს ძე გიორგი დაამტკიცა და ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა. ტრაქტატმა განარისხა ძმები, დედოფალი დარეჯანი და კარის კაცნი. [გვ. 15][1]

დარეჯან დედოფლის ზეგავლენა ერეკლე II-ზე მაშინაც კარგად გამოჩნდა, როდესაც საქართველოს გაერთიანების საკითხი დადგა.

როგორც გიორგის მემატიანე, პლატონ იოსელიანი წერს: „შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა სოლომონ პირველისა, ოდეს გამეფდა იმერეთს დავით, მოვიდნენ იმერეთით ევთიმი გენათელი და სხვანი. ესენი ითხოვენ, რადგანაც არა სურს მეფესა ირაკლის მეფე დავით, მიმტაცებელი ტახტისა, ინებოს და შეირთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა.“ [გვ. 15][1]

ისინი აცნობებდნენ, რომ ეს ოდიშის, გურიის მმართველებს და ფართო მასებსაც, რომლებიც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით დაინტერესებულნი იყვნენ, ქვეყნის გაერთიანების სურვილი ჰქონდათ.

ერეკლე მეფემ აღნიშნული საკითხი სამეფო დარბაზის განსახილველად გამოიტანა. დანიშნულ დღეს შეიკრიბნენ დარბაზელები, რომელთა უმრავლესობამ იმერეთის შემოერთებას მხარი დაუჭირა. ერთმეფობის აღდგენა მოითხოვეს სოლომონ ლიონიძემ, ჭაბუა ორბელიანმა (იგივე მზეჭაბუკმა), სარდალმა დავით ყაფლანიშვილმა, ზაქარია ანდრონიკაშვილმა და სხვებმა. [გვ. 727][3]

მზეჭაბუკ ორბელიანმა პირველსავე სხდომაზე მამულიშვილური სიყვარულით გამსჭვალული სიტყვა წარმოთქვა გაერთიანების სასარგებლოდ. თავის აზრს, მჭერმეტყველი ორბელიანი შემდეგნაირად ასაბუთებდა: „მეფე ერისთვის არის და არა ერი მეფისათვის; იმერეთის ერი ერთობას და კავშირს ითხოვს, რა უფლება აქვს ერეკლე მეფეს ამაზე უარი უთხრას. ვიცი, ის ფიქრობს, როგორ წავართვა ტახტი ჩემსავე

შვილიშვილსო. ეს აზრი უკუღმართი და დამღუპავია. განა ქართლის მეფის მემკვიდრეებს კი არ წაერთვა ტახტი და განა ქართლ-კახეთი არ გაერთიანდა? განა მეამბოხე არაგვის და ქსნის ერისთავებს კი არ ჩამოერთვათ სამფლობელოები? და რა დაკარგა ამით საქართველომ? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობას, ძლიერება მეფისა არის ერთა დაკავშირება.“ [გვ. 178][2]

ამ კრებაზე სიტყვით არაერთი მოხელე და მამულიშვილი გამოვიდა, ნაწილი ეწინააღმდეგებოდა იმერეთის შემოერთებას, ზოგიერთი, პირიქით, მხარს უჭერდა ქართლ-კახეთთან შეერთებას. დარბაზთა საკრებულოში თავი იჩინა რეაქციამ, ამით დასრულდა პირველი დღის კრება: ,,სცნო დედოფალმან დარეჯანმან საუბარი ესე ყოველი, განრისხნა და მიაწერა ჰაზრი ესე მეფის ძეს გიორგის.“ [გვ. 16][1]

დარეჯან დედოფალმა მზეჭაბუკი ორბელიანი დაიბარა, უსაყვედურა, რომ ის დარბაზის ბჭობაში ერთობის დამცველად გამოვიდა და მრისხანედ მოსთხოვა მოწინააღმდეგე დასს მიმხრობოდა. ორბელიანმა ღირსეულად უპასუხა, „მე კარგად მესმის, რასაც ვლაპარაკობ, სამშობლოსა და მეფეს ვერ ვუღალატებ, ჩემს აზრს საფლავში ჩავიტანო“. დედოფალს იმერეთის დესპანებიც ეახლნენ და ქვეყნის სასოწარკვეთილი მდგომარეობა დაუხატეს, მაგრამ ის ჯიუტად უარზე იდგა და გაიძახოდა, იმერეთის გვირგვინს ჩემი შვილიშვილის ხელიდან ვერ გამოვწირავო. [179][2]

რეაქციონერ ფეოდალთა მფარველმა და დიდი გავლენის მქონე დარეჯან დედოფალმა სამეფო კარზე საქვეყნო-საზოგადო პოლიტიკას მკვეთრად დაუპირისპირდა ფეოდალური, საოჯახო ინტერესები. დედოფალი ალმაცერად უყურებდა თავის გერს - ერეკლეს ტახტის უშუალო მემკვიდრეს - გიორგის, რომელიც უკვე მოხუცი ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ გამეფდებოდა და მისდამი ცივად განწყობილი დედინაცვლის პატივმოყვარეობას ანგარიშს არ გაუწევდა, ამიტომ დედოფალი ამჯობინებდა, რომ იმერეთის მეფედ თავისი ასული - ელენეს შვილი დავითი ეხილა.

მეორე შეკრებაზე ჭაბუა (იგივე მზეჭაბუკი) იგივეს იმეორებდა და ანტონ კათალიკოსიც მის აზრს ამტკიცებდა. მაშინ ერეკლემ უბრძანა თავის ძეს გიორგის: რას იტყვიო? მან უპასუხა, რომ მისი აზრი ბევრის საწინააღმდეგო იყო, მაგრამ მაინც უნდა წარმოეთქვა. იმერეთის შეერთება ქართლთან სამეფოს განამტკიცებდა და ძლიერი გახდებოდა. მტრის წინააღმდეგ ძალების გაერთიანება იყო საჭირო. მან ძალზე ბრძნული და საზრიანი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც დარბაზის უმრავლესობას მოეწონა. საბოლოო სიტყვა მაინც ერეკლეზე იყო: ერეკლემ განაცხადა, რომ ამ თხოვნას ვერ მიიღებდა, რადგან „მტერი კარს მოსდგომოდა და ახალ სამტროს ვერ გაიხდიდა.“ [გვ. 16, 17, 18][1]

როგორც ეტყობა, დედოფალმა მეტი გავლენა მოახდინა ერეკლეზე, ვიდრე გულანთებული პატრიოტების მჭერმეტყველებამ. ამიტომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეორე კრების დასასრულს მეფემ იმერეთის დელეგატებს უთხრა, წადით და ერს გამოუცხადეთ, რომ იმერეთის ტახტზე ჩემს შვილიშვილს დავსვამ, და ამ გზით თავისთავად კავშირი დამყარდება ორივე სამეფოს შორის.

სამწუხაროდ, ერეკლე მეფემ დარბაზის რჩევა არ მიიღო და იმერეთში თავისი შვილიშვილი გაამეფა. სოლომონ ლიონიძე კვლავ შეეცადა, მეფე დაერწმუნებინა ქვეყნის გაერთიანებაზე, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა. [728-729][3]

ერთმეფობის აღდგენის საქმე ჩაიშალა, უმთავრესად იმ წინააღმდეგობის შედეგად, რომელმაც მძაფრად იჩინა თავი სამეფო დარბაზსა და მეფის ერთპიროვნულ ხელისუფლებას შორის. [729][1]

მომდევნო წლებში ერეკლე მეფემ დარეჯან დედოფლის და მისი პარტიის ზეგავლენით გამოაქვეყნა ორი კანონი, რომლებმაც საბედისწერო გავლენა იქონიეს ქართლ-კახეთის სამეფოზე.

თითქმის ათას ხუთასი წლის განმავლობაში საქართველოში არსებობდა მტკიცე მემკვიდრეობითი კანონი, რომლის ძალით გარდაცვლილ მეფეს ტახტზე მისი უფროსი შვილი სცვლიდა. ამ კანონმა ფესვი გაიდგა, როგორც იურიდიულ შემეცნებაში, ისე ხალხის შეგნებაში. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში ბაგრატიონების გამეფების შემდეგ არ მომხდარა დინასტიის შეცვლა, რაც ასე ხშირი მოვლენა იყო მის მეზობელ ბიზანტიასა და სპარსეთში. ერეკლე მეფემ 1791 წელს ეს კეთილისმყოფელი კანონი გააუქმა. ახალი კანონით, ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ტახტი უფროს ვაჟს უნდა რგებოდა, შემდეგ ამ უკანასკნელის მომდევნო ძმებს, სანამ ყველანი მორიგეობით სამეფო ტახტზე არ დაჯდებოდნენ. მათი სიკვდილის შემდეგ მეფობა ისევ უფროსი ძმის ვაჟებს უბრუნდებოდათ, თუ ისინი ბიძებზე ადრე არ დაიხოცებოდნენ, შემდეგ მათ ბიძაშვილებს და სხვა [180-181][2].

ეს ქაოტური კანონი ღირსეული ნაყოფი იყო დარეჯან დედოფლის აზროვნებისა. მას უნდოდა თავისი გერის, ტახტის მემკვიდრის, გიორგი ბატონიშვილის უფლებანი შეეკვეცა და თავისი ღვიძლი შვილების: იულონ, ვახტანგ, მირიან, ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილებისთვის გამეფების საშუალება მიეცა.

მეორე განწესებით ქართლ-კახეთის სამეფოში რამდენიმე საუფლისწულო იქმნებოდა ბატონიშვილთა რიცხვის მიხედვით: გიორგი ბატონიშვილს კახეთი მიეცა საუფლისწულოდ, იულონს - ზემო ქართლი და ქსნის ხეობა, ვახტანგს - არაგვის საერისთავო და სხვ. ისინი თითქმის დამოუკიდებლად განაგებდნენ თავიაანთ სამფლობელოებს. კიდევ უფრო მეტ არევ-დარევას წარმოადგენდა ქართლ-

კახეთის სამეფო, რომელიც, თითქოს გაერთიანდა საერისთავოების და სახანოების მოსპობის შემდეგ, სინამდვილეში შუა საუკუნეების ტიპის დაქსაქსულ ფეოდალურ ქვეყანად იქცა.

მემკვიდრეობის ახალი კანონი, არსებითად, ანდერძის ერთ მუხლს შეადგენდა, ამ ანდერძს ეწოდებოდა: ,,განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისანი ძეთა თვისადმი სამეფოისათვის საქართველოისა". თუ მდაბიო ხალხმა არა, ყოველ შემთხვევაში, მეფის მახლობელმა წრეში მაინც იცოდნენ, რომ ეს ანდერძი დაწერილი იყო დედოფლის გავლენით. დედოფალი ოთხმოციანი წლებიდან თანდათან უფრო მეტი ენერგიით ერეოდა მართვა-გამგეობის საქმეებში და, ბოლოს, მოხუცი მეფე თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. თვით დარეჯან დედოფალი, თავის მხრივ, გაქნილი და ანგარებიანი კარისკაცების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რითაც პატრიოტების და პროგრესისტების აღშფოთებას იწვევდა [180-1801-1802][2].

ერეკლე მეორე მიხვდა, რომ ეს კანონი შვილებს შორის შუღლს და სიძულვილს ჩამოაგდებდა, მას კი სურდა შვილები ერთად ყოფილიყვნენ და მტერს საერთო ძალით გამკლავებოდნენ, ამიტომ ეს კანონი მოგვიანებით თვითონვე გააუქმა. ერეკლე გიორგი ბატონიშვილისადმი მიმართული წერილით შეეცადა თავისი ანდერძის ძალა გაებათილებინა; მაგრამ, რადგან მისი სიკვდილის შემდეგ დედოფლის პარტიამ ბრძოლის იარაღად ანდერძი გამოიყენა, ხოლო გიორგი ბატონიშვილმა ერეკლეს წერილი, არევდარევა კიდევ უფრო გაძლიერდა.

ერეკლეს ვაჟიშვილების უთანხმოება ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში დაიწყო საუფლისწულოების გამიჯვნის დროს. შემდეგ მათმა ბრძოლამ სრულიად ტრაგიკომიკური ხასიათი მიიღო. ტახტის პირდაპირი მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი გულკეთილი, ცრუმორწმუნე ადამიანი იყო.

როგორც ეტყობა, ერეკლე მეფეს არაფრად მოსწონდა თავისი მემკვიდრე და მამა-შვილს შორის ნაკლებ გულთბილი დამოკიდებულება არსებობდა.

ქართველ პატრიოტთა დასის მოწინააღმდეგეები სოლომონ ლიონიძეს აბრალებდნენ მეფისა და მისი უფროსი ვაჟის უმძრახობას. დარეჯან დედოფლის მომხრეების ინტრიგებმა გასჭრა და ერეკლე მეფემ არა თუ თანამდებობიდან გაადაყენა თავისი ნიჭიერი და თავდადებული თანამშრომელი, მამულიც კი ჩამოართვა მას.

ერეკლეს მდგომარეობას კიდევ უფრო აძნელებდა ის, რომ დარეჯან დედოფალი და ზოგიერთი დიდებული, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ რუსული ორდენების და საჩუქრების მიუღებლობით, მას აყვედრიდნენ, ყველა უბედურება „გეორგიევსკის ტრაქტატის" დადებას და რუსის ჯარის შემოსვლას მოჰყვაო [183,184,185][1].

დარეჯან დედოფალი გიორგი ბატონიშვილს ფარულად მტრობდა და მისი წარმატება სრულიად არ უხაროდა. როგორც პლ. იოსელიანი გადმოგვცემს: „წინათ აღა-მაჰმად ხანისა მოსვლისა თფილისს, მოვიდა ელჩად ზიათ-ხანი (?), რომელმანცა მოითხოვდა მეფის ირაკლისაგან, რათა წარუვლინოს თვალი ძვირფასი ნადირ შაჰისაგან ნაქონი. უკუდგეს რუსეთსა, აღიაროს მფარველად, ვითარცა ძველად, სპარსეთი და მისცეს მზევლები. შესწუხდა მეფე ირაკლი მოხუცი. ქმნა რჩევა და გამოკითხვა მხლებელთა ჯარისკაცთა. მეფის ძე გიორგი, ვითარცა მემკვიდრე, წარდგა წინაშე მეფისა და მოახსენა წარავლინოს მზევლად ძე მისი დავით და თვითცა წარვალს შვილთა უკეთუ სურს; წარდგება ყაენთანა; გამოსთხოვს წყალობასა, რათა არა წარახდინოს ქვეყანა. დაუტევებს შვილსა თვისსა მუნ მასთან მზევლად და თვით უკუ იქცევა. ესრეთი ჰაზრი მისი იწყინა დიდათ დედოფალმან დარეჯანმან,რომელსაცა ეშინოდა არა მოვიდეს სპარსთა ჯარითა და არ გამეფდეს სპარსთა ძალითა ჯერეთ სიცოცხლისავე მისისა მამისა დროსა." გიორგის მოსაზრება არ მოეწონა ერეკლე II-მ და არც სხვებმა მოიწონეს იგი, რადგან ეს ნაბიჯი ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან მეგობრობის კავშირს, რომელიც დაიდო 1783 წ. ,,გეორგიევსკის ტრაქტატს", რომელსაც მეფე არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევდა. [44, 48, 49][2].

მეფე ერეკლე 1798 წლის 11 იანვარს, თელავში გარდაიცვალა. ეს გიორგის ბორჩალოში აცნობეს და მეფობაც მიულოცეს. გიორგი 22 თებერვალს ჩავიდა თელავში. მეფე-მამა იტირა და პანაშვიდიც გადაახდევინა, შემდეგ დარეჯან დედოფალთან შევიდა და მიუსამძიმრა. მისი ბრძანებით, ეკლესიაში საწიგნე უნდა დაედგათ და მასზე ჯვარი, სახარება, და ფიცის ფურცელი უნდა დაებრძანებინათ, რომ შეჰფიცონ მას, როგორც მეფეს და კანონიერ მემკვიდრეს, ქართლ-კახეთის მეფედ და როგორც ირაკლის მემკვიდრესა და რუსეთისაგან დამტკიცებულ მემკვიდრეს. შეფიცეს მღვდელ მთავრებმა და თავად-აზნაურობამ. დარეჯან დედოფალი, ცხადად არ აღიარებდა მას მეფედ: ,,მე მინდა, - იტყოდა იგი, - მეფობა, ვითარცა ეკატერინა იყო დედოფლად რუსეთში". მეფემ სცნო ესე და არ ათხოვა ყური. მეფის ძენი იულონ, ვახტანგ და მირიან მარტისა თთვესა მივიდნენ თელავსავე და შეჰპიცეს არა სიწრფელით. თვით დედოფალიცა დარეჯან, კათალიკოსისა ჩაგონებითა, ვეღარას ბედავდა. ჭირი დასცხრა და ამისათვის შემდგომად 40 დღესა წაასვენეს გვამი მცხეთას დასასაფლავებლად. [50,51][1]

დარეჯან დედოფალი სამგლოვიარო პროცესიას მცხეთაში არ გაჰყოლია; ის თელავში დარჩა, რათა თავისი პოლიტიკური გეგმები განეხორციელებინა. მას სურდა ცოტა ხნით თელაველი ეკატერინე მეორის

როლი შეესრულებინა, რათა შემდეგ თავისი ღვიძლი შვილებისათვის ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი უზრუნველყო [206][2].

ერეკლე მეფის დასაფლავების შემდეგ მეფე გიორგი XII-ე მობრძანდა თბილისში, და იქ დაბინავდა. ერთი კვირის შემდეგ დედოფალი დარეჯანიც მიბრძანდა ავლაბრის სასახლეში.

გიორგი მეფის მეფობის მეოთხე თვეს მოხდა მისი ძმების ამბოხი დედოფლის წაქეზებით. ერეკლე მეფის ანდერძის გამო, იულონი ქართლის მეფედ აცხადებდა თავს,. ვახტანგი, არაგვის გამგე, თავს მეფისგან დამოუკიდებლად აცხადებდა, როგორც ბატონი და ერისთავი, მირიანი გაბატონდა მარტყოფს, ხოლო ფარნაოზი სურამს. ისინი მეფე ერეკლეს ანდერძს იმიზეზებდნენ. გიორგი მეფე იძულებული იყო 3000 ლეკი დაექირავებინა, ისინი ქართლში ავლაბარს და მეტეხის ხიდს გარეთ დააყენა. მათი ბელადი მეფესთან მივიდა და მოახსენა, რომ მისი ძმები ლეკების მოსყიდვას ცდილობდნენ, რამაც გიორგი ძალზედ განარისხა და ბრძანა დარეჯან დედოფლის შეპყრობა, რადგან, მისი ინფორმაციით, შვილებს ლეკების მოსყიდვას ის ურჩევდა: მეფემ დედოფალს მოხელები მიუგზავნა და დააბარა, ნუ გამომიყვანს მდგომარეობიდან, ქვეყანა მაინც შეიბრალოს დედაჩემმაო. წავიდნენ და მოახსენეს ყოველივე დედოფალს. დედოფალმა ბოდიში მოიხადა, ვითომ შეშინებულმა. გიორგი მეფემ მისი სიტყვა ირწმუნა და გადაწყვიტა თავისი ძმებიც დაემშვიდებინა. დაიბარა შვილები დავითი და იოანე, უბრძანა, ჯარით ხვალვე წადით სურამის ციხეში გამაგრებულ ფარნაოზს გამოუცხადეთ ციხიდან გამოვიდეს, და თუ არ დაგემორჩილებათ, შეიპყართ და თვალები დათხარეთო. სურამის ციხეს 20 მაისს შემოადგნენ და დავით ამირეჯიბი შეგზავნეს მოციქულად, რომელმაც მოახსენა ყოველივე. შეშინდა ფარნაოზი, სურამი დატოვა და პირობა მისცა, ამბოხს აღარ მოვაწყობო, მაგრამ სამი თვის განმავლობაში ფარნაოზი სურამს გარშემო დატრიალებდა, ჯარს აგროვებდა და გიორგი მეფის საწინააღმდეგოდ აჯანყებას გეგმავდა, რათა სამეფო ტახტი დაეკავებინა, იგი ამას იმით ამართლებდა, რომ „მამაჩემის ანდერძის თანახმად უნდა ვიმეფოო“ [57,58.59][1].

გიორგი მეფეს მალე იულონიც აუჯანყდა, მაგრამ მეფემ თბილისიდან გააძევა და შეუთვალა, დედოფალ დარეჯანის გამო გინდობთ, რათა საკუთარი ძმების სისხლში ხელს არ გავრიოო. გიორგიმ დედოფალ დარეჯანის ნდობა საბოლოოდ დაკარგა.

თავის მხრივ, დარეჯანმა: „მოახსენა მეფესა სამდურავი კარისა კაცთათვის, რომელნიცა ატარებენ ენათა და იქმონენ ამბოხთა. იმ დღესაც მოგართვი ხოხბებიო და კარისა კაცთა გაებედნათ და ეთქოთ არ მიირთოთ, მოწამლულნი იქმნებიანო. აბა რა სათქმელია და როგორ მოსასმენია? უნდა მოვკლა და ვინა? შვილი ჩემი და მეფე. შვილი ხარ ჩემი და რა პასუხი უნდა მივსცე ღმერთსა, რომ ესე ვიფიქრო? იმდურებით ჩემს შვილებზედ. რა ვქმნა, აგერ ორი თვეა ალექსანდრე გამექცა. მიხარიან ესე? რომელი შვილი დავწყევლო? რომელი შვილი მოვჰკლა? თქვენცა გყავნან შვილები. რომელსა გაიმეტებთ მოსაკლავად და შესაძულებლად?“ - მეფე შესწუხდა და მოვიდა ლმობიერებასა და იტყოდა დედოფლისა დასამშვიდებელათა სიტყვათა. გიორგი მეფემ დედოფალს დარჩენა თხოვა სადილად, დედოფალი დარეჯანიც დარჩა იმ დღით. გამხიარებულმა დარეჯანმა სადილობის დროს უთხრა: ,,შვილო ჩემო! 4 წლისა დამხვდი, როდესაც შემოვედ სამეფოსა სასახლესა, შვილი იყავ ჩემი და მე დედა ვიყავ, არ უნდა დაივიწყო წარსული დრო, და არც ალერსი ჩემი შენდა ყმაწვილობისა დღეთა...

ამ საქმის დროს იულონის შიკრიკი მოვიდა რომელიც კვლავ მეფეს ეურჩებოდა, გიორგი მეფემ თქვა: ,,ამოიოხრა მეფემან და მოახსენა დედოფალს დარეჯანს: ,,მაწუხებენ და მოთმინებიდან გავყევარ ამათაო“. [199,200][1]

მრავალჯერ აუმხედრდნენ ძმები გიორგი მეფეს, დარეჯანიც შვილებს ხელსაც არ უშლიდა, რადგან თვითონაც სურდა თავისი შვილები სამეფო ტახტზე ეხილა. მიუხედავად ბევრი ამბოხისა და შეურიგებლობისა, სამეფო ტახტი დარეჯან დედოფლის შვილებმა მაინც ვერ დაიკავეს. გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრედ მისი ძე დავითი იქნებოდა და ამას რუსეთის ხელისუფლებაც ადასტურებდა.

ქართლ-კახეთის სამეფო ამის შემდეგ რუსეთს მალევე შეუერთდა და მისი ბატონობა დამკვიდრდა, ხოლო 1803 წ. დარეჯან დედოფალი ოჯახის წევრებთან ერთად რუსეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა იქვე და დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ტაძარში. [გვ. 383][4].

ლიტერატურა:

1. პლატონ იოსელიანი, „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1978.
2. გერონტი ქიქოძე, „ერეკლე მეორე“ , გამომცემლობა ,,საბლიტმაგი“, თბ., 1958.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1978.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოღვაწეობა ქვიშხეთში, სურამსა და ალში

თინათინ მახათაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, საქართველოში საგლეხო რეფორმასთან (1864 წ.) დაკავშირებით აღნიშნავდა: „ქართველ საზოგადოებაში დაიბადება აზრი, რომ რეფორმა მაშინ მოიტანს სანატრელ ნაყოფს, როცა გლეხობა განთავისუფლდება სიბნელისა და უმეცრებისგანო“[1]. სწორედ ილიას, დიმიტრი ყიფიანისა და იაკობის მსგავს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ინიციატივით დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მისი შექმნა იმ დროინდელ საქართველოს ცხოვრებაში, პროგრესული, დროული და წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან XIX ს-ის დასაწყისში მამულის დაკარგვასთან ერთად, ენის დაკარგვის საშიშროებაც რეალური გახდა.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნის იდეა, ცნობილი მოღვაწის, ილიას თანამებრძოლის, კონსტანტინე მამაცაშვილის ძმის - იოსებ მამაცაშვილის ოჯახში დაიბადა, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი, რუსი და იმ დროისათვის საქართველოში მოღვაწე სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ქართველთაგან მამაცაშვილის ხშირი სტუმრები იყვნენ მისი სიძე - დიმიტრი ბაქარაძე, ძმა - კონსტანტინე მამაცაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ვ. თულაშვილი, რუსთაგან სიმონოვიჩი და სხვები [2].

ვ. თულაშვილს მსგავსი საზოგადოების წესდება ხარკოვიდან ჰქონდა ჩამოტანილი, ამიტომ 1877 წ. ნიკო ცხვედაძეს, იაკობ გოგებაშვილსა და დიმიტრი ყიფიანს მისთვის უთხოვიათ მონაწილეობა მიეღო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში. 1879 წლის 31 მარტს საზოგადოების წესდება დამტკიცდა, ხოლო პირველ სხდომაზე, 1879 წ. 15 მაისს, ახალ საზოგადოებას გრიგოლ ორბელიანის წინადადებით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ეწოდა. საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, ხოლო მდივნად - იონა მეუნარგია[3].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა მრავლმხრივი იყო. მის დამფუძნებლებს კარგად ესმოდათ ქართული ენის მნიშვნელობა ეროვნული კულტურის განვითარებაში, ისინი არა მარტო ხსნიდნენ სკოლებსა და ბიბლიოთეკებს, არამედ პრაქტიკულ დახმარებებსაც უწევდნენ მათ.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ამ საზოგადოების მოღვაწეობა ხაშურის რაიონის სოფლების - ქვიშხეთის, სურამისა და ალის მაგალითებზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ხაშურის რაიონში მხოლოდ ამ სოფლებით შემოიფარგლებოდა: გომი, ვაყა, ხაშური იმ დასახლებული პუნქტების არასრული ჩამონათვალია, სადაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არაერთ ღონისძიებას ატარებდა მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელების მიზნით.

ჯერ კიდევ 1877 წლის 17 სექტემბერს, ,,წკგ“ საზოგადოების გამგეობის წევრი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე - ნიკო ცხვედაძე იონა მეუნარგიას, ზაქარია ჭიჭინაძესა და რაფიელ ერისთავს გამგეობის სახელით ატყობინებდა და სთხოვდა, რომ გორის მაზრის სოფლებში, მაზრის უფროსის შემწეობით ჩაეტარებინათ სხდომები, სადაც განიხილავდნენ სოფლის საზოგადოებების ,,განჩინებებს“ სკოლების გახსნის თაობაზე ,,წკგ“ საზოგადოების განჩინების დადგენილი ნიმუშის მიხედვით. თითოეულ საზოგადოებას სკოლის შესანახად უნდა გამოეღო წლიურად არანაკლებ 350 მანეთისა. სოფლების ჩამონათვალში, სურამსა და ქვიშხეთთან ერთად, მითითებულია ქარელის, ხვედურეთის, ხიდისთავის, სამთავისის საზოგადოებები[4].

---

[1] ი. უთურიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 117.

[2] ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება, ჟურნ. „განათლება“ II, 1911. თებერვალი; თხზულებანი, ტ. 4 თბ., 1955, გვ. 391-397.

[3] ი. უთურიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

[4] საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 481, 1-10, გვ. 3-4.

1881 წლის 29 ოქტომბერს, ი. გოგებაშვილს გამგეობის სხდომაზე წამოუყენებია წინადადება, ქვიშხეთსა და სურამში სკოლების გახსნის შესახებ, თუმცა იმჯერად ამ მიზნით ზომები არ გატარებულა[1].

1884 წლის 16 ოქტომბერს ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძისა ,,წკგ" საზოგადოების გამგეობას ატყობინებდა, რომ სოფ. ქვიშხეთის საზოგადოება მზად იყო სკოლის გახსნის მიზნით, შენობა უსასყიდლოდ ,,შეუწირამს" დიმიტრი ყიფიანს, ასევე ,,სამი საჟენი შეშა ყოველწლიურად", მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა თანახმა მხოლოდ 300 მანეთის გაღებაზე ყოფილა. ელენე ლორთქიფანიძე წუხდა, რომ: ,,ამასაც უარობენ და 350 მან. რომ გავუხსენოთ, ხომ სულ უარს იტყვიანო". დარჩენილ 50 მანეთის გამოღებაზე თანახმა ყოფილა ადგილობრივი აზნაურობა, მაგრამ წერილის ავტორს მათი სიტყვისა არ ეიმედებოდა: ,,სიტყვა რომ სიტყვათ არ დარჩეს, რა ნაირი ხელწერილი უნდა ჩამოერთვას აქაურს თავადაზნაურობას, რომ ეს პირობა სიტყვიერი არ იყოსო"[2].

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აარსებდა სააგენტოებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ რეგიონის განვითარებაში. 1884 წლის 27 სექტემბერს გამგეობას სხდომაზე განუხილავს სააგენტოების დაარსების იდეა, იმავე შეკრებაზე ხაშურსა და სურამში აგენტად დაუნიშნავთ ქაიხოსრო ხერხეულიძე[3].

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მოღვაწეობას ხაშურის რაიონში თითქმის ნახევარ საუკუნოვანი ისტორია აქვს. აქედან, შეიძლება გამოვყოთ სამი ეტაპი: 1. XIX საუკუნის 80-90-იანი წლები, როდესაც რაიონის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს საზოგადოებისადმი და საზოგადოების ინტერესიც არანაკლებია ხაშურის რაიონისადმი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიუხედავად თვითმპყობელური რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკისა, ქართველ ხალხში განათლებისადმი მისწრაფების სურვილი კვლავ დიდი იყო. 1884 წლის 5 სექტემბერს გამგეობის სხდომას მოუსმენია „ქაღალდი სურამის პრისტავისა", ადგილობრივი ჩინოვნიკი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობას უგზავნიდა „199 მან. და 53 კაპიკს, რომელიც შემოსულა ნინო ალექსანდრეს ასული ბაგრატიონ დავითაშვილისა და ნინო დავითის ასულ ერისთავის თაოსნობით გამართული წარმოდგენიდან[4].

1885 წლის ნოემბრის ბოლოს, საზოგადოების სახელით ზაქარია ჭიჭინაძე ატყობინებდა „კნეინა" სოფიო ციციანოვისას: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობამ 27 გასულს ნოემბერს მოისმინა თქვენ მიერ წარგზავნილი წერილი, რომლითაც თქვენ უგზავნით მმართველობას ხუთ თუმანს ,,სურამის მომავალი შკოლის სასარგებლოთ" შეკრებილს 22 მკათათვეს გამართულს წარმოდგენაში.

მმართველობამ მიიღო მადლობით თქუენ მიერ წარგზავნილი შემოწირულობა და უმორჩილესად გაცნობებთ თქვენ, რომ ის მოიხმარს ამ ფულს თანახმად თქვენი პირობისაო"[5].

საზოგადოების 1894-1896 წლების მუშაობის ანგარიშიდან ვიგებთ, რომ ხაშურში გამართული საცეკვაო წარმოდგენიდან შემოსულა 50 მან. და 20 კაპიკი [6].

მეორე ეტაპი მოიცავს XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, რაც საზოგადოების მოღვაწეობა ხაშურის რაიონში გამოიხატა განყოფილების გახსნით, ბიბლიოთეკების დაარსებით და სხვადახვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებით. 1915 წლისათვის საზოგადოებას ხაშურის რაიონში გააჩნდა 6 ბიბლიოთეკა [7]: გომი-სურამში (დაარსდა 1895 წელს), ალში -1896 წელს; ხაშურში, ბეკამსა და ქვიშხეთში - 1912 წელს.

III ეტაპზე „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მოღვაწეობა ხაშურის რაიონში შედარებით სუსტდება, რაც განაპირობა რუსეთის იმპერიაში 1917 წლის რევოლუციის დაწყებამ, რის შედეგად საზოგადოების გამგეობისა და წევრების უმრავლესობა რაიონიდან წასულა. მაგალითად, „1918 წლის ნოემბრის ქ.შ.წ.კ.გ.ს საზოგადოების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებს მოქმედების უნარიანობა ვერ გამოუჩენიათ, რის შემდეგ 1920 წელს ხაშურის რაიონული განყოფილება ლიკვიდირებულ იქნა [8].

---

[1] ქ. ფცქიალაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადობის მოღვაწეობა ხაშურის რაიონში, კრებული II, თბ., 1983, გვ. 4.

[2] საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 468, 1-10, გვ. 1-4.

[3] ქ. ფცქიალაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადობის მოღვაწეობა ხაშურის რაიონში, კრებული I, თბ., 1983, გვ. 8.

[4] საქართველოს ეროვნული არქივი, საქმე 66, ფურცელი 7; აგრეთვე, საქმე 65, ფ. 5. საქმე 85, ფ. 14.

[5] საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 481, 1-168, №448.

[6] საქ. ეროვნული არქივი, ფ. 468, ფ. 46.

[7] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი II , გვ. 7.

[8] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 13.

მოვიტანთ რამდენიმე დოკუმენტს ,,წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ანგარიშებიდან XIX ს-ის 80-იან წლებში ქვიშხეთში, სურამსა და ალში .

1881 წლის 29 ოქტომბრის გამგეობის სხდომის სამთვიანი ანგარიშიდან ირკვევა, რომ „1881 წლის 1 სექტემბრიდან - 1 დეკემბრამდე გამგეობას ქვიშხეთსა და სურამში უნდა ეცადათ სკოლების გახსნა [1]“.

ამონაწერი 1881 წლის ოქტომბრის 29-ის გამგეობის სხდომის ოქმიდან, სურამსა და ქვიშხეთში სკოლების გახსნის შესახებ. თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე. დაესწრნენ: ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია, ივ. მაჩაბელი და გ. თუმანიშვილი. ი. გოგებაშვილის აზრით, სკოლები უნდა გახსნილიყო: დიღომი, მცხეთაში, ხიდისთავში, ქარელში, დირბში, მოხისში, სურამსა და ქვიშხეთში [2]. თუმცა, ჩვენ ვხედავთ, რომ აღნიშნულ წელს სკოლების დაარსება ვერ მოხერხდა.

საქართველოს ცენტრალური არქივი 72, ფურცელი 1-2. დედანი ხელით ნაწერი. გაკეთებული რეზოლუცია: „მოხსენდეს გამგეობას.

1884 წ. ოქტომბერს 16, ელენე ლორთქიფანიძე/ყიფიანის წერილი გრიგოლ ყიფშიძისადმი სოფელ ქვიშხეთში დაწყებითი სკოლის გახსნის შესახებ:

„პატივცემულო გრიგოლ

უეზდის ნაჩალნიკის მოწერილობით სოფ. ქვიშხეთის საზოგადოებამ სკოლის გახსნის პრიგავორი შეადგინა და გადასწყვიტა წელიწადში 300 მანეთის გამოღება. სახლის ადგილი შესწირა მამაჩემმა და სამი საჟენი შეშა ყოველს წელიწადს ...პოპეჩიტელს უთქვამს, რომ სამასი მანეთი ცოტაო, ოთხასი უნდა გამოიღოსო სოფელმა მასწავლებლის საჯამაგიროდ [3]“ . როგორც ჩანს, მოსახლეობას არ ჰქონდა დამატებითი სახსრები, რომ სკოლის დაარსებისათვის გადაეხადა და არც მთავრობის მხრიდან ყოფილა რაიმე დახმარება. შესაბამისად, ქვიშხეთში სკოლის დაარსების კიდევ ერთმა ცდამ უკვალოდ ჩაიარა.

თუმცა, საარქივო საბუთებიდან ირკვევა, რომ ქვიშხეთში სკოლის დაარსების ეს პირველი მცდელობა არ იყო და ჯერ კიდევ 1870-1871 წლებში ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანს ქვიშხეთში ყოფნისას გაუხსნია უფასო სახალხო სასწავლებელი, სადაც გლეხის შვილებს ერთ წელზე მეტ ხნის განმავლობაში ასწავლიდა მშობლიურ წერა-კითხვას, არითმეტიკას და სხვა საგნებს[4].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა დიმიტრი ყიფიანის ოჯახმა.

1881 წლის 29 ოქტომბერს ი. გოგებაშვილმა კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი გამგეობის სხდომაზე, ამჯერად სურამში სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამას კვლავ ვერ მოჰყვა რეალური შედეგი. მიუხედავად ამისა, სურამის ადგილობრივი საზოგადოება მჭიდროდ თანამშრომლობდა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“, ადგილობრივები ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს, კონცერტებს და შემოსული თანხით ეხმარებოდნენ წ.კ.გ. საზოგადოებას. მაგალითად, 1884 წლის 5 სექტემბრის გამგეობის სხდომის ამონაწერიდან ჩანს, რომ სურამში საზოგადოების მიერ გამართული სპექტაკლიდან შემოსული თანხიდან ...სურამის პრისტავი უგზავნის საზოგადოებას 199 მან. და 53 კაპიკს [5], ასევე „1885 წელს გამგეობის სხდომების ოქმიდან სურამში საზოგადოების სასარგებლო წარმოდგენის შესახებ სადაც სულ შესულა 146 მან. და 20 კაპ [6]. ასეთი ფაქტები წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ისტორიაში ბევრი მოიპოვება.

საზოგადოების აქტიურობამ შედეგი მაინც გამოიღო. 1895 წელს სურამში დაარსდა ბიბლიოთეკების საცავი[7], რომელსაც საქართველოში ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფოტოგრაფმა ალექსანდრე როინაშვილმა 150 ცალი წიგნი გადასცა [8].

როგორც ჩანს, ვერც სურამის სამკითხველომ იარსება დიდხანს, რადგან 1908 წელს ადგილობრივები კვლავ მოითხოვდნენ ბიბლიოთეკის დაარსებას. ჩვენს ხელთაა 1908 წლის 29 მაისით დათარიღებული წერილი, რომელშიც გიორგი ლუარსაბის ძე მაჭავარიანი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას სთხოვს სურამში სამკითხველოს დაარსებას და სამკითხველო ხარჯს საკუთარ თავზე იღებს: ,,უმორჩილესად გთხოვთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გვიშუამდგომლოთ სამკითხველოს გახსნისა, ...სამკითხველო ხარჯს ვკისრულობთ ჩვენ ქართველი საზოგადოება[9]. სურამელებმა თანხმობა სამკითხველოს გახსნის შესახებ თბილისიდან მხოლოდ 1909

---

[1] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 5.
[2] საქ. არქივი, ფ. 45. ფურც. 33, დედანი, ხელით ნაწერი.
[3] საქ. არქივი, ფ. 72 , ფურცელი 1-2 დედანი, ხელით ნაწერი.
[4] ჟურნალი „კვალი“, 1893 წ. №15.
[5] ქ. ფცქიალძე, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 24.
[6] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი, I, გვ.27.
[7] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 13.
[8] გაზ. ,,ივერია“, 1895 წ. 20 ივლისი.
[9] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი. I. გვ. 37.

წლის 12 დეკემბერს მიიღეს. სამკითხველოსათვის 1910 წელს წკგ საზოგადოებას შეუძენია და გადაუცია 10 მანეთისა და 5 კაპიკის ღირებულების წიგნები[1].

სურამის მსგავსად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ბიბლიოთეკა დაარსდა ალშიც. ,,წკგ" საზოგადოება ალის ბიბლიოთეკას ხშირად ეხმარებოდა ჟურნალებით და წიგნებით. მაგ.: 1896 წ. გამგეობას საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნები და ჟურნალ „ჯეჯილის" ყველა წლების ნომრები გაუგზავნია ალის ახლადდაარსებული ბიბლიოთეკისათვის [2], გამგეობის 1907 წ. 10 ნოემბრის სხდომის ოქმიდან ისიც ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის" 50 ეგზემპლარი ალის მოსახლეობას უფასოდ დაურიგდა [3].

1911 წლის 16 დეკემბერს ადგილობრივებს ,,წკგ" საზოგადოებისადმი მიუმართავთ თხოვნით, რათა ალში უფასო სამკითხველო გაეხსნათ და საამისო ხარჯს თვითონ კისრულობდნენ: „სოფელის ალისა მცხოვებელნი უმორჩილესად გთხოვთ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, აგვიღოთ ნებართვა უფასო წიგნსცავ-სამკითხველოს სოფ. ალშიდ. სამკითხველოსთვის ყოველგვარ ხარჯს ვკისრულობთ ჩვენ ... რასა ზედაც ხელს ვაწერთ: 1 მღდელი სერგი გელაშვილი, 2. ნიკო თაბუკაშვილი, 3. გიორგი მაჭარაშვილი, 4. მღდელი ისიდორე მაჭარაშვილი; 5. მამასახლისი გ. გონგლაძე და სხვ[4]. საგულისხმოა, რომ ხელმომწერთა ნაწილი სასულიერო წოდებას ეკუთვნის.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის ინტერესებს ემსახურებოდა. საზოგადოების მიზანი საქართველოში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და ქართული ენის გადარჩენა იყო, რათა ქართველი ერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის ფართო გზაზე გამოეყვანა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობამ ხაშურის რაიონში წარუშლელი კვალი დატოვა. მიუხედავად რუსული ხელისუფლების მცდელობისა, ჩაეკლათ ქართველებში მშობლიური ენის სწავლების სურვილი და მისწრაფება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად ვერ მოხერხდა .

ლიტერატურა და წყაროები:

1. საქ. ეროვნული არქივი ფ. 66. ფურცელი 7.
2. საქ. ეროვნული არქივი ფ. 65. ფურცელი 5.
3. საქ. ეროვნული არქივი ფ 85 . ფურცელი 14.
4. საქ. ეროვნული არქივი ფ. 468. ფურცელი 1-4.
5. საქ. ეროვნული არქივი, ფ. ფ. 481, 1-10, ფურცელი 3-4.
6. საქ. ეროვნული არქივი, ფ. 481, 1-168, №448.
7. ჟურნალი „კვალი" 1893 წ. №15.
8. გაზეთი „ივერია" 1895 წ. 20 ივლისი.
9. ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება", ჟურნ. „განათლება", 2, 1911.
10. ქ. ფცქიალაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ხაშურის რაიონში, I, თბ. 1983.
11. ქ. ფცქიალაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ხაშურის რაიონში II, თბ., 1983.
12. ი. უთურიშვილი, „დიმიტრი ყიფიანი", თბ., 1989.

[1] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი. I. გვ. 10.
[2] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი, II გვ. 9.
[3] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი, II გვ. 41.
[4] ქ. ფცქიალაძე, დასახ. ნაშრომი, I გვ. 65, 66.

სამხრეთ კავკასიაში ოსთა ჩამოსახლების ქრონოლოგიის საკითხისათვის

ეთერ პავლიაშვილი, ნანა კასრაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ტერიტორიაზე უცხოტომელთა ჩამოსახლება ხანგრძლივი და საკმაოდ რთული პროცესი იყო და სხვადასხვა გარემოებები განაპირობებდა. ჩამოსახლება ხდებოდა ქართველ მეფეთა მიერ, ადგილობრივ ფეოდალთა სურვილით ყმათა მომრავლების მიზნით, ირანის შაჰებისა და ოსმალთა სულთნების, რუსი დიდ-მოხელეების გამიზნული პოლიტიკის წყალობით, საკუთარი ინიციატივით.

საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულთა შორის ჩრდილო კავკასიიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ოსები აღმოჩნდნენ. ისინი მალევე განსახლდნენ დიგორის, ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის ხეობებში, იმ მიწებზე, რომლებიც უწინ ვეინახებს და ნაწილობრივ, დვალებს ეკავათ.

ოსეთსა და საქართველოს შორის საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ დვალები. მათ ეკავათ დაახლოებით 500 კმ^2 ტერიტორია მდ. თერგის მარცხენა ნაპირიდან - არდონის სათავემდე, ნარ-მამისონის ქვაბულსა და ექვს (ზახას, ნარას, ზრამაგას, ზროგოს, ჟღელეს და კასრის) ხეობაში. დვალეთის ასიმილაცია ოსების მიერ მეთექვსმეტე საუკუნიდან გააქტიურდა, მას შემდეგ რაც ყაბარდოელებმა, ისტორიული ალანეთის ტერიტორიები დაიკავეს და იქიდან ოსები გამოაძევეს. [**2, აფხაზავა, 1996: 87**] დვალეთი (მოგვიანებით - მაღრან-დვალეთი) ეკლესიურად ნიქოზელ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა და ოდითგან ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა [**1. ალიმბარაშვილი, 2014:141**].

ოსების საქართველოში ჩამოსახლებას ამაგრებს ის გადმოცემები, რაც აქ მცხოვრები ოსების მეხსიერებაში, ზეპირსიტყვიერებაში დარჩა. ჰაკსტჰაუზენი, რომელმაც იმოგზაურა ოსებით დასახლებულ ქართლის ტერიტორიაზე, აღნიშნავდა, რომ ოსებს მეტად ძუნწი ცნობები მოეპოვებათ მათი ჩამომავლობის, გადმოსახლებისა და ისტორიის შესახებ. ამბობდნენ, რომ მათ წინათ სხვა ქვეყანა ეჭირათ, რომ ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან, კავკასიონის მთავარი ქედის გადმოლახვით, რომ წინათ ცხოვრობდნენ ქვეყანაში, რომელიც ახლა ჩერქეზებს უკავიათ, ისინი იქიდან გამოდევნეს სხვა ხალხებმა და დასახლდნენ ახლანდელ ოსეთში.

გამონაკლისია IX ს-ის შუა ხანები, როდესაც საქართველოში შემოჭრილ ბუღა თურქს (853 წ.) ჩრდილო კავკასიიდან 100 ოსი ოჯახი გადმოუყვანია და დმანისში დაუსახლებია. თუმცა, 100 ოსური ოჯახი ქვემო ქართლში, რა თქმა უნდა, ოსთა ტერიტორიულ ეთნიკურ დასახლებას ვერ შექმნიდა და ისინი მცირე ხანში ასიმილირებულ იქნენ ქართველთა მიერ. [**5. თოფჩიშვილი, 1997, 134**]

მოგვიანებით, ბერქა ყაენისაგან ლტოლვილი ოსების მცირე ჯგუფი ყაენის დავალებით დავით ულუს დაუსახლებია ჟინვანსა და დმანისს, რადგან ოსები მონღოლებმა თავიანთ ,,მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინეს". ოსებმა მალევე დაიწყეს ,,ოჯრებად, ჭოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თჳსად დაიჭირნეს".

ოსთა საქართველოში მიგრაციის თაობაზე წერილობითი წყაროების სიმწირის გამო, ძირითადი ყურადღება არქეოლოგიურ მასალას ექცევა. საბჭოთა მეცნიერებაში დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, რომ ირანულენოვანი ოსები ჩრდილოკავკასიური ველებიდან გამოაძევეს თავდაპირველად ხაზარებმა, ხოლო შემდგომ თურქულმა ტალღებმა. გადავიდნენ რა, კავკასიის ქედზე ოსები ხვდებოდნენ ნახური და ქართველური მოდგმის ხალხებს, რომელთან შერევის შედეგადაც სათავე დაედო "სამხრეთ ოსი" ხალხის ჩამოყალიბებას.

ოსური წარმომავლობის მეცნიერთაგან ოსთა ეთნოგენეზისა და მათი სამხრეთული მიგრაციების შესწავლის პირველი ცდა ზ. ვანეევის სახელს უკავშირდება. სწორედ ვანეევის მოსაზრებები იქცა დღევანდელი ოსური ისტორიოგრაფიის ამოსავალ პრინციპად, თუმცა თავად ვანეევის კონცეფციამ ამ საკითხებთან დაკავშირებით რამდენჯერმე განიცადა ცვლილება.

ზ. ვანეევი კრიტიკის გარეშე ღებულობდა სენ მარტენის დებულებას ოსთა სამხრეთ კავკასიაში ქრისტეს შობამდე III საუკუნეში შემოსვლის შესახებ. იგი მიუთითებდა დვალების და ოსების იგივეობაზე. მართალია, მას საქართველოში ოსების მასობრივი ჩამოსახლების პერიოდად XV-XVI სს მიაჩნდა, მაგრამ მათი და დვალების გაიგივება საშუალებას აძლევდა ემტკიცებინა, რომ ეთნიკური სურათი შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში ამ მიგრაციის შედეგად არ შეცვლილა და დვალეთს ოსთა უძველეს საცხოვრისად აცხადებდა .

ოსების სამხრეთისაკენ მიგრირება და საქართველოში შემოსვლა თემურ-ლენგის მიერ ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობას უკავშირდება. მოგვიანებით ისინი ჩრდ. კავკასიის დაბლობი ზოლიდან თანდათანობით გამოდევნეს ყაბარდოელებმა და მთლიანად უნაყოფო მთებში აღმოჩნდნენ შემომწყვდეულნი. [**6. ითონიშვილი, 1995:12**]

ოსი ავტორები, კავკასიაში ოსთა ისტორიის დაძველების მიზნით, ირანული მოდგმის ხალხების კავკასიის მთებში ინფილტრაციის პერიოდად ადრე რკინის ხანას მიიჩნევენ **(11. გაგლოითი, 1994:4-20).** ამგვარი მოსაზრებების დასამტკიცებლად ისინი ეყრდნობიან, ძირითადად, არქეოლოგიურ მასალას და ლინგვისტურ მონაცემებს. ი. გაგლოითის ჰიპოთეზის თანახმად, სარმატები კავკასიის ქედის სამხრეთით ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე განსახლდნენ ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიელ მთიელთა უმეტესობას სწორედ სარმატები შეადგენდნენ. ამ დებულების განმტკიცებას იგი სტრაბონის ცნობით ცდილობს [**11. გაგლოითი, 1994: 44-46**]**.** ამ მიზნით, მეორე ოსმა მეცნიერმა ი. ძიძოითმა გადაწყვიტა სკვითების ენა ე.წ. ჯავის დიალექტთან დაეკავშირებინა, ხოლო ირონული დიალექტი – სარმატების ენისათვის. აქედან დაასკვნა, რომ ჯავური დიალექტის მატარებელი სკვითები შიდა ქართლის ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში გამოჩნდნენ, ხოლო შემდგომში მათ შეუერთდა მონათესავე ირონული დიალექტის მატარებელი თუალების (დვალების) და ჩისანების სამხრეთ ოსური ჯგუფები [**11. ძიძოითი, 1994: 58-59**]**.**

დასავლეთ საქართველოში ოსური მოსახლეობის ინფილტრაციის საკითხებს შეეხო ქართველი ეთნოლოგი, გ. ჩიქოვანი [**11, ჩიქოვანი, 2003, 165**]**.** იგი საველე ეთნოგრაფიული მასალის, სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეეცადა, გარკვეული წარმოდგენა შეექმნა რაჭაში ოსების ჩამოსახლების პერიოდის, მარშუტების, მათი საზოგადოებრივი ცხოვრების და ქართულ-ოსური ურთიერთობის ასპექტებზე. გ. ჩიქოვანი ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ საქართველოში ოსთა ჩამოსახლების სამი გზა არსებობდა: ერთი, როდესაც იმიერკავკასიიდან წამოსული ოსები საქართველოს მთიანეთში თვითნებურად, ძალით იკავებდნენ ადგილს ,მეორე _ როცა ქართველი მეფე ან თავადი თვითონ ასახლებდა ოსებს, მესამე _ როცა ეკონომიკური პირობებით შეწუხებული ოსი გლეხი ნებით ეყმობოდა ქართველ თავადს [**11, ჩიქოვანი, 2003: 167**]**.** რაც შეეხება ზემო რაჭის ტერიტორიას, აქ მკვლევარმა ოსთა ჩამოსახლების ორი გზა დაადგინა _ 1. თვითნებური, როდესაც ჩრდ. ოსეთის მამისონის ხეობიდან, ასევე დასავლეთ საქართველოს კუდაროს მხრიდან გადმოსულმა ოსებმა, ქართველებისაგან დაუკითხავად აითვისეს მდ. ჭანჭახისა და ღარულას სათავეები და დააარსეს სოფლები ღურშევი და კვაჟა.2. კუდაროელი ოსები იჯარით იღებდნენ მიწას ქართველი აზნაურებისაგან; თანდათანობით ფეხს იკიდებდნენ მდ. სონტარულის ხეობის სათავეებში, რის შედეგადაც დაარსდა ორი ოსური სოფელი – გადამში და ჭვებერი.

თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII ს-ის შუა ხანებში განხორციელდა. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII ს-ის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. აქედან აყრილი ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ბარში იყო საცხოვრებლად წასული. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების: დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII ს-ის მეორე ნახევრიდან. ისინი თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII ს-ის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დასახელებული ორი ხეობის მთიან ნაწილს მთლიანად. მოცემულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად. მოგვიანებით ისინი იკავებენ პატარა ლიახვის, ლეხურას, მეჯუდას და ფრონეს ხეობების ტერიტორიებს.

საინტერესოა გიორგი ბრწყინვალის პერიოდი, როცა ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რბევით თავგასული ოსები მეფემ აჰყარა და იმიერ კავკასიაში გააძევა. ნაძარცვი ტერიტორიების დაცვა გიორგი V-მ თუშ-ფშავ-ხევსურებსა და მოხევეებს დაავალა და უფლება-ვალდებულებები, "მეგლის დება"-ში გაუწერა. მთის მოსახლეობამ დავალება პირნათლად შეასრულა და 1330 წლიდან ორი საუკუნის განმავლობაში ერთი ოსი არ შემოსულა ქართლში, კახეთსა და იმერეთში.

ოსები, მწირი ეკონომიკური შესაძლებლობისა და უმიწობის გამო, ხშირად გაჭირვებასაც ჩამოჰყავდა საქართველოში. მაგ. 1580 წელს გვალვების გამო ოსეთში ისეთი შიმშილობა დაწყებულა, მოსახლეობას ბალახის ჭამა დაუწყია, რასაც ეპიდემია მოჰყოლია და უამრავი ხალხი დაღუპულა. ნაწილმა თავი შირვანს, ჩერქეზეთსა და ქართლს შეაფარა.

ქსნის და არაგვის ერისთავებმა ოსთა მიგრაციის მიზეზებზე, სიმონ მეფეს მოახსენეს. მეფემ ნება დართო ოსებს ხიზნების სახით დასახლებაზე. ამ ფაქტმა ოსები დიდად გაახარა. დაიწყო ოსთა მასობრივი ჩასახლება ქართლში. ამ დროს დასახლდნენ ისინი ქსნის ერისთავის მამულზე, არაგვის ერისთავის, მაჩაბლის, ფალავანდიშვილის, ფურცელაძეების და ზოგიც სხვა თავად აზნაურების მიწაზე.

გადმოსახლებულთა უმრავლესობა მაშინვე ჩაერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ აქტიურად იყენებდა ერეკლე II თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობისას, მორიგე ჯარში და სხვ., მაგრამ, ოსების ნაწილმა ძარცვა-რბევითა და აწიოკებითაც ,,გამოიჩინა თავი". მაგ. 1783 წლის ოქტომბერში ერეკლე II გენერალ პოტიომკინს ატყობინებდა ,,მთის ოსნი ჩვენს ქვეყანაში ქურდობენ, კაცებს ატყვევებენ და ჩერქეზეთში ჰყიდიანო". საქმე იქამდე მივიდა, რომ სპეციალური განჩინებით ერეკლე II მძარცველი ოსების მოკვლისათვის მკვლელებს პასუხისმგებლობიდან ათავისუფლებდა: ,,ესეც მიბრძანებია, რაც ოსი ან ქურდობაზე მოკვდება, ან მიხდომაზე იმას სისხლი აღარ გაუჩნდებათ და აღარც მიეცემათო". [**8. სოსიაშვილი, 2005:37**] უფრო მეტიც, 1782 წელს ერეკლემ ქართველ ქალებს ოსებზე გათხოვება შეუზღუდა და ქალის პატრონებს დაემუქრა: ,,ქ. თუ რომელიმე ქრისტ[ე]ანე კაცი ოსს ქალს მისცემს და დამოყურდება, იმასაც ჩვენს მუხანათობასავით მოვიკითხავთ და დიდათაც გარდავახდევინებთ, და თუ ოსმა ქალი მოგცესთ, ის კი ითხოვეთ, მაგრამ უნდა კი მონათლოთ. მოუნათლაობა არ იქნებაო",- ბრძანებდა ქართლ-კახეთის მეფე [**1. ალიმბარაშვილი, 2014:142-143**].

ეს მოვლენა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ,,ოსიანობის" ტერმინით დამკვიდრდა, ისევე, როგორც ,,ლეკიანობა". თუმცა, ერეკლე ხშირად თვითონ იყო ,,ლეკიანობისაგან" დაცლილ ტერიტორიებზე გადასახადის გადახდის პირობით ოსების გადმოსახლების ინიციატორი. 1782 წელს ქართლ-კახეთის მეფე ზრამაგელ ოსებს წერილს უგზავნის და მოუწოდებს: ,,ჩვენთანაც ჩამოდით, ქართლშიც იარეთ, ვერავინ რას გაწყენინებთ, ამ ჩვენს გამოგზავნილ კაცს, რომელიც თქვენი ბეგარა არის, ისიც სრულად მიეცით [**4. გამყრელიძე,1995:184,185**].

დიდი ლიახვის სათავეებიდან ოსები თანდათანობით ინაცვლებენ სამხრეთისაკენ, გადადიან მდინარეების: პატარა ლიახვისა და ქსნის ვიწრობებში. ვახუშტის აღწერილობის მიხედვით, XVIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში მათ უკავიათ მიწები სოფელ გუფთადან დიდი ლიახვის გასწვრივ მის სათავეებამდე. გერის ხეობა, ვანათს რომ ეკვრის, მცირე ლიახვის ზემო დინება, ჟამური (ქსნის სათავე), ოსთა ცალკეული დასახლებანი ჩანან ჭურთას, ისროლისხევის, ქოლოთ-ქვითკირის ხეობებში და სხვ. ერეკლე II-ის დავალებით შედგენილ 1770 წლის მოსახლეობის მიახლოებითი აღწერის მიხედვით, არაგვის საერისთავოს ოსნი ზახაში, თრუსოში, ჭერივში, ხადასა და ღუდაში შეადგენდა 1200 კომლს, ქსნის საერისთავოს ოსნი – 2000 კომლს, სამაჩაბლოს ოსნი – 860 კომლს. ამ აღწერის მიხედვით, ოსები აღმოსავლეთ საქართველოში სხვაგან არ ჩანან [**3. ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:491**].

1843 წელს შეიქმნა ,,ოსეთის ოკრუგი". იგი, მართალია. თბილისის გუბერნიაში შევიდა, მაგრამ ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ე. წ. ,,ნარის უბანი", რომელიც 1858 წელს თერგის ოლქს გადაეცა და დაახლ. 500 კმ^2 საქართველოს მოსწყვიტეს. ასე დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" თანდათანობითი ფორმირება. დაკავებულ ტერიტორიებზე ოსებმა მალევე დაიწყეს ქართული ტოპონიმებისა და ოიკონომების გადაკეთება ან შეცვლა, რასაც ხშირად მიზანმიმართული ხასიათი ჰქონდა. განადგურდა უამრავი ლაპიდარული წარწერა, რომლებიც ამ ტერიტორიებზე ქართულ ფესვებსა და კვალს საეჭვოდ არ ხდიდნენ. [**7. ოთხმეზური, 1995:128**] ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსებისათვის საიმედო დასაყრდენად იქცა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ასევე ოსებთან პოულობდნენ თავშესაფარს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, ლეონ იულონის ძე და სხვ.

XIX ს-ის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეს, მეჯუდას, ლეხურას, ქსნის ხეობებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში. ისინი სარგებლობენ ,,ლეკიანობის" შედეგებით და თრიალეთის, ბორჯომ-ბაკურიანის, ძამას, თეძმის ხეობების მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიებს იკავებენ. ის ფაქტი, რომ ოსები ამ ადგილებში დიდი ხნის მკვიდრები არ იყვნენ, იმითაც დასტურდება, რომ მოსახლეობის აღწერის დავთრებში ისინი, ძირითადად, ,,ხიზნების" კატეგორიაში არიან აღრიცხულნი [**1. ალიმბარაშვილი, 2014:142**]. ენოხინის 1803 წლის აღწერის მიხედვით, სოფელი კეხვი მთლიანად ქართული სოფელი იყო. ცხინვალში კი, არა მარტო ამ პერიოდში, არამედ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მონაცემები რუსული წყაროებიდანაა მოყვანილი.

ოსების მასობრივი ჩამოსახლების ახალი ტალღა შიდა ქართლში იწყება 1860 წლიდან. ამ პერიოდში ჩრდილო ოსეთში ცხოვრობდა 47 ათასი ოსი, ხოლო ქართლის მთიან ნაწილში 19 ათასი [**13. სონღულაშვილი**].

1880 წელს ჩრდილო ოსეთში ოსების რაოდენობამ 59 ათასს მიაღწია. ხოლო საქართველოში 52 ათასი აღირიცხა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ახლანდელი ქარელის რაიონში, ბორჯომის რაიონში (მაგალითად, ბაკურიანში 1885 წელს 71 ოსი ცხოვრობდა) და სხვ. რუსული წყარო, რომელიც 1802 წლით თარიღდება, შეიცავს მონაცემებს გორისა და დუშეთის მაზრის სოფლების მოსახლეობის ეროვნების და მიწების კუთვნილების შესახებ. ოსებით კომპაქტურად დასახლებულ შემდეგ სოფლებს ასახელებს: ყორნისი, ტბეთი, კუსირეთი, პატარა ლიახვის

ხეობაში-ღვდისი, პოტრისი, სათიხარი, ყულბითი და კიდევ რამდენიმე სოფელი. ქსნის ხეობაში-ხრომის წყარო, იკოთი, ჭურთის ხევი, ჟამურის ხევი, ცხრამძის ხევი. არაგვის აუზში - თრუსოს ხეობა, კოპი-აჩხოტი, გუდა-ოსნი. ამ ზონაში ასევე იყო ოცამდე სოფელი შერეული მოსახლეობით.

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ ოსთა ჩამოსახლება, მათი კომპაქტური განსახლება დღევანდელი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მოხდა არა ერთდროულად, არამედ თანდათანობით მე-17-19 საუკუნეების განმავლობაში. ამ პროცესს ხელი შეუწყო საქართველოსა და ცენტრალური კავკასიონის მთის რაიონებში შექმნილმა ისტორიულმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ. მე-18-ს ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე (დვალეთის გამოკლებით) მოსახლე ოსების რაოდენობა 2130 კომლს შეადგენდა.

ოსების განსახლების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საფლავის ქვების წარწერები. „სასაფლაოები“ – ამბობდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, – „საუცხოოდ ამხელს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ზოგად სურათს“. სოფელ კუსირეთის სასაფლაოს საფლავების თარიღიანი ქვების ეპიტაფიები ოსთა გვარებს იხსენიებს და ისინი XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და უფრო გვიანდელია. 1900 წელს გამოქვეყნებული „კავკასიის კალენდარის“ თანახმად, ცხინვალში აღნიშნულ პერიოდში ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველები, სომხები და ქართველი ებრაელები. უფრო მეტიც, 1922 წელს ცხინვალში ცხოვრობდა 613 სული ოსი (ანუ ქალაქის მოსახლეობის 13%.)

თრიალეთში ოსების მესამე გამოჩენა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს დაიწყო. ისინი, ძირითადად, თეთრი წყაროს რაიონის სოფლებში არიან ჩასახლებულნი: პატარა კლდეისარში, დმანისში, ფიტარეთში, აღკალაფაში, ალექსეევკაში და სხვა. აღნიშნულ პერიოდში ოსთა კომპაქტური დასახლებები ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში. გორის მაზრაში ოსური დასახლებით გამოირჩეოდა მდინარე ფრონეს სათავეები, ყორნისისა და წუნარის რაიონები, სადაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მონაცემებით, ოსი მოსახლეობა 88%ს უდრიდა. დიდი ლიახვის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ სოფელ კეხვამდე. ასევე იყო პატარა ლიახვის ხეობაშიც, სადაც ოსები სოფელ ვანთამდე ცხოვრობდნენ. ვანთის ჩრდილოეთით განლაგებული იყო ქართული სოფლები: ბელოთი, ორი ხოწურა, საცხენე, აწრისხევი და სხვ. უნდა ითქვას, რომ XIX ს-მდე, წერილობით წყაროებში ოსეთთან დაკავშირებით განსაზღვრება “სამხრეთი" ან “ჩრდილოეთი" არ ფიქსირდება. ეს ტერმინი მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ წარმოიშვა. შემდეგ გაჩნდა ოპოზიციური წყვილი – "Южная Осетия–Северная Осетия”. XIX ს-ის 40-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე "Осетинский округ”-ი დაწესდა. XIX საუკუნის შუა ხანებში რუსებმა დვალეთი ადმინისტრაციულად ჩამოაშორეს საქართველოს, ამჟამად კი ჩრდილო ოსეთის შემადგენლობაშია. ქართველ მეცნიერთა აზრით, დვალეთში ოსთა დასახლება XV ს-ის ბოლოს დაიწყო და, ძირითადად, XVI ს-ში დასრულდა. XVII ს-ში დვალეთში მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება უკვე განხორციელებულია.

ანთროპონიმები – „დვალი“ და „დვალიშვილი“ ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, ისიც დიდი ხანია გარკვეულია, რომ თრუსო და დვალეთი გვიან საუკუნეებში დაიკავეს ჩრდილოეთიდან მიგრირებულმა ოსებმა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგაც, დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო (1859 წლამდე).

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ცნობილი ოსი მეცნიერის ვასილ აბაევის მოსაზრებები, რომლებიც 1992 წლის 22 იანვარს “ნეზავისიმაია გაზეტა”-ში დაბეჭდა. იგი განმარტავდა, რომ კავკასიონის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსებს შორის და ყოველი ცდა ამ საზღვრების მოშლისა გამოიწვევს თავის მხრივ ქართველებსა და ოსებს შორის პერმანენტული კონფლიქტის მდგომარეობასო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ოსთა მიგრაციის შესახებ ისტორიის დამახინჯება ბოლო ორი სამი ათეული წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ხდება, რაც რუსეთის გარკვეული ძალების მიერ არის პროვოცირებული.

ლიტერატურა:

1. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო), „საქართველო–კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 2014.

2. აფხაზავა ნოე, კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე, კრებულში: „ოსთა საკითხი”, აკ. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ, გორი-თბილისი, 1996.

3. ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ,,ქართლის ცხოვრება”, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

4. გამყრელიძე ბახვა, ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში, კრებულში: „ოსთა საკითხი”, კრებულში: „ოსთა საკითხი”, აკ. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ, გორი-თბილისი, 1996.

5. თოფჩიშვილი როლანდ, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
6. ითონიშვილი ვახტანგ, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995.
7. ოთხმეზური გიორგი, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებულში: „ოსთა საკითხი", აკ. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ, გორი-თბილისი, 1996.
8. სოსიაშვილი გიორგი, სამაჩაბლოს ისტორია (XV-XIX სს.), თბ., 2005.
9. ხარაძე კობა, შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ, კრებულში: „ოსთა საკითხი", აკ. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ, გორი-თბილისი, 1996.

ელ-რესურსები:
10. http://www.blogger.ge/post/177"
11.http://institutehist.ucoz.net/news/lavrent_39_i_janiashvili_osta_sakartveloshi_migratsia_kartulsa_da_rusul_osur_metsnierebashi/2014-02-25-123
12.http://www.amsi.ge/istoria/div/osebi.html
13. https://iberiana.wordpress.com/songulashvili/as5/

გამოჩენილი ქალები ძველი ეგვიპტის ისტორიაში (ხატშეფსუტი და ნეფერტიტი)

მარიამ ღვინიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით ჩოჩიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქალს უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საზოგადოებაში. მეურნეობის განვითარებამ მამაკაცის დაწინაურება გამოიწვია და მატრიარქატი შეცვალა პატრიარქატმა. მიუხედავად ამისა, ძველი ქვეყნების ცხოვრებაში ქალის როლი არ შემცირებულა.

ისტორიული დოკუმენტებით ირკვევა, რომ ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ქალს მაღალი სოციალური სტატუსი ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ხეთების სამეფოა აღსანიშნავი. ხათის სამეფოში დედოფალი ,,თავანანას" სპეციალურ ტიტულს ატარებდა, ხელს აწერდა ზოგიერთ სახელმწიფო დოკუმენტს, განაგებდა მთელ რიგ ქალაქებსა და ქალღმერთის ტაძარს. ტიტულიც სამეფო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად მემკვიდრეობით გადადიოდა დედოფლიდან დედოფალზე. მეფეს და დედოფალს საერთო საბეჭდავები ჰქონდათ, რომლითაც ამოწმებდნენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საბუთებს. მრავალი ისტორიული მაგალითი გვაქვს სხვა ძველაღმოსავლურ ქვეყნებში იმისა, თუ როგორი დიდი გავლენით სარგებლობდნენ სამეფო გვარის ქალები სამეფოში.

ძველ ეგვიპტეში დედოფალი ასეთი დიდი პატივით არ სარგებლობდა, მაგრამ გვაქვს მაგალითები, როდესაც ქალი სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლეს საფეხურზე გვევლინება. პირველი ცნობა ტურინის პაპირუსის მიხედვით იყო მეთორმეტე დინასტიის ფარაონი სებეკნეფარუ (სებეკკარა), რომელიც ძველი სამეფოს დასასრულს დაახლოებით მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მეფობდა. ეს იყო პირველი ოფიციალური ფარაონი ქალი ეგვიპტის ისტორიაში (ითვლებოდა, რომ პირველი ქალი ფარაონი მეექვსე დინასტიის წარმომადგენელი ნიტოკრისი იყო, მაგრამ ეგვიპტოლოგ რაიხოლდის უახლესი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ნიტოკრისი მითიური პერსონაჟი იყო).

ჩემი საკონფერენციო თემა ორ ისტორიულ პიროვნებას ეხება. ერთი მათგანია დედოფალი ხატშეფსუტი (დაახლოებით ძვ. წ. 1503 - გ. ძვ. წ. 1480) – ძველი ეგვიპტის დედოფალი (ფარაონი), ეგვიპტის XVIII დინასტიის წარმომადგენელი თოტმეს I-ის ასული და მისი თანამმართველი 15 წლის მანძილზე [1, 607].

ხატშეფსუტი იყო თოტმეს I-ის და დედოფალ იახმესის ქალიშვილი. ფარაონ თოტმეს I-ის ორი ვაჟიშვილი გარდაიცვალა მისივე მეფობის დროს, ამიტომ ტახტზე უნდა

ასულიყო მისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი თოტმესი, შემდგომში თოტმეს II-ედ წოდებული. თუმცა იგი ვერ გახდებოდა ტახტის ლეგიტიმური მმართველი თუ არ იქორწინებდა ხატშეფსუტზე, ქალზე, რომელიც მამამისს - თოტმეს I ჰყავდა „ღვთაებრივი მეუღლისაგან“ - იახმესისაგან და რომელსაც ბავშვობიდან ჰქონდა მინიჭებული „ღვთაების მეუღლის“ ტიტული (ეს ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი სამეფოდან მოდის). ფარაონთან ქორწინების შემდეგ იგი ხდებოდა ეგვიპტის დედოფალი და ტახტის კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მხოლოდ ის ბავშვები, რომლებიც ფარაონს ამ ,,ღვთაებრივი მეუღლისგან“ ჰყავდა. მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური და დიპლომატიური მოსაზრებების გამო ფარაონს ხშირად უხდებოდა მსხვილი ნომარქების ან უცხო ქვეყნის მეფეების და მთავრების ქალიშვილებთან ქორწინებაც. ეს მეუღლეები „მეორე რიგის” ცოლებად ითვლებოდნენ და მათ შვილებსაც შეეძლოთ ტახტზე ასვლა მხოლოდ კანონიერ მემკვიდრეებზე ქორწინებით. თოტმეს II, ფარაონ თოტმეს I-ს სწორედ ასეთი „მეორე რიგის“ ცოლისაგან ჰყავდა, დიდგვაროვანი ქალის მუტ-ნეფრეტისაგან.

თოტმეს პირველმა თავისი ქალიშვილი მოამზადა სამეფო ტახტზე ასასვლელად, ხატშეფსუტი დაჰყავდა ყველგან, წარუდგენდა მას ქვეყნის დიდებულებს, ასწავლიდა კანონებს. ხატშეფსუტმა მიიღო ბრწყინვალე განათლება. მოულოდნელად ის ცოლად გააყოლა თავის ერთ-ერთ ვაჟიშვილს, ხატშეფსუტის ავადმყოფ ნახევარძმას, რომელზეც წყაროებში მითითებულია, რომ გონებრივად სუსტი იყო. ამ ნახევარძმამ იმეფა სამი წელი და თავის მხევალთან მას ეყოლა ბავშვი. სწორედ ხატშეფსუტის მმართველობის დროს დაამკვიდრეს მწერლებმა ცნება ,,ფარაონ“... ძვ. წ. 1490 წელს ახალგაზრდა ფარაონი გარდაიცვალა.

ხატშეფსუტს გარდაცვლილი ფარაონისაგან დარჩა მხოლოდ ქალიშვილი ნეფრუ-რა. ამგვარად ისევ შეიქმნა სიტუაცია, როცა ფარაონის ლეგიტიმურობა შეიძლებოდა მხოლოდ ფარაონის ქალიშვილთან ქორწინებით. თოტმეს II-ის სიკვდილის შემდეგ, სამეფო კარის არჩევანი შეჩერდა „მეორე რიგის“ ცოლის, ისიდას ვაჟზე, რომელიც ნეფრუ-რაზე დაქორწინების შემდეგ ტახტზე ადის, როგორც თოტმეს III. ამ დროისათვის თოტმეს III და მისი მეუღლე ბავშვები იყვნენ, ამიტომ ხატშეფსუტის მომხრე დიდებულებმა თოტმოს III მმართველობას ჩამოაშორეს და ხატშეფსუტი გაამეფეს. ეგვიპტის შიდა არეულობით ისარგებლეს ნუბიელებმა და აჯანყდნენ, მაგრამ ხატშეფსუტმა ჩაახშო ამბოხება და სამხრეთ პალესტინაშიც გაგზავნა დამსჯელი ექსპედიციები. ამის შემდეგ ხატშეფსუტი შეუდგა ქვეყნის ერთპიროვნულ მართვას [2, 160; 3, 113-114].

ხატშეფსუტი იყო საოცარი სილამაზის ქალი. მასთან დაკავშირებულია მრავალი იმდროინდელი საიდუმლოება. თუმცა არცერთი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები ბოლომდე შემონახული არ მოგვეპოვება. დავიწყოთ იქიდან, რომ ხატშეფსუტი, რამდენიმე გადმოცემის მიხედვით, ითვლებოდა ოფიციალურ მმართველად ზემო და ქვემო ეგვიპტისა, იმ დროის განმავლობაში როცა ერთდროულად კიდევ სამი ფარაონი მმართველობდა. ესენი იყვნენ: თოტმეს I, თოტმეს II, თოტმეს III. ასევე არსებობს წყაროები, რომლის მიხედვითაც იგი ითვლებოდა მხოლოდ თოტმეს II-ის მეუღლედ. ხატშეფსუტმავე შეაიარაღა და აღჭურვა უდიდესი ეგვიპტური ფლოტი, რომლითაც მოაწყო სავაჭრო ექსპედიციები პუნტის ქვეყანაში. ეგვიპტელებმა დალაშქრეს უცხო ქვეყანა და ჩამოიტანეს დიდძალი ნადავლი; ასევე ხის უძვირფასესი ჯიშები წამოიღეს, რითაც ფარაონმა ხატშეფსუტმა გაამშვენიერა თავისი ტაძრის ბაღები და გამოიყვანა ახალი ჯიშებიც, რომლის ფრაგმენტები და ნარჩენები დღემდეა შემონახული და კიდევ აკვირვებს მნახველებს. ხატშეფსუტის საგარეო პოლიტიკა არ იყო ისეთი აქტიური, როგორიც მისი წინამორბედების დროს. მან მთელი ყურადღება ქვეყნის აღმშენებლობისკენ მიმართა და ქვეყნის სიმდიდრე სამშენებლო საქმიანობისათვის გამოიყენა – აღადგინა ჰიქსოსების მიერ დანგრეული ძველი ტაძრები და ააგო ახალი (დაირ-ელ-ბაჰრი); განაახლა საბადოების დამუშავება სინის ნახევარკუნძულზე.

იმისათვის, რომ ხატშეფსუტს კიდევ უფრო განემტკიცებინა თავისი პოზიციები, მან გარშემო შემოიკრიბა უბრალო წარმოშობის პირები, რომლებსაც მაღალი თანამდებობები დაურიგა. მათ სათავეში იდგა ასევე უბრალო წარმოშობის სამხედრო სენ-მუტი, რომელსაც დედოფალმა 80-ზე მეტი თანამდებობა უბოძა. ქვეყნის შიგნით ხატშეფსუტი, როგორც ძირითად ხაზს, ატარებდა შუა სამეფოს ეგვიპტის ტრადიციების რესტავრაციის პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკაში მან ძირითადი აქცენტი აფრიკაზე გადაიტანა და სრულ იგნორირებას უწევდა XVIII დინასტიის მძლავრი ფარაონების მიერ მოპოვებულ აზიურ კოლონიებს.

გამეფების ოცდამეორე წელს ხატშეფსუტი ჩამოაგდეს სამეფო ტახტიდან. ჩვენამდე შემორჩენილ ბარელიეფებზე ხატშეფსუტი გამოსახულია მამაკაცის ჩაცმულობით და არსებობს ვერსია იმის შესახებ, რომ იგი ქვეყანას მართავდა მამაკაცის სახელით. თვითონ იწოდებოდა თოტმეს II-ის სახელით, რომელიც იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო. თუმცა ხატშეფსუტი ამას ყველასთან მალავდა და მასთან დაახლოებულმა პირებმაც კი არ იცოდნენ ამის შესახებ. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ბალზამირების პროცესის დროს აღმოაჩინეს, რომ იგი ქალი იყო და არა ფარაონი თოტმეს II.

სხვა წყაროს მიხედვით, თოტმეს II-ის სიკვდილის შემდეგ ხატშეფსუტმა გაანადგურა ყოველგვარი ხსოვნა, რაც მეუღლესთან აკავშირებდა. წაშალა მასთან დაკავშირებული წარწერები, დაამტვრია ქანდაკებები და გაანადგურებინა ტაძარი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი მკვლევარი თავისი ჩადენილი საქციელის გამო ხატშეფსუტს აიგივებს ლეგენდარულ ბიბლიურ ქალღმერთთან, საბას დედოფალთან, რომელმაც აცდუნა სოლომონი ბიბლიის მიხედვით და გახდა მისი ცოლი.

ხატშეფსუტის ცხოვრებაზე და სიკვდილზე უტყუარი ინფორმაცია დღემდე არ არსებობს. ასევე გაურკვეველია მისი როლი ეგვიპტის ისტორიაში, ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლო და გამოცანაა მის გარშემო ამოსახსნელი. ერთი რამ კი აბსოლუტურად არის გამოკვეთილი ხატშეფსუტის შესახებ ისტორიაში - მისთვის არ არსებობდა საზღვარი მმართველობასა და სილამაზეზე, გონიერებასა და ტალანტზე, ასევე მამაკაცების მიმართ ძალაუფლების მოპოვებაზე. ხატშეფსუტის გარდაცვალების შემდეგ თოტმეს III მკაცრად მოექცა მის ხსოვნას და თითქმის ყველგან მოსპო მისი სახელი.

ხატშეფსუტისაგან განსხვავებით, დედოფალი ნეფერტიტი, რომელიც შედარებით გვიან მოღვაწეობდა, არ იყო ეგვიპტის უშუალო მმართველი-ფარაონი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მისი გავლენა ეგვიპტის ახალი სამეფოს პოლიტიკაზე.

ნეფერტიტი სახელგანთქმული გახდა ორი მიზეზით. ის იყო ერთგვარი სიმბოლო ეგვიპტელი ქალის სილამაზისა, რაც აისახება დღემდე შემონახულ ეგვიპტურ გამოსახულებაში. თანაც იგი იყო მეუღლე ეხნატონისა, რომელიც იყო რეფორმატორი მმართველი და ერთ-ერთი ,,განდგომილი“ ფარაონი, რომელიც აღდგა ამონის ღმერთის წინააღმდეგ და გახდა თაყვანისმცემელი ,,წმინდა მზის რგოლისა“. ნეფერტიტი იყო არა უბრალოდ მეუღლე ფარაონისა, არამედ ღმერთის წარმომადგენელი დედამიწაზე და ამიტომაც იგი ატარებდა ღვთიურ ტიტულს. არსებობს გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ეხნატონი იყო უზომოდ შეყვარებული თავის მეუღლეზე, მათ ულამაზესი სიყვარული აკავშირებდათ და ამიტომაც უფრო მწვავედ და საშინლად გადაიტანა ფარაონმა მეუღლის ნაადრევი გარდაცვალება. არსებობს სხვა მოსაზრებებიც იმის შესახებ, რომ ფარაონს მოგვიანებით ჰყავდა სხვა ცოლიც, ხოლო ნეფერტიტი რჩებოდა გარეგნულ სახედ და ავტორიტეტად ხალხთან ურთიერთობაში, რადგან ეგვიპტელები მას აღმერთებდნენ, უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების შემდეგ მიმდინარეობს გამოკვლევები ნეფერტიტის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. თუმცა დღევანდლამდე არ არის აღმოჩენილი არც ერთი დამადასტურებელი ფაქტი ნეფერტიტის წარმოშობის შესახებ. მხოლოდ აკლდამების კედლებზე არის მწირი ცნობები ფარაონის ოჯახის შესახებ. სწორედ ამ წარწერებიდან და იეროგლიფური ფიგურებიდან შეძლეს ეგვიპტოლოგებმა რამდენიმე ჰიპოთეზის აწყობა იმის შესახებ, თუ სად დაიბადა დედოფალი. მთლიანად ეგვიპტოლოგების შეხედულებები ეყრდნობა ორ ვერსიას: მკვლევარების ერთი ჯგუფი ნეფერტიტს აღიარებს ეგვიპტელ ქალად, მეორე ჯგუფი მკვლევარებისა იხრება მისი არაეგვიპტური წარმოშობის ვერსიისაკენ.

ნეფერტიტის არაეგვიპტური წარმოშობის ვერსია თავის მხრივ ორ მიმართულებად იყოფა, რომლებიც გამყარებულია თავ-თავისი არგუმენტებით. ითვლება, რომ ნეფერტიტი იყო მითანის პრინცესა, რომელიც სამეფო კარზე იყო მიწვეული. მითანის მეფე ტუშრატს (1370-1350 ძვ. წ.) ჰყოლია ორი ქალიშვილი: ჰილუხეპა (ჰილუხიპა) და ტადუხეპა (ტადუნიპა). ეს მითანის პრინცესები გაგზავნილები იყვნენ ფარაონის სამეფო კარზე. რამდენიმე წყაროში მოხსენიებულია, რომ თითქოსდა მისი უმცროსი ქალიშვილი ნეფერტიტი შემდეგ გახდა ცოლი ერთ-ერთი მაშინდელი ფარაონისა (შესაძლოა, მისი ქმარი გახდა ხორენხანი). გილუხეპა ჩამობრძანდა ეგვიპტეში ჯერ კიდევ ამენხოტეპ III-ის სიცოცხლეშივე და მასვე მიათხოვეს. ვერსია იმის შესახებ, რომ გილუხეპას პიროვნება შეიძლება იყოს ნეფერტიტი, სინამდვილეში უარყოფილია იმის გამო, რომ ამ დროისათვის ნეფერტიტი ასაკით ძალიან პატარა უნდა ყოფილიყო.

უმცროსი და ტადუხეპა სამეფო კარზე მოვიდა ამენხოტეპ IV, ეხნატონის მმართველობის დასაწყისში. თავისი ჰიპოთეზების დასაცავად მეცნიერებს მოჰყავთ ის ფაქტი, რომ სახელი „ნეფერტიტი“ (რაც ნიშნავს „მოვიდა ლამაზმანი“) მიუთითებს მის არაეგვიპტურ წარმოშობაზე. ითვლება, რომ პრინცესა ტადუხეპამ, ეგვიპტეში ჩამოსვლის შემდეგ, მიიღო ახალი სახელი, როგორც ამას აკეთებდნენ უცხო მიწიდან მოსული პრინცესები. იგი თითქოსდა ითვლებოდა სილამაზის ქალღმერთის ქალიშვილად თავისი არამიწიერი სილამაზის გამოც. თავიდან ეგვიპტოლოგები მიჰყვებოდნენ უბრალო ლოგიკურ ჯაჭვს. თუკი ნეფერტიტი იყო „ფარაონის მთავარი ცოლი“, მაშინ იგი აუცილებლად ეგვიპტური წარმოშობის უნდა ყოფილიყო, თანაც მეფური სისხლის ეგვიპტელი. ამიტომ თავიდანვე ითვლებოდა, რომ დედოფალი ამენხოტეპ III-ის ერთ-ერთი ქალიშვილი იყო. მაგრამ მისი ქალიშვილების ჩანაწერებში, ასევე მათი ფარაონი მამის ცნობებში არსადაა მოხსენიებული პრინცესა მსგავსი სახელით. შვილებიდან თუ არა, მისი დისშვილი, ბიძაშვილი ან უახლოესი ნათესავის – მის კართან დაახლოებული დიდგვაროვნის – შვილი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეხნატონისაგან მან გააჩინა ექვსი ქალიშვილი. თუკი

დედოფალი ვაჟიშვილს ვერ გააჩენდა, ეს აუცილებლად გამოიწვევდა სამეფო ოჯახის შიგნით უთანხმოებას და ურთიერთობების გამწვავებას.

მხატვრებს არასოდეს არ წარმოუდგენიათ ეგვიპტის ხელოვნებაში ისეთი ნიმუშები, როგორც ეს ეხნატონის და ნეფერტიტის სახითაა. მათში ჩანს ცოცხალი, გამომხატველობით დემონსტრირებული გრძნობები.

ერთერთ ბარელიეფზე გამოსახულია ნეფერტიტი ულამაზესი დიადემით, რომელსაც ორი ბუმბული ამშვენებს. დედოფლის სახე სიხარულის და აღტაცების მატარებელია, აღვსილი მშვენიერებით, ზის თავის მეუღლესთან და შვილებთან ერთად. ნეფერტიტს ხელში უკავია უმცროსი ქალიშვილი. ერთ-ერთ ბარელიეფში, რომელიც აღმოჩენილია ახეტატონში - აღბეჭდილია წინ აღწერილი სიუჟეტის კულმინაციური მომენტი - ამ იდილიის ამსახველი სურათი - ეხნატონისა და ნეფერტიტის კოცნა. ყოველ სცენაში აუცილებლად მონაწილეობს ატონი - მზის დისკო, თავისი მრავალი ხელით, რომლებიც გაწვდილია სამეფო წყვილისაკენ და ისეთი სიმბოლოებია გამოსახული, რაც მარადიულ სიცოცხლეზე მიუთითებს.

ნეფერტიტს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის იმდროინდელი ეგვიპტის რელიგიურ ცხოვრებაში... იგი აცილებდა მეუღლეს მსხვერპლშეწირვის დროს, ასევე თან ახლდა მას ყოველგვარ რელიგიურ დღესასწაულებზე. მას მიიჩნევდნენ მზის ღმერთის განმახორციელებელ ძალად დედამიწაზე, რომელსაც შეეძლო სიცოცხლის ჩუქება. მრავალ ტაძარში, რომელიც მიძღვნილია ატონის და სხვა ღმერთებისადმი, მასზე წარმოთქვამდნენ ლოცვებს. არც ერთ ტაძარში არანაირი მოქმედება არ ტარდებოდა მის გარეშე. იგი სწირავდა შესაწირს და ხელს უწყობდა რელიგიის გავრცელებას მთელს ქვეყანაში. ამიტომაც მას აფასებდა მეუღლეც და ხალხიც. ერთ-ერთ დარბაზში, რომელიც ააგო ეხნატონმა თავისი მმართველობის მეექვსე წელს ერთ-ერთი დღესასწაულის აღსანიშნავად, გაკეთდა კოლოსალური სკულპტურული გამოსახულებები, რომელზეც გამოსახული იყო ნეფერტიტი, რომელიც ასახავდა მზის ქალღმერთის ქალიშვილის სახეს. ამ შემთხვევაში ნეფერტიტი შესაძლოა გამოსახული ყოფილიყო სფინქსის რანგში, რომელმაც გაანადგურა მტრები.

უდიდესი უფლებებით და ძალით აღჭურვილი დედოფალი ყველაზე ხშირად გამოსახული იყო თავის საყვარელ თავსაბურავში (უცნაური გვირგვინი, რომელიც მხოლოდ მას ამშვენებს), ჰქონდა მაღალი ლურჯი ნიღაბი, რომელიც გაწყობილი იყო ოქროს სამშვენისებით და ლენტებით და რომელიც სიმბოლურად ასახავდა მის კავშირს ქალღმერთებთან და მზის ღმერთთან.

ეხნატონის მმართველობის მეთორმეტე წელს გარდაიცვალა სამეფო წყვილის შუათანა ქალიშვილი - პრინცესა მაკეტატონი. მალევე გაქრა თვითონ ნეფერტიტიც ისტორიული არენიდან. მისი ადგილი დაიკავა მეორეხარისხოვანმა დედოფალმა, ეხნატონის ე. წ. ქალების სახლიდან, კიიამ, ხოლო მოგვიანებით გვირგვინი დაიდგა ნეფერტიტის უფროსმა ქალიშვილიმა - მერიტატონმა.

ეხნატონის მმართველობის მეთოთხმეტე წელს ნეფერტიტის შესახებ ყველანაირი ცნობები ქრება. აღმოჩენილია ერთი პატარა ქანდაკება თოტმესის მოქანდაკის სახელოსნოში, რომელიც გვიჩვენებს ნეფერტიტის სახეს. მას წლების კვალი ამჩნევია. ჩვენ ვხედავთ ამ ქანდაკებაზე თითქოს იგივე სახეს, ისევე ლამაზს, თუმცა დროს მისთვის თავისი ულმობელი ხელი დაუმჩნევია. ჩანს მისი დაღლილობისაგან გატანჯული სახე, თითქოს მოტეხილი და განადგურებული. შორს მიმავალი დედოფალი ჩაცმულია მსუბუქ, უბრალო კაბაში, უბრალო სანდლებით ფეხებზე. მისი სახე ეკუთვნის არა უმშვენიერეს დედოფალს, არამედ უბრალოდ სამი ქალიშვილის დედას, რომელსაც ამ ქვეყნად მრავალი რამ გამოუვლია.

1912 წელს გერმანელი არქეოლოგის მიერ თოტმესის კარზე მომუშავე მოქანდაკის სახელოსნოში აღმოჩენილი იქნა დედოფალ ნეფერტიტის უნიკალური სკულპტურა (ქანდაკება), რომელიც მას შემდეგ გახდა ძველ ეგვიპტური კულტურის სილამაზის სიმბოლო.

თავდაპირველად მისი ბიუსტი აღმოაჩინეს ეგვიპტოლოგების ჯგუფმა და წაიღეს გერმანიაში, სადაც იგი დღემდე ინახება. იმისთვის, რომ დაემალათ იგი მეცნიერებს საზღვარზე საბაჟო პუნქტისათვის, სპეციალურად შეღებეს და თაბაშირი დააუშნოვეს. თავის არქეოლოგიურ დღიურში, ჩანახატის მოპირდაპირე მხარეს, მეცნიერმა ბორხარდტმა მიაწერა: „მისი აღწერა უმიზნოა, მას მხოლოდ უნდა უყურო“. მოგვიანებით 1913 წელს ეგვიპტის კულტურის სამინისტრომ გამოითხოვა ბიუსტი, ხოლო გერმანიამ ამ თხოვნაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ გერმანელებსა და ეგვიპტოლოგებს აეკრძალათ არქეოლოგიური გათხრების წარმოება ეგვიპტის ტერიტორიაზე. ამ აკრძალვამ და მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა გერმანელ ბორხარდტს (იგი ებრაული წარმოშობის იყო) გაეგრძელებინა სამეცნიერო გათხრები. ეგვიპტე დღემდე ითხოვს გერმანელებისაგან ნეფერტიტის ცნობილ ქანდაკებას, მაგრამ, როგორც ჩანს, უშედეგოდ.

მოგვიანებით აღმოჩნდა ლამაზმანი ნეფერტიტის ქანდაკება, რომელსაც ჩატარებული აქვს ე.წ. „პლასტიკური ოპერაცია“. თავდაპირველად გამოძერწილი ცხვირის ადგილას, მოგვიანებით მოხდა

სხვანაირი ცხვირის მიმაგრება და თითქოსდა ეს ჩაითვალა ეგვიპტური სილამაზის ეტალონად. მაგრამ მაინც უცნობი რჩება, იყო თუ არა თავდაპირველი დედოფლის ქანდაკება მიახლოებული ორიგინალთან, ანუ თავიდანვე იყო თუ არა ქანდაკება შელამაზებული. ამჯერად შეუძლებელია რაიმეს მტკიცება. ამის დამტკიცება მხოლოდ ერთ ფაქტს შეუძლია, თუ მოხდება ნეფერტიტის მუმიფიცირებული სხეულის გამოკვლევა, რაც მოგვცემს უტყუარ ცნობებს დედოფლის თავდაპირველი სილამაზის შესახებ. თუმცა ეს ამ ეტაპზე შეუძლებელია. საჭირო გახდა ჩატარებულიყო გენეტიკური კვლევები. მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ნეფერტიტი იქნებოდა იმ რამდენიმე აღმოჩენილ მუმიებს შორის, რომლებსაც კვლევა გენეტიკურ დონეზე უტარდებოდათ. კვლევები ჩატარდა, თუმცა არანაირი ინფორმაცია არ გახმაურებულა. ნეფერტიტის მუმია დღემდე არ არის აღმოჩენილი, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ საეჭვო მუმიებს შორისაა, რომელიც მკვლევარებმა აღმოაჩინეს, მაგრამ არ არის ამოცნობილი.

ერთ-ერთმა არქეოლოგმა, რომელიც რამდენიმე წელი ხელმძღვანელობდა გათხრებს, ადგილობრივი მცხოვრებლების ლეგენდებზე ასეთ რამეს წერს: XIX საუკუნის დასასრულს ადამიანების ჯგუფი ეშვებოდა მთიდან, მათ თვითონ არ უთქვამთ, მაგრამ ამის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ მათ უპოვიათ ოქროს სამყოფელი. ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ ანტიკვარულ მაღაზიებში გამოჩნდა რამდენიმე ოქროს მონეტა და ნივთი, რომელზეც ნეფერტიტის სახე ან სახელი იყო გამოსახული. ან ისეთი ნივთები რომლებიც მარტო ნეფერტიტს ეკუთვნოდა. ამის შემოწმება ვერ მოხერხდა. საიდუმლო ნეფერტიტის შესახებ ისევ საიდუმლოდ რჩება.

ამრიგად, ძველი ეგვიპტის ორი ძლიერი პიროვნების – ხატშეფსუტისა და ნეფერტიტის –სახით საქმე გვაქვს ძველ აღმოსავლეთში ქალის მაღალ სოციალურ მდგომარეობასთან. ხატშეფსუტი იყო ფარაონი, მმართველი უზარმაზარი ქვეყნისა, რომელიც ნაწილობრივ უზურპატორი იყო. მიუხედავად ამისა, მან ძველი ეგვიპტის ისტორიაში შექმნა მმართველობის ისეთი პრეცენდენტი, როცა ქვეყნის პოლიტიკა შიდა აღმშენებლობაზე იყო ორიენტირებული. რაც შეეხება ნეფერტიტს, ის იყო ეგვიპტის დედოფალი, რომელიც თავისი ფიზიკური გარეგნობითა და ადამიანური დამოკიდებულებით გახდა ცნობილი. მას მოუწია ცხოვრება ისეთ ბობოქარ პერიოდში, როცა ძველ სამყაროს ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა მოხდა - მონოთეიზმი გახდა უდიდესი ქვეყნის რელიგია. დედოფალმა ღირსეული თანადგომა გაუწია რეფორმატორ მეუღლეს და მისი სახელი გახდა სილამაზის, დედობისა და ადამიანურობის სიმბოლო.

ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 607
2. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988.
3. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990.
4. Головина, В. А., Себекнеферу Себеккара - царица –фараон, Вестник древней истории, 2008, (3 – 22).
5. Большаков В. А., Царица Египта Хатшепсут, http://annales.info/egipet/small/hatshepsut.htm
6. Ильин В., Загадочная красавица Нефертити, http://tainy.info/history/zagadochnaya-krasavica-nefertiti/

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობა

თეონა შავლოხაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ოთარ ჯანელიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოსა და რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დადებიდან 230 წელზე მეტი გავიდა, ისტორიოგრაფიაში მის შესახებ კამათი დღემდე გრძელდება. მეცნიერები ტრაქტატის ავ-კარგზე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ აზრს გამოთქვამდნენ და გამოთქვამენ. ზოგი მკვლევარი ამ ხელშეკრულების გაფორმებას ერეკლე მეორეს ,,დიდ სტრატეგიულ შეცდომად“ უთვლის (1), ზოგის აზრით კი, რუსეთზე ორიენტაციით ერეკლემ „ფანჯარა გაჭრა“

ევროპისაკენ. თუ ერთნი ტრაქტატს „ავბედით და საბედისწერო ხელშეკრულებას“ უწოდებენ (2), მეორენი ტრაქტატში საქართველოს გადარჩენის წინაპირობას ხედავენ და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი და მისი ისტორია ხელშეკრულების როგორც დადებით, ისე უარყოფით შემფასებლებს მართლაც აძლევთ სათანადო არგუმენტირების საფუძველს. მაგრამ ამ პაექრობაში ჩაბმა არ შეადგენს ჩემს ინტერესს. წინამდებარე ნაშრომის მიზანი უფრო კონკრეტულია: შევეცდები წარმოვაჩინო გეორგიევსკის ტრაქტატის, როგორც ისტორიული ღირებულების მქონე დოკუმენტის, მნიშვნელობა ქართველი ერის თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ცნობილია, რომ 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსული სიმაგრე გეორგიევსკში რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ტრაქტატი (ხელშერულება) გაფორმდა. პრეამბულის მიხედვით, ტრაქტატი იყო „მეგობრობითი ხელშეკრულება” („дружественный договор”), ქართლ-კახეთის სამეფო ცნობდა რუსეთის იმპერატორის „უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას”. ტრაქტატის დადება საქართველოს საშინაო და საგარეო მძიმე მდგომარეობამ, გამუდმებულმა „ლეკიანობამ“, აგრესიული მუსულმანური სახელმწიფოებისაგან ქვეყნის შთანთქმის შიშმა, არსებული და მოსალოდნელი საფრთხეებისაგან თავის დაღწევის სურვილმა განაპირობა.

ტრაქტატი „საუკუნოდ” (ე.ი. უვადოდ) იდებოდა, მაგრამ თუ მასში ურთიერთსასარგებლო ცვლილებების შეტანა გახდებოდა საჭირო, ეს ორივე მხარის თანხმობით უნდა მომხდარიყო: ,,უკეთუ განხილულ იქმნეს რაიმე საჭიროდ შეცუალებად, ანუ დართუად ურთიერთისათვის სარგებლისა, აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა” არათუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არამედ, ორი-სამი წლის შემდეგაც კი, შეიძლება ითქვას, რომ გეორგიევსკის ტრაქტატმა ფაქტობრივად ვერც იმუშავა, რადგან რუსეთმა იგი ცალმხრივად დაარღვია.

გეორგიევსკის ტრაქტატის პირდაპირი შედეგები საქართველოსათვის მკვეთრად უარყოფითი იყო. პოლიტიკური სიტუაცია, გაუმჯობესების მაგიერ, გაუარესდა. რუსეთმა ვერ დაიცვა თავისი ხელდებული და მოკავშირე ქვეყანა, რომელსაც სწორედ ამ ხელშეკრულების დადების გამო ყველა მეზობელთან მდგომარეობა გაუმწვავდა. რუსეთის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის მეფეს ირანის შაჰის, ოსმალეთის სულთნისა და კავკასიის მაჰმადიანურ ხანების თვალშიც ნდობა დაეკარგა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთში რუსეთის ორი ბატალიონი იმყოფებოდა, 1785 წელს ავარიელმა ომარ-ხანმა ერეკლე მეორის თითქმის მთელი სამეფო მოითარეშა, ხელთ იგდო დიდი ნადავლი და 800-ზე მეტი ტყვეც წაიყვანა. გამძაფრდა ვითარება ქვეყნის შიგნითაც. გამოცოცხლდა ერეკლე მეორის ოპოზიცია – ქართლის თავადები. ისინი პირდაპირ მიანიშნებდნენ, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში ქართლის სამეფოს ცალკე გამოყოფისა და ტახტზე ვახტანგ მეექვსის შთამომავალთა წარმომადგენლის აყვანისათვის იბრძოლებდნენ.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ტრაქტატის წყალობით საქართველო ,,გაძლიერებისა და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფის მაგიერ სამი მხრით გარშემორტყმული გახდა და განუწყვეტლივ საომარ განწყობილებაში ჩავარდა იმ თავის მეზობლებთანაც, რომელნიც წინათ მისი ერთგული მოკავშირენი იყვნენ. ... საქართველო ისეთს საშინელს განსაცდელში ჩავარდა, რომლის მსგავსში შაჰ-აბაზის შემდგომ არ ყოფილა“ (4, 146).

ტრაქტატი საქართველოზე მეტად თავის სასარგებლოდ რუსეთმა გამოიყენა. ამ ხელშეკრულების ძალით მან შეძლო უბრძოლველად შემოსულიყო სამხრეთ კავკასიაში. ამან რუსეთის ხელისუფლებას საშუალება მისცა იოლად შეევიწროებინა მეტოქე ირან-ოსმალეთი, გაეფართოებინა იმპერიის საზღვრები და რეგიონში საკუთარი გავლენა განემტკიცებინა. ამდენად, გეორგიევსკის ტრაქტატმა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო აქცია იმპერიის ნაწილად, არამედ მნიშვნელოვანწილად დანარჩენი საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის ბედიც გადაწყვიტა.

გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლას არ ითვალისწინებდა. ის მხოლოდ ურთიერთმეგობრობასა და ურთიერთდახმარებას, პირველ რიგში კი მფარველობას გულისხმობდა, რაც უნდა გაეწია რუსეთს საქართველოსათვის და ქვეყანა გარეშე მტრებისაგან დაეცვა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ტრაქტატმა საქართველოს იმედი და მოლოდინი ვერ გაამართლა, მას ნანატრი მშვიდობა და სტაბილურობა ვერ მოუტანა. მეტიც, - ეს ხელშეკრულება რუსეთმა ჩვენი ქვეყნის დასაპყრობადაც კი გამოიყენა, მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ტრაქტატს მაინც ჰქონდა ისტორიული ღირებულება.

გეორგიევსკის ტრაქტატი იყო საერთაშორისო რანგის ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე ხელმომწერი ქვეყნები დოკუმენტის გაფორმების დროს იყვნენ სუვერენული სახელმწიფოები. საერთაშორისო სამართლის ეს დებულება მოგვიანებით იმ ბრძოლის ,,ოქროს ბულად“ იქცა, რომელსაც ქართული ეროვნულ-პოლტიკური ძალები ეროვნული უფლებების აღიარებისა და საქართველოს თავისუფლების მოსაპოვებლად აწარმოებდნენ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, გეორგიევსკის ტრაქტატზე, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს ავტონომიურობის დამადასტურებელ ისტორიულ საბუთზე, ყურადღება 1802 წლის ზაფხულში აჯანყებულმა კახელმა თავადებმა გაამახვილეს. იმპერატორისათვის გასაგზავნ პეტიციაში ისინი ერეკლე მეორის ანდერძის შესრულებას და ბაგრატიონთა მეფობის განახლებას ითხოვდნენ, რაც სწორედ ამ ტრაქტატზე მინიშნება იყო. ეს გარემოება მხედველობიდან არ გამორჩენია ქართულ ისტორიოგრაფიას. არაერთ ნაშრომში მითითებულია, რომ კახეთის პოლიტიკური გამოსვლა მიზნად ისახავდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამხობას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენას 1783 წლის ტრაქტატის პირობებში (5, 28-31).

XIX საუკუნის პირველი მესამედის მრავალი აჯანყება-შეთქმულების შემდეგ, რომლის მონაწილენი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იარაღით ხელში იბრძოდნენ, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შესამჩნევად მინელდა. ამ მოძრაობის ახალ ეტაპზე თერგდალეულებმა იმპერიასთან დაპირისპირების, მისი კირთებისაგან თავის დახსნის სხვა - მშვიდობიანი გზა აირჩიეს. რა თქმა უნდა, მიზანი იგივე იყო, რაც ილია ჭავჭავაძემ ლაკონურად გამოთქვა ფრაზით: ,,ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, მაგრამ მათი ტაქტიკა თავისუფლებისაკენ ევოლუციურ, ეტაპობრივ სვლას გულისხმობდა. დამოუკიდებლობის პირველ საფეხურად ილიამ საქართველოს ავტონომიის მიღწევა წამოაყენა ცენზურის მძლავრობის გამო დიდ მწერალს აღნიშნული საკითხის ფართოდ გაშლა ვერ მოუხერხდა. მას ამ კონტექსტში არც 1783 წლის ტრაქტატი უხსენებია, მაგრამ ილიას კარგად ესმოდა ერის ისტორიული უფლების მნიშვნელობა და მასზე საუბრის საშუალება რომ მისცემოდა, აქცენტს უპირველესად სწორედ გეორგიევსკის ტრაქტატზე გააკეთებდა.

XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, რომელმაც ეროვნული საკითხი თავის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა. ამ იდეოლოგიის ფუძემდებლებმა 1903 წელს პარიზში გაზეთი ,,საქართველო“ გამოსცეს. გაზეთის ერთ-ერთ პირველივე ნომერში წამოყენებულია საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული 1783 წლის ხელშეკრულებასთან. 1903 წლის 1 ივნისის მოწინავე წერილში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ,,საქართველოს ისტორიულ უფლებებს, რომელნიც 1783 წლის ტრაქტატშია გამოსახული ... მიუხედავად დროთა მსვლელობისა, დღეს ისეთივე სიმკვიდრე და ძალა აქვსთ, როგორი ძალაც მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ჰქონდათ“ (7).

გაზეთის მესვეურები მიიჩნევდნენ: ,,თანამედროვე ჩვენი საჭიროებანი და მეფე ერეკლეს ტრაქტატის შინაარსი რომ შევუფარდოთ ერთმანეთს, ამ ტრაქტატში ჩვენ ვპოვებთ იმგვარ პოლიტიკურ სიბრძნეს, რომელიც დღესაც არ არის ჩვენთვის დაძველებული და რომლის შეთვისებისათვის დღეს მეტი ღონე და მომზადება შეგვწევს. ეს გარემოება ერთიორად გაგვიადვილებს ბრძოლას, ერთიორად გვამხნევებს, გულს გაგვიკეთებს, რადგან ხელში გვაძლევს ახალ იარაღს, ახალ საბუთს, რომელსაც მომავალ საერთაშორისო სასამართლოს წარვუდგენთ, თუ სხვა გზით ვერ მოვიპოვეთ სამართალი“ (7).

ამ ,,ახალ იარაღს“ რუსეთის იმპერია არც ცნობდა და არც ანგარიშს უწევდა, ამიტომ დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო საქართველოს საკითხის გატანა ევროპულ ასპარეზზე და მისი ჩართვა საერთაშორისო პოლიტიკის ორბიტაში. მხოლოდ საერთაშორისო სამართალი თუ დაუდასტურებდა ქართველ ერს მის ისტორიულ უფლებას, თუნდაც ავტონომიის ფორმით, განეახლებინა სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ამისათვის ჯერ აუცილებელი იყო დასავლეთის საზოგადოებრიობისათვის გაეცნოთ პრობლემის არსი. ეს ამოცანა თავდაპირველად გაზეთმა ,,საქართველომ“ და მისმა ფრანგულმა დამატებამ ,,ლე ჟეორჟიმ“ იტვირთვა. ამ გამოცემებმა უცხოელ მკითხველს პირველად ამცნეს ქართველი ხალხის მისწრაფება ეროვნული თავისუფლებისაკენ (6, 92).

ამ მიმართებით საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია განხორციელდა 1907 წლის ზაფხულში. იმხანად ჰააგაში დაგეგმილ მსოფლიო სახელმწიფოთა სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად ვარლამ ჩერქეზიშვილმა, მიხაკო წერეთელმა და გიორგი გვაზავამ შეადგინეს პეტიცია, რომელიც ისტორიოგრაფიაში ცნობილია სახელწოდებით: ,,საქართველოს ხალხის მემორანდუმი“. პეტიცია მსოფლიო სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს აცნობდა საქართველოს უფლებრივ სტატუსს რუსეთის იმპერიაში, აღუწერდა იმ არნახულ დევნა-შევიწროებას, რასაც ქართველი ხალხი განიცდიდა და ითხოვდა, ხმა აღემაღლებინათ ამ უსამართლობის წინააღმდეგ. მემორანდუმის დასასრულს ნათქვამი იყო: ,,თქვენი თანაგრძნობის გამოწვევა დაგვეხმარება, რომ ჩვენი უფლებები აღდგენილ იქნენ 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გარანტიას იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობის და ეროვნული ავტონომიისათვის“ (8, 83).

კონფერენციის დელეგატები გაეცნენ პეტიციას, მაგრამ რადგან დღის წესრიგში რამდენიმე თვით ადრე იყო დამტკიცებული, საქართველოს საკითხზე საგანგებო მსჯელობა არ გამართულა. მიუხედავად იმისა, რომ ჰააგის კონფერენციას არ განუხილავს, საქართველოს ხალხის მემორანდუმი მაინც ფართოდ

გავრცელდა და გახმაურდა. პეტიციის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ბელგიის, აშშ და ინგლისის პრესაში. ინფორმაციები დაბეჭდეს ესპანეთისა და სხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებმა (8, 84).

1907 წელ თბილისში ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეებმა რუსულენოვანი გაზეთი ,,გრუზინსკაია მისლ" დააარსეს (რედაქტორი გიორგი გვაზავა). ამ დროისათვის რუსეთში უკვე მოქმედებდა სახელმწიფო სათათბირო. ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ერთი ნაწილის აზრით, აუცილებელი იყო სათათბიროს ტრიბუნა საქართველოს საკითხის აქტუალიზებისათვის გამოეყენებინათ. სწორედ ეს აზრია გატარებული მიხაკო წერეთელის ვრცელ სტატიაში ,,ერის უფლება", რომელიც მან ხსენებულ გაზეთში გამოაქვეყნა. სტატიაში ნაჩვენები იყო, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ხელშეკრულებით ქართველ ერს რჩებოდა შინაგანი მმართველობის სრული ავტონომია, ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის, მშობლიურ ენაზე სასამართლოს წარმოების უფლება და სხვ. მაგრამ ტრაქტატის ეს მუხლები რუსეთის იმპერიამ დაარღვია. ცარიზმმა საქართველოში რუსული მმართველობა დააწესა, ქართული ეკლესიის თვითმწყემსობა გააუქმა, ქართული ენა განდევნა სკოლებიდან და ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას. ყოველივე ამის გამო, მიხაკო წერეთლის სიტყვით, ქართველ ერი, მოითხოვს რუსეთის კანონმდებელთაგან სამართლიანობის აღდგენას (8, 121).

გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ავტონომიის ისტორიული უფლების კანონიერების ყველაზე დეტალური დასაბუთების ცდა ეკუთვნის გიორგი ჟორდანიას. 1907 წელს ქუთაისში დაისტამბა გ. ჟორდანიას წიგნაკი ,,აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია", მაგრამ მეფის ცენზურამ იგი აკრძალა. აღნიშნული წიგნი მხოლოდ 1917 წელს გამოვიდა სრულიად უცვლელად (9).

ნაშრომის დასაწყისშივე გ. ჟორდანია მიუთითებს, რომ საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების საჭიროებაზე მის სხვადასხვა ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ასპექტზე ბევრი რამ თქმულა, მაგრამ ცოტას თუ აღუნიშნავს, რომ საქართველოს აქვს კიდევ ერთი ისტორიული უფლება ავტონომიის მოთხოვნისა, რომელიც დამყარებულია ,,მტკიცე შეურყეველ იურიდიულ საბუთებზე". ამგვარ იურიდიულ საბუთად ავტორს მიაჩნია რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულება. მისი აზრით, გეორგიევსკის ტრაქტატის ძალა, რომელიც რუსეთისათვის გაუქმებულად, დროგადასულად და ისტორიის კუთვნილებად იყო ქცეული, საქართველოსათვის ცხოველმყოფლობას ინარჩუნებდა. საქართველოს ავტონომია გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ქართველი ხალხის ისტორიული უფლება იყო. აქედან გამომდინარე, როდესაც საქართველო რუსეთისაგან დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა, ,,მოწყალებას" კი არ ითხოვდა, არამედ იმას, რაც მას კანონით ერგებოდა, რაც გამომდინარეობდა საერთაშორისო უფლებების წესრიგიდან (9).

ქართველი ერის ისტორიულ უფლებათა საერთაშორისო აღიარებისა და ევროპის საზოგადოებრივი აზრის მიმხრობის მიზნით, 1914 წელს ლონდონში დაარსდა ,,საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირი." კავშირის შექმნის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო. მან თავი მოუყარა უცხოეთში მიმოფანტულ თანამემამულეებს და მრავალრიცხოვანი ევროპელი მეგობრებისა და ნაცნობების ხელშეწყობით კიდევ ერთხელ აღიმაღლა ხმა უსამართლოდ დაჩაგრული მშობლიური ერის პოლიტიკურ უფლებათა დასაცავად (8, 93).

ქართული სახელმწიფოს აღდგენის ისტორიულ და იურიდიულ დასაბუთებას მიეძღვნა 1917 წლის თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული ცნობილი იურისტისა და ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწის გიორგი გვაზავას წიგნი ,,საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით".

წიგნის შესავალში გ. გვაზავა აღნიშნავდა, რომ მსოფლიო ომმა წინა პლანზე წამოწია და კაცობრიობის შეგნებაში ნათელი სხივით გააცისკროვნა უფლების იდეა. ,,სამხრეთ კავკასიაში მდებარე გმირული წარსულის ქვეყანამ და მისმა მცირერიცხოვანმა ერმა", წერდა გ. გვაზავა - ,,ჯერ კიდევ IV საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა, რომლის საფუძველზე შეიქმნა თვითმყოფადი კულტურა და გასაოცარი ლიტერატურა. საქართველომ გაუძლო უამრავ დამპყრობელთა ტალღებს და პოლიტიკური თავისუფლება XVIII საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნა. 1783 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულებით რუსეთმა საქართველოზე პროტექტორატი დაამყარა, მაგრამ ტრაქტატი მკაცრად განსაზღვრავდა პროტექტორატის პირობებს.

რუსეთის მიერ ფეხქვეშ გათელილ ამ ხელშეკრულებას, – მიუთითებდა გ. გვაზავა, ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კავკასიის მთელი ისტორიულ-პოლიტიკური ცხოვრება იმდენადაა გაშიშვლებული და უფლების იდეა ისე ნათელია, რომ საქართველოს ბედის საკითხი, ე.ი. მისი სახელმწიფოს აღდგენის საკითხი თავისთავად წარმოიშობა და დღის წესრიგში დგება.

გიორგი გვაზავა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს თავისუფლება და მისი ტერიტორიული მთლიანობა გარანტირებულია 1783 წლის ტრაქტატით და საქართველოს საკითხი არის არა რუსეთის საშინაო პოლიტიკის, არამედ საერთაშორისო საკითხი (8, 114).

ასეთივე ხასიათის ნაშრომი გამოაქვეყნა გრიგოლ გეშაპელმაც. მისი აზრით, საქართველოს საკუთარი იურისდიქცია თავის რეალურ და ისტორიულ მიწა-წყალზე უნდა განევრცო, რის უფლებრივ ნორმებსაც 1783 წლის ტრაქტატი განსაზღვრავდა (8, 114).

ამრიგად, როგორც ჩემს მიერ განხილული მასალიდან ჩანს, გეორგიევსკის ტრაქტატს, მისგან გამომდინარე საქართველოსათვის საზიანო პირდაპირი შედეგების მიუხედავად, მაინც ჰქონდა ისტორიული მნიშვნელობა პერსპექტივის თვალსაზრისით. ჩვენს ეროვნულ მოღვაწეთათვის, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგიდან ქართველი ერის ისტორიული უფლებების აღიარების, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ავტონომიის მოსაპოვებლად იბრძოდნენ, გეორგიევსკის ტრაქტატი მყარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენდა.

მართალია, 1918 წლის მაისში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა დიდწილად პირველი მსოფლიო ომის კონიუნქტურამ განაპირობა და 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება აქ საჭირო აღარ გამხდარა, მაგრამ თვით დამოუკიდებლობის მზადების პროცესში რომ გეორგიევსკის ტრაქტატმაც შეასრულა გარკვეული როლი, ამას ვერავინ უარყოფს.

ლიტერატურა:

1. გურული ვ., საქართველო და გარე სამყარო (XIX-XXI საუკუნეები) http://sangu.ge/images/vgurl.pdf
2. ურუშაძე ლ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა რაობისათვის (ეძღვნება 1924 წლის ეროვნული ამბოხების 85-ე წლისთავს) https://burusi.wordpress.com/2010/04/28/levan-z-urushadze-3/
3. ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960.
4. ჯავახიშვილი ი., პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986, №2-3.
5. სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991.
6. ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.
7. გაზეთი ,,საქართველო“, პარიზი, 1903 წ., 1 ივნისი, №3.
8. ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
9. შველიძე დ., ახალი ქართული გაზეთი, 1998 წ. №6, 30 ივლისი.